DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION NYU | ISAW

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library in partnership with the Georgian National Museum.

- Author: Kikvidze, I. / კიკვიძე, ი. / Киквидзе, И.
- Title: მწათმოქმედება და სამიწადმოქმედო კულტი ძველ საქართველოში / Земледелие и земледельческий культ в древнй грузии
- Publication Date: 1976
- Publisher: Georgian National Museum, Georgian National Academy of Sciences
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_50e676fe9c

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

IVE
3636

ი. კიკვიძე

მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში

«მეცნიერება»
1 9 7

IVE
3636

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ი. კიკვიძე

მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში

(არქეოლოგიური მასალების მიხედვით)

18285

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1976

ნაშრომი არქეოლოგიური ნარკვევია, მასში გადმოცემულია მიწათმოქმედებისა და აგრარული (ნაყოფიერების) კულტის განვითარების ისტორია საქართველოში ნეოლითიდან ვიდრე ფეოდალურ ხანამდე.

ძველი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიურ სტრუქტურას უმთავრესად მიწათმოქმედების ხასიათი და მიწათმფლობელობის ფორმები განსაზღვრავდა. რელიგია კი იდეოლოგიურ საფუძველს უმზადებდა და შემდეგ აკანონებდა ყოველ ახალ სოციალურ მოვლენას. ამიტომ ნაშრომში საკმაო ადგილი ეთმობა ქართველი ტომების სოციალური ისტორიის საკითხების კვლევასაც.

Ქ $\frac{10602}{\text{M607 (03)—76}}$ 174—76 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1976

შესავალი

წარმოებით მეურნეობაზე გადასვლა შემობრუნების ხანაა ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში. „ნეოლითურ რევოლუციად“ იწოდება ეს უდიდესი სამეურნეო ღონისძიება და ამით რაც შეიძლება კარგად არის გამოხატული ის თვისებრივი ნახტომი, წარმოებითმა მეურნეობამ რომ გამოიწვია სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაში.

„ნეოლითური რევოლუციის“ შედეგები კარგად არის ცნობილი. მისი აქ გამეორება ზედმეტია. მე მხოლოდ ხაზს გავუსვამ იმ გარემოებას, რომ წარმოებით მეურნეობაში მიწათმოქმედების ადგილი განსაკუთრებულია. „ნეოლითური რევოლუციის“ დროსაც და შემდეგაც, ვიდრე თითქმის კაპიტალისტურ ხანამდე, მიწათმოქმედების ხასიათი და, მისგან გამომდინარე, მიწათმფლობელობის ფორმები განსაზღვრავს საზოგადოების ხასიათს და მის სოციალურ-ეკონომიურ სტრუქტურას.

მართალია, მესაქონლეობას არანაკლები როლი აქვს საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებაში, მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ვ. მასონი, ჯერ ერთი, არსებობენ ცივილიზაციები, რომლებისთვისაც მესაქონლეობა უცნობი იყო, მეორეც, წარმოებითი მეურნეობის ეს მეორე, დიდი დარგი რამდენადმე დამოკიდებულია მიწათმოქმედებაზე, რადგან მიწათმოქმედების პროდუქტები შეადგენს საქონლის საკვების საკმაო ნაწილს[1]. დავუმატებ, რომ მესაქონლეობის განვითარების დონე ძველ აღმოსავლეთში და ჩვენშიც დამოკიდებული იყო მიწათმოქმედების ხასიათსა და ინტენსივობაზე.

ერთი სიტყვით, ადამიანთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური ისტორიის შესწავლა შეუძლებელია, თუ არ გავითვალისწინებთ ამ საზოგადოების სამეურნეო ბაზისს, რომელსაც ძველი ქვეყნების უმრავლესობაში მიწათმოქმედება განსაზღვრავდა.

მიწათმოქმედება დიდ როლს ასრულებდა ქართველი ტომების სამეურნეო ცხოვრებაში. კავკასია და, კერძოდ, საქართველო იმ რეგიონს განეკუთვნება, სადაც მიწათმოქმედება უნდა ჩასახულიყო. კავკასიის უძველესი მიწათმოქმედების შემცველი ძეგლები სწორედ ჩვენშია დამოწმებული. მართალია, წარმოებითი მეურნეობის ეკონომიური და სოციალური ეფექტი კავკასიაში ისე თვალსაჩინო არ არის, როგორც წინა აზიაში, მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, შენელებული პროგრესი მიწათმოქმედების ხასიათით იყო განპირობებული.

განსხვავებით წინა აზიისაგან, კავკასიაში ურწყავი მიწათმოქმედება განვითარდა, რომელიც ადრეულ საფეხურზე ნაკლებეფექტურია და სოციალურ განვითარებას რამდენადმე აბრკოლებს. ამიტომ კავკასიაში ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება დაყოვნდა, მიუხედავად იმისა, რომ აქ მსხდომი ტომები ახლოს იყვნენ ცივილიზაციასთან. სამაგიეროდ, გვიან, ძვ. წ. I ათას-

[1] Возникновение и развитие земледелия. М. 1967. стр. 7.

წლეულის მეორე ნახევრიდან ურწყავი ან ადვილად სარწყავი მიწათმოქმედება ჩვენში ხელს უწყობს მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენას და სწრაფ სოციალურ პროგრესს. ძველ აღმოსავლეთში კი, სარწყავმა მიწათმოქმედებამ უკუეფექტი მოახდინა. ის, რაც ადრე ცივილიზაციის საფუძველი იყო, ახლა სოციალური განვითარების მუხრუჭად იქცა.

ამდენად, მიწათმოქმედების ერთი და იგივე ხასიათი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებულ სოციალურ შედეგს იძლევა. ბუნებრივია, რომ საზოგადოების სამეურნეო და სოციალური განვითარების ურთიერთკავშირი ცალმხრივი არ არის. თავისთავად, რაც უფრო ეკონომიურად და სოციალურად განვითარებულია ესა თუ ის საზოგადოება, უფრო მძლავრ სამეურნეო, სამიწათმოქმედო ბაზას მოითხოვს, რაც აპირობებს მიწათმოქმედების პროგრესს. უფრო მეტიც, მიწათმოქმედების ისეთი დიდი დარგის განვითარება, როგორიც მებაღეობა-მევენახეობაა, საზოგადოების სოციალური პროგრესით არის განსაზღვრული. ამგვარად, მიწათმოქმედებისა და საზოგადოების განვითარების ურთიერთობა მიზეზშედეგობრივი კავშირის უწყვეტი ჯაჭვია, სადაც ერთი აპირობებს მეორეს და, პირუკუ, მეორე მოქმედებს პირველის განვითარებაზე.

ყოველი მეტნაკლებად შესამჩნევი სამეურნეო ღონისძიება იწვევს სოციალურ შედეგს. სოციალური განვითარება კი, იქნება ის ევოლუციური თუ რევოლუციური, ხანგრძლივ იდეოლოგიურ შემზადებას მოითხოვს, რაც პირველყოფილ საზოგადოებაში რელიგიით ხდება და რწმენებში აისახება. „XVI საუკუნის ეგრეთ წოდებული რელიგიურ ომებშიც — წერს ფ. ენგელსი — საკითხი უწინარეს ყოვლისა მეტისმეტად გარკვეულ მატერიალურ კლასობრივ ინტერესებს ეხებოდა და ომები კლასობრივი ბრძოლის გამოვლინება იყო... ცალკე კლასების ინტერესები, მოთხოვნილებები და მოთხოვნები რელიგიური საბურველით იყო დაფარული, ეს სრულიად არ ცვლის საქმის ვითარებას და ადვილად აიხსნება ამ დროის პირობებით"[2].

ბუნებრივია, რომ სოციალური მოძრაობა რელიგიურ საბურველში უფრო წინაფეოდალურ ხანაშია გახვეული. უფრო მეტიც, ამ მოძრაობას რელიგია წარმართავს და აკანონებს. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ნაყოფიერების — აგრარული — ღვთაება, რომლის ხასიათი და იერი რაც შეიძლება კარგად გადმოსცემს იმ საზოგადოების სამეურნეო ხასიათს, სოციალურ ბუნებასა და განვითარების დონეს, რომელიც ამ ღვთაებაზე ლოცულობს.

ამგვარად, ნაყოფიერების კულტის განვითარება სოციალური მოძრაობის შედეგია და ასახავს ამ მოძრაობის ხასიათსა და არსს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენში ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებამდე სოციალური ისტორიის წარმოდგენის უმთავრესი წყარო რელიგიური რწმენებია.

მიუხედავად მიწათმოქმედებისა და სამიწათმოქმედო კულტის დიდი მნიშვნელობისა ქართველი ტომების სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიის წარმოდგენაში საქართველოს არქეოლოგიაში სწორედ ეს პრობლემაა ყველაზე ნაკლებშესწავლილი, თუმც სპეციალურ ლიტერატურაში იპოვება ცალკეული სტატია თუ მონოგრაფია, მიძღვნილი მიწათმოქმედების ამა თუ იმ საკითხისადმი. შედარებით კარგად არის შესწავლილი სამიწათმოქმედო იარაღები. მაგ., ნეოლითური ხანის მიწის დასამუშავებელ იარაღებს სპეციალური წე-

---

[2] ფ. ენგელსი. გლეხთა ომი გერმანიაში. თბ. 1956. გვ. 38—39.

რილი უძღვნა ნ. ბერძენიშვილმა, სადაც დაადგინა ამ დროის ჩვენთვის ცნობილი თითქმის ყოველი იარაღის ფუნქცია და დამზადების ტექნიკა.

შესწავლილია უძველესი სახვნელი იარაღები (ლ. ღლონტი, ალ. ჯავახიშვილი, ტ. ჩუბინიშვილი, გ. ჯალაბაძე).

კოლხური კულტურისთვის დამახასიათებელი იარაღები განხილული აქვს ო. ჯაფარიძეს. დადგენილია თოხის უაღრესად მრავალმხრივი გამოყენება კოლხების მიწათმოქმედებაში და მიწათმოქმედების მრავალდარგობრიობა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის დასავლეთ საქართველოში.

ბაკურციხეში აღმოჩენილი ლითონის ნამგლებზე დაკვირვების შედეგად, საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ა. აფაქიძემ ამ ნამგლების ვენახის სასხლავად გამოყენების შესახებ.

ბოლო ხანებში საკმაოდ ინტენსიურად შეისწავლება ჩვენში წარმოებითი მეურნეობის, კერძოდ, მიწათმოქმედების ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემები (ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი, ტ. ჩუბინიშვილი, გ. ჯავახიშვილი, ლ. ნებიერიძე, თ. კიღურაძე). საინტერესო მოსაზრება წამოაყენა, კერძოდ, ტ. ჩუბინიშვილმა ამიერკავკასიაში სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების შესახებ უკვე ენეოლითური ხანიდან.

აი, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ პრობლემათა რიგი, რომელიც მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლილია ქართველი არქეოლოგების მიერ. მართალია, მიწათმოქმედება განხილული აქვს თითქმის ყოველ არქეოლოგს ამა თუ იმ ეპოქისა და ძეგლის დახასიათების დროს, მაგრამ ეს უფრო პრობლემის წინაშე ვალდებულების მოხდაა, ხოლო მეურნეობის დახასიათება იმდენად ზოგადი და სქემატურია, რომ შეიძლება მისი ნებისმიერი ეპოქისა და ძეგლისადმი მიყენება.

არქეოლოგიურ ლიტერატურაში არის ცდა მიწათმოქმედების ცალკეული დარგის, კერძოდ, მევენახეობის განვითარების ისტორიის გადმოცემისა (ა. ბოხოჩაძე). მაგრამ ფაქტობრივი მასალის სიმცირე ავტორის მოსაზრებებს მეტად ჰიპოტეზურ იერს აძლევს.

სხვა მდგომარეობაა საქართველოს ეთნოგრაფიაში. გ. ჩიტაიას ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ჩვენში გამოვლინდა მიწათმოქმედების მეტად მდიდარი და მრავალმხრივი პრაქტიკა. შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული მეტნაკლებად არსებითი ტექნიკური თუ სოციალური პრობლემა, რომელიც არ იყოს შესწავლილი გ. ჩიტაიასა და მისი მოწაფეების მიერ (მ. გეგეშიძე, გ. ჯალაბაძე, ა. ლეკიაშვილი, ნ. ბრეგაძე, და სხვა).

ასევე კარგად არის შესწავლილი ეთნოგრაფების მიერ ქართველი ტომების წარმართული რელიგია, კერძოდ, ნაყოფიერების კულტი.

ამ პრობლემით დაინტერესება ჩვენი საუკუნის დამდეგს დაიწყო. ქართულ წარმართულ პანთეონს საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნეს როგორც ქართველმა, ასევე უცხოელმა მეცნიერებმა. განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო ქართული წარმართობის კვლევას აკად. ივ. ჯავახიშვილმა. მან ქართული ისტორიული წყაროებისა და ამ დროისთვის არსებული ეთნოგრაფიული ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე პირველმა შეისწავლა ქართული ასტრალური პანთეონი და კალენდარი. განსაზღვრა ღვთაებათა — მნათობთა ქართული ეტიმოლოგია და სხვა. მაგრამ ივ. ჯავახიშვილის მიერ დადგენილი წარმართული პანთეონი განვითარების რამდენადმე გვიან საფეხურს უნდა შეესატყვისებო-

დეს. ამავე დროს, როგორც დანანებით აღნიშნავდა თვით განსვენებული მეცნიერი, აშკარა იყო საკვლევი მასალის სიმცირე, განსაკუთრებით, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალებისა.

ქართული წარმართობის ინტენსიური კვლევა ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება. ამ კვლევას სათავეში აწ. განსვენებული ეთნოგრაფი ვ. ბარდაველიძე ედგა. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოპოვებულ იქნა ქართული წარმართობის ამსახველი მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც გაანალიზებულია ვ. ბარდაველიძისა და სხვა ქართველი ეთნოგრაფების შრომებში (ა. რობაქიძე, თ. ოჩიაური, ჯ. რუხაძე, ა. სოხაძე, მ. ჩართოლანი, ირ. სურგულაძე და სხვა).

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ვ. ბარდაველიძემ ქართველი ტომების რელიგიურ წარმოდგენებში დაამოწმა ასტრალური რწმენების ორი საფეხური — პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პერიოდისა და ადრეკლასობრივი საზოგადოებისა. მანვე განსაზღვრა ასტრალურ ღვთაებათა იერარქია, ბუნება და ფუნქცია. ამ ღვთაებისადმი მორწმუნეთა ყმური დამოკიდებულება ვ. ბარდაველიძეს მიაჩნია რეალური სოციალური გარემოს ანარეკლად და, ამგვარად, საქართველოს მთაში კლასობრივი საზოგადოების არსებობას ადგენს.

მეტად საყურადღებოა ა. რობაქიძისა და ვ. ბარდაველიძის მიერ ქართველი ტომების რელიგიურ რწმენებში დადასტურებული „ნაწილიანობის“ ინსტიტუტი, რომელიც უნივერსალური საშუალებაა საკულტო-სარიტუალო ნივთებზე სიმბოლურ გამოსახულებათა სემანტიკის დასადგენად[3].

მე მხოლოდ მცირედი აღვნიშნე იმ დიდი შრომიდან, რომელიც ქართველ ეთნოგრაფებს აქვთ გაწეული წარმართული პანთეონის შესასწავლად. ქართველთა წინაქრისტიანული რელიგია, ისე როგორც მიწათმოქმედება, ეთნოგრაფიულად ყოველი მხრიდან საფუძვლიანად არის შესწავლილი და, თუ ჩვენ მაინც ვსახავთ ამ პრობლემებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეთნოგრაფიული კვლევა, ჩემი აზრით, არ იძლევა საშუალებას დავადგინოთ ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის კონკრეტული ქრონოლოგია, ამ მოვლენათა ისტორიული განვითარების დინამიკა. მაგ., თუმც ეთნოგრაფიული მასალებით სწორად არის დადასტურებული ქართველი ტომების კოსმოგონიურ რწმენებში ასტრალური პანთეონის ორი საფეხური — დიდი დედის კულტი და უზენაეს ღვთაებათა სამეული— ვფიქრობ, არასწორად არის წარმოდგენილი ამ რწმენების ჩამოყალიბების დრო და მისი მატარებელი ტომების სოციალური განვითარების დონე. ცდომილება ათასწლეულებშია, მაგრამ ამაზე ქვემოთ. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართველი ეთნოგრაფები, მიწათმოქმედებისა თუ რელიგიური რწმენების კვლევის დროს, არქეოლოგიურ მასალებს ან არ იყენებენ, ან იყენებენ ძველი, უკვე უარყოფილი ინტერპრეტაციით, რაც მათ კვლევას ცალმხრივს ხდის.

ქართული წარმართული პანთეონი უკვლევიათ ქართველ არქეოლოგებსაც. თუმც ამ პრობლემისადმი მიძღვნილი სპეციალური არქეოლოგიური ნარკვევი არა გვაქვს, მაგრამ ყველა არქეოლოგი, რომელსაც საკულტო-სარიტუალო ნივთები, ან არქეოლოგიურ ნივთებზე გამოსახული დეკორი შეუსწავლია, ცდი-

---

[3] ირ. სურგულაძე. ასტრალური სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ორნამენტში (დედაბოძის დეკორის მიხედვით). სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ხელნაწერი.

ლა ამ ნივთების დანიშნულება და გამოსახულებათა სემანტიკაც ამოეხსნა. ეს კვლევა მეტნაკლებად წარმატებულია. ქვემოთ მათ ფართოდ ვიყენებ და ვიმოწმებ, ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ თუ ქართველი ეთნოგრაფები თავის კვლევაში სრულად არ იყენებენ არქეოლოგიურ მონაცემებს, ამ მხრივ უფრო არქეოლოგები სცოდავენ ეთნოგრაფიული პარალელების გაზიარებაში. მაგალითად, არქეოლოგებმა სადაც კი ნაყოფიერების ან მდედრობითი სქესის აქცენტირება შენიშნეს, ყველგან „დიდი დედა ნანას" კულტი დაინახეს. არქეოლოგიურ ლიტერატურაში სავსებით უგულვებელყოფილია თვით ამ კულტის ასტრალური შინაარსი, ის ფაქტი, რომ თითოეულ კულტს სოციალური განვითარების გარკვეული საფეხური შეესაბამება, რომ ყოველი კულტი სახეცვლილებას განიცდის და ხშირად კარგავს ან იძენს ამა თუ იმ ფუნქციას. ამავე დროს, კოსმოგონიური მსოფლმხედველობისა და ასტრალური რწმენების განვითარებისას ყოველ ღვთაებას აქვს ასტრალური შინაარსი. კულტის კვლევა ამ შინაარსის დადგენას ნიშნავს. ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში კი მხოლოდ ამა თუ იმ კულტის კონსტატაციას ვხვდებით. ამიტომ ძალიან ბევრი კულტი დაგვიგროვდა — ცხვრის, ხარის, ჯოჯოს, ღორის, ცხენის, ფრინველის და სხვა.

ჩემს კვლევას არა აქვს პრეტენზია გადმოსცეს ძველ საქართველოში მიწათმოქმედებისა და სამიწათმოქმედო კულტის განვითარების ისტორია მასთან დაკავშირებული ყოველი პრობლემის გახსნით. ვერც იმის პრეტენზიას განვაცხადებ ამოვიცნო ყოველი საკულტო-სარიტუალო ნივთი ან მათ დეკორში შესული სიმბოლური გამოსახულებანი. მე მხოლოდ ვცადე არქეოლოგიური მასალების საფუძველზე გადმომეცა მიწათმოქმედების განვითარების ისტორია საქართველოს მიწა-წყალზე ნეოლითიდან ვიდრე ფეოდალურ ხანამდე; უფრო სწორად, ჩასახვიდან ჩვენში იმ აგროკულტურული ზონალობის ჩამოყალიბებამდე, რომელიც XVIII საუკუნეში ფიქსირებულია ვახუშტი ბატონიშვილთან.

ვცადე დამედგინა მიწათმოქმედების განვითარების საფეხურები, განმესაზღვრა მისი მასშტაბი, ხასიათი და სხვა. ვცდილობ, რამდენადაც ამის საშუალებას არქეოლოგიური მასალები იძლევიან, გადმოვცე ნაყოფიერების კულტის, როგორც უმაღლესი და მთავარი ღვთაების განვითარება უძველესი ხანიდან ვიდრე ქრისტიანობამდე. მიწათმოქმედებისა და სამიწათმოქმედო კულტის განვითარების ისტორია მოცემული მაქვს ქართველი ტომების სოციალური განვითარების ფონზე და სხვა.

ვიმეორებ, ჩემი კვლევა სრულყოფილი არ არის. მიწათმოქმედებასთან და აგრარულ კულტთან დაკავშირებული არაერთი საკითხი კვლავ პრობლემატური რჩება. ბევრ საკითხს შეგნებულად ავუარე გვერდი, რადგან არქეოლოგიური მასალის სიმცირე არ იძლევა საშუალებას მეტნაკლებად სწორი ვარაუდის გამოთქმისა. სრულიად ვერაფერს ვამბობ, მაგ., მიწათმოქმედების ხასიათსა და მასშტაბზე დასავლეთ საქართველოში ბრინჯაო-რკინის ხანაში. კოლხეთის ფართო არქეოლოგიური კვლევა ახალი დაწყებულია. ნამოსახლარების გათხრების შედეგები, ალბათ, მალე შემოვა მეცნიერულ მიმოქცევაში და უფრო ნათელი იქნება, ასე ვთქვათ, „კოლხური ცივილიზაციის" სამეურნეო ბაზისი[4]. ამჟამად კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მიწათმოქმედების მასშტაბი აქ საკმაოდ

---

[4] თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ. 1974. გვ. 179.

დიდი იყო. მაგრამ ურთიერთობა კოლხეთის ბარსა, მთისძირა ზოლსა და მთას შორის სავსებით ნათელი არ არის.

ვერაფერს ვამბობ აგრეთვე, თუ რა ბუნებისა და ხასიათისაა კულტი ჩვენში დღეს ასე რელიეფურად გამოვლენილი ანტიკური ტაძრებისა. ამას მომავალი კვლევა-ძიება დაადგენს. ზოგიერთი მონაცემით ამ ტაძრებში ნაყოფიერების ღვთაებას ლოცულობენ და ეს ღვთაება (ქალღვთაება?) საკმაოდ ელინიზებულია[5].

სხვა არაერთი ძირეული საკითხი ჯერ შეუსწავლელი რჩება, მაგრამ პრობლემის სირთულე და მასალების სიმცირე ბევრის გაკეთების საშუალებას არც იძლეოდა. პრობლემის ნაწილიც თუ სწორად წარმოვადგინე, ჩემი შრომა გამართლებულია.

დიდ მადლობას მოვახსენებ ყველას ვინც კი, რჩევით თუ მასალის მოწოდებით, მეხმარებოდა მუშაობაში. განსაკუთრებით მადლობელი ვარ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის თანამშრომლებისა, რომელთა აქტიური ხელის შეწყობით დაიწერა ეს ნაშრომი.

---

⁵ ნ. კეჭაყმაძე. ფლავიუს არიანე. „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“. თბ. 1961. გვ. 34.

თავი I

საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურები

§ 1. „ნეოლითური რევოლუციის" საკითხისათვის საქართველოში. დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლები.

მიწათმოქმედება ძველ ქვეყნებში სათავეს უდებს წარმოებით მეურნეობას. კავკასია და, კერძოდ, საქართველო იმ გეოკულტურულ ზონაში შედის, სადაც უნდა მომხდარიყო ხორბლის გაკულტურება. საამისოდ აქ ყველაფერია: მეტად ხელსაყრელი ეკოლოგიური პირობები — თბილი, სუბტროპიკული ჰავა, ნოყიერი ნიადაგი, წყარო-მდინარეთა ფართო ქსელი, ზღვის სიახლოვე, მდიდარი, ხორბლის მრავალი გარეული ჯიშის შემცველი ფლორა და მეზოლითური და ზედა პალეოლითური ძეგლების სიმრავლით განპირობებული სოციალ-ეკონომიური და კულტურული წანამძღვრები[1]. არ არის ჯერჯერობით მიკვლეული ძეგლები, რომლებზედაც უშუალოდ იქნება დადასტურებული წარმოებითი მეურნეობის ჩამოყალიბების პროცესი. მაგრამ კავკასიაში ადრესამიწათმოქმედო კულტურების კვლევა ახალი დაწყებულია. ყოველწლიურად იზრდება გათხრილ ძეგლთა რიცხვი და ჩვენი ცოდნა თანდათანობით მდიდრდება. იმედია, მალე ჩვენში მიწათმოქმედების ჩამოყალიბებისა და განვითარების ყოველი რგოლი იქნება გამოვლენილი და შესწავლილი.

მეზოლითური ძეგლები საქართველოში მხოლოდ მის დასავლეთ და სამხრეთ რაიონებშია დამოწმებული: გვარჯილას კლდის ნაბინარი, ჭახათი II, წონისა და ქვედის მღვიმეები (რიონ-ყვირილას აუზი); ქვაჭარის, იაშთხვას, ხოლოდნი გროტისა და კეპ-ბოღაზის ნაბინარები (აფხაზეთი); ეძანი და ზურტაკეტი (სამხრეთ საქართველო). ნეოლითური ძეგლები კი, უმთავრესად, დასავლეთ საქართველოშია თავმოყრილი: ანასეული I, ანასეული II, ხუცუბანი, გურიანთა, კისტრიკი, ოდიში და სხვა[2]. აღმოსავლეთ საქართველოში კი მხოლოდ ცალკეული ნეოლითური იერის ნივთებია აქა-იქ დამოწმებული[3]. ნეოლითური ძეგლები იშვიათია არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში, არამედ მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ჯერჯერობით მაინც, რამდენადმე ძლიერი კულტურული ფენის შემცველი ნეოლითის პერიოდის ძეგლი აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან მეცნიერულ მიმოქცევაში შემოსული არ არის.

ძნელი სათქმელია, რატომ ხდება ახალი ქვის ხანაში ნამოსახლართა კონცენტრაცია დასავლეთ საქართველოში. შეიძლება აქაური ბუნებრივი პირობები უფრო აკმაყოფილებდა მეურნეობის ახალ ფორმას. ფაქტია, რომ დასავ-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 1. თბ. 1970. გვ. 123.

[2] ლ. ნებიერიძე. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბ. 1972. გვ. 6—19.

[3] ლ. ნებიერიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 9; გ. ჯავახიშვილი. ნეოლითური მასალა ლაგოდეხის რაიონიდან. მსმკი. თბ. 1966. გვ. 3—11.

ლეთ საქართველოს ნეოლითი მემკვიდრეა არა მარტო დასავლეთ საქართველოს მეზოლითისა, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოსიც. ადრენეოლითურ ძეგლებზე (ანასეული I, ხუცუბანი, ქობულეთი) ობსიდიანის ფართოდ გამოყენების ფაქტის დადასტურება[4] უკვე საბუთია დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს კულტურული კავშირებისა. ეს კავშირი არც გვიანნეოლითში წყდება. სამხრეთ საქართველოდან დასავლეთში კვლავ შემოდის ობსიდიანი. საქართველოს აღმოსავლეთი და დასავლეთი რაიონების ასეთი უწყვეტი კავშირის დროს სავსებით ბუნებრივია ვივარაუდოთ დასავლეთ საქართველოს ნეოლითის კულტურული მიღწევების აღმოსავლეთში ინფილტრაცია, რომელიც ორი გზით — შიდა ქართლითა და მესხეთ-ჯავახეთით — უნდა მომხდარიყო. ე. ი. დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ კულტურას გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა აღმოსავლეთ საქართველოში ადრესამიწათმოქმედო კულტურების ჩამოყალიბებაში. სამწუხაროდ, ადრესამიწათმოქმედო ძეგლები მიკვლეული არ არის, სწორედ, შიდა ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთში, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დასავლეთ საქართველოს და თითქმის ყოველთვის განიცდიან მის კულტურულ გავლენას*. ქვემო ქართლში დადასტურებული ადრესამიწათმოქმედო ძეგლები ცენტრალურ და სამხრეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურას განეკუთვნებიან. ამ კულტურის გავრცელების უკიდურესი ჩრდილო რაიონი სწორედ ქვემო ქართლია. ცხადია, რომ დასავლეთ საქართველოს არ შეიძლებოდა მოეხდინა რამდენადმე შესამჩნევი ზემოქმედება ამ კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, თუმცა ზოგიერთი დასავლური კულტურული ელემენტი ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე ჩანს; ზოგჯერ ეს რაიონი დასავლეთის კულტურულ აგრესიასაც კი განიცდის, მაგრამ დასავლეთ საქართველოს და ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურები სხვადასხვა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კულტურებია, მეურნეობის განსხვავებული ხასიათითა და მისგან გამომდინარე ყოველი სოციალ-ეკონომიური და კულტურული შედეგებითაც. შემდგომ ხანებშიც საქართველო ყოველთვის გაყოფილია ორ, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ, კულტურულ არეალად — აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. ეს სხვაობა საქართველოს ეთნოგრაფიაში დღესაც თვალში საცემია.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ კულტურათა თავისებურება მრავალი მიზეზით არის განსაზღვრული. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მეურნეობის — მიწათმოქმედების ხასიათია, რომელიც თავისთავად განპირობებულია ბუნებრივი პირობებით, განსაკუთრებით კლიმატით.

დასავლეთ საქართველო, შემოფარგლული ჩრდილოეთით—კავკასიონის, აღმოსავლეთით — ლიხთ-იმერეთის, სამხრეთით კი შავშეთის ქედებით, კარგად არის დაცული ჩრდილოეთიდან პოლარული ცივი ჰაერის მასების, ხოლო აღმოსავლეთიდან შუა აზიის უდაბნოს ცხელი ხორშაკის შემოჭრისაგან. შავი ზღვა განსაზღვრავს მის რბილ, ნოტიო კლიმატს. მართალია, პოლარული, ცივი ჰაერის მასები მაინც ახერხებენ კავკასიონის ქედის შემოვლას და, შავი ზღვის გავლით, დასავლეთ საქართველოში შემოჭრას, მაგრამ, ზღვის თბილ ზედაპირ-

---

[4] ლ. ნებიერიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 101.

* ბოლო ხანებში როგორც შიდა ქართლში, ასევე მესხეთ-ჯავახეთში გამოჩნდა ძეგლები, რომლებზედაც მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ხანის მასალა დადასტურდა, მაგრამ ამ მასალის ფრაგმენტული ხასიათი რაიმე ზოგადი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ გვაძლევს.

ზე გავლის დროს რამდენადმე თბებიან და უკვე ტრანსფორმირებული შემოდიან საქართველოში. ამიტომ დასავლეთ საქართველო ზღვის სუბტროპიკული კლიმატის გავრცელების სარტყელში შედის[5]. აქაური ჰავა, ძირითადად, ხმელთაშუა ზღვის კლიმატის თვისებებს ინარჩუნებს, მაგრამ მისგან გამოირჩევა უფრო მაღალი სინოტივით, ნალექების მეტი სიუხვით და მშრალი ზაფხულის სეზონის უქონლობით. ნალექების წლიური რაოდენობა, რელიეფის პირობების მიხედვით, მერყეობს 1000—3000 მმ-მდე. ყველაზე მშრალ თვეში საშუალოდ მოდის არანაკლებ 40—50 მმ-ისა, საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე 72—83%-ია[6].

აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელია სუბტროპიკულ-კონტინენტურიდან ზღვისაზე გარდამავალი კლიმატი. ლიხთ-იმერეთის მთის მასივი ანელებს შავი ზღვის გავლენას, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან კი საქართველოს კარი ღიაა მშრალი კონტინენტური ჰაერის მასებისათვის. ამიტომ აზერბაიჯანისა და კასპიისპირეთის უდაბნოებში წარმოშობილი ხორშაკი საკმაო გავლენას ახდენს აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატზე. ნალექების რაოდენობა მერყეობს 500—1500 მმ-მდე. მეტი ნალექი მოდის გაზაფხულის დასასრულსა და ზაფხულის დასაწყისში. საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე 50—70%-ს შეადგენს. ზაფხულობით შეფარდებითი სინოტივე მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე ზამთარში[7].

საქართველოს ორ დიდ კლიმატურ ოლქად დაყოფა პირობითია. თითოეულ ოლქში გამოიყოფა შედარებით მშრალი და ნოტიო კლიმატის შემცველი ქვეოლქები და, საერთოდ, საქართველოში ოროგრაფიული პირობების გამო საკმაოდ ჭრელი კლიმატია. ჩვენ ამა თუ იმ არქეოლოგიური ეპოქის მეურნეობის შესწავლის დროს მოგვიხდება ცალკეული მიკროკლიმატური რაიონების დახასიათება. აქ კი აღვნიშნავ, რომ თუ დასავლეთ საქართველოში უმეტესად სინოტივის დადებითი ბალანსია, აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი სინოტივის მწვავე დეფიციტს განიცდის. მაგ., მტკვრის ხეობის აღმოსავლეთ დაბლობ ნაწილში მისი საშუალო სიდიდე 7 — 8 მბ შეადგენს, ხოლო ზაფხულის თვეებში 24—25 მბ აღწევს. რამდენადმე დაბალია სინოტივის დეფიციტის მაჩვენებელი იორ-ალაზნის აუზის ზემო წელში. დიდია იგი, სიმაღლესთან შედარებით, შიდა ქართლის ვაკეზე, საშუალოდ 7—8 მბ, ზაფხულში—18—19 მბ. შედარებით მაღალია სინოტივის დეფიციტი ახალქალაქის პლატოსა და ახალციხის ქვაბულის რაიონებში. დასავლეთ საქართველოში კი საშუალოდ 2,5—5 მბ-ია, თუმცა აღმოსავლეთის ძლიერი ფიონური ქარების დროს სინოტივის დეფიციტი ზემო იმერეთში მნიშვნელოვანია და მოქმედებს ნათესებზე[8].

საქართველოში კლიმატის ცვალებადობას აქვს ერთი კანონზომიერება — იგი, მეტ-ნაკლები გადახვევებით, მშრალდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და მთიდან ბარისკენ. ლიხთ-იმერეთის ქედის კალთები თავისებურ გარ-

---

[5] მ. კორძახია. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების კლიმატური რეჟიმი საქართველოში. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრ-ბი. ფიზიკურ-გეოგრაფიული სერია. ტ. III. ნაკვ. 1. თბ. 1948, გვ. 41.

[6] იქვე. გვ. 72—73.

[7] იქვე. გვ. 73.

[8] იქვე. გვ. 68.

დამავალ კლიმატურ ზონას ქმნიან დასავლეთის — ზღვის სუბტროპიკული კლიმატიდან აღმოსავლეთის — სუბტროპიკულ კონტინენტურ კლიმატზე.

საქართველოს კლიმატური პირობების ზემომოტანილი, მეტად მოკლე დახასიათებიდანაც ცხადად ჩანს, რომ წარმოებით მეურნეობას, განსაკუთრებით მიწათმოქმედების განვითარებას, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა დაბრკოლება ხვდებოდა და მათ დასაძლევად სხვადასხვა აგროტექნიკური ღონისძიება იყო საჭირო. ბუნებრივია, რომ მიწათმოქმედების ხასიათი და სამიწათმოქმედო ტექნიკა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში განსხვავებულია.

სხვადასხვა ბუნებრივ-კლიმატური პირობები თავის დაღს ასვამს მესაქონლეობის განვითარებასაც. იგივე საზღვრავს დასახლების ტიპს, საცხოვრებელი ნაგებობების არქიტექტურას, საამშენებლო ტექნიკას და სხვა. ერთი სიტყვით, ბუნებრივი გარემო ზემოქმედებას ახდენს ადამიანის სამეურნეო ღონისძიებათა მთელ კომპლექსზე და ამ გზით მის სოციალურ და სულიერ განვითარებაზე. რა თქმა უნდა, მე შორსა ვარ ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს აბსოლუტურობისგან. იგი არც ფაქტორად მიმაჩნია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში, უკვე წარმოებითი მეურნეობის საწყის ეტაპზე, განსხვავებულ ბუნებრივ გარემოში განსხვავებული კულტურები ყალიბდება და შემდგომაც ბუნებრივ-კლიმატური პირობები ყოველთვის მოქმედებს საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებ ტომთა ნივთიერ და სულიერ ყოფაზე.

როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოში ჯერჯერობით არ არის მიკვლეული ძეგლები, რომლებზედაც დამოწმებული იქნებოდა წარმოებით მეურნეობაზე გადასვლის პროცესი. ძალიან ცოტას იძლევა ამ მხრივ დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლები. საერთოდ, ნეოლითურ რევოლუციასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი ჩვენში მეტად ბუნდოვანია, მიუხედავად იმისა, რომ დამოწმებულია ნეოლითური კულტურის განვითარების ყოველი საფეხური — ადრეული, ე. წ. უკერამიკო (ანასეული I, ხუცუბანი), გვიანი, კერამიკიანი ნეოლითი (ოდიში, ანასეული II, გურიანთა, კისტრიკი და სხვა). არ არის ნათელი, რატომ ხდება ნეოლითური ძეგლების კონცენტრაცია გურია-აჭარაში და სამეგრელო-აფხაზეთის ზღვისპირეთში. რატომ იზიდავს ეს რაიონები მოსახლეობას არა მარტო დასავლეთ საქართველოდან, არამედ აღმოსავლეთიდანაც? დასტურდება თუ არა ამ ძეგლებზე წარმოებითი მეურნეობა და თუ დასტურდება, როგორი წარმოშობისაა — შემოსულია თუ ადგილობრივი? რა ხასიათი და რა მასშტაბი ჰქონდა ამ მეურნეობას, შექმნა თუ არა პირობები ე. წ. „ნეოლითური რევოლუციისათვის"?

როგორც ვხედავთ, ნეოლითურ კულტურასთან დაკავშირებული ყოველი საკითხი ჩვენში პრობლემატურია. ფაქტობრივი მასალის სიმცირე არც იძლევა მისი მეტ-ნაკლები სისრულით შესწავლის საშუალებას. ყოველი მოსაზრება ვარაუდის ხასიათისაა და აქვს როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები. მაგ., ლ. ნებიერიძეს ეჭვი არ ეპარება, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანნეოლითურ სადგომებზე მცხოვრები ტომების მეურნეობაში წამყვანი მიწათმოქმედებაა, რომ „ნეოლითური სადგომების მიკრორაიონებში არსებული ნოყიერი ნიადაგები, მდინარეთა ხშირი ქსელი, კარგი სასმელი წყაროები, თბილი და ნოტიო სუბტროპიკულ ჰავა ქმნიდა ყველა პირობას პირველყოფილი მიწათ-

მოქმედების ჩასახვისა და განვითარებისათვის“[9]. იგი თვლის რომ, რადგან კამენომოსტსკაიას მღვიმეში აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალა შეიცავს შინაური ცხოველების ძვლებს (ღორის, ცხვრის, ძაღლის), „უნდა ვიფიქროთ, რომ მეურნეობის ეს დარგი (მესაქონლეობა — ი. კ.) უცხო არ იყო დას. ამიერკავკასიის ტომებისათვის“[10]. ლ. ნებიერიძე არაფერს ამბობს, შემოტანილია თუ ადგილობრივ ჩამოყალიბდა ჩვენში წარმოებითი მეურნეობა. მაგრამ, რადგან დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურის ჩამოყალიბებაში იგი, ადგილობრივი მეზოლითური კულტურის გარდა, წინა აზიის ადრესამიწათმოქმედო კულტურებსაც გარკვეულ როლს ანიჭებს, უნდა ვიფიქროთ, რომ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ჩასახვა-განვითარებაზე ამ კულტურებსაც გარკვეული გავლენა მოუხდენიათ[11].

ანალოგიური მოსაზრება გამოთქმული აქვს რ. მუნჩაევსაც — «Хотя пока еще неясно, — წერს იგი, — самостоятельно ли оно возникло здесь или является результатом переднеазиатских влияний, важен сам факт развития земледелия, скотоводства здесь в столь глубокой древности. Таким образом, становится несомненным, что Кавказ представляет собой один из древнейших очагов развития производящего хозяйства, основанного на земледелии и скотоводстве»“[12]. რ. მუნჩაევს ეჭვი არ ეპარება, რომ ნეოლითური კულტურის პროგრესი კავკასიაში მთლიანად წარმოებით მეურნეობაზეა დამყარებული. ეს პროგრესი იმდენად თვალსაჩინოა, რომ ადგილი უნდა ჰქონოდა „ნეოლითურ რევოლუციას“.

ა. ფორმოზოვი ადრე ფიქრობდა, რომ წარმოებითი მეურნეობა დასავლეთ კავკასიაში წინა აზიიდან გავრცელდა ორმხრივდამუშავებულ მიკროლითურ იარაღებთან და რეტუშით თავგამოყვანილ ლამელებთან ერთად[13]. შემდგომ მან საერთოდ უარყო „ნეოლითური რევოლუციის“ ფაქტი კავკასიაში.

ალ. ჯავახიშვილი, თუმც არ უარყოფს დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ხანის ძეგლებზე მიწათმოქმედების დადასტურების ფაქტს, მაგრამ თვლის, რომ ეს მიწათმოქმედება ურწყავია და, ამდენად, მცირეპროდუქტიული — ექსტენსიური. დასავლეთ საქართველოს ის რეგიონი, სადაც ნეოლითური ძეგლებია დადასტურებული, ალ. ჯავახიშვილის აზრით, საერთოდ უნდა გამოვრიცხოთ პირველყოფილი მიწათმოქმედების ჩამოყალიბების ოლქებიდან. იმის გამო, რომ არა გვაქვს დროის მეტნაკლებად ხანგრძლივ პერიოდში მყარი ბინადარი ცხოვრების შემცველი ძეგლები, ლაპარაკი ზედმეტია „ნეოლითურ რევოლუციაზე“ და სხვა[14].

როგორც ვხედავთ, ჩვენში წარმოებითი მეურნეობის მასშტაბზე და დონეზე ნეოლითურ ხანაში საკმაოდ განსხვავებული მოსაზრებანი არსებობს. მაგ-

---

[9] ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 12.

[10] იქვე. გვ. 107.

[11] იქვე. გვ. 98.

[12] Р. М. Мунчаев. Кавказ на Заре бронзового века. М. 1975. стр. 75.

[13] А. А. Формозов. Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа. МИА. № 102. 1962. стр. 136—147. его же. Неолит и энеолит Северо-западного Кавказа в свете последних исследований. СА. 3. 1964. стр. 9—10.

[14] А. И. Джавахишвили. Строительное дело и архитектура Южного Кавказа V—III тыс. до н. э. Тб. 1973. стр. XIV—XV.

რამ არცერთი მკვლევარი არ უარყოფს ამ ხანაში აქ მიწათმოქმედების ფაქტს. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებზე მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ნივთიერი მასალა საკმაო რაოდენობით არის დადასტურებული — წერაქვისებური, სოლისებური, სახნისისებური მაკროლითები, რიყის ქვისაგან დამზადებული თოხისებური იარაღები, სამკელი დანების ჩასართებად გამოყენებული დაკბილული და რეტუშირებული ლამელები, სანაყები, ხელსაფქვავები და სხვა. არა გვაქვს მხოლოდ მარცვლეულის ნაშთი, რომ შეგვეძლოს მსჯე-
და სხვა. არა გვაქვს მხოლოდ მარცვლეულის ნაშთი, რომ შეგვეძლოს მსჯელობა, თუ რა კულტურის ხვნა-თესვას მისდევდა დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ სადგომებში მცხოვრები ადამიანი. იგი მხოლოდ კისტრიკში, იატაკში ჩაჭრილ ორმოშია აღმოჩენილი, მაგრამ ისე დანახშირებული, რომ სახეობის გარკვევა არ ხერხდება[15]. დადგენა იმისა, თუ რა კულტურის ხვნა-თესვას მისდევდნენ ამიერკავკასიის უძველესი მიწათმოქმედნი, ჩვენში წარმოებითი მეურნეობის ჩასახვა-განვითარების ბევრ სადავო საკითხს გადაწყვეტს.

როდესაც არა გვაქვს ნივთიერი საბუთი, ვფიქრობ, ყველაზე მიზანშეწონილია საკითხის ასე დასმა: რა შეიძლებოდა მოეყვანა დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ სადგომებზე მცხოვრებ ადამიანს? ამის გასარკვევად საჭიროა ნეოლითური ძეგლების გავრცელების მიკრორაიონის პალეოკლიმატისა და ტრადიციული სამიწათმოქმედო კულტურების აღდგენა ისტორიულ ხანაში.

დასავლეთ ამიერკავკასიის გეოლოგიური, პალეობოტანიკური თუ პალეოზოოლოგიური მონაცემებით დგინდება, რომ მესამეული ეპოქიდან დღემდე აქ ეკოლოგიური პირობები არ შეცვლილა. ამით არის გამოწვეული, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ფლორასა და ფაუნაში საკმაო რაოდენობით ვხვდებით რელიქტურ სახეებს, რომ განმარხებული და თანამედროვე ფლორა ხშირად მცენარეთა ერთი და იგივე სახით არის წარმოდგენილი[16]. დასავლეთ ამიერკავკასიის პალეოკლიმატი ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორიც დღესაა. დღეს კი იმ რაიონებში, სადაც ნეოლითური ძეგლებია დამოწმებული, საკმაოდ ნოტიო ჰავაა. აჭარის ზღვისპირა რაიონებში ნალექი 2 400—3 000 მმ-ს აღწევს, აფხაზეთში — 1 400 მმ-ს. მაღალია ნალექების წლიური მაჩვენებელი მახარაძე-ლანჩხუთის რაიონებშიც[17].

ასეთი მაღალი სინოტივის შემცველი კლიმატის პირობებში, რა თქმა უნდა, გამორიცხულია წინა აზიის უძველესი სამიწათმოქმედო ცენტრების ტრადიციული კულტურების — ხორბლისა და ქერის — წარმოება. ისტორიულ ხანაში კოლხეთის დაბლობში, უმთავრესად, ჭვავის, ღომისა და ფეტვის მოყვანას მისდევდნენ[18]. ჭვავი კოლხეთში არქეოლოგიურად დამოწმებული უძველესი სამიწათმოქმედო კულტურაა. ხოლო ღომის მარცვლები აღმოჩნდა არუხლოს გორის ენეოლითურ ნამოსახლარზე[19]. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ეს კულტურები უდებენ ჩვენში მიწათმოქმედებას სათავეს და დასავლეთ ამიერკავ-

---

[15] Л. Н. Соловьев. Новый памятник культурных связей кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы — стоянки Воронцовской пещеры. «Тр. Абх. инс-та лит-ры и истории». Сухуми. 1956. стр. 27.

[16] Э. Н. Кара-Мурза. Растительные остатки чаудских слоев Юго-Западной Гурии. Флора и систематика высших растений. вып. 5. изд. АН СССР. 1951.

[17] მ. კორძახია. დასახ. ნაშრ. გვ. 51.

[18] ი. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წ. 1. თბ. 1930. გვ. 364.

[19] ტ. ჩუბინიშვილი. ახალი მასალები ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის. „ძეგლის მეგობარი“. 1973. № 33. თბ. გვ. 19.

კასია წარმოადგენს მათი წარმოების ერთ-ერთ უძველეს ცენტრს. შესაძლებელია, ძეგლებზე ფართოდ გავრცელებული სანაყები სწორედ ღომის საცეხველებია.

თუ ჩემი ვარაუდი სწორია, მაშინ თავისთავად იხსნება ჩვენში მიწათმოქმედების ჩასახვა-განვითარების უცხო გავლენის საკითხი. ყოველ სამიწათმოქმედო ცენტრში, რომლებთანაც კავკასიელ ტომებს ნეოლითში შეიძლებოდა ურთიერთობა ჰქონოდათ, ხორბლისა და ქერის მოყვანას მისდევდნენ[20]. შეიძლება მათთან მჭიდრო კულტურულმა კავშირმა ხელი შეუწყო ჩვენში ხორბლისა და ქერის კულტურების დანერგვას, მაგრამ ეს უფრო გვიან, ენეოლითურ ხანაში უნდა მომხდარიყო, როდესაც დასავლეთ ამიერკავკასიაში მცხოვრებ ტომებს უკვე ჰქონდათ მიწათმოქმედების გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება.

მხოლოდ საკითხის ასეთი დასმით შეიძლება აიხსნას ის უცნაური ფაქტი, რომ წარმოებითი მეურნეობა დასავლეთ ამიერკავკასიაში ისახება იქ, სადაც საამისოდ ყველაზე არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებია, ხოლო ის რეგიონი (რაჭა, ლეჩხუმი, ზემო იმერეთი), სადაც ეკოლოგიური პირობები საუკეთესოდაა მიჩნეული მიწათმოქმედების განვითარებისათვის (მთისძირა პლატოების შემცველი ზოლი, ზომიერი სუბტროპიკული ჰავა, ხორბლის ენდემური ჯიშების სიმრავლე), საერთოდ დაუსახლებელია. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ნეოლითური ხანის ძეგლები ამ რაიონში მიკვლეული არ არის.

როგორც ჩანს, მეზოლითის ბოლოდან, რაღაც ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, მოსახლეობის კონცენტრაცია ხდება ზღვისპირეთსა და მის მიმდგომ რაიონებში. ალბათ, მეურნეობაში შემგროვებლობის როლის ზრდას ამ მიკრორაიონის ფლორა უფრო აკმაყოფილებდა, შეიძლება ფაუნაც აქ უფრო მდიდარი იყო. მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა ყოფილიყო ზღვა და მასში ჩამავალი მდინარეები თევზის იმ დროისათვის ულევი მარაგით.

ადრენეოლითური ძეგლები გურია-აჭარაში არიან კონცენტრირებულნი — ანასეული I, ქობულეთი, ხუცუბანი. საფიქრებელია, რომ აქვე, შემგროვებლობის ნიადაგზე საფუძველი ეყრება წარმოებით მეურნეობას, რომელიც დასავლეთ ამიერკავკასიაში მხოლოდ მიწათმოქმედებით არის წარმოდგენილი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, რ. მუნჩაევი და ლ. ნებიერიძე, კამენომოსტსკაიას მღვიმის ოსტეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ფიქრობენ, რომ დასავლეთ კავკასიაში წარმოებითი მეურნეობა, მიწათმოქმედების გარდა, ეყრდნობოდა მესაქონლეობასაც. მაგრამ დასავლეთ ამიერკავკასიის არც ერთი ძეგლი შინაური საქონლის ძვალს არ შეიცავს. საერთოდ, ამ ძეგლებზე ოსტეოლოგიური მასალა იშვიათია, რაც, რ. მუნჩაევის აზრით, უნდა აიხსნას იმით, რომ შავიზღვისპირეთის ნიადაგებს მაღალი მჟავიანობა ახასიათებთ და ძვალი ასეთ ნიადაგებში დიდხანს არ ინახება[21]. ეს მართალია, მაგრამ ჩრდილო კავკასიის ერთადერთი ძეგლის მონაცემებით მთელს დასავლეთ კავკასიაში ნეოლითის ხანაში მესაქონლეობის არსებობის ვარაუდი მაინც არასწორია. მით უმეტეს, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითურ ძეგლებზე შინაური საქონლის ძვლები ნაპოვნი არ არის, ამ ძეგლებზე კი ძვლოვანი მასალა დამოწმებულია. ამგვარად, წარმოებითი მეურნეობის საწყის ეტაპზე დასავლეთ საქართველოსა

---

[20] Р. М. Мунчаев. დასახ. ნაშრ. გვ. 70.
[21] იქვე. გვ. 70.

და ამიერკავკასიაში მესაქონლეობას არ იცნობდნენ და ხორცზე მოთხოვნილებას მონადირეობით იკმაყოფილებდნენ. უკანასკნელის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ დროისთვის ხაზს უსვამს ძეგლებზე ისრისპირებისა და შურდულის ქვების თანაარსებობა[22]. განსაკუთრებით მრავლად არის დამოწმებული შურდულის ქვები[23]. მონადირეობაზე მიუთითებს ტყავის დასამუშავებელი იარაღების, განსაკუთრებით საფხეკების სიმრავლე და მიკროლითური გეომეტრიული იარაღები[24].

მიკროლითური იარაღების დანიშნულების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ს. ბიბიკოვი თვლის, რომ იგი სატყორცნი სამონადირეო იარაღის შემადგენელი ნაწილია[25]. ლ. ს. ლიკი მას სამიწათმოქმედო იარაღად მიიჩნევს[26]. გ. ჩაილდი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ ევროპაში გეომეტრიული ფორმის მიკროლითებისა და სამიწათმოქმედო ძეგლების გავრცელება ერთმანეთს ემთხვევა[27], მაგრამ, როგორც სავსებით სწორად შენიშნავს ლ. ნებიერიძე, ანგარიშგასაწევი უნდა იყოს ის გარემოება, რომ „გეომეტრიული მიკროლითები ვითარდებიან იმ ძეგლებში, რომლებშიც დიდ როლს ასრულებს შემგროვებლობა და ნადირობა“[28].

მესაქონლეობის არარსებობა არ გვაძლევს საბაბს უარვყოთ დასავლეთ ამიერკავკასიაში „ნეოლითური რევოლუცია“. წარმოებით მეურნეობაზე გადასვლას აქაც ისეთივე შედეგი უნდა ჰქონოდა, როგორიც წინა აზიაში. ამ მხრივ მიწათმოქმედების როლი განსაკუთრებულია. სხვა თუ არა, დასავლური – აფრიკული ცივილიზაციებიც ხომ არ იცნობენ მესაქონლეობას. ამიტომ ა. ფორმოზოვის მოსაზრება, რომ დასავლეთ ამიერკავკასიაში ადგილი არ უნდა ჰქონოდა „ნეოლითურ რევოლუციას“, აშკარად მცდარი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, მონადირეობა ვერასოდეს შექმნიდა ხორცისა და ტყავის მარაგის ისეთ მტკიცე ბაზას, როგორსაც მესაქონლეობა. ამ დანაკლისის კომპენსაცია მიწათმოქმედების პროდუქტებით უნდა მოეხდინათ. ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს ასეც მოხდა. ახლა კი გავარკვიოთ მიზეზები, თუ რატომ არ განვითარდა ნეოლითის ხანაში დასავლეთ ამიერკავკასიაში მესაქონლეობა.

მთავარი ხელისშემშლელი დასავლეთ საქართველოში მესაქონლეობის განვითარებისა უნდა ყოფილიყო მტკიცე საკვები ბაზის უქონლობა. შინაური პირუტყვის საკვების მარაგის ერთ-ერთი წყარო მიწათმოქმედების პროდუქტებია. დასავლეთ საქართველოში კი, როგორც უკვე ითქვა, მიწათმოქმედების კულტურები — ღომი, მჭადი და ფეტვი — უნდა ყოფილიყო, რომელთა ღეროები საქონლის გამოსაკვებად არ გამოდგება. მეტად ნოტიო კლიმატი და აქტიური ტყე ხელს უშლიდა, ალბათ, საძოვრებისა და სათიბების მოწყობასაც.

ერთი მეტად საყურადღებო ფაქტია დამოწმებული დასავლეთ საქართველოს გვიანნეოლითურ ძეგლებზე. გვიანნეოლითურ კომპლექსებში საფხეკე-

[22] ლ. ნებიერიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 78—79.

[23] А. А. Формозов и А. Д. Столяр. Неолитические и энеолитические поселения в Краснодарском Крае. СА. № 2. 1960. стр. 107.

[24] ლ. ნებიერიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 104.

[25] С. Н. Бибиков. Производственная роль костяного инвентаря в хозяйстве позднепалеолитических обществ Крыма. Уч. записки ЛГУ. серия ист. наук. вып. 13. 1949.

[26] L. S. Leakey. The Stone age cultures of Keny colony Cambrige. vol. XVII, 131.

[27] Г. Чайлд. Древнейший Восток в свете новых раскопок. М. 1956. стр. 52.

[28] ლ. ნებიერიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 106.

[illegible]
[illegible]

ბის რაოდენობა მცირდება და მათი ხარისხი უარესდება. მიუხედავად იმისა, რომ ადრენეოლითური კომპლექსები (ანასეული I, ქობულეთი, ხუცუბანი) უფრო მცირეა, ვიდრე გვიანნეოლითური (ოდიში, ანასეული II), მათში საფხეკების რაოდენობა გაცილებით მეტია[29]. ამ ფაქტში, ერთი შეხედვით, ღირსშესანიშნავი არაფერია. საფხეკების რაოდენობა კლებულობს და მათი ხარისხი უარესდება წინა აზიის თითქმის ყოველ ადრესამიწათმოქმედო ძეგლზე. ეს წარმოებით მეურნეობაზე გადასვლისა და მყარი ბინადარი ცხოვრების განვითარების აუცილებელი შედეგია. მაგრამ საფხეკების რაოდენობის შემცირებას წინა თუ შუა აზიის ნეოლით-ენეოლითის ხანის ძეგლებზე წარმოებითი მეურნეობის ის მხარე განაპირობებს, რომელიც დასავლეთ ამიერკავკასიაში დამოწმებული არ არის, — მესაქონლეობა.

მესაქონლეობა, ხორცისა და ცხიმის მტკიცე მარაგის გარდა, იძლევა ნედლეულს ქსოვილის დასამზადებლად. სწორედ მის ბაზაზე ვითარდება ქსოვა, რაც იწვევს ტყავის დამუშავების და მასთან დაკავშირებული იარაღების შემცირებას. დადასტურებულია, რომ ქსოვასთან დაკავშირებული იარაღების (კვირისთავების) ნამოსახლარებზე გამოჩენა ემთხვევა ოსტეოლოგიურ მასალაში გარეული ნადირის ძვლების შემცირებას და შინაური პირუტყვის ძვლების მომრავლებას. ეს კი, თავისთავად, მეურნეობაში მონადირეობის ხვედრითი წონის კლებას და მესაქონლეობის ხვედრითი წონის ზრდას ნიშნავს[30]. მაგრამ, რაც სავსებით ბუნებრივია მესაქონლეობის განვითარების პირობებში, არაბუნებრივად ჩანს იქ, სადაც მესაქონლეობას ვერ ვადასტურებთ. საფხეკების შემცირება დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ ძეგლებზე მესაქონლეობის განვითარებასთან არ არის დაკავშირებული, თუმც გამოწვეულია ქსოვის განვითარებით. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ხანის ნამოსახლარებზე მსხდომმა ტომებმა ქსოვილის დასამზადებლად სულ სხვა ნედლეულს მიაგნეს.

18285

ქსოვასთან დაკავშირებული ნივთები დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ ძეგლებზე აღმოჩენილი არ არის. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ამ დროს ქსოვის მხოლოდ ჩანასახი თუ გვაქვს. მომდევნო ეპოქაში — ენეოლითში კი — ძეგლებზე კვირისთავები ათეულობით არის დამოწმებული. მესაქონლეობას დასავლეთ საქართველოში არც მაშინ იცნობდნენ. მაშ, თუ არა მატყლსა და საქონლის ბეწვს, რას ართავდნენ და ქსოვდნენ დასავლეთ საქართველოს ნეოლით-ენეოლითის ნამოსახლარებზე მცხოვრებნი? გ. ჯავახიშვილის აზრით — სელს[31].

„ეს მცენარე ერთ-ერთი უძველესთაგანია ჩვენში — წერს აკად. ივ ჯავახიშვილი — ძველად საქართველო განთქმული იყო სელის კულტურით. საბერძნეთის ისტორიკოს-გეოგრაფების წყალობით, დიდი ხანია ცნობილია, რომ საქართველო, მეტადრე დასავლეთი, კოლხეთი, განთქმული იყო თავისი სელის ქსოვილებით“[32].

სელის ქსოვილი შემორჩენილია ბრინჯაოს ხანის ნივთებზე. იგი დატანე-

---

[29] ლ. ნებიერიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 107.

[30] В. М. Массон. Средняя Азия и Древний Восток. М. 1964. стр. 25—26.

[31] გ. ჯავახიშვილი. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის. საკან. დისერტაცია. ხელნაწერი. თბ. 1970. გვ. 73.

[32] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წ. 1. თბ. 1930. გვ. 373.

ბულია მტკვარ-არაქსის კულტურის ე. წ. „ქსოვილიანი კერამიკის“ კეცში, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება[33]. გ. ჯავახიშვილის სავსებით სწორი დაკვირვებით, სელის, როგორც საქსოვად გამოსადეგი მასალის, აღმოჩენას უფრო ღრმა ფესვები უნდა ჰქონდეს და იგი უნდა გამოეყენებინათ ადრეულ პერიოდშიც[34].

სელი, გარდა საქსოვი ნედლეულისა, იძლევა აგრეთვე ზეთს და ამ კულტურის დანერგვით, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ტომები ცხიმის მარაგის პრობლემასაც წყვეტდნენ.

ამგვარად, ფეტვნაირნი და სელი უდებენ სათავეს ჩვენში მიწათმოქმედებას და წარმოებით მეურნეობას საერთოდ. ახლა ვნახოთ გადაიზარდა თუ არა მეურნეობის ახალი ფორმა „ნეოლითურ რევოლუციაში“. ჰქონდა თუ არა მას წინა აზიის მსგავსი სოციალ-ეკონომიური შედეგები? ა. ფორმოზოვი და ალ. ჯავახიშვილი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, უარყოფითად პასუხობენ.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლების აბსოლუტურ უმრავლესობაზე უძრავი ფენა დადასტურებული არ არის. მასალა მიმობნეულია დიდ ტერიტორიაზე და ისეა არეული ერთმანეთში, რომ ხშირად ძეგლებზე სტრატიგრაფიის დადგენა ჭირს. სრულიად არ არის გადარჩენილი საცხოვრებელი კომპლექსები. ერთადერთი უძრავი ფენა დადასტურებულია ნიჟნაია შილოვკის ნამოსახლარზე, რომელიც წარმოდგენილია ქვარგვალების, დამუშავებული კაჟისა და თიხის ჭურჭლის ნატეხების მრავალრიცხოვანი ნაშთის შემცველი ნაცროვანი ფენით. საცხოვრებელი კომპლექსები არც აქ დადასტურდა. ნეოლითურ სადგომებზე ნაგებობების არსებობაზე მიუთითებს განსაზღვრულ ტერიტორიაზე კერების კონცენტრაციის ფაქტი. ალ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ეს ნაგებობანი მსუბუქი კონსტრუქციის ფაცხები იყო; ფენათა მცირე სიმძლავრის მიზეზი უნდა ვეძებოთ არა ძეგლების ცუდ დაცულობაში, არამედ «В специфике процесса становления производящего хозяйства в этом районе данной области»[35].

წარმოებითი მეურნეობის სპეციფიკა დასავლეთ საქართველოში, ალ. ჯავახიშვილის აზრით, არის მიწათმოქმედების ურწყავი ხასიათი, რისი შედეგიცაა ექსტენსიურობა, მცირე პროდუქტიულობა და განვითარების დაბალი ტემპი. «...отсутствие «постоянных» поселений с прочными жилыми строениями... на памятниках позднего неолита... можно было бы объяснить лишь некоторым отставанием в развитии их хозяйственной жизни и культуры, в частности—в домостроении»[36].

რა თქმა უნდა, დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ ძეგლებზე დამოწმებული ფაცხების სამშენებლო ტექნიკა, არქიტექტურა და კონსტრუქცია უფრო მარტივია, ვიდრე წინა აზიის ან აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე დადასტურებული ალიზით ნაგები შენობებისა. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ კულტურაში შეიმჩნევა აგრეთვე ზოგიერთი კონსერვატიული ელემენტი — კაჟის ორმხრივდამუშავებული გეომეტრიული იარაღები, თავგამოყვანილი ლამელები და სხვა, რომლებიც მოდიან წინა აზიის

---

[33] დ. ქორიძე. გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან. სსმმ. XIX—B. 1956. გვ. 190.

[34] გ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 74.

[35] А. И. Джавахишвили. დასახ. ნაშრ. გვ. XIV.

[36] იქვე. გვ. XV.

მეზოლითური ძეგლებიდან[37]. მაგრამ არც ნაგებობების სიმარტივე, არც კულტურის კონსერვატიზმი მიწათმოქმედების ექსტენსიურობით და განვითარების დაბალი დონით არ არის გამოწვეული. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული, თბილი კლიმატი, ალბათ, არ ითხოვდა უფრო რთული კონსტრუქციის ნაგებობებს. ხის მსუბუქი კონსტრუქციის სახლები დღევანდლამდე შემორჩა დასავლეთ საქართველოს. მხოლოდ კერებითა და საკულტო ორმოებით არის წარმოდგენილი მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის ნამოსახლარები (ხიზანაანთ გორის E დონე, დიდუბე, დიღომი, კიკეთი). არც ისინი გამოირჩევიან კულტურული ფენების სიმძლავრით, მაგრამ ეს მოვლენა მტკვარ-არაქსის კულტურის კონსერვატიზმით და მისი სამეურნეო ბაზის ექსტენსიურობით არ არის ახსნილი.

მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში მეტად ხელსაყრელი პირობებია მიწათმოქმედების ჩასახვა-განვითარებისათვის, ის მიკრორაიონი, სადაც ნეოლითური ძეგლებია დადასტურებული, ალ. ჯავახიშვილის დასკვნით, «...следует исключить из области первичного возникновения земледелия»[38]. მაინც, თუნდაც ის ფაქტი, რომ კოლხეთის დაბლობში ჩაისახა და განვითარდა მიწათმოქმედება, აქ დამოწმებული ადრესამიწათმოქმედო კულტურის დიდ სამეურნეო პროგრესზე მეტყველებს.

არ არის სწორი, რომ ურწყავი მიწათმოქმედება ჩასახვისთანავე ექსტენსიური და ნაკლებპროდუქტიულია. მართალია, ვ. მასონს მიაჩნია, რომ საწინააღმდეგოდ ინტენსიური სარწყავი მიწათმოქმედებისა, ურწყავი—ექსტენსიურია და განვითარების დაბალი დონით ხასიათდება[39], სარწყავ და ურწყავ მეურნეობაზე დამყარებული კულტურების ისტორიული განვითარების პროცესიც უჭერს ამ მოსაზრებას მხარს, მაგრამ ეს ისტორიული პერსპექტივაა. მიწათმოქმედების საწყის ეტაპზე ურწყავი მიწათმოქმედება, განსაკუთრებით ნოტიო კლიმატის შემცველ ქვეყნებში, არ უნდა იყოს სარწყავზე ნაკლებპროდუქტიული და, პირუკუ, შრომის ნაყოფიერება ურწყავი მეურნეობის პირობებში უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო. კოლხეთის დაბლობში მორწყვა არასდროს ყოფილა სამეურნეო ფაქტორი, მიწათმოქმედება კი ყოველთვის ინტენსიური იყო. ახლახან დუნაისპირეთსა და ბალკანეთში აღმოჩენილი ადრესამიწათმოქმედო კულტურები ურწყავ სამეურნეო ბაზისზე აღმოცენებულნი ჩანან, მაგრამ კულტურის პროგრესიულობითა და განვითარების დონით არ ჩამოუვარდებიან შუა და წინა აზიის ადრესამიწათმოქმედო კულტურებს.

როგორი პროგრესიულიც არ უნდა იყოს მიწათმოქმედება, განვითარების ადრეულ ეტაპზე იგი მეტად პრიმიტიული ხასიათისაა. პრიმიტიულია, პირველ რიგში, მიწის დასამუშავებელი იარაღები, რომლებიც ქვის ან ძვლის მიწის საჩიჩქნებით არიან წარმოდგენილნი. დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ ძეგლებზე ძვლოვანი მასალა დაცული არ არის, ქვის წვერწამახული თოხნაირი და წერაქვისნაირი მიწის სათხრელ-საჩიჩქნი იარაღი კი ფართო ასორტიმენტით არის მოპოვებული. ამ ნივთებს ქართველ არქეოლოგთა შორის პირველად ნ. ბერძენიშვილი დააკვირდა და სავსებით სწორად მიიჩნია ისინი მიწის სა-

---

37 Р. М. Мунчаев. დასახ. ნაშრ. გვ. 77.
38 А. И. Джавахишвили. დასახ. ნაშრ. გვ. XIV.
39 Возникновение и развитие земледелия. М. 1967. стр. 25—27.

ჩიჩქნ-საწერავ იარაღებად. ასევე სწორად განსაზღვრა მან ნეოლით-ენეოლითის ხანის მიწათმოქმედების ხასიათი დასავლეთ საქართველოში — საახოვე მიწათმოქმედება.

ახოს აღება, დასათესად გამიზნული მიწის ტყისგან და ჯაგნარისგან განთავისუფლება გაცილებით რთული პროცესი უნდა ყოფილიყო, ვიდრე თვით მიწის გაწერვა-მოთოხნა. დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით იმ მიკრორაიონში, სადაც ნეოლითური ძეგლებია დადასტურებული, ნოტიო კლიმატის გამო ტყე ძალიან აქტიურია. სამიწათმოქმედო ნაკვეთები, ალბათ, ყოველწლიურად გასაწმენდი იყო. მით უმეტეს, რომ მიწა ზედაპირულად იჩიჩქნებოდა და ფესვებისაგან მისი საფუძვლიანად გაწმენდა არ ხერხდებოდა. ნეოლითელი ადამიანის ხელში მიწის ტყისაგან გასათავისუფლებლად მძლავრი საშუალება იყო ცეცხლი. ნახანძრალიდან დატოვებული ნაცარი კი ანაყოფიერებდა მიწას.

როგორც ვხედავთ, პირველყოფილი მიწათმოქმედება, თუნდაც მეტად მარტივი, საკმაოდ შრომატევადია. მიუხედავად ამისა, ადამიანმა გაიჩინა საკვების მეტნაკლებად მყარი ბაზა. სწორედ საკვების პრობლემის დადებითად გადაჭრით არის განპირობებული „ნეოლითური რევოლუციის“ დროს დემოგრაფიული აფეთქებანი — მოსახლეობისა და ნამოსახლარების შედარებით სწრაფად გამრავლება. დემოგრაფიული აღმავლობა შეიმჩნევა დასავლეთ ამიერკავკასიაშიც. თუ ადრენეოლითური ძეგლები ამ მხარეში მხოლოდ ერთეულებით არის წარმოდგენილი, გვიანნეოლითური და შემდეგ ენეოლითური — ათეულობით.

სამწუხაროდ, ძეგლთა ცუდი დაცულობა და გათხრების მეტად მცირე მასშტაბი არ იძლევა საშუალებას მეტ-ნაკლები სისრულით წარმოვადგინოთ „ნეოლითური რევოლუციის“ შედეგები დასავლეთ ამიერკავკასიაში მცხოვრები ტომებისათვის. ერთი ცხადია — იწყება მოსახლეობის უფრო სწრაფი გამრავლება, მატულობს ნამოსახლარები. მეურნეობის ახალი ფორმა საშუალებას იძლევა საცხოვრებლად კვლავ ათვისებულ იქნეს ზემო იმერეთის მასივი, რომელიც მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით გამოირჩევა ადრესამიწათმოქმედო კულტურების განსავითარებლად. სახლდება არამარტო ზემო იმერეთი. მიწათმოქმედებისთვის უკეთესი პირობების ძიებაში, ძველი, ასე ვთქვათ, გურია-აჭარის „ნეოლითური მიკრორაიონი“ ნელ-ნელა ცარიელდება და მოსახლეობა ილტვის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისკენ. ენეოლითური ძეგლები სწორედ დასავლეთ ამიერკავკასიის ჩრდილო და აღმოსავლეთ ნაწილშია დადასტურებული. თეთრამიწა[40], საგვარჯილე[41], სამელე კლდე[42], დარკვეთი[43] და სხვა; — იმერეთიდან; განთიადის სადგომები[44], ოჩამჩირე, მაჭარის

---

[40] ნ. ბერძენიშვილი (კილაძე). ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან. მას. საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. 29. თბ. 1951. გვ. 262. ლ. ნებიერიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 84—88.

[41] ნ. კილაძე (ბერძენიშვილი) მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. ტ. 14. 9. თბ. 1953. გვ. 56. ლ. ნებიერიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 84—88.

[42] გ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 84.

[43] ლ. ნებიერიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 93.

[44] В. В. Бжания. Древнейшая культура Абхазии (эпохи энеолита и ранней бронзы). Реф. кандидатской диссертации. М. 1966.

მღვიმე[45], ახშტირი, იმერეთის ბუხტა, მოლდოვკა[46] და სხვა — აფხაზეთიდან და სოჭის რაიონიდან.

პირველი, რაც თვალში საცემია ენეოლითურ ძეგლებზე, ეს მიწათმოქმედების პროგრესია — უფრო განვითარებული მიწის დასამუშავებელი იარაღები. ამ დროს ჩნდება ქვის ე. წ. სოჭი-ადლერის ტიპის თოხები. ისინი წარმოადგენენ ბრტყელ იარაღს ნახევარწრიული გალესილი პირითა და სატარე ყუნწით. მათი უმეტესობა კონცენტრირებულია სოჭი-ადლერის მიკრორაიონის ენეოლითურ ძეგლებზე. აქედანაა მათი სახელწოდებაც. თეთრამიწა ამ იარაღის გავრცელების უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტია. ა. ფორმოზოვი თვლის, რომ სოჭი-ადლერის ტიპის თოხები ჩვენში წინა აზიიდან გავრცელდა. კერძოდ, დიდ მსგავსებას პოულობს იგი ამ იარაღსა და სუზას ნიჩაბისმაგვარ ცულებს შორის. თეთრამიწაში დადასტურებული თოხები მას ამ ორი იარაღის შუა საფეხურად მიაჩნია[47].

„სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხების გარდა, თეთრამიწის ნასახლარზე დამოწმებულია შედარებით პირგანიერი ან პირწაწვეტებული მაკროლითები, რომელთა მიწის დასამუშავებელ იარაღად გამოყენება ეჭვს არ იწვევს. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, წვერწაწვეტებული კირქვისაგან დამზადებული მიკროლითები ხე-ბუჩქთა ამოსაძირკვად, ხის დასაჩეხად და, რაც მთავარია, ყამირი მიწის დასამუშავებლად გამოიყენებოდა. პირგანიერი იარაღები კი თოხის ფუნქციას ასრულებდა[48].

ენეოლითურ ძეგლებზე უკვე ჩნდება მიწის დასამუშავებელი რქის იარაღები. განსაკუთრებით მრავლად არის იგი დამოწმებული საგვარჯილეში. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, აქ ვერ ნახავთ რქის იარაღს, რომელსაც დამუშავების კვალი არ ეტყობოდეს. ამათგან 63 ცალი იარაღი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ჩანს[49]. რქიდან მიწის დასამუშავებელი იარაღის დამზადების ტექნოლოგია საკმაოდ რთულია. ნ. ბერძენიშვილი სამიწათმოქმედო იარაღის დამუშავების პროცესში სამ სტადიას გამოყოფს: 1. რქაზე ბუნებრივი მეჭეჭების მოცილება და გადანაჭერი ადგილის შემოკოპიტება. 2. რქის სატარის გახვრეტა, რომელიც ხდებოდა ორმხრივ, ქვის ბურღვით. 3. რქის წვერზე სამუშაო პირის გამოყვანა.

სამუშაო პირების მიხედვით, იგივე მკვლევარი საგვარჯილეს ქვის იარაღებს 4 ძირითად ტიპად ჰყოფს:

1. გვერდჩამოთლილი და შემდეგ გაპრიალებული სამუშაოპირიანი.
2. წვერწათლილი — წერაქვნაირი და თოხნაირი.
3. წვერშემოჭრილი.
4. ბუნებრივი ან წვერწამახული რქები, რომლებიც გამოყენებული ყოფილა შრომის პროცესში[50].

---

[45] В. В. Бжания. Мачарское поселение эпохи энеолита и бронзы в Абхазии СА. № 1. 1966. стр. 112.

[46] А. А. Формозов. Неолит Крыма и Черноморского... стр. 126—128.

[47] А. А. Формозов. О датировке неолитических стоянок Черноморского побережья Кавказа. КСИИМК. 67. 1957. стр. 140.

[48] ნ. ბერძენიშვილი (კილაძე). ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან. გვ. 252—256.

[49] ნ. კილაძე (ბერძენიშვილი). მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“. გვ. 57; მ ი ს ი ვ ე. პირველყოფილი მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში. გვ. 275.

[50] ნ. ბერძენიშვილი (კილაძე). პირველყოფილი მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში. გვ. 274—275.

ტარი რქისაგან დამზადებულ იარაღებს ეგებათ როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური. ამისდა მიხედვით გამოყოფენ თოხისნაირ და წერაქვისნაირ იარაღებს. წერაქვისნაირით მიწის გაწერვა-დაკვალვა უნდა მომხდარიყო, თოხისნაირით კი ბელტის მოთხრა-გადაბრუნება[51].

როგორც ვხედავთ, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებზე მიწის დასამუშავებელი იარაღები ფართო ასორტიმენტით არის წარმოდგენილი. იარაღების დიფერენციაცია და სიმრავლე მიწათმოქმედების უფრო ფართო მასშტაბსა და მის ინტენსივობაზე მიუთითებს. მართალია, საგვარჯილე და თეთრამიწა ერთფენოვანი ძეგლები არ არიან და, ენეოლითურის გარდა, გვიანი ეპოქის ფენებსაც შეიცავენ[52], მაგრამ ზედაპირიდან ან მეტად მცირე ფართობის გათხრებით ასე დიდი და მრავალფეროვანი იარაღების შემცველი კოლექციების მოპოვება მიწათმოქმედების საკმაო დაწინაურებაზე მიუთითებს.

ენეოლითურ ძეგლებზე სამკალი და საფქვავი იარაღიც საკმაო რაოდენობით არის დამოწმებული. თეთრამიწაზე აღმოჩნდა 19 ცალი ნამგლის დაკბილული კაჟის ჩასართი და ხელსაფქვავების 30 ნატეხი. ამ რაოდენობით სამკალ-საფქვავი იარაღი ბრინჯაოს ხანის ძეგლებზეც იშვიათია. ჩანს, აქ მიწათმოქმედების ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალია. ეს გასაგებიცაა, რადგან დასავლეთ საქართველოში, როგორც ნეოლითში, ისევე ენეოლითში, წარმოებითი მეურნეობა მხოლოდ მიწათმოქმედებით არის წარმოდგენილი. თუ ზღვისპირა ნეოლითურ ძეგლებზე ოსტეოლოგიური მასალის არაღმოჩენის ფაქტი კიდევ შეიძლებოდა მიწის მჟავიანობის შედეგად ძვლის დაშლა-გაქრობით აგვეხსნა და სავარაუდოდ მაინც დაგვეშვა მესაქონლეობის არსებობა, ენეოლითურ ძეგლებზე შინაური საქონლის ძვლების აღმოუჩენლობა უკვე გარკვეულ პასუხს სცემს დასავლეთ საქართველოში წარმოებითი მეურნეობის ხასიათს. ნეოლით-ენეოლითის ხანაში და შემდეგაც, ადრებრინჯაოს ეპოქაში, ვიდრე მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელებამდე, დასავლეთ საქართველოში მესაქონლეობა არ არსებობდა.

მესაქონლეობის განუვითარებლობის კომპენსაცია, ერთი მხრივ, მონადირეობით, მეორე მხრივ კი, მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციით და მისი მასშტაბების ზრდით უნდა მომხდარიყო. ზემოთ აღვნიშნე, რომ ცხიმი და საქსოვი ნედლეული დასავლეთ საქართველოს ნეოლითელი ტომებისათვის სელს უნდა მიეცა. სელის წარმოება კიდევ უნდა გაზრდილიყო ენეოლითში. გაკვირვებას იწვევს არამესაქონლე ტომებში ქსოვის ისეთი მაღალი დონე, როგორიც დასავლეთ საქართველოს ენეოლითურ ძეგლებზე გვხვდება. მარტო სამელე კლდეში თიხის კვირისტავები ათეულობით არის დამოწმებული[53].

---

[51] ნ. ბერძენიშვილი (კილაძე). პირველყოფილი მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში. გვ. 279.

[52] ნ. ბერძენიშვილი ამ ძეგლებს ნეოლითის ხანით ათარიღებს. შემდგომ გამოითქვა მოსაზრება, რომ ისინი უფრო გვიანი ხანისანი არიან. იხ.: А. А. Формозов. Неолит и энеолит Северо-западного... стр. 56; Д. М. Тушабрамишвили. Итоги работ палеолитической экспедиции Квирильского ущелья за 1963—1964 гг. Мат. сессии, посвященной итогам археологических исследований 1764 г. в СССР (Тезиси докладов). Баку. 1965. Л. Глонти, А. Джавахишвили, Г. Джавахишвили, Я. Киквидзе, Д. Тушабрамишвили. Некоторые итоги полевых работ 1964 года Урбнисской и Квирильской археологических экспедиций. ВМГ. т. XXV-В. Тб. 1966. ლ. ნებიერიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 84—88.

[53] გ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 73.

ენეოლითში უნდა აეთვისებინათ დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ტომებს ხორბლისა და ქერის მოყვანა. მოხდა ადგილობრივი გარეული ხორბლის ჯიშების კულტივაცია, თუ წინა აზიიდან ან აღმოსავლეთ საქართველოდან შემოვიდა ეს კულტურა, ძნელი სათქმელია, ამას არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარი ის არის, რომ დასავლეთ საქართველო ენეოლითურ ხანაში დასახლებულია მიწათმოქმედი ტომებით და მიწათმოქმედებას საკმაოდ ინტენსიური ხასიათი აქვს.

საცხოვრებელი ნაგებობები კვლავ არ არის დადასტურებული. ზოგიერთ ძეგლზე შენობის სუსტი კვალი მსუბუქ, ფაცხისებურ ნაგებობებს გვავარაუდებინებს. ნეოლითთან შედარებით, როგორც ჩანს, საამშენებლო საქმე მაინცდამაინც წინ არ წასულა. უფრო მეტიც, საცხოვრებლად კვლავ უბრუნდებიან მღვიმეებს. რატომ გვაქვს წარმოებითი მეურნეობის დროს მღვიმური დასახლება, ძნელი სათქმელია. ალ. ჯავახიშვილი ამის მიზეზად მიწათმოქმედების ჩამორჩენასა და კულტურის კონსერვატიულობას თვლის[54]. მაგრამ მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოს ენეოლითურ ძეგლებზე საკმაოდ განვითარებული ჩანს. არსად, გარდა საცხოვრებელი ნაგებობებისა, კულტურის კონსერვატიულობა არ შეიმჩნევა. საამშენებლო ტექნიკის დაბალი დონის მიზეზად შეიძლება ისევ კლიმატური პირობები და მეურნეობის ხასიათი მივიჩნიოთ.

დასავლეთ საქართველოს კლიმატურ პირობებში ერთადერთი საშენი მასალა ხეა, რომელიც ძეგლებზე იშვიათად ინახება. მართალია, უფრო გვიანი ხანის ძეგლზე დადასტურებული გვაქვს ხის კარგად დაცული ნაშთები, მაგრამ ეს ხდება შედარებით დიდ სიღრმეზე, ნოტიო ნიადაგში, ე. ი. იქ, სადაც ხის დაშლის პროცესი შენელებულია. სხვა შემთხვევაში ხე არ ინახება არათუ დასავლეთ საქართველოს ნოტიო კლიმატურ პირობებში, არამედ უფრო მშრალი კლიმატის შემცველ რაიონებშიც. მაგ., შიდა ქართლის არც ერთ ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლზე ხე, თუ არა დანახშირებული, შემონახული არ არის. ამ ძეგლებზე კი ხის ნაგებობები იყო გავრცელებული.

ბუნებრივი მღვიმე საცხოვრებლად უფრო ვრცელი და მოხერხებული უნდა ყოფილიყო, ვიდრე ნებისმიერი ნაგებობა, რომლის აგება იმდროინდელ ადამიანს შეეძლო, მითუმეტეს, რომ მიწათმოქმედების ხასიათი საშუალებას იძლეოდა მცირე კოლექტივებად დასახლებისა. ენეოლითური ძეგლების გავრცელების მიკროკლიმატი დასავლეთ საქართველოში არ ქმნის ხელოვნურ მორწყვას მიწათმოქმედების აუცილებელ პირობად. ნამოსახლარების ტოპოგრაფიაც მაინცდამაინც ხელსაყრელი არ არის სარწყავი სისტემების მოწყობისათვის. როგორც ნეოლითში, ასევე ენეოლითშიც და შემდგომ ყოველთვის დასავლეთ საქართველოში მიწათმოქმედება ურწყავია. თუმცა, როგორც აღვნიშნე, ენეოლითური ძეგლების გავრცელების მიკრორაიონების კლიმატი შედარებით მშრალია და ზომიერი — ნალექების მაქსიმალური რაოდენობა აფხაზეთსა და სოჭი-ადლერის მიდამოებში 1400 მმ, ზემო იმერეთში — 1000 მმ-ია[55].

შედარებით ზომიერი კლიმატის პირობებში მიწათმოქმედებისთვის მთავარი დაბრკოლება სამიწათმოქმედო ნაკვეთის მოწყობა — ახოს აღებაა. თუმცა

---

[54] А. И. Джавахишвили. დასახ. ნაშრ. გვ. XV.
[55] მ. კორძახია. დასახ. ნაშრ. გვ. 52—63.

ეს პროცესიც, ნეოლითთან შედარებით, გაიოლებულია ტყის ნაკლები აქტივობის გამო. საახოვე მიწათმოქმედებით არის განპირობებული, ალბათ, დასავლეთ საქართველოს ნეოლით-ენეოლითურ ძეგლებზე ქვის ცულებისა და წალკატისებური იარაღის სიმრავლე.

ურწყავი მიწათმოქმედება იძლევა საშუალებას მცირე კოლექტივებად დასახლებისა. უფრო სწორად, ურწყავი მიწათმოქმედების საწარმოებლად არ არის საჭირო მოზრდილი კოლექტივის შრომა. სწორედ ამით განსხვავდება იგი სარწყავი მიწათმოქმედებისაგან. უკანასკნელი განპირობებულია ხელოვნური მორწყვით. სარწყავი სისტემების მოწყობა და ექსპლოატაცია კი საკმაოდ მოზრდილი კოლექტივის შრომას მოითხოვს და სავსებით ცხადია, რომ იქ, სადაც მიწათმოქმედება ეყრდნობა ხელოვნურ მორწყვას, უფრო დიდი დასახლებები გვაქვს.

ამგვარად, ურწყავი მიწათმოქმედება შედარებით ნაკლებ შრომას მოითხოვს, ამიტომაა, რომ იგი სარწყავთან შედარებით მობილურია. არც ნეოლითში და არც ენეოლითში დასავლეთ საქართველოსა და ამიერკავკასიაში რამდენადმე ძლიერი კულტურული ფენის შემცველი დიდი დასახლებანი დადასტურებული არ არის, თუმცა გვაქვს მრავალფენოვანი ძეგლები, მაგრამ ეს ფენები საუკუნეებით ერთ ადგილზე მჯდომი მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი არ არის. ამის მიზეზი, ვფიქრობ, ისაა, რომ იგი ადვილად ტოვებს ძველ სამოსახლოს და ადვილადვე აწყობს ახალს. ყოველი, რამდენადმე საგრძნობი უბედურება თუ დაბრკოლება — ხანძარი, მეწყერი, ეპიდემია, მიწის გამოფიტვა, ნადირის შემცირება და სხვა — შეიძლება მიზეზი გამხდარიყო სამოსახლოს მიტოვებისა. როგორი მჭიდრო დასახლებაც არ უნდა ვივარაუდოთ ენეოლითურ ხანაში, მოსახლეობა ურწყავი მიწათმოქმედების პირობებში სამიწათმოქმედო სავარგულების ნაკლებობას, ცხადია, არ განიცდიდა. ისე რომ, ამ მხრივ ახალი დასახლების წარმოქმნას წინ არაფერი ეღობებოდა.

მიწათმოქმედი ტომების მობილურობა, რა თქმა უნდა, მესაქონლე მომთაბარის მუდმივი მოძრაობა არ არის. დასახლების ადგილმონაცვლეობა არარეგულარულია, ისე რომ, ამით დამჯდარი მოსახლეობისთვის დამახასიათებელი ტექნიკური, ეკონომიური და სოციალური პროგრესი არ ყოვნდება და არ არის მართალი, რომ სარწყავი მიწათმოქმედება ყველგან და ყოველთვის უფრო ინტენსიური და პროგრესიული ფორმაა მეურნეობისა, ვიდრე ურწყავი.

ჯერ ერთი, გასათვალისწინებელია მორწყვის ხასიათი და მასშტაბი, მეორეც, ის სოციალური გარემო, რომელშიც ეს სამეურნეო ღონისძიება ტარდება. ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციები, უმთავრესად, სარწყავი მიწათმოქმედებით იყვნენ განპირობებული, მაგრამ სარწყავი მიწათმოქმედება ხდება მიზეზი იგივე აღმოსავლეთის სოციალური ჩამორჩენილობისა ფეოდალურ ხანაში. «Отсутствие частной собственности на землю действительно является ключем к пониманию всего Востока — წერს ფ. ენგელსი.— Тут корень и политической и религиозной истории. Но чем объясняется, что на Востоке не дошли до частной собственности даже феодальной. Мне кажется, что дело главным образом в климате, в связи с характером почвы в особенности же с теми огромными пустынями, которые тянутся, начиная с Сахары, через Аравию, Персию, Индию и Татарию до их высочайших азиатских плоскогорий. Земледелие здесь

построено главным образом на искусственном орошении, а это орошение является делом общины, области и центральной власти»[56].

სარწყავი მიწათმოქმედება განვითარდა საქართველოშიც, მის აღმოსავლეთ ნაწილში, მაგრამ სარწყავი სისტემების მცირე მასშტაბისა და სიმარტივის გამო მას სრულიად სხვა სოციალ-ეკონომიური შედეგი ჰქონდა, ვიდრე აღმოსავლეთის ქვეყნებში[57].

სარწყავი მიწათმოქმედება იმდენად ინტენსიობით და ჭარბი პროდუქტის დიდი მარაგის წარმოებით არ მოქმედებს ადამიანთა საზოგადოების სოციალურ განვითარებაზე, რამდენადაც სარწყავი არხის მოწყობის სიძნელითა და ორგანიზაციის სირთულით. შესაბამის კლიმატურ პირობებში შეიძლება ურწყავი მიწათმოქმედება უფრო ინტენსიური და რენტაბელური იყოს, ვიდრე სარწყავი, მაგრამ ისე არ აჩქარებდეს საზოგადოების სოციალურ განვითარებას, როგორც სარწყავი.

ვფიქრობ, ურწყავი მეურნეობის აგროტექნიკა უფრო რთულია, ვიდრე სარწყავისა. ურწყავი მიწათმოქმედება მოითხოვს მრავალ აგროტექნიკურ ღონისძიებას, რომელიც სარწყავი მიწათმოქმედებისთვის აუცილებელი არ არის: ღრმა ხვნა, გვალვის გამძლე ჯიშების გამოყვანა, დასამუშავებელი ნაკვეთების ისე შერჩევა, რომ დაზღვეული იყო ხორშაკისგან და ნოტიო ქარები უდგებოდეს, მიწის ხელოვნურად განაყოფიერების პრობლემა და სხვა. ერთი სიტყვით, ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში სათანადო აგროტექნიკურ ღონისძიებათა ჩატარებით ურწყავი მიწათმოქმედება შეიძლება საკმაოდ ინტენსიური იყოს და მიწათმოქმედების დონის განსაზღვრა მხოლოდ ერთი საზომით — სარწყავია იგი თუ ურწყავი — მცდარ დასკვნებამდე მიგვიყვანს. ქვემოთ არაერთხელ მომიხდება სარწყავსა თუ ურწყავ მიწათმოქმედებაზე მსჯელობა და მათი შედარება. ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ახლა ვნახოთ რას წარმოადგენს ენეოლითური დასახლებანი დასავლეთ საქართველოში. ზემოთ აღვნიშნე, რომ მათი უმრავლესობა მღვიმეებშია დადასტურებული. მღვიმე კი, ერთი შეხედვით, ქმნის ცთუნებას ერთ სახლად წარმოვიდგინოთ შიგ მოსახლე ერთი ან რამდენიმე ოჯახი. საქმე ის არის, რომ ოჯახის, როგორც სოციალური უჯრედის, სიმბოლო კერაა. კერა ოჯახის, გვარის, თემის კეთილდღეობისა და ნაყოფიერების მფარველი ღვთაება (იხ. თავი III), ოჯახის, სახლის აუცილებელი ატრიბუტია. იგი აუცილებელი ელემენტია ისეთი მცირე სოციალური ჯგუფისაც კი, როგორიც წყვილადი ოჯახია. თითოეული კერა თითოეული ოჯახია — სახლია. საკმარისია დავადგინოთ რამდენი კერა ენთო თითოეულ მღვიმეში, განვსაზღვროთ რას წარმოადგენდა ენეოლითური ოჯახი, რომ დაახლოებით წარმოვიდგინოთ მღვიმური დასახლებაც.

სამწუხაროდ, ნამოსახლარ მღვიმეთა კულტურული ფენები დარღვეულია; in situ მხოლოდ ფენათა მცირე ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული, ამიტომ დადგენა თუ რამდენი კერა — ოჯახი იყო მღვიმეში, შეუძლებელია. მაგრამ თვით მღვიმის ხასიათი გამორიცხავს მრავალი კერის არსებობას. რა მოცულობისაც არ უნდა იყოს მღვიმე, შიგ შესაძლებელია მხოლოდ თითო-ოროლა კერის მოწყობა. უფრო უპრიანი იქნება, თუ მღვიმეში მოსახლედ ერთ სახლს — დიდ ოჯახს წარ-

---

[56] К. Маркс, Ф. Энгельс. Сочинения. т. XXI. М. 1929. стр. 493.

[57] ი. კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. თბ. 1963. გვ. 5.

მოვიდგენთ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მეურნეობის ხასიათი იძლეოდა საშუალებას მცირე კოლექტივებად დასახლებისა.

ენეოლითი დასავლეთ საქართველოში და ამიერკავკასიაში საერთოდ საკმაოდ მშვიდობიანი ეპოქაა. ძეგლებზე მხოლოდ სამონადირეო იარაღებია დადასტურებული, ისე რომ, ამ მხრივაც მცირე კოლექტივებად დასახლებას ხელს არაფერი უშლიდა.

ამგვარად, უკვე ენეოლითის ხანიდან გვაქვს სახლებად დასახლება. სახლი, ივ. ჯავახიშვილის განსაზღვრით, გვარის მნიშვნელობის აღმნიშვნელი უძველესი ქართული ტერმინია[58]. ს. ჯანაშია თვლიდა, რომ სახლის, როგორც სოციალური ერთეულის ჩამოყალიბება, დაკავშირებული იყო მიწათმოქმედების ჩამოყალიბებასთან და ბინადარი ცხოვრების განვითარებასთან „... „სახლის“ ჩამოყალიბების კავშირი ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლასთან მიზეზია იმისა, — წერს განსვენებული მეცნიერი, — რომ ეს სიტყვა, ასევე ტრადიციულად, მერმინდელ ხანებშიც „მიწაზე ჯდომის“, მკვიდრობის“, „მოსახლეობის“ მნიშვნელობის მომენტს შეიცავდა. შემდეგ ეს „სახლი“ არის, ეთნოგრაფების ენით რომ ვთქვათ, „დიდი ოჯახი“ — ისეთი ერთობა ადამიანებისა, რომელიც ერთ ჭერქვეშ, ერთ ბინაში ცხოვრობს. ამიტომ გახდა შესაძლებელი, რომ „სახლი“ ადამიანთა საცხოვრებელ შენობასაც დაერქვა“[59].

ს. ჯანაშია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ დასავლეთ საქართველოში „სახლისშვილი“, ისევე როგორც ჭანური „ოხრასკირი“ და „ოხრასხური“ და მეგრული „ოხორასკილი“, აღნიშნავენ ნათესაობას დედის, ქალის ხაზით. „ამიტომ თავდაპირველად „ქართული „სახლი“ წარმოადგენდა მიწაზე მჯდომს მატრიარქალურ კომუნას, რომელიც, თავის ზრდის გარკვეულ საფეხურამდე, ერთჭერქვეშ ცხოვრობდა“[60].

ე. ი. სახლი, როგორც სოციალური უჯრედი, მატრიარქატში ყალიბდება და ერთ ჭერქვეშ მცხოვრები „დიდი ოჯახის“ აღმნიშვნელი ტერმინია. ვფიქრობ, ყველაზე უკეთ „სახლის“ ჩამოყალიბების სოციალურ-ეკონომიურ გარემოს დასავლეთ საქართველოს ენეოლითური ხანის მღვიმურ დასახლებაში ვამოწმებთ. ენეოლითი დედისეული გვარის აყვავების ხანაა. ამდროინდელი ტომები მყარი ბინადარი მიწათმოქმედნი არიან. მღვიმე თავისთავად ერთ ჭერქვეშ აქცევს მთელს კოლექტივს. ეს კოლექტივი, როგორც აღვნიშნე, ერთ ოჯახზე დიდ სოციალურ ჯგუფს არ უნდა ქმნიდეს.

სახლზე ქვემოთ კიდევ მომიხდება საუბარი. შემდგომაც საქართველოში არაერთგზის მოწმდება „სახლებად“ დასახლება. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, უკეთესია მცირე ნამოსახლართა აღმნიშვნელ ტერმინად სწორედ სახლი ვიხმაროთ და განვასხვავოთ იგი დიდი ზომის გორა-ნამოსახლარებისაგან, რომელიც აგრეთვე სოციალური შინაარსის შემცველი ტერმინია და რამდენიმე სახლს აერთიანებს.

ასეთი გორა-ნამოსახლარები წარმოადგენენ დასახლების ძირითად ტიპს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ენეოლითის ხანაში. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითური კულტურის კვლევა საკმაო ხანია დაიწყო და დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს. გამოვლენილია და შესწავლილი არაერთი პირველხარისხოვანი ძეგლი, ისე რომ, აქ მოსახლე ტომთა მეურნეობის შესახებ ბევრი

---

[58] ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. ტფ. 1928. გვ. 148.
[59] ს. ჯანაშია. შრომები. ტ. 1. თბ. 1949. გვ. 132.
[60] იქვე.

რამ ვიცით, თუმც ბუნდოვანი საკითხი კვლავ მრავალია. ენეოლითური ძეგლების კვლევა განსაკუთრებით ინტენსიურად საქართველოსა და აზერბაიჯანში მიმდინარეობს. ძეგლების უმრავლესობაც ამ რესპუბლიკებშია აღმოჩენილი. აზერბაიჯანის სსრ-ში დამოწმებულია 35 ნამოსახლარი[61]. ათეულს აღემატება ძეგლების რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოშიც, თუმცა ძეგლები აქ, ძირითადად, ლოკალიზებულნი არიან მხოლოდ ერთ რაიონში — ქვემო ქართლის ვაკეზე და მათი უმრავლესობა განადგურებულია ინტენსიური სამიწათმოქმედო სამუშაოების გამო[62].

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ენეოლითური კულტურის აღმოჩენისა და შესწავლის ისტორია არაერთ ავტორს აქვს მოცემული[63]. აქ მათი მოტანა სრულიად ზედმეტად მიმაჩნია. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მეტ-ნაკლები სისრულითა და მკაცრი არქეოლოგიური მეთოდიკით მხოლოდ საქართველოში დაცული ძეგლების ნაწილია შესწავლილი. განსაკუთრებით ეს ითქმის შულავერ-იმირის ჯგუფის ძეგლების შესახებ, რომლებსაც 1964 წლიდან სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაერთიანებული ექსპედიცია ო. ჯაფარიძის და ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. საბედნიეროდ, გათხრების შედეგები დასტამბულია ან ისტამბება. ცალკეული წერილების გარდა ჩვენს ხელთ არის სამი მონოგრაფიული ნაშრომი. ქვეყნდება ექსპედიციის მუშაობის ანგარიშები, სადაც სრულად არის ასახული გათხრების მიმდინარეობა და შედეგები[64]. ჩემთვის საინტერესო საკითხების გასარკვევად არაერთგზის მომიხდება ხსენებული სტატიებისა თუ მონოგრაფიების ციტირება და დამოწმება.

ადრესამიწათმოქმედო ძეგლები აღმოსავლეთ კავკასიაში დამოწმებულია ქვემო ქართლის ვაკეზე და მის მიმდგომ ველზე დასავლეთ აზერბაიჯანში[65], მილისა და ყარაბახის ველებზე[66], ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში[67], არარატის ველზე[68] და დაღესტანში[69]. ქვემო ქართლის ველსა და მის მიმდგომ

---

[61] Р. М. Мунчаев. დასახ. ნაშრ. გვ. 82.

[62] А. И. Джавахишвили. დასახ. ნაშრ. გვ. 7. ძეგლების საკმაო რაოდენობაა, როგორც ჩანს, სომხეთში, კერძოდ არარატის ველზე, მაგრამ აქ შესწავლილია ერთადერთი ძეგლი თეხუთა.

[63] К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили. Древние культуры Южного Кавказа. Л. 1970. Т. Н. Чубинишвили. К древней истории Южного Кавказа. Тб. 1971. Р. М. Мунчаев. Кавказ в эпоху энеолита и ранней бронзы.

[64] ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (1965—1966). მაცნე, № 3. თბ. 1967. მათივე. უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე. თბ. 1971. ალ. ჯავახიშვილი. უძველესი საცხოვრებელი შენობები საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. V—III ათასწლეულები). ძეგლის მეგობარი. № 14. თბ. 1968. ლ. ღლონტი, ალ. ჯავახიშვილი. თ. კიღურაძე. ხრამის დიდი გორის ანთროპომორფული ქანდაკებები. „ძეგლის მეგობარი". № 33. თბ. 1973. А. И. Джавахишвили. დასახ. ნაშრ. და სხვა.

[65] И. Г. Нариманов. Древнейшая земледельческая культура Закавказья. VII международный конгресс доисториков и протоисториков. Докл. и сообщ. археологов СССР. М. 1966. стр. 122.

[66] А. А. Иессен. Кавказ и Древний Восток в IV—III тысяч. до н. э. КСИА. вып. 93. М. 1953. стр. 8—10.

[67] А. О. Абибулаев. Археологические раскопки в Кюль-Тепе. Баку. 1959.

[68] Р. Торосян. Раскопки поселения Техута. Ист. фил. журнал. № 1. 1968.

[69] М. Г. Гаджиев. Новые данные о южных связях Дагестана в IV—III тыс. до н. э. КСИА АН СССР. 108. М. 1966. стр. 55—61.

ყაზახის რაიონში დამოწმებული ენეოლითური ძეგლები რამდენადმე ადრეუ-ლი არიან და ცალკე ლოკალურ კულტურას ქმნიან. ჩვენი კვლევის ობიექტიც ამ ძეგლებზე მსხდომი მოსახლეობის მეურნეობაა.

ადრესამიწათმოქმედო ძეგლები ქვემო ქართლის ვაკეზე კონცენტრირე-ბული არიან, უმთავრესად, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ხრამის აუზის ქვემო წელში. ნამოსახლარები დაჯგუფებულია კომპაქტურად, თითოეული ჯგუ-ფი ორი ან მეტი ნამოსახლარისგან შედგება. ალ. ჯავახიშვილი ქვემო ქართლის ვაკეზე ოთხ ასეთ კომპაქტურ ჯგუფს გამოჰყოფს: არახლუს და შულავერის ჯგუფები, ოთხ-ოთხი ნამოსახლარისგან შემდგარი და წითელი სოფლისა და კაჩაგანის ჯგუფები, ხუთ-ხუთი ნამოსახლარით. თითოეულ ჯგუფში ნამოსახლა-რები ერთმანეთისგან დაშორებულნი არიან 0,5—5 კმ-ით; როგორც ვხედავთ, ამ დროისთვის საკმაოდ მჭიდრო დასახლებაა. თანაც გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ძეგლების საკმაო რაოდენობამ ჩვენამდის არ მოაღწია. რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ამ მიკრორაიონში ძეგლების ასეთი კონცენტ-რაციისა?

დღეს ქვემო ქართლის ვაკე ინტენსიური სამიწათმოქმედო რაიონია, მაგრამ მეტად მშრალი კლიმატის გამო მიწათმოქმედება აქ მთლიანად ხელოვნურ მორწ-ყვაზეა დაფუძნებული. შულავრის ჯგუფის ერთ-ერთი ნამოსახლარის — იმირის გორის უძველესი ფენიდან აღებულმა მტვრიანის ანალიზმა ცხადჰყო, რომ ამ მი-კრორაიონის პალეოკლიმატი დაახლოებით ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც დღესაა. მცენარეული საფარი 7—6 ათასი წლის წინ მხოლოდ ველისთვის დამახა-სიათებელი სახეებით ყოფილა წარმოდგენილი[70]. უნდა ვიფიქროთ, რომ ენეოლი-თურ ხანაშიც ქვემო ქართლის ვაკეზე მიწათმოქმედება ხელოვნური მორწყვით იყო განპირობებული. სხვა ვარაუდი, თუ ანალიზის შედეგები სწორია, დაუშვებე-ლია.

იძლეოდა კი რელიეფი და ჰიდროგრაფიული რეჟიმი ქვემო ქართლის იმ ნა-წილისა, სადაც ენეოლითური ძეგლებია კონცენტრირებული, ენეოლითური ტექ-ნიკის პირობებში სარწყავი სისტემების მოწყობის საშუალებას? ამ კითხვას თით-ქოს დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. ზოგი ჯგუფი ძეგლებისა მდინარის სანაპირო ჭალაში მდებარეობს (დასავლეთ აზერბაიჯანის ძეგლები); ზოგის მიდამოები ამჟა-მადაც ირწყვება თანამედროვე არხებით, რომლებიც ძველ ნარუალსა თუ თხრილ-ზე გადის; ზოგზე კი თანამედროვე რელიეფი არ იძლევა აქ მარტივი სარწყავი სის-ტემების მოწყობის საშუალებას, მაგრამ 5—7 ათასი წლის წინ იგი, თითქოს, დიდი დაბრკოლება არ უნდა ყოფილიყო სარწყავი რუების გატანისათვის. უფრო მეტიც, ვარაუდობენ, რომ სარწყავი არხებით არის გამოწვეული ამ ძეგლების მი-კრორაიონების რელიეფისა და მდინარის კალაპოტის ცვლაც. თუ როგორ ხდებო-და მორწყვისა და რელიეფის ცვლის პროცესი, მოვიტან ვრცელ ამონაწერს ალ. ჯავახიშვილის ზემოთ არაერთგზის დამოწმებულ მონოგრაფიიდან: «Местность, где расположена квемошулаверская группа селищ, представляет собой пло-щадь около 500 га. Возможность использования вод р. Храми для ороше-ния этой площади в древности исключена; и поныне единственная водная артерия, питающая ее — Шулаврис-геле...

Присмотревшись к рельефу данной местности, мы увидим в западной части долины глубокую сухую балку-впадину с пологими краями, шириной

---

[70] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციები. 3. თბ. 1972. გვ. 32.

около 100 м, — пересекающую ее поперек по прямой, от места выхода речки Шулаверис-геле на равнину, на север...

Четыре жилых холма данного микрорайона находятся восточнее вышеуказанной балки...

Неодинаково также их удаление от воды. От поймы, т. е. от древнего русла р. Храми, их всех отделяет 500—1500 м; от Шулаверис-геле первые два селища отдалены на 700—800 м, остальные два находятся непосредственно на ее берегу:... Оба поселения сильно пострадали от такой близости... Гадачрили гора... наполовину смыто потоком..., восточный край же Имирис гора был настолько подмыт рекой, что растрескался и, вместе с сырцовым домом стоящим здесь, уступами осел приблизительно на 2,5 м. Странно, но строительство на этом аварийном месте не прекращалось. Вместе с тем около этих селищ в непосредственной близости или небольшом удалении, на противоположном берегу реки ясно видны синхронные с ними культурные слои; наконец, имеются данные, указывающие на возможность существования какого-то рва около Имирис-гора, так же, как это установлено на поселении Арухлос-гора Т. Н. Чубинишвили.

Все это вместе взятое придает особый интерес мысли, высказанной Д. М. Тушабрамишвили о том, что, возможно, Гадачрили-гора и Имирис-гора находились в некотором отдалении от реки, которая протекала по другому руслу, и что они занимали намного большую площадь, чем позднее, когда по неизвестным причинам река изменила направление; прокладывая новое русло, река перерезала и частично смыла поселения. Он даже полагает, что, возможно, от первоначального русла реки к поселениям были проведены канавы, по которым она и проложила себе новый путь во время сильного паводка»[71].

ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფარდება რეალურ ვითარებას დ. თუშაბრამიშვილის ვარაუდი. სამწუხაროდ, ეს მოსაზრება სპეციალისტების მიერ შემოწმებული და დადასტურებული არ არის. მისი გაზიარება ან უარყოფა არც წარმოადგენს ჩემს მიზანს. ამონაწერი ალ. ჯავახიშვილის მონოგრაფიიდან მოტანილია მხოლოდ იმიტომ, რომ ვაჩვენო, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე მოსახლეთათვის წყალს, რომ სავსებით შესაძლებელი იყო აქ, იმდროინდელი ტექნიკის პირობებში, მარტივი სარწყავი სისტემების მოწყობა და ექსპლოატაცია. საკითხავი ის კი არ არის, სარწყავია თუ არა ქვემო ქართლის ენეოლითურ ძეგლებზე დადასტურებული მიწათმოქმედება (რომ სარწყავია ეს თითქოს საეჭვო აღარა ჩანს), საკვლევია მიწათმოქმედება აქ თავიდანვე სარწყავი იყო, თუ მორწყვა, როგორც სამეურნეო ღონისძიება, შედარებით გვიანდელი მოვლენაა? რა მასშტაბი ჰქონდა მორწყვას და რა როლი ითამაშა მან ქვემო ქართლში მცხოვრები ტომების ეკონომიურ და სოციალურ განვითარებაში? როგორია სარწყავი მიწათმოქმედებისა და, საერთოდ, ქვემო ქართლის ენეოლითური კულტურის განვითარების ისტორიული პერსპექტივა? როგორც ვხედავთ, საკვლევი საკითხი საკმაოდ ბევრია.

ქვემო ქართლში სარწყავი მიწათმოქმედების არსებობის შესახებ საკითხი

---

[71] А. И. Джавахишвили. დასახ. ნაშრ. გვ. 8—12.

პირველად დასვა ტ. ჩუბინიშვილმა, გამოავლინა რა არახლუ I ბორცვზე გარშემოვლებული თხრილი[72]. შემდგომ ეს თხრილები არაერთმა სპეციალისტმა შეისწავლა. 1972 წ. სპეციალურად გამოიკვლია იგი უძველესი სარწყავი სისტემების ცნობილმა სპეციალისტმა გორისლავა ლისიცინამ და დაადგინა, რომ არახლუ I-ის გორასთან აღმოჩენილი „სველი თხრილების“ ერთმანეთისაგან განსხვავებული ლინზების დონეებისა და მიმართულების გამო დაუშვებელია ბორცვის ირგვლივ ერთიანი, გარშემოვლებული წყალსაცავის არსებობის ვარაუდი, უფრო საფიქრებელია, რომ თითოეული „სველი“ თხრილი სხვადასხვა, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი არხების განტოტებას წარმოადგენდა. ეს არხები მუდმივად არ მოქმედებდნენ. წყლის დინება საკმაოდ მდორე უნდა ყოფილიყო, ჰორიზონტალური ფილტრაციით ნიადაგი წყლით იჟღინთებოდა და დროის გარკვეულ მონაკვეთზე სახნავ ნაკვეთში სინოტივე შენარჩუნებული იყო[73].

თხრილი აღმოჩნდა იმირის გორის ნამოსახლართანაც, განსხვავებით არახლუ I თხრილებისაგან, მას უფრო სარწყავი რუს პროფილი აქვს. ჯერჯერობით არც თხრილის მიმართულება, არც დახრილობა გამოკვლეული არ არის და ძნელია მსჯელობა—რას წარმოადგენდა იგი; თუ სარწყავი სისტემის ნაწილია, მაშინ იმირის გორასთან მორწყვის სხვა ხერხი უნდა ვივარაუდოთ, კერძოდ, მაგისტრალური არხები დამანაწილებლებით და წყლის ვერტიკალური ფილტრაცია. გამოდის, რომ ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურაში მორწყვის ორ ხერხს ვადგენთ, თუ რა თქმა უნდა, ლისიცინას დასკვნები და ჩემი ვარაუდი იმირის გორის თხრილის სარწყავად გამოყენების შესახებ სწორია.

სამწუხაროდ, არახლუს გორის სტრატიგრაფია საბოლოოდ დადგენილი არ არის. იმირის გორა შედარებით გვიანდელი ხანის ძეგლია. ისე რომ, დადგენა იმისა, თავიდანვე სარწყავი მეურნეობა გვქონდა ქვემო ქართლში, თუ ირიგაცია გვიან გატარებული სამეურნეო ღონისძიებაა, ჭირს. ერთადერთი შესწავლილი ძეგლი, რომელზედაც ქვემო ქართლის ველის ადრესამიწათმოქმედო კულტურის უძველესი ფენებია დამოწმებული, შულავრის გორაა. ძეგლზე, ბორცვის გარეთ, სამუშაოები არ ჩატარებულა. ამდენად, შემოუყვებოდა თუ არა მას თხრილი, ან გადიოდა თუ არა მის ახლოს სარწყავი რუ, არ ვიცით. საცხოვრებელი ნაგებობების ზოგიერთი ელემენტი, თითქოს, უძველეს ხანაში აქ ურწყავ მიწათმოქმედებას გვავარაუდებინებს.

მხედველობაში მაქვს შულავრის გორის შენობების ირგვლივ გამართული მომცრო, ნახევრად მიწაში ჩასმული თიხალესილი ორმოები, რომლის შესახებ ო. ჯაფარიძე და ალ. ჯავახიშვილი წერენ: ეს ორმოები „წყლისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. შულავრის გორა საკმაოდაა დაშორებული წყალს და მისი მარაგის შენახვა უთუოდ საჭირო იქნებოდა, იმირის გორაზე კი, რომელიც წყლის პირას მდებარეობს, ასეთი ორმოები არ არის“[74]. ალ. ჯა-

[72] ტ. ჩუბინიშვილი. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. საველე მუშაობის ძირითადი შედეგები. „არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში“ (ანგარიშები). თბ. 1967. გვ. 21.

[73] ტ. ჩუბინიშვილი. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლები ქვემო ქართლში. „მაცნე“. № 4. თბ. 1973. გვ. 105.

[74] ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი. უძველესი მიწათმოქმედი... გვ. 52.

ვახიშვილის ნაშრომიდან ზემომოტანილ ვრცელ ამონაწერიდან ჩანს, თუ როგორ აღმოჩნდა იმირის გორა წყლის პირას. დავამატებ, რომ შულავრის ჯგუფის არც ერთ შემდგომ გათხრილ ძეგლზე ასეთი ორმოები არ არის დამოწმებული. ეს ფაქტი კი უფრო დამაჯერებელს ხდის ალ. ჯავახიშვილისა და ო. ჯაფარიძის მოსაზრებას ორმოების დანიშნულების შესახებ.

წყლის მარაგის შენახვის აუცილებლობა გვავარაუდებინებს, რომ ქვემო ქართლის ველის მიწათმოქმედნი ხელოვნურ მორწყვას, როგორც სამეურნეო ღონისძიებას, ჯერ არ იყენებენ, მათ ჯერ არ იციან წყლის დინების რეგულიაცია; არა აქვთ სარწყავი, თუნდაც უპრიმიტიულესი, რუები. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუს შულავერამდე მიიტანდნენ და წყლის პრობლემას საბოლოოდ გადაჭრიდნენ[75].

შულავრის გორა უძველესი დასახლებაა ქვემო ქართლის ველზე. აქ და დასავლეთ აზერბაიჯანში შესწავლილი ყველა სხვა ენეოლითური ძეგლი შედარებით გვიანდელია[76]. იგი ყველაზე დიდია აგრეთვე მის შემოგარენში არსებულ ენეოლითურ ძეგლებს შორის. ო. ჯაფარიძე და ალ. ჯავახიშვილი ვარაუდობენ, რომ ამ მიკრორაიონის დასახლება ხდებოდა შულავრის გორიდან მოსახლეობის ნამატის თანდათანობითი სეგმენტაციით, რომ მეურნეობის ახალ ფორმაზე, მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადასვლას მოსახლეობის სწრაფი ზრდა მოჰყვა. მარნეულის ველის ადრეულ სავარაუდო სოფლებში, რამდენიმე თაობის შეცვლის შემდეგ ისეთი პირობები შეიქმნა, რომ იგი მოსახლეობის ნამატს ვეღარ იტევდა. ამ კრიზისიდან თავის დაღწევის საშუალება ახალ ადგილზე გადასვლა იყო. ძველი სოფლის ირგვლივ ჩნდება ახალი სოფლები, რომლებიც შედარებით პატარებია და შემდეგში მათი სეგმენტაცია აღარ ხდება. შულავრის გორიდან მოსახლეობა სამჯერ-ოთხჯერ უნდა გადასულიყო ახალ ადგილზე საცხოვრებლად. ახლად წარმოშობილ სოფლებს შორის დიდხანს მჭიდრო ურთიერთობა არსებობს და საბოლოოდ მათზე ცხოვრება ერთდროულად ქრება[77].

მოსახლეობის სწრაფი გამრავლება, ე. წ. დემოგრაფიული აფეთქება, წარმოებითი მეურნეობის განვითარების ბუნებრივი შედეგია. მაგრამ ისეთი ინტენსიური დასახლება, როგორიც ქვემო ქართლის ველზე ენეოლითურ ხანაში გვაქვს, მშრალი კლიმატისა და ურწყავი მეურნეობის პირობებში, ნაკლებ დამაჯერებელი ჩანს. მით უმეტეს, რომ ძეგლები საკმაოდ დიდია. გამთხრელები თითოეულ ნამოსახლარზე 300—500 სულ მოსახლეს ანგარიშობენ. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ არც ერთ ენეოლითურ ძეგლზე წყვეტილი ცხოვრების კვალი დადასტურებული არ არის. ათასწლეულობით აქ ცხოვრება არ შეწყვეტილა, ვიდრე ეს მხარე საერთოდ არ გაუკაცრიელდა.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ შულავრის გორიდან მოსახლეობის მრავალგზის განსახლება დაკავშირებულია ხელოვნურ მორწყვასთან. სამწუხაროდ, არავინ ცდილა აღედგინა ამ მხარის უძველესი სარწყავი სისტემები. ასეთი სამუშაო კი საბოლოოდ დაადგენდა, დაკავშირებული იყო თუ არა ნამოსახლარი გორების ტოპოგრაფია მორწყვის პერსპექტივასთან. მაგრამ

---

[75] ო. ჯაფარიძე და ალ. ჯავახიშვილი უარყოფითად ეკიდებიან ამავე ნაშრომში ქვემო ქართლში ენეოლითურ ხანაში სარწყავი სისტემების არსებობის საკითხს. გვ. 9.

[76] თ. კიღურაძე. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია. საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი).

[77] ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი. უძველესი მიწათმოქმედი... გვ. 95.

თავისთავად, მხოლოდ იმის დაზუსტება, სარწყავია თუ ურწყავი ამა თუ იმ კულტურის მიწათმოქმედება არაფრის მომცემია, თუ არ განისაზღვრა თვით მეურნეობის დონე.

მიწათმოქმედების განვითარების დონეს ყველაზე რელიეფურად წარმოაჩენს სამიწათმოქმედო იარაღები და ირიგაციის პირობებში მორწყვის ხასიათი და მასშტაბი. ქვემო ქართლის ველისა და მისი მიმდგომი დასავლეთ აზერბაიჯანის ძეგლები საკმაოდ მდიდარ მასალას იძლევიან მიწის დასამუშავებელი ტექნიკის შესახებ ენეოლითურ ხანაში. დასავლეთ აზერბაიჯანის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე აღმოჩენილი სამიწათმოქმედო იარაღები საკმაო სისრულით აქვს შესწავლილი ი. ნარიმანოვს[78], ქვემო ქართლის ველზე დამოწმებული იარაღები კი—თ. კიღურაძეს[79]. მიწის დასამუშავებელ იარაღს ენეოლითში, როგორც ჩანს, დიდი ცვლილება არ განუცდია. მიწა კვლავ ძვლისა და ქვის თოხებითა და საჩიჩქნი იარაღებით მუშავდება, თუმცა არუხლოს გორაზე აღმოჩნდა ირმის ორტოტა რქა, რომელიც, ტ. ჩუბინიშვილისა და მ. ჯალაბაძის ვარაუდით, ერქვანი — სახვნელი იარაღი უნდა იყოს. სახვნელის ჯალაბაძისეული რეკონსტრუქციის ცდა მოტანილია ტ. ჩუბინიშვილის ნაშრომში. ჯალაბაძე იძლევა რეკონსტრუქციის ორ ვარიანტს. ერთ ვარიანტში დაშვებულია გამწევ ძალად ხარის გამოყენება. ამ შემთხვევაში სახვნელს ხის მხარი უნდა ჰქონოდა. მეორე ვარიანტით გამწევი ძალა თვით ადამიანია და იარაღს ღვედით ეწევიან[80].

როგორც ვხედავთ, ქვემო ქართლის ენეოლითურ ძეგლებზე მიწის დასამუშავებელი იარაღები საკმაო ნაირსახეობით არის წარმოდგენილი. ჩანს მათი განვითარება და ტექნიკური და ფუნქციური სრულყოფა. ჩნდება მიწის საწერი ერქვანი, რომელშიც თუ ტ. ჩუბინიშვილის და გ. ჯალაბაძის ვარაუდი სწორია, გამწევ ძალად პირუტყვს იყენებდნენ. მაგრამ ვერც ყველაზე სრულყოფილი ძვლისა ან რქის მიწის საჩიჩქნი იარაღით და ვერც არახლუ I-ის ტიპის სახვნელ-საწერელით რამდენადმე შესამჩნევ პროგრესს მიწის დამუშავებაში ვერ მიაღწევდნენ, მიწათმოქმედება კვლავაც ზედაპირული და ნაკლებ ინტენსიური რჩებოდა. ამიტომ ვერ გავიზიარებთ ტ. ჩუბინიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არახლუ I ბორცვის მიდამოებში „სველი“ თხრილების აღმოჩენამ გამოავლინა ადრესამიწათმოქმედო კულტურის დაწინაურების საფუძველი, დაადასტურა მიწათმოქმედების მაღალი დონე, რომელიც უნდა ემყარებოდეს ხელოვნურ მორწყვას და ხასიათდებოდეს გარანტირებული, შედარებით უხვი მოსავლიანობით[81].

მიწის ზედაპირული დამუშავება იმით არის ნაკლებინტენსიური, რომ იგი მიწას მალე ფიტავს. მორწყვა თუმცა ახდენს ამის მეტ-ნაკლებ კომპენსაციას, მაგრამ საბოლოოდ ვერ იცავს მას დამჭლევებისგან. ახლა ძნელია მსჯელობა, იცოდა თუ არა ქვემო ქართლის ენეოლითურ ნამოსახლარებზე მცხოვრებმა ადამიანმა მიწის ხელოვნური განოყიერება, სასუქის სამიწათმოქმედო ნაკვეთში შეტანა. ფაქტია, რომ უკვე იმირის გორის დასახლების პერიოდში, მის შე-

---

[78] И. Г. Нариманов. О земледелии эпохи энеолита в Азербайджане. СА. 3. 1971. стр. 6—11.

[79] თ. კიღურაძე. დასახ. ნაშრ.

[80] ტ. ჩუბინიშვილი. ახალი მასალები ქართლის ადრესამიწათმოქმედო... გვ. 17—18.

[81] ტ. ჩუბინიშვილი. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლები... გვ. 106.

მოგარეწში, საკმაოდ დიდ რადიუსზე ტყე სრულიად განადგურებულია; ხომ არ არის ეს მიწის დასვენებისა და ახალი ნაკვეთის მომზადებისთვის ტყის გაჩეხვა-გადაწვის — ახოს აღების შედეგი?

ფაქტია ისიც, რომ ენეოლითური პერიოდის დასასრულსა და ადრებრინჯაოს ხანის დასაწყისს ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე ცხოვრების კვალი მთელი ათასი წლის განმავლობაში აღარ შეიმჩნევა და მათი საცხოვრებლად კვლავ ათვისება ადრებრინჯაოს ხანის დასასრულს ხდება. ახალმოსახლეთა ეკონომიურ ბაზას მიწათმოქმედება კი არ შეადგენს, არამედ მესაქონლეობა, თუმცა უკანასკნელი არც ენეოლითურ ხანაში ჩანს მიწათმოქმედებაზე ნაკლებ განვითარებული. რა მოხდა? სარწყავი მიწათმოქმედება ხომ იძლევა გარანტირებულ, შედარებით მაღალ მოსავალს? ეს კი ისეთი ფაქტორია, რომელიც გაუკაცრიელებას კი არა, ამ ტერიტორიის საკმაოდ მჭიდრო დასახლებას უნდა აპირობებდეს. სოფლების მიტოვება მხოლოდ რაიმე დიდმა ბუნებრივმა კატასტროფამ, ეპიდემიამ, ან მოსახლეობის ფიზიკურად ამოწყვეტამ თუ შეიძლება გამოიწვიოს. უკანასკნელი გახდა სწორედ მიზეზი გვიანფეოდალურ ხანაში ქვემო ქართლის სოფლების დაცარიელებისა. ენეოლითურ ძეგლებზე არ დასტურდება არც ბუნებრივი კატასტროფა, არც მტრის შემოსევა და სოფლების დარბევა. ძალიან საეჭვოა რომელიმე ავადმყოფობის ისეთი ეპიდემიური აფეთქებაც, რომელსაც ასეთი შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

მოსახლეობის მიერ სოფლების მიტოვება, ე. ი. ძეგლებზე ცხოვრების კვალის უეცარი შეწყვეტა საერთოდ დამახასიათებელია ადრესამიწათმოქმედო კულტურებისათვის და მარტო კავკასიური მოვლენა არ არის. ურწყავი მიწათმოქმედების პირობებში სოფლების ნასოფლარად ქცევა, თითქოს, უფრო რეგულარულ ხასიათს ატარებს და ამის მიზეზად საახოვე მიწათმოქმედებას თვლიან[82]. ანალოგიური მიზეზით შევეცადე ამეხსნა ადრებრინჯაოს ხანის ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე სტრატიგრაფიულ ფენათა სიმრავლე. ამ საკითხს ქვემოთ ისევ დავუბრუნდები. აქ კი აღვნიშნავ, რომ სარწყავი მიწათმოქმედება, თუმც უფრო მკვიდრს ხდის მოსახლეობას, მაგრამ საბოლოოდ ეს სამოსახლოც გარკვეულ ეტაპზე ნამოსახლარი ხდება. ცხოვრების შეწყვეტა სარწყავ ზონაში შემავალ ქვეყნებშიც დასტურდება. იშვიათია ნასახლარი, რომელზედაც ნეოლითურ კულტურას ენეოლითური ენაცვლება, ან ენეოლითურს უშუალოდ ადრებრინჯაო აგრძელებს. ჩვეულებრივ, ეს არ იწვევს ამა თუ იმ „ქვეყნის“ გაუკაცრიელებას. ცხოვრების ცენტრი ერთი მიკრორაიონიდან მეორეში გადადის და, ამგვარად, საბოლოოდ მოსახლეობა თავს იყრის ინტენსიურად სარწყავ ოლქებში, სადაც საზოგადოების განვითარების საერთო პროგრესი, ინტენსიურად სარწყავი მიწათმოქმედების პირობებში, საფუძველს ამზადებს და გადაიზრდება ცივილიზაციაში.

იმ ქვეყნებში, სადაც ინტენსიური სარწყავი ზონები არ არის, ან მორწყვა იმდენად რთული ტექნიკური სამუშაოების განხორციელებას მოითხოვს, რომ ენეოლითელი ადამიანი მას ვერ სძლევს, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტურები ჩიხში ექცევიან და დიდი ხნის განმავლობაში საზოგადოების განვითარების პროგრესი ფერხდება.

ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე ცხოვრების მოშლის არაერთ მიზეზს ასახელებენ: სამიწათმოქმედო ტექნიკის პროგრესთან დაკავშირებით უფრო ძნე-

82 Дж. Г. Кларк. Донсторическая Европа. М. 1967. стр. 100.

ლად მოსაწყობი, მაგრამ უფრო ნაყოფიერი ველების ათვისება, მდინარეთა კალაპოტის შეცვლა, ან მათი საერთო გაშრობა და სხვა. 1973 წ. თურქმენეთში კოპეტდაგისპირა ველის ნეოლითური ძეგლების დათვალიერების დროს ჩემს კითხვაზე — რამ გამოიწვია ამ ველზე ნეოლითის შემდგომ ხანაში ცხოვრების მოშლა, — თურქმენმა არქეოლოგმა, აწ განსვენებულმა ოლიაყული ბერდიევმა ასეთი პასუხი გაგვცა: კოპეტდაგის ფერდზე წყარო-ნაკადულების დებიტი შემცირდა, წყალი ველებს ველარ აღწევდა და მოსახლეობამ, ბუნებრივია, მიატოვა ეს მხარე.

როგორც ვხედავთ, ურწყავი მიწათმოქმედების კრიზისის მიზეზი გვალვაა, სარწყავისა კი — წყლის რესურსების შემცირება. სინოტივე, იქნება ის ბუნებრივი თუ ხელოვნური, რა თქმა უნდა, ფაქტორია ადრესამიწათმოქმედო კულტურების აყვავებისა თუ კრიზისისა, მაგრამ აბსოლუტი არ უნდა იყოს. მე ვფიქრობ, რომ ადრესამიწათმოქმედო კულტურა თვით შეიცავს მიზეზს კრიზისისა. ეს მიზეზი მისი ზედაპირულობაა, მიწის დასამუშავებელი იარაღების პრიმიტიულობა.

ზემოთ აღვნიშნე, რომ მიუხედავად მიწის დასამუშავებელი იარაღების აშკარა პროგრესისა, მიწათმოქმედება ენეოლითში მაინც ზედაპირული რჩება. მას, რასაც ჩვენ მიწის წერასა და თოხნას ვარქმევთ, სინამდვილეში მიწის ჩიჩქნაა, მისი ამობრუნება რამდენიმე სანტიმეტრის სიღრმეზე. ასეთ პირობებში მიწა მალე იფიტება, ძნელდება მისი განოყიერებაც. სხვაა მიწის დამუშავება დიდ მდინარეთა დელტებში, ჭალებში, სადაც მდინარეთა პერიოდული ადიდება რწყავს, ანოყიერებს და მიწას შედარებით ადვილად და ღრმად დასამუშავებელსა ხდის. ასეთ ქვეყნებში შრომის ნაყოფიერების სიდიდე და ორგანიზაციის სირთულე ქმნის პირობებს ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. მაგრამ იქ, სადაც მორწყვა საერთოდ არა გვაქვს ან გვაქვს მცირე მასშტაბით, წყალი აღარ იძლევა ისეთ ეფექტს, როგორსაც, ვთქვათ, შუამდინარეთსა და ეგვიპტეში.

მიწათმოქმედების ჩასახვა უდიდესი ტეხილია ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში. წარმოებითი მეურნეობა იმდენად ეფექტურია მიმთვისებლურზე, რომ საზოგადოების განვითარებაში დიდ ნახტომს იწვევს. ადამიანმა მიაგნო საკვების მეტნაკლებად გარანტირებულ მარაგს, რომლის წარმოებას ნაკლები ფიზიკური და მეტი გონებრივი შრომის დახარჯვა სჭირდება, ვიდრე ნადირობას ან შემგროვებლობას. ადამიანს მეტი დრო რჩება თავისი მატერიალური თუ სულიერი კულტურის განსავითარებლად. პროგრესი იმდენად დიდია და თვალსაჩინო, რომ მას, სავსებით სამართლიანად, რევოლუციად ნათლავენ. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ ბუნებრივად გამოიწვია ადამიანთა გამრავლება — დემოგრაფიული აფეთქება. მაგრამ რამდენად პროგრესიულიც არ უნდა ყოფილიყო წარმოების ახალი წესი, ადამიანთა ხელში საკვების საკმაოდ შეზღუდული მარაგი იყო. ამიტომ ნეოლით-ენეოლითში ძალიან დიდი დასახლებანი იშვიათია. ნასოფლარებზე 300—500 სულ მოსახლეს ანგარიშობენ და ეს რიცხვიც საკმაოდ გადაჭარბებული ჩანს. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

სოფლებიდან ხდება მოსახლეობის ნამატის სეგმენტაცია. ნამატის განსახლება რეგულარული მოვლენაა. ბუნებრივია, რომ ახალი დასახლებები, რამდენადაც შეიძლება, ძველის ახლოს ეწყობა. მაგრამ ყოველი ახალი ძველს თანდათან შორდება. ასე ნელ-ნელა ხდება ათვისება ამა თუ იმ რაიონში მთელი სამიწათმოქმედო სავარგულისა. შემდეგ იწყება კრიზისი, რომელსაც საცხოვ-

რებლად ვარგისი ახალი მიკრორაიონის ძიება და შემდეგ დასახლება მოჰყვება. შეიძლება ახალ მიწაზე მოსახლეობის ნამატი დაჯდეს, შეიძლება კოლონისტებად მთელი ტომი გამოვიდეს და ძველი საცხოვრისი გაუკაცრიელდეს.

ეს პროცესი, რა თქმა უნდა, მეტად ხანგრძლივია, მაგრამ რეგულარული. სხვანაირად წარმოუდგენელია ნამოსახლარებზე ცხოვრების უეცარი შეწყვეტა და დაუსახლებელ ადგილებში ნამოსახლარების გაჩენა. მას, რასაც ჩვენ ხშირად კულტურულ ურთიერთობას ან ვაჭრობას ვეძახით, შეიძლება, უბრალოდ, ტომთა მოძრაობის შედეგი იყოს.

ამდენად, მუდმივად საცხოვრებლად ათვისებული ადრესამიწათმოქმედო ძეგლები, გარდა ინტენსიური სარწყავი ქვეყნებისა, იშვიათია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობა მკვიდრი ბინადარი არ არის, განსაკუთრებით სარწყავ რაიონებში; მაგრამ გარკვეულ პირობებში იგი მობილური ხდება და ძველ საცხოვრისს ტოვებს. წარმოებით მეურნეობაზე გადასვლით გამოწვეული პროგრესი, შემდეგ ამ მეურნეობის კრიზისი ყოველ ადრესამიწათმოქმედო ძეგლზე შეინიშნება. პრიმიტიული მიწათმოქმედების კრიზისის დაძლევა, ჩვეულებრივ, სამიწათმოქმედო ტექნიკის რადიკალურად გაუმჯობესებით (ლითონის სახნისი) ან სარწყავი სისტემების ინტენსიური მშენებლობით ხდება. უფრო ხშირად ეს კრიზისი ხანგრძლივი პროცესია და ამ შემთხვევაში მიწათმოქმედება მეურნეობაში მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. წინა პლანზე კი მესაქონლეობა გამოდის.

ამგვარად, ზედაპირული მიწათმოქმედების დროს ყოველნაირი მორწყვა როდი იძლევა დიდ სამეურნეო ეფექტს და ყოველნაირ მორწყვას როდი სჭირდება რთული ორგანიზაცია. ქვემო ქართლის ვაკეზე ენეოლითის ხანაში ხელოვნურ მორწყვას თუ კი მიმართავდნენ, მას მარტივი ხასიათი უნდა ჰქონოდა. ახლა ძნელი წარმოსადგენია, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო არახლუს სველი თხრილებით ნიადაგში სინოტივის შენარჩუნება. საერთოდ მორწყვის ასეთი ხერხი ზედაპირული მიწათმოქმედების დროს ნაკლებ ეფექტური და საკმაოდ შრომატევადია.

მორწყვა, როგორც აგროტექნიკური ღონისძიება, გარდა ნიადაგში სინოტივის შენარჩუნებისა, გამოიყენება აგრეთვე მის გასანოყიერებლადაც, რადგან მდინარის შლამი საუკეთესო სასუქად ითვლება. „სველი" თხრილებით მორწყვის დროს მდინარის შლამი თხრილებში ილექება და დამუშავებულ ნაკვეთში არ შედის, რადგან, როგორც ვარაუდობენ, თხრილებში წყალი მდორედ მიედინებოდა და დალექვის პროცესი ინტენსიური უნდა ყოფილიყო. ეს კი თხრილების ლამისგან ხშირ გაწმენდას მოითხოვს. თანაც მორწყვის ასეთ ხერხს სინოტივე ნიადაგში ღრმად შეაქვს, რაც ზედაპირული მიწათმოქმედების დროს სრულიად ზედმეტია. ამდენად, ლისიცინას მოსაზრება „სველი თხრილებით" მორწყვის შესახებ მაინცდამაინც დამაჯერებელი არა ჩანს, მით უმეტეს, რომ იმირის გორაზე მორწყვის სრულიად სხვა ხერხი დგინდება — ჩვეულებრივი სარწყავი რუდან გამომდინარე წყლით ნაკვეთის დატბორება ან წყლის კვალში მიშვება. ვფიქრობ, რომ არახლუ I-ზე „სველი თხრილები" მაინცდამაინც მორწყვასთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. არახლუს მიდამოები თუ ირწყვებოდა, ალბათ, ისეთივე ხერხით, როგორც იმირის გორის შემოგარენი.

ქვემო ქართლის ვაკისა და დასავლეთ აზერბაიჯანის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარებზე დამოწმებულია იმ კულტურათა მარცვლები, რომლის მოყვანასაც მისდევდნენ. განსაკუთრებით მრავლად დანახშირებული მარცვლები ფიქსირებუ-

ლია დასავლეთ აზერბაიჯანში, ე. წ. შომუ-თეფეს ტიპის ძეგლებზე: შომუ-თეფე, თოირა-თეფე, რუს-თეფესი და სხვა. აკად. ი. დ. მუსტაფაევმა ამ მარცვლებში დაადგინა შემდეგი ჯიშები: 1. მაგარი ხორბალი (Tr. durum Dest), 2. რბილი ხორბალი (Tr. aestivum), 3. ინგლისური ხორბალი (Tr. turgidum L.) 4. ასლი (Tr. dicoccum Schuebl), 5. მრავალმწკრივა ქერი (Hord. pollidum), 6. ორმწკრივა ქერი (Hord. distichum), 7. კულტურული ქერი (Hord. Bollidum), 8. ველური ქერი (Hord. spontaneum) და სხვა[83].

როგორც ვხედავთ, კულტურული მცენარეები, უმთავრესად, მემინდვრეობის კულტურებით არის წარმოდგენილი. მარნეულის რაიონის ძეგლებზე ბოსტნეულის თესლიც გვხვდება[84]. შომუ-თეფესა და შულავრის გორაზე ყურძნის წიპწებიცაა აღმოჩენილი. შომუ-თეფეზე აღმოჩენილი წიპწა თითქოს ველურობიდან კულტურულ ვაზზე გარდამავალ ჯიშს ეკუთვნის[85]. შულავრის წიპწა განსაზღვრული არ არის, მაგრამ კულტურულიც რომ იყოს, ამ წიპწით ვერ დავასკვნით, რომ ამ დროს მრავალწლიანი კულტურების მოშენებას მისდევდნენ[86].

საინტერესოა, რომ ხორბალი, ქერი, ასლი ნამოსახლარებზე ერთად არიან ფიქსირებული. ი. ნარიმანოვი, სავსებით სამართლიანად, თვლის, რომ საქმე გვაქვს შერეული თესლით თესვასთან. შერეული თესლით თესვა მეტად გავრცელებული აგროტექნიკური ღონისძიებაა ადრესამიწათმოქმედო კულტურებში, და განსაკუთრებით დამახასიათებელია ურწყავი მიწათმოქმედების შემცველი ქვეყნებისათვის[87]. იგი კავკასიის ძეგლებზეც არაერთგზის არის დამოწმებული: ქვაცხელები, შენგავითი და სხვა. დამოწმებულია ეს აგროტექნიკური ხერხი ქართლის ეთნოგრაფიაშიც, სადაც იგი გვალვის საწინააღმდეგოდ იხმარება. ამ შემთხვევაში ერთმანეთს ურევდნენ დიკასა და ქერს, რაც, „გამოცდილი მეურნეების თქმით, იმით ყოფილა კარგი, რომ ქერი უფრო ადრე მოდის დიკაზე და უფრო მაღალიც იზრდება, ქერი მასზე დაბალ დიკას უჩრდილებს და ამის გამო დიკა გვალვას ადვილად იტანდა“[88].

შერეული თესლით თესვა, როგორც აღვნიშნე, ურწყავი მიწათმოქმედების შემცველი ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი. უცნაურია მისი შომუ-თეფეზე აღმოჩენის ფაქტი. შომუ-თეფე მდინარის ჭალაში მდებარეობს და მისი მიდამოები ადვილად მოსარწყავია. რა საჭირო იყო იქ გვალვის საწინააღმდეგო ღონისძიების ჩატარება, ძნელი სათქმელია. იქნებ მორწყვა ქვემო ქართლის ვაკისა და დასავლეთ აზერბაიჯანის ადრესამიწათმოქმედო კულტურისათვის არც ისე ყოვლისმომცველია.

ქვემო ქართლის ვაკისა და დასავლეთ აზერბაიჯანის ლანდშაფტი და ბუნებრივი პირობები ისეთია, რომ იგი მესაქონლეობის განვითარებისთვის უფროა ხელსაყრელი, ვიდრე პრიმიტიული მიწათმოქმედებისთვს. უტყეო, ბალახ-

---

[83] И. Г. Нариманов. О земледелии эпохи энеолита... стр. 4—5.

[84] ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი. უძველესი მიწათმოქმედი... გვ. 93.

[85] И. Г. Нариманов. О земледелии эпохи энеолита... стр. 4.

[86] ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი. ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966). მაცნე. № 3. 1967. გვ. 296; ტ. ჩუბინიშვილი. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლები... გვ. 106.

[87] Древняя Нубия. М.-Л. 1964. стр. 11.

[88] გ. ჩიტაია. ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1949 წლისა. მიმომხილველი, ტ. 1. 1949. გვ. 180.

საფარველიანი ლანდშაფტი, თბილი ზამთარი, ერთის მხრივ, ხელს უწყობდა სათიბ-საძოვრის მოწყობას, მეორეს მხრივ, — აადვილებდა პირუტყვის გამოზამთრებას. შეიძლება ამიტომაც არის დამახასიათებელი შულავერ-შომუ-თეფეს კულტურისათვის მეტად განვითარებული მესაქონლეობა[89]. შულავრის გორის ქვედა ფენებში, რომლებიც ამ კულტურის განვითარების უძველესი საფეხურების შემცველნი არიან და უფრო ნეოლითს განეკუთვნებიან, ვიდრე ენეოლითს, უმთავრესად, შინაური საქონლის ძვლებია დადასტურებული, სამიწათმოქმედო იარაღები კი თითქმის არ მოიპოვება ან მეტად პრიმიტიულია[90]. შემდეგაც, როდესაც პრიმიტიულ-ზედაპირული მიწათმოქმედება აყვავებას განიცდის და მიწის დასამუშავებელი იარაღები საკმაოდ მდიდრულად და ნაირსახეობით არის წარმოდგენილი, ოსტეოლოგიურ მასალაში აბსოლუტური უმრავლესობა შინაური საქონლის ძვლებია და გარეული ცხოველის მხოლოდ რქოვანი მასალა გვხვდება.

ამგვარად, ცენტრალურამიერკავკასიურ, ან როგორც მას მეორენაირად უწოდებენ შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის სამეურნეო ბაზას უფრო მესაქონლეობა ქმნის, ვიდრე მიწათმოქმედება, რაც მესაქონლეობისთვის მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით უნდა იყოს გამოწვეული. საინტერესოა, რომ ენეოლითის შემდეგ ამ მხარეში ცხოვრების გამოცოცხლება შეიმჩნევა ადრებრინჯაოს ხანის დასასრულს[91], ე. ი. მაშინ, როდესაც მესაქონლეობა მტკვარ-არაქსის კულტურაში მაღალ განვითარებას აღწევს, ხოლო მიწათმოქმედება კრიზისს განიცდის. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ქვემო ქართლის ველზე დამოწმებულია სკვითური სამარხი. დავით აღმაშენებელს ყივჩაღები აქ ველზე უნდა დაესახლებინა[92]. უფრო გვიან, მომხდურ ტომთა სამეურნეო აგრესიის შედეგად აქ ინტენსიური მიწათმოქმედება საბოლოოდ იშლება და ბაღ-ვენახები ადგილს უთმობენ სათიბ-საძოვრებს[93]. ე. ი. ქვემო ქართლის ვაკე მეტისმეტად მომზიდველი მხარეა მესაქონლე ტომებისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, იმირის გორაზე აღებული მტვრიანის ანალიზით დადგენილია, რომ უკვე ენეოლითის ბოლო ეტაპისათვის ქვემო ქართლის ვაკე უტყეოა და სტეპისთვის დამახასიათებელი მცენარეული საფარის შემცველი. თავისთავად ისმის კითხვა, ამ მხარეში მხოლოდ და მხოლოდ ველ-მინდვრის არსებობა მესაქონლეობის განვითარებით ხომ არ იყო განპირობებული? ე. ი. საქონლისათვის სათიბ-საძოვრების მოწყობამ ხომ არ გადააშენა აქ ტყე? ტყეს აქტიურად ებრძვის ზედაპირული საახოვე მიწათმოქმედება და ასე, ერთობლივი შეტევით სავსებით დასაშვებია ყველაზე უსიერი და უღრანი ტყის მოსპობაც. მით უმეტეს, თუ კლიმატს სიმშრალისკენ აქვს მიდრეკილება და ტყე

---

89 ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი. უძველესი მიწათმოქმედი... გვ. 54.

90 თ. კიღურაძე. დასახ. ნაშრ.

91 ლ. ღლონტი, თ. კიღურაძე. დანგრეული გორა. ძეგლის მეგობარი. 30. 1972. გვ. 56.

92 რ. დოლაბერიძე. იმირის გორის სამარხი. სსმმ XXX-B. თბ. 1974. გვ. 106.

93 ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი წერს: «С утверждением монгольского владычества агро-культура Грузии постепенно теряет территории, имеющие огромное значение для дальнейшего развития феодального хозяйства. Земледельческое население плодоносных речных долин Куры, Иори, Храма и Дебеды все дальше отступает под напором кочевников-степняков и культурное хозяйство этих территории с развитой мелиорацией уступает место первобытным пастбищам». Н. Бердзенишвили. Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XII—XIV вв.). Тб. 1938. стр. 10.

პასიურია. თუ ასეთი ვარაუდი რამდენადმე მაინც ახლოა სიმართლესთან, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ მორწყვა, როგორც სამეურნეო ღონისძიება, ქვემო ქართლის ვაკეზე გვიან ჩნდება, რომ თავდაპირველად მიწათმოქმედება აქ ურწყავი იყო.

ნამოსახლარ ბორცვებზე აკრეფილ ოსტეოლოგიურ მასალაში მსხვილფეხა საქონლის ძვლები აშკარად მეტია წვრილფეხაზე[94]. შეიძლება ამიტომაც ქვემო ქართლისა და დასავლეთ აზერბაიჯანის ვერც ერთ ენეოლითურ ძეგლზე ქსოვის განვითარებას ვერ ვადგენთ. არსად კვირისტავი — უტყუარი საბუთი ძაფის დართვისა, დადასტურებული არ არის. ეს ფაქტი, ძეგლებზე ტყავის დასამუშავებელი იარაღების მეტისმეტი სიმრავლე დანაირსახეობა რომ არა, შემთხვევითობით შეიძლებოდა აგვეხსნა[95]. ვიღებთ მეტად პარადოქსულ ფაქტს: დასავლეთ საქართველოში, სადაც მესაქონლეობა ენეოლითის ხანაში საერთოდ უცნობია, მიწათმოქმედების ბაზაზე ვითარდება ქსოვა, ხოლო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, განვითარებული მესაქონლეობის პირობებში კი—არა. უნდა იყოს პირიქით. ვ. მასონმა შუა აზიის ნეოლით-ენეოლითური ძეგლების შეჯერებით საკმაოდ დამაჯერებლად აჩვენა, რომ ქსოვა ჩნდება მესაქონლეობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, კერძოდ, იმ დროს, როდესაც მესაქონლეობა იმდენად განვითარებულია, რომ აკმაყოფილებს მოსახლეობის ხორცზე მოთხოვნილების დიდ ნაწილს, მონადირეობა კი მეორეხარისხოვან როლს თამაშობს[96].

როგორც ჩანს, ყოველგვარი მესაქონლეობა როდი უწყობს ქსოვის ჩასახვა-განვითარებას ხელს, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც იძლევა ნედლეულს ქსოვილისთვის. რაც შეეხება მსხვილფეხა საქონელს, მისი ბეწვი ქსოვილის დასამზადებლად არ გამოდგება. ტყავის დიდი მარაგი კი შეიძლება ქსოვის განვითარების შემფერხებლადაც იქცეს. სხვანაირად ვერ ავხსნით იმ ფაქტს, რომ შომუ-თეფე-შულავრის კულტურის მატარებელ ტომებში, რომლებისთვისაც ცნობილია წვნა[97] და მესაქონლეობის დონე საკმაოდ მაღალია, ქსოვა არ განვითარდა.

როგორც აღვნიშნე, შულავერ-შომუ-თეფეს კულტურის უმთავრეს სამეურნეო ბაზას მესაქონლეობა წარმოადგენს, აქ უმთავრესად აშენებდნენ მსხვილფეხა საქონელს, ჰყავდათ აგრეთვე ღორი და ცხვარი. მსხვილფეხა საქონელი — ძროხა, ხარი ძნელად მოსაშენებელია და საკვების უფრო დიდ მარაგს მოითხოვს, ვიდრე, ვთქვათ, ცხვარი. ძნელად საფიქრალია, რომ ზედაპირული მიწათმოქმედებით შეექმნათ პირუტყვის გამოსაზამთრებლად საჭირო საკვები ბაზა. მიწათმოქმედება რომ მზარდ მესაქონლეობას ვერ აკმაყოფილებს, კარგად ჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ უკვე ადრეული ბრინჯაოს ხანიდან მსხვილფეხა საქონლის წილი მესაქონლეობაში მცირდება, წვრილფეხასი კი—იზრდება. წვრილფეხა საქონლის მომრავლება იმდენად არის სარგებლიანი, რომ შეიძლება ზამთარ-ზაფხულ მათი საძოვარზე გაყვანა და ნაკლებ ხელოვნურ საკვებს საჭიროებენ.

თუმცა ქვემო ქართლის ვაკეზე ზამთარი ხანგრძლივი და მკაცრი არ

---

94 ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 94.

95 თ. კიღურაძე. დასახ. ნაშრ.

96 В. М. Массон. დასახ. ნაშრ. გვ. 25—26.

97 ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 83.

არის, მაგრამ პირუტყვი რამდენიმე თვე მაინც საჭიროებს ბაგურ კვებას. რადგან ზედაპირულ მიწათმოქმედებას არ შეუძლია ბზის დიდი რაოდენობით მიცემა, უნდა ვიფიქროთ, რომ ქვემო ქართლის ენეოლითური ხანის მოსახლეობას საკმაოდ განვითარებული ჰქონდა სათიბი მეურნეობა. დღესაც კავკასიის მესაქონლე რაიონებში, იქ, სადაც მსხვილფეხა საქონლის მოშენებას მისდევენ, სათიბებს მეურნეობაში დიდი ადგილი უჭირავთ.

მეძროხეობა, განსხვავებით მეცხვარეობისაგან, რომელიც უფრო მობილურია, ბინადარი მეურნეობაა. ის მესაქონლე ტომები, რომლებიც მსხვილფეხა საქონელს აშენებენ, თვით უაღრესად შეზღუდული მიწათმოქმედების პირობებშიც მყარი ბინადარნი არიან. ამიტომ შესაძლებელია ქვემო ქართლის ვაკეზე ათასწლეულობით უწყვეტი ცხოვრება მაინცდამაინც სარწყავ მიწათმოქმედებაზე კი არა, არამედ მესაქონლეობაზე — მსხვილფეხა საქონლის მოშენებაზე იყოს დაფუძნებული. ასევე, თუ ამ მხარეში სარწყავი სისტემები არსებობენ, უფრო უპრიანია მათი სათიბების მოსარწყავად გამოყენება. საქმე ის არის, რომ საერთოდ გაურკვეველია, რა პრინციპით ხდებოდა ქვემო ქართლის ვაკეზე ენეოლითის ხანაში ხელოვნური მორწყვა. ნამოსახლარზე შემოვლებული თხრილები, თუნდაც ისინი „სველნი“ იყვნენ, ჯერ კიდევ საბუთი არ არის ხელოვნური მორწყვისა, მით უმეტეს, რომ გარკვეული დროის შემდეგ მათზე ნამოსახლარი გადადის, ე. ი. თხრილები ივსება და იქ საცხოვრებელი ნაგებობები იგება.

ქვემო ქართლის ხელოვნური მორწყვის სასარგებლოდ თითქოს ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ აქ ენეოლითურ ხანაში დროის ხანგრძლივ პერიოდში უწყვეტი ცხოვრებაა და კლიმატური პირობები ისეთივეა, როგორც დღეს. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ მესაქონლეობის ბაზაზე სავსებით შესაძლებელია მყარად ბინადარი ცხოვრება, ხოლო ქვემო ქართლში თანამედროვე კლიმატის ჩამოყალიბება მესაქონლეობის შედეგი უნდა იყოს. გარკვეული დროიდან მე შესაძლებლად მიმაჩნია ხელოვნური მორწყვის გამოყენება, მაგრამ ვფიქრობ, რომ თავდაპირველად სათიბები უნდა მოერწყათ, ე. ი. ირიგაციაში ემპირიული ცოდნა-გამოცდილება სათიბების მორწყვის დროს უნდა მიეღოთ. სათიბების მორწყვით უნდა ჩაყროდა საფუძველი ჩვენში სარწყავ მიწათმოქმედებას უფრო გვიან, შუა ბრინჯაოს ხანაში. ამაზე ქვემოთ მექნება ლაპარაკი. უპირატესად სათიბების მოსარწყავადაა გამოყენებული სვანეთის სარწყავი სისტემები. რომლებსაც სპეციალისტები ერთხმად საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიაში დადასტურებულ სარწყავი სისტემებიდან უმარტივესად თვლიან.

ჩვეულებრივ მიღებულია, რომ ირიგაცია ვითარდებოდა მორწყვის უმარტივესი სახიდან („ლიმანური მორწყვა“) უფრო რთულისკენ (სარწყავი რუებით რწყვა). ჩვენს ეთნოგრაფიაში „ლიმანური მორწყვა“ დადასტურებული არ არის. ქვემო ქართლის ვაკის რელიეფი და წყლის რეჟიმი არც იძლევა საშუალებას მორწყვის ასეთი ხერხის გამოყენებისა. ხოლო სარწყავი რუების მოწყობა უფრო რთულია და მორწყვის საქმე მეტ პრაქტიკულ გამოცდილებას მოითხოვს. განსაკუთრებულ ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვს რუს გეზის შერჩევა და სარწყავ ნაკვეთებში მიშვება ისე, რომ არ მოხდეს სახნავის გადარეცხვა-დახრამვა. სარწყავი რუს გატანა-ექსპლოატაციას ბევრი სხვა სირთულე ახლავს. მათ ქვემოთ შევეხები. აქ კი აღვნიშნავ, რომ სათიბების მორწყვა ამ მხრივ შედარებით მარტივია. ბალახის საფარიანი მიწა საკმაოდ მკვრივია და გადარეცხვის და დახრამვის საშიშროება არ ელოდება. ყოველი ხევის წყა-

ლი, ნიაღვარი, წყარო, ნაკადული შეიძლება სარწყავად გამოვიყენოთ. წყლის შედარებით სწრაფი დინების გამო ნაკლებია ლამის დალექვის კოეფიციენტი, რაც არხის ექსპლოატაციას აადვილებს და სხვა.

მორწყვის ასეთი ხერხის გამოყენებისას ბუნებრივი ჩანს ნამოსახლარებზე გარსშემორტყმული თხრილების „სისველე" და დ. თუშაბრამიშვილისა და ალ. ჯავახიშვილის ვარაუდი შულავრის წყლის მიერ ძველი კალაპოტის მიტოვებისა და ნარუალში გადავარდნის შესახებ. სათიბ-საძოვარზე მიშვებული წყალი არ შეიძლებოდა თხრილში არ ჩადენილიყო და პერიოდულად არ ამოევსო იგი. საცხოვრებლის გარშემო, სადაც, ალბათ, ნახირიც ბინავდებოდა, უფრო უპრიანია სათიბ-საძოვრის მოწყობა, ვიდრე ყანისა. შეიძლება თხრილები წყლისა და ნახირისაგან თავდასაცავად ჰქონდა შემოვლებული სოფელს? თხრილში, გამდინარეა შიგ წყალი თუ არა, დინება შემცირებულია, ბუნებრივია, დალექვის პროცესიც მაღალია და სხვა.

სარწყავი არხი, რომელიც დასამუშავებელი ნაკვეთების მოსარწყავად გამოიყენება, ისე უნდა იყოს გატანილი, რომ წყლის დინება მდორე იყოს. ამავე დროს, მისი სიღრმე დიდი არ არის. წარმოუდგენელია ასეთ არხში მდინარე მთლიანად გადმოვიდეს, მით უმეტეს ადიდებული. სხვაა სათიბების მოსარწყავად გამოყენებული არხები, რომლებიც, ალბათ, წყლის სწრაფი დინების გამო, საკმაოდ ღრმად უნდა დახრამულიყო. ასეთ ხრამებს, ვფიქრობ, აქვს პერსპექტივა მდინარის კალაპოტად იქცეს.

ერთი სიტყვით, თავდაპირველად სარწყავი წყალი უნდა სათიბებისა და საძოვრების მოსარწყავად გამოეყენებინათ. მიიღებდნენ რა მორწყვის გარკვეულ პრაქტიკულ გამოცდილებას, შესაძლებელია, ყანების მორწყვაც დაეწყოთ. მაგრამ განვითარდა კი სარწყავი მიწათმოქმედება ქვემო ქართლში? ამ კითხვაზე სანამ უფრო დეტალურად არ იქნება შესწავლილი ნამოსახლარი ბორცვების შემოგარენი, არ იქნება დადგენილი საით მიდის ნამოსახლარ გორასთან აღმოჩენილი თხრილები, გამდინარეა თუ არა ისინი, არ იქნება აღდგენილი სარწყავი სისტემების მიახლოებითი სიტუაციური გეგმები მაინც, პასუხის გაცემა ძნელია.

ახლა ვნახოთ, თუ რას წარმოადგენს ქვემო ქართლის ვაკეზე გავრცელებული ენეოლითური კულტურის ნამოსახლარი. მე შედარებით ვრცლად ვჩერდები ძეგლის ხასიათსა და ნამოსახლარ ფენათა სტრატიგრაფიაზე, რადგან მათი შედარება ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლართან, ვფიქრობ, იძლევა გასაღებს უკანასკნელის მეურნეობის დონისა და ხასიათის დასადგენად. ქვემო ქართლის ვაკეზე უძველესი ბინადარი ცხოვრების კვალი დადასტურებულია შულავრის გორაზე. მეც ამ გორაზე დადასტურებული სტრატიგრაფიული ფენებისა და საცხოვრებელი კომპლექსების აღწერით დავკმაყოფილდები.

«Строительные остатки Шулаверис-гора представляют собой исключительно сложное напластование развалин надстроенных друг над другом жилых зданий и хозяйственных сооружений (помещений для хранения запасов пищи и орудий труда, резервуаров для воды, печей, очагов и др.) из сырцового кирпича и глинобита. Основания и стены разновременных зданий переплетаются в тесный клубок, разобраться в котором — нелегкое дело, тем более, что выявить соответствующие им древние поверхности — уровни двориков и междомных пространств фактически невозможно. Часто

поздние здания врезаются глубже, чем более ранние: это затрудняет выделение одновременных построек, т. е. строительных горизонтов в собственном смысле этого слова. Утверждать, что здесь происходила когда-либо последовательная смена всех строений—невозможно, тем более, что несколько домов показывают поразительную устойчивость, обновляясь неоднократно и как бы вырастая вверх, по мере накопления вокруг них остатков перестраиваемых зданий и хозяйственно-бытовых отходов, в основном однородного характера и постепенного повышения общего уровня поселения. И лишь факт пятикратной последовательной надстройки, установленный в разных местах раскопа, позволяет нам более или менее уверенно говорить о нескольких больших обновлениях, если не на всем, то на одной части поселения»[98].

ცხადია, რომ ნამოსახლარ ფენათა სიმრავლე და სიმძლავრე საამშენებლო თუ ადამიანთა სხვადასხვა საქმიანობით დაგროვებული ნაგავის შედეგია. მიუხედავად ძეგლის მეტად რთული ხასიათისა, მაინც მოხერხდა სტრატიგრაფიული ფენების გამოყოფა და, რაც მთავარია, საცხოვრებელი კომპლექსების დადგენა. უნდა ითქვას, რომ შულავრის გორაზე საცხოვრებელი ნაგებობები საკმაოდ კონსერვატიული ხასიათისაა. ერთხელ შემუშავებული კონსტრუქცია და საცხოვრებელი ნაგებობებისა და დასახლების დაგეგმარების პრინციპი იშვიათად იცვლება. ძეგლზე კი ცხოვრება მთელი ორი ათასი წელი უწყვეტად მიმდინარეობდა[99].

საცხოვრებელი კომპლექსი შულავრის გორაზე შედგება რამდენიმე ნაგებობისგან: საკუთრივ საცხოვრებელი, რომელშიც, როგორც წესი, დამოწმებულია კედელზე მიშენებული კვერცხისებური კერა მარადიული ცეცხლისთვის, მიწაში სანახევროდ ჩასმული სამეურნეო დანიშნულების მომცრო შენობა; საცხოვრებელი შენობის გარე კედელთან ეზოში მოწყობილი ღუმელი და თიხალესილი ორმოები სანოვაგისა და წყლის მარაგისთვის. საცხოვრებელი ნაგებობების ფართობი მერყეობს 4 — 16,5 კვადრატულ მეტრამდე[100]. ო. ჯაფარიძე და ალ. ჯავახიშვილი ფიქრობენ, რომ შულავრის გორაზე და, საერთოდ, ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე ისეთი საზოგადოება ზის, სადაც გვარიდან უკვე გამოყოფილია მრავალოჯახიანი თემი. მიმდინარეობს შესაბამისი ცვლილება ბინათმშენებლობაშიც, რამდენიმე საცხოვრებელი შენობა უკვე ერთი საცხოვრებელი ბლოკის ნაწილად განიხილება. ოჯახის ზრდასთან დაკავშირებით უცდიათ საცხოვრებელი ფართის გაზრდაც[101].

ამგვარად, ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო სოფლები დასახლებული იყო დიდ ოჯახებად. არის ცდა დაახლოებით მაინც აღადგინონ ნასოფლარების მოსახლეობის რაოდენობა. კერძოდ, შულავრის I საამშენებლო ფენაში წყვილადი ოჯახის კუთვნილ ორ საცხოვრებელ კომპლექსს ანგარიშობენ. გათხრილი ფართობი ნამოსახლარი ბორცვის 1/32-ია, ე. ი. სოფელში 60 ოჯახს მაინც უნდა ეცხოვრა, თუ ოჯახში 5—8 სულს ვიანგარიშებთ. მაშინ გამოდის, რომ სოფლის მოსახლეობის საერთო რიცხვი 400—500 სულს უდრიდა. შულავრის გორა მის მახლობლად დაჯგუფებულ გორებს შორის უდიდესია. ამიტომ

[98] А. И. Джавахишвили. დასახ. ნაშრ. გვ. 50.

[99] ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 50.

[100] იქვე. გვ. 51.

[101] იქვე. გვ. 63.

მოსახლეობის შედარებით ნაკლები რიცხვი არის ნავარაუდევი დანარჩენი ნამოსახლარებისთვის: იმირის გორა — 300, „გადაჭრილი“ და „დანგრეული“ გორები—200—250, სულ 1100—1300 სულამდე. დაანგარიშებულია აგრეთვე რამდენი კგ ხორბალი იქნებოდა საჭირო ამ მოსახლეობის გამოსაკვებად და რა ფართობი ეჭირა ყანებს. საერთოდ მიღებულია, რომ ექსტენსიური მეურნეობის პირობებში ერთ სულ მოსახლეზე თვეში 16 კგ ხორბალი არის საჭირო, ე. ი. წლის განმავლობაში დასჭირდებოდა 1300×200—260000 კგ, რომლისთვისაც, თუ ვივარაუდებთ, რომ 1 ჰა ფართობზე 1 ტონა ხორბალი მოვიდოდა, საჭირო იქნებოდა 260 ჰა საყანე ფართობი[102].

ზემომოტანილი გაანგარიშებანი მეტად მიახლოებითია და ნაწილობრივ თუ შეეფარდება სინამდვილეს. ჯერ ერთი, მეტად დიდი რიცხვია აღებული წყვილადი ოჯახისათვის. შულავრის გორაზე იშვიათია ისეთი საცხოვრებელი ნაგებობა, რომელმაც 5 სული დაიტიოს. უფრო რეალური რიცხვია, ალბათ, 2—5; შემდეგ შუამდინარეთის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებით დაანგარიშებული ნორმები ხორბლის მოთხოვნილებაზე და წარმოებაზე, ბუნებრივი პირობებისა და სოციალური განვითარების დონის მეტისმეტი სხვაობის გამო, არა გვგონია ქვემო ქართლის ენეოლითური ნამოსახლარებისათვის გამოსადეგი რომ იყოს. საეჭვოა 1 ჰ ყანას, მიწის ზედაპირული დამუშავებისას, 1 ტ. მარცვალი მიეცა ან 16 კგ ხორბალი საკმარისი ყოფილიყო თვეში ერთი სული მოსახლისთვის. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჭირნახულის საკმაო ნაწილი მიდიოდა კულტმსახურებისა და რიტუალის საჭიროებისათვის (სარიტუალო კვერები, ლუდი, არაყი და სხვა.). ერთი სიტყვით, მოსახლეობის სულადობისა და მის გამოსაკვებად საჭირო საკვების მარაგის დასადგენად გაცილებით მეტი რამ არის გასათვალისწინებელი.

შულავრის ჯგუფის ნამოსახლარი გორების შემოგარენი დაახლოებით 500 ჰაა. აქედან ძნელი წარმოსადგენია, რომ ყოველწლიურად 260 ჰა დაემუშავებინათ. ფართობის საკმაო ნაწილი, ალბათ, საძოვარსა და სათიბს ეჭირა; ამასთან, ზედაპირული მეურნეობის პირობებში მიწის დასვენება აუცილებელია და დასვენებული მიწების ფართობი უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე დამუშავებულისა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, შულავრის გორაზე შეიმჩნევა საგვარეულო თემის საოჯახო თემად დანაწევრების ტენდენცია. ამ პროცესმა თავისი ასახვა ჰპოვა საამშენებლო საქმეშიც. კერძოდ, არის ცდები საცხოვრებელი შენობის ფართის გაზრდისა და ერთოთახიანი საცხოვრებელი სათავსოები მრავალოთახიან სახლ-ბლოკში ერთიანდებიან. საგვარეულო თემის საოჯახო თემად დაშლა ან წყვილადი, მცირე ოჯახების გაერთიანება დიდ ოაჯხებად შენიშნულია შუა და წინა აზიის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე და ეს პროცესი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ერთ-ერთ საერთო კანონზომიერებად არის მიჩნეული. ამ პროცესის მიზეზად მოსახლეობის გამრავლება და საწარმოო ძალების განვითარება მიაჩნიათ, რომ წარმოებითი მეურნეობა იძლევა საშუალებას უფრო მცირე სამეურნეო კოლექტივების შექმნისა, რაც დემოგრაფიული აფეთქების პერიოდში იწვევს საოჯახო თემის ან დიდი ოჯახის ჩამოყალიბებას. ამავე დროს, ნეოლითური ხანის წყვილადი ოჯახებისაგან შემდგარი დასახლებები განიხილება როგორც ერთი გვარის კოლექტივისგან შექმნილი სამეურნეო ერთეული[103].

---

102 ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 94.

103 იქვე, გვ. 57—62.

რა თქმა უნდა, რომ დიდი ოჯახის წარმოშობა საწარმოო ძალების განვითარების პროდუქტია. თავის როლს თამაშობს მოსახლეობის რიცხობრივი ზრდაც. მაგრამ მე მეჩვენება, რომ საოჯახო თემის შექმნა წარმოების ხასიათის სირთულესთან არის დაკავშირებული; კერძოდ, წინა და შუა აზიაში ეს პროცესი სარწყავ მიწათმოქმედებას უნდა გამოეწვია. მორწყვა—სარწყავი არხის გატანა-ექსპლოატაცია საკმაოდ რთული და შრომატევადი სამეურნეო ღონისძიებაა და წყვილადი ოჯახის შესაძლებლობას აღემატება. ამავე დროს, გვარის რიცხობრივი ზრდა აუცილებელს ხდის მის დაშლას. ამდენად, დიდი ოჯახი ის სოციალური უჯრედია, რომელსაც პრიმიტიული მიწათმოქმედების პირობებში შეუძლია დამოუკიდებლად მეურნეობის წარმოება. საოჯახო თემის წარმოებაში მაინცდამაინც ხელოვნური მორწყვა რომ ასრულებდა მთავარ როლს, შეიძლება იმ ფაქტითაც დადასტურდეს, რომ ურწყავი მიწათმოქმედების პირობებში უკუპროცესი გვაქვს. კერძოდ, მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე ძირითადი სამეურნეო უჯრედი ოჯახია, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

რა თქმა უნდა, ხელოვნური მორწყვა აბსოლუტური ფაქტორი არ არის. დიდი და წყვილადი ოჯახების მონაცვლეობა ადამიანთა საზოგადოების განვითარების მთელს მანძილზე შეინიშნება და ისინი განსაზღვრული არიან სოციალურ-ეკონომიური ფაქტორების მეტად რთული კომპლექსით. თუ ადრესამიწათმოქმედო კულტურებში საოჯახო თემის წარმოშობაში დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ირიგაციას, ეს იმიტომ, რომ ამ დროს ხელოვნური მორწყვა ისეთ რთულ სამეურნეო ღონისძიებად მიგვაჩნია, რომელსაც აქვს სოციალური შედეგი. მაგრამ აქაც ყოველთვის გასათვალისწინებელია მორწყვის მასშტაბი და ეფექტი.

ვაჯამებთ რა ზემოთქმულს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვემო ქართლის ენეოლითურ ნამოსახლარებზე შეიმჩნევა გვაროვნული თემების რღვევა და დიდი ოჯახების, სახლების წარმოშობა. ამ პერიოდიდან გორა ერთი გვარის შემცველი სამოსახლოდან სახლებად დასახლებულ სოფლად იქცევა. ასეთი სახლები დასავლეთ ამიერკავკასიაში ადრე წარმოიშვა და იგი განცალკევებული დასახლებაა. მათ წარმოშობას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მიწათმოქმედების წარმოების შედარებითი სიადვილე უწყობდა ხელს. იგივე გახდა მიზეზი შემდგომ ამ დიდი სახლების წყვილად ოჯახებად დაშლისა. აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქვემო ქართლში, მიწათმოქმედების რთული ხასიათის გამო საოჯახო თემის ჩამოყალიბება შედარებით გვიან მოხდა, მაგრამ ეს სოციალური უჯრედი მყარი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, IV ათასწლეულის დასასრულისთვის ქვემო ქართლის ნამოსახლარებზე ცხოვრება წყდება და ჩვენ არ ვიცით ენეოლითელი ტომების შემდგომი ბედი. ეს კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში მაინც უკვალოდ ქრება, რადგან მისი მცირე გენეტიკური კავშირის დაჭერაც კი მომდევნო ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურასთან ჭირს.

ქვემო ქართლის ენეოლითურ ძეგლებზე, კერძოდ იმირის გორაზე, დამოწმებულია საკულტო ნაგებობებიც (მე-9—10 შენობა). ისინი გორის ცენტრში დგანან და მკვეთრად გამოირჩევიან სხვებისგან სიდიდითაც და კონსტრუქციითაც. შენობა წარმოქმნილია ორი, წრიული და ოვალური გეგმის, ნაგებობის შეერთებით. აქედან მთავარია ოვალური სათავსო, რომლის ცენტრში დადასტურებულია სტაციონარული კერა იატაკზე გადალესილი ბორდურით. ბორდურის ლესილობაში ჩატანებულია ხორბლის მარცვლები. უკანა, მრგვალი

შენობის იატაკი ამაღლებულია და ქმნის საკულტმსახურო აბსიდის შთაბეჭდილებას. ეს შენობა სხვა ნაგებობებისგან განსხვავდება იმითაც, რომ გადახურულია არა ცრუ გუმბათით, არამედ ბანურად, ე. ი. აქვს ბრტყელი გადახურვა[104].

მე ამ შენობას, კერძოდ, მის იატაკზე ფიქსირებულ კერას, კვლავ მოვუბრუნდები სამიწათმოქმედო კულტის განხილვის დროს. აქ კი აღვნიშნავ, რომ თვით ფაქტი განსაკუთრებული სიდიდისა და კონსტრუქციის საკულტო ნაგებობის აგებისა მოწმობს იმას, რომ იწყება კულტის ბატონობა, ან მისადმი მოსახლეობის ყმური მორჩილება, ე. წ. ჯვარიყმობა. კულტის სასარგებლოდ, მის კეთილგანსაწყობად თემი იხდის გარკვეულ ნატურალურ და ფიზიკურ გამოსაღებს; არსებობს კულტმსახურების ორგანიზაცია და კულტმსახურნი. ეს ფაქტი მეტად ყურადსაღებია, რადგან ტაძარი ქმნის იმ ორგანიზაციას, რომელიც ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში საფუძვლად დაედო სახელმწიფოებრიობას. კულტმა და ტაძარმა გარკვეული როლი ითამაშეს საქართველოში მცხოვრები ტომების სოციალურ განვითარებაშიც, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

სამწუხაროდ, ძეგლების შესწავლის დონე არ იძლევა საშუალებას განვსაზღვროთ, თუ ვის ეკუთვნის იმირის გორაზე დამოწმებული საკულტო ნაგებობა, უფრო სწორად, ვინ შეადგენს აქ დადგენილი კულტის საყმოს—თემი, გვარი, თუ ტომი. ტაძარი ყოველი აქ ჩამოთვლილი უჯრედის მაორგანიზებელია[105] და ამა თუ იმ კულტის საყმოს დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამით ვამთავრებ ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის მიმოხილვას. როგორც აღვნიშნე, ამ კულტურას აღმოსავლეთ საქართველოში ენაცვლება მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის კულტურის სახელით ცნობილი ადრებრინჯაოს ხანის კულტურა.

§ 2. ადრეული ბრინჯაოს ხანა. პრიმიტიული ურწყავი მიწათმოქმედების კრიზისი. ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულს აღმოსავლეთ საქართველოში ჩნდება ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარები, რომელიც კავკასიაში სათავეს უდებს სრულიად ახალ, ე. წ. მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის კულტურას. ეს კულტურა, უმთავრესად, ადრეული ბრინჯაოს ხანით თარიღდება, თუმც მისი საწყისი ეტაპი შეიძლება ენეოლითსაც განეკუთვნებოდეს. იგი მთელი III ათასწლეული არსებობდა კავკასიაში, შემდგომ კი მის ბაზაზე აღმოცენდა უკვე შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა. საბედნიეროდ, მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები საკმაოდ კარგად არის შესწავლილი როგორც ჩვენში, ასევე სომხეთს, აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. ისე რომ, ამ კულტურის წარმოდგენისას, სავარაუდო დებულებებს კონკრეტული ფაქტობრივი მასალით შემაგრებული მოსაზრებები სჭარბობს. ვიდრე ძეგლებს უშუალოდ განვიხილავდეთ, შევჩერდეთ მათ ტოპოგრაფიაზე.

მტკვარ-არაქსის კულტურის უძველესი ძეგლები დამოწმებულია: შიდა ქართლში — ხიზანაანთ გორა — E დონე, დიღომი, დიდუბე; ქვემო ქართლში—კიკეთი, კოდა, სამშვილდე, თეთრი წყარო და სხვა; კახეთში — გრემი, სიონი, ზემო ბოდბე და სხვა. შემდგომ ამ კულტურის ნამოსახლართა გავრცელე-

---

[104] А. И. Джавахишвили. დასახ. ნაშრ. გვ. 61—65.

[105] В. В. Бардавелидзе. Земельные владения древнегрузинских святилищ. СЭ. I. 1949. стр. 92.

ბის არე გაცილებით ვრცელია: ზღუდრის გვერდა, ოზნი, ქულბაქევი, ამირანის გორა და სხვა. გვიან ეტაპზე კი მტკვარ-არაქსის კულტურა იჭერს მთელ ცენტრალურსა და აღმოსავლეთ კავკასიას, ჩრდილო ირანს, აღმოსავლეთ ანატოლიას და სირია-კილიკიასაც წვდება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასე გავრცობილი სხვა არქეოლოგიური კულტურა კავკასიამ არ იცის.

უკვე ადრეული დასახლებების ტოპოგრაფიიდან ცხადია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები სამოსახლოს ერთი და იგივე პირობას არ უყენებენ. ნამოსახლარები გვხვდება მდინარისპირეთის გაშლილ ველებზე: ხიზანაანთ გორა, დიღომი, დიდუბე; მთიან ზოლში: კიკეთი, ოზნი; მთისპირეთში — სამშვილდე და მთისძირა პლატოზე—კოდა. შემდგომაც, სამოსახლოს შერჩევისას განურჩეველნი არიან: ერთნაირი ინტენსიობით არის ათვისებული ბარი, მთისძირა ზოლი და მთა. ერთი კია, ნამოსახლარების უმრავლესობა, მართლაც, მტკვრისა და არაქსის აუზებშია კონცენტრირებული. განსაკუთრებით მტკვარარაქსელთ იზიდავდა მდინარისპირეთის ვაკობები. მაგ., მტკვრის ნაპირები, სათავიდან ვიდრე ქვემო წელამდე, თანამედროვე დასახლებაზე მჭიდროდ არის საცხოვრებლად ათვისებული. როგორც ჩანს, ველი და მდინარე რაღაც განსაკუთრებულ როლს თამაშობდა მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა ცხოვრებაში. მაგრამ თუ აღმოსავლეთ საქართველოს მთა და ბარი ადრებრინჯაოს ხანაში ერთნაირი სიმჭიდროვით არის დასახლებული, სხვაა ძეგლებზე კულტურული ფენების სიმრავლე და სიმძლავრე. ვფიქრობ, ეს სხვაობა, გავრცელების არეალთან ერთად, ხსნის მტკვარარაქსელის მეურნეობის ხასიათსა და განვითარების დონეს.

მიუხედავად მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლართა სიმრავლისა, რამდენადმე ძლიერი კულტურული ფენების შემცველი ძეგლები მაინც ცოტაა. იშვიათია აგრეთვე მრავალფენიანი ნამოსახლარები. მტკვრის ზედა წელში, ვიდრე ახალციხის ამირანის გორამდე და სოფელ ძველის ნამოსახლარამდე, ჩემთვის ცნობილ ყოველ ნამოსახლარს მეტად თხელი კულტურული ფენა აქვს. ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ ძეგლები გადარეცხილია. მტკვრის სანაპირო ფერდობებზე თითქმის ყველგან იკრიბება მტკვარ-არაქსის კულტურისთვის დამახასიათებელი კერამიკის ნამსხვრევები, მაგრამ არა ჩანს საამშენებლო ჰორიზონტთა დაფენება პლატოზე, ველზე მდებარე ძეგლებზეც. ამირანის გორიდან მოყოლებული ძეგლების ხასიათი იცვლება. მრავლდება მრავალფენიანი ნამოსახლარები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა შიდა ქართლის ვაკე. აქ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე განლაგებულია მრავალფენიანი ძეგლები: ხიზანაანთ გორა, ქვაცხელები, კვერნაქი, გუდაბერტყა. რამოდენიმე ნამოსახლარია კასპის რაიონშიც. უფრო ქვემოთ ასეთი ძეგლები აღარა გვხვდება. მრავალი, ძლიერი კულტურული ფენების შემცველი ძეგლი არაა ცნობილი არც ქვემო ქართლიდან, არც თრიალეთიდან, არც კახეთიდან და არც შიდა ქართლის მთისძირა ზოლიდან. სამწუხაროდ, ძეგლების ხასიათი და ტოპოგრაფია აზერბაიჯანის სამხრეთში ჩემთვის უცნობია. როგორც ჩანს, იქაც თხელი კულტურული ფენების შემცველი ძეგლები სჭარბობენ მრავალფენიანებს. ყოველ შემთხვევაში, მეცნიერულ მიმოქცევაში შემოსული ძლიერი კულტურული ფენების შემცველი ნამოსახლარები ამ რესპუბლიკიდან თითებზე ჩამოსათვლელია.

მტკვარ-არაქსის კულტურის ხანგრძლივობას სულ მცირე 1000 წელს ანგარიშობენ. 1000 წლის განმავლობაში მკვიდრად ბინადარ მოსახლეობას უფ-

რო მეტი მრავალფენიანი ნამოსახლარი უნდა დაეტოვებინა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა სოფლები მეტად სეზონური იყვნენ, რომ მოსახლეობა აქ დიდხანს არ იჯდა. შეიძლება აგრეთვე დავუშვათ, რომ ამ კულტურის ასეთ ვრცელ არეალზე გავრცელება სწორედ მოსახლეობის მობილურობის შედეგია, რომ მოსახლეობა ერთი ადგილიდან გადადის მეორეზე და ასე, კავკასიიდან სირია-კილიკიამდე აღწევს. მაგრამ ხომ გვაქვს მტკვარ-არაქსის კულტურის შემცველი მრავალფენიანი ძეგლებიც? ზოგ ნამოსახლარზე 12—15 ფენაა დადასტურებული (ხიზანაანთ გორა). ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ მრავალფენიანი ძეგლების ხასიათიც მტკვარარაქსელი ტომების მობილურობაზე მიგვითითებს. აქ უნდა აღვნიშნო, რომ როგორი არამკვიდრიც არ უნდა ყოფილიყო ადრეული ბრინჯაოს ხანის დასახლებანი, როგორი ხშირიც არ უნდა ყოფილიყო მოსახლეობის განთესვის პროცესი მტკვარ-არაქსელი ტომები ერთ მიკრორაიონში ისხდნენ და მათი მოძრაობა გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში ხდებოდა, სადაც მათ შექმნეს, თუმც მსგავსი, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი კულტურები. მე ამ საკითხს კვლავ მოვუბრუნდები და უფრო დაწვრილებით განვიხილავ, ახლა კი ამ კულტურის რაობისა და წარმოშობის შესახებ.

მიუხედავად ზოგიერთი საერთო ნიშნისა, მტკვარ-არაქსის კულტურას არაფერი აქვს საერთო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ენეოლითურ კულტურასთან. უფრო მეტიც, ენეოლითური კულტურის გავრცელების რაიონში მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ხანის ძეგლები იშვიათია. როგორც წესი, ენეოლითურ ნამოსახლარებზე ადრეული ბრინჯაოს გვიანი საფეხურის ფენებს ვხვდებით[106]. თვით ის ფაქტი, რომ ნახიჩევანის ქიულ-თეფეზე მტკვარ-არაქსის კულტურა ენეოლითურისგან სტერილური ფენით არის გამოყოფილი, თავისთავად ცხადყოფს, რომ ამ კულტურებს შორის გენეტიკური კავშირი არ არის[107].

მტკვარ-არაქსის კულტურას გენეტიკურად ვერ დავუკავშირებთ ვერც დასავლეთ საქართველოს ნეოლით-ენეოლითის ხანის კულტურას, თუმც ზოგიერთ საერთო ნიშანს მასთანაც ამჟღავნებს. მას არა აქვს საერთო ჩემთვის ცნობილ ჩრდილოეთსა თუ სამხრეთში გავრცელებულ არც ერთ ადრესამიწათმოქმედო კულტურასთან. ამიტომ ცხადია, რომ ამ კულტურის ჩასახვა იმ რაიონებში უნდა ვივარაუდოთ, სადაც მისი ადრეული ეტაპის ძეგლებია დადასტურებული. მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ეტაპზე ყველაზე მჭიდროდ აღმოსავლეთ საქართველოა დასახლებული: ხიზანაანთ გორა, დიდუბე, დიღომი — შიდა ქართლი; კიკეთი, თეთრი წყარო, სამშვილდე — ქვემო ქართლი; გრემი, ბოდბე, სიონი — კახეთი. აქედან უძველესი ხიზანაანთ გორა, დიდუბე და დიღომი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენი კვლევისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლებიდან საცხოვრებელი ნაგებობები მხოლოდ თეთრ წყაროსა და სამშვილდეშია დადასტურებული. დანარჩენი ღია მოედნებს წარმოადგენენ უამრავი საკულტო ორმოთი. მოვიტან ერთი მათგანის — ხიზანაანთ გორის E დონის აღწერილობას.

ხიზანაანთ გორის ნამოსახლარის E დონე წარმოდგენილია ორი ფენით (E_1 და E_2). ფენები ერთმანეთისაგან განსხვავებულია კერების დონეების მიხედვით.

---

106 ლ. ღ ლ ო ნ ტ ი, თ. კ ი ღ უ რ ა ძ ე. დასახ. ნაშ. გვ. 56.

107 А. А. Иессен. Из исторического прошлого Мильско-Карабахской степи. Тр. Азерб. эксп. т. II. МИА. № 125. стр. 18.

სოფელი, როგორც ჩანს, გაშენებული იყო ერთ მთლიან, თიხით მოლესილ იატაკზე, სადაც აქა-იქ ჩადგმული იყო სტაციონარული თიხით ნალესი კერები, რომლებიც წარმოადგენდნენ მიწაში ჩაჭრილ მცირე დიამეტრის ორმოებს. ორმოების თიხით ნალესობა იატაკზედაც გადადის და ქმნის საკმაოდ ფართო ბორდიურს. ბორდიურის ნალესობაში გარეულია ხორბლის მარცვლები. ზოგჯერ კერებად ნახმარია თავწაკვეთილი თიხის ჭურჭლები. შენობის ნაკვალევი არსად ჩანდა, თუმც გორის სამხრეთ ნაწილში იკრიფებოდა კედლის ან ჭერის შელესილობის ფრაგმენტები. იატაკი დაცხრილული იყო ზედა ფენების ნაგებობების კარკასში გამოყენებული სარებით. აქა-იქ სარების ორმოები კრავენ მცირე დიამეტრის წრეებს. ამ ზომის ნაგებობები ზედა ფენებში არ დადასტურებულა, ისე რომ, შეიძლება იგი E დონეზე მდგარი შენობების ნაკვალევი იყოს.

E დონეზე განსაკუთრებით თვალში საცემია საკულტო და სამეურნეო ორმოების სიმრავლე (დმ 1—1,5 მ). ზოგიერთი მათგანი საგულდაგულოდ არის შელესილი, ზოგი კი სახელდახელოდაა ამოღებული კერის ნატეხების, ზესადგრებისა და სარიტუალო ჭურჭლების დასაფლობად.

ხიზანაანთ გორის E დონის ანალოგიურნი არიან: კიკეთი, დიღომი და დიდუბე. ოღონდ ამ ძეგლებზე კერები დადასტურებული არ არის. როდესაც ხიზანაათ გორის E დონეს ვთხრიდით, ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ საქმე გვქონდა ნასოფლართან. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებდა ის ფაქტიც, რომ მის ზემოთ თითოეული ადრებრინჯაოს ხანის საამშენებლო ჰორიზონტი ნასოფლარს წარმოადგენდა. E დონის საცხოვრისობას მხარს უჭერდა იატაკში ჩალესილი სტაციონარული კერები. კერა ხომ ოჯახის სიმბოლოა და მათი საშუალებით დგინდება ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარებზე საცხოვრებელია თუ არა ესა თუ ის ნაგებობა. მაგრამ იმირის გორაზე საკულტო შენობაში ხიზანაანთ გორის E დონის ანალოგიური კერის დადასტურების ფაქტიდან ჩანს, რომ კერა, ოჯახის გარდა, საკულტო ნაგებობისა თუ მოედნის აუცილებელი ატრიბუტიცაა. სხვანაირად წარმოუდგენელია, რადგან ცეცხლი კულტმსახურებაში დიდ როლს ასრულებს. ამ დროს იგი გაღმერთებულია და თაყვანისცემის ობიექტია. ამგვარად, კერის დადასტურება თავისთავად არ ნიშნავს, რომ ესა თუ ის ძეგლი ნამოსახლარია. სავსებით აუხსნელია როგორც ხიზანაანთ გორაზე, ისე დიღომსა და დიდუბეში ორმოების სიმრავლე. თანაც ამ ორმოებში ჭურჭლების, კერის ნატეხებისა და ზესადგრების აღმოჩენა. თუ ჭურჭლებში კიდევ შეიძლებოდა ხორბლისა თუ სხვა მარცვლეულის შენახვა, ამავე დანიშნულებით ხომ ვერ გამოიყენებდნენ კერის ნატეხებსა და ზესადგრებს. როგორც ჩანს, ორმოები საკულტონი არიან, ხოლო შიგ დაცული ჭურჭლები — ხატის საგანძური ან მისადმი შეწირული საგნები. ხიზანაანთ გორის E დონის ჩრდილო ნაწილის ცენტრში აღმოჩნდა საკმაოდ ფართო, ნაცრით სავსე დაბალი ორმო, რაც ამ დონის საკულტო ხასიათს უსვამს ხაზს.

საკულტო მოედნები, თუმც უფრო გვიანი ხანის, საქართველოს არქეოლოგიაში ცნობილია. ასეთი მოედნები საკმაო რაოდენობით არის გათხრილი კახეთში. რაც მთავარია, თითოეული მათგანი დასახლებიდან განცალკევებით დგას, ისე რომ, შეიძლება ხიზანაანთ გორის E დონე, დიღომი და დიდუბე ნასოფლარები კი არა, საკულტო მოედნები იყო. სხვანაირად ამ ძეგლებზე საცხოვრებელი ნაგებობების არდადასტურება ჩემთვის აუხსნელია[107ა].

[107ა] ასევე შეიძლება საკულტო მოედნები იყო გრემისა და ზემო ბოდბის დროებითი სადგომები.

ასეა თუ ისე, ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ხიზანაანთ გორის E დონის მოსახლენი თუ მლოცველნი აგრარულ კულტს სცემდნენ თაყვანს. კერის ლესილობაში ხორბლის მარცვლების შერევა წარმოებითი მეურნეობის საკმაო დაწინაურებაზე მიუთითებს. მტკვარარაქსელი ამ კულტურის ჩასახვისთანავე მიწათმოქმედი და მესაქონლეა, თუმცა არა ისეთი დამჯდარი, როგორც ქვემო ქართლის ვაკის ენეოლითელი ტომები.

მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის კულტურის ადრეული ეტაპის ძეგლები მეტად ცოტა სამეურნეო იარაღს შეიცავენ. ორიოდე კაჟის ნამგლის ჩასართია მოპოვებული ხიზანაანთ გორის E დონეზე. გვიანი პერიოდის ძეგლებზე კი ეს იარაღები საკმაოდ მრავლად არის დამოწმებული. განსაკუთრებით ბევრია კაჟის ნამგლის ჩასართები და ხელსაფქვავები. მიწის დასამუშავებელი იარაღები, ჩვეულებრივ, ძვლისა და რქის თოხებით არის წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ადრეულ ბრინჯაოს ხანაში ეს იარაღები მაინცდამაინც არ განვითარებულა. ერთადერთი, რაც სამიწათმოქმედო იარაღების განვითარებაში შეიძლება პროგრესად ჩაითვალოს, ქვაცხელების B დონეში აღმოჩენილი ირმის რქისაგან დამზადებული სახვნელი იარაღია. რქა სამტოტაა, შუა ტოტი მოჭრილია. უკანა ტოტი გათლილი და წამახული. ალ. ჯავახიშვილისა და ლ. ღლონტის დაკვირვებით, „ამ იარაღით ისეთი სამუშაო სრულდებოდა, რომლის დროსაც მისი სამუშაო პირი თითქმის რქის ძირამდე ჯდებოდა მიწაში. ამრიგად, საფიქრებელია, რომ ბრტყელი წვერი ჭრიდა მიწას, ხოლო ზემო ნაწილი აფხვიერებდა და აკეთებდა კვალს. ე. ი. ერთდროულად შემდგომი დროის სახვნელ-საკვეთელის ფუნქციას ასრულებდა“[108].

ვფიქრობ, სწორად არ არის განსაზღვრული ამ იარაღის დანიშნულება და მისი ნაწილების ფუნქცია. ჯერ ერთი, მას ძალიან პირობითად შეიძლება სახვნელი ვუწოდოთ. იგი უფრო ოქოქს წააგავს, რომლის აღწერილობა მოტანილი აქვს ივ. ჯავახიშვილს „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველ წიგნში. „ოქოქი — წერს ივ. ჯავახიშვილი — უმარტივესი აგებულების მხოლოდ სახნისიანი სახვნელი ყოფილა... სახნისიც პატარა ზომის უკეთდებოდა. ამის გამო ოქოქს მიწის მხოლოდ ზედაპირულად შეუძლია მოხვნა... ოქოქაში ერთ უღელ ხარს აბამდნენ. ამ სახვნელს მიწის მოხვნა მხოლოდ ორი გოჯის სიღრმეზე შეეძლო“[109].

როგორც ვხედავთ, ოქოქა ორ გოჯზე ჩადის მიწაში და ქვაცხელების სახვნელის ყველაზე ახლო პარალელია, უფრო სწორად, მისი განვითარებული სახეა. ოქოქაზე კიდევ უფრო ზედაპირულად უნდა მოეხნა-აექექა, გაეწერა მიწა ქვაცხელის სახვნელს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მისი სამუშაო პირი სახნის-საკვეთელის როლს ვერ შეასრულებდა. საკვეთელი სახნისით მოჭრილი ბელტის დასამუშავებლად იხმარებოდა. ქვაცხელის სახვნელის სამუშაო პირი, ე. წ. სახნისი მიწას მხოლოდ ქექავდა, ბელტს არ ჭრიდა და გასაკვეთიც-გასაფხვიერებელიც არაფერი იქნებოდა.

ოქოქა, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, სახვნელის უძველესი სახეობაა, „რომლის მსგავსი ეგვიპტეში მოიპოვებოდა“[110]. როგორც ჩანს, სახვნელის ეს

---

[108] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი. ურბნისი, I. თბ. 1962. გვ. 39.

[109] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წ. 1. ტფილისი. 1930. გვ. 194—195.

[110] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია. გვ. 197.

სახეობა ადრეულ ხანაში ყველგან ერთნაირი იყო და მსგავსი ფუნქციები ჰქონდა — გაეწერა, აეჩეჩა მიწა. ოქოქას ნაკვალევი დამოწმებულია იუტლანდიაში ბრინჯაოს ხანისთვის. როგორც ჩანს, მეტი ეფექტიურობისთვის მიწას ურთიერთგადამკვეთ ხაზებად კვალავდნენ[111].

საერთოდ, სახვნელი იარაღები თავისი განვითარების ადრეულ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი აადვილებდა მიწის დამუშავებას და ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას, დიდ გარდატეხას მიწათმოქმედებაში ვერ ახდენდა. მიწის დასამუშავებელ ძირითად იარაღად მაინც თოხი რჩება, პრიმიტიულმა სახვნელმა საკმაოდ დიდი ევოლუცია განიცადა, ვიდრე მისი გამოყენება შესამჩნევ ეფექტს მოახდენდა მიწათმოქმედებაში.

ამგვარად, მიწათმოქმედება ადრებრინჯაოს ხანაში კვლავ ზედაპირულია და, ამდენად, ნაკლებინტენსიური. ამავე დროს, თუ ენეოლითში ჩვენ ვუშვებთ ხელოვნური მორწყვის შესაძლებლობას, ადრებრინჯაოს ხანაში მიწათმოქმედება აშკარად ურწყავია. ამას კარგად ადასტურებს ნამოსახლარების ტოპოგრაფია, რომ ერთნაირი ინტენსიობით არის დასახლებული მთა და ბარი და არასდროს, სამოსახლოს არჩევისას, გათვალისწინებული არ არის მორწყვის პერსპექტივა. ამიტომ ყველაზე ადვილად სარწყავი რაიონები — მთისძირა ზოლი ამ დროს საკმაოდ თხლად არის დასახლებული. რამდენადმე მოზრდილი, ძლიერი კულტურული ფენის შემცველი ნამოსახლარები თითებზე ჩამოსათვლელია. მდინარეთა პირებზეც ძეგლები ხშირ შემთხვევაში ისეთ ადგილებშია განლაგებული, სადაც ირიგაცია ტექნიკურად მეტად რთულ და შრომატევად სამუშაოების შესრულებას მოითხოვს: ხიზანაანთ გორა, ქვაცხელები, კვერნაქი და სხვა. საერთოდ, მტკვარი ისტორიულ ხანაში საქართველოს სარწყავ სისტემებში მეტად მცირე როლს ასრულებდა. მორწყვის მთელი სიმძიმე მის შენაკად მდინარეებს აწვათ. მე არ ვიცი მტკვრიდან გამოღებული მცირე ან დიდი სარწყავი რუ, განსაკუთრებით მის მარცხენა ნაპირზე. მტკვარ-არაქსის კულტურის ნასოფლარები კი, უმთავრესად, ამ ნაპირზე არიან კონცენტრირებული.

ურწყავი ზედაპირული მიწათმოქმედება მივიჩნიე ამ ათიოდე წლის წინ მიზეზად იმისა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ნასოფლარები პერიოდულად მიტოვებულია, ადრეული ბრინჯაოს დასასრულს ბარი და მთისძირა ზოლი უკაცრიელდება და მოსახლეობა, უმთავრესად, მაღალმთიან პლატოებზეა დადასტურებული. მე ვწერდი: „ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის არქეოლოგიური ჰორიზონტები შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებს ნაკლებად შეიცავენ, გამოწვეული უნდა იყოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის მეურნეობის, კერძოდ, მიწათმოქმედების დაბალი დონითა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის კლიმატის სიმშრალისკენ მიდრეკილებით. არქეოლოგიაში დადასტურებული ფაქტია, რომ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის კლიმატი გაცილებით ნოტიო იყო, რასაც ხელს უწყობდა ამჟამად გაშიშვლებულ ველებზე თუ ზეგნებზე ხშირი ტყის საბურველის არსებობა, კლიმატის სირბილე თავისთავად ხელს უწყობდა ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს მთის და ბარის შედარებით მჭიდრო დასახლებას ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში“. შემდეგ, ვადგენდი რა ადრებრინჯაოს ხანაში მიწათმოქმედების ზედაპირულ ხასიათს, ვასკვნიდი: „მიწის ზედაპირული დამუშავება კი მიწას მალე ფიტავს და იგი მოსავალს აღარ იძლევა. მ. კოსვენი აღნიშნავს, რომ მიწის

[111] Antiquity. № 77. March. 1946. 38.

ზედაპირული დამუშავების პირობებში ნაკვეთს მხოლოდ რამდენიმე სეზონის განმავლობაში შეეძლო მოსავლის მოცემა, რის შემდეგაც იგი იფიტებოდა და საჭიროებდა ხანგრძლივ დასვენებას. მიწათმოქმედი იძულებული იყო ახალი ნაკვეთი მოემზადებინა დასათესად. გამოფიტულ მიწას გაცილებით ხანგრძლივი დასვენება სჭირდებოდა, ვიდრე მას მოსავლის მოცემა შეეძლო, რის შედეგადაც ხდებოდა სულ ახალი და ახალი ნაკვეთების მომზადება. უკანასკნელი კი, ძირითადად, ტყის ხარჯზე, მისი ახოებად აღებით ხდებოდა... სათესი ნაკვეთების ხშირი ცვლა მოითხოვდა მიწის დიდ მასივებს, რომელზედაც ტყე სრულიად ნადგურდებოდა. ტყის ინტენსიურ განადგურებას ხელს უწყობდა სულ უფრო და უფრო მზარდი მესაქონლეობა. ბ. პიოტროვსკი აღნიშნავს და ქვაცხელას ოსტეოლოგიური მასალაც ადასტურებს, რომ ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე განსაკუთრებით მრავლდება წვრილფეხა საქონლის ძვლები. წვრილფეხა საქონლის მომრავლება მეცხოველეობის მწყემსურ მეურნეობაზე გადასვლას გულისხმობს. უკანასკნელი მოვლენა კი დიდი მასივების საძოვარსათიბებად ქცევას ნიშნავს. ამგვარად, მიწათმოქმედების დაბალი დონე და მზარდი მესაქონლეობა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში იწვევდა ტყის მასიურ განადგურებას, რასაც, თავის მხრივ, სინოტივის გაქრობა და კლიმატის გამშრალება უნდა მოჰყოლოდა...

კლიმატის სულ უფრო მეტად გამშრალება მალე მიწათმოქმედისთვის გადაულახავ დაბრკოლებად უნდა ქცეულიყო. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ტყეების უკან დახევა და აღმოსავლეთ საქართველოს თანამედროვე კლიმატის ჩამოყალიბება ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ ტყის ინტენსიური ჩეხვა და მისი პირდაპირი შედეგი — გვალვა უკვე იმ ზომამდე იქნებოდა მისული, როდესაც მიწაზე ზედაპირული დამუშავებით მოსავალი აღარ მოიწეოდა. მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად მოსახლეობა უნდა აყრილიყო და უფრო ზომიერი კლიმატის მქონე საცხოვრებელი ადგილების ძიებაში უნდა მიჰყოლოდა ტყეს მთებისკენ ან მიემართა გვალვის საწინააღმდეგო ისეთი რადიკალური საშუალებისთვის, როგორიც ხელოვნური რწყვა არის[112].

რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები დროდადრო დასახლებას იცვლიდნენ და შუაბრინჯაოს ხანაში ბარი ფაქტიურად გაუკაცრიელებულია, ჩემამდე კავკასიის არქეოლოგიის არაერთ მკვლევარს აღუნიშნავს[113]. მე მხოლოდ ამის მიზეზად ურწყავი მიწათმოქმედების კრიზისი წამოვწიე წინ. ჩემი ვარაუდი გაზიარებული იყო ზოგიერთი მკვლევარის მიერ, თუმც ბოლო ხანებში მის საფუძვლიანობაში ეჭვია შეტანილი. კერძოდ, ალ. ჯავახიშვილი, იხილავს რა ქვემო ქართლში მრავალფენიანი ძეგლების წარმოშობის მიზეზებს წერს: «... С накоплением опыта в земледелии вырабатываются разные методы и приемы сохранения почвы, или ее искусственной регенерации и повышения урожайности (глубокая вспашка, орошение, удобрение, смешанный сев и др.), что

---

112 ი. კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. გვ. 16. ანალოგიური მოვლენა აღნიშნული აქვს ჯ. კლარკს. იხ. Дж. Г. Д. Кларк. Доисторическая Европа. М. 1953. стр. 100.

113 ო. ჯაფარიძე. ლითონის წარმოების... გვ. 117; მისივე. საქართველოს არქეოლოგია. თბ. 1958. გვ. 85; დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი. შიდა ქართლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები. საქ. ისტ. გეოგ. კრებული. ტ. 1. თბ. 1960. გვ. 190—191.

исключает необходимость периодического перемещения населения в поисках новых земель...

Знаменательно, что некоторые исследователи склоняются к такому же объяснению многослойности поселений Южного Кавказа даже позднего времени — раннебронзовой эпохи, когда, казалось бы, уровень развития земледелия (пахотные орудия, применение тягловой силы, металлического серпа, смешанный сев и др.) мог вполне обеспечить оседлую жизнь родового коллектива; они полагают, что многократное возобновление строительства на поселениях Куро-аракской культуры является следствием периодически повторяющегося ухода населения с местожительства из-за истощения обрабатываемых участков земли и его возвращения после естественного восстановления их плодородия, причем якобы в конце концов это приводит к столь значительным изменениям климатических условий в первоначально освоенных низменных районах, что население вынуждено окончательно покинуть их и переместиться в предгорные области.

... ... подобное объяснение возникновения многослойных поселений нельзя признать вполне удовлетворительным, более того — иногда оно совершенно неприемлемо»[114].

როგორც ვხედავთ, ეჭვის ქვეშ არის დაყენებული როგორც თვით მოსახლეობის მიერ სოფლების დროგამოშვებით მიტოვების ფაქტი, ისე მისი მიზეზი — ექსტენსიური მიწათმოქმედება. ალ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ადრესამიწათმოქმედო ძეგლების სტრატიგრაფიას, მათი კულტურული ფენების სიმძლავრეს და სიმრავლეს არა მეურნეობის ხასიათი, არამედ სხვა ფაქტორები საზღვრავენ. იგი წერს: «Само по себе холмообразное накопление строительных остатков, разрушающихся или заново вовзодимых сырцовых сооружений, вполне естественно, однако причины разрушения и возобновления строительства, течение этого процесса могут быть разными: необходимость ремонта домов, приходивших в ветхость, или их снос и возведение новых зданий; разрушение поселения в результате стихийных бедствий (землетрясение, наводнение, пожар) или вражского нашествия; временное запустение, вызванное епидемией или пандемией, и ряд других. Наконец, образование напластований строительных остатков в ряде случаев может произойти не в результате обновления всех зданий вместе..., а постепенной и естественной перестройкой отдельных его домов»[115].

ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე ნამოსახლარ ფენათა განახლება არც ერთი მოტანილი მიზეზით არ დასტურდება. საერთოდ, ენეოლითურსა და ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებს შორის ძალიან დიდი სხვაობაა და ამ ძეგლების სტრატიგრაფიას სხვადასხვა მიზეზი საზღვრავს. მე ურწყავი ზედაპირული მიწათმოქმედება მხოლოდ ადრეული ბრინჯაოს ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარების სტრატიგრაფიულ ფენათა წარმოქმნის მიზეზად მივიჩნიე. ამიტომ თელებსა თუ თეფებზე სამშენებლო

---

114 А. И. Джавахишвили. დასახ. ნაშრ. გვ. 3—4.

115 იქვე. გვ. 4—5.

ფენათა დაფენების მიზეზების განხილვის დროს ჩემი მოსაზრების კრიტიკა არცთუ ისე გამართლებულია.

ჩემი ვარაუდი იმის შესახებ, რომ არაინტენსიური ურწყავი მიწათმოქმედების შედეგად მტკვარარაქსელი იძულებულია დროდადრო მიატოვოს ძველი სოფელი და სამიწათმოქმედო სავარგულების ძიებაში სულ ახალ და ახალ დასახლებებსა ქმნის, შემუშავებულია შიდა ქართლის ნასოფლარებზე — ქვაცხელებსა და ხიზანაანთ გორაზე დაკვირვების შედეგად. ორივე ნამოსახლარი მთლიანად არის გათხრილი. გათხრები, როგორც ზემოთ არაერთგზის იყო აღნიშნული, სანიმუშოა კავკასიის ადრეული ხანის არქეოლოგიაში, ისე რომ, მათ მონაცემებს ამჟამადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს[116].

როგორც ქვაცხელა, ისე ხიზანაანთ გორა მრავალფენოვანი ძეგლებია. ქვაცხელებზე ადრებრინჯაოს ხანის ორი საამშენებლო დონე და ექვსი ჰორიზონტია დამოწმებული, ხიზანაანთ გორაზე კი — გაცილებით მეტი. ორივე ძეგლზე დონეების გამყოფად გადამწვარი ფენებია (ქვაცხელებზე C_1, ხიზანაანთ გორაზე C_1 და D). უცნაურია, მაგრამ ურბნისის ორივე, ადრებრინჯაოს ხანის ძეგლზე მასალა მთელი სისრულით მხოლოდ გადამწვარ ფენებში შეინახა. რაღაც მიზეზის გამო (შეიძლება რელიგიური) ადრეული ბრინჯაოს ხანის ადამიანი ერიდება ნახანძრალის გაწმენდას, ისე აშენებს ზედ ახალ შენობას. სხვა ფენები კი საგულდაგულოდ არის დასუფთავებული ისე, რომ ახალი შენობის იატაკი უშუალოდ ძველზე ეწყობა.

რით იყო განსაზღვრული ურბნისის ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე ძველი სამოსახლოს მოშლა და ახლის წარმოქმნა? არც ერთ ძეგლზე შენობების რემონტის ინტენსიური კვალი დადასტურებული არ არის. მხოლოდ ხიზანაანთ გორის D დონეზე შეიმჩნევა, რომ ძველი შენობის ნაცვლად ახალი აუშენებიათ (შემორჩენილია ძველი შენობის კედლის სარების ნაკვალევი)[117], მაგრამ ამ გადაკეთებას ახალი ჰორიზონტის წარმოქმნა არ გამოუწვევია. სურათი ისეთია, რომ ცხოვრება სოფელში ერთდროულად მოშლილა და ასევე ახალი დასახლებაც ერთბაშად წარმოქმნილა. ხიზანაანთ გორაზე სხვადასხვა ფენის შენობები გეგმისა თუ კონსტრუქციის თავისებურებებით ხასიათდებიან. მაგალითად, C_2 ჰორიზონტის შენობებს არა აქვთ იატაკის შემაღლებები, D დონეზე წრიული შენობებია, E-ზე საერთოდ არა გვაქვს ნაგებობები და სხვა. ხიზანაანთ გორაზე დამოწმებულია დროებითი სადგომებიც — C_3 ჰორიზონტი წარმოდგენილია D დონის ნანგრევებში სახელდახელოდ ნაგები შენობებით. კერებიც კი მეტად ნაჩქარევად, ნაკლები სიბეჯითით არის გამართული. ხშირად კერას იატაკში ჩადგმული ჭურჭლის მუცელი ცვლის. ორივე ძეგლზე არის შემთხვევები კერის ამოღებისა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საცხოვრებელი მიტოვებულია. ფენებში ახალი თანდათან კი არ შემოდის, არამედ ერთბაშად, რაც მოწმობს იმას, რომ გორებზე ყოველი ახალი ფენა ახალმოსახლეთა ნაკვალევია.

საინტერესოა ამ მხრივ სამაროვნის სხვადასხვა ადგილას აღმოჩენის ფაქტი. ხიზანაანთ გორაზე მოსახლეთა სამარხები აღმოჩენილია ურბნისის ნაქალაქარის სხვადასხვა უბანზე — I, XII, XXXVI და სხვა. რა თქმა უნდა, ერთია-

---

116 ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ღ ლ ო ნ ტ ი. ურბნისი. 1; ი. კ ი კ ვ ი ძ ე. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. თბ. 1972.

117 ი. კ ი კ ვ ი ძ ე. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს... ტაბ. V. გვ. 29.

ნი, უწყვეტი ცხოვრების შემცველ საცხოვრისს ერთი სამაროვანი ექნებოდა. ურბნისში კი სამაროვანი ბევრია, ისე როგორც ნამოსახლარი ფენები.

ზემოთ მოვიტანე ამონაწერი ალ. ჯავახიშვილის წიგნიდან, თუ რა რთული იყო შულავრის გორის სტრატიგრაფიაში გარკვევა და ეს გასაგებიცაა, რადგან შულავრის გორაზე მეტნაკლებად უწყვეტი ცხოვრებაა დადასტურებული და კულტურული ფენების სიმძლავრეს და სიმრავლეს ის მიზეზები საზღვრავს, რომლებიც ალ. ჯავახიშვილს აქვს ჩამოთვლილი. სხვაა ადრეული ბრინჯაოს დასახლებები. როგორც ქვაცხელებზე, ისე ხიზანაანთ გორაზე სტრატიგრაფია ნათლად ჩანს ნამოსახლარის ყოველ ნაწილში. შულავრის გორაზე, ამ ნამოსახლარის მოქმედების ორი ათასი წლის მანძილზე, მხოლოდ 5 საამშენებლო ჰორიზონტის გამოყოფა მოხერხდა, როდესაც ქვაცხელებზე ასეთი ჰორიზონტი 6-ია, ხიზანაანთ გორაზე კი — 9. ამავე დროს, ხიზანაანთ გორაზე ფენათა მონაცვლეობა გაცილებით ხშირი უნდა ყოფილიყო. მოყოლებული B_1 ფენიდან D დონის ჩათვლით თითოეული ნასახლარი ჰფრის მის წინა ნასოფლარს. საინტერესოა, რომ განადგურებული ნასოფლარები ერთი გეგმით არის გაშენებული, ისევე როგორც ჩვენამდე მოღწეული ნასახლარები, რაც, ვფიქრობ, გორაზე სხვადასხვა მოსახლეთა ნაკვალევია.

როგორც ვხედავთ, ენეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია არსებითად განსხვავებულია, რაც გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ენეოლითელი უფრო მკვიდრი მოსახლე იყო, ვიდრე მტკვარარაქსელი. მტკვარ-არაქსის კულტურის დასახლება რომ მობილურია, ამას ყველაზე ცხადად მაინც ის ფაქტი უსვამს ხაზს, რომ ჩვენში ამ ხანის ერთფენიანი ნამოსახლარები აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ. იქნებ ეს მოვლენა მტკვარ-არქსის კულტურის განვითარების გარკვეულ საფეხურზე იწყება და ადრე მტკვარარაქსელი უფრო ბინადარი იყო? საქმე ის არის, რომ ერთფენიანი ძეგლები სჭარბობს მრავალფენიანს ამ კულტურის განვითარების ყოველ ეტაპზე, ადრეული იქნება იგი, განვითარებული თუ გვიანი. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ არაერთი ნამოსახლარი მკვლევართა მიერ დროებით სადგომებად არის მიჩნეული, მაგალითად გრემი, ზემო ბოდბე[118], ქულბაქევი[119] და სხვა.

ერთი სიტყვით, ბევრი რამ მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე უჩვენებს, რომ მტკვარარაქსელი დროთა განმავლობაში სამოსახლოს იცვლიდა. ახლა ვნახოთ, თუ რა მიზეზით. ბუნებრივი კატასტროფა, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა სოფლის მიტოვების მიზეზი გამხდარიყო, მაგრამ წყალდიდობა შიდა ქართლის ვაკეზე მდებარე ნამოსახლარებს არ ემუქრებოდა. როგორც არ უნდა ამაღლებულიყო წყლის დონე, იგი სოფლებს ვერ მიწვდებოდა. ხანძარი ძეგლებზე დადასტურებულია, მაგრამ ასეთი შემთხვევა ქვაცხელების ექვსი ნასახლარი ფენიდან ერთშია დამოწმებული, ხიზანაანთ გორის ცხრა ფენიდან კი — ორში. მიწისძვრა, რომელიც, მართლაც, ხშირია შიდა ქართლში არ უნდა გამხდარიყო ახალი ნამოსახლარი ფენის წარმოშობის მიზეზი, რადგან რა საჭირო იქნებოდა ახალი იატაკისა და ახალი კერის შენება?

არც მტრის შემოსევა არ უნდა ყოფილიყო სოფლების ნგრევის მიზეზი. ადრეული ბრინჯაო, ისევე როგორც ენეოლითური ხანა, კავკასიაში საკმაოდ

---

[118] Ш. Ш. Дедабришвили. დასახ. ნაშრ. გვ. 67, 72.

[119] ო. ჯაფარიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 23—24.

მშვიდობიანი პერიოდია. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ნამოსახლართა უმრავლესობას არც ბუნებრივი და არც ხელოვნური სიმაგრეები არა აქვს. ამავე დროს, საომარი იარაღი ნამოსახლარებზე იშვიათად გვხვდება. თითო-ოროლა ისრის თუ შუბის პირი, რა თქმა უნდა, საომარი მდგომარეობის შთაბეჭდილებას ვერ ქმნის. თანაც ისრისპირი უფრო სამონადირეო იარაღია, ვიდრე საომარი, მტრის შემოსევას თავისი კვალი უნდა დაემჩნია ნამოსახლარებისთვის. ასეთი კვალი კი ნამოსახლარებზე არა ჩანს.

მტრის შემოსევა, ისევე როგორც ეპიდემია, ისეთ დიდ მსხვერპლს იწვევს, რომ აუცილებლად უნდა აისახოს სამაროვანზე, კერძოდ, უნდა გვქონდეს კოლექტიური უინვენტარო სამარხები და სხვა. ეპიდემიამ კიდევ შეიძლება სოფლის მიტოვება გამოიწვიოს, მტრის შემოსევას კი ასეთი შედეგი არ უნდა მოჰყოლოდა. ერთი სიტყვით, მოსახლეობის რეგულარულ მოძრაობას უფრო ღრმა მიზეზი უნდა მოეძებნოს და ეს მიზეზი, ვფიქრობ, მეურნეობის ხასიათშია, კერძოდ, მიწათმოქმედების ხასიათში.

როგორც აღვნიშნე, ადრებრინჯაოს ხანაში მიწათმოქმედებას რაიმე შესამჩნევი პროგრესი არ განუცდია. იგი კვლავ ზედაპირული და ნაკლებინტენსიურია. იმ სამეურნეო ღონისძიებებს, რომლებსაც, ალ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ადრეულ ბრინჯაოს ხანაში უნდა გამოეწვია მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია და უფრო მყარი ბინადარი ცხოვრება, ფაქტიური მასალით ვერ ვამტკიცებთ, ან ისინი მიწათმოქმედებას შესამჩნევად ინტენსიურს ვერ ხდიდნენ.

ქვაცხელების ნამოსახლარზე აღმოჩენილი სახვნელის განხილვის დროს ვაჩვენე, რომ ეს იარაღი მიწას ღრმად ვერ მოხნავდა. რა თქმა უნდა, მიწის მხოლოდ მოჩიჩქნა შეეძლო ნამოსახლარებზე დამოწმებულ მიწის სხვა დასამუშავებელ იარაღებსაც — ქვისა და ძვლის თოხებს (ტაბ. III, 3—5). რაც შეეხება ლითონის ნამგლებს, კაჟის ჩასართიან ნამგლებთან შედარებით, ისინი ისეთი მცირე პროცენტით არიან წარმოდგენილნი, რომ მათი სამეურნეო ეფექტი ძალიან ეჭვს იწვევს. საერთოდ კაჟის ნამგლის ჩასართები მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე საკმაოდ ბევრია დამოწმებული. მარტო ხიზანაანთ გორის № 8 შენობაში აღმოჩენილი ჩასართებიდან ცხრა ნამგალი შეიკვრებოდა. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ნამგალიც (ტაბ. III, 2). ამდენი ნამგალი, ბუნებრივია, სრულიად ზედმეტი ჩანს მხოლოდ მიწათმოქმედებისთვის. მათი სიმრავლე სათიბი მეურნეობის განვითარებით უნდა იყოს გამოწვეული. ამავე დროს ნამგალი გარკვეულ როლს თამაშობს რიტუალშიც.

რაც შეეხება ხელოვნურ მორწყვას, ვფიქრობ, ნამოსახლარების გავრცელების ტოპოგრაფიიდან აშკარად ჩანს, რომ იგი ამ ხანაში არ გამოიყენებოდა. ძალიან ძნელია დაადგინო ხდებოდა თუ არა მიწის ხელოვნური განოყიერება. ზოგიერთი მონაცემი ადრეულ ბრინჯაოს ხანაში ამ სამეურნეო ღონისძიების გამოყენებასაც უარყოფს. ჯერ ერთი, ურწყავი მეურნეობის პირობებში, როდესაც კლიმატი მშრალია, პატივის ნაკვეთში შეტანამ შეიძლება უკუეფექტი მოგვცეს; მეორეც, ენეოლითურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში მორწყვის ისეთი ხერხია ნავარაუდევი, რომელსაც დასამუშავებელ ნაკვეთში ნალექი, ე. ი. სასუქი არ შეაქვს; მესამეც, ნაცრის ოთახებში, ან ოთახის გარეთ, ნასოფლარზე დაგროვების ფაქტი მოწმობაა იმისა, რომ მიწის განოყიერება სამიწათმოქმედო პრაქტიკაში ჯერ კიდევ უცნობი იყო. საქმე ის არის, რომ ამ დროს ფართოდ უნდა გამოყენებულიყო წივა. კერებში სწორედ წივის დაფერფლისაგან მიღებული ნაცარია დადასტურებული. ნაცარი, თუმც წმინდა

ცეცხლის ნაშთია, ისიც წმინდაა და რიტუალში გამოიყენება, მაგრამ იგი ამავე დროს სასუქიცაა. მით უმეტეს წივისგან მიღებული, და მიწის განოყიერების პრაქტიკა რომ ჰქონოდათ, ამ ნაცარსაც გამოიყენებდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, შერეული თესლით თესვა, გვალვის საწინააღმდეგო სამეურნეო ხერხია. მაგრამ ამ ღონისძიების გამოყენება ადასტურებს არა მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციას, არამედ მის კრიზისს. შერეული თესლით თესვა უკიდურესი საშუალებაა, რომ მოსავლის ნაწილი მაინც იხსნა. ყოველგვარ პირობებში ამ ხერხით თესვით მოსავლის ნაწილი იკარგება. საქმე ის არის, რომ ქერი პურზე ადრე შემოდის. თუ ქერს მოიმკი, პურის მოსავალი იკარგება, ხოლო თუ პურის შემოსვლას დაუცდი, ქერი დაიმარცვლება და მისი მოსავლის ნაწილი იღუპება. უკიდურესად გაჭირვებული უნდა იყოს მეურნე, რომ ამ ღონისძიებას მიმართოს. ამიტომ შერეული თესლით თესვა, როგორც აგროტექნიკური ხერხი, მხოლოდ ურწყავი მიწათმოქმედებისთვის არის დამახასიათებელი.

ამგვარად, ადრეული ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე ინტენსიური მიწათმოქმედების დამადასტურებელი ობიექტური მონაცემები არა გვაქვს. ყველაფრიდან ჩანს, რომ მიწათმოქმედება ამ დროს ზედაპირული და ურწყავია. ამიტომ მოსახლეობის სწრაფვა ნაკლებგვალვიან ზონებში დასახლებისკენ სავსებით გასაგებია. სხვათა შორის, პრიმიტიული მიწათმოქმედება საოცრად განურჩეველია მთისა და ბარის მიმართ. იგი ერთნაირი წარმატებით ვითარდება როგორც მთაში, ისევე ბარში. ბარი, როგორც უპირატესად სამიწათმოქმედო რაიონი, ასეთი მეურნეობის დროს ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არა ჩანს. შესაძლებელია მთიანი ზოლი, როგორც ნოტიო კლიმატის შემცველი, ზედაპირული მიწათმოქმედებისთვის უფრო მიზანშეწონილიც იყოს.

ბარიდან მთაში მოსახლეობის კონცენტრაციას, როგორც აღვნიშნე, ხელს უწყობდა სულ უფრო და უფრო მზარდი მესაქონლეობა. ბ. პიოტროვსკის სწორედ მესაქონლეობა მიაჩნია ერთადერთ მიზეზად ადრებრინჯაოს ხანის მიწურულს ბარის დაცარიელებისა. «Рост поголовья скота — წერს იგი — и необходимость обеспечить скот кормовой базой, привели к освоению высокогорных лугов богатых травой. Но эти луга сезонные и постоянные поселения в их зоне существовать не могли, поэтому скотоводство приняло форму полукочевого отгонного с выгоном скота в горы на летнее время. Новый вид скотоводства оторвал его от земледелия и мы видим, что в начале II тысячелетия до н. э. земледельческие поселения энеолитического времени в низинах затухают, жизнь на них прекращается примерно на целое тысячелетие.

Нет сомнения в том, что в начале II тысячелетия до н. э. происходит смена местожительства, связанная с тем, что ведущей формой хозяйства становится скотоводство»[120].

აღრე მე მქონდა საშუალება გამომეხატა ჩემი დამოკიდებულება ბ. პიოტროვსკის მოსაზრებისადმი. მე ვიზიარებ მის ვარაუდს, რომ მესაქონლეობა გარკვეულ როლს ასრულებს ბარის ათხელებასა და მთის დასახლებაში. მაგრამ არა იმ მიმართებით, როგორც ბ. პიოტროვსკი ფიქრობს. ჯერ ერთი, საეჭვოა, რომ ადრეულ ბრინჯაოს ხანაში მესაქონლეობა საიალაღო ფორმაზე გადასულიყო. ზაფხულობით მთაში, ხოლო ზამთრობით ბარში საქონლის დენა გვიან-

[120] Б. Б. Пиотровский. დასახ. ნაშრ. გვ. 6.

დელი მოვლენაა. მთა, უფრო სწორად, მთის ზოლში შემავალი პლატოები, საფიქრებელია, ძვ. წ. III ათასწლეულში ტყით ყოფილიყო დაფარული. ყოველ შემთხვევაში, ის რაიონები, სადაც ადრეული ბრინჯაოს გვიანი საფეხურისა და შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებია კონცენტრირებული, ადრე ტყიანი უნდა ყოფილიყო. ალპურ საძოვრებზე ძეგლები დადასტურებული არ არის და არცაა სავარაუდო, რომ ადრებრინჯაოს ხანაში ეს ზოლი აეთვისებინათ.

საერთოდ, სწორი არ არის მოსაზრება, რომ მთაში მესაქონლეობის განვითარებისათვის უკეთესი პირობებია, ვიდრე ბარში. საზამთრო საძოვრები მომთაბარე მესაქონლეობას გაცილებით მეტ ხანს სჭირდება, ვიდრე საზაფხულო, და როცა სამისო კონიუნქტურა შეიქმნებოდა, აღმოსავლეთ საქართველოს ბარი არაერთხელ ქცეულა საძოვრებად. ამაზე ზემოთ მქონდა ლაპარაკი და აქ აღარ გავიმეორებ. ე. ი. მესაქონლეობა არ შეიძლება გადამწყვეტ პირობად მივიჩნიოთ III ათასწლეულის ბოლოს მთის ინტენსიურად დასახლებისა. თუ მან ამ პროცესში მაინც შეასრულა რაიმე როლი, იმით, რომ ხელი შეუწყო ტყის მასობრივ განადგურებას.

როგორც ენეოლითში, ასევე ადრეული ბრინჯაოს ხანაში მესაქონლეობაში უპირატესობა კვლავ მსხვილფეხა საქონელსა აქვს, თუმცა წვრილფეხაც საკმაოდ მომრავლებულია და შეიმჩნევა ტენდენცია მისი გამრავლებისა. მესაქონლეობის განვითარება ნაკლებად ინტენსიური მიწათმოქმედების პირობებში კი, მიწის დიდი მასივების სათიბ-საძოვრად ქცევას ნიშნავს, რაც, რა თქმა უნდა, ტყის ხარჯზე ხდება. ხოლო ტყის გაკაფვა, თავისთავად, გვალვის წინაპირობაა.

ამგვარად, მზარდი მესაქონლეობა, ზედაპირულ მიწათმოქმედებასთან ერთად, ხელს უწყობს აღმოსავლეთ საქართველოსა და ამიერკავკასიაში თანამედროვე კლიმატის ჩამოყალიბებას, რომელიც ურწყავი მიწათმოქმედებისათვის გადაულახავ დაბრკოლებად იქცევა და მოსახლეობა იძულებულია მიატოვოს ძველი ნამოსახლარები, უფრო ნოტიო ადგილების ძიებაში მიჰყვეს ტყეს მთებისაკენ. უფრო სწორი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ მთა ინარჩუნებს მოსახლეობას. აქ ცხოვრება კვლავ ინტენსიურია. ბარი კი თხელდება. სხვა საკითხია, თუ სად მიდის ბარის მოსახლეობა. ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი ადრებრინჯაოს გვიანი საფეხურისა და შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებით თუ ვიმსჯელებთ, ამ მოსახლეობას მაინცდამაინც მთისთვის არ მიუმართავს. შუაბრინჯაოს ხანა არც ისე ინტენსიური დასახლებით ხასიათდება, რომ მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მოსახლეობის კონცენტრაცია მთაში ვივარაუდოთ. ჯერ ერთი, იქ, სადაც შესაფერისი პირობები იქნებოდა, მოსახლეობა კვლავ შერჩებოდა ბარს. მეორეც, ამ დროისთვის მტკვარარაქსელი სირიას აღწევს და ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ კულტურის ასე შორს განთესვა სწორედ ამიერკავკასიის ბარის „ათხელების", მოსახლეობის მიერ ამ მხარის მიტოვების შედეგია.

მტკვარ-არაქსის კულტურაში ნამოსახლარების მობილურობა, რა თქმა უნდა, შედარებითია. სოფლები, როგორც ჩანს, ათეული წლობით და შეიძლება საუკუნეობითაც არსებობდნენ. ძველი სამოსახლოს მიტოვება ძალიან ხშირი არ უნდა ყოფილიყო. იგი შესამჩნევ დაღს ვერ დაასვამდა მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების ნივთიერი თუ სულიერი კულტურის განვითარებას. უკანასკნელი კი ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება. სწორედ მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში წარმოიქმნა თრიალეთის დიდი ყორღანების ცნობილი კულტურა და რომ მიწათმოქმედების ექსტენსიური ხასიათი არა, ეს

კულტურა შეიძლება ცივილიზაციაშიც გადაზრდილიყო. სწორედ, უკანასკნელი ანელებს მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების სოციალურ განვითარებას, თორემ ხელოსნობა (ლითონის, კერამიკის წარმოება), მშენებლობა, თუ სხვა დარგი ადრებრინჯაოს ხანის ამიერკავკასიაში საკმაოდ განვითარებულია.

ადრეული ბრინჯაოს ხანის დასასრულისთვის ამიერკავკასიის ბარის „ათხელება" პირობითია და მხოლოდ იმ რაიონებს გულისხმობს, რომლებიც ადრე მეტ-ნაკლები სიმჭიდროვით იყო დასახლებული. სავსებით ბუნებრივია, რომ ბარის იმ ნაწილის საცხოვრებლად ათვისება, რომელზედაც მოსახლეობა თხლად ზის, ან საერთოდ არ ყოფილა დასახლებული, სწორედ ამ ხანაში ხდება. საინტერესოა ამ მხრივ იორ-ალაზნის აუზში მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლების გავრცელების ტოპოგრაფია*.

მტკვარ-არაქსის კულტურა იორ-ალაზნის აუზში საკმაოდ სუსტად არის გამოვლენილი და შესწავლილი. ნამოსახლარებით თუ ვიმსჯელებთ, კახეთი არც თუ ისე ინტენსიურად არის ამ ხანაში დასახლებული. ამავე დროს, ძეგლები, უმთავრესად, ან ადრეული ბრინჯაოს საწყის ეტაპს განეკუთვნებიან, ან დასასრულს. მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის ძეგლებია სიო-

---

* კ. ფიცხელაური ეხება რა კახეთში ბრინჯაოს ხანის ძეგლების გავრცელების საკითხს, წერს: „როგორც ცნობილია, ბ. პიოტროვსკის ვარაუდით, ნახევრად მომთაბარული მესაქონლეობის განვითარებამ ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში მოსახლეობა ჩამოაშორა მიწათმოქმედებას. ამასთან დაკავშირებით მოსახლეობა საცხოვრებლად მთას ამჯობინებს, რის გამოც შეიმჩნევა დაბლობ რაიონებში ცხოვრების თანდათანობით ჩაქრობა... ი. კიკვიძე იზიარებს პიოტროვსკის აზრს— მოჰყავს ჩემი მოსაზრება ადრებრინჯაოს ხანის მიწურულში ბარის „ათხელების" მიზეზის შესახებ— აღმოსავლეთ საქართველოს ნამოსახლართა უმეტესობაზე მართლაც შეიმჩნევა ბრინჯაოსა და რკინის ხანის სხვადასხვა პერიოდში ის ვითარება, რომ მოსახლეობა მასიურად ტოვებს ძველ საცხოვრებელ ადგილებს... მაგრამ, ჩვენი აზრით, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, უფრო გამართლებული ჩანს, ამ მოვლენას სხვადასხვა ეპოქისთვის და სხვადასხვა მიკრორაიონისთვის განსხვავებული ინტერპრეტაცია მოეძებნოს. მაგალითად, ი. კიკვიძის ზემოთ დასახელებული მოსაზრება შეიძლება მართლებული იყოს შიდა ქართლისთვის, მაგრამ, როგორც დავინახეთ, იგი სრულიად გამოუყენებელია გარე კახეთის ძეგლებისათვის". მე სრულიად ვეთანხმები კ. ფიცხელაურს, რომ განსხვავებული ეპოქებისა და მიკრორაიონებისთვის დამახასიათებელ მოვლენებს სხვადასხვა ინტერპრეტაცია უნდა მოეძებნოს. უფრო მეტიც, თითოეულ ძეგლს თავისებური მიდგომა და კვლევა სჭირდება. მაგრამ ამა თუ იმ ეპოქის განმაზოგადებელი დახასიათებისთვის აიღება ის მოვლენა, რომელიც საერთოა ძეგლთა უმრავლესობისთვის. ამდენად, სავსებით მართლები არიან ისინი, ვინც წერენ, რომ ადრეული ბრინჯაოს ხანისთვის ბარს მოსახლეობა ტოვებს. ესა თუ ის გადახვევა, რა თქმა უნდა, საერთო სურათს არ ცვლის.

მე ვწერ, ბარის მიტოვება არ უნდა იყოს გაგებული ისე, რომ ბარი მთლიანად დაცარიელდა და იგი უკაცრიელი შეიქმნა, არამედ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანასთან შედარებით მოსახლეობამ იკლო. რა თქმა უნდა, შედარებით ზომიერი კლიმატის მქონე ადგილებში ცხოვრება კვლავაც გრძელდებოდა ისევე, როგორც მეტად მშრალი ზონების (შიდა ქართლის ვაკე, სამგორის და გარდაბნის ველები) შედარებით სრული დაცარიელება უნდა ვივარაუდოთ" (იხ. ი. კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. გვ. 21). როგორც ვხედავთ, ჩემს მოსაზრებას სულაც არ ვავრცელებდი კახეთზე, თუნდაც იმიტომ, რომ მაშინ იქ ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურა მეტად სუსტად იყო გამოვლენილი, მაგრამ კახეთის ამა თუ იმ მიკრორაიონში შუაბრინჯაოს ხანის ძეგლების გამოვლენა, ვიმეორებ, ამიერკავკასიის ბარისთვის დამახასიათებელ სურათს არ ცვლის.

არ არის მართალი, რომ მე ხელოვნურ მორწყვას აღმოსავლეთ საქართველოში გვიანბრინჯაოს ხანაში ჩასახულად ვთვლი. მე ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ მარტივი სარწყავი სისტემები ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაში უნდა შექმნილიყო, რაც იძლევა საშუალებას უკვე ამ ხანაში დასახლდეს მთისძირა ზოლი, ხოლო გვიანბრინჯაოს ხანაში ეს ზოლი ინტენსიურად არის საცხოვრებლად ათვისებული მიწათმოქმედთა მიერ (დასახ. ნაშრ. გვ. 24).

ნის, გრემის, ზემო ბოდბის ნამოსახლარები. ადრეული იერის თიხის ჭურჭელი აღმოჩენილია გურჯაანში. გვიანი ეტაპისათვის დამოწმებულია რამდენადმე ძლიერი კულტურული ფენების შემცველი ნასოფლარები მდინარე ილტოზე და ალაზანზე, სოფ. ალავერდთან[121]. ძვ. წ. III ათასწლეულის რამდენიმე ყორღანია დადასტურებული ალაზნის ველის ქვედა წელში, ალაზნის მარჯვენა ნაპირზე[122]. აქვე გვიან- და შუაბრინჯაოს ხანის პლასტებსაც ვადასტურებთ. ილტოს ნამოსახლარი შეიცავს, თუმც მეტად სუსტს, მაგრამ მაინც მკაფიოდ გამოყოფილ შუაბრინჯაოს ხანის ფენებსაც. იგი კარგად არის წარმოდგენილი ალაზნის ქვედა წელის ნამოსახლარ ბორცვებზე, რომელთა რაოდენობა ორ ათეულს აღემატება[123]. ამგვარად, შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი მხოლოდ კახეთშია დადასტურებული და ისიც მთის წინა ზოლში და ბარში — ველზე. გამთხრელებს გამოთქმული აქვთ განსხვავებული ვარაუდი ამ მიკრორაიონებში შუაბრინჯაოს ხანაში ნამოსახლარების წარმოქმნის შესახებ.

შ. დედაბრიშვილი, ჩემი აზრით, სავსებით სწორად ფიქრობს, რომ ილტოს ნამოსახლარს საკმაოდ დიდი სამიწათმოქმედო სავარგული აქვს, რაც იძლეოდა მიწების დასვენების საშუალებას და იცავდა მათ გამოფიტვისაგან[124]. კ. ფიცხელაური არ ეთანხმება შ. დედაბრიშვილს. მისი ვარაუდით, ილტოს ნამოსახლარზე სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლართა დაფენება უნდა აიხსნას იმით, რომ ამ მიკრორაიონში უკვე ადრეული ბრინჯაოს ხანიდან არსებობდა ირიგაცია, რომ ილტოს მიდამოების მორწყვა სულ არ წარმოადგენს „რაიმე ისეთ სირთულეს, რომლის დაძლევას ვერ შესძლებდნენ ილტოს ნამოსახლარის მკვიდრნი. ამ შემთხვევაში არ გამოდგება ვარაუდი, რომ მათ შეუძლებელია სცოდნოდათ მორწყვის სარგებლიანობა. ჩვენთვის სრულიად ცხადია, რომ დაკვირვებული მიწათმოქმედისათვის, რომელმაც იცის, რომ კარგი მოსავლიანობისთვის ნაკვეთის ცვლაა სასარგებლო და, ამავე დროს, ხედავს წვიმის სარგებლიანობას, ძალიან ძნელი არ უნდა ყოფილიყო იმის მიხვედრა, რომ ხელოვნურ მორწყვასაც იგივე და უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა“[125].

ეს მართალია, მაგრამ იყო კი ამ მიწათმოქმედთათვის მორწყვა აუცილებელი სამეურნეო ღონისძიება? ილტოს ნამოსახლარის მიკროკლიმატი ახლაც არ არის ძალიან მშრალი. უფრო ნოტიო უნდა ყოფილიყო იგი ძვ. წ. III ათასწლეულში, ისე რომ, მემინდვრეობის საწარმოებლად ხელოვნური მორწყვა აუცილებელი სამეურნეო ღონისძიება არ უნდა ყოფილიყო. ვფიქრობ, რომ ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი აქ შუაბრინჯაოს ხანაში ცხოვრების გაგრძელებას. კახეთი იმდენად არაინტენსიურად არის დასახლებული ძვ. წ. III ათასწლეულში, რომ როგორი აქტიურიც არ უნდა იყოს ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე, ძალიან საეჭვოა მას კლიმატის შეცვლა გამოეწვია. ამავე დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ილტოს გორაზე შუაბრინჯაოს ხანაში ცხოვრების საკმაოდ სუსტი კვალია დადასტურებული. სარწყავი მიწათმოქმედებით განპირობებულ დასახლებას კი უფრო ძლიერი კულტურული ფენა უნდა შეექმნა.

---

121 Ш. Ш. Дедабришвили. დასახ. ნაშრ. გვ. 54, 66, 67, 72.

122 კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 51.

123 იქვე.

124 Ш. Ш. Дедабришвили. Культура эпохи ранней бронзы Иоро-Алазанского бассейна. Автореферат канд. диссертации. Тб. 1970. стр. 18.

125 კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 50.

სხვაა ალაზნის ქვემო წელის შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, რომლებზედაც ცხოვრება, როგორც ამას სავსებით სწორად აღნიშნავს კ. ფიცხელაური, სარწყავი მიწათმოქმედებით იყო განსაზღვრული. ამ დასახლებას მე ქვემოთ შევეხები, როდესაც განვიხილავ მიწათმოქმედების განვითარებას შუაბრინჯაოს ხანაში.

ამგვარად, შესაძლებელია, ადრეული ბრინჯაოს ხანის დასასრულს და შუაბრინჯაოს ხანაში, კახეთი ერთ-ერთი ის რაიონია, სადაც ცხოვრება კვლავ გრძელდება. უფრო მეტიც, შეიძლება აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სხვა რაიონებიდან აყრილი მოსახლეობის ნაწილი აქ სახლდებოდა.

სავსებით ბუნებრივია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები დასავლეთ საქართველოში გადავიდოდნენ. აქ ისინი კოლხეთის დაბლობს აღწევენ (დაბლა გომი), უფრო დასავლეთით ეს კულტურა აღარ ვრცელდება, რადგან მას, ალბათ, წინ ადგილობრივი კულტურა ეღობება. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ურთიერთობა ადრეულ ბრინჯაოს ხანაში მეტად რთული და საინტერესო საკითხია. სამწუხაროდ, კოლხეთის დაბლობზე ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლები გამოვლენილი არ არის და ამ ეპოქის დახასიათება აფხაზეთის ძეგლებით ხდება. მე არ ვიცი, რას ეყრდნობა რ. მუნჩაევი, როდესაც აღნიშნავს, რომ აფხაზეთში ადრებრინჯაოს ხანის კულტურა მაიკოპის კულტურის გავლენას განიცდის, ხოლო სამხრეთ რაიონებში მტკვარ-არაქსისას[126]. მიუხედავად იმისა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა აღწევს კოლხეთის დაბლობს, აქაურ კულტურაზე მისი გავლენის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან თვით ამ კულტურას ჯერ არ ვიცნობთ.

სხვა მდგომარეობაა ზემო იმერეთში. აქ, როგორც უკვე აღინიშნა, ენეოლითის ხანაში დადასტურებულია მეტად თავისებური კულტურა, რომელიც სიახლოვეს იჩენს მაიკოპის კულტურასთან. საერთო იმდენად თვალში საცემია, რომ ბადებს ეჭვს, ხომ არ უნდა ვეძებოთ აქ მაიკოპის კულტურის სათავეები[127]. ზემო იმერეთის ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე (სამერცხლე კლდე, საგვარჯილე, თეთრამიწა) მოპოვებული მასალები კიდევ უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებენ მაიკოპის კულტურასთან (კერამიკა, ქვისა და თიხის სამაჯურები, ქვის იარაღი და სხვა). მეორეს მხრივ, აქ მოპოვებული კერამიკა რამდენადმე წააგავს ხიზანაანთ გორის თიხის ნაწარმსაც. სწორედ ამიტომ ადრე გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ «... энеолитическая культура, засвидетельствованная в Западной Грузии, сыграла определенную роль в формировании «Куро-аракской» культуры на территории Шида Картли»[128].

მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლის ლოკალური ვარიანტი იმდენად განსხვავებულია სხვა რაიონებში გავრცელებული კულტურებისაგან, რომ კვლევის თანამედროვე დონეზე შეიძლება უკვე მის ცალკე კულტურად განხილვა[129]. ამ რაიონის კულტურის თავისებურება სწორედ ზემო იმერეთის

---

126 Р. М. Мунчаев. დასახ. ნაშრ. გვ. 366.

127 Л. Глонти, А. Джавахишвили, Г. Джавахишвили, Я. Киквидзе, Д. Тушабрамишвили. დასახ. ნაშრ. გვ. 10.

128 იქვე.

129 იქვე.

კულტურასთან შერწყმის შედეგად უნდა წარმოშობილიყო[130]. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ შიდა ქართლის ძეგლებზე მოპოვებულ მასალასთან გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ადრებრინჯაოს ძეგლებზე მოპოვებული მასალები. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ლუგოვოეს ნამოსახლარი. ჩეჩნეთ-ინგუშეთიც ის რაიონია, სადაც ერთმანეთს ხვდება და ერწყმის მაიკოპისა და მტკვარ-არაქსის კულტურა[131].

საერთოდ, შიდა ქართლი და ზემო იმერეთი ისტორიულადაც ერთი რეგიონია და არაა გასაკვირი აქ ადრეული ხანიდან ერთი კულტურის ჩამოყალიბება. ადრეული ბრინჯაოს განვითარებულ საფეხურზე კულტურის ერთიანობა ამ რეგიონში თვალსაჩინოა.

სამწუხაროდ, შიდა ქართლში ენეოლითური კულტურა გამოვლენილი არ არის. ხიზანაანთ გორის E დონე, ჯერჯერობით, ამ რაიონის უძველესი სამიწათმოქმედო დასახლებაა. აქ, როგორც აღვნიშნე, უკვე შეინიშნება მტკვარ-არაქსისა და დასავლეთ საქართველოს კულტურების შერწყმა. შემდგომ ეს პროცესი, როგორც ჩანს, აღმოსავლეთის კულტურული აგრესიით მიმდინარეობს. მტკვარ-არაქსის კულტურა ნელ-ნელა იკავებს თითქმის მთელ ზემო იმერეთს. ადრეული ბრინჯაოს დასასრულისთვის ზემო იმერეთი ამ კულტურის ერთ-ერთი დაწინაურებული ცენტრი ხდება (საჩხერე).

შიდა ქართლის ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლების თავისებურებაა ისიც, რომ დიდი რაოდენობით შეიცავენ ლითონს და ლითონის დამუშავებასთან დაკავშირებულ ნივთებს. ლითონის ნივთების სიმრავლითა დანაირსახეობით გასაკუთრებით გამოირჩევა საჩხერის რაიონის ძეგლები[132]. შიდა ქართლის ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე უფრო მეტი ლითონია მოპოვებული, ვიდრე იმ რაიონებში, სადაც სპილენძის საბადოები იპოვება. მე ადრე გამოთქმული მაქვს მოსაზრება, რომ ლითონის დამუშავების დიდი ტრადიცია შიდა ქართლში ადრეული ბრინჯაოს ხანის ტომებმა სწორედ ზემო იმერეთიდან შეითვისეს[133].

დასავლეთ საქართველოს ენეოლითური ძეგლები კულტურულად, განსაკუთრებით ლითონის დამუშავების მხრივ, უფრო განვითარებული ჩანან, ვიდრე ქვემო ქართლის ნამოსახლარები. თუ ეს მოვლენა ქრონოლოგიური სხვაობით არ არის გამოწვეული, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ლითონის წარმოებას ამიერკავკასიაში სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი. დ. თუშაბრამიშვილი ფიქრობს, რომ სამერცხლე კლდე ქრონოლოგიურად წინ უსწრებს შიდა ქართლის ადრეულ ძეგლებს: ხიზანაანთ გორას, დიდუბეს და სხვა. არც ერთ ადრეულ ძეგლზე შიდა ქართლში ლითონი ან ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული ნივთები დამოწმებული არ არის. სამერცხლე კლდეში კი ლითონდამუშავება ნათლად ჩანს. თუ დ. თუშაბრამიშვილის ვარაუდი სამერცხლე კლდის თარიღის შესახებ სწორია, გამოდის, რომ შიდა ქართლში ლითონის წარმოება სწორედ ზემო იმერეთიდან ვრცელდება და საჩხერის ბრინჯაო სამერცხლე კლდის

---

[130] ი. კიკვიძე. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. გვ. 92; ლ. ღლონტი. მტკვარ-არაქსის კულტურის დასახლება. საკანდიდატო დისერტაცია. თბ. 1970.

[131] Р. М. Мунчаев. დასახ. ნაშრ. გვ. 366.

[132] ც. აბესაძე. ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულში. თბ. 1969. გვ. 57.

[133] ი. კიკვიძე. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი. გვ. 92.

ლითონის წარმოების ტრადიციის განვითარების უმაღლესი საფეხური და სრულყოფაა.

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ზემო იმერეთი აშკარად განიცდის აღმოსავლეთის კულტურულ აგრესიას, შიდა ქართლის ადრეული ბრინჯაოს ჩამოყალიბებაში აქ არსებულმა კულტურამ დიდი როლი ითამაშა.

საინტერესოა, რომ შიდა ქართლიდან ადრებრინჯაოს ხანის კულტურის შემოჭრის მომენტში ზემო იმერეთში დასახლება კვლავ მღვიმურია (დარკვეთი). უფრო გვიან ჩნდება ამ მხარეში ღია დასახლებები (კარახტინი)[134]. აღმოსავლეთ საქართველოში ადრებრინჯაოს ხანის ტომები დასახლებული არიან მეტ-ნაკლები სიდიდის სოფლებად. ამჟამად ნასოფლარის დაგეგმარების აღდგენა მხოლოდ ორ ძეგლზე ხერხდება — ქვაცხელებსა და ამირანის გორაზე. ქვაცხელები მდებარეობს სოფ. ურბნისის აღმოსავლეთით, მისგან 2,5 კმ-ის დაშორებით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის მაღალ ტერასაზე. აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ნამოსახლარი გამოყოფილია ხევებით. სამხრეთით მას მტკვარი ესაზღვრება. საფიქრებელია, რომ ჩრდილოეთით დარჩენილ მიდამოსაგან იგი გამოყოფილი იყო ხელოვნური თხრილით. გათხრების პროცესში ეს თხრილი გამოვლენილი იქნა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ადრეფეოდალურ ხანაში ამოიღეს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქვაცხელებზე ადრებრინჯაოს ხანის 6 ნამოსახლარი ფენაა. აქედან ყველაზე უკეთ ნახანძრალი C_1 ფენაა ჩვენამდე მოღწეული. სწორედ ამ ფენაში მოხერხდა სოფლის დასახლების სურათის აღდგენა[135].

C_1 ფენაში გათხრილი იყო 25 შენობა, რომლებსაც ნამოსახლარის 2/3 ეჭირათ. დანარჩენი განადგურებულია დროთა განმავლობაში. ამ ფართობზე, ლ. ღლონტის ვარაუდით, კიდევ 10 შენობა უნდა მდგარიყო, ე. ი. სულ 35. ჩვენამდე მოღწეული შენობები ჰკრავენ 3 ჯგუფს: ცენტრალურს, სამხრეთ-აღმოსავლეთისას და დასავლეთის. განცალკევებით დგანან № 1 და № 8 შენობები. ამ ჯგუფებს ერთმანეთისგან აშორებს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართული გასასვლელები, რომლებიც გარკვეულ ადგილას პატარა მოედნებში გადადიან. ერთ-ერთი ასეთი მოედნის ცენტრში დგას № 1 შენობა.

დამახასიათებელია, რომ მთელი სოფელი გაშენებულია სტანდარტული სახლებით — ოთახისა და დერეფნისაგან შემდგარი ოთხკუთხა შენობებით, რომლებსაც შესასვლელი აქვთ ფასადის ცენტრში. საინტერესოა, რომ შენობის ერთი სტანდარტით გაშენებულია არა მარტო ქვაცხელა, არამედ შიდა ქართლის ყოველი სინქრონული ნამოსახლარი — ხიზანაანთ გორა, გუდაბერტყა და სხვა. შენობის ტიპი, მეტ-ნაკლები გადახვევებით არ იცვლება ქრონოლოგიურ ჭრილშიც. ყოველ შენობაში დადასტურებული არის კერა, ე. ი. თითოეული მათგანი საცხოვრებელი ნაგებობაა. ქვაცხელას ანალოგიური უნდა ყოფილიყო შიდა ქართლის ვაკის სხვა სოფლები: ხიზანაანთ გორა, გუდაბერტყა, კვერნაქის ნასოფლარი და სხვა. საერთოდ, როგორც ჩანს, ქვაცხელები ტიპიურია ბარის გაშლილი ადგილების დასახლებისათვის. სხვანაირი დაგეგმარება აქვთ მთიან, დაფერდებულ რელიეფზე გაშენებულ სოფლებს. ერთ-ერთ ასეთ ნასოფლარს წარმოადგენს ახალციხის ამირანის გორა[136].

---

[134] ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ისტორიისათვის... გვ. 202—203.

[135] ქვაცხელების ნამოსახლარის აღწერილობა მოგვაქვს ლ. ღლონტის საკანდიდატო დისერტაციიდან „მტკვარ-არაქსის კულტურის დასახლება". თბ. 1970.

[136] აღწერილობა მომაქვს: ტ. ჩუბინიშვილი. ამირანის გორა. თბ. 1963. გვ. 21—25.

ახალციხის ამირანის გორა გაშენებულია ტერასებად. ნაგებობები ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ საფეხურებად ეშვება. ზედა და ქვედა საფეხურს შორის განსხვავება 15 მ-ია, ფერდობის დახრილობა კი 10 გრადუსზე ნაკლები არ არის. ნასოფლარი 10-ზე მეტ ტერასას შეიცავს. თითოეული ტერასა სიგრძით 25 მ, სიგანით 7—10 მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს. ტ. ჩუბინიშვილი ვარაუდობს, რომ ნასოფლარზე დაახლოებით 180-ზე მეტი დიდ-პატარა ნაგებობა უნდა ყოფილიყო. ნაგებობები წარმოადგენენ ქვით ნაგებ ერთოთახიან შენობებს. ისინი სანახევროდ მიწაშია ჩადგმული; გადახურული უნდა ყოფილიყო ბრტყელი სახურავით ისე, რომ დაბლა მდებარე ტერასის ნაგებობების სახურავები ზემო ტერასის შენობის ეზოდ გამოიყენებოდა. გორაზე, სულ ზედა ტერასაზე, განცალკევებით დგას შენობა, რომელიც, ტ. ჩუბინიშვილის ვარაუდით, საკულტო ნაგებობა უნდა იყოს. შენობის ფართობი 9—54 კვ. მ შორის მერყეობს. გათხრილი 26 ნაგებობიდან 6 ნაგებობას 40—47 კვ. მ ფართობი ჰქონია ორი ნაგებობა ოდნავ დიდია. სამი შენობის ფართობი 20 კვ. მ-ს-არც კი აღწევს. დანარჩენებს კიდევ უფრო მცირე ფართობი აქვთ. სამწუხაროდ, ამირანის გორის ყოველ ნაგებობას ინტერიერი შემორჩენილი არა აქვს. ამიტომ დადგენა ჭირს, თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველი ცალკე კომპლექსი საცხოვრებელი იყო.

ანალოგიური დასახლება უნდა ვივარაუდოთ მესხეთ-ჯავახეთის დიდ ნაწილში, ყოველ შემთხვევაში, იმ მთის ფერდობებზე მაინც, რომლებიც დატერასებულნი არიან და მათ ზედაპირზე მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები იკრიბება; პლატოებზე კი უფრო ქვაცხელისებური დასახლება უნდა ვივარაუდოთ.

ძირითადი სოციალური და სამეურნეო უჯრედი ქვაცხელაზე წყვილადი ოჯახი უნდა იყოს, რადგან თითოეული ნაგებობა მეტად დამოუკიდებელი იერისაა. ოჯახი ამუშავებდა სათემო თუ საგვარეულო მიწიდან მისთვის გამოყოფილ ნაკვეთს. სათემო საკუთრებაში უნდა ყოფილიყო საძოვრები. საინტერესოა, რომ შიდა ქართლის არც ერთ ნამოსახლარზე საქონლის სადგომი აღმოჩენილი არ არის. როგორც ჩანს, პირუტყვი ზამთარ-ზაფხულ სოფლის გარეთ იდგა, რაც მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი ცხოვრების პირობებშია დასაშვები. მტრის თავდასხმის ოდნავი საშიშროებაც რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, საქონელს სოფელში დააბინავებდნენ. იგივე ფაქტი, ვფიქრობ, მოწმობს იმას, რომ ტყე საკმაოდ უკან დახეულია და მტაცებელი ნადირის უეცარი თავდასხმაც გამორიცხულია. იქ, სადაც ტყე აქტიურია, სოფელთან ახლოსაა, ნამოსახლარზე საქონლის სადგომსაც ვარაუდობენ[137].

საქონელი წყვილადი ოჯახის საკუთრებაში უნდა ყოფილიყო. ისე, რა თქმა უნდა, ოჯახი დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული ვერ იქნებოდა. საინტერესოა, სად ინახებოდა ხორბლის მარაგი. ადრეულ ძეგლებზე, ჩვეულებრივ, ხაროებია დამოწმებული. განვითარებულ ადრეულ ბრინჯაოს ხანის ნასოფლარებში ორმოები უკვე იშვიათია (გამონაკლისია ილტოს ნამოსახლარი), სამაგიეროდ, ოთახებში დადასტურებულია დიდი ტევადობის თიხის ჭურჭლები. ზოგიერთი ნაწილობრივ მიწაშია ჩადგმული. სავარაუდოა აგრეთვე ხის ჭურჭლე-

---

[137] გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი. თეთრი წყაროს ენეოლითური ნასახლარის გათხრების ანგარიში. 1958 წ. წარმოებული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის თეზისები. თბ. 1959.

ბის, კოდის და სხვათა არსებობაც, მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ სავსებით გასაგები მიზეზების გამო. ერთი სიტყვით, ოთახებში საკმაო ტევადობის ჰურჰელი იქნებოდა ხორბლის მარაგის შესანახად, მაგრამ არც იმდენი, რომ, როგორც ლ. ღლონტი ვარაუდობს, თითოეულ ოჯახში 8 სული მთელ წელს გამოეკვება. როგორც ადრე აღვნიშნე, წყვილად ოჯახში 8 სულის ვარაუდი არარეალური უნდა იყოს[138]. ექსტენსიური მიწათმოქმედების პირობებში ოჯახის სულადობა მაინცდამაინც ბევრი არ არის მიწათმოქმედების პროდუქტების მეტად ლიმიტირებული მარაგის გამო; ხევსურეთში, მაგალითად, ოჯახის წევრთა რაოდენობა 5—6-ს იშვიათად აღწევს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქვაცხელაზე შენობები დაჯგუფებულია, რაც, ლ. ღლონტის აზრით, ნიშნავს პატრონიმიებად დანაწილებული პატრიარქალური გვარის არსებობას[139]. საქმე ის არის, რომ ყველა მეტნაკლებად სრულად შემონახულ ნასოფლარში დასახლება უბნებად არის წარმოდგენილი. მაგ., ტ. ჩუბინიშვილის აზრით, ამირანის გორაზე თითოეული ტერასა ცალკე უბანია[140]. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ზემო გუნიბის ნამოსახლარზე დაღესტანში[141]. და ა. შ. ვფიქრობ, რომ თითოეული უბანი ცალკე გვარს განეკუთვნება, მაგრამ ძირითადი სამეურნეო და სოციალური უჯრედი ქვაცხელაზე თუ ამირანის გორაზე წყვილადი ოჯახი უნდა ყოფილიყო.

მიწათმოქმედების ხასიათი ამ დროს იძლეოდა საშუალებას მეურნეობის ცალკე, ოჯახურად წარმოებისა. მისი პრიმიტიულობა კი არ მოითხოვდა მაინცდამაინც დიდ კოლექტივებად გაერთიანებას, მით უმეტეს, რომ მარტივი სახვნელი და პირუტყვის გამოყენება გამწევ ძალად შედარებით აიოლებდა მიწის დამუშავებას. მესაქონლეობაც იმდენად არ იყო განვითარებული, რომ მის ბაზაზე დიდი ოჯახი წარმოშობილიყო.

ამგვარად, ქვაცხელაზე და ამირანის გორაზე თითოეულ უბანს თუ საგვარეულო თემად ჩავთვლით, მივიღებთ რამდენიმე გვარით დასახლებულ სასოფლო თემს. ეს არ ნიშნავს, რომ ყოველი სოფელი რამდენიმე გვარისგან შედგებოდა. ქვაცხელა, თუმცა დიდი სოფელი არ არის, ისე როგორც ამირანის გორა, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოსა და კავკასიაში უფრო მცირე დასახლებანიც გვაქვს. მაგ., ქვაცხელას მეზობელი ნამოსახლარი ხიზანაანთ გორა.

ხიზანაანთ გორაზე ყველაზე სრულად წარმოდგენილია D დონე. აქაც მხოლოდ 4 შენობაა ჩვენამდე მოღწეული. თუმცა გორა ნაკლულია. ადრებრინჯაოს ხანაში იგი გაცილებით დიდი დასახლება უნდა ყოფილიყო. ამჟამად გორის ფართობი 340 კვ. მ-ია. შეიძლება ადრე ერთიორად მეტი იყო, მაგრამ მაინც 7—8 სახლზე მეტი აქ არ დაეტეოდა, რაც დაახლოებით ქვაცხელების ერთი უბნის ტოლია, ე. ი. ხიზანაანთ გორა საგვარეულო სოფელია, რომელიც ერთი საგვარეულო თემისაგან შედგება. მტკვარ-არაქსის კულტურაში უფრო მცირე დასახლებებიც გვაქვს, მაგრამ ისინი დროებითი სადგომის იერს ატარებენ და სოციალური სურათის აღსადგენად არ გამოდგებიან.

აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ზე-

---

[138] ლ. ღ ლ ო ნ ტ ი. დასახ. ნაშრ.

[139] ი ქ ვ ე.

[140] ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი. ამირანის გორა. გვ. 22.

[141] В. К о т о в и ч. Верхнегунибское поселение—памятник эпохи бронзы горного Дагестана. Махачкала. 1965. стр. 23.

მო იმერეთში დასახლება, როგორც ჩანს, კვლავ სახლებად — დიდ ოჯახებად, გვაქვს. მღვიმეს საცხოვრებლად ახლაც იყენებენ.

ზემოთაც აღვნიშნე, რომ ამირანის გორაზე მე-10, ყველაზე მაღალ ტერასაზე განცალკევებით მდგარი შენობა ტ. ჩუბინიშვილს საკულტო ნაგებობად მიაჩნია. ასევე ქვაცხელების C დონეზე განცალკევებით მდგარი № 1 შენობა საკულტოდ ითვლება. მისი გეგმა, განსხვავებით სხვა შენობებისაგან, წრიულია, ინვენტარიც უფრო მდიდრული, ამიტომ მისი საკულტო დანიშნულება ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამ შენობის დაწვრილებით აღწერილობას ქვევით ვიძლევი; აქ კი უნდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად ინვენტარის სიმდიდრისა, № 1 შენობაში ჭირნახულის მარაგის შესანახი ჭურჭლები არ აღმოჩნდა. მას არც დერეფანი აქვს, სადაც ეს მარაგი უნდა შენახულიყო. როგორც ჩანს, ტაძარს — ხატს მტკვარ-არაქსის კულტურაში ცალკე გამოყოფილი მეურნეობა არ გააჩნია. კულტმსახურებისათვის საჭირო ჭირნახული თუ საქონელი, სავარაუდოა, შემოწირულებით ან ღალის სახით იკრიფებოდა, და თუმც კულტმომსახურე პერსონალი გარკვეულად პრივილეგირებული უნდა ყოფილიყო, იგი სოციალურად თემსა და მეთემეზე ბევრად მაღლა არ უნდა მდგარიყო. ქონებრივადაც უთანასწორობა ამ დროს მაინცდამაინც თვალში საცემი არ არის, ტომთა ბელადების, კულტმსახურთა სოციალური, ქონებრივი დაწინაურება მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრულს და შუაბრინჯაოს ხანაზე მოდის. ეს ეპოქა სხვა მხრივაცაა ღირშესანიშნავი და იგი ცალკე უნდა იქნეს განხილული.

როგორც ზემოთ არაერთგზის იყო აღნიშნული, მტკვარარაქსელი დროდადრო ნამოსახლარს იცვლის, მაგრამ თავდაპირველად მოსახლეობის მოძრაობა ლოკალური ხასიათის უნდა ყოფილიყო და, ალბათ, უმთავრესად ერთი მიკრორაიონის ფარგლებს შიგნით ხდებოდა. სხვანაირად წარმოუდგენელია ლოკალური თუ ცალკე კულტურების ჩამოყალიბება. დღეისათვის შეიძლება დაახლოებით მაინც მოინახოს ამ კულტურების გავრცელების რაიონები. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთ ასეთ რაიონს შიდა ქართლი წარმოადგენს ზემო იმერეთთან ერთად. აქ როგორც აღვნიშნე, ადრეული ბრინჯაოს ხანის განვითარებულ საფეხურზე ყალიბდება საკმაოდ თავისებური იერის კულტურა, რომელიც ლოკალურობის ფარგლებში ვერ ეტევა და განხილული უნდა იქნეს როგორც დამოუკიდებელი კულტურა. ასევე ადრეული ბრინჯაოს ხანის ცალკე კულტურა უნდა არსებულიყო ქვემო ქართლის ბარსა და დღევანდელ სომხეთში. განვითარების თავისებური გზა განვლო მტკვარ-არაქსის კულტურამ ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, დაღესტნის ასსრ ტერიტორიაზე და ა. შ. როგორც ვხედავთ, ე. წ. მტკვარ-არაქსის ორმდინარეთის ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურაში ბევრი დამოუკიდებელი თუ ლოკალური კულტურა იყოფა, მაგრამ ზოგიერთ რეგიონზე გავრცელებულ ძეგლებს ვერც ერთ კულტურას ვერ მივაკუთვნებთ. კულტურათა ისეთი სიმბიოზითა და შერწყმით ხასიათდება ეს რაიონები. ასეა თრიალეთში, ჯავახეთის ზეგანზე, კახეთში და სხვა. საინტერესოა, რომ ეს რაიონები განსაკუთრებით ინტენსიურად ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის დასაწყისში სახლდება, ე. ი. მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ბარი თუ მთისძირა ზოლი თხელდება და მოსახლეობა მასიურად ტოვებს მას.

კახეთზე მსჯელობისას ამის მიზეზი აღვნიშნე: მოსახლეობა იმდენად მეჩხერი იყო, რომ ბუნებრივ პირობებზე წარმოებით პროცესს გავლენის მოხდენა არ შეეძლო, რამაც მიიზიდა იქ მოსახლეობა III ათასწლეულის მეორე ნახე-

ვრიდან. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს თრიალეთსა და მესხეთ-ჯავახეთში. აქაც დასახლება, უმთავრესად, III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ხდება ინტენსიური.

1970 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. პროფ. ო. ჯაფარიძე) საკმაო გულმოდგინებით დაზვერა მესხეთ-ჯავახეთი ადრესამიწათმოქმედო კულტურებისა და ბრინჯაოს ხანის ძეგლების გამოსავლენად. მიუხედავად იმისა, რომ გამოვლენილი იქნა ადრეული ბრინჯაოს ხანის დასახლების საკმაოდ ხშირი ქსელი, არც ერთი ამ პერიოდის ადრეული საფეხურის ძეგლი დაზვერვებით დამოწმებული არ არის[142].

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს თრიალეთში. აქაც მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის მეტად სუსტი კვალია დადასტურებული. ამ მხარის ინტენსიური დასახლებაც, უმთავრესად, III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყება[143]. როგორც ჩანს, ახალ სამოსახლო რაიონებს მოსახლეობა ეტანება ყოველი მხრიდან. აქ სახლდებიან შიდაქართლელები, ქვემოქართლელები, ცხოვრებას აგრძელებენ თვით აქაური ტომები და სხვა. აქედან კულტურული სიჭრელე. ამიტომ არის, რომ კულტურათა შერწყმასთან ერთად სიმბიოზსაც აქვს ადგილი.

მოსახლეობის გარკვეულ ტერიტორიაზე კონცენტრაციას, ბუნებრივია, ძველი კულტურების მოშლა და ახალი, შერწყმული ხასიათის კულტურების ჩამოყალიბება უნდა გამოეწვია. თუმცა ეს პროცესი მეტად შენელებულია, ჩვენ კულტურათა დაახლოებას III ათასწლეულის ბოლოსთვის მაინც ვადასტურებთ. რა თქმა უნდა, თრიალეთისა და საჩხერის ყორღანებს მეტი აქვთ საერთო, ვიდრე ქვაცხელებსა და ხიზანაანთ გორას ქვემო ქართლის ბარისა თუ სომხეთის ნებისმიერ ძეგლთან. საჩხერე შიდა ქართლის ადრეული ბრინჯაოს დასასრულის ხანისაა, უფრო სწორად, ამ კულტურის განვითარების უმაღლესი წერტილია. თრიალეთის ყორღანების კულტურას კი ქვემო ქართლსა და სომხეთში გავრცელებული კულტურა უნდა დადებოდა საფუძვლად. უფრო თვალსაჩინოა კულტურების შერწყმა მესხეთ-ჯავახეთში. ამირანის გორა გარკვეულ მსგავსებას იჩენს შიდა ქართლთან, თუმცა ქარაზთან ერთად ცალკე ლოკალურ კულტურას ქმნის. ერთი სიტყვით, ლოკალურ თუ დამოუკიდებელ კულტურათა შორის ზღვარი იშლება. ხდება კულტურათა დაახლოება — შერწყმა და უკვე შერწყმული კულტურების ბაზაზე იქმნება ახალი, თრიალეთის დიდი ყორღანების შუაბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე კულტურა.

§ 3. შუაბრინჯაოს ხანა. ადრესამიწათმოქმედო ეტაპის დასასრული. თრიალეთის დიდი ყორღანების კულტურა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურების განვითარების ფინალური სტადიაა. შუაბრინჯაოს ხანაში უმაღლეს წერტილს აღწევს ამ კულტურების განვითარება. ამავე ხანაში ხდება მისი დაცემა, რაც, თითქოს, კულტურის საერთო დაქვეითებაში იხატება. მაგრამ ეს დაქვეითება მოჩვენებითია. სინამდვილეში კავკასიელ ტომთა

---

[142] ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970—1971 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. III. თბ. 1974. გვ. 41.

[143] Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. Тб. 1941. стр. 105—117; ე. გოგაძე. თრიალეთის კულტურათა პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ. 1972. გვ. 15—38

ისტორიაში იწყება ახალი ეტაპი, რომლის სამეურნეო ბაზა გაცილებით უფრო განვითარებულია, ვიდრე ადრესამიწათმოქმედო კულტურებისა.

მიუხედავად იმისა, რომ შუაბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების კვლევა საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს, მაინც, ბევრი რამ ამ ხანის კულტურაში ბუნდოვანია. მიუხედავად ბეჯითი ძიებისა, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ნამოსახლარების მიკვლევა და შესწავლა. ნამოსახლარ ძეგლებზე დადასტურებულია შუაბრინჯაოს ხანის მეტად სუსტი ფენები (ილტო, გუდაბერტყა). ისე რომ, ამ მხრივ ეს ძეგლები ვერაფერს გვმატებენ. უკანასკნელ წლებში კახეთში, სიღნაღის რაიონში, გამოვლინდა გორა ნამოსახლართა საკმაოდ დიდი ქსელი, რომლებიც შუაბრინჯაოს ხანის ფენებსაც შეიცავენ. ამ ნამოსახლარების კვლევა მხოლოდ ახლა იწყება. როგორ სახლობდნენ თრიალეთის კულტურის შემცველი ტომები, ჯერ კიდევ არ ვიცით. ნამოსახლარების შესწავლის გარეშე კი მეურნეობის ხასიათისა და განვითარების დონის წარმოდგენა ძალიან ძნელია. მაინც, ზოგიერთი ფაქტის გათვალისწინებით, შევეცდები აღვადგინო თრიალეთის კულტურის მეურნეობის ხასიათი.

საინტერესოა ამ მხრივ ძეგლების გავრცელების ტოპოგრაფია. განსხვავებით მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებისაგან, რომლებიც თანაბარი ინტენსივობითაა გავრცელებული ბარსა თუ მთაში, შუაბრინჯაოს ხანის ძეგლები დაჯგუფებული არიან კომპაქტურად: თრიალეთი, არტაანის მტკვრის აუზი — ალჩია-ნიალი, ბერთაყანა; გომარეთის პლატო — ზურტაკეტი; ტაბაწყურის მიდამოები; კახეთი — კაშრეთი, სიღნაღის რაიონი, ივრის პირები და სხვა. ძეგლები კონცენტრირებული არიან ხევებსა და ველებზე. ძეგლთა ასეთი კონცენტრაცია, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს როგორც სოციალური მოვლენა და ამას მე ქვემოთ შევეხები. მაგრამ საყურადღებოა იგი სამეურნეო ცხოვრების დასახასიათებლადაც. საქმე ის არის, რომ შუაბრინჯაოს ხანის დასასრულისათვის ეს კულტურა საკმაოდ ინტენსიურადაა წარმოდგენილი მთისძირა ზოლსა და ბარში. ამ რაიონების კვლავ ათვისებას კი წინ უნდა უსწრებდეს საკმაოდ შესამჩნევი გარდატეხა მეურნეობაში, კერძოდ, მიწათმოქმედების განვითარებაში.

მაღალმთიანი ზოლის პლატოებზე ადრეული ბრინჯაოს ბოლოსთვის ინტენსიური ცხოვრების მიზეზად მე ამ ზოლში პრიმიტიული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები მივიჩნიე. ახლა თვალსაჩინოებისათვის, თუ რას წარმოადგენს ეს ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, დავახასიათებ შუაბრინჯაოს ხანის ყორღანების ერთ-ერთი დაჯგუფების მიკრორაიონს — არტაანის მტკვრის აუზს.

ახალქალაქის პლატო ერუშეთის ზეგანიდან გამოყოფილია არტაანის მტკვრით შექმნილ ღრმა და ფართო კანიონით. შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები სწორედ ამ ხევსა და ხევის სიახლოვეს ერუშეთის პლატოზეა დაჯგუფებული. ერუშეთის მთებიდან ვიდრე თმოგვის ციხემდე და წუნდის ეკლესიამდე, ე. ი. ვიდრე მტკვარი სამხრეთიდან დასავლეთისკენ მოუხვევდეს, ხეობის ყოველი ტერასა ყორღანული ველია. ყორღანები განსაკუთრებით კონცენტრირებულია მდინარის სამხრეთ—მარცხენა სანაპიროზე. აქ ტერასები რამდენიმე სართულად არის განლაგებული და ყოველ მათგანზე ყორღანებია დადასტურებული. მრავალსართულიანობით გამოირჩევა ახჩიას მიდამოები — ახჩიას ნასოფლარის ზემო ტერასა, ახჩიის მინდვრები ორ სართულად და ახჩიის თავი, რომელიც უკვე ერუშეთის ზეგანზე მდებარეობს. ყორღანთა მეორე ასეთი დიდი

დაჯგუფება დამოწმებულია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ე. წ. ბერთა ყანაში. აქაც ტერასები მრავალსართულად არის განლაგებული და ყოველი სართული ყორღანული ველია. ყველაზე დაბლა მარგასტანის თავია, შემდეგ კეთილეთი, კოჯრები, თვით ბერთა ყანა და სხვა. როგორც ახჩიას მიდამოებში, ისე ბერთა ყანაში გვხვდება მეტნაკლებად მცირე ტერასები, რომლებზეც აგრეთვე ვადასტურებთ ყორღანებს. ტერასებს გარდა, როგორც აღვნიშნე, ყორღანები დამოწმებულია ერუშეთის პლატოზეც — ნიალა, ზემო თმოგვი და სხვა. ერთი სიტყვით, არტანის მტკვრის აუზში ყორღანული ველები მრავლადაა, ხოლო თითოეული მათგანი საკმაო სიმჭიდროვითაა ყორღანებით ათვისებული.

სამწუხაროდ, ამ ხეობაში შუაბრინჯაოს ხანა მხოლოდ ყორღანული სამარხებით არის წარმოდგენილი. მიუხედავად ბეჯითი ძიებისა, ნამოსახლარი ვერ დავამოწმეთ. თითქმის ყოველი ნამოსახლარი ადრეული ბრინჯაოს ხანისაა. უცნაური ისაა, რომ ხევის ფერდებზე მრავლად იკრიფება მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკის იერის თიხის ჭურჭლის ნატეხები. თრიალეთური იერის არც ერთი ნატეხი ყორღანების გარეთ დამოწმებული არ არის. რა თქმა უნდა, სადაც სამაროვანია, იქ დასახლებაც უნდა იყოს. არტაანის მტკვრის აუზში ყორღანები ისე მრავლადაა და მათი უმრავლესობა ისეთ რთულ ნაგებობას წარმოადგენს, რომ დაუშვებელია მათი აგება სეზონურად — ზაფხულობით აქ ამოსულ მწყემსებს მიაწერო.

უნდა დავუშვათ, რომ თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომები სადაც იმარხებოდნენ იქვე ცხოვრობდნენ. რა თქმა უნდა, მარტო სამაროვნებით დასახლების ხასიათზე მსჯელობა არ შეიძლება, საამისოდ არავითარი ობიექტური მონაცემები არა გვაქვს. ერთი კია, რომ, როგორი პარადოქსალურიც არ უნდა იყოს, თრიალეთელი გაცილებით მკვიდრი მოსახლეა, ვიდრე მტკვარ-არაქსელი. ყოველ შემთხვევაში, მისი ნამოსახლარის ადგილმონაცვლეობა — თუ ასეთ რამეს ადგილი ჰქონდა, უფრო ლოკალურია და ერთი ხეობის ფარგლებს არ სცდება[144]. არტაანის მტკვრის აუზში დაჯგუფებული ყორღანები, მიუხედავად იმისა, რომ თრიალეთის კულტურას განეკუთვნებიან, მაინც თავისებურნი არიან და ამ კულტურაში ერთ-ერთ ლოკალურ ვარიანტს ქმნიან.

ახალქალაქისა და ერუშეთის პლატოები საკმაოდ მაღალია — 1700 — 1800 მეტრი ზღვის დონიდან[145]. ჰავა საკმაოდ კონტინენტურია და მკაცრი — ცხელი ზაფხულით და ცივი ზამთრით. კლიმატი მშრალია, მაგრამ მემინდვრეობის კულტურები მაინც ასწრებენ მოურწყავად შემოსვლას. ამჟამად ამ პლატოებზე მცენარეული საფარი მხოლოდ ბალახით არის წარმოდგენილი. შუაბრინჯაოს ხანაში აქ ტყე უნდა ყოფილიყო და კლიმატიც, რა თქმა უნდა, — უფრო ნოტიო. ამჟამად მიგდებულ ტერასებზე კიდევ არის შემორჩენილი ნარუალები, რომლებიც სათავეს მშრალი ხევებიდან იღებენ. ადრე ხევები სველი უნდა ყოფილიყო, რაც მხოლოდ ტყის არსებობის შემთხვევაში იყო შესაძლებელი. თვით ხეობაში ჰავა შედარებით ზომიერია და უფრო თბილი ზამთრით ხასიათდება. ახჩიას ნასოფლარის მიდამოები და მინდვრები ამჟამად საზამთრო საძოვრებად არის გამოყენებული. როგორც ზემოთ აღვნიშნე, არტაანის მტკვარი ამ ყორღანების გავრცელების რაიონში საკმაოდ ღრმა კანიონს

---

[144] ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 42.

[145] А. Н. Джавахишвили. Геоморфологические районы Грузинской ССР. Тб. 1947, стр. 40.

ქმნის, ისე რომ, მტკვრიდან არც ისე მაღლა მდებარე ტერასებისა და პლატოების მიკროკლიმატი ერთმანეთისგან განსხვავებულია. შესაბამისად, ამ ხევში ვიღებთ ერთ სამეურნეო რეგიონს თავისი მთითა და ბარით.

მთისა და ბარის შერწყმა და ურთიერთობა განსაზღვრავდა ისტორიულ ხანაში ამ აუზის სამეურნეო ცხოვრებასა და ხასიათს (ჭაჭკარი — ბარი, გოგაშენი — მთა) და განსაზღვრავს დღესაც (ქვემო თმოგვი ნაქალაქევი — ბარი; აგარა, ზემო თმოგვი — მთა). შეიძლება ამიტომაცაა ძეგლები ასე ვერტიკალურად განაწილებული. მაგრამ ნიშნავს ეს, რომ აუზის ყოველი ვერტიკალური ზოლი, სადაც ყორღანებია დადასტურებული, დასახლებული იყო? ამ კითხვაზე რომ პასუხი გავცეთ, საჭიროა აღვადგინოთ ამ აუზში მცხოვრებთა მეურნეობის ხასიათი.

თრიალეთური კულტურის მატარებელი ტომები ისეთივე მიწათმოქმედნი უნდა ყოფილიყვნენ, როგორიც მტკვარარაქსელი. როგორც არაერთგზის აღვნიშნე, მთაში ეს ტომები ბარში მიწათმოქმედების კრიზისმა მიიყვანა. ართაანის მტკვრის აუზის ყველა ვერტიკალურ ზოლში, როგორც ბარში, ისევე მთაში, პრიმიტიული მიწათმოქმედების საწარმოებლად მეტად ხელსაყრელი პირობებია. მესხეთი გათქმული იყო თავისი მემინდვრეობით და მისი წარმოების მაღალ დონეს ბუნებრივი პირობებიც უწყობდა ხელს. საძოვარი სათიბების დიდი მასივები აპირობებდა აქ მესაქონლეობის მაღალ განვითარებულობასაც. მესაქონლეობის ფართო მასშტაბი ხაზგასმულია ყორღანებში აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალის სიმრავლით.

შუაბრინჯაოს ხანაში მესაქონლეობაში წამყვანი ადგილი კვლავ მსხვილფეხა საქონელს უჭირავს. სწორედ მსხვილფეხა საქონლის ძვლები სჭარბობს ყორღანებში, თუმცა გვხვდება წვრილფეხაც და ღორიც. საქონლის ძვლების ასეთი შეფარდება სავსებით ბუნებრივია, რადგან იშვიათია მკვიდრი ბინადარი დასახლება, რომლის დროსაც მეურნეობაში წვრილფეხა საქონელს წამყვანი ადგილი ეჭიროს. ცხვარი, თითქოს, მესაქონლეობის მომთაბარულ ხასიათს გულისხმობს. საქართველოს მთიანეთში, იქ, სადაც მესაქონლეობა ბაგურ კვებაზეა (ხევსურეთი, სვანეთი), მეურნეობაში მთავარი ადგილი მსხვილფეხა საქონელს უჭირავს. საერთოდ, მესაქონლეობის ხასიათის დასადგენად საჭიროა გავითვალისწინოთ მოვლენათა მთელი კომპლექსი. მარტო იმის დადგენა, თუ რომელი საქონლის — მსხვილფეხასი თუ წვრილფეხასი — სჭარბობს ამა თუ იმ სამარხში ან ნამოსახლარზე, თავისთავად არაფერს მოგვცემს. უფრო მეტიც, შეიძლება შეცდომაშიც შეგვიყვანოს. შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები იშვიათი გამონაკლისია. ჩვეულებრივ, სამარხებში ცხვრის ძვლები მეტია, ვიდრე ძროხისა. ეს გასაგებიცაა, რადგან ცხვარი, ასე ვთქვათ, სახარჯო ცხოველია. იგი უფრო მეტი იკვლება როგორც ყოველდღიური საჭიროებისათვის, ასევე კულტმსახურების და მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებულ საწესო რიტუალისთვის. შეიძლება ამიტომაც, სპეციალურ ლიტერატურაში, ამა თუ იმ ეპოქის დახასიათების დროს, ძალიან ხშირად მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად მეცხვარეობაა ჩათვლილი, მაშინაც კი როდესაც სამარხი მიწათმოქმედს ეკუთვნის. მიწათმოქმედი და მეცხვარე კი შეუთავსებელი ცნებებია. მიწათმოქმედი-ბინადარი ყოველთვის ამჯობინებს მსხვილფეხა საქონლის მომრავლებას. რა თქმა უნდა, მას ცხვარი ჰყავს, მაგრამ იმ რაოდენობით, რომ მომთაბარეობას არ ითხოვს. მომთაბარეობას ამ შემთხვევაში ფართო მასშტაბით ვხმარობ, ე. ი. გეოგრაფიული ბარიდან —

მთაში, ვთქვათ, შირაქიდან თრიალეთში საქონლის გადაყვანას ვგულისხმობ. ასეა ეს ტერმინი, სხვათა შორის, არქეოლოგიურ ლიტერატურაშიც გაგებული. ისე კი, ბარი და მთა ყოველ ხევს აქვს: სვანეთს, ხევსურეთს, ფშავს და სხვა. ბარი ამ შემთხვევაში იმ ზოლს ეწოდება, სადაც სოფლებია და პირუტყვის გამოზამთრება ხდება. მთა კი ალპური საძოვრებია. ასეთი მთა და ბარი აქვს არტაანის მტკვრის ხევსაც. რა თქმა უნდა, ხევის შიგნით მომთაბარეობა ყოველთვის არის სავარაუდო, მაგრამ ამ მასშტაბით მომთაბარე მესაქონლეობის განვითარება მაინც მიწათმოქმედებითა და სათიბი მეურნეობით არის განსაზღვრული.

სათიბი, პრიმიტიული მიწათმოქმედების დროს, მეურნეობაში დიდ როლს თამაშობს. იგი არის ძირითადი ბაზა მესაქონლეობის განვითარებისთვის. თუ რა დიდია მისი მნიშვნელობა მეურნეობაში, ჩანს იქედან, რომ სვანეთში, ალპური საძოვრებიდან დაშორებულ სოფლებში სათიბებს უთმობენ სამიწათმოქმედო სავარგულებს. უკანასკნელი კი სვანეთში მეტად ლიმიტირებულია[146]. ბუნებრივია, სათიბებს დიდი ადგილი უნდა სჭეროდა თრიალეთელი ტომების მეურნეობაში. უსათიბებოდ წარმოუდგენელია მსხვილფეხა საქონლის გამოზამთრება. მას ახლაც საპატიო ადგილი აქვს დათმობილი მესხების მეურნეობაში.

სათიბის მოწყობა, ისე როგორც ყანისა, საკმაოდ რთული და შრომატევადია. საჭირო იყო, ალბათ, ახოს აღება. ჯავახეთის პლატო, ისე როგორც წალკისა, ვულკანური წარმოშობისაა და ქვა-ღორღიანია. სათიბისა და ყანის მოსაწყობად საჭიროა ახოდ აღებული ნაკვეთის ქვა-ღორღისგან გაწმენდა. ვისაც მესხეთ-ჯავახეთში უვლია, ყველგან—ყანებსა თუ ნაყანებში, სათიბსა თუ საძოვარზე შეამჩნევდა ქვა-ღორღის გროვას, რომელსაც ადგილობრივნი კარკალებს უწოდებენ და, რომელიც გროვდება ყანებისა თუ სათიბების ქვა-ღორღისაგან პერიოდული წმენდის შედეგად. სათიბი, სხვათა შორის, უფრო უქვო უნდა იყოს, ვიდრე ყანა, რადგან ბალახი ძირში ითიბება და ნამგლის ქვაზე მოხვედრის მეტი შესაძლებლობაა.

ამგვარად, სათიბისა და ყანის მოწყობა თრიალეთელი ტომებისაგან საკმაოდ დიდ, შრომატევად სამუშაოს ჩატარებას მოითხოვდა. თუ ამას დავუმატებთ, რომ ყანები იფიტებოდა, მჭლევდებოდა და მას დასვენება სჭირდებოდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახოების აღება და საყანეების მოწყობა ყოველწლიური საზრუნავი იქნებოდა. ურწყავი პრიმიტიული მიწათმოქმედება და მესაქონლეობა საყანე და სასათიბე ნაკვეთების საკმაოდ დიდ მასივებს ითხოვს. საჭირო იქნებოდა აგრეთვე საძოვრებიც, რომელიც ტყის ახოდ აღებით უნდა მოეწყოთ. ერთი სიტყვით, ადრესამიწათმოქმედო და მესაქონლე მეურნეობას მეტი ტერიტორია სჭირდება, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. პლატოებზე მოსახლენი კიდევ არ განიცდიდნენ საყანეს თუ სათიბი საძოვრის ნაკლებობას. ხევის ტერასებზე მოსახლენი კი ამ მხრივ ლიმიტირებულნი უნდა ყოფილიყვნენ. საჭირო იქნებოდა მიწათმოქმედებისა და სათიბი მეურნეობის ინტენსიფიკაცია, რაც ხელოვნური მორწყვით უნდა მომხდარიყო.

არის ფაქტები, რომლებიც შუაბრინჯაოს ხანაში ხელოვნური მორწყვის გამოყენებაზე მიუთითებს. მაგ., თრიალეთის ცნობილ თასზე გამოსახულ სი-

---

[146] ი. კვიციანი. მესაქონლეობა სვანეთში. საკანდ. დისერტაცია. ხელნაწერი. თბ. 1974.

ცოცხლისა და ნაყოფიერების ხის ტანიდან გადმოდის წყლის ორი ნაკადი, რომელიც შეიძლება წყლის სამეურნეო დანიშნულებაზე მიუთითებდეს. თრიალეთის თასის გამოსახულებას ქვემოთ ვიხილავ. აქ კი აღვნიშნავ, რომ თრიალეთის კულტურის ლითონისა თუ თიხის ჭურჭლების შემკულობაში დიდი ადგილი უკავია წყლის მოტივს[147].

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებისაგან განსხვავებით, თრიალეთური კულტურის შემცველი ყორღანების ტოპოგრაფიაში ჩანს, რომ გათვალისწინებულია მორწყვის პერსპექტივა. ამავე არტაანის მტკვრის აუზში ყორღანების შემცველი ყოველი ტერასა სარწყავია. ყორღანები დიდ ჯგუფებად წარმოდგენილია იქ, სადაც სარწყავი წყალი უხვად არის: ნიალი, ბერთა-ყანების ტერასები და სხვა. ამავე დროს, თუ ერუშეთის მთების წინა პლატოზე საკმაოდ ინტენსიურად არის დაჯგუფებული ყორღანები, ახალქალაქის პლატოზე ისინი იშვიათად გვხვდება. ერუშეთის მთის წინა პლატო ინტენსიურად ირწყვება. საინტერესოა, რომ ყორღანები ერთეულებით არის წარმოდგენილი მთელს ჯავახეთის პლატოზე. განსაკუთრებით ცოტაა ბოგდანოვკის რაიონში. გარდა მორწყვის პერსპექტივისა, თრიალეთელი, როგორც ჩანს, ძალიან მაღალ ზოლს არ ეტანებოდა მკაცრი კლიმატის გამო.

ძეგლების ისეთი ტოპოგრაფია, როდესაც მორწყვის პერსპექტივა გათვალისწინებულია, ყორღანებთან ერთად, ნამოსახლარსაც გვავარაუდებინებს. ამავე დროს, ყორღანები ველებზე ჯგუფებად არის წარმოდგენილი. ზოგიერთი ჯგუფი 8—9 ყორღანისაგან შედგება, რაც შეიძლება მათი ერთი გვარისადმი კუთვნილების მაჩვენებელი იყოს. ზოგ ტერასაზე რამდენიმე ასეთი ჯგუფია. ზოგზე — მხოლოდ ერთი. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს თითოეული ყორღანული ველი ცალკე დასახლების — სოფლის სამაროვანია. იმარხებოდნენ ამ ყორღანებში რიგითი მეომრები, თუ მხოლოდ გვარის უხუცესები — ეს სხვა საკითხია. მთავარია ის, რომ თითოეულ დასახლებას თავისი ყორღანული ველიც აქვს.

მესხეთის ყორღანები, როგორც აღვნიშნე, საკმაოდ ძნელად საშენი ციკლოპური ნაგებობაა. მის აგებაზე თვეობით უნდა ემუშავა არცთუ ისე მცირე კოლექტივს. ყორღანები ისე ბევრია, რომ არაა სავარაუდო მშენებელთა შორიდან სიარული. მათ იქვე, ახლო-მახლო უნდა ეცხოვრათ. თუმცა ისე ახლოს არა, რომ ხელი შეეშალათ ყორღანების გაძარცვისათვის (მესხეთ-ჯავახეთის ყორღანების აბსოლუტური უმრავლესობა გაძარცულია).

ამგვარად, მესხეთ-ჯავახეთში სამოსახლოს არჩევის დროს გათვალისწინებულია მისი მიდამოების მორწყვის პერსპექტივა. ეს არ ნიშნავს, რომ შუაბრინჯაოს ყოველი ძეგლი აუცილებლად სარწყავ რაიონებში მდებარეობს და ამ დროის დასახლების აუცილებელ წინაპირობას ირიგაცია წარმოადგენს. მე მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ ხელოვნური მორწყვის პრეცედენტი შუაბრინჯაოს ხანაში დასტურდება, ხოლო პრეცედენტიდან ტრადიციამდე დიდი მანძილი არ არის. გარდა მესხეთ-ჯავახეთისა, მორწყვის ფაქტი უნდა გვქონოდა გომარეთის პლატოზე. ეს პლატო დასერილია მშრალი არხებით, რომელიც თავის დროზე სველი უნდა ყოფილიყო. მე არ ვფიქრობ, რომ გომარეთის პლატოს არხები შუაბრინჯაოს ხანაშია გატანილი. მთავარი ის არის, რომ ეს პლატო სარწყავი შეიძლებოდა ყოფილიყო.

---

[147] გ. გობეჯიშვილი. საქართველოს არქეოლოგია. თბ. 1958. გვ. 128.

ხელოვნურ მორწყვას დაუკავშირა, როგორც აღვნიშნე, კ. ფიცხელაურმა კახეთში, სიღნაღის რაიონში, ალაზნის მარჯვენა ნაპირის ვაკობის (წნორი-ლაგოდეხის გზის მარჯვნივ) შუაბრინჯაოს ხანის დასახლება. ეს დასახლება მეტად კომპაქტურია, აღმოჩენილია 20 ნამოსახლარი ბორცვი. ზედაპირზე აკრეფილი მასალით გორები ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის უნდა იყოს. მიმდინარეობს ზოგიერთი მათგანის გათხრა, რომელიც მრავალ ბუნდოვან საკითხს გაამუქებს[148]. მთავარი მაინც ის არის, თუ რამ შეუწყო ხელი ამ რაიონის დასახლებას, ისიც ასე კომპაქტურად. ინტენსიური ცხოვრების კვალი აქ მთელი 2000 წელი დასტურდება. შემდგომ უეცრად ცხოვრება წყდება. კ. ფიცხელაურის ვარაუდით, ალაზნისპირის ვაკობის მორწყვა შუაბრინჯაოს ხანისთვის შეიძლებოდა როგორც თვით ალაზნიდან გამოტანილი რუებით (მაშინ ეს ვაკობი გაცილებით დაბალი უნდა ყოფილიყო), ისევე ივრის პლატოს ხევებიდან გამონაჟური წყლებით[149].

ირიგაციის გარეშე ამ ვაკობზე, მეტად მშრალი კლიმატის გამო, რაიმე მეურნეობის წარმოება წარმოუდგენელია, ხოლო ხელოვნური მორწყვით კი, ალაზნის ლამით შექმნილი ეს უნოყიერესი ჭალა საკმაოდ ინტენსიური მეურნეობის წარმოების საშუალებას იძლევა. სწორედ ამიტომაა აქ განუწყვეტელი ცხოვრების კვალი მთელს ორი ათას წელს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დაუდგენელია, რომელი პერიოდიდან ხდება ამ ვაკობის ასე კომპაქტურად დასახლება. შეიცავს კი ყოველი გორა შუაბრინჯაოს ხანის ფენებს? თუ დასახლების ინტენსიფიკაცია შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს და გვიანბრინჯაოს ხანაზე მოდის, ე. ი. მაშინ, როდესაც ირიგაციის განვითარება, მისი მიწათმოქმედებაში ინტენსიურად გამოყენება უფრო სავარაუდოა.

კ. ფიცხელაური ფიქრობს, რომ ცხოვრების მოშლა ამ მიკრორაიონში სარწყავი სისტემების გაუქმების შედეგია, რომ ალაზნის ველის მარჯვენა ნაპირი განუწყვეტლივ მაღლდება ადრებრინჯაოს ხანის შემდეგ, რის გამოც ალაზნის ველის ნაცარგორები სანახევროდ მიწაში აღმოჩნდნენ. ალაზნის მარჯვენა ნაპირის სიმაღლის მომატებამ კი, ნაცარგორათა ახლო მანძილიდან ალაზნის მარჯვენა ნაპირზე არხის გამოტანა შეუძლებელი გახადა, რამაც ამ მიკრორაიონში სარწყავი მიწათმოქმედების მოშლა გამოიწვია და, რის გამოც ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მოსახლეობა ტოვებს ამ ვაკობს[150].

ეს, ალბათ, ასეა, მაგრამ მოსახლეობის ამ ადგილებიდან აყრა უფრო იმ მიზეზით უნდა მომხდარიყო, რა მიზეზითაც დღეს აქ მიწათმოქმედების წარმოება შეუძლებელია, კერძოდ, ნიადაგის დამლაშებით. კ. ფიცხელაურს ეს ვარაუდიც მოაქვს. საქმე ის არის, რომ ალაზნის ველის ის ნაწილი, სადაც ნამოსახლარებია დადასტურებული, წარმოადგენს თავისებურ აუზს, რომელშიც თავს იყრის ნიადაგის წყლები. წყლის დაგროვება ისე ინტენსიურია, რომ მის ასათვისებლად ტყის დიდი მასივია საჭირო. სანამ ეს მასივი არსებობდა, ნიადაგს დამლაშება არ ელოდა. ინტენსიურმა ცხოვრებამ შუა- და გვიანბრინჯაოს ხანაში, როგორც ჩანს, ეს ტყე გაანადგურა. ყანა, სათიბი და საძოვარი კი ნია-

---

148 კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 52.

149 იქვე.

150 იქვე, გვ. 53.

დაგიდან წყლის დიდ რაოდენობას ვერ აითვისებდა. ხდება მისი აორთქლება და ნიადაგში მარილების დაგროვება. სარწყავი მიწათმოქმედების დროს, თუმცა წყალი რამდენადმე ანეიტრალებს მარილებს, მაგრამ ზრდის წყლის მარაგს და საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ნიადაგის დამლაშებას. დღეს რომ აქ ნიადაგი ასე მლაშეა და მარილის გამოსაცლელად საჭიროა მისი გარეცხვა, ალაზნის სარწყავი არხის მოქმედებას ბრალდება.

ნიადაგის დონის აწევა და ალაზნიდან გამოტანილი რუს გაუქმება ამ ვაკობში ცხოვრებას მთლიანად ვერ მოშლიდა. კ. ფიცხელაურიც ხომ ვარაუდობს ივრის პლატოდან ნაკური წყლებით ნამოსახლარების მიდამოების მორწყვას.

ზემოთქმული, ვფიქრობ, საკმარისია იმისთვის, რომ შუაბრინჯაოს გარკვეული საფეხურიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ირიგაციის განვითარება ვივარაუდოთ. ახლა საკვლევია, თუ პირველად რისთვის გაიტანეს სარწყავი რუ და როგორი ხასიათი ჰქონდა მორწყვას. ამის დასადგენად უნდა მივმართოთ შესადარებელ ეთნოგრაფიულ მასალას.

საქართველოს მთიანეთში, კერძოდ სვანეთში, დადასტურებულია მეტად თავისებური, არქაული იერის სარწყავი სისტემები, რომელიც უძველესი და უმარტივესია საქართველოს სარწყავ სისტემებს შორის. მორწყვას სვანეთში არაერთი მკვლევარი შეხებია, ისე რომ, დღეისთვის ეს სისტემები სრულად არის მეცნიერებაში შემოსული[151]. სვანეთის დასახლება ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულს უნდა დაწყებულიყო და იგი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ქართველი ტომების მიწათმოქმედების კრიზისით გამოწვეულ მოძრაობასთან. სვანურს და ქართულს საერთო სამიწათმოქმედო ტერმინოლოგია არა აქვთ, ე. ი. სვანური ძირეულ ქართულს ეყოფა ჯერ კიდევ განვითარების ადრესამიწათმოქმედო ეტაპზე, პრიმიტიული მიწათმოქმედების დროს, როდესაც ტერმინოლოგიაც მარტივია. მესტიის მუზეუმში დაცულია სვანეთიდან მომდინარე ადრეული ბრინჯაოს იერის ცულები. ამავე მუზეუმში კარგად არის წარმოდგენილი შუაბრინჯაოს ხანა. სავსებით ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ქართველი ტომები სვანეთს სწორედ ამ ხანაში აითვისებდნენ. სვანეთის გეოგრაფიული იზოლაციის გამო ხდება აქ მოსახლე ტომთა იზოლაცია სხვა ქართველებისაგან და, შესაბამისად, სვანური და ქართული ენების დამოუკიდებელი განვითარებაც[152]. სვანეთშივე კონსერვაცია განიცადა ქართველი ტომების უძველესმა ადათ-წესებმა თუ სამეურნეო ხერხებმა. ასეთი კონსერვირებული სამეურნეო ღონისძიება არის სარწყავი სისტემების მოწყობის ხერხები და მორწყვის წესი.

სვანეთში უმთავრესად სათიბი ირწყვება, იშვიათად — ფეტვის ყანებიც[153]. ფეტვისნაირნი, როგორც ადრე აღვნიშნე, საქართველოში გავრცელებული უძველესი კულტურებია. სარწყავი წყლის გამოყენება მხოლოდ სათიბისა და ფეტვის ყანის მოსარწყავად სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების საწყისი ეტაპის გადმონაშთია. მეტად საინტერესო ჩანს ი. კვიციანის მიერ დადასტურებული ფაქტი სარწყავი წყლის გამოყენებისა ახოების აღების დროს. ახოს ამ შემთხვევაში სათიბისთვის იღებდნენ; ტყის გაჩეხვისა და ნაკვეთის ქვა-

[151] მ. გეგეშიძე. მორწყვის სისტემა ზემო სვანეთში. „მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის“. XI. 1960. ი. კვიციანი. დასახ. ნაშრ.

[152] ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ. 1969. გვ. 232.

[153] მ. გეგეშიძე. მორწყვის სისტემა ზემო სვანეთში. გვ. 36.

ღორღისა და ფესვებისაგან გაწმენდის შემდეგ, ადრე გაზაფხულზე თოვლის დნობის დაწყებასთან ერთად ზედ წყალს მიუშვებდნენ. მღვრიე წყალი ხელს უწყობს ფესვების ლპობას და, რაც მთავარია, ავსებს ნაკვეთში არსებულ ღრმულებს ლამით, ასწორებს ნიადაგს და ცელიც ძირში იღებს ბალახს[154].

სვანეთის მეურნეობის ხასიათი ისეთივეა, როგორსაც ჩვენ შუაბრინჯაოს ხანისთვის ვვარაუდობთ — მიწათმოქმედების შეზღუდული მასშტაბი და მესაქონლეობა, რომელშიაც მთავარი ადგილი მსხვილფეხა საქონელს უკავია. სწორედ ზამთარში საქონლის გამოსაკვებადაა საჭირო სათიბების მოწყობა და თუ სვანს, მიუხედავად ალპურ საძოვრებთან სიახლოვისა და სიმინდის ყანების არსებობისა, მაინც უხდება სათიბების მოწყობა და, რაც მთავარია, მისი მორწყვა, უფრო მეტად ეს ღონისძიება აღმოსავლეთ საქართველოში — მესხეთ-ჯავახეთში, თრიალეთსა თუ კახეთში მცხოვრებ ტომებს დასჭირდებოდათ. კლიმატი ხომ აღმოსავლეთში გაცილებით მშრალია.

ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარებთან დამოწმებული თხრილების განხილვის დროს აღვნიშნე, რომ დაფერდებულ რელიეფზე სათიბისთვის რუს გატანა და მისი მორწყვა გაცილებით იოლია ყანის მორწყვაზე, რადგან სათიბს ბალახის საფარველი იცავს გადარეცხვისაგან. მით უმეტეს, ყანასთან შედარებით, სათიბის მოწყობა ადვილია მთაში. მთის ირიგაციაში მთავარი სიძნელე წყლის დინების შენელებაა, სათიბი კი წყლის დუნედ დინებას მაინცდამაინც არ მოითხოვს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ სარწყავი წყალი თავდაპირველად სათიბის მოსარწყავად უნდა გამოეყენებინათ. ამას მოითხოვდა მესაქონლეობის განვითარება და ტექნიკურადაც უფრო იოლი იყო. ხოლო სარწყავი სისტემების მშენებლობასა და ექსპლოატაციის საქმეში გარკვეული პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების შემდეგ, შეიძლებოდა ყანების მორწყვაც. რომ უფრო ნათელი იყოს, თუ რას წარმოადგენს სათიბისთვის გატანილი მარტივი რუ, მოვიტან ერთ-ერთი სარწყავი სისტემის აღწერილობას ი. კვიციანის ნაშრომიდან.

ტვებიში ბეჩოს თემი, „სკელშიშლარე“ სველი მინდორი ირწყვება ღელედან გამოტანილი პატარა რუთი. რუს სიგრძე 3 კმ, სიგანე 15—20 სმ, სიღრმე 10 სმ. დაქანება 7,81 მეტრია. რუ საკმაოდ დაფერდებულია, სათიბიც ფერდაა. სათიბთან რუ ნაწილდება მარაოსავით გაშლილ ნაკადულებად, რაც იძლევა საშუალებას, რომ მოურწყავი არ დარჩეს სათიბის მცირე ნაწილიც კი. წყლის დინება მორწყვის დროს თუმც შენელებულია, მაინც საკმაოდ ჩქარია. ამავე ღელედან გატანილია მეორე არხი უკვე მარცხნივ მდებარე სათიბების მოსარწყავად. წყლის შედარებით ჩქარი დინების გამო, ბუნებრივია, ნიადაგი ვერ ახერხებს მის მთლიანად შესრუტვას. განაყონი წყალი გროვდება სათიბების ბოლოს მოწყობილ არხებში და იქმნება ახალი სისტემა ქვემოთ მდებარე სათიბების მოსარწყავად. წყალმა რომ რუს კალაპოტი არ გადარეცხოს, იმ ნაწილში, სადაც წყლის დინება განსაკუთრებით ჩქარია, უგებენ ქვას. სათავე ნაგებობები მარტივია და ადვილად მოსაწყობი[155].

ვფიქრობ, ანალოგიური და კიდევ უფრო მარტივი უნდა ყოფილიყო ჩვენში მოწყობილი პირველი სარწყავი სისტემები. ზემომოტანილი, ბეჩოს თემში დამოწმებული სარწყავი სისტემა 3 ჰა-ს რწყავს. დიდი არ უნდა ყოფილიყო

---

[154] ი. კვიციანი. დასახ. ნაშრ.
[155] იქვე.

პირველი სარწყავი ნაკვეთებიც, მაგრამ მაინც მეურნის ხელში აღმოჩნდა მძლავრი იარაღი მესაქონლეობისა თუ მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციისათვის. ხელოვნური მორწყვა საშუალებას იძლეოდა საცხოვრებლად არა მარტო ინტენსიურად აეთვისებინათ ახალი სამოსახლო, არამედ მიბრუნებოდნენ ძველსაც.

შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს, ძვ. წ. XVI საუკუნიდან კვლავ იწყება აღმოსავლეთ საქართველოს ბარისა და მთისწინა ზოლის საცხოვრებლად ათვისება. ამ ხანის ძეგლები დამოწმებულია შიდა ქართლში — ნულსა და ქვასათალში, მეტეხში, კასპსა და მცხეთაში, დიღმის ველზე, ლილოში; ქვემო ქართლში — შულავრის მიდამოებში; კახეთში — სიღნაღის რაიონში, ზემო ბოდბესა თუ დაცულ ტყეში ივრის სანაპირო ველებზე და სხვა. მე უკვე აღვნიშნე, რომ ძველი სამოსახლო რაიონების კვლავ საცხოვრებლად ათვისების ერთერთი პირობა ხელოვნური მორწყვაა, მაგრამ შუაბრინჯაოს გვიანი საფეხურის ყოველი ძეგლი როდი ეკუთვნის მიწათმოქმედთ. ბარში დამოწმებული ძეგლების უმრავლესობა მესაქონლე ტომებისაა.

მიუხედავად იმისა, რომ მთიან ზოლში ზედაპირული მიწათმოქმედებისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები უნდა ყოფილიყო, ვიდრე ბარში და მიმდინარეობდა მისი ინტენსიფიკაცია (ხელოვნური მორწყვა), იგი მაინც მეტად შეზღუდული მასშტაბისა და პრიმიტიული ხასიათისა რჩებოდა. ამ დროს კი მთა მესაქონლეობის განვითარებისთვის მძლავრი ბაზა აღმოჩნდა. სწორედ საქონელი უნდა ყოფილიყო თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომების სიმდიდრის წყარო. როგორც ითქვა, თავდაპირველად მესაქონლეობაში მთავარი ადგილი მსხვილფეხა საქონელს ეკავა. მაგრამ მესაქონლეობის განვითარება მსხვილფეხა საქონლის ბაზაზე გარკვეულ ზღვრამდეა შესაძლებელი — მანამდე, სანამ თავისუფალი მიწის ნაკვეთი არსებობს სათიბების და საძოვრების მოსაწყობად. გარკვეული ხანიდან, განსაკუთრებით ირიგაციის ჩასახვის შემდეგ სათიბების ნაკლებობა საგრძნობი უნდა გამხდარიყო და თვით ირიგაციის ჩასახვა-განვითარება ამ ნაკლებობის შედეგი უნდა ყოფილიყო. მზარდი მესაქონლეობა კი თავის სულ უფრო და უფრო დიდ მარაგს მოითხოვდა და, ალბათ, მაშინ დაიწყეს ცხვრის მომრავლება. ძროხასთან შედარებით ცხვარი ადვილად მოსავლელია. მესხეთ-ჯავახეთის პირობებში—არტაანის მტკვრის აუზში იგი შეიძლება ზამთარ-ზაფხულ საძოვარზე ამყოფო, ე. ი. მის გამოსაზამთრებლად თავის გაცილებით ცოტა მარაგია საჭირო. ამავე დროს, ცხვარი მსხვილფეხა საქონელთან შედარებით სწრაფადაც მრავლდება. მთის იმ ნაწილებიდან, სადაც მკაცრი ზამთარი იცის, ზამთრობით თანდათანობით დაიწყეს ცხვრის უფრო ზომიერ სარტყლებში ჩამორეკა და ასე ჩამოვიდნენ ბარში. აქ კი მეცხვარეობას განსავითარებლად უფრო ხელსაყრელი პირობები დახვდა.

მოსახლეობის მთიდან ბარისაკენ ლტოლვა მარტო მესაქონლეობის განვითარებით არ აიხსნება. მთას სამიწათმოქმედო ნაკვეთების მეტად ლიმიტირებული რაოდენობა აქვს და მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული რაოდენობის გამოკვება შეუძლია. ნამატი იძულებულია მიატოვოს მთა და ბარისკენ დაეშვას. მთიდან ბარში მოსახლეობის დენა დადასტურებულია ქართველი ერის ისტორიის მთელ მანძილზე. ამ მოვლენას აქვს თავისი კანონზომიერებაც[156].

---

[156] Г. Н. Читая. Горное земледелие на Кавказе. „მას. საქართველოს ეთნოგრაფიისათვის". XI. 1941. გვ. 55.

მოსახლეობის ნამატი ჯერ იკავებს მთის წინა ზოლს, ხოლო ამ ზოლის დასახლების შემდეგ უფრო ქვევით ჩამოდის და იწყებს ბარის ათვისებას. მთიდან ბარში მოსახლეობის ლტოლვის რეგულაცია ერთ-ერთი მწვავე პრობლემა იყო მთისა და ბარის ურთიერთობაში, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

შუაბრინჯაოს ხანაში, მის დასასრულს მართლაც შეიმჩნევა მთისწინა ზოლის დასახლება — ნული, ქვასათალი და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ აქაც ახალმოსახლეთა მხოლოდ სამაროვნები გვაქვს, მაინც შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ისინი უფრო მიწათმოქმედნი არიან. ქვემოთ ბარისა და მთისწინა ზოლის დასახლებას უფრო დეტალურად განვიხილავ. ამჟამად ჩვენთვის მთავარია, რომ შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს ხდება მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გათიშვა, ე. ი. ყალიბდებიან მომთაბარე მესაქონლე ტომები და მიწათმოქმედნი. უკანასკნელთა მეურნეობას ისეთივე შერწყმული ხასიათი უნდა ჰქონოდა, როგორც ადრე. შემდეგ თანდათანობით ხდება მიწათმოქმედების უპირატესი განვითარება, რასაც სამიწათმოქმედო ბარის ჩამოყალიბება მოჰყვა. მესაქონლე ტომებში კი მიწათმოქმედება კვლავ პრიმიტიული უნდა დარჩენილიყო. აქ მეურნეობის საფუძველი საქონელია, კერძოდ, ცხვარი. მეცხვარეს კი მიწათმოქმედების განსავითარებლად არც დრო აქვს და არც შესაძლებლობა.

საზოგადოების გათიშვას მესაქონლეებად და მიწათმოქმედებად არ შეეძლო კულტურის საერთო კრიზისი არ გამოეწვია. მით უმეტეს, რომ მიწათმოქმედების განსავითარებლად პირველი, ჯერ კიდევ გაუბედავი ნაბიჯები იდგმებოდა. მესაქონლე ტომები კი უფრო კონსერვატულები არიან. ამ ტომებში, საერთოდ, პროგრესი ძალიან შეფერხებულია და დუნედ მიმდინარეობს.

შუაბრინჯაოს ხანის დასასრულისათვის თრიალეთის კულტურაში მართლაც შეიმჩნევა კრიზისი, რაც, პირველ რიგში, მხატვრული ხელოსნობის დაქვეითებით აღინიშნა. გვიანბრინჯაოს ხანის კულტურას კი „თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურასთან" საერთო ძალიან ცოტა აქვს.

ასე დამთავრდა ამიერკავკასიელ ტომთა ისტორიის ხანგრძლივი, ძიებითა და აღმოჩენებით მდიდარი ეპოქა, რომელსაც მე განვითარების ადრესამიწათმოქმედო ეტაპს ვუწოდებ. ამ ეპოქას ჯერ კიდევ ნეოლითში ჩაეყარა საფუძველი და შემდეგ მისი განვითარება აღმავალი ხაზით მიდის. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურები ტოლს არ უდებენ არც ერთ სინქრონულ კულტურას არაცივილიზებული ტომებისა. კავკასიისთვის ახლოს იყო და აქ აღწევდა კიდეც წინა აზიის ყველა კულტურული მონაპოვარი. კავკასიელ ტომებს საკუთარი კულტურული მიღწევაც ბევრი ჰქონდათ. განსაკუთრებით მძლავრი განვითარება ჰპოვა ამიერკავკასიელ ტომებში ბრინჯაოს მეტალურგიამ. კავკასია სპილენძის მადნით მდიდარი ქვეყანაა, რამაც ხელი შეუწყო აქ მეტალურგიის საკმაოდ ადრე ჩასახვასა და მძლავრ განვითარებას. იშვიათია მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლი, სადაც ლითონი და ლითონწარმოება დამოწმებული არ იყოს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს კულტურა მეტალურგიის ბაზაზეა განვითარებული.

საინტერესო ფაქტია დადგენილი მკვლევრების მიერ წინა აზიის — მესოპოტამიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობისა ძვ. წ. III ათასწლეულში. მესოპოტამიის გავლენით ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში უკვე ადრებრინჯაოს ხანაში ვრცელდება სამეთუნეო ჩარხი, შურდულის ქვები და თიხის ჭურჭლების ზოგიერთი ფორმა. მაიკოპის კულტურაში დამოწმებული საიუველირო ნაწარმი მესოპოტამური წარმოშობისაა და სხვა.

ასეთი გავლენა შუამდინარეთის კულტურისა ამიერკავკასიაში, კერძოდ, მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე შემჩნეული არ არის.

«Почему это влияние в такой степени миновало Закавказье?—სვამს კითხვას რ. მუნჩაევი — Возникает и ряд других, связанных с ним вопросов, на которые мы еще не можем дать, к сожалению, обоснованных фактами ответов»[157].

რ. მუნჩაევს მოაქვს ფ. ბეტანკურის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შეიძლება ჩრდილოეთ კავკასიისა და მესოპოტამიის ურთიერთობა ზღვით მიმდინარეობდა თუმც იქვე აღნიშნავს, რომ ეს მოსაზრება მხოლოდ ლოგიკური მსჯელობის შედეგია და ფაქტებით შემაგრებული არ არის[158]. მესოპოტამიასთან ურთიერთობამ, რ. მუნჩაევის აზრით, მისცა სტიმული ჩრდილოეთ კავკასიაში საერთო კულტურულ პროგრესს. წინა აზიის ინტენსიური გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზე და სუსტი კავშირი ამიერკავკასიასთან აპირობებს მაიკოპის კულტურის მეტად თავისებურ ხასიათს, მის «резкое отличие в существенных атрибутах от Куро-Аракской культуры»[159].

მართლაც, უცნაური ფაქტია. ამიერკავკასია ხომ ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდია წინა აზიისა და ჩრდილოეთ კავკასიის. წინა აზიის თითქმის ყოველი კულტურული მიღწევა ამიერკავკასიაში ამიერიდან შედიოდა. ვთქვათ, მართლაც, ზღვიდან ან სხვა გზით ავრცელებს თავის გავლენას მესოპოტამია იმიერკავკასიაზე, მაგრამ ეს ხელის შემშლელი არ უნდა ყოფილიყო მისი ამიერკავკასიასთან ურთიერთობისა. ამიერკავკასია-წინა აზიის ურთიერთობა იშვიათად წყდებოდა, თუმცა ასეთი პრეცენდენტი დადასტურებულია ამიერკავკასიის არქეოლოგიაში. ამაზე ქვემოთ. აქ კი უნდა აღინიშნოს, რომ ადრეულ ბრინჯაოს ხანაში სამხრეთ კავკასიას საკმაოდ ცხოველი ურთიერთობა აქვს წინა აზიასთან. ამ ურთიერთობის შედეგად ყალიბდება თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა. და თუ წინა აზიასთან კავშირი მტკვარ-არაქსის კულტურაში ისე რელიეფურად არ ჩანს, როგორც მაიკოპის კულტურაში, ამის მიზეზი, ჩემი აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის მაღალი დონეა.

მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია კავკასიის მხატვრული ხელოსნობის განვითარებაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თითოეული ჭურჭელი ხელოვნების ნიმუშია. მტკვარარაქსელ კერამიკოსებს ჭურჭლის დამზადების საკუთარი ტექნოლოგია და მხატვრული ხერხები ჰქონდათ საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული და მათზე უცხო ძნელად მოახდენდა გავლენას, თუმცა უკანასკნელს მაინც აქვს ადგილი (მოხატული ჭურჭელი)[160]. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ თიხის ჭურჭლის იმპორტი მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში გამორიცხულია. უფრო მეტიც, მტკვარ-არაქსის კულტურის მეთუნეობის ტრადიციები თვით ახდენენ წინა აზიის კერამიკულ წარმოებაზე გავლენას. სადა, გაპრიალებული ჭურჭლების გავრცელება წინა აზიაში, სწორედ ამ გავლენას უნდა მიეწეროს.

---

157 Р. М. Мунчаев. დასახ. ნაშრ. გვ. 376.

158 იქვე. Philip P. Betancourt. The Maikop copper tools and their relationship to Cretan Metallurgy. American Journal of Archeology. 74. №4. October. 1970. pp.356—358.

159 Р. М. Мунчаев. Кавкак в эпоху энеолита и ранней бронзы. Докторская дисертация. გვ. 624.

160 მ. კეცხოველი. ურბნისის მოხატული ჭურჭელი (ხელნაწერი).

რაც შეეხება ლითონის წარმოებას, მტკვარარაქსელებს არავისგან არაფერი ჰქონდათ სასწავლი და გადმოსაღები. პირუკუ, მასწავლებლის როლში თვითონ გამოდიან[161]. მაიკოპის კულტურის ურთიერთობა მესოპოტამიასთან, პირველ რიგში, საიუველირო ნაწარმში — მესოპოტამური ოქროსა და ვერცხლის ნივთების ამ კულტურის ძეგლებზე აღმოჩენაში მჟღავნდება. მესოპოტამური ოქრო მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე იშვიათად დასტურდება, თუმცა მათი იმპორტი სამხრეთ კავკასიაში უკვე დამოწმებულია[162]. ეს ოქრო ადრებრინჯაოს ხანის დასასრულს ჩნდება, როდესაც მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები გარკვეულ კრიზისს განიცდიდნენ. ხდება ძველი სამოსახლოების მასიურად მიტოვება. წინა აზიასთან ურთიერთობა გარკვეული სტიმული იყო კრიზისის დაძლევისა და, უკვე შუაბრიჯაოს ხანაში, კულტურის არნახული აყვავებისა. თრიალეთური საიუველირო ნაწარმი წინა აზიისგან ბევრით არის დავალებული[163]. არაერთი ფაქტის მოტანა შეიძლება ამიერკავკასიისა და წინა აზიის კულტურული ურთიერთობისა (კრემაციის წესი, მიცვალებულის ეტლზე დაკრძალვა და სხვა)[164].

ერთი სიტყვით, კულტურის დონე ადრესამიწათმოქმედო ამიერკავკასიაში საკმაოდ მაღალია. მიუხედავად აქ დამოწმებული კულტურების თავისებურებისა და თვითმყოფადი ხასიათისა, კულტურული ურთიერთობა წინა აზიასთან არასდროს წყდება და ყოველი წინააზიური კულტურული მიღწევა სამხრეთ კავკასიისათვის ხელმისაწვდომია და მაინც ჩვენში განვითარების გზა ისეთივეა, როგორიც, ვთქვათ, ევროპაში[165]. სამხრეთკავკასიელ ტომთა სოციალური განვითარება, მიუხედავად კულტურის მაღალი დონისა, ცივილიზაციაში ვერ გადაიზარდა. უფრო მეტიც, მისი განვითარება ჩიხში მოექცა, რაც კულტურის დაქვეითებით აღინიშნა.

ახლა საკვლევია, თუ რატომ მოხდა ასე, რატომ ვერ ჰპოვა ამიერკავკასიაში განვითარება ადრეკლასობრივმა საზოგადოებამ. მტკვარ-არაქსის და განსაკუთრებით თრიალეთის კულტურა ძალიან ახლოს დგას ცივილიზაციასთან. ზემოთქმულიდან, ვფიქრობ, ნათელია, რომ წარმოებისა და კულტურის საერთო დონით ამიერკავკასია არ ჩამოუვარდება შუაბრინჯაოს ხანის არც ერთ ქვეყანას. საკმაოდ მაღალია აქ სოციალური განვითარების დონეც.

უკვე აღვნიშნე, რომ მესხეთ-ჯავახეთში ყორღანები ხშირად ქმნიან ცალკეულ ჯგუფებს, რომ თითოეული ჯგუფი ცალკე გვაროვნულ სასაფლაოს უნდა წარმოადგენდეს[166]. მესხეთ-ჯავახეთის ყორღანების უმრავლესობა მცირე ზომის უყრილო ყორღანებია. ისინი კოლექტიურია და რიგითი მეთემეების სამარხები უნდა იყოს. ძნელი წარმოსადგენია მათში საზოგადოების დაწინაურებული პირის დამარხვა, მით უმეტეს, რომ იმავე ყორღანულ ველებზე არაერთი მოზრდილი, მდიდრული ინვენტარის შემცველი სამარხია. საინტერესოა, რომ დამოწმებულია კენოტაფური სამარხები, რომელთა ინვენტარი თითო-ოროლა ჭურჭლით და ერთ შემთხვევაში ბრინჯაოს დანით თუ სატევრის პირითაა წარ-

---

161 ც. აბესაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 98.

162 კ. ფიცხელაური, შ. დედაბრიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 31.

163 ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. გვ. 73, 171. ე. გოგაძე. თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. გვ. 77.

164 Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. стр. 94.

165 ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. გვ. 7.

166 ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 77.

მოდგენილი[167]. ასეთი ღარიბული სამარხი, რა თქმა უნდა, ბელადის არ იქნებოდა.

თითოეულ ჯგუფში გამოიყოფა ცენტრალური ყორღანი, რომლის გარშემო ჯგუფდება სხვა ყორღანები. იგი ზომითაც და სამარხეული ინვენტარის სიმდიდრითაც გამოირჩევა დანარჩენებისაგან. უნდა ვიფიქროთ, რომ ცენტრალური ყორღანები გვარის უხუცესებს ეკუთვნის; მაგრამ ეს სამარხებიც კოლექტიურია, რაც, ვფიქრობ, ნიშნავს იმას, რომ გვარის შიგნით უკვე იყოფა ქონებრივად და სოციალურადაც დაწინაურებული სახლები, რომ გვარის უხუცესობა — ბელადობა უკვე ერთი სახლის პრეროგატივაა, რომ მას მემკვიდრეობითი ხასიათი აქვს.

ყორღანთა ჯგუფები ერთმანეთისაგან ყორღანების რაოდენობითაც განსხვავდებიან და სიდიდითაც. საერთოდ, მესხეთ-ჯავახეთში სამი ტიპის ყორღანია დამოწმებული: ქვაყრილიანი დიდი ზომის ყორღანები, ქვამიწაყრილიანი და თითქმის უყრილო ყორღანები. უკანასკნელი აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს. საკმაო რაოდენობით არის დადასტურებული ქვამიწაყრილიანიც, ხოლო ქვაყრილიანი დიდი ზომის ყორღანები ტერასებსა და პლატოებზე თითო-ოროლა გვხვდება. ამავე დროს, ცალკეულ ტერასაზე მხოლოდ თითო ასეთი ყორღანია[168]. თუ ყორღანების ტიპებს შორის განსხვავება ქრონოლოგიური სხვაობით არ არის გამოწვეული, მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ ქვამიწაყრილიანი ყორღანები თემის უხუცესების, ხოლო ქვაყრილიანი ტომის ბელადების სამარხებია[169]. საინტერესოა, რომ დიდი ყორღანები უფრო ინდივიდუალურია, რაც კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ იგი ბელადების სამარხებია. განსაკუთრებით გამოირჩევა ამ მხრივ ზურტაკეტის ზოგიერთი ყორღანი, რომლის შესახებ ო. ჯაფარიძე წერს: „...ზურტაკეტში ისეთი დიდი ყორღანების აგება, რომლებსაც სივრცით დაახლოებით ერთი ჰექტარი ფართობი უკავიათ, სიმაღლით კი 7—8 მ-ს აღწევენ, ძალიან შრომატევადი იქნებოდა და დროსაც საკმაოს მოითხოვდა, ამიტომ აქ საკითხი შრომის ორგანიზაციის, ყორღანის მშენებლობის პროცესისა და ხანგრძლივობის შესახებ უთუოდ საყურადღებოა“[170].

ეს ყორღანები იმდენად გრანდიოზულ ნაგებობებს წარმოადგენენ, რომ მათი აგება ერთი ტომის ძალებით, ვფიქრობ, მეტად ძნელი იქნებოდა, აქ ტომთა გაერთიანების ბელადები თუ იმარხებოდნენ, რომლებიც თავიანთი ძალაუფლებით, ალბათ, ახლოს იდგნენ ძველ აღმოსავლურ — სირიულ, ხურიტულ, ხეთურ თუ სხვა წარწერებში ხსენებულ მეფეებთან. ზურტაკეტის ყორღანები, გარდა თავიანთი სიდიდისა, იმითაც გამოირჩევიან, რომ საკმაოდ რთული ტექნიკური ნაგებობები არიან. მათ შენებას დიდი დრო და ბევრი მუშახელი დასჭირდებოდა. ძალიან საეჭვოა, რომ თემის რიგით წევრებს თავისი ნებით ემუშავათ ამ ყორღანების მშენებლობაზე. ალბათ, გამოყენებული იყო იძულებითი შრომა, რაც გარკვეულ სოციალურ ორგანიზაციას მოითხოვს. ერთი სიტყ-

---

167 ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. 1972—1973 წ. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები. IV. თბ. 1975.

168 О. М. Джапаридзе, Г. Б. Авалишвили, Я. А. Киквидзе. Новый очаг Триалетской культуры. Археологические открытия. М. 1971. стр. 375.

169 ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. გვ. 66—67.

170 იქვე. გვ. 58.

ვით, მე ის მინდა ვთქვა, რომ ადრეული ბრინჯაოს ხანის დასასრულს და შუა-ბრინჯაოს ხანაში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტომები ცივილიზაციის ზღურბლზე იდგნენ და თუ ვერ გადალახეს იგი, მხოლოდ იმიტომ, რომ არა ჰქონდათ სათანადო სამიწათმოქმედო ბაზა, რომელიც საფუძვლად უდევს ძველი აღმოსავლეთის ყოველ ადრეკლასობრივ სახელმწიფოს.

ადრესამიწათმოქმედო კულტურების უმრავლესობა, განსაკუთრებით ურწყავი მიწათმოქმედების შემცველი, ადრე თუ გვიან კრიზისს განიცდის. მხოლოდ ინტენსიურად სარწყავ რაიონებში ნახეს შემდგომი განვითარება ამ კულტურებმა და ცივილიზაციაში გადაიზარდნენ. სარწყავი მიწათმოქმედება, გარდა იმისა, რომ იძლევა ზედმეტ პროდუქტს მიწათმოქმედებაში არადასაქმებულ პირთა გამოსაკვებად, გამოირჩევა თავისი მაღალი ორგანიზაციით. სარწყავი სისტემების მშენებლობა საზოგადოებრივ საქმიანობას წინა პლანზე აყენებს, რიგითი მეთემის ცხოვრებაში მას დიდი ადგილი უკავია. ამავე დროს, იქმნება გარკვეული ინსტიტუტი ამ საქმიანობის ორგანიზაციისა და წარმართვისათვის. ასეთ ინსტიტუტად, ჩვეულებრივ, ტაძარი გვევლინება. ღვთაებისა და ადამიანის დამოკიდებულება, როგორც ბატონის და ყმისა, კულტმსახურთ ადრიდანვე პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა. ადამიანი ცდილობს თავის სასარგებლოდ განაწყოს ღმერთი, საკუთარ ინტერესს დაუმორჩილოს ღვთაებრივი ძალა. ამისთვის მას კულტმსახური სჭირდება როგორც შუამავალი. შეიძლება ითქვას, რომ ყოველ საზოგადოებრივს, არხის მშენებლობა იქნება ეს, ომი თუ მშვიდობა, კულტმსახურები წარმართავენ, როგორც ღვთის ნების განმსახიერებელნი. საზოგადოების განვითარებასთან და კულტის გაძლიერებასთან ერთად რთულდება კულტმსახურების რიტუალი და ორგანიზაცია. იქმნება ტაძარში გაერთიანებული კულტმსახურების კასტა, რომელიც მოქმედებს რა ღვთის სახელით, თავის ნებას უმორჩილებს თემს, ტომს თუ ტომთა მთელ გაერთიანებებს. ძლიერდება ბელადის — გმირის კულტიც, რომელიც ჯერ ღვთის მსახურია, შემდეგ კი ღვთაება. ტაძრისა და ბელადის ხელში გროვდება დიდძალი ქონება და მამული. ღვთის შიში რიგით მეთემეს აიძულებს იმუშაოს ტაძრის—ბელადის სასარგებლოდ ტაძრის მამულში, თვით ტაძრისა, ბელადის სასახლისა თუ სამარხის მშენებლობაზე. ერთი სიტყვით, ტაძრის მაორგანიზებელი როლი, რომელიც საბოლოოდ სახელმწიფოებრიობაში გადაიზრდება, სარწყავი მიწათმოქმედების ორგანიზაციით იწყება.

ამიტომ არის, რომ ურწყავი მიწათმოქმედების შემცველი საზოგადოება მოკლებულია ამ მაორგანიზებელ ძალას და ბელადის კულტის საკმაოდ განვითარების მიუხედავად ეს კულტი მეფის ხელისუფლებაში არ გადადის. ამავე დროს, ურწყავი მიწათმოქმედებით მიღებული პროდუქტები მიწაზე მომუშავეთ ძლივს ყოფნით და სხვათა გამოსაკვებად (კულტმსახურების, ვაჭრების, ხელოსნების, მოხელეების და სხვა) არ რჩებათ. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ურწყავი ადრესამიწათმოქმედო კულტურა ცივილიზაციაში გადაიზარდა, კრეტა-მიკენი და ბალკანეთის ნახევარკუნძულია. მაგრამ აქ განსხვავებული პირობებია. კერძოდ, წინა აზიასთან და ეგვიპტესთან სიახლოვე ხელს უწყობდა ამ აუზში მებაღეობა-მევენახეობის განვითარებას, რაც, ვაჭრობასთან ერთად, ქმნის ცივილიზაციის საფუძველს.

თრიალეთის კულტურაში თუმცა დაიწყო სარწყავი მიწათმოქმედების განვითარება, მაგრამ ძალიან შეზღუდული მასშტაბით. სარწყავი წყალი მესაქონლეობის საჭიროებას უფრო აკმაყოფილებდა. მართალია, განვითარებული მე-

საქონლეობა რამდენადმე კომპენსაციას უკეთებს ექსტენსიურ მიწათმოქმედებას, მაგრამ მისი ორგანიზაცია რთული არ არის და სოციალური განვითარებისთვის სტიმულს ნაკლებადა ქმნის. რა თქმა უნდა, ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება შეიძლება მესაქონლეობის ბაზაზეც და ასეთი საზოგადოება არაერთია ცნობილი ისტორიაში, მაგრამ მესაქონლეთა სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი უფრო საბრძოლო კავშირია სხვა ტომების ძარცვაგლეჯისთვის წარმოქმნილი. ასეთ კავშირებს უფრო განვითარებული მესაქონლეობა და უფრო მრავალრიცხოვანი ტომები სჭირდებათ, ვიდრე შუაბრინჯაოს ხანის ამიერკავკასიაში შეიძლება ვივარაუდოთ.

თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომების სამიწათმოქმედო ბაზა მხოლოდ მემინდვრეობა და რამდენადმე მებოსტნეობა შეიძლებოდა ყოფილიყო. ამიტომ ვერ დავეთანხმები იმ მკვლევარებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის პროგრესის საფუძველი, სხვათა შორის, მიწათმოქმედებაცაა.

რ. მუნჩაევი წერს: «Многочисленные и разнообразные данные убедительно свидетельствуют, что основу экономики поселения Кавказа в эпоху ранней бронзы составляли, безусловно, земледелие и скотоводство... в основе бурного прогресса культур раннебронзового века Кавказа... лежало, конечно, главным образом, широкое развитие в это время здесь земледельческо-скотоводческого хозяйства»[171].

ჩვენ ზემოთ ყველა ეს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მონაცემები განვიხილეთ. არც ერთი მათგანი ინტენსიურ მიწათმოქმედებაზე არ მიუთითებს. მაგრამ რ. მუნჩაევს ზოგი ისეთი ფაქტიც მოაქვს, რომელსაც არ შევხებივარ, რადგან მისი რეალურობა საეჭვოა. კერძოდ, რ. მუნჩაევი თვლის, რომ ადრებრინჯაოს ხანაში ხორბლის სალეწად გამოყენებული უნდა ყოფილიყო კევრი. უთითებს კიდევაც კევრის კოხების აღმოჩენის ფაქტს (ხიზანაანთ გორა, ურბნისი, ნადიმაშვილის გათხრები)[172].

1953 წელს გორის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა ს. ნადიმაშვილმა გაწმინდა ხიზანაანთ გორის გადამწვარი C_1 ფენის თითქმის მთელი სათავსო. სამწუხაროდ, ამ გათხრებმა შეიწირეს ადრებრინჯაოს ხანის ზედა B დონე და ანტიკური და ადრეფეოდალური ფენები. როგორც ჩანს, ზოგიერთი მასალა ადრეფეოდალური და ანტიკური ფენებიდან გათხრების დროს ფიქსირებული იყო C დონეზე. აქედან — სენსაციური აღმოჩენები — ყურძნის წიპწები, კევრის კოხები და სხვა. ანალოგიური მასალა დაამოწმა ხიზანაანთ გორაზე ურბნისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამაც, მაგრამ ანტიკურსა და ადრეფეოდალური ხანის ფენებში.

რ. მუნჩაევი ადრებრინჯაოს ხანის მეურნეობის აღდგენის დროს ფართოდ იყენებს თ. ბუნიატოვის შრომებს, რომლებშიც, მისი აზრით, სწორად არის აღდგენილი ადრეული ბრინჯაოს ხანის კავკასიაში მიწათმოქმედების მთელი პროცესი: მოხვნა, ფარცხვა, თესვა, მომკა, გალეწვა და სხვა. ვფიქრობ, თ. ბუნიატოვის შრომები ასეთ მაღალ შეფასებას არ იმსახურებენ. მის მიერ აღდგენილი ადრებრინჯაოს ხანის მეურნეობის სურათი არც ისე რეალური უნდა იყოს. მაგ., ტ. ბუნიატოვი ფიქრობს, რომ ღარისებური ცული ქვის თოხია, რო-

---

171 Р. М. Мунчаев. დასახ. ნაშრ. გვ. 684, 685.

172 Р. М. Мунчаев. Кавказ на заре... стр. 380.

მელიც იხმარებოდა მიწის დასამუშავებლად იქ, სადაც განსაკუთრებით დაწინაურებული იყო მიწათმოქმედება, მებაღეობა, მევენახეობა[173]. ეს იარაღი საკმაოდ გავრცელებულია მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე. იგი დამოწმებულია თრიალეთში, შრეშ-ბლურში, ელარში, ქიულ-თეფეზე, დაღესტანში[174] და სხვა. ა. იესენი ფიქრობდა, რომ ეს იარაღი გამოყენებული იყო სამთო საქმეში, მადნის მოსატეხად და გასაფხვიერებლად[175]. თუნდაც მათი აღმოჩენის ფაქტი თრიალეთსა და დაღესტანში ცხადყოფს, რომ მევენახეობასა და მებაღეობაში ამ იარაღს ვერ გამოიყენებდნენ. მაგრამ რამდენად რეალურია ადრე ან შუაბრინჯაოს ხანაში კავკასიაში მევენახეობა-მებაღეობის ვარაუდი?

ეს ორიგინალური და საკმაოდ უნიადაგო თეზა მარტო ტ. ბუნიატოვს არ ეკუთვნის. მას იზიარებს არქეოლოგ-ისტორიკოსთა ნაწილი და, რაც მთავარია, მეურნეობის ამ დარგის სპეციალისტი ისტორიკოსები[176]. მევენახეობა-მებაღეობის ინსტიტუტის მუზეუმში მევენახეობის ამსახველ სტენდზე ადრე და შუაბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლებსაც ნახავთ, რაც იმის დასტურია, რომ გამოფენის ავტორები ჩვენში მევენახეობის განვითარებას ადრეული ბრინჯაოს ხანიდან იწყებენ.

ამ მკვლევარებს არათუ რაიმე ფაქტობრივი მონაცემი აქვთ ასე ადრე ჩვენში მებაღეობა-მევენახეობის განვითარებისა, არამედ სრულიად არ ითვალისწინებენ ისტორიული განვითარების პერსპექტივას. უნდა აღინიშნოს, რომ ურწყავი მიწათმოქმედების დროს მეურნეობის ამ დარგის განვითარებას აქვს თავისი სოციალური შედეგი, კერძოდ, როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა ნ. ბერძენიშვილი, საქართველოში წარმოების არც ერთ დარგს ისე არ გაუზრდია კერძომესაკუთრეობის ტენდენცია მიწაზე, როგორც მევენახეობას. მებაღეობა და მევენახეობა ვერ ურიგდება წარმოების კოლექტიურ წესს და კერძო ინიციატივას მოითხოვს. და როცა მიწაზე თემური საკუთრება არ არის შემაგრებული სარწყავი სისტემებით, კერძო ინიციატივით გაშენებული ბაღი და ვენახი კერძო საკუთრებაში გადადის. საინტერესოა, რომ კახეთში ფეოდალურ ხანაში კერძო მფლობელობაში მხოლოდ ვენახები იყო. სახნავი მიწები კვლავ თემის საკუთრებაში რჩებოდა[178]. ამ მხრივ ურწყავი მიწათმოქმედების სოციალური ეფექტი მეტია, ვიდრე სარწყავისა, რადგან სარწყავი სისტემების გატანა-ექსპლოატაცია შეუძლია მხოლოდ თემს ან ცენტრალურ ხელისუფლებას. აქედან — მიწაზე კერძო საკუთრების არარსებობა ძველ

---

[173] Р. М. Мунчаев. დასახ. ნაშრ. Т. А. Бунятов. Земледелие и скотоводство в Азербайджане в эпоху бронзы. Баку. 1957. მისივე. История земледелия и скотоводства в Азербайджане (с древнейших времен до XIII в.). Автореферат диссерт. на соиск. уч. ст. докт. ист. наук. Баку, 1968.

[174] Р. М. Мунчаев. დასახ. ნაშრ. გვ. 180.

[175] А. А. Иессен. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. Изв. ГАИМК, вып. 120. М.-Л., 1935, стр. 65—67.

[176] ა. ბოხოჩაძე. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ. 1963.

[177] ნ. ბერძენიშვილი. ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან. ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტ. 1. თბ. 1960. გვ. 182.

[178] ნ. ასათიანი. გლეხობა XVI—XVII საუკუნეების კახეთში. საკანდიდატო დისერტაცია. ხელნაწერი. გვ. 160.

ალმოსავლეთში[179] და, პირუკუ, მიწაზე მეტად განვითარებული კერძო საკუთრება საბერძნეთსა და რომში.

არც მტკვარარაქსელი და არც თრიალეთელი მიწაზე კერძო საკუთრებამდე არ მისულა. რა თქმა უნდა, მებაღეობა-მევენახეობის დროს არც მიწათმოქმედებისა და არც, საერთოდ, კულტურის კრიზისთან გვექნებოდა საქმე. ისტორიკოსნი რომ თვლიან, ადრეულ ან შუაბრინჯაოს ხანაში ჩვენში მევენახეობა იყო და თრიალეთის დიდი ყორღანებიდან მომდინარე ოქრო-ვერცხლის თასები ღვინის სასმელებია[180], მტკვარარაქსული სამყურა ჭურჭლები კი ღვინის დასაყენებელი ქვევრებიო[181],—კიდევ გასაგებია, მაგრამ იგივეს რომ მევენახეობის სპეციალისტები გაიმეორებენ, — ეს გაუგებარია. განა სპეციალისტმა შეიძლება დაუშვას, რომ წალკისა და ჯავახეთის პლატოებზე ვენახი ხარობდა და ურბნისში, შიდა ქართლის ცენტრში, სადაც სიცხისაგან სარდაფში მიწაში ჩადგმულ ქვევრებშიც ფუჭდება ღვინო, შეიძლება იგი ფაცხისებურ ნაგებობებში იატაკზე მდგარ ჭურჭლებში ინახებოდეს?

მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურების პროგრესს სხვა სტიმული ჰქონდა, კერძოდ, ხელოსნობის (ლითონი, კერამიკა) მაღალი დონე. რაც შეეხება მიწათმოქმედებას, მეურნეობის ეს დარგი თავისი პრიმიტიული ზედაპირული ხასიათით, არათუ უწყობდა ხელს ამ კულტურების მატარებელი ტომების სოციალურ განვითარებას, არამედ აფერხებდა მას. ვიმეორებ, რამდენადმე განვითარებული მიწათმოქმედების პირობებში თრიალეთის კულტურა ცივილიზაციაში უნდა გადაზრდილიყო. ნაცვლად ამისა მოხდა საზოგადოების გათიშვა მიწათმოქმედად და მესაქონლედ, რასაც საბოლოო ჯამში ამ აყვავებული კულტურის კრიზისი მოჰყვა. დღეისათვის მყარად არის დადგენილი შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანაში ცენტრალურ ამიერკავკასიაში გავრცელებული კულტურების გენეტიკური კავშირი[182]. უკვე აღარ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ, რომ გვიანბრინჯაოს ხანის კულტურა თრიალეთის კულტურის ბაზაზეა წარმოშობილი, ე. ი. უფრო დაბეჯითებით შეიძლება თრიალეთის კულტურის კრიზისზე ლაპარაკი. კერძოდ, ეს კრიზისი გამოხატულია იმაში, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში აღარ გვხვდება ოქროსა და ვერცხლის დიდი ხელოვნებით ნაკეთები ნივთები. რამდენადმე ეცემა კერამიკის მხატვრული დონეც. გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებულ ყორღანებს აღარაფერი აქვს საერთო შუაბრინჯაოს ხანის გრანდიოზულ სამარხ-ნაგებობებთან და სხვა. როგორც ვხედავთ, კრიზისი, ვიწრო გაგებით, „კულტურული“ ხასიათისაა, ხოლო საერთო ისტორიულ-კულტურული დონით გვიანბრინჯაო, რა თქმა უნდა, შუაბრინჯაოს ხანაზე მაღლა დგას.

სამარხებში საიუველირო ნაწარმის გაქრობა, კერამიკის მხატვრული დონის დაქვეითება და ა. შ. ახსნილია იმით, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან წყდება კულტურული ურთიერთობა წინა აზიასთან, ბოლო

---

179 К. Маркс, Ф. Энгельс. Сочинения. т. XXI. 1929. стр. 493—494.

180 გ. ცქიტიშვილი. მევენახეობის ისტორიისათვის საქართველოში. არქეოლოგიური მასალების მიხედვით. ისტ. ინსტ. შრ. IV. 2. 1959. გვ. 137.

181 ა. ბოხოჩაძე. დასახ. ნაშრ.

182 კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 127—160.

ელება მშვიდობიანობის პერიოდს და სხვა[183], რა თქმა უნდა, რომ ამ მიზეზებმა გარკვეული როლი ითამაშეს თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურის დაცემაში, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც მეურნეობის კრიზისი უნდა იყოს: შეუსაბამობა პრიმიტიულ მიწათმოქმედებასა და მზარდ მესაქონლეობას შორის. ზედაპირული მიწათმოქმედება და შუაბრინჯაოს ხანის ტომების დასახლება მესაქონლეობისთვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების შემცველ ტერიტორიაზე ქმნის კონიუნქტურას უკანასკნელის მძლავრი განვითარებისთვის. მესაქონლის მწყემსური ბუნება სძლევს მიწათმოქმედის ლტოლვას ბინადარი ცხოვრებისაკენ და შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს აღმოსავლეთ საქართველოსა და ამიერკავკასიაში მცხოვრები ტომები კვლავ ტოვებენ ძველ საცხოვრისს. მთა ვერ აჩერებს იმ ტომებსაც, რომლებიც უფრო ბინადარნი არიან. მიწათმოქმედებაში დაგროვილი საკმაო პრაქტიკული გამოცდილება და ემპირიული ცოდნა საშუალებას აძლევს მათ საცხოვრებლად აითვისონ მიწათმოქმედებისთვის უკეთესი რაიონები და ისინიც ქვემოთ ეშვებიან.

როგორც ჩანს, შემცირდა ტომის შიდა და ტომთაშორისო კავშირები. მომთაბარე მწყემსი, რა თქმა უნდა, ზურტაკეტის მსგავს სამარხებს ვეღარ გამართავს. მას ამისთვის დრო აღარა აქვს. მშენებლობის ორგანიზაციაც ძალიან დიდ ტერიტორიაზე გაფანტულ მესაქონლეებში საკმაოდ რთული უნდა ყოფილიყო. ალბათ, არც ძვირად ღირებულ ოქრო-ვერცხლის ნივთებს ჰყავდა მომხმარებელი. მიწათმოქმედნი ამ დროს ჯერ კიდევ ეკონომიურად სუსტნი უნდა ყოფილიყვნენ, იმისთვის რომ დიდი მასშტაბის მშენებლობა შესძლებოდათ, ან ძვირფასი ლითონის სამკაული მოეხმარათ.

---

[183] ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. გვ. 165.

თავი II

სახნავი მიწათმოქმედება

§ 1. გვიანბრინჯაოს ხანა. სარწყავი მიწათმოქმედების განვითარება. შუაბრინჯაოს ხანის ბოლოსთვის კვლავ შეიმჩნევა ცხოვრების გამოცოცხლება ბარსა და მთისძირა ზოლში. ამ ხანის ძეგლები, უმთავრესად, სამაროვნების სახით დადასტურებულია: ცხინვალში[1], ქვასათალში,[2] ნულში,[3] ქულბაქებში, ზღუდრისგვერდაზე[4], მცხეთას[5], აშურიანს[6], ქანდას[7] და სხვა (შიდა ქართლი); შულავერში (ქვემო ქართლი); ალავერდში, ოლეში, ლილოში[8], ზემო ბოდბეში[9] და სხვ. (კახეთი). საინტერესოა, რომ სამაროვანთა უმრავლესობაზე დამოწმებულია აგრეთვე შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი ხანის და გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის სამარხები[10], ბარისა და მთის ზოლის ინტენსიური დასახლება სწორედ ამ პერიოდიდან იწყება. გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპი (კ. ფიცხელაურის მიხედვით) დამოწმებულია შემდეგ ძეგლებზე: ფლავისმანის ნეკროპოლი, ცხინვალის ნაცარგორა, ყათნალის ხევის ნამოსახლარი, ღრმაღელე, სამთავროს სამაროვანი, მჭადიჯვარი, მელი-ღელე[1], ნასაღგომარისა და პირდაპირი მიწების სამაროვნები, ულიანოვკა და სხვა. ამ ეპოქისთვის დამახასიათებელი თიხის ნაწარმი აღმოჩენილია ბორჯომში, ლაგოდეხში, ბულაჩაურში, სიღნაღის ულიანოვკაში, ცხინვალის მიდამოებში, კაკაბეთის მიდამოებში, ლიახვის, ფრონეს და დვანის ხეობებში — ნამოსახლარ გორებზე და სხვა[11].

---

[1] ტ. ჩუბინიშვილი. მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბ. 1957. გვ. 45—46.

[2] О. М. Джапаридзе. Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии. КСИИМК. вып. 60. стр. 25.

[3] Б. А. Куфтин. Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию. Тб. 1944. стр. 25.

[4] დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი. შიდა ქართლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები. საქ. ისტ. გეოგრ. კრ. ტ. 1. თბ. 1960. გვ. 142.

[5] ტ. ჩუბინიშვილი. სამთავროს ყორღანული სამარხი № 243. მას. საქ. და კავკ. არქეოლოგიისათვის. ტ. 1. 1954. გვ. 23—24.

[6] ზ. შატბერაშვილი. კასპის რაზმის 1965 წ. მოკლე ანგარიში. XV სამეცნიერო სესიის მოხსენებათა ანოტაციები. თბ. 1966.

[7] ა. კალანდაძე. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1962 წ. მუშაობის ძირითადი შედეგები. XI სამეცნ. სესიის მოხსენებათა ანოტაციები. თბ. 1963.

[8] ე. გოგაძე. თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ. 1972. გვ. 95.

[9] კ. ფიცხელაური. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები. თბ. 1973. გვ. 127.

[10] იქვე. გვ. 138.

[11] იქვე. გვ. 147—148.

კიდევ უფრო ინტენსიურია დასახლება გვიანი ბრინჯაოს ხანის მომდევნო ეტაპზე. ერთი მხრივ, მძლავრდება მოსახლეობა ზემოჩამოთვლილ პუნქტებში, მეორე მხრივ, ჩნდება ახალი დასახლებანი: არმაზის ხევი[12], ჯავა, ყორნისი[13], წეროვან-ნარეკვავი[14] და მრავალი სხვა. მომდევნო ეტაპზე, გვიანბრინჯაოს ხანის დასასრულსა და ადრეული რკინის დასაწყისს აღმოსავლეთ საქართველოს მთისძირა ზოლი და ბარი არქეოლოგიური პრაქტიკისათვის იშვიათი სიმჭიდროვით არის დასახლებული. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ერთი არქეოლოგიური ეპოქა ძეგლების ისეთი სიმრავლით არ ხასიათდება, როგორც გვიანი ბრინჯაო-ადრეული რკინის ხანა. მაინც აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში მთისძირა ზოლი და ბარი ერთნაირი სიმჭიდროვით არ არის დასახლებული ამ ხანაში. შიდა ქართლში, მაგალითად, მოსახლეობა უფრო კომპაქტურად მთისძირა ზოლშია განლაგებული. სხვა სურათია კახეთში, სადაც ბარიც საკმაოდ ინტენსიურად ჩანს ათვისებული. მე ცალ-ცალკე განვიხილავ თითოეული კუთხის დასახლებას, რადგანაც მოსახლეობის ამა თუ იმ ზონაში განლაგების ინტენსიობა დიდად იყო დამოკიდებული მათ სამეურნეო ყოფაზე.

მთისძირა ზოლის ინტენსიური დასახლება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, განსაკუთრებით შეიმჩნევა შიდა ქართლში, სადაც ისტორიის ინსტიტუტის დაზვერვითმა ექსპედიციამ 1955 წელს ფრონეს, დვანის, ნულის, დიდი და პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობებში 40-ზე მეტი ნამოსახლარი გორა დაადასტურა, რომელთა უმრავლესობაზე აკრეფილია გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანის მასალა[15]. ექსპედიციის მიერ მიმოხილული ნამოსახლარი გორების ტოპოგრაფიაზე დ. მუსხელიშვილი და გ. ცქიტიშვილი შემდეგს წერენ: „...გორების უმეტესობა (ორიოდე გამონაკლისს გარდა) განლაგებულია იმ ზოლზე, რომელიც გასდევს ქართლის ვაკიდან კავკასიონის მხრისაკენ შეფენილ გორაკებს და დაცემული მთის ტოტებს, ანდა მოქცეულია ხეობებში და აქაც ისინი განლაგებულია ხეობათა გაშლილი ვაკობი ადგილის მთის ნაწილში გარდამავალ ხაზზე. მაგ., ქართლის ვაკის სასაზღვრო ხაზზეა განლაგებული გორები: ოტრევის, კირკულის, კულბითის, ხელჩუის, დმენისის, ერედვის, ბერულის, ფრისის, ცხინვალის, ქემერთის, აჩაბეთის, დვანისა და დირბის; ხეობათა გაშლილ ადგილებში მთის ფერდობზეა შეფენილი შემდეგი გორები: ფრონეს ხეობაში—ავლევი, იონჩა, კნოლევი, მუღრისი, ხუნდის უბანი და ვახტანა; დვანისწყლის ხეობაში—რუსთავი, ყორნისები, გორმანევი, არკნეთი, მალდა, ნული, ავნევი, წუნარი, ქვასათალი; დიდი ლიახვის ხეობაში—საკირე, ხწვე და სტირფაზი; ქსნის ხეობაში—ოძისი, ქვემო ბოლი და იკოთი“[16].

ანალოგიური მდგომარეობაა მტკვრის მარჯვენა ნაპირას, სადაც ნამოსახლარი გორები განლაგებულია მთისძირა ზოლში მტკვრის შენაკად მდინარეების ხეობებში: ნიჩბისის, ნოსტეს, ახალციხის, ხოვლეს, ზღუდერის გორები და სხვა. ბარის ზოლში ცნობილია მხოლოდ რამდენიმე ნამოსახლარი: აგა-

---

[12] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე მცხეთა. I. თბ. 1955. გვ. 13.

[13] ტ. ჩუბინიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 52.

[14] იქვე.

[15] დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 197.

[16] იქვე. გვ. 197.

რის, კარალეთის, სვენეთის, კასპის გორები და სხვა. შიდა ქართლის ვაკის ვრცელ ტერიტორიაზე რომ მხოლოდ რამდენიმე ნამოსახლარია ნიშნავს იმას, რომ ფაქტიურად ეს ტერიტორია დაუსახლებელია. ამ ნამოსახლარების აქ არსებობასაც აქვს თავისი გამართლება. ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. მეტად სიმპტომატურია ის ფაქტი, რომ შიდა ქართლის მთისძირა ზოლის ყოველ ნამოსახლარ ბორცვზე, რომელზედაც ადრეული ბრინჯაოს მასალაა დადასტურებული, დამოწმებულია აგრეთვე გვიანი ბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაც[17]. ე. ი., ყოველ ადრეული ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე გვიანბრინჯაოს ხანაში ცხოვრება კვლავ აღდგება. სხვა მდგომარეობაა ბარის ნაწილში; ურბნისში გვიანბრინჯაოს ხანაში დასახლება არა ჩანს. ხიზანაანთ გორაზე მტკვარ-არაქსს უშუალოდ ენაცვლება ელინისტური ხანა. ქვაცხელაზე კი ცხოვრება უფრო გვიან, ადრეფეოდალურ ხანაში ახლდება. მართალია, ურბნისის ნაქალაქარზე აღმოჩენილია გვიანბრინჯაოს ხანის კერამიკის ფრაგმენტები, ქალაქის სამაროვანზე კი (XXV უბანი) რამდენიმე საკმაოდ მდიდრული სამარხი, მაგრამ ის ფაქტი, რომ გორები სამოსახლოდ ათვისებული არ არის, ვფიქრობ, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოსახლეობა ერიდება ბარს და საცხოვრებლად მთისძირა ზოლს ირჩევს. ამგვარად, შიდა ქართლში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ყალიბდება ინტენსიური ცხოვრების ახალი ცენტრი — მთისძირა ზოლი.

მტკვარ-არაქსის კულტურა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, თანაბრად იყო განფენილი მთასა და ბარში, მაგრამ მრავალფენიანი ნამოსახლარები მხოლოდ ბარშია დადასტურებული. მთისა და მთისძირა ზოლში ისინი მტკვარ-არაქსის კულტურის შემცველ მეტად სუსტ ფენებს შეიცავენ. განსაკუთრებით ეს ითქმის მთისძირა ზოლის ძეგლებზე. აქ, ფაქტიურად, როგორც ცხინვალის ნაცარგორის გათხრებიდან ჩანს, ადრებრინჯაოს ხანის ფენა არც ყოფილა დადასტურებული. დროებითი ნამოსახლარის იერი აქვს ქულბაქებს და ამ ზოლის სხვა მეტნაკლებად შესწავლილ ძეგლებს.

შუაბრინჯაო შიდა ქართლში მხოლოდ ამ ხანის დასასრულით დათარიღებული ძეგლებით არის წარმოდგენილი: ქვასათალი, ნული, მცხეთა, აშურიანი, ქანდა და სხვა. თრიალეთის კულტურა თავის აყვავების პერიოდში მას არ სწვდებოდა. გვიანბრინჯაოს ხანიდან იწყება შიდა ქართლის მთისძირა ზოლის ინტენსიური ათვისება და ეს ზოლია, უმთავრესად, სამოსახლო რაიონი ელინისტურ ხანამდე. იმის მიზეზად, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში მოსახლეობა მაინცდამაინც ეტანება მთისძირა ზოლს და ერიდება ბარს, მე ადრე მორწყვის პერსპექტივას ვთვლიდი[18]. საქმე ის არის, რომ მტკვრის შენაკადებზე არცთუ ისე ძნელია მარტივი სარწყავი სისტემების მოწყობა. ნამოსახლარი გორების ტოპოგრაფია სწორედ ამ გარემოებას არის დამორჩილებული. საილუსტრაციოდ მომყავდა ცხინვალის ნაცარგორის მდებარეობა, მოვიტან მას ახლაც:

„ბორცვი ნაცარგორა—წერს გ. გობეჯიშვილი — მდებარეობს მაღალ ზეგანზე მდინარე ლიახვის მესამე მარცხენა ტერასაზე, იგი ბუნებრივი წარმოშობისაა... ბორცვი მკაფიოდ გამოირჩევა რელიეფზე. ოდესღაც ამ ადგილიდან მდ. დიდ ლიახვს ჩრდილო-დასავლეთიდან ერთვოდა ამჟამად თითქმის სულ

[17] დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 199.
[18] ი. კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. თბ. 1963. გვ. 21.

დამშრალი ტბეთურა (ტბეთის ხევი), რის შედეგადაც მათ შორის წარმოშობილა მაღალი ფლატეპირიანი „კონცხი". მას შემდეგ მდ. ლიახვის კალაპოტი 1,5—2 კმ გადაწეულა მარცხნივ"[19].

როგორც ვხედავთ, ნაცარგორის ნამოსახლარის მიდამო მოსარწყავად მეტად პერსპექტიულია. ასევე ყოველ სამოსახლო გორას შიდა ქართლში, დ. მუსხელიშვილისა და გ. ცქიტიშვილის დაკვირვებით, „ან მდინარე ან ხევი ჩაუდის, ანდა მახლობლად წყარო აქვს"[20]. წყარო, მდინარე და ადვილად მორწყვის პერსპექტივა იმდენად დიდ როლს თამაშობს, რომ ხშირად საკმაოდ ძლიერი დასახლებანი უფრო ღელის პირას გვხვდება, ვიდრე მოზრდილი მდინარეების ხეობებში. მაგალითად ნოსტეს ორი გორა გამოგვადგება. ორივე გორა ნოსტურის პირასაა, ერთმანეთთან მეტად ახლოს. ერთი მოზრდილია, ასეთი დიდი ნამოსახლარი გორა აღმოსავლეთ საქართველოში იშვიათია, მეორე—უფრო მომცრო, საშუალო სიდიდის გორაა. ნოსტურა პატარა მდინარეა, უფრო ღელე. მაგრამ მისი გამოყენება მოსარწყავად მეტად ადვილია. ნამოსახლარი გორების ოდნავ ქვევით საკმაოდ დიდი ზომის ველი იშლება, სადაც ამჟამად სოფელი ნოსტე და მისი სამეურნეო ნაკვეთებია. ეს ტერიტორია ნოსტურით ადვილად ირწყვება და რაიმე ტექნიკურ ნაგებობას არ საჭიროებს.

ამგვარად, მორწყვის პერსპექტივამ შუაბრინჯაოს ხანის დასასრულიდან ვიდრე ანტიკურ ხანამდე შიდა ქართლში ნამოსახლარები, უმთავრესად, მთისწინა ზოლში დააჯგუფა. საინტერესოა, რომ ბარის დასახლებაშიც უმეტესად გათვალისწინებულია მისი მორწყვის შესაძლებლობა. მაგ., აგარის გორა მტკვრის ტერასის კიდეზე მდებარეობს, მის ძირში იშლება აგარის ჭალა, რომელიც ადვილად მოირწყვებოდა მაღალი ტერასიდან გადმოსული ყოველი წყარო-ნაკადულით. ჭალას მტკვარიც მორწყავდა. მისი სამეურნეოდ გამოყენება ურწყავადაც შეიძლება მტკვრის ჰორიზონტალური ფილტრაციის გამო. ასევე სვენეთის გორა, იგივე გუდაბერტყა, რომელიც ერთ-ერთი დიდი დასახლებაა შიდა ქართლში, ადვილად მოსარწყავ ზონაში მდებარეობს. მის წინ ტირიფონის ველია. გუდაბერტყის მოსახლეობის გამოსაკვებად საჭირო ტერიტორია ადვილად მოირწყვებოდა გორის მახლობელი, ამჟამად დამშრალი წყაროებით. ეს წყაროები საკმაოდ დიდი დებიტითაც უნდა არსებულიყვნენ, სხვანაირად გუდაბერტყაზე მოსახლეობა, თანაც ასე ხანგრძლივად და კომპაქტურად, ვერ დაჯდებოდა.

მე არ მინდა ვთქვა, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში შიდა ქართლში ხელოვნური მორწყვა ყოველი დასახლების წინაპირობა და ატრიბუტია. რა თქმა უნდა, არა. ყოველი ისტორიული კანონზომიერება მოიცავს მთავარს, ძირითადს საზოგადოების განვითარებაში. ამა თუ იმ მიზეზის გამო, ხშირად გვაქვს გადახვევაც. ბუნებრივია, შიდა ქართლში ურწყავი მეურნეობის შემცველი დასახლებაც გვექნებოდა. ქვემოთ ვნახავთ, რომ მიწათმოქმედების დონე ამ ხანაში იძლეოდა საშუალებას ურწყავი მიწათმოქმედების განსავითარებლად. აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, შიდა ქართლის სარწყავ სისტემებს, თავისი განვითარების ზენიტშიც არ შეეძლო წყლით უზრუნველეყო მიწათმოქმედებისთვის გამოყენებული ყოველი მიწის ნაკვეთი. ურწყავი მიწების დამუშავება

---

[19] გ. გობეჯიშვილი. სტალინირის ნაცარგორა. „მიმომხილველი". 2. თბ. 1951. გვ. 240.

[20] დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 194.

სწარმოებდა საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე. მათზე მოსავლის მოწევა გარკვეული აგროტექნიკური ხერხებით იყო შეპირობებული: გვალვის გამძლე ხორბლეულის ჯიშების გამოყვანა, ღრმა ხვნა, შერეული თესლით თესვა, ნაკვეთების შერჩევა ისე, რომ ნოტიო ზენა ქარი უდგებოდეს, ქვენა ხორშაკი კი — არა და სხვა[21].

შერეული თესლით თესვა ჩვენში ადრეული ბრინჯაოს ხანიდან არის დადასტურებული. ზოგი სხვა ხერხი გვიანბრინჯაოს ხანაში უნდა შემოსულიყო. მაგრამ, რაც უფრო მარტივი იქნებოდა მიწათმოქმედება, განსხვავება სარწყავი და ურწყავი მიწათმოქმედების მოსავლიანობას შორის უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. ამიტომ მოსახლეობა ყოველთვის ეცდებოდა სარწყავ ზონაში დასახლებულიყო.

თუ რა დიდ როლს ასრულებს მორწყვის პერსპექტივა აღმოსავლეთ საქართველოს ამა თუ იმ რაიონის დასახლებაში, კარგად ჩანს მდ. დებედასა და მისი შენაკადი მდინარეების ხეობების დასახლებიდან. ისტორიის ინსტიტუტის დაზვერვითმა ექსპედიციამ აქ 40-ზე მეტი ნამოსახლარი გორა დაამოწმა, რომლების უმეტესობა გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანით თარიღდება[22]. ქვემო ქართლი ერთ-ერთი ყველაზე მშრალი რაიონია საქართველოში. სინოტივის დეფიციტი აქ იმდენად დიდია, რომ ხელოვნური მორწყვის გარეშე ინტენსიურ მიწათმოქმედებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. გორაზე მოსახლენი კი, გ. გრიგოლიასა და თ. ტატიშვილის დაკვირვებით, მიწათმოქმედნი არიან[23]. და თუ მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლის ვაკის ჰაერი არის „ცხელი, უშვენი, გაუძლისი," დებედას სანაპირო ველი მაინც დასახლებულია და დასახლებულია კომპაქტურად, უნდა ვიფიქროთ, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისთვის ეს ველი ირწყოდა. განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ველებისაგან, დებედას სანაპირო ველზე სარწყავი სისტემები ადვილად მოსაწყობია, რაც ბრწყინვალედ აქვს ფიქსირებული ვახუშტი ბატონიშვილს თავის „აღწერაში": „კვალად გამოიღებენ რუთა და ირწყვიან იმიერ და ამიერ ველნი, სადაცა ნაყოფიერებენ ყოველთა მარცვალთა თესლნი: ბრინჯი, კორბალი, ქრთილი, ფეტვი, ბამბა, თამბაქო, სელი, ხოლო კანაფი უმუშაკოთ, ნესვი, მელსაპეპონი, კიტრი, ბადრიჯანი, პუმპულა. ხოლო მტილოვანი ყოველნი და წალკოტთა ხეთანი, იმიტომ იწოდა „დაბადა ამ მდინარემ ნაყოფი", ხოლო აწ დებედა"[24]. როგორი გულუბრყვილოც არ უნდა იყოს დებედას ვახუშტისეული ეტიმოლოგია, ძნელია უკეთესად აღინიშნო წყლის, მდინარის როლი მიწის ნაყოფიერებაში. ურწყავად ვერ განაყოფიერდება „იმიერ და ამიერ ველნი", მაგრამ დებედას მთელი სიკეთე იმაშია, რომ ადვილად იძლევა სარწყავ წყალს. შესაძლებელია კვალად რუს გამოღება, ამდენად, ეს მდინარე ბადებს ნაყოფს.

დებედა ამ მხრივ გამონაკლისია. ქვემო ქართლის სხვა ნაწილები არც ისე მჭიდროდ არის დასახლებული და ეს ტერიტორია საძოვრებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. საინტერესოა ხრამის ქვედა წელში გა-

---

[21] მ. გეგეშიძე. რწყვის ძველი და ახალი სისტემა ტირიფონის ველზე. მას. საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. VI. 1953. გვ. 74—75.

[22] გ. გრიგოლია, თ. ტატიშვილი. ქვემო ქართლის უძველესი ძეგლები. საქ. ისტ.-გეოგრ. კრებული. ტ. 1. 1961. გვ. 77.

[23] გ. გრიგოლია. თ. ტატიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 80.

[24] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ. 1941. გვ. 34.

თხრილი მცირე ზომის ყორღანები. „ეს ყორღანები აქ არსებობენ მთელი ბრინჯაოს ხანის მანძილზე, მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლოდან მოკიდებული, ვიდრე ბრინჯაოს ხანის მიწურულამდე“[25].

ამ ხანაში ეს ვაკე, ო. ჯაფარიძის ვარაუდით, ძირითადად გამოყენებული უნდა ყოფილიყო საზამთრო საძოვრებად[26]. ბუნებრივია, რომ ამ ველის ფართოდ ათვისება მესაქონლეთა მიერ შუაბრინჯაოს ხანის დასასრულსა და გვიანბრინჯაოს ხანაში უნდა მომხდარიყო. როგორც ჩანს, მესაქონლეთა ნამოსახლარებიც იქვეა საძებარი. საქმე ის არის, რომ ქვემო ქართლის ბარსა და მთისძირა ზოლს საცხოვრებლად, უმთავრესად, წალკისა და ზურტაკეტის პლატოებზე მსხდარი ტომები იკავებენ. ეს პლატოები შუაბრინჯაოს ხანის დასასრულიდან უკვე თანდათან ცარიელდება და გვიანბრინჯაოს ხანაში გომარეთის პლატოზე, ე. წ. „ჩიკურ-ალიზე“ გვიანბრინჯაოს ერთადერთი სამარხია დადასტურებული, რომელიც ჩაშვებულია შუაბრინჯაოს ხანის № 7 სამარხში. სავსებით სწორად, გ. ავალიშვილს ეს ფაქტი მიაჩნია იმის დასტურად, რომ გვიანბრინჯაოს ხანაშიც განაგრძობენ შუაბრინჯაოში ათვისებული ალპური საძოვრების გამოყენებას[27], თუმცა მოსახლეობა ამ ადგილებში კომპაქტურად აღარ უნდა იჯდეს. შეიძლება ამიტომ არის, რომ ქვემო ქართლის ბარი და მთისძირა ზოლი საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული.

განსხვავებით შიდა ქართლისაგან, ქვემო ქართლის მთისძირა ზოლის ნამოსახლარები ამ დროს უფრო ურწყავი მიწათმოქმედების შემცველნი უნდა იყვნენ. მემინდვრეობის საწარმოებლად აქ მორწყვა აუცილებელი სამეურნეო ღონისძიება არ არის.

ურწყავ მიწათმოქმედებაზე უნდა იყოს დაფუძნებული აგრეთვე გარე კახეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ნამოსახლართა მეურნეობა. აქ ნამოსახლარი ბორცვები განლაგებულია ძირითადად მთისწინა ზოლში, გომბორის მთის ფერდობებზე, ე. ი. იმ ადგილებში, რომლებიც სამოსახლოდ დღესაც ყველაზე უფრო გამოსადეგია როგორც ჰავისა და წყლის მარაგის, ისე მიწათმოქმედი-მესაქონლე მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების თვალსაზრისით[28]. ეს მიკრორაიონი ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპზე ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიაა აღმოსავლეთ საქართველოში. მოსახლეობა აქ საკმაო სიმჭიდროვით უკვე შუაბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე ჯდება. ძვ. წ. I ათასწლეულის დასასრულისათვის ნამოსახლარები მრავლდება. მოსახლეობა გამაგრებულ ბორცვებზე ადის. ამ ბორცვების ზომა საკმაოდ მცირეა, ზოგიერთ მათგანზე მხოლოდ ერთი-ორი შენობის გამართვა თუ შეიძლება. კ. ფიცხელაური მცირე ნამოსახლართა გამრავლებას გარე კახეთში მსხდომ ტომთა სოციალური განვითარებით, კერძოდ, პატრიარქალური ოჯახების ინდივიდუალურ მცირე ოჯახებად დაშლით ხსნის[29]. ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი, აქ კი უნდა აღვნიშნო, რომ მცირე დასახლებები თავისთავად გამორიცხავს აქ სარწყავ მეურნეობას. გარე კახეთის სარწყავი სისტემები არც ისე ადვილად მოსაწყობია, რომ მათი გაღება და ექსპლოატაცია ერთი ოჯახის

---

25 ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. გვ. 12.

26 იქვე. გვ. 11.

27 გ. ავალიშვილი. ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბ. 1974. გვ. 28.

28 კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 44.

29 იქვე.

ძალით შესაძლებელი იყოს. თანაც აქ გორების კულტურული ფენები საკმაოდ თხელია, მრავალფენიანი ძეგლები იშვიათია[30]. სარწყავი მიწათმოქმედების ზონის ნამოსახლარი გორები კი, პირველ რიგში, მძლავრი სტრატიგრაფიული ფენების შემცველნი არიან. მაგ., ნაცარგორა, ნოსტის გორა, ხოვლის გორა, თრელი გორა — შიდა ქართლში და ალაზნის ველის გორები, წნორთან, კახეთში[31].

საკმაოდ არატიპიურია ალაზნის აუზის ზემო წელის დასახლება. გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანის ძეგლები აქ, უმთავრესად, სამაროვნებით არის წარმოდგენილი. ზოგიერთი სამაროვანი მრავალსართულიანია (მაგ., გულგულის)[32], რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ რაიონში ცხოვრება საკმაოდ ინტენსიური იყო. მოსახლეობა, როგორც ჩანს, გორებზე არ ზის. ერთი ასეთი ნამოსახლარი შეისწავლა კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ თელავის ჩრდილოეთით ალაზნის დაცემულ ვაკეზე (სოფ. გულგულასთან, მის აღმოსავლეთით 1 კმ-ის დაშორებით). ნამოსახლარი ფენა 2,5 მეტრის სიღრმეზე დადასტურდა. ასე ღრმად განლაგებული ნამოსახლარები, რა თქმა უნდა, ძნელად მისაკვლევია. სამაროვნების მიხედვით ამ მიკრორაიონში მოსახლეობას მთის ფერდობებზე და ვაკეზე უნდა ეცხოვრა. ხევის წყლებით შიდა კახეთი გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე გარე კახეთი. სამაროვნებით თუ ვიმსჯელებთ, ნამოსახლარებიც უფრო მოზრდილებია. ფოხორაულის ნამოსახლარების მიდამოები ადვილად შეიძლებოდა მოერწყათ მაწანწარას ხევიდან გამოტანილი მცირე არხებით, ე. ი. ალაზნის აუზის ზემო წელში ამ დროს შეიძლებოდა სარწყავი მიწათმოქმედება არსებულიყო[33]. საკითხს, ალბათ, მომავალი ძიება გაარკვევს.

ალაზნის აუზის ქვედა წელი შუაბრინჯაოს ხანაში ერთ-ერთი ყველაზე კომპაქტურად დასახლებული რაიონია. ინტენსიურია დასახლება ამ რაიონში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაშიც. რამ გამოიწვია ამ რაიონის სამოსახლოდ ასე ინტენსიური ათვისება, ზევით უკვე აღვნიშნე და მას აქ აღარ შევეხები.

„ქიზიყის დასავლეთ ნაწილში აღმოსავლეთთან (ალაზნის აუზის ქვემო წელი. ი. კ.) შედარებით — წერს კ. ფიცხელაური — ნამოსახლარები სხვანაირად არის ლოკალიზებული. აღმოსავლეთ ქიზიყში ნამოსახლარები ხევების აყოლებით გვხვდება. დასავლეთ ქიზიყში კი, სადაც მთებს შორის მოქცეული სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით ვარგისი რამდენიმე ტაფობია (დიდი შირაქი, პატარა შირაქი, ზილიჩა, ტარიბანა), მოსახლეობა განლაგებულია ველის გარშემო მთა-გორებზე, როგორც ჩანს, ყოველი ცალკეული ველი მის გარშემო მცხოვრებ მოსახლეობას ეკუთვნოდა და მათი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ძირითად ასპარეზს წარმოადგენდა“[34]. კ. ფიცხელაური ამ ველებზე ურწყავ მიწათმოქმედების შემცველ მეურნეობას გულისხმობს. იგი, სავსებით სამართლიანად, მეურნეობის წამყვან დარგად ამ რაიონში მესაქონლეობასა თვლის[35]. რაც შეეხება ივრის სანაპირო ველებს (ელდარი და სხვა), რომლებიც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში დაუსახლებელია, კ. ფიცხელაურის ვა-

30 კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 24—38.
31 იქვე. გვ. 107.
32 იქვე. გვ. 60.
33 იქვე. გვ. 107.
34 იქვე. გვ. 45.
35 იქვე. გვ. 107.

რაუდით, შესაძლებელია, მათი, ისე როგორც დღეს, მხოლოდ საზამთრო საძოვრებად გამოყენება[36].

უმთავრესად საზამთრო საძოვრებისთვის ჩანს გამოყენებული ყარაიისა და გარდაბნის ველებიც, თუმც ამ ველებზეც გვხვდება ნამოსახლარი გორები, მაგ., რუსთავის, გარდაბნის, მიხაილოვკის გორები და სხვა; აქვე, სოფელ ბერლიქსა და ყარაიას შორის დამოწმებულია ყორღანული ველიც[37]. საინტერესოა, რით არის გამოწვეული საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მშრალი კლიმატის შემცველი ველის დასახლება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. ლ. ჭილაშვილი აღნიშნავს, რომ თანამედროვე სოფელ მიხაილოვკის დასახლება და მის მიდამოებში მიწათმოქმედების ნორმალური განვითარება განპირობებულია რუსთავის სარწყავი არხით. არხის გარეშე, ცხელი და უნალექო კლიმატის გამო, მიწათმოქმედების წარმოება შეუძლებელია. მიხაილოვკის გორაზე საკმაო რაოდენობით არის დამოწმებული მიწათმოქმედების მანიშნებელი ნივთები: არქაული ხელსაფქვავი, კეცი და სხვა. სავსებით ბუნებრივია, რომ ლ. ჭილაშვილი სვამს საკითხს გორის მიდამოებში სარწყავი არხის არსებობის შესახებ. მაგრამ მიხაილოვკა მტკვრიდან საკმაოდ შორსაა. მის მიდამოებში სარწყავად გამოსადეგი მდინარე ან წყარო არ არის. ამგვარად, დაგვრჩენია ერთადერთი ვარაუდი, რომ მიხაილოვკის ნამოსახლარის სამიწათმოქმედო ნაკვეთების მოსარწყავად ყარაია-რუსთავის არხი გამოიყენებოდა[38].

„ქართლის ცხოვრებაში“ დაცულია ცნობა რუსთავის არხის გამოღების შესახებ. კერძოდ, ლეონტი მროველი გვამცნობს: „ხოლო მეფობდა ესე თრდატ მოხუცებული კეთილად, იყო კაცი მორწმუნე, ბრძენი და გონიერი... და ამისზე მოკუდა ეპისკოპოსი იაკობ, და დასვა მის წილ ელია. და ხარკსა მისცემდა სპარსთა მეფესა. ხოლო მან გამოიღო რუსთავი და აღაშენა ეკლესია“[39]. შემდგომ იგივე არხი, ვახუშტის ცნობით, გამოუღია ვახტანგ VI-ს; „ნაგებიდან გაიღო ჟდ მეფემან ვახტანგ რუ მტკვრისაგან, და მიერ ჟამითგან ნაყოფიერებს ჭალებს ქვეითი მინდორი“[40]. ლ. ჭილაშვილი სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ ტერმინი „გამოღება“, როგორც ლეონტი მროველთან, ისე ვახუშტის „აღწერაში“, ნახმარია არა როგორც ახალი არხის გაყვანის, არამედ ძველის აღდგენის აღმნიშვნელად[41]. მაგრამ მაინც როდის უნდა იყოს ეს არხი გატანილი? ნამოსახლარ ბორცვებზე აკრეფილი მასალით ორი ხანა დასტურდება — გვიანბრინჯაო-ადრეული რკინა და წელთაღრიცხვების მიჯნა (იალოილუ-თეფეს კულტურა). სამწუხაროდ, რუსთავის გორის გათხრების შედეგები მეცნიერულ მიმოქცევაში შემოსული არ არის. სხვა გორებზე არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა. ისე რომ, ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას გავარკვიოთ, თუ რა ინტენსიობით არის თითოეული ეპოქა ნამოსახლარ ბორცვებზე წარმოდგენილი. ასევე ძნელია აქ მოსახლეთა სამეურნეო ყოფის დადგენა.

ლ. ჭილაშვილი ფიქრობს, რომ ამ ველზე „ბრინჯაოს ხანაში მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად სახეს მეცხოველეობა წარმოადგენს. რუსთავი მისი მიმ-

---

36 კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 107.

37 ლ. ჭილაშვილი. ქალაქი რუსთავი. თბ. 1958. გვ. 22—37.

38 იქვე. გვ. 36, 37.

39 ქართლის ცხოვრება. I. თბ. 1955. გვ. 137.

40 ვახუშტი. აღწერა... გვ. 51.

41 ლ. ჭილაშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 35.

დგომი მხარით ველს წარმოადგენდა და ამიტომ პირველ რიგში ველის მეურნეობა შეიძლებოდა განვითარებულიყო". დღევანდელი ყარაიას და უფრო სამხრეთით ველები, თბილი კლიმატის გამო, საზამთრო საძოვრებად გამოიყენებოდა.

„...სწორედ აღნიშნულმა ფაქტორმა, ე. ი. კარგი საძოვრების არსებობამ მოიზიდა აქ მოსახლეობა, ისე რომ, გვიანბრინჯაოს ხანისთვის ამ ადგილებში ვხედავთ მესაქონლეთა ნამოსახლარებს. ამდენად, გვიანბრინჯაოს ხანაში ხდება რუსთავის მიდამოების დასახლება მესაქონლეთა მიერ"[42]. მე ვვარაუდობდი, რომ „მიუხედავად მიწათმოქმედებისთვის არახელსაყრელი პირობებისა, მაშინდელი კლიმატი მაინც იძლეოდა მიწის დამუშავების საშუალებას. ხოლო შემდგომ, როდესაც კლიმატი იმდენად გამშრალდა, რომ ხელოვნური რწყვის გარეშე მიწათმოქმედება შეუძლებელი ხდება, მოსახლეობა ტოვებს სოფლებს, იყენებს რა მათ სეზონურ სადგომებად. მათზე მუდმივი დასახლება რუსთავის არხის გაყვანას უკავშირდება"[43].

უნდა ვიფიქროთ, რომ უკვე ბრინჯაოს ხანაშია პირველი ცდები მტკვრიდან არხის გამოღებისა. სწორედ ეს არხი უნდა იყოს რუსთავის გორის დასახლების განმსაზღვრელი, ხოლო შემდეგ მასვე უნდა დაედო სათავე ყარაიის ველის სარწყავი სისტემისათვის. რაც შეეხება ველის შიდა დასახლებებს, ისინი უფრო მესაქონლეთა ნაბინავრები უნდა იყოს. როგორც ჩანს, უკვე ანტიკურ ხანაში იქმნება რუსთავ-ყარაიის სარწყავი სისტემა, რომლის შენება ქართლის სამეფოს სამეურნეო ღონისძიებებთან დაკავშირებით ხდება (ამაზე ქვემოთ).

ერთი სიტყვით, შუაბრინჯაოს ხანის დასასრულიდან მოსახლეობა თანდათან იჭერს აღმოსავლეთ საქართველოს მთისძირა ზოლს და ბარს. დასახლების ტოპოგრაფია მეურნეობის ხასიათსა და კლიმატური პირობებისადმია დამორჩილებული. შიდა ქართლში უმთავრესად დასახლებულია მთისძირა ზოლი, რადგან აქ შედარებით იოლია მარტივი სარწყავი სისტემების გამართვა. ქვემო ქართლში კი მიწათმოქმედნი სხედან როგორც მთისძირა ზოლში, ასევე ბარში (ბარის ნაწილი მესაქონლეებს უკავიათ). კახეთში, ალაზნის აუზში უმთავრესად მიწათმოქმედნი სახლობენ, ზოგან მესაქონლეთა ნაკვალევიც შეიმჩნევა (ლაგოდეხის ყორღანები). იორის აუზი უფრო მესაქონლეობის ზონაა, თუმც აქ მიწათმოქმედებაც საკმაოდ განვითარებულია.

ახლა უფრო დაწვრილებით შევეხოთ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების დონეს და ხასიათს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში.

ზემოთ აღვნიშნე, რომ შუაბრინჯაო ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ფინალური სტადიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში მოსახლეობის კვლავ ბარსა და მთისწინა ზოლში დაბრუნება მეურნეობის უფრო მაღალი დონის ბაზაზე ხდება. ადრე- და შუაბრინჯაოს ხანასთან შედარებით განვითარებულია სამიწათმოქმედო ტექნიკა. ზემოთ შევეხეთ ქვაცხელის B დონეში აღმოჩენილ ირმის რქის სახვნელს, რომელშიაც გამწევ ძალად პირუტყვი უნდა გამოყენებულიყო. ეს სახვნელი მეტად ეულად ჩანს ადრებრინჯაოს ხანის სამიწათმოქმედო იარაღებში, რადგან მიწის დასამუშავებელი იარაღების აბსოლუტური უმრავლესობა კვლავ ძვლისა და ქვის თოხებით არის

---

[42] ლ. ჭილაშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 33.

[43] ი. კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. გვ. 36.

წარმოდგენილი. არქეოლოგიურ მეცნიერებაში არ არის დავა იმის შესახებ, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანიდან საქართველოსა და კავკასიაში მჯდომ ტომებს მიწის დასამუშავებლად უნდა გამოეყენებინათ ხის კავი[44]. ხის კავი საფუძველს უდებს მიწის ღრმად ხვნას. მიწა მით უფრო ღრმად იხვნება, რამდენად უფრო კონსტრუქციულად სრულყოფილი ხდება სახვნელი. მიწათმოქმედებაში მთელს გარდატეხას ახდენს რკინის სახნისი, რომელიც სწორედ ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან შემოდის.

შუაბრინჯაოს ხანიდანაა ჩვენში დადასტურებული ლითონის თოხი[45]. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში იგი მასიურად არის გავრცელებული დასავლურ ქართულ კულტურაში[46]. თოხი კოლხური კულტურის ერთ-ერთი წამყვანი იარაღია. არც ერთ სხვა კულტურაში ასეთი დიდი რაოდენობით არ არის ლითონის თოხი მოპოვებული. თანაც, თოხების აბსოლუტური უმრავლესობა შემთხვევითი აღმოჩენებიდან მოდის. იგი დამოწმებულია აღმოსავლეთ საქართველოშიც, კერძოდ, მესხეთსა და შიდა ქართლში: სოფ. თრეგვაში, ჩუმარის ხევში (ზნაურის რაიონი), ხანდაკში, მოხისში, კოდისწყაროში[47], ურბნისში და გამდლის წყაროში[48]. ქვემო ქართლში მხოლოდ ერთი შემთხვევაა ლითონის თოხის აღმოჩენისა მარალინ-დერესის სამაროვანზე[49].

შიდა ქართლი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კოლხური კულტურის დიდ გავლენას განიცდის. ეს გავლენა განსაკუთრებით რელიეფურად გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე ჩანს[50]. საერთოდ, შიდა ქართლი ამ დროსაც ისევე, როგორც ადრებრინჯაოს ხანაში აღმოსავლური და დასავლური კულტურების შემაერთებელი რგოლია. თუ კერამიკა აღმოსავლური კულტურის იერს ატარებს, ლითონი უფრო კოლხურია. ამიტომ ბრინჯაოს თოხების აქ გამოჩენა სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს. მარალინ-დერესის სამაროვანზე აღმოჩენილი თოხი, ჯერ ერთი, იმის მოწმობაა, რომ კოლხური კულტურა შიდა ქართლზე უფრო შორს სწვდება, მეორეც, იგი ქვემო ქართლში ამ თოხების გამოყენების საბუთია. თოხის როლი, როგორც ეს კარგად აჩვენა ო. ჯაფარიძემ, განსაკუთრებულია ქართველი ტომების მეურნეობაში[51]. თოხით ხდება როგორც ყამირის გატეხვა, ისევე მოხნული მიწის გაფხვიერება, შემოთოხვნა და სხვა. თოხი შეუცვლელია მთიანი რელიეფის შემცველი რაიონების მიწათმოქმედებაში. ამავე დროს, მას მეტად დიდი გამოყენება აქვს მებაღეობა-მევენახეობაში. ლითონის თოხის გამოყენება მიწათმოქმედების დიდი პროგრესის მაჩვენებელია. იგი მეტად აადვილებს მიწის დამუშავებას და ზრდის შრომის ნაყოფიერებას. კოლხური კულტურისთვის დამახასიათებელი თოხები საკმაოდ

---

[44] გ. ჩიტაია. რაჭული სახვნელი. „ენიმკის მოამბე“. ტ. 1. თბ. 1937. გვ. 286. მისივე. К вопросу о происхождении Абхазских пахотных орудий. საქ. მეცნ. აკად. მოამბე. ტ. 4. 1941. გვ. 375.

[45] ო. ჯაფარიძე. დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში. „სსმ მოამბე“. ტ. XVI—B. თბ. 1950. გვ. 116.

[46] ლითონის თოხის შესახებ: ო. ჯაფარიძე. მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ ქართულ კულტურაში. „თსუ შრომები“. ტ. 29. 19.

[47] ო. ჯაფარიძე. მიწათმოქმედების იარაღები... გვ. 193.

[48] დ. ქორიძე. დავიცვათ და გადავარჩინოთ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები. ძეგლის მეგობარი. № 15. თბ. 1968. გვ. 35.

[49] Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. стр. 59.

[50] ო. ჯაფარიძე. მიწათმოქმედების იარაღები... გვ. 185.

[50] იქვე. გვ. 198—201.

დიფერენცირებული არიან[52], რაც მიწათმოქმედების გართულების, მისი მრავალდარგობრიობის მოწმობაა.

კახეთში ამ დროს კვლავ ქვის თოხებია გავრცელებული, რომლებიც წელში არიან გამოყვანილი და ორთოხების შთაბეჭდილებას ტოვებენ[53]. კ. ფიცხელაური ვარაუდობს, რომ ისინი მოხვნის შემდეგ ბელტის დასაფშვნელად გამოიყენებოდა[54]. რატომ არა გვხვდება კახეთში ლითონის თოხი, ან რატომ შემოინახა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ქვის თოხი, — ძნელი სათქმელია. შეიძლება კახეთის ველებზე უფრო ინტენსიური გამოყენება სახვნელ იარაღს აქვს, შეიძლება — პირუკუ, ქვის კონსერვაცია აქ მიწათმოქმედების კონსერვატულობით არის განპირობებული.

ხის კავი და ლითონის თოხი აპირობებდა საქართველოში მიწათმოქმედების ინტენსიურობას. ამიტომ სარწყავი ნაკვეთების გვერდზე ურწყავი მიწების დიდი მასივებიც უნდა დამუშავებულიყო. ღრმა ხვნა აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში ურწყავ მიწათმოქმედებას შესაძლებელსა ხდის. ამით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში სამიწათმოქმედო სავარგულები მაქსიმალურადაა ათვისებული.

მაგრამ მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა მიწათმოქმედების ინტენსივობაში ხელოვნურ მორწყვას ჰქონდა. შუაბრინჯაოს ხანის დასასრულიდან იწყება საქართველოს სარწყავი სისტემების მშენებლობა და ადრეული რკინის ხანაში ის რაიონები, სადაც წყლის რეჟიმი და რელიეფი მარტივი რუს გატანის საშუალებას იძლეოდა, სარწყავი სისტემების ქსელით იფარება. აღმოსავლეთ საქართველოში კი ასეთი ადგილები ცოტა როდი არის: შიდა ქართლის მთისძირა ზოლი, ალაზნის აუზი, დებედას სანაპირო ველი და სხვა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ ეს რაიონებია აღმოსავლეთ საქართველოს ინტენსიური მიწათმოქმედების უძველესი ცენტრები. ადვილად სარწყავმა ზონებმა დიდი როლი შეასრულეს ქართველი ერის ისტორიაში. ნ. ბერძენიშვილი საქართველოს ფენიქსის ბედს კვლავ გაცოცხლება-აღდგენისა იმაში ხედავს, რომ მისი სარწყავი სისტემები ძნელად მოსაშლელი და ადვილად აღსადგენია. მტრის არაერთგზის თარეშმა სრულიად მოშალა დიდი ველების საირიგაციო ნაგებობები, რასაც აქ მიწათმოქმედების მოშლაც მოჰყვა. იმ რაიონებმა კი, სადაც არხის გატანა ერთი ან რამდენიმე სოფლის ძალით არის შესაძლებელი, სარწყავი სისტემები შეინარჩუნა. ბუნებრივია, რომ ძნელბედობის ჟამს ქვეყნის მოთხოვნილებას მიწათმოქმედების პროდუქტებზე ეს მხარეები აკმაყოფილებენ. საქართველოს უძველესი სარწყავი სისტემები საკმაო სისრულით განხილული მაქვს ნაშრომში „მორწყვა ძველ საქართველოში". აქ მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ, თუ რას წარმოადგენენ ე. წ. მარტივად მოსაწყობი სარწყავი არხები, მოვიტან შიდა ქართლის მტკვრის მარჯვენა ნაპირის მთისწინა ზოლის საირიგაციო სისტემების აღწერილობას.

ისტორიული შიდა ქართლის ის ნაწილი, რომელიც მტკვრის მარჯვნივ მდებარეობს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული რაიონია. ყურადღებას იპყრობს ამ დროისთვის მეტად დიდი ნამოსახლარები: ხოვლე, ნოსტე და სხვა. ამ ნამოსახლარებზე

---

[52] ო. ჯაფარიძე. მიწათმოქმედების იარაღები... გვ. 179.

[53] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. ტ. XXII.

[54] იქვე. გვ. 106.

ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ კი აღვნიშნავ, რომ დიდი, მრავალფენიანი ნამოსახლარები ამ რაიონში ინტენსიური მიწათმოქმედების ნაყოფია, რომელიც განპირობებულია ხელოვნური მორწყვით. არსად აღმოსავლეთ საქართველოში მარტივი სარწყავი არხების გასატანად ისეთი ხელსაყრელი რელიეფი და წყლის რეჟიმი არ არის, როგორიც ამ მიკრორაიონში. მაგალითად, ხეკორძულადან ვიდრე ტანამდე 13-მდე მდინარე და ხევისწყალი მოედინება, რომელთაგანაც სათავეს იღებს დაახლოებით 62 მცირე და საშუალო ზომის სარწყავი რუ. უნდა ვიფიქროთ, რომ ხსენებული რუების უმრავლესობა ადრეული რკინის ხანაშია გატანილი. ყოველ შემთხვევაში, მათი გამოღება ამ ხანის მოსახლეობისათვის შესაძლებელი იქნებოდა. რომ უფრო სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ამ სარწყავ სისტემებზე, დავახასიათებ ერთ-ერთ მათგანს, მაგ., დარბაზულას სარწყავ სისტემას სოფ. ძეგვში. ძეგვი შედარებით ახალი დასახლებაა. ჩვენთვის საინტერესო ხანაში სოფელი გაშენებული იყო, ალბათ, იქ, სადაც ამჟამად ძეგველთა სალოცავია. სალოცავს დაბლა იწყება დარბაზულას სარწყავი სისტემები. რამდენიმე კმ-ის მანძილზე დარბაზულადან იღებს სათავეს 12-მდე სარწყავი რუ. რუების სიგრძე, ჩვეულებრივ, 0,5 კმ-ია, მორწყული ფართობი 5—10 ჰექტარი. შთაბეჭდილება ისეთია, რომ მაგისტრალური რუს როლს თვით დარბაზულა ასრულებს, რომელიც მრავალი გამანაწილებელი ნაკადულით უშუალოდ გადადის სარწყავ ნაკვეთში. მცირე ზომის მაგისტრალური არხები მეტად დამახასიათებელია მარტივი სარწყავი სისტემებისათვის. ასეა სვანეთში, ასეთივეა ამავე მხარის სხვა მდინარის — ნიჩბურასა და დარბატანას სარწყავი რუებიც. ეს სარწყავი სისტემა მით უფრო საინტერესოა, რომ ნიჩბისში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში საკმაოდ მოზრდილი დასახლებაა დამოწმებული. დასახლების სინქრონული უნდა იყოს საირიგაციო სისტემებიც, რომლებიც აქ ინტენსიური მიწათმოქმედების საფუძველს ქმნის. დარბატანას სარწყავი სისტემა მსგავსია დარბაზულასი. დარბატანას ორივე ნაპირიდან სამიოდე კმ-ის მანძილზე სათავეს იღებს 0,5 კმ-ის სიგრძის 10 სარწყავი რუ. ანალოგიური საირიგაციო სისტემები მტკვრის მარჯვენა მხარეს ბევრია, მაგრამ ჩვენ ამით დავკმაყოფილდეთ.

ინტენსიური მიწათმოქმედება, ბუნებრივია, იწვევს მოსავლის მოსაწევი იარაღების განვითარებას. ამიტომაა, რომ ამ პერიოდში მასიურად ვამოწმებთ პურის სალეწ კევრს. კევრის კოხები დადასტურებულია როგორც ნამოსახლარებზე, ასევე სამაროვნებზე[55]. მიცვალებულის კევრზე დასაფლავება მრავლის მეტყველი ფაქტია. ჩანს, მიწათმოქმედი გუთნისდედა ისევე შეიძლება გვარსა თუ თემში ავტორიტეტული თუ აღზევებული პირი იყოს, როგორც, ვთქვათ, კულტის მსახური ან მეომარი. მიწათმოქმედ ტომებში პირი, რომელსაც ხვნათესვასა და მოსავლის მოწევაში დიდი პრაქტიკული გამოცდილება და უნარი აქვს, ისევე შეიძლება „ნაწილიანი“, ე. ი. ღვთის რჩეული იყოს, როგორც მესაქონლე. მეომარ ტომებში—კარგი მებრძოლი, გმირი. გუთნისდედის დიდი ავტორიტეტი დიდ ოჯახებში ეთნოგრაფიაშიც დადასტურებული ფაქტია.

კევრი კავკასიელი ტომების ეთნოგრაფიაში მხოლოდ სამიწათმოქმედო ბარსა და მთისძირა ზოლშია დამოწმებული, ე. ი. იქ, სადაც მიწათმოქმედება

[55] Я. И. Гуммель. Курган № 2 близ Ханлара. КСИИМК. вып. XXIV. 1949. стр. 55. ტ. ჩუბინიშვილი. მიცვალებულის კევრზე დასაფლავება სამთავროში. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. ტ. II. № 1. 1951. გვ. 61. დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე. გვ. 32.

მეტნაკლებად ინტენსიურია. მთაში, სადაც მიწათმოქმედებას შეზღუდული ხასიათი და მასშტაბი აქვს, პურის გალეწვა საქონლის ძნაზე უბრალო ტარებით ან კეტით ბეგვით მიმდინარეობს. ამიტომ კევრის დადასტურება, უფრო სწორად, მისი ფართოდ გავრცელების ფაქტი ადრერკინის ხანაში მიწათმოქმედების, კერძოდ, მემინდვრეობის დიდ ინტენსიურობაზე მიუთითებს.

გვიანბრინჯაოს ხანიდან მასიურად ვრცელდება ლითონის ნამგალი. ნამგლები მთელს საქართველოშია დამოწმებული, როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში[56]. განსხვავებით ადრეული ბრინჯაოს ნამგლებისაგან, გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებული ნამგლები უყუნწოებია. ტარი მაინც ეგებოდათ — ყოველ მათგანს დატანებული აქვს ერთი ან რამდენიმე ნახვრეტი ტარის დასაგებად. როგორც აღვნიშნე, ჩვენში ლითონის ნამგალი პირველად ადრებრინჯაოს ხანაში ჩნდება (ხიზანაანთ გორა, ამირანის გორა, გარნი), მაგრამ მათ ფართო გავრცელება არ მიუღიათ. მეურნეობაში მთავარ როლს მაინც კაჟის ჩასართებიანი ნამგალი ასრულებს. გვიანი ბრინჯაოს ხანიდან, თუმც ლითონის ნამგალი მასიურად ვრცელდება (მარტო აღმოსავლეთ საქართველოში იგი დამოწმებულია: ახალ ულიანოვკაში, ბაკურციხეში, წოისში, ბეშთაშენში, მელაანში, ურიათუბანში, ჩურისხევში და სხვა), მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ო. ჯაფარიძე, რკინის ხანამდე იგი კაჟის ჩასართებიან ნამგალს მეურნეობიდან საბოლოოდ ვერ დევნის[57]. მაინც მისი ფართოდ გავრცელება მიწათმოქმედების, კერძოდ, მემინდვრეობის ინტენსიფიკაციის საბუთია. ნამგალს, როგორც ჩანს, მარტო მემინდვრეობაში არ იყენებდნენ. ახალ ულიანოვკის № 2 ყორღანულ სამარხში მისი აღმოჩენა, რ. აბრამიშვილის ვარაუდით, იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი ბალახის სათიბადაც გამოიყენებოდა.

ნამგალი, როგორც ჩანს, იხმარებოდა ბაღ-ვენახების სასხლავადაც. კოლხურ კულტურაში დამოწმებულია კომბინირებული იარაღი — ცულ-ნამგალა. ეს იარაღი, აღნიშნავს ა. აფაქიძე, „სამკალ ნამგლად“ ვერც გამოდგებოდა, ხოლო სასხლავად და საკაფად იგი ეფექტური იარაღი იქნებოდა[58]. საერთოდ, ა. აფაქიძე სასხლავ იარაღად მიიჩნევს ბაკურციხეში აღმოჩენილ ყოველ ნამგალს. იგი ფიქრობს, რომ ეს ნამგლები, ძირითადად, ვენახის სასხლავად უნდა ეხმარათ, თუმც შესაძლებლად თვლის განსხვავებულ პირობებში მათ სამკალად გამოყენებასაც[59]. ვფიქრობ, სავსებით სწორად წერს ო. ჯაფარიძე, რომ „ეს მოსაზრება, შესაძლოა მართლაც სწორი იყოს: ნამგალი ზოგ შემთხვევაში ვენახის სასხლავადაც იყო გამოყენებული, მით უმეტეს, რომ როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, საქართველოში ბოლო დრომდე შემორჩა ვენახის სასხლავად ნამგლის ფორმის სავაზე, ოღონდ ვერ დავეთანხმებით მის მტკიცებას, რომ ნამგალი მევენახეობაში გაცილებით უფრო ადრე უნდა ყოფილიყო გამოყენებული“[60].

ჩვენში ნამგალი უკვე ენეოლითის ხანიდან არის დადასტურებული. ლითონის ნამგლები მტკვარ-არაქსის კულტურაში გვაქვს. ადრეულ ბრინჯაოში,

---

56 ო. ჯაფარიძე. მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ ქართულ კულტურაში... გვ. 208—211. ა. აფაქიძე. ბაკურციხის არქეოლოგიური გათხრები. საკანდ. დისერტაცია. თბ. 1941. გვ. 61. კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 106.

57 ო. ჯაფარიძე. მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ... გვ. 204.

58 ა. აფაქიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 82.

59 იქვე. გვ. 80—87.

60 ო. ჯაფარიძე. მიწათმოქმედების იარაღები... გვ. 210.

მით უმეტეს ენეოლითში, მევენახეობა ჩვენში განვითარებული არ არის. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში, მაშინ, როდესაც ჩვენში მებაღეობა-მევენახეობა ისახება და ვითარდება, მეურნეობის ამ დარგში ბუნებრივ გამოყენებას პოულობს მემინდვრეობის იარაღები, მით უმეტეს, რომ ნამგალი, ცულ-ნამგალა უკვე იქნებოდა ჩირგვებისა თუ ტოტების სასხლავად ხმარებული. სპეციალური სასხლავი იარაღი უნდა გაჩენილიყო შემდეგ, როდესაც მებაღეობა-მევენახეობა მეურნეობის ცალკე დარგად განვითარდა და მოიცვა მთელი სამიწათმოქმედო ბარი. მთისა და ბარის ზონალური დაყოფა ისტორიულ საქართველოში ვენახების გავრცელებისდა მიხედვით ხდებოდა[61].

ბაკურციხის ე. წ. „სასხლავი ნამგლები" სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენში მევენახეობის უძველესი ხანიდან ფართოდ განვითარების ყველაზე თვალსაჩინო ფაქტად მოჰყავდათ და მოჰყავთ. რა თქმა უნდა, საქართველოში მევენახეობას ძალიან ძველი ტრადიცია აქვს და საქართველო და კავკასია მევენახეობისა და მეღვინეობის კლასიკური ქვეყანაა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენ არაფერი მოგვეპოვება იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველო მეღვინეობის სამშობლოდ ვაღიაროთ, თუნდაც დავუშვათ, რომ ჩვენში მევენახეობა ადრე ან შუაბრინჯაოს ხანაში განვითარებული იყო. ჩვეულებრივ უთითებენ, რომ ყურძნის წიპწები აღმოჩენილია ხიზანაანთ გორაზე[62], წიპწის ნახევარი დადასტურებულია აგრეთვე ქვაცხელებზე და სხვა. ხიზანაანთ გორის ყურძნის წიპწების ადრებრინჯაოს ხანისადმი მიკუთვნება ძალიან საეჭვოა. ამის შესახებ მე უკვე მქონდა საუბარი. ძნელია თქმა, როგორ ხვდება ადრეულ ფენებში ყურძნის წიპწები, მაგრამ ერთი-ორი წიპწით მტკიცება ჩვენში მევენახეობა-მებაღეობის განვითარებისა, როდესაც საზოგადოების განვითარების მთელი კომპლექსი საწინააღმდეგოს გვიჩვენებს, არ უნდა იყოს მაინცდამაინც გამართლებული. მევენახეობა საქართველოში გვიანბრინჯაოს ხანის დასასრულს უნდა ჩასახულიყო. მეორე ათასწლეულის დასასრულს იგი საკმაოდ ფეხმოკიდებული და განვითარებული ჩანს. ამ ხანიდან ჩვენში ჩნდება მევენახეობასთან დაკავშირებული არაერთი ფაქტი თუ მოვლენა.

როგორც აღვნიშნე, ბაკურციხის „სასხლავი ნამგლები" მევენახეობის განვითარების საბუთად მიაჩნიათ, მაგრამ ეს არაპირდაპირი საბუთია. ჩვენ უფრო აშკარად მანიშნებელი საბუთებიც გვაქვს. მრავლდება, პირველ რიგში, ყურძნის წიპწების აღმოჩენის ფაქტები. წიპწები აღმოჩნდა აზერბაიჯანში ხანლარის ნამოსახლარზე[63], უფლისციხეში — ყათნალის ხევის სამლოცველო კომპლექსში[64], ნინოწმინდის სამაროვანზე[65] და სხვა. უკანასკნელნი განსაზღვრა პროფ. მ. რამიშვილმა და მათში ორი ჯიშის კულტურული ვაზი ამოიცნო, რომელთაგანაც ერთი აღმოსავლეთ საქართველოში კარგად ცნობილ „მწვანეს" ეკუთვნის, მეორე კი „რქაწითელს". მ. რამიშვილის აზრით, ვაზი რომ ჯიშად ჩამოყალიბდეს, იმდროინდელი აგროტექნიკური საშუალებების გათვალისწი-

---

[61] ი. ჯავახიშვილი. საქ. ეკონომიური ისტორია. წ. I. თბ. 1935. გვ. 293.

[62] С. И. Надимашвили. Опыт периодизации памятников Внутренной Картли и Юго-Осетии и проблема энеолита Кавказа. Тезисы докладов на заседании сектора Кавказа и Средней Азии. ИИМКО. 14/IV 1966.

[63] Я. И. Гумель. К проблеме археоботаники Закавказья. стр. 750.

[64] დ. ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრ.

[65] გ. ცქიტიშვილი. მევენახეობის ისტორიისათვის... გვ. 138.

მეტნაკლებად ინტენსიურია. მთაში, სადაც მიწათმოქმედებას შეზღუდული ხასიათი და მასშტაბი აქვს, პურის გალეწვა საქონლის ძნაზე უბრალო ტარებით ან კეტით ბეგვით მიმდინარეობს. ამიტომ კევრის დადასტურება, უფრო სწორად, მისი ფართოდ გავრცელების ფაქტი ადრერკინის ხანაში მიწათმოქმედების, კერძოდ, მემინდვრეობის დიდ ინტენსიურობაზე მიუთითებს.

გვიანბრინჯაოს ხანიდან მასიურად ვრცელდება ლითონის ნამგალი. ნამგლები მთელს საქართველოშია დამოწმებული, როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში[56]. განსხვავებით ადრეული ბრინჯაოს ნამგლებისაგან, გვიანბრინჯაოს ხანაში გავრცელებული ნამგლები უყუნწოებია. ტარი მაინც ეგებოდათ — ყოველ მათგანს დატანებული აქვს ერთი ან რამდენიმე ნახვრეტი ტარის დასაგებად. როგორც აღვნიშნე, ჩვენში ლითონის ნამგალი პირველად ადრებრინჯაოს ხანაში ჩნდება (ხიზანაანთ გორა, ამირანის გორა, გარნი), მაგრამ მათ ფართო გავრცელება არ მიუღიათ. მეურნეობაში მთავარ როლს მაინც კაჟის ჩასართებიანი ნამგალი ასრულებს. გვიანი ბრინჯაოს ხანიდან, თუმც ლითონის ნამგალი მასიურად ვრცელდება (მარტო აღმოსავლეთ საქართველოში იგი დამოწმებულია: ახალ ულიანოვკაში, ბაკურციხეში, წოისში, ბეშთაშენში, მელაანში, ურიათუბანში, ჩურისხევში და სხვა), მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ო. ჯაფარიძე, რკინის ხანამდე იგი კაჟის ჩასართებიან ნამგალს მეურნეობიდან საბოლოოდ ვერ დევნის[57]. მაინც მისი ფართოდ გავრცელება მიწათმოქმედების, კერძოდ, მემინდვრეობის ინტენსიფიკაციის საბუთია. ნამგალს, როგორც ჩანს, მარტო მემინდვრეობაში არ იყენებდნენ. ახალ ულიანოვკის № 2 ყორღანულ სამარხში მისი აღმოჩენა, რ. აბრამიშვილის ვარაუდით, იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი ბალახის სათიბადაც გამოიყენებოდა.

ნამგალი, როგორც ჩანს, იხმარებოდა ბაღ-ვენახების სასხლავადაც. კოლხურ კულტურაში დამოწმებულია კომბინირებული იარაღი — ცულ-ნამგალა. ეს იარაღი, აღნიშნავს ა. აფაქიძე, „სამკალ ნამგლად“ ვერც გამოდგებოდა, ხოლო სასხლავად და საკაფად იგი ეფექტური იარაღი იქნებოდა[58]. საერთოდ, ა. აფაქიძე სასხლავ იარაღად მიიჩნევს ბაკურციხეში აღმოჩენილ ყოველ ნამგალს. იგი ფიქრობს, რომ ეს ნამგლები, ძირითადად, ვენახის სასხლავად უნდა ეხმარათ, თუმც შესაძლებლად თვლის განსხვავებულ პირობებში მათ სამკალად გამოყენებასაც[59]. ვფიქრობ, სავსებით სწორად წერს ო. ჯაფარიძე, რომ „ეს მოსაზრება, შესაძლოა მართლაც სწორი იყოს: ნამგალი ზოგ შემთხვევაში ვენახის სასხლავადაც იყო გამოყენებული, მით უმეტეს, რომ როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, საქართველოში ბოლო დრომდე შემორჩა ვენახის სასხლავად ნამგლის ფორმის სავაზე, ოღონდ ვერ დავეთანხმებით მის მტკიცებას, რომ ნამგალი მევენახეობაში გაცილებით უფრო ადრე უნდა ყოფილიყო გამოყენებული“[60].

ჩვენში ნამგალი უკვე ენეოლითის ხანიდან არის დადასტურებული. ლითონის ნამგლები მტკვარ-არაქსის კულტურაში გვაქვს. ადრეულ ბრინჯაოში,

---

[56] ო. ჯაფარიძე. მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ ქართულ კულტურაში... გვ. 208—211. ა. აფაქიძე. ბაკურციხის არქეოლოგიური გათხრები. საკანდ. დისერტაცია. თბ. 1941. გვ. 61. ქ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 106.

[57] ო. ჯაფარიძე. მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ... გვ. 204.

[58] ა. აფაქიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 82.

[59] იქვე. გვ. 80—87.

[60] ო. ჯაფარიძე. მიწათმოქმედების იარაღები... გვ. 210.

მით უმეტეს ენეოლითში, მევენახეობა ჩვენში განვითარებული არ არის. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში, მაშინ, როდესაც ჩვენში მებაღეობა-მევენახეობა ისახება და ვითარდება, მეურნეობის ამ დარგში ბუნებრივ გამოყენებას პოულობს მემინდვრეობის იარაღები, მით უმეტეს, რომ ნამგალი, ცულ-ნამგალა უკვე იქნებოდა ჩირგვებისა თუ ტოტების სასხლავად ხმარებული. სპეციალური სასხლავი იარაღი უნდა გაჩენილიყო შემდეგ, როდესაც მებაღეობა-მევენახეობა მეურნეობის ცალკე დარგად განვითარდა და მოიცვა მთელი სამიწათმოქმედო ბარი. მთისა და ბარის ზონალური დაყოფა ისტორიულ საქართველოში ვენახების გავრცელებისდა მიხედვით ხდებოდა[61].

ბაკურციხის ე. წ. „სასხლავი ნამგლები“ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენში მევენახეობის უძველესი ხანიდან ფართოდ განვითარების ყველაზე თვალსაჩინო ფაქტად მოჰყავდათ და მოჰყავთ. რა თქმა უნდა, საქართველოში მევენახეობას ძალიან ძველი ტრადიცია აქვს და საქართველო და კავკასია მევენახეობისა და მეღვინეობის კლასიკური ქვეყანაა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენ არაფერი მოგვეპოვება იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველო მეღვინეობის სამშობლოდ ვაღიაროთ, თუნდაც დავუშვათ, რომ ჩვენში მევენახეობა ადრე ან შუაბრინჯაოს ხანაში განვითარებული იყო. ჩვეულებრივ უთითებენ, რომ ყურძნის წიპწები აღმოჩენილია ხიზანაანთ გორაზე[62], წიპწის ნახევარი დადასტურებულია აგრეთვე ქვაცხელებზე და სხვა. ხიზანაანთ გორის ყურძნის წიპწების ადრებრინჯაოს ხანისადმი მიკუთვნება ძალიან საეჭვოა. ამის შესახებ მე უკვე მქონდა საუბარი. ძნელია თქმა, როგორ ხვდება ადრეულ ფენებში ყურძნის წიპწები, მაგრამ ერთი-ორი წიპწით მტკიცება ჩვენში მევენახეობა-მებაღეობის განვითარებისა, როდესაც საზოგადოების განვითარების მთელი კომპლექსი საწინააღმდეგოს გვიჩვენებს, არ უნდა იყოს მაინცდამაინც გამართლებული. მევენახეობა საქართველოში გვიანბრინჯაოს ხანის დასასრულს უნდა ჩასახულიყო. მეორე ათასწლეულის დასასრულს იგი საკმაოდ ფეხმოკიდებული და განვითარებული ჩანს. ამ ხანიდან ჩვენში ჩნდება მევენახეობასთან დაკავშირებული არაერთი ფაქტი თუ მოვლენა.

როგორც აღვნიშნე, ბაკურციხის „სასხლავი ნამგლები“ მევენახეობის განვითარების საბუთად მიაჩნიათ, მაგრამ ეს არაპირდაპირი საბუთია. ჩვენ უფრო აშკარად მანიშნებელი საბუთებიც გვაქვს. მრავლდება, პირველ რიგში, ყურძნის წიპწების აღმოჩენის ფაქტები. წიპწები აღმოჩნდა აზერბაიჯანში ხანლარის ნამოსახლარზე[63], უფლისციხეში — ყათნალის ხევის სამლოცველო კომპლექსში[64], ნინოწმინდის სამაროვანზე[65] და სხვა. უკანასკნელნი განსაზღვრა პროფ. მ. რამიშვილმა და მათში ორი ჯიშის კულტურული ვაზი ამოიცნო, რომელთაგანაც ერთი აღმოსავლეთ საქართველოში კარგად ცნობილ „მწვანეს“ ეკუთვნის, მეორე კი „რქაწითელს“. მ. რამიშვილის აზრით, ვაზი რომ ჯიშად ჩამოყალიბდეს, იმდროინდელი აგროტექნიკური საშუალებების გათვალისწი-

---

[61] ი. ჯავახიშვილი. საქ. ეკონომიური ისტორია. წ. I. თბ. 1935. გვ. 293.

[62] С. И. Надимашвили. Опыт периодизации памятников Внутренной Картли и Юго-Осетии и проблема энеолита Кавказа. Тезисы докладов на заседании сектора Кавказа и Средней Азии. ИИМКО. 14/IV 1966.

[63] Я. И. Гумель. К проблеме археоботаники Закавказья. стр. 750.

[64] დ. ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრ.

[65] გ. ცქიტიშვილი. მევენახეობის ისტორიისათვის... გვ. 138.

ნებით, ათი თაობა მაინც უნდა[66]. სამარხი, რომელშიაც წიპწები აღმოჩნდა ძვ. წ. VIII—VII სს. თარიღდება. ვაზის თითო თაობაზე რომ 20—30 წელი ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ „მწვანისა“ და „რქაწითელის“ გაკულტურება, სულ მცირე, მეორე ათასწლეულის დასასრულს უნდა დაწყებულიყო.

მევენახეობას უკავშირებს კ. ფიცხელაური მელი-ღელე 1-ის სამლოცველოზე აღმოჩენილ თიხის ჭურჭლებს, რომლებსაც მხრებზე მცირე ჭურჭლები აქვთ მიძერწილი (მარანი), და მოზრდილი ჭურჭლების (ქვევრები!) ფრაგმენტებსაც[67]. საკულტო ობიექტები ღვინისა და საერთოდ სარიტუალო სასმელის ყველაზე ფართო მომხმარებლები იყვნენ. მარანის საკულტო დანიშნულება კარგადაა ცნობილი საქართველოს ეთნოგრაფიაში. ეს ჭურჭელი მართლაც ყოველთვის საღვინეა. არ არის გამორიცხული, რომ ამ ხანაშიც იგი ღვინისთვის განკუთვნილი სპეციალური სასმისი იყოს. მელი-ღელე მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება. ყურძნის წიპწები, როგორც აღვნიშნე, აღმოჩენილია ყათნალის ხევის საკულტო ნაგებობების კომპლექსში—წიპწები ხელადაშია დადასტურებული, ამდენად, ღვინის სარიტუალო სასმელად გამოყენება მეორე ათასწლეულისთვის ეჭვს არ იწვევს.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენში არა მარტო ყურძნის წიპწები და ღვინის სასმისებია დამოწმებული, არამედ ღვინის შესანახ-დასაძველებელი ქვევრები. ქვევრი მეღვინეობის განვითარების უტყუარი საბუთია, რადგან მეღვინეობა აუცილებლად მოითხოვს შესანახ-დასაძველებელ ჭურჭელს. ნამოსახლარებზე ქვევრების გამრავლებისა თუ შემცირების მიხედვით შეიძლება თვალი გავაყოლოთ ჩვენში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების დინამიკას. რა თქმა უნდა, მეღვინეობის არსებობის დადასტურება სხვა რიგის ძეგლებზედაც შეიძლება (სამლოცველო კომპლექსები, სამარხები), მაგრამ განვითარების დონის დასადგენად ამ ხასიათის ძეგლები ცოტას იძლევიან (მხედველობაში არა გვაქვს ქვევრსამარხები).

შიდა ქართლში გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანის ნასოფლარებიდან მეტ-ნაკლები სისრულით გათხრილია ორი ნამოსახლარი: ხოვლე-გორა და თრელი გორები. ხოვლე-გორა, აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ერთ-ერთი უდიდესი დასახლება, მდებარეობს მტკვრის მარჯვენა სანაპირო ზოლში, სოფ. ხოვლეს მიდამოებში. აქ მუშაობას აწარმოებდა ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით 1954—1961 წლებში[68]. ექსპედიციამ გორაზე დაადასტურა გაბმული ცხოვრების კვალი ძვ. XV ს-დან IV ს-მდე. ქვევრები დამოწმებულია ძვ. წ. VI საუკუნით დათარიღებულ III ჰორიზონტში. ამ ფენაში საერთოდ შესამჩნევი ტეხილი დასტურდება ხოვლელთა სამეურნეო ცხოვრებაში. იზრდება სოფელი, გორას ქვით ნაგები ზღუდე ევლება, იცვლება საცხოვრებელი კომპლექსები. ისინი მრავალოთახიანნი ხდებიან. საცხოვრებელ კომპლექსებში აღარა გვხვდება საკულტო ნაგებობა. სამაგიეროდ, ჩნდება მარანი. როგორც სოფელ-

---

[66] გ. ცქიტიშვილი. მევენახეობის ისტორიისათვის... გვ. 138.

[67] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 107.

[68] რ. აბრამიშვილი, დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი. ხოვლეგორის 1958 წ. გათხრების ანგარიში. VII სამეცნიერო სესია. თბ. 1959. გ. ცქიტიშვილი. ხოვლისგორელთ საშინაო ყოფა და მეურნეობა. ისტორიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების II სამეცნიერო სესიის მოხსენებათა ანოტაციები.

ში, ისევე გორაზე ბევრ საცხოვრებელ ნაგებობასთან მიწაში ჩაფლულია ქვევრები.

საინტერესოა, რომ ხოვლე-გორის ნამოსახლარზე III ჰორიზონტამდე ქვევრები დადასტურებული არ არის. ქვევრი არც საკულტო სათავსოებში გვხვდება. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ხოვლე-გორის მეურნეობაში წამყვანი ადგილი მესაქონლეობას ეკუთვნის. უფრო სწორად, ხოვლე-გორაზე სახლდება ქვემო ქართლის მთიანეთიდან ჩამოწეული მესაქონლე თემი[69]. ადრეულ ფენებში ქვევრის არდადასტურება, III ჰორიზონტში კი მისი ფართოდ გავრცელება შეიძლებოდა ამ მესაქონლეთა ნელ-ნელა გამიწათმოქმედებით, ხოვლეზე მეურნეობის ცვლით აგვეხსნა, მაგრამ ხოვლელები ყოველთვის მიწათმოქმედნი ჩანან. საქმე ის არის, რომ VI საუკუნე მეურნეობის განვითარებაში მოსაბრუნებელი ხანაა. სწორედ ამ დროს უნდა დაწყებულიყო მევენახეობა-მეღვინეობის ფართოდ განვითარება. მანამდე, როგორც ჩანს, ვენახი აღმოსავლეთ საქართველოში ცალკეულ ცენტრებში ვითარდებოდა. საგულისხმოა, რომ ქვევრი დადასტურებული არ არის არც ყათნალის გორის სამლოცველო კომპლექსში, თუმცა ამ კომპლექსში სამეურნეო ნაგებობა შედის[70]. როგორც ჩანს, მევენახეობა განვითარებული არ ყოფილა არც იმ თემში, რომლის სამლოცველოს ყათნალის ხევი წარმოადგენდა. ყურძნის წიპწიანი ხელადა აქ საიდანაც გნებავთ შეიძლებოდა მოხვედრილიყო. ძლიერი ხატები მლოცველებს თავს უყრის არა მარტო „საყმოდან“, არამედ ქვეყნის ყოველი კუთხიდან, „უყმო ყმის“ შესაწირავს თითქმის ყოველი ხატი იღებს.

როგორც არქეოლოგიური აღმოჩენები, ისევე ეთნოგრაფიული მასალები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ჩვენში ვაზი თავდაპირველად ხატის საკუთრება, საკულტო მცენარე უნდა ყოფილიყო და ვენახიც სახატო მიწებზე უნდა გაშენებულიყო. მევენახეობასთან დაკავშირებული თითქმის ყოველი ნივთი საკულტო ძეგლებზე ან სათავსოებშია დადასტურებული. სამარხებში ყურძნის წიპწების აღმოჩენაც ამასვე ადასტურებს. ვაზი რომ თავდაპირველად ხატის საკუთრებაა, კარგად ჩანს ქართველ ტომებში დადასტურებულ ზედაშის წესსა და მარნის კულტში. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ვაზი ჩვენში თან შემოჰყვა სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეს და მასთან ერთად აგრარული ღვთაების სიმბოლოდ, მის იკონოგრაფიულ განსახიერებად იქცა. მაგრამ მევენახეობა, ისევე როგორც მებაღეობა, მთელს გარდატეხას ნიშნავდა მეურნეობაში. მემინდვრეობის პრაქტიკით მიღებული გამოცდილება აქ აღარ გამოდგებოდა. ამავე დროს, ვენახის შემოსვლის მომენტისთვის ჩვენში სხვა საკულტო და სარიტუალო სასმელები იყო გავრცელებული (ლუდი, არაყი). მეტად ადვილი იყო მათი დამზადება და მეტად ძნელი — ვენახის გაშენება, ღვინის დაყენება, და, რაც მთავარია, მისი მოვლა. აქედან — ჩვენში ვენახის გავრცელებისა და განვითარების საკმაოდ ნელი ტემპი. იგი პირველად ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ინერგება ძლიერ სატომო ღვთაებათა კუთვნილ მამულებში და მისგან დაყენებული ღვინო ამ ღვთაების დღეობას ხმარდება. ვენახს ყოველი მეთემე ვერ მოუვლიდა. დიდი იყო, როგორც აღვნიშნე, მემინდვრეობისა და მევენახეობის აგროტექნიკურ ხერხებს შორის სხვაობა. ვენახის მოსავლელად სპეციალური პირები უნდა გამოეყოთ, რომლებიც სწორედ მევენახეობაში დასპეციალდებოდნენ. ეს მოვლენა შეიძლებოდა გამხდარიყო მიზეზი

[69] დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე. I. გვ. 33.
[70] იქვე. გვ. 32.

სოციალური აღზევებისაც. ყოველ შემთხვევაში, მევენახეებს გარკვეული პრივილეგია ექნებოდათ. ადრე თუ გვიან მათ ღვთის მცენარე და ხატი — სატომო ღმერთი, საკუთარ მცენარედ და ღვთაებად უნდა ექციათ. ვენახი და მარანი ოჯახისთვის ისევე წმინდა და სალოცავია, როგორც კერა. ერთი სიტყვით, ვენახის გაშენება უნდა დაწყებულიყო სახლის მფლობელობაში მყოფ მიწებზეც და, როგორც უკვე საოჯახო, საგვარეულო, სათემო ღვთაება, იგი სწრაფად უნდა გავრცელებულიყო. ეს პროცესი, როგორც ხოვლე-გორის გათხრების მასალებიდან ჩანს, ძვ. წ. VI საუკუნეში უნდა მომხდარიყო.

ამგვარად, ქვევრების გამოჩენა თრელი გორებისა და ხოვლე-გორის ნამოსახლარზე უნდა ასახავდეს მევენახეობის შემოსვლა-განვითარების ორ პერიოდს. თრელი გორებზე აღმოჩენილი ქვევრები ჩვენში მევენახეობის დანერგვის პერიოდისაა, როდესაც მეურნეობის ეს დარგი პირველ ნაბიჯებს დგამს. იგი ჯერ ხატის საკუთრებაა, უფრო სწორად, ხატის გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობს. მხოლოდ შიში ღვთაების წინაშე აიძულებს რიგით მეთემეს მის მოვლა-პატრონობას. ხოვლე-გორის ქვევრები კი აღმოსავლეთ საქართველოში მევენახეობის ფართოდ განვითარების მოწმობაა. ვაზი გამოდის ხატის მფარველობიდან და უკვე კერძო მფლობელობაში ექცევა. ამავე დროს, თვითონ ხდება კერძო ინიციატივის სტიმული. მევენახეობის ფართოდ განვითარებას ჩვენში ჰქონდა სოციალური შედეგიც. მაგრამ მან თავი უკვე ანტიკურ ხანაში იჩინა და მასზედ ქვემოთ გვექნება საუბარი.

გვიანბრინჯაოს ხანიდან შემოდის დასახლების ახალი ტიპი. ნამოსახლართა უმრავლესობა შიდა და ქვემო ქართლში, გარე კახეთში, დასავლეთ ქიზიყში და სხვა ბუნებრივ ბორცვებზე — გორებზეა დადასტურებული. გორა, რა თქმა უნდა, თავისთავად ახალი არ არის საქართველოს არქეოლოგიაში. გორანამოსახლარები უკვე ენეოლითიდან არის ცნობილი, მაგრამ ადრინდელ გორებსა და გვიანბრინჯაოს ხანიდან გავრცელებულ გორა-ნამოსახლარებს შორის არსებითი სხვაობაა. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანაში გორა-შემაღლება წარმოშობილია საამშენებლო ჰორიზონტების დაფენების შედეგად: შულავერი, არუხლო, ხიზანაანთ გორა, ქვაცხელა; გვიანბრინჯაოს ხანაში კი, სპეციალურად ირჩევენ სამოსახლოდ ბუნებრივ ბორცვს. ბორცვებზე დასახლება ადრეცა გვხვდება (ცხინვალის ნაცარგორა), მაგრამ, ჯერ ერთი, ადრეული ხანის დასახლებისთვის ბუნებრივი გორები ტიპიური არ არის, მეორეც, მათ დროებითი, სეზონური სადგომის იერი უფრო აქვთ, ვიდრე სტაციონარული ნამოსახლარისა. საერთოდ, გარშემო რელიეფისგან გამოყოფას ადამიანი ყოველთვის ცდილობს და მისი მისწრაფება გორებისაკენ სავსებით გასაგებია. ამიტომაა, რომ უკვე ადრეული ხანიდან ადამიანი ნამოსახლარს უკეთებს თხრილებს (არუხლო), ან ცდილობს სამოსახლოდ ბუნებრივი ხევებით გამოყოფილი ადგილი აირჩიოს და სხვა. ასევე, გორა ყოველთვის უნდა ყოფილიყო სამოსახლოდ გამოყენებული, მაგრამ ტიპიური იგი მაინც გვიანბრინჯაოს ხანიდან ხდება. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნამოსახლარი აუცილებლად ბუნებრივ ბორცვებზე უნდა იყოს. არის მთელი რიგი ხევებისა, სადაც არც ერთ ხელოვნურ ბორცვზე გაშენებული ნამოსახლარი არა გვხვდება (ალაზნის აუზის ზედა წელი[71], ტანას ხეობა[72] და სხვა), მაგრამ გვიანბრინჯაოს ხანაში როგორც აღმო-

[71] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 42.

[72] თ. ტატიშვილის ზეპირი ცნობა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

სავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოსთვის ყველაზე დამახასიათებელი დასახლება მაინც ბუნებრივ ბორცვზე გაშენებული სოფელია.

ტერმინი „გორა“ საქართველოს არქეოლოგიასა და ისტორიაში შემოიტანა და დაამკვიდრა აკად. ნ. ბერძენიშვილმა. ამ ტერმინს იგი სოციალურ შინაარს აძლევდა და ფიქრობდა, რომ გვარი და გორა იდენტური ტერმინებია. უფრო სწორად, პირველი განვითარდა მეორესაგან[74], ე. ი. გორა გვაროვნული დასახლებაა. ამავე ტერმინში უსათუოდ იგულისხმება, რომ გვაქვს პირველყოფილი თემური წყობილება. უკვე კლასობრივ საზოგადოებაში ნამოსახლარი ბორცვზეც რომ იყოს გაშენებული, მას გორა აღარ დაერქმევა[74].

დ. მუსხელიშვილი და გ. ცქიტიშვილი, რომლებმაც შემდეგ განავრცეს ნ. ბერძენიშვილის დებულება გორებად დასახლების შესახებ, ფიქრობენ, რომ გორაზე — ბორცვზე დასახლება, მართალია, შეპირობებული იყო თავდაცვის მიზნით, მაგრამ მაინც იგი მეურნეობითი ფაქტორით, კერძოდ, მიწათმოქმედების განვითარებით უნდა იყოს გამოწვეული[75]. სავსებით სწორია, რომ მიწათმოქმედება აპირობებს გორების წარმოშობას, მაგრამ იგივე ფაქტორი უფრო ადრეული ხანიდან (ენეოლით-ადრებრინჯაო) ჩანს. უფრო მეტიც, სწორედ მიწათმოქმედებით განსაზღვრულმა ბინადარმა ცხოვრებამ წარმოშვა გორები ადრეულ ხანაში, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ეს გორები არსებითად განსხვავდება გვიანბრინჯაოს დასახლებისაგან, რომელიც სპეციალურად არის გაშენებული ხელოვნურ ბორცვებზე და გამაგრებული ადგილის იერს ატარებს. დასახლება ამ ბორცვებზე თავდაცვით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. მეურნეობა, ამ შემთხვევაში, თუმც განსაზღვრავს ბორცვებზე ცხოვრების ხანგრძლივობას, მაინც არსებითი ფაქტორი არ ჩანს. გორას სამოსახლოდ ერთნაირად ეტანება როგორც მიწათმოქმედი, ისე მესაქონლე.

ახლა საკვლევია, რა დროიდან ადის ბუნებრივ ბორცვზე მოსახლეობა? გათხრილი ნამოსახლარებით — გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე, თუმც მასიურად ბორცვებზე დასახლება გვიანი ბრინჯაოს განვითარებულ სტადიაზე უფრო ჩანს[76]. შუაბრინჯაოს ნამოსახლარები ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ამ ხანაში მოსახლეობა ბორცვებს სამოსახლოდ მაინცდამაინც არ ეტანება. ადრებრინჯაოს გვიან ეტაპზე და შუაბრინჯაოს ხანაში, როგორც არაერთგზის გვქონდა აღნიშნული, მოსახლეობა ძველ სამოსახლოებს ტოვებს. ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო ახალი. შუაბრინჯაოს ხანის ხანგრძლივობა არც ისე დიდია, რომ რამდენადმე ძლიერი კულტურული ფენა დაეტოვებინა. ამიტომ მათ ჩვენ ვერ ვაგნებთ. შუაბრინჯაოს ხანის ბოლოს კვლავ ხდება ნამოსახლარების მიტოვება და ახლის ძიება. ვფიქრობ, რომ მოსახლეობა ბარში კვლავ დასახლებისთანავე არ უნდა ასულიყო ბორცვზე. ამ დროს მეურნეობა ჯერ კიდევ შერწყმული ხასიათისაა და მესაქონლეობა და მიწათმოქმედება მკვეთრად გამიჯნული არ არის. უფრო გვიან კი, როდესაც მესაქონლეობამ აშკარად ჩამოყალიბებული მომთაბარული ხასიათი მიიღო და იგი მიწათმოქმედებას ემიჯნება, მოსახლეობას თავი გამაგრე-

[73] ნ. ბერძენიშვილი. ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან. გვ. 152.

[74] დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ნ. ბერძენიშვილის შრომებში. „მაცნე“. № 3. თბ. 1965. გვ. 106.

[75] დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 188.

[76] კ. ფიცხელაურს ეჭვი შეაქვს ხოვლე-გორის უძველესი ქვედა ფენის გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპით დათარიღებაში (იხ. კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 170).

ბული ადგილებისთვის უნდა შეეფარებინა, რადგან მესაქონლეობა ზრდის ყაჩაღობის ელემენტს და ომს, საქონლის მოტაცებას მეურნეობით ხასიათს აძლევს. ამიტომ, როგორც მესაქონლე, ისევე მიწათმოქმედ ტომებსაც უნდა ეზრუნათ სოფლების გამაგრებისათვის. ამ მომენტიდან უნდა დაწყებულიყო გორების, ბუნებრივი სიმაგრეების მასიური დასახლება. საშიშროების როლი გორების სამოსახლოდ ათვისებაში მშვენივრად აქვს ნაჩვენები კ. ფიცხელაურს გარე კახეთის მაგალითზე.

გარე კახეთში ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს ადრეული პერიოდის ნამოსახლარები მთის ფერდობებზეა განლაგებული, თავდაცვითი ნაგებობების გარეშე. ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრის ნამოსახლარები თუმცა ისევ მთის ფერდობებზე, მაგრამ უკვე საშუალო და მცირე ზომის ბუნებრივ ბორცვებზეა განლაგებული. კ. ფიცხელაური სვამს კითხვას: ნამოსახლარი „რატომ იქნა ატანილი მთის ფერდობიდან და ველებიდან მცირე ბორცვ-გორაკებზე და რატომ გახდა აუცილებელი მათ გარშემო თავდაცვითი ნაგებობების გამართვა?" და პასუხობს: „შესაძლოა, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს გამაგრებულ ბორცვებზე დასახლების ერთ-ერთი მიზეზი რაღაც საშიშროების გაჩენა ყოფილიყო. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ სწორედ ამ ხანიდან სამარხებში დიდი რაოდენობით ჩნდება იარაღი, მაშინ, როდესაც გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურებზე ბრინჯაოს იარაღი სამარხებში თითქმის არ გვხვდება". ასეთივე სურათია საკულტო ძეგლებზე ყათნალის ხევის და მელი-ღელე I-ის სამლოცველოებში, სადაც საბრძოლო იარაღი თითქმის დამოწმებული არ არის, მაშინ, როცა ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის დასაწყისის სამლოცველოებზე შეწირვის ერთ-ერთი მთავარი საგანი სწორედ საბრძოლო იარაღი ხდება[77].

კ. ფიცხელაური შესაძლებლად თვლის ეს საშიშროება დაუკავშირდეს ძვ. წ. XIII საუკუნის დასასრულს მომხდარ დიდ ცვლილებებს — „ეგეოსურ შემოსევას", ხეთების სახელმწიფოს განადგურებას და სხვა. ამ მოვლენებს რომ რეზონანსი ამიერკავკასიაშიც ჰქონდა ამის მანიშნებლად კ. ფიცხელაურს ე. წ. წინააზიური სატევრებისა და „სუბმიკენური" საკინძების აქ გამოჩენა მიაჩნია[78]. ეს, შესაძლებელია, ასეც არის, მაგრამ საშიშროების მთავარი მიზეზი მაინც აქ მსხდომ ტომთა შინაგანი განვითარებიდან გამომდინარეობს. ქართველი ტომები უკვე ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ, რაც გმირობის ელემენტს და გმირის როლს საზოგადოებაში ძალიან ზრდის. ვიმეორებ, რომ მესაქონლე ტომებში ეს გმირობა მეზობელ ტომებზე თავდასხმასა და მათი საქონლის გამორეკვაში მდგომარეობს. კავკასიელ მთიელებში ყაჩაღობა, მეზობელი ტომების რბევა და მათი საქონლის მიტაცება მეურნეობით ხასიათს ატარებდა თითქმის ოქტომბრის რევოლუციამდე. ისევე როგორც მთიელთა სახლი საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენს, ასევე ძვ. წ. I ათასწლეულის დასასრულს ყოველი ნამოსახლარი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სიმაგრე უნდა ყოფილიყო.

ამგვარად, გორებზე ასვლა II ათასწლეულის დასასრულიდან გამოწვეული იყო თავდაცვის აუცილებლობით, მაგრამ ამა თუ იმ მხარის, აუზის, ხევის და-

---

[77] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 43.

[78] იქვე.

სახლება დამორჩილებულია სამეურნეო ინტერესს. მეურნეობა საზღვრავს აგრეთვე ამა თუ იმ ტერიტორიაზე გორების არჩევას დასასახლებლად. აქ პირველ რიგში დგას სასმელი და სამეურნეო წყლის პრობლემა. „ყველა გორას — წერენ შიდა ქართლზე დ. მუსხელიშვილი და გ. ცქიტიშვილი — ან ხევი ან მდინარე ჩამოუდის, ანდა მახლობლად წყარო აქვს“. სამოსახლო გორა ირჩევა ისე, რომ იგი ბატონობდეს მის შემოგარენზე, სამეურნეო ნაკვეთებზე. ეს ნამოსახლარი გორები, ჩვეულებრივ, მთის ფერდობებზეა გაშენებული, მთისა და ბარის შესაყართან, ამდენად, გორა ხშირად ასეული მეტრობით უფრო მაღლაა, ვიდრე მისი სამეურნეო ნაკვეთები[79]. მაგ., ნოსტეს, ძეგვის, ნიჩბისის გორები და სხვა.

გორათა სიდიდესაც მეურნეობა განსაზღვრავს. იქ, სადაც მიწათმოქმედება სარწყავია, ჩვეულებრივ, მოზრდილი დასახლებანიც გვაქვს. სარწყავი სისტემის გატანა-ექსპლოატაციას, როგორი მარტივიც არ უნდა იყოს იგი, კოლექტიური შრომა სჭირდება. მას, რა თქმა უნდა, ერთი ოჯახი და თუნდაც ერთი გვარი ვერ მოუვლის. საჭიროა დიდი კოლექტივის ერთობლივი შრომა. ასეთ კოლექტივებად იმ ხანაში სასოფლო თემი გამოდის, რომლის სიდიდეს ამ სარწყავი არხის ექსპლოატაციის სირთულე განსაზღვრავს. მაგალითისთვის ისევ ხოვლე-გორა მოვიტანოთ.

ხოვლე-გორა მოზრდილი ბორცვია. თავდაპირველი მოსახლეობა მის თხემზე სახლდება. ამაგრებს მას (ფუძეზე თხრილია შემოვლებული). გორა წარმოადგენს ძირითად სამოსახლოს V ჰორიზონტამდე. შემდეგ კი იგი მოსახლეობას ვეღარ იტევს და ჩნდება გორის გარე დასახლება, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება. საცხოვრებელი ნაგებობანი ორი სათავსოსაგან შედგება, რომელთაგანაც ერთი საცხოვრებელია, ხოლო მეორე — ბოსელი. საინტერესოა, რომ IV ჰორიზონტში დამოწმებულია საერთო ბოსელი 20 სული საქონლისთვის. სახლების ზომებისდა მიხედვით ძირითად სოციალურ უჯრედს წყვილადი ოჯახი წარმოადგენდა. მრავალსათავსოიანი სახლები მხოლოდ III ჰორიზონტიდანაა დამოწმებული, მაგრამ ხოვლე-გორაზე დიდი პატრიარქალური ოჯახები სავარაუდო არ არის. დასახლება, ალბათ, გვაროვნული იყო, და ქმნიდა სასოფლო თემს. ხოვლე-გორის თემი საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. ხოვლეგორელები მიწათმოქმედნი იყვნენ. მათი მიწათმოქმედება საკმაოდ ინტენსიურია. ინტენსიურ მიწათმოქმედებას ადასტურებს აქ აღმოჩენილი კევრის კოხები, კაჟის ნამგლის ჩასართები, მარცვლეული, მარცვლეულის შესანახი ორმოები, კოდები და სხვა. ინტენსიური მიწათმოქმედება ხოვლეში, მით უმეტეს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამიწათმოქმედო ტექნიკის პირობებში, შესაძლებელი იყო მხოლოდ ირიგაციის არსებობის შემთხვევაში. სარწყავი სისტემების მოწყობა კი ხოვლეში, მიუხედავად მისი შედარებით მარტივი ხასიათისა, მაინც საკმაოდ რთულია. საილუსტრაციოდ მოვიტან, თუმც გვიანდელ (1800 წ.), მაგრამ მაინც მჭერმეტყველ საბუთს. უფლისწულს დავითს ერთობით ჯავახიშვილებისაგან — „...არხი გვაქვს გამოსაღები და ჭირისაგან რომ კაცნი ამოგვიწყდნენ, ეს ორი წელიწადია ვეღარ შევძელით გამოღება. ამგვარებში ჩვენც მოვხმარებივართ სხვათა და წყალობას ვითხოვთ, ჩვენი მეზობლები თვითოს დღეს მოგვეხმარნენ... თარხნიშვილო ტეტიავ—ბრძანებს საპასუხოდ დავითი — მერე ამ არხით ჯავახიანთ ასე რომ მოუხსნე-

[79] დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 144.

ბიათ, სასირეთმა, მეტეხმა და ჩოჩეთმა ერთი დღე არხის მუშაობაში უნდა უშველონ"[80].

აქ საქმე ახალი რუს გატანას კი არა, ძველი არხის შეკეთებას ეხება („ეს ორი წელიწადი ველარ შევძელით"). საერთოდ არხის ექსპლოატაცია საკმაოდ შრომატევადია. მას თითქმის ყოველწლიურად სჭირდება ლამისაგან წმენდა, სათავე-ნაგებობების შეკეთება და სხვა. სწორედ, ეს სამუშაოები ვერ შესძლეს ერთობით ჯავახიშვილებმა. ვფიქრობ, გასაგები უნდა იყოს ხოვლე-გორის დასახლების სიდიდის მიზეზი: ხოვლეს სარწყავი სისტემების გატანა-ექსპლოატაცია დიდი კოლექტივის ყოველწლიურ შრომას მოითხოვს.

ანალოგიური მიზეზები აპირობებენ ნოსტეს, თრელი გორებისა და სხვა სარწყავ ზონებში განლაგებული ნასახლარების სიდიდეს. საკმაოდ მოზრდილი ნამოსახლარი გორებია ალაზნის აუზის ქვემო წელში, ალაზნის ველის მარჯვენა ვაკობზე. ზემოთ მოვიტანეთ კ. ფიცხელაურის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ ვაკობზე დასახლება, უკვე ადრებრინჯაოს ხანაში, სარწყავი მიწათმოქმედებით იყო განპირობებული. ამის გამო გორებზე შუაბრინჯაოს ხანიდან ვიდრე I ათასწლეულის შუახანებამდე უწყვეტი ცხოვრების კვალი გვაქვს. გორებიც, განსხვავებით ქართლ-კახეთის გვიანბრინჯაოს ნამოსახლარებისაგან, ხელოვნური წარმოშობისაა. ამ მხრივ ეს გორა-ნამოსახლარები უფრო ახლოს კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარ ბორცვებთან დგანან, რომლებიც აგრეთვე შუაბრინჯაოს ხანიდან უწყვეტი ცხოვრების ბაზაზე საამშენებლო ჰორიზონტთა დაფენების შედეგად არიან წარმოქმნილნი[81]. მიუხედავად იმისა, რომ ალაზნის ველისა და კოლხეთის დაბლობის მოსახლეობას სრულიად საწინააღმდეგო დაბრკოლების გადალახვა სჭირდებოდა (პირველნი სიმშრალეს ებრძოდნენ, მეორენი კი—ჭარბ ტენიანობას), მათ დაახლოებით ერთნაირი ღონისძიების გატარება მოუხდებოდათ — მელიორაციული სამუშაოები: სარწყავი რუები ალაზნის ველზე და საწრეტი არხები კოლხეთის დაბლობში. ერთი სიტყვით, როგორც ალაზნის ველზე, ისევე კოლხეთის დაბლობში სამიწათმოქმედო სავარგულები ძნელად მოსაპოვარნი იყვნენ და ამ მოპოვებულ მიწას ძნელადვე მიატოვებდნენ. ამიტომ გვაქვს დასახლების უწყვეტი კვალი ათასწლეულების მანძილზე.

ალაზნის ველის სარწყავი სისტემა უფრო ძნელად მოსაწყობი იქნებოდა, ვიდრე სინქრონული აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რომელიმე საირიგაციო ნაგებობა. ამავე დროს, ივრის პლატოდან დაშვებული ხევის წყლებისა და ალაზნის ნალექით შექმნილი ვაკობი ნაყოფიერებითაც განსხვავდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მთისძირა ფერდობებისგან. ამან განაპირობა, ჩემი აზრით, არა მარტო ნამოსახლარი გორების სიდიდე, არამედ თვით ვაკობის მჭიდრო დასახლებაც. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში სხვა, ასე კომპაქტურად დასახლებული რაიონი მე არ მეგულება აღმოსავლეთ საქართველოში. ვფიქრობ, რომ აქ სარწყავი სისტემის მოწყობა სცდება სასოფლო თემის შესაძლებლობის ფარგლებს. მორწყვის ორგანიზაცია ალაზნის ველის მარჯვენა ვაკობზე, შესაძლებელია, ტომის ან ხევის დონეზე ხდებოდა. ამ ვაკობის დასახლე-

---

[80] ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Hd 14 078.

[81] დ. ქორიძე, ე. გოგაძე. ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. II. თბ. 1971. გვ. 48.

ბათა შესწავლა ახლახან დაიწყო და საშუალება არა გვაქვს დავადგინოთ, რა დამოკიდებულებაში არიან ნამოსახლარი გორები ერთმანეთთან; რა სოციალური ორგანიზმია ამ დასახლებაში საგულისხმო: ტომი, ხევი თუ სხვა. მაინც შეიძლება ითქვას, რომ ასე სოციალურად და ეკონომიურად განვითარებული ხევი თუ მხარე აღმოსავლეთ საქართველოში სხვა არ არის. დასახლების უფრო დიდი მასშტაბი—და აქ, ალბათ, ადრეკლასობრივი საზოგადოება ჩამოყალიბდებოდა. მაგრამ ნიადაგის დამლაშებამ ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებში ალაზნის ველის გორებზე ცხოვრება საერთოდ მოშალა.

ერთი სიტყვით, სარწყავი მიწათმოქმედება აპირობებს დროის ხანგრძლივ მონაკვეთში უწყვეტი ცხოვრების შემცველი დიდი სოფლების წარმოშობას. ხოვლესა და თრელი გორების მაგალითზე შეიძლება ყველგან, სარწყავ ზონებში ძირითად სოციალურ უჯრედად წყვილადი ოჯახი ვივარაუდოთ. სხვა მდგომარეობა გვაქვს ურწყავ რაიონებში, კერძოდ, კახეთში, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, დასახლებითაც და ნამოსახლარი გორების ტიპებითაც განსხვავდება შიდა კახეთისა და ქართლისაგან. კ. ფიცხელაურს ფიქსირებული აქვს განსაზღვრული სისტემა გარე კახეთის დასახლებაში: ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულის დასაწყისში ნამოსახლარები განლაგებული არიან ჯგუფებად. გორები ერთმანეთისაგან დაშორებული არიან რამდენიმე ასეული მეტრით. ამავე დროს, მათთვის ადგილი ისეთ მაღლობზეა შერჩეული, რომ მეზობელი სამოსახლო ყოველთვის მხედველობის არეშია. კ. ფიცხელაური ფიქრობს, რომ ეს თავდაცვის მიზნით ხდება და ურთიერთდაზღვევის ფაქტი ამ ბორცვებზე მოსახლეთა ნათესაურ ურთიერთობაზე მეტყველებს[82]. ერთი სიტყვით, კახეთის ნამოსახლარები იმდენად მცირენი არიან, რომ აქ ერთი ან ორი სახლი თუ გაიმართებოდა. ასეთი დასახლება კი, ფიცხელაურის სავსებით სწორი ინტერპრეტაციით, გვარისა თუ დიდი ოჯახების მცირე ერთეულებად დაშლაზე მიუთითებს[83], უფრო გვარის, რადგან გარე კახეთის თითოეული გორა-ნამოსახლარი, ვფიქრობ, უნდა განვიხილოთ როგორც დიდი ოჯახი. გვარის დაშლა სოციალური განვითარების სავსებით ლოგიკური შედეგია, მაგრამ დიდი ოჯახების წარმოქმნა უკვე სამეურნეო ვითარებით არის გამოწვეული.

მე ზემოთ აღვნიშნე, რომ გარე კახეთის ნამოსახლარების მეურნეობა ურწყავი მიწათმოქმედების შემცველია. სწორედ ამიტომ აქ გვარი, როგორც სოციალური და ეკონომიური ორგანიზმი, ნაკლებად მყარია. ურწყავი მიწათმოქმედება, ვფიქრობ, იძლეოდა საშუალებას მეურნეობის ოჯახებად წარმოებისა. მაგრამ ეს მეურნეობა ისე იოლად წასამართი არ იქნებოდა, რომ წყვილად ოჯახს, მუშახელის მეტად ლიმიტირებული რაოდენობით, შესძლებოდა.

ადრეული ბრინჯაოს მეურნეობის განხილვის დროს აღვნიშნავდი, რომ ურწყავი მიწათმოქმედება იმ დროს იძლეოდა საშუალებას მეურნეობის წყვილადი ოჯახით წარმართვისა, მაგრამ მაშინ მიწათმოქმედება მეტად პრიმიტიული იყო. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში იგი გართულებულია. მიწათმოქმედება-მესაქონლეობა უკვე იმდენად განვითარებულია და რთულად წარსამართავი, სამიწათმოქმედო ტექნიკა კი შედარებით დაბალი, რომ გამორიცხავს წყვილად ოჯახს, როგორც ძირითად სამეურნეო და აქედან — სოციალურ

[82] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 44.
[83] იქვე. გვ. 44.

უჯრედს. ამიტომ გარე კახეთის ნამოსახლარი გორები დიდ ოჯახებად უნდა განვიხილოთ. აქედან გამომდინარე, უფრო უპრიანი ხომ არ არის ამ ნამოსახლარებს გორა კი არა, სახლი ვუწოდოთ? რა თქმა უნდა, უძველესი გაგებით სახლი გვარია და ადრეფეოდალური ხანის დასასრულამდე ამ გაგებით იხმარება[84], მაგრამ მისი სოციალური ბუნება სხვა უნდა იყოს. იგი დიდი ოჯახის ბაზაზე უნდა წარმოშობილიყო. ასეთი სახლების მძლავრობა შემდგომ სათავეს უდებს სოციალურ უთანასწორობას. ცალკე დასახლება და, რაც მთავარია, სამოსახლოს გამაგრება მანიშნებელია, რომ იგი სრულიად დამოუკიდებელი სამეურნეო და სოციალური ერთეულია.

ნამოსახლარი გორის გამაგრება იმის მანიშნებელიც უნდა იყოს, რომ აქ დიდი და არა ინდივიდუალური ოჯახი ზის. ეს გამაგრება ბორცვის გარშემო თხრილის შემოვლებაზე შორს არ მიდის, მაგრამ თხრილის გათხრაც საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა და წყვილადი ოჯახი მას ვერ გასწვდება. აი, რას წერს გარე კახეთის ერთ-ერთი ნამოსახლარის — „მოჭრილი გორის“ შესახებ კ. ფიცხელაური: „...მისი თავდაცვითი მიზნით გამაგრებისთვის ნამოსახლარის ირგვლივ ამოღებულია საფეხურიანი თხრილი. გორის საპირისპირო მხრიდან თავდაცვითი თხრილის კედელი დამრეცია და ერთი საფეხურით დაბლა ჩადის თხრილის მცირე სიგანის, ძალიან ღრმა ძირამდე. თხრილის კედლები გორის მხარეს კი შვეულია და კიბე-კიბე ადის ნამოსახლარის თხემამდე... თხრილიდან ამოყრილი მიწის მცირე ნაწილი თხრილის გარეთ წრედ შემოსდევს ნამოსახლარს და თავდაცვით ყრილსა ქმნის, ხოლო მიწის დიდი ნაწილი კი ცენტრალურ ნაწილშია დაყრილი და ამით შემაღლება ორი მეტრითაა გაზრდილი... „მოჭრილი გორის“ ნამოსახლარის შესამაღლებლად და გარე მიწაყრილიანი ზღუდის შესაქმნელად დაახლოებით 4 000 კუბური მეტრი მიწაა დაყრილი. მიწის დიდი ნაწილი თავდაცვითი თხრილის გაჭრის დროსაა ამოღებული.

ამგვარივე სამუშაოებია შესრულებული „მოჭრილი გორისაგან“ სულ რამდენიმე ასეული მეტრით დაშორებულ მის თანადროულ სამოსახლო ბორცვებზე („რცხილის სერი“ და „გარე ტყის გორა“)[85].

ასეთი სამუშაოების შესრულება ინდივიდუალური ოჯახის ძალას აღემატება. არ იქნებოდა საკმარისი აგრეთვე მახლობელ გორებზე მსხდომთა დახმარებაც, თუ ამ გორებზეც ინდივიდუალურ ოჯახებს ვივარაუდებთ. ამგვარად, გარე კახეთის ნამოსახლარი ბორცვების უმრავლესობაზე დიდი ოჯახები— სახლები უნდა მსხდარიყვნენ. სახლი ამ დროს დამოუკიდებული სამეურნეო და სოციალური ერთეულია.

სამწუხაროდ, არც ერთი ნამოსახლარი მესაქონლეობის სავარაუდო რაიონებში შესწავლილი არ არის და არ შემიძლია ვთქვა, თუ რას წარმოადგენს მესაქონლეთა დასახლება. მესაქონლე ტომებს კი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საკმაოდ ვრცელი ტერიტორიები უჭირავთ. ისინი ითვისებენ ბარის დიდ ნაწილს: ივრის სანაპირო შირაქის, ელდარის, ზილიჩის და სხვა ველებს. მესაქონლეებს საზამთრო საძოვრებად უნდა გამოეყენებინათ ქვემო ქართლის ვაკე. სავარაუდოა მათი ალაზნის ველზე განსახლებაც. ყარაია-გარდაბნის ველი რომ უმთავრესად მესაქონლეებს ეჭირათ, ამას არავინ ეჭვობს. მესაქონლეები ჩანან შიდა ქართლის ბარშიც. აქ ძამის მარჯვენა ნაპირას, ქარელთან ე. წ. ყვა-

---

[84] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია. წ. I, ტფ. 1928. გვ. 141.
[85] კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 45.

ვის საყდართან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექს-პედიციამ (ხელმძღვანელი ი. გაგოშიძე) გათხარა ყორღანული სამარხი, რომე-ლიც ყველა ნიშნით მესაქონლეს უნდა ეკუთვნოდეს[86].

ყორღანის სამარხეული ინვენტარი მხოლოდ თიხის ჭურჭლებით არის წარ-მოდგენილი და თარიღდება გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპით. საინტერესოა, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში ყორღანებში, უმთავრესად, მესაქონლენი იკრძა-ლებიან. უკვე შუაბრინჯაოს ხანის დასასრულიდან ყორღანები მხოლოდ ბარის იმ ზოლში გვხვდება, სადაც მესაქონლე ტომების საცხოვრისია სავარაუდებე-ლი — ყარაიის ველი, ლილო, ოლე და სხვა. ყორღანები მეტ წილად ორმოია-ნებია და აქვთ მცირე დიამეტრის მიწაყრილი. ყველაფერი ამ ყორღა-ნებში მათ აჩქარებით აგებაზე მეტყველებს: მცირე დასაკრძალავი ორმო, და-ბალი ყრილი, სახელდახელოდ გამომწვარი კერამიკა და სხვა. მაგრამ ყველა ყორღანი როდია ასე სახელდახელოდ მოწყობილი. გვხვდება მოზრდილი, საკ-მაო დიამეტრის, დიდი ორმოიანი ყორღანებიც: ლაგოდეხი, ახალი ულიანოვკა. სამწუხაროდ, ყორღანების მეტად მცირე რაოდენობაა გათხრილი, თორემ, ვფი-ქრობ, შესაძლებელი იქნებოდა დადგენა, სად იყო მესაქონლე ტომების სა-ცხოვრისი და რა ტერიტორია გამოიყენებოდა მხოლოდ საძოვრებად. შთაბეჭდი-ლება ისეთია, რომ ივრის ჭალები, გარდაბნის ველი, შიდა და ქვემო ქართლის ბარის ნაწილი უფრო საძოვრებს ეჭირა, ხოლო ალაზნის აუზი, შირაქისა და ზილიჩის ველები საცხოვრისიც უნდა ყოფილიყო. გარდა იმისა, რომ შირაქისა და ზილიჩის ველების ნაპირი ნამოსახლარ ბორცვებს უკავია, აქ საცხოვრებ-ლად უკეთესი პირობებიცაა.

რა თქმა უნდა, მესაქონლენი დაიკავებდნენ მთასაც. ჯერ ერთი, მთიანი ზოლის იმ ნაწილში, სადაც საცხოვრებელი პირობები მეტნაკლებად ხელსაყ-რელი იყო (მესხეთ-ჯავახეთში და სხვ.), მოსახლეობა აგრძელებდა ცხოვრებას. ზოგან მესაქონლეობამ შეიძლება მომთაბარული ხასიათი მიიღო, ზოგან მეურ-ნეობას ისევ შერწყმული ხასიათი ექნებოდა, რა თქმა უნდა, მესაქონლეობის უფრო დიდი წილით (სვანეთი, მესხეთ-ჯავახეთი და სხვა). მაგრამ მესაქონლე-ებმა დაიჭირეს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიდი ნაწილი და, სავსებით ბუნებრივია, რომ ძველი საზაფხულო საძოვრები მათ ვეღარ დააკმაყოფილებ-და. საჭირო იქნებოდა ახლის ათვისება. ამ ტომებს დასასახლებლად და საზაფ-ხულო საძოვრებად უნდა გამოეყენებინათ გომბორის მთიანეთი. აქ სოფ. თეთრ წყლებში გაითხარა ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და პირველი ათას-წლეულის დასაწყისის სამაროვანი[87]. სამაროვნის მესაქონლეთათვის კუთვნი-ლება ეჭვს არ იწვევს (საომარი იარაღი — მახვილები, მთლიანი ცხვრის ჩატა-ნება და სხვა). საფიქრებელია, რომ ამ ხანებში იწყება კავკასიონის ალპური ზონის ათვისება. მაგრამ ეს მხარე არქეოლოგიურად შეუსწავლელია და მეტ-ნაკლები სიზუსტით ვანსაზღვრა — როდის ხდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (მთიულეთი, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი) დასახლება — ჯერჯერო-ბით შეუძლებელია.

ვარაუდობენ, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში უკვე ყალიბდება შემდეგში საქართველოში ყველაზე გავრცელებული ტერიტორიულ-ადმინის-

---

[86] ცნობისთვის ი. გაგოშიძეს დიდ მადლობას მოვახსენებ.

[87] კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 65.

ტრაციული ერთეული — ხევი[88]. ახლა ჭირს დადგენა, თუ რა ფარგლებში შეიძლება ხევი მოქცეულიყო, ან რას გულისხმობდა ეს ტერმინი, მაგრამ უკვე არის საკმაოდ წარმატებული ცდები არქეოლოგიური, ლოკალური კულტურებისა, თუ საწარმოო ცენტრების გარკვეულ ეთნოსთან დაკავშირებისა.

საინტერესო დაკვირვება აქვს ამ მხრივ კ. ფიცხელაურს აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნივთიერ კულტურაზე. შუა- და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალ პერიოდში და გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე მთელს აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულია ერთგვაროვანი მატერიალური კულტურა, რომელიც ჩამოყალიბებულია თრიალეთის კულტურის ბაზაზე. გვიანბრინჯაოს მეორე საფეხურზე (ძვ. წ. XIII საუკუნიდან) იგივე ტერიტორიაზე ყალიბდება, თუმც ერთმანეთთან ახლომდგომი, მაგრამ მაინც განსხვავებული ორი არქეოლოგიური კულტურა. კერძოდ, იორ-ალაზნის აუზში და უფრო დასავლეთითაც ვიდრე არაგვამდე გავრცელებულია ერთგვაროვანი კულტურა, რომლის წამყვანი იარაღია ე. წ. „კახური სატევარი". შიდა ქართლის ტერიტორია კი ცალკე არქეოლოგიურ კულტურასა ქმნის. შიდა ქართლზე დიდ გავლენას ახდენს დასავლურ ქართული კულტურა. იგი მეზობელი კულტურებისაგან, უმთავრესად, განსხვავდება ფოთლისებური სატევრებით, მასრაგახსნილი შუბისპირებით, თხელფირფიტოვანი ისრისპირებით, თავხვია საკინძებით და სხვა. ამ კულტურის გავრცელების ფარგლებია: აღმოსავლეთით — არაგვის ხეობა, ჩრდილოეთით — დიდი კავკასიონის მთისწინა ზოლი, დასავლეთით — სურამის ქედი, სამხრეთით — თრიალეთის ქედი, თუმც იგი უფრო სამხრეთითაც იჭრება.

ვითარება აბსოლუტურად იცვლება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის. ამ დროს შიდა ქართლში კვლავ ერთი კულტურა ჩანს გავრცელებული, იორ-ალაზნის აუზში კი სამი ლოკალური კულტურა ყალიბდება, ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს (შიდა ქართლი და იორ-ალაზნის აუზი) იმ ტერიტორიაზე, სადაც ადრე ორი მონათესავე კულტურა იყო დამოწმებული, ადრერკინის ხანისთვის ოთხ კულტურას ვადასტურებთ. „მაგრამ რადგან ყველა ამ ჯგუფის იარაღი ამ პერიოდიდან — წერს კ. ფიცხელაური — ერთ საფუძველზეა წარმოშობილი (კახური იარაღის ბაზაზე), შესაძლებლად მიგვაჩნია ეს ფაქტი ამ მხარეში დიდი გაერთიანების შექმნის მანიშნებლად ვივარაუდოთ. საზოგადოების სოციალური განვითარების თვალსაზრისით, ჩვენ კულტურის ამ გაერთიანებასა და მისი ვარიანტების გამოყოფას ვუკავშირებთ მონათესავე ტომთა ერთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნას, რომლის წიაღშიც ხდება ცალკეული ეთნიკური ჯგუფების სტაბილიზება"[89]. შეიძლება პირუკუ პროცესის ვარაუდიც: ეთნიკური ჯგუფების სტაბილიზება არა გაერთიანების, არამედ ტომთა განცალკევების ბაზაზე. მაგრამ ჩვენთვის მთავარია ის, რომ უკვე გვიანბრინჯაოს ხანიდან აღმოსავლეთ საქართველოში ლოკალური კულტურები ყალიბდება, რომელიც შეიძლება ეთნოსებს დავუკავშიროთ.

კ. ფიცხელაურმა სცადა იორ-ალაზნის აუზისათვის დაედგინა ლოკალური კულტურებისთვის შესაბამისი ეთნიკური ტომები. მან ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში" დაცული ცნობები ზოგიერთი ქართველი ტომის საცხოვრისის შესახებ ემთხვევა იორ-ალაზ-

---

[88] გ. ავალიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 16.
[89] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 199.

ნის აუზში გამოყოფილ ლოკალური არქეოლოგიური კულტურების გავრცელების ტერიტორიას. მაგ., კ. ფიცხელაურმა იორ-ალაზნის აუზში ბრინჯაოს მთლიანადსხმული, ე. წ. „კახური ტიპის“ მახვილების და სატევრების ფორმების, შემკულობისა და გავრცელების ტერიტორიის მიხედვით კახეთში ძვ. წ. I ათასწლეულისათვის გამოჰყო სამი ლოკალური კულტურა[90].

აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მეტი ლოკალური კულტურის გამოყოფაც შეიძლება. კ. ფიცხელაური არაფერს ამბობს მესხეთ-ჯავახეთზე, ხოლო ქვემო ქართლს, სომხეთთან ერთად, განჯა-ყარაბაღულ კულტურას აკუთვნებს. გ. ავალიშვილის მოსაზრებით კი, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისისთვის ქვემო ქართლი, ჩრდილო სომხეთთან ერთად, თავისებურ კულტურულ წრეს ქმნის[91]. სავსებით ბუნებრივი იქნებოდა, რომ ლოკალური თავისებურებები ტომობრივი სხვაობით აგვეხსნა, თუმც ასეთი შესაბამისობა, რა თქმა უნდა, აუცილებელი არ არის.

ახლა საკვლევია, რას წარმოადგენს ის ტერიტორია, რომელზედაც ესა თუ ის ლოკალური კულტურაა გავრცელებული. როგორც უკვე ითქვა, მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ საქართველო ამ დროს უკვე ხევებად არის დაყოფილი. ზოგი კი ლოკალური კულტურების წარმოქმნას ხევებს უკავშირებს, რაც, ვფიქრობ, სავსებით სწორი უნდა იყოს.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის დასაწყისის აღმოსავლეთ საქართველოს ლოკალური კულტურების ნაწილი მაინც ერთი კულტურის ბაზაზე არის წარმოქმნილი. ამ კულტურებს რომ ლოკალურობა ჩამოყალიბებოდათ, ან მათ მატარებელ ტომებს ეთნიკური თავისებურებანი შეეძინათ, საჭირო იქნებოდა ტერიტორიალური განცალკევებაც. სწორედ ეს ტერიტორია უნდა ყოფილიყო ხევი. თუმც გვიან ეთნიკურ ოლქებს უფრო ქვეყანა ჰქვია[92], მაგრამ უძველესი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული სწორედ ხევი ჩანს. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს, „ქვეყნის ხევებად დაყოფა გეოგრაფიულ თვისებებზეა დამყარებული და საქართველოს მომეტებული ნაწილისათვის ამიტომ ჩვეულებრივი იყო[93]. დავუმატებ, რომ ხევი აუცილებლად შეიცავს სამეურნეო ფაქტორს და გარდა ცალკეული ხევისა („ხევნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგილოსანი, ხევთა ტაოსთა“ და სხვა) იხმარება აგრეთვე მთელი ეთნიკური თემის აღმნიშვნელადაც. მაგ. სვანეთის ხევი, ხევსურთა ხევი და სხვა. ე. ი. ხშირად ხევს ქვეყნის მნიშვნელობაც აქვს.

ხევი, როგორც ვთქვი, აუცილებლად შეიცავს სამეურნეო ფაქტორსაც. იგი ერთი სამეურნეო ერთეული უნდა იყოს, თავის მთითა და ბარით, წყლით და ა. შ. ამიტომ არის, რომ მოსახლეობა რამდენადმე იკეტება ხევის ფარგლებში და იწყება მის სულიერ თუ ნივთიერ კულტურაში თავისებურებების ჩამოყალიბება. ეს თავისებურებები დროთა განმავლობაში ეთნიკურ სხვაობაში გადადის. სხვანაირად წარმოუდგენელია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ეთნიკურ სხვაობათა წარმოქმნა. ეს ხანა სულაც არ ხასიათდება კარჩაკეტილი კულტურებით. პირიქით, გ. ავალიშვილის დაკვირვებით, ამა თუ იმ თემისა თუ

---

[90] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 186—189.

[91] გ. ავალიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 36.

[92] ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წ. II. ნაკვ. I. ტფილისი. 1928. გვ. 20.

[93] იქვე. გვ. 143.

ხევის კულტურული მიღწევა სწრაფად ვრცელდება სხვა ხევებსა და თემებში. ამიტომ არის, რომ ეს ხანა კულტურათა ნიველირებით ხასიათდება, რასაც განსაკუთრებით ხელს უწყობს კავკასიაში ცხენის, როგორც სატრანსპორტო საშუალების, შემოსვლა და სწრაფად განვითარება[94]. მართალია, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულის დასაწყისში ხევები ყალიბდება და ეს ხევები უკვე გარკვეული ტომების საცხოვრისია, მაგრამ ისინი არც ისე ჩაკეტილი ერთეულები ჩანან, რადგან ამა თუ იმ კულტურის ელემენტები ხშირად სხვა კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე იჭრება. ზოგ რაიონში კი კულტურათა ისეთი სიმბიოზია, რომ მისი ამა თუ იმ კულტურისათვის მიკუთვნება ჭირს. ასეთ რაიონს, კერძოდ, თრიალეთი და ნაწილობრივ ქვემო ქართლის ვაკე წარმოადგენს. კულტურათა თანაარსებობის მიზეზად, ჩვეულებრივ, მოჰყავთ ის გარემოება, რომ კარგი საზამთრო თუ საზაფხულო საძოვრები აქ მესაქონლე ტომებს იზიდავს ქვეყნის ყოველი კუთხიდან. ეს, ალბათ, სწორია, მაგრამ ხშირად ამა თუ იმ კულტურის ელემენტების სხვა კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე მომძლავრება — კულტურული აგრესია, შეიძლება, მართლაც, რომელიმე ტომის ექსპანსიური მოქმედების შედეგი იყოს. ასე შეიძლება აიხსნას იორ-ალაზნის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკის გავრცელება ლიახვის ხეობაში, ან განჯა-ყარაბახული კულტურის ელემენტების დადასტურება გუჯარეთის ხეობაში[95] და სხვა.

საერთოდ, ხევების ჩამოყალიბება, ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიული დანაწილება ტომებს შორის მშვიდობიანი პროცესი არ უნდა ყოფილიყო. სწორედ ამით, მესაქონლეობის განვითარებასთან ერთად, უნდა აიხსნას II ათასწლეულის დასასრულისათვის სამარხებში იარაღის მომრავლება. არა თუ ტერიტორიალური დანაწილება, არამედ შემდგომაც ამა თუ იმ ხევს შორის მშვიდობიანი თანაარსებობა სავარაუდო არ არის. ხშირად ერთმანეთს უნდა დაპირისპირებოდნენ ცალკეული ხევები, ტომები თუ ტომთა გაერთიანებანი. ამას ემატებოდა საგარეო საფრთხეც. აღმოსავლეთ საქართველომ განიცადა სკვითების შემოსევა. მათი კვალი ნახანძრალი ფენებით არის წარმოდგენილი ნამოსახლარებსა თუ სამლოცველოებზე. აღმოსავლეთ საქართველოსა და კავკასიაში სკვითების სამარხებიც არის დადასტურებული. როგორც ჩანს, სკვითური აგრესია საკმაოდ ხანგრძლივი და თანმიმდევრული იყო. იგი ერთი გამანადგურებელი კამპანიით არ გათავებულა. უფრო ადრე ქართველ ტომებს სამხრეთიდან დაემუქრა ძლიერი და ორგანიზებული მტერი — ურარტუ. ცნობილია, რომ ურარტუს ჩრდილოეთისკენ მსვლელობა შეჩერებულ იქნა. ეს, პირველ რიგში, ქვემო ქართლისა და ჩრდილო სომხეთში მსხდარი ტომების დამსახურებაა[96]. მაგრამ ძალიან საეჭვოა, მარტო ამ ტომებს შესძლებოდათ ისეთი ძლიერი მტრის შეჩერება როგორიც ურარტუ იყო. საფიქრებელია, რომ ურარტუს აგრესიას მთელი აღმოსავლურ ქართულ ტომთა გაერთიანება დაუპირისპირდა. ე. ი. შინაური შუღლი გაერთიანებით უნდა შეცვლილიყო და ქართებს სწორედ მაშინ უნდა ეკისრათ ამ გაერთიანების ჰეგემონობა და საფუძველი შეექმნათ ქართული სახელმწიფოსათვის.

გ. ავალიშვილის დაკვირვებით, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევ-

---

[94] გ. ავალიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 36.
[95] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 164.
[96] გ. ავალიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 112.

რისთვის ქვემო ქართლი და ჩრდილო სომხეთი ქმნიან ერთგვარ საფორტიფიკაციო ზოლს ვანის სამეფოს ექსპანსიის წინააღმდეგ. მის ჩრდილოეთით შედარებით მშვიდობიანი ცხოვრება მიმდინარეობდა[97]. ამ მხრივ მეტად ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდნენ შიდა ქართლში მსხდომი ტომები, რომლებიც, ამავე დროს, აღმოსავლეთიდანაც დაცულნი იყვნენ. შიდა ქართლში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, უმთავრესად მშვიდობიანი მიწათმოქმედი ზის. მშვიდობა კი ქმნის კონიუნქტურას მიწათმოქმედების და, საერთოდ, მეურნეობის ინტენსიური განვითარებისათვის. შეიძლება ამიტომაც არის, რომ შიდა ქართლი პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, უფრო დაწინაურებული ჩანს და აღმოსავლური ქართული სახელმწიფოებრიობის ცენტრიც სწორედ ეს კუთხეა. შიდა ქართლის სოციალურ-კულტურული დაწინაურების დასამტკიცებლად სამთავროს სამაროვანიც საკმარისი იქნებოდა, სხვა ძეგლი რომ არა. მაგრამ, როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, შიდა ქართლის ნამოსახლარებს სიდიდითა და ცხოვრების ინტენსიობით აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში დადასტურებული ნამოსახლარები ვერ შეედრებიან. სამთავროს სამაროვნის გარდა, შიდა ქართლის I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლებზე იარაღისა და საერთოდ ლითონის არცთუ ისეთი სიმრავლეა. ამ მხრივ იგი კახეთსა და ქვემო ქართლს აშკარად ჩამორჩება, მაგრამ ეს ფაქტიც შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიური მოწინავეობის მაჩვენებელია, რადგან იარაღის სიმრავლე, პირველ რიგში, შფოთიან ცხოვრებას მიგვანიშნებს. ქვემო ქართლში ამ შფოთის მიზეზი აღვნიშნეთ. არანაკლებ დაძაბული იქნებოდა მდგომარეობა კახეთში, კავკასიის მთიანეთსა და აღმოსავლეთ თუ სამხრეთ-აღმოსავლეთ ველებზე მცხოვრები ტომების აგრესიული ბუნების გამო.

ამიტომ არის, რომ კახეთის დიდი ნაწილისა და ქვემო ქართლის იმ ხანის ნივთიერ კულტურაში საომარი იარაღის სიჭარბე გვაქვს. დიდმა მოთხოვნილებამ საომარ იარაღზე შეიძლება საერთოდ მეტალურგიის სწრაფი განვითარება გამოიწვიოს. ამიტომაა, რომ ლითონი ქვემო ქართლის და კახეთის I ათასწლეულის I ნახევრის ძეგლებზე მეტია დადასტურებული, ვიდრე შიდა ქართლში. ამ მხრივ საინტერესო მასალას იძლევა კავკასიის ეთნოგრაფიაც. ქართველ მთიელებს იარაღი და სამკაულიც გაცილებით უკეთესი და მეტი ჰქონდათ, ვიდრე, ვთქვათ, ქართლელ თუ კახელ გლეხს; ასევე ჩრდილო კავკასიაშიც — დაღესტნური იარაღი და სამკაული მთელ მსოფლიოშია განთქმული, მაგრამ სოციალურ-ეკონომიური განვითარებითა და კულტურის დონით ბარელი მიწათმოქმედი გაცილებით მაღლა იდგა მთიელ მესაქონლე მეომარზე. ერთი სიტყვით, ლითონის ნივთების სიმრავლემ და ხარისხმა შეიძლება შექმნა მირაჟი კულტურის მაღალ დონეზე და, პირუკუ, მისმა იშვიათობამ — კულტურის დაბალ განვითარებაზე.

შიდა ქართლის შიდა რაიონები, როგორც აღვნიშნე, ლითონის სიმრავლით არ გამოირჩევიან, მაგრამ მათი კულტურული და სოციალურ-ეკონომიური განვითარება აღმავალი ხაზით მიდის, რაც, საბოლოოდ, ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებით მთავრდება.

აღმოსავლეთ საქართველოში კლასობრივი საზოგადოების პირველი ნიშანი ძვ. წ. V—IV სს. ჩნდება. მხედველობაში მაქვს ახალგორის, წინწყაროს და

---

[97] გ. ავალიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 112.

სხვა მდიდრული სამარხები, რომლებიც უკვე სოციალურად პრივილეგირებულ წარჩინებულთა კუთვნილება უნდა იყოს. ამ სამარხებზე—ცოტა ქვემოთ. ახლა კი მეტად ზოგად ხაზებში, განვითარების იმ გზის შესახებ, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფოებრიობა უნდა განეპირობებინა.

ენეოლითური თუ ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების განხილვისას აღვნიშნე, რომ ზოგიერთ ძეგლზე დამოწმებულია საკულტო ნაგებობები. ეს ნაგებობები სამეურნეო სათავსოებს არ შეიცავენ, რამაც მომცა უფლება განმეცხადებინა, რომ, შესაძლებელია, მეთემეები იხდიდნენ კულტის სასარგებლოდ გარკვეულ ნატურალურ თუ ფიზიკურ გამოსაღებს, მაგრამ მაინც სამლოცველო-ტაძრებს ამ დროს დამოუკიდებელი მეურნეობა არ უნდა ჰქონოდათ. სხვა სურათია გვიანი ბრინჯაოს ხანიდან. ჯერ ერთი, მრავლდება საკულტო ნაგებობანი. ისინი გვხვდება როგორც ნამოსახლარებზე (ხოვლე, თრელი გორები), ისევე განცალკევებით (მელი-ღელე, მელაანი, ყათნალის ხევი და სხვა). საკულტო ნაგებობებს უჩნდებათ სამეურნეო სათავსოები (ხოვლე, ყათნალის ხევი და სხვა), მეღვინეობასთან დაკავშირებული ნივთები და, რაც მთავარია, ღვინის შესანახი-დასაძველებელი ჭურჭელი გვხვდება მხოლოდ საკულტო ნაგებობებზე (თრელი გორები, ყათნალის ხევი, მელი-ღელე I). ეს კი ნიშნავს იმას, რომ ტაძარს — სამლოცველოს დამოუკიდებელი მეურნეობა აქვს (ყანა, ვენახები და სხვა).

დამოუკიდებელი მეურნეობა ნიშნავს იმას, რომ, ერთი მხრივ, იზრდება კულტმომსახურე პერსონალი, მეორე მხრივ კი—მეთემის—ყმის ბეგარა კულტის — ბატონის სასარგებლოდ. საერთოდ, კულტის ადგილი ძალიან დიდია პირველყოფილი საზოგადოების ცხოვრებაში. თემის ცხოვრების ყოველ მთავარ ასპექტს ღვთაება, უფრო სწორად, ღმერთს ამოფარებული კულტმსახური განაგებს. ადამიანის ყოველი, მეტნაკლებად პასუხსაგები ნაბიჯი ღმერთთან შეთანხმებით, მისი კურთხევით და საამისოდ გაღებული მსხვერპლითა თუ ფიზიკური შრომით ხდება. ღვთაებაზეა დამოკიდებული ადამიანის მთელი მომავალი, ბედი, შვილოსნობა, ჯანმრთელობა, ავადმყოფობა, მოსავალი, სიკვდილი, ქორწინება თუ სხვა. ერთი სიტყვით, ღვთის ჩაურევლად არაფერი ხდება და ამიტომ ადამიანი ყოველთვის ცდილობს თავის სასარგებლოდ განაწყოს იგი, თავის მიზანს დაუმორჩილოს მისი ზებუნებრივი ძალა. საამისოდ იგი იღებს ყოველგვარ ნატურალურ თუ ფიზიკურ გამოსაღებს: სწირავს მსხვერპლს, მუშაობს მის ნაკვეთებში, ზრუნავს ხატის ნაგებობათა შესამკობად და სხვა. ესე იგი, კულტი იქმნება ადამიანის მისწრაფებიდან თავის სასარგებლოდ განაწყოს ღვთაება, საკუთარ ინტერესს დაუმორჩილოს მისი ღვთაებრივი ძალა. ღვთის რიდი და შიში სხვა არაფერია, თუ არა ზრუნვა საკუთარ თავზე. ისე რელიეფურად არსად იჩენს თავს ადამიანის ეგოიზმი როგორც კულტში, ღვთაებასთან ურთიერთობაში.

ადამიანის მისწრაფება თავის სასარგებლოდ განაწყოს ღვთაება, საკუთარ ნებას დაუმორჩილოს ღვთაებრივი ძალა, მთავარია ტაძრის მიერ ჯერ ავტორიტეტის მოპოვებაში, ხოლო შემდეგ ხელისუფლების უზურპაციაში. ყოველ ადამიანს როდი შეუძლია კონტაქტი დაამყაროს ღვთაებასათან. ეს კონტაქტი რჩეულთ ხვედრია. ადამიანს კი იგი მეტისმეტად სჭირდება. აქედან — ადამიანისა და ღვთაების შუამავალ კულტმსახურთა, მეენეთ-ქადაგთა, შამანებისა თუ სხვათა განსაკუთრებული პრივილეგირებული მდგომარეობა თემში. რადგან ყოველივეს ღვთის ნება განაგებს, უფრო სწორად, ადამიანი ცდილობს ყოველ პასუხსაგებ საქმეში ღვთის მხარდაჭერას, ტომის ბელადნი, გვარის

უხუცესნი თუ სხვა თემისა თუ ტომის საქმეთა განმკითხავნი აუცილებელია ღვთის რჩეულნი, ღვთაებასთან კონტაქტში იყვნენ. ამიტომ ბელადნი თუ უხუცესნი ღვთის, კულტის მსახურნიც არიან და უკვე საკმაოდ ადრე საერო და სასულიერო ხელისუფლება ერთ ხელში ექცევა. უფრო სწორად, სასულიერო ხელისუფლება აპირობებს საეროს. თავდაპირველად ეს ბელადნი—კულტმსახურნი, ალბათ, პირადი ნიჭისა და დამსახურების მიხედვით ირჩეოდნენ, მაგრამ შემდეგ სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების განვითარება კულტმსახურებისა და საქვეყნო საქმეთა საჭეს ერთი გვარისა თუ სახლის ხელში აქცევს. სულ უფრო და უფრო ძლიერდება წინაპრის კულტს შერწყმული ბელადის კულტი, რაც ფაქტიურად ხელისუფლების უზურპაციას ნიშნავს.

ბელადის კულტი უკვე ადრეული ბრინჯაოს ხანიდან ჩანს. ტყვიავისა თუ სხვა, აქა-იქ გაფანტული ყორღანები ამ კულტის ჩამოყალიბების საწყის ეტაპს უნდა მივაკუთვნოთ, როდესაც ბელადი მართლაც ხალხის რჩეული, პირადი ნიჭითა და უნარით გამორჩეულია და მისი სიკვდილი საერთო გლოვით აღინიშნება. სამარხ-ნაგებობები და მდიდრული ინვენტარი წინაპრის კულტიდან მოდის, მაგრამ როდესაც ეს სამარხები გრანდიოზული არიან და მეტად მდიდარი, ეს უკვე ბელადის კულტია. ადრეული ბრინჯაოს ხანის შუა ეტაპზე ასეთი სამარხები იშვიათია. უფრო გვიანაც ყორღანს კოლექტიური სამარხების ერთობლიობა ქმნის, მაგრამ ამ ხანის დასასრულს უკვე ინდივიდუალური ყორღანების მომრავლება ბელადის კულტის გაძლიერებასა და მის გავრცობაზე მიუთითებს.

უკვე ამ ხანაში შემუშავდა, ალბათ, კონცეფცია „ნაწილიანობის“ შესახებ, რომელიც ადამიანის რაიმე განსაკუთრებულ უნარს მასში ღვთაებრივი ძალის მოქმედებას მიაწერს. ასეთი პიროვნება ღვთის რჩეულია, მისი ნაწილიანია. ნაწილიანების სრულ გაღმერთებამდე ცოტაღა რჩება. სავსებით ბუნებრივია, რომ ღვთისწილიანი პირების სამარხები განსხვავებულია და იგი შეიძლება სალოცავიც გახდეს. მაგრამ თუ ადრე ასეთი „წილიანი“ თითო-ოროლა, მართლაც ნიჭით, ჭკუით თუ სიმამაცით გამორჩეული პირია, ადრებრინჯაოს ხანიდან ყველა ბელადი „ნაწილიანია“. ადამიანის მისწრაფებამ, გამოარჩიოს გმირთა სამარხები, ნელ-ნელა ეს სამარხები ტრადიციად აქცია და შუაბრინჯაოს ხანაში თითქმის ყველა მიცვალებული ყორღანებში იმარხება (მესხეთ-ჯავახეთი).

მაგრამ აქაც თემის რიგითი წევრებისა და ბელადების სამარხები საკმაოდ განსხვავებულია. ამ ხანის ყორღანულ ველებზე საზოგადოების წარჩინებულ პირთა თითქმის მთელი იერარქია დგინდება. უკვე აღვნიშნე, რომ მესხეთ-ჯავახეთში ყორღანულ ველებზე დიდი, ქვით ნაგები ყორღანები თითო-ოროლაა, მაგრამ მართლაც რომ გრანდიოზული, მთელს აღმოსავლეთ საქართველოში— თითებზე ჩამოსათვლელი. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ დიდ ყორღანებში მეტად დიდ ტომთა გაერთიანებების ბელადები იმარხებოდნენ; თრიალეთის დიდსა და მესხეთ-ჯავახეთის ქვით ნაგებ ყორღანებში — ტომთა ბელადნი, ხოლო მესხეთ-ჯავახეთის ქვამიწაყრილიან ყორღანებში — თემისა თუ ცალკეული მცირე ხევის ბელადნი. რა თქმა უნდა, ასეთი დაყოფა საკმაოდ პირობითია, მაგრამ თუ ყორღანების სინქრონულობას დავადასტურებთ, მაშინ სხვაობა ყორღანების იერსა და სამარხეული ინვენტარის სიმდიდრეს შორის სწორედ სოციალურ ასპექტშია განსახილველი.

ზემოთაც იყო აღნიშნული, რომ ველებზე ყორღანების დაჯგუფება საგვარეულო სამაროვნების მანიშნებელი უნდა იყოს. დიდი ყორღანების ჯგუფებში

მცირე ყორღანებიც შედის, რაც, ვფიქრობ, იმაზე მეტყველებს, რომ ტომის ბელადად კვლავ პირადი დამსახურების მიხედვით ირჩევენ და ეს არჩევნები დემოკრატიულ საწყისებზე ხდება, მაგრამ იმავე მესხეთ-ჯავახეთში ზოგიერთი ჯგუფის მოზრდილი ყორღანი კოლექტიურია, რაც შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ გვარებში იყოფა დაწინაურებული სახლები და გვარის უხუცესობა ამ სახლის წევრთა პრივილეგიაა, ე. ი. სათავე ედება ხელისუფლების უზურპაციას, მართალია, შედარებით მცირე სოციალურ უჯრედში — გვარში, მაგრამ მთავარია პრეცედენტი. შემდგომი განვითარება უფრო მაღალ რანგში ამ პრეცედენტს ტრადიციად აქცევს.

შუაბრინჯაოს ხანაში სოციალური განვითარება უფრო შორს აღარ წასულა. გვიანბრინჯაოს ხანაში, როგორც ჩანს, ტომთა კავშირები იშლება. ტომიც უფრო მცირერიცხოვანია. ყოველ შემთხვევაში, დიდი სამარხ-ნაგებობები აღარ გვხვდება. ეს შეიძლება სამეურნეო ცხოვრების შეცვლითაც იყოს გამოწვეული. ყორღანი გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე კვლავ გვხვდება, მაგრამ ის უფრო ყორღანის იმიტაციას მოგვაგონებს. აქა-იქ დადასტურებული, შედარებით მოზრდილი სამარხი შეიძლება სახლის, გვარის ან თემის ბელადსა და უხუცესს ეკუთვნოდეს. ზემოთაც აღვნიშნე, რომ ყორღანები უფრო მესაქონლეებმა შეინარჩუნეს, მიწათმოქმედნი კი უკვე შუაბრინჯაოს დასასრულიდან ორმო-სამარხებში იმარხებიან. და თუმც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ისეთი გრანდიოზული და მდიდარი სამარხები აღარა გვაქვს, როგორც შუაბრინჯაოს ხანაში, მაგრამ ქონებრივი უთანასწორობა თითქმის ყოველ სამაროვანზეა დადასტურებული. სოფლის რიგით სამაროვანზე დამოწმებულ ამ ქონებრივ უთანასწორობას მეტი პერსპექტივა აქვს გადაიზარდოს სოციალურ უთანასწორობაში, ვიდრე თრიალეთის თუ მესხეთ-ჯავახეთის დიდსა და პატარა ყორღანებს შორის სხვაობას. გვიანბრინჯაოს სამარხის სიმდიდრე ქონებრივ შეძლებულობაზეა დამოკიდებული, ადრე და შუაბრინჯაოს ხანაში კი იგი სოციალური მდგომარეობით იყო განსაზღვრული. პირველი მემკვიდრეობითია და გარკვეული ჯგუფის წინსვლის მაჩვენებელი. სოციალურ იერარქიაში მას მყარი საფუძველი აქვს. მეორე არჩევითია და პიროვნების პირადი დამსახურებით არის განპირობებული და არა ეკონომიური და სოციალური ბაზისით.

ამდენად, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ყველა კომპონენტი გვაქვს ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის: ინტენსიური მიწათმოქმედება, რომელსაც თავისუფლად შეუძლია აწარმოოს ჭარბი პროდუქცია მეურნეობაში დაუკავებელი მოსახლეობის გამოსაკვებად, წინაპრის კულტთან შეზრდილი უაღრესად განვითარებული ბელადის კულტი, ქონებრივი უთანასწორობა, ე. ი. ქონებრივად დაწინაურებული სახლების წარმოქმნა. ქონებრივად დაწინაურებული სახლები, როგორც ჩანს, მიმართავენ სოციალურ მძლავრობასაც. ბოლოს, გვიანბრინჯაოს ხანიდან გვაქვს სატაძრო ორგანიზაცია, რომელიც აკანონებს ბელადის კულტს და მას სამემკვიდრეოდ ხდის.

ჩვენში მეურნეობის განვითარებამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ბელადები, ტომისა თუ თემისა, რომელთა სამარხებს უკვე ადრეული ბრინჯაოს ხანიდან ვადასტურებთ, კულტმსახურებია, ხევისბერებია. ადრე- და შუაბრინჯაოს ხანა საკმაოდ მშვიდობიანი პერიოდია. ამ ხანის ყორღანებში საომარი იარაღი იშვიათია, იარაღის ნაკლებობა განსაკუთრებით დიდსა და მდიდრულ სამარხებში შეინიშნება[98]. ეს კი ნიშნავს, რომ აქ დაკრძალულნი სამხედრო ბელადები არ

[98] ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. გვ. 165.

არიან და მაინცდამაინც მეომრული სიქველით არ გამოირჩევიან, თუმც ქართველ მთიელთა ხევისბერნი, უმეტეს შემთხვევაში, რჩეული მეომარნიც იყვნენ. ყორღანულ სამარხებში თვალში საცემია სარიტუალო დანიშნულების ნივთების სიმრავლე: შტანდარტები, საწესო ნიშნიანი ქვები, სარიტუალო თასები და სხვა. ბევრ რელიგიურ ასტრალურ სიმბოლიკას შეიცავს თიხის ჭურჭლების დეკორი. ერთი სიტყვით, მრავალი რამ მეტყველებს იმის შესახებ, რომ დიდ ყორღანებში კულტმსახურნი არიან დამარხულნი. იქნებ ამიტომ ვრცელდება ჩვენში კრემაციის წესიც. მისტერიის სრული ციკლი — სულის სრულყოფა მოითხოვს ოთხი ელემენტისგან, მათ შორის ცეცხლისაგან განწმენდას. ცეცხლი უკვე მტკვარ-არაქსის კულტურიდან ნაყოფიერების ღვთაების ხატია, იგი ისედაც რიტუალის აუცილებელი ელემენტია და კულტმსახურის — ტომის ბელადის, ხევისბერის გვამის დაწვასაც სიმბოლური ხასიათი უნდა ჰქონოდა.

კულტმსახურის, ბელადის, ხევისბერის ავტორიტეტი მთლიანად დამოკიდებულია სატაძრო ორგანიზაციაზე. ტაძარი, ღვთის სახლი, გარდა კულტმსახურებისა, ითავსებს ტომისა თუ თემის ყოველი საქვეყნო საქმის წარმოებას. სახალხო კრებებს სამლოცველოებში იწვევენ და აქ კულტის სახელით მას კულტმსახურნი წარმართავენ. ერთი სიტყვით, ტაძარი თემს თავის ნებას ახვევს და რამდენადაც ძლიერია ტაძრის ორგანიზაცია და მისი ავტორიტეტი, იმდენად პრივილეგირებული და ავტორიტეტულია მის სათავეში მდგომი ქურუმი, ბერი თუ სხვა. ტაძრის როლი განსაკუთრებით იზრდება გვიანბრინჯაოს ხანიდან და ამას ხელი შეუწყო სარწყავი, ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებამ. სარწყავი მიწათმოქმედების როლი ცნობილია ძველი აღმოსავლეთის ადრეკლასობრივ სახელმწიფოებში სატაძრო ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და მათი ავტორიტეტის ზრდაში. როგორც აღვნიშნე, საქმე ის კი არ არის, რომ ტაძრის მსახურნი იძენენ დიდ ემპირიულ ცოდნას მეურნეობის წარმართვისა, რომ მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის საჭიროებამ გამოიწვია ტაძრებში ისეთი მეცნიერების ჩამოყალიბება, როგორიცაა, ვთქვათ, ასტრონომია, ან საამშენებლო საქმის აღმავლობამ გამოიწვია გეომეტრიის სწრაფი განვითარება, მთავარია მეურნეობის ორგანიზაცია. სარწყავი სისტემების გატანა, მისი ექსპლოატაცია, წყლის დანაწილება, ახალი დარგების (მევენახეობა-მებაღეობა) დანერგვა, აგროტექნიკური საშუალებების სრულყოფა და სხვა. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში ყველაფერი, მეტნაკლებად საპასუხისმგებლო, ღვთაების თანხმობით და მისი კურთხევით ხდება. რწმენის განმტკიცება, რომ ესა თუ ის ღვთის მსახური მართლაც ღვთის რჩეულია, მის პირად უნარზეა დამოკიდებული — ყოველთვის სწორი რჩევა — ბრძანება მისცეს თემს და ცალკეულ მეთემეს. რა თქმა უნდა, კულტმსახურებაში მოჩვენებით ელემენტს დიდი ადგილი უკავია, მაგრამ თემის წინამძღოლობა, კულტმსახურება ტაძარს ავალდებულებს ყოველთვის წინდახედული იყოს. კულტის ყოვლისმომცველი ხასიათი მას განუსაზღვრელ უფლებას აძლევს თემსა და მეთემეზე. ადამიანის მისწრაფება ღვთაების კეთილგანწყობისაკენ მას ფაქტიურად ღმერთის — ტაძრის ყმად აქცევს. კულტსა, და, მით უმეტეს, ღმერთსა და მრევლს შორის სწორედ ბატონყმური დამოკიდებულებაა.

ამიტომ არის, რომ პირველი დიდი მემამულე და მესაკუთრე ტაძარი ხდება. მე უკვე აღვნიშნე, რომ ვენახი და ბაღი აღმოსავლეთ საქართველოში პირ-

ველად ტაძრის მამულებში უნდა გაშენებულიყო. ტაძარს უფასო მუშახელი ჰყავს. მის ხელშივეა სწორედ სარწყავი წყალი და სხვა. ამიტომ განვითარება ისეთი შრომატევადი დარგისა, როგორიც მევენახეობაა, შედარებით უმტკივნეულოდ უნდა მომხდარიყო. ვენახის გაშენება მალე მეთემეების სარგებლობაში გამოყოფილ ნაკვეთებშიც უნდა დაწყებულიყო. ვენახი დიდ შრომასა და გამოცდილებას მოითხოვს, რომლის ნაყოფს მეურნე მრავალი წელი იმკის. ამიტომ ცდილობს, რომ მისი გაშენებული, ვენახი იქნება თუ ბაღი, მუდმივად მისი და მისი შვილების სარგებლობაში იყოს. სავსებით ცხადია, რომ ერთი და იმავე ნაკვეთის ერთი ოჯახის სარგებლობაში ხანგრძლივად ყოფნა მას, ფაქტიურად, კერძო საკუთრებად აქცევს. ყოველი მებაღე-მევენახე მეთემე ამისთვის იბრძვის. ამავე დროს, კარგი ბაღი და ვენახი ყოველთვის შეიძლება ვაჭრობის საგნად იქცეს. გამოცდილ მეურნეს ყანა ყველგან შეუძლია მოიყვანოს, ოღონდ ამისთვის ხელსაყრელი პირობები იყოს. ნაკვეთების ცვლას აქ დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ამდენად, საყანე მიწაც შეიძლება ყოველწლიურად გადანაწილდეს. სხვაა ვენახი, რომელიც ყოველწლიურ მოვლა-პატრონობას მოითხოვს და მისი მოსავალი და ხარისხი პირდაპირპროპორციულია მასზე გაწეული შრომისა. ამავე დროს, იგი ძნელად გასაშენებელი და გასახარებელია. მეურნეს შრომა რამდენიმე წლის შემდეგ უნაზღაურდება და იგი ცდილობს ეს საზღაური მრავალი წლის განმავლობაში მიიღოს. ერთი სიტყვით, ვენახში მთავარი მიწის ნაკვეთი კი არ არის, არამედ მუშაკობაა, ღვაწლია და ეს ღვაწლი შეიძლება ყიდვა-გაყიდვის ობიექტი გახდეს. ამდენად, ვენახი მძლავრი სტიმული იყო აღმოსავლეთ საქართველოში მიწაზე კერძო საკუთრების განვითარებისა. მაგრამ აქ მთავარი დაბრკოლება სარწყავი წყალია, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ქართლში, ინტენსიური მიწათმოქმედება და, მით უმეტეს, მევენახეობა ურწყავი ვერ იქნებოდა.

ვენახს გაცილებით ინტენსიური მორწყვა სჭირდება, ვიდრე ყანას. წყალი კი თემისაა, კოლექტიური შრომის ნაყოფია და, რაც მთავარია, მას ეს კოლექტიური შრომა ყოველწლიურად სჭირდება. ვენახი შეიძლება კერძო ინიციატივამ გააშენოს, მაგრამ ასეთი ინიციატივა სარწყავ წყალს ვერ მოიტანს. არხის როგორც გატანას, ასევე ექსპლოატაციას მთელი გვარის, თემის შრომა სჭირდება. ეს მომენტი კი მიწის სათემო ფონდის კერძო მფლობელობაში გადასვლას საკმაოდ აძნელებს. მევენახეობის მძლავრი განვითარება მოწმობაა იმისა, რომ აღმოსავლურმა ქართულმა ტომებმა გამოსავალი ამ მდგომარეობიდანაც ნახეს, ძვ. წ. VI საუკუნეში, როგორც აღვნიშნე, ხოვლე-გორის ნამოსახლარზე ქვევრები მასობრივად ვრცელდება, რაც ვენახების კერძო მფლობელობაში მოქცევის საბუთია.

როგორც ჩანს, სარწყავი წყლის დიდი ნაწილი სწორედ ვენახებს უნდა წაეღოთ, რაც სავსებით ბუნებრივია. შემდგომ დიდი ველების სარწყავად ათვისებას ქართული საისტორიო ტრადიცია სწორედ ვენახებს უკავშირებს. ამაზე ქვემოთ. აქ კი უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხანებში უნდა ჩამოყალიბებულიყო საკმაოდ მყარი ტრადიცია, რომ ყოველ მიწის ნაკვეთს თავისი წყალი აქვს. მიწის ნასყიდობისა თუ ბოძების სიგელების რიანობის ნაწილში ყოველთვის აღნიშნულია, რომ მიწა იყიდება, იწირება თუ იბოძება თავისი წყლით. წყლის რიგი, მისი ნაკვეთზე მიმაგრება რუს გატანისთანავე დგინდებოდა და შემდეგ იშვიათად იშლებოდა. მართალია, იყო შემთხვევები, როდესაც მიწა

უწყლოდაც იყიდებოდა, მაგრამ ეს, როგორც იშვიათი გამონაკლისი, სიგელებში სპეციალურად აღინიშნებოდა[99].

ერთი მხრივ, ტაძრის — ხატის ავტორიტეტის ზრდამ, მისი კუთვნილი მამულის გადიდებამ, თემის თეოკრატიული მმართველობის ყოვლისმომცველობამ, მეორეს მხრივ კი, მიწაზე კერძო საკუთრების ტენდენციის განვითარებამ არ შეიძლება ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებამდე არ მიგვიყვანოს. მართალია, ხატის მამული თემისაა, რადგან ხატი თემის სალოცავია, უფრო სწორად, თემი ხატის ყმაა და ეს მამულები აშკარად კერძო მფლობელობაში ვერ გადავა, მაგრამ ხატს შეფარებული თეოკრატიული მმართველი ფენა ყველა ღონეს იხმარს ხატის შემოსავლის საკმაო ნაწილის მის სარგებლობაში მოსაქცევად. რა თქმა უნდა, პირველი მემამულე და თემის მიწის ფონდის კერძო მფლობელობაში გადასვლის ინიციატორი სწორედ ეს მმართველი ფენა იქნებოდა.

ქართველ მთიელთა საკულტო ცენტრები — ხატები ფლობდნენ მიწის საკმაოდ ვრცელ სამეურნეო ნაკვეთებს (სახნავ-სათესი, საძოვარ-სათიბი, ტყე და სხვა), რომლებსაც სხვადასხვა გამოყენება ჰქონდათ. სახნავ-სათესის და სათიბ-საძოვრის ნაწილი ხმარდებოდა ხატის სხვადასხვა საჭიროებას, ნაწილი კი, გაიცემოდა იჯარით კულტმსახურებზე, თემის წევრებზე და უცხო პირებზედაც კი, გარკვეული საზღაურის — ზედაშეს ფასად. ზედაშე, ჩვეულებრივ, ხატობისთვის განკუთვნილი სარიტუალო სასმელის (ლუდი, არაყი) დასამზადებელი ქერი ან სამსხვერპლო ცხოველი იყო, ამგვარად, ხატის მიწებიდან შემოსავალი თვით თემს ხმარდებოდა, მაგრამ კულტმსახურნი ხატის მიწებს კულტმსახურების საზღაურად ამუშავებდნენ[100]. მევენახეობის განვითარება ხატის მოიჯარადრეებს იჯარით აღებული მიწის ნაკვეთების მუდმივ მფლობელად აქცევს. ხოლო როდესაც ხდება ამა თუ იმ სახლის მიერ კულტმსახურების უზურპაცია, ხატის — თემის მიწების საკმაოდ დიდი და, ალბათ, საუკეთესო ნაწილი ამ სახლის უსასყიდლო მფლობელობაში — ფაქტიურად კუთვნილებაში — გადადის.

§ 2. **ანტიკური ხანა. ბარის სამიწათმოქმედოდ ათვისება. ძვ. წ. V—IV სს.** ადრეკლასობრივი საზოგადოება აღმოსავლეთ საქართველოში უკვე ჩამოყალიბებული ჩანს. ამის საბუთი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, წინწყაროს, ყაზბეგის, ახალგორის თუ სხვა მდიდრული სამარხებია. ამა თუ იმ სახლის ქონებრივი და სოციალური დაწინაურების მრავალი გზა არსებობს. კონიუნქტურისდა მიხედვით ტომის ბელადი, მისი წინამძღოლი შეიძლება სხვადასხვა საშუალებით გახდე: ომიანობის პირობებში ყველაზე დიდ ავტორიტეტს კარგი მეომარი სამხედრო ბელადი იხვეჭს მშვიდობიანობის პერიოდში თემის თუ ხევის წინამძღოლად შეიძლება კარგი მეურნე დაწინაურდეს და სხვა. I ათასწლეულის შუახანები, თუმც საკმაოდ შფოთიანი პერიოდია, როგორც ტომთა შორის შუღლი, ასევე საგარეო საშიშროება მდგომარეობას საკმაოდ დაძაბულს ხდის, მაგრამ სამიწათმოქმედო ზონებში მაინც შედარებითი მშვიდობიანობაა. ამ ტომთა ეკონომიური და სოციალური განვითარება დიდი შეფერხებების გარეშე მიდის. ასეთ პირობებში იქმნება კონიუნქტურა კარგი მეურნის სოციალური და ქონებრივი დაწინაურებისთვის. კევრზე დაკრძალვასთან და-

---

[99] ი. კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. გვ. 140.

[100] В. В. Бардавелидзе. Земельные владения древнегрузинских святилищ. СЭ. I. 1949. стр. 95—102.

კავშირებით აღვნიშნე, რომ ეს ფაქტი მოწმობაა მიწათმოქმედის, გუთნისდედის დიდი ავტორიტეტისა. კარგი მეურნე, გარდა იმისა, რომ საერთო ავტორიტეტით და გავლენით სარგებლობს, ხელს უწყობს როგორც ტაძრის, ასევე თავისი სახლის ქონებრივ ზრდას და მას ამ მხრივ უფრო მყარი ბაზა აქვს, ვიდრე, ვთქვათ, მეომარს. რა თქმა უნდა, კარგად მოწყობილი მეურნეობა უფრო სტაბილურ შემოსავალს იძლევა, ვიდრე ყაჩაღობით მოპოვებული ალაფი.

მას შემდეგ, რაც ნაღვაწი მიწა კერძო მფლობელობაში მოექცეოდა, ამ მეურნე-ბელადის სახლის ქონებრივი აღზევება სწრაფად უნდა წასულიყო წინ. ეკონომიურად მომძლავრებული სახლები კი თემის გამგებლობას, როგორც მისი ქონებრივი სიმძლავრის წყაროს, ხელს არ შეუშვებდნენ. ერთი სიტყვით, ახდენდნენ ხელისუფლების უზურპაციას. ამაში მათ ტაძარი ეხმარებოდა, რადგან თვით იყვნენ ამ ტაძრის ორგანიზაციის წევრნი და, შეიძლება, უმაღლესი ქურუმნიც. სწორედ ასეთი დაწინაურებული სახლების წარმომადგენელნი, რომელთა ხელშია როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფლება, უნდა იყვნენ ადრეანტიკური ხანის საქართველოს მდიდრულ სამარხებში დაკრძალულნი.

ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ მარტო ღვთისადმი შიშით და სამეურნეო ღონისძიებებით შეიძლებოდეს ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბება. ასეთი რამ, რა თქმა უნდა, არ ხდება, სახელმწიფოებრიობა — ცივილიზაცია მთელი რევოლუციური, თვისებრივი ნახტომია საზოგადოების განვითარებაში და მას სოციალ-ეკონომიური განვითარების მთელი კომპლექსი იწვევს, რომელშიაც დიდი ადგილი იძულებას უკავია. იქ, სადაც ნებით არ ირწმუნებენ, ასპარეზი ეთმობა იარაღს, ძალას. ი. გაგოშიძეს შემჩნეული აქვს რომ ძვ. წ. V საუკუნიდან საქართველოში, რიგით სამარხებში იარაღი იშვიათი მოვლენაა. მდიდრულ სამარხებში კი არათუ საომარი იარაღი—ცული, მშვილდი, მახვილი, შუბი, არამედ ცხენის აღჭურვილობის მთელი კომპლექტებია დადასტურებული. იგი სრულიად სწორად წერს:

«В этом противопоставлении богатых и бедных погребений трудно не усмотреть признаки социального расслоения общества, когда ношение оружия превращено привилегиею определенного общественного слоя, класса, освобожденного от производительного труда»[101].

ადრეანტიკური ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში, უმთავრესად, მთისძირა ზოლშია დამოწმებული — ახალგორი, წინწყარო, ყაზბეგი და სხვა. ე. ი. ძვ. წ. V—IV სს. ქართლში ინტენსიური ცხოვრება კვლავ მთისძირა ზოლშია. პუნქტები, სადაც ეს ძეგლებია დამოწმებული, ბუნებრივია, ხევის ადმინისტრაციული ცენტრებია. ი. გაგოშიძის დაკვირვებით, ეს პუნქტები შემდგომი ხანის საერისთავოებისა და საპიტიახშოების ცენტრებიც არის. ეს გარემოება შეიძლება თვით ამ ძეგლების გეოგრაფიული მდებარეობითაც იყოს განპირობებული (მათი აღმოჩენის პუნქტები ხევების ბუნებრივი ცენტრებია). მაგრამ მთავარი ახლა ისაა, რომ იგივე პუნქტებში უნდა ყოფილიყო ხევის საკულტო ცენტრებიც. ხევისუფალი იმ ღვთაების ხატის ყმაა, რომელსაც ამ ხევში ლოცულობენ. იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კულტმსახურია, ტაძრეულია და მისი სამარხიც იქ უნდა ყოფილიყო, სადაც ხატი — ტაძარი იქნებოდა. აქ მოვიტან გვიანდელ პარალელს ქართული საისტორიო მწერლობის შესანიშნავი ძეგლიდან—„ძეგლი ერისთავთა“, რომელიც ქსნის ერისთავთა საგ-

---

101 Ю. Гагошидзе. Памятники материальной культуры раннеантичной Грузии. Автореферат диссерт. на соиск. уч. ст. канд. ист. наук. Тб. 1965, стр. 18.

ვარეული მატიანეა და ბრწყინვალედ აქვს გამოყენებული აკად. ს. ჯანაშიას უფრო ადრეული, ანტიკური საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხების გასაშუქებლად[102]. პოლიტიკური უბედობის მიზეზით გადმოხვეწილი როსტომ ბიბილური ცხრაზმის ხევში მოდის. აქ ის სამხედრო დახმარებას გაუწევს ცხრაზმელებს, რისთვისაც ცხრაზმელები გადაწყვეტენ აღარ გაუშვან იგი, მიიღონ თემის წევრად. როსტომს კი აქ გამთავრება სურს, რისთვისაც უკავშირდება ლარგვისის, ცხრაზმის ხევის ცენტრის მამასახლისს გუგაკ ხუციანდაბის ძეს და სთხოვს: „უქმნიდეს და ეტყოდეს" ხოლმე ყველაფერს. „რომელი სჯობდეს საქმედ". გუგაკ ხუციანდაბის ძე ურჩევს ბიბილურს: „ითხოვე საფლავი მონასტერსა ამას, რამეთუ ყოველთა დიდებულთა აზნაურთა საფლავი აქა არს"[103] და როსტომმაც ცხრაზმის ხევის ყოველი ერისგან „მოითხოვა საფლავი ლარგვისისა და საჯდომად სახლი შუა საყდრის შვილთა და ცხრაზმის ციხისთავის ნაქონი მამული"[104]. როგორც ვხედავთ, ხელისუფალის საფლავიც და საჯდომიც იქ უნდა იყოს, სადაც მონასტერია, ტაძარია. ამიტომაა ქსნის, ალგეთის თუ სხვა ხევების საკულტო ცენტრები: ახალგორი, წინწყარო და სხვა, ისე როგორც ლარგვისი — ცხრაზმის ხევის ცენტრი. „ძეგლი ერისთავთა-ში" დაცული ცნობები სხვა მხრივაც არის საყურადღებო და მას ქვემოთ, გზადაგზა შევეხებით. აქ კი აღვნიშნავ, რომ ტაძარი — ხატი პირველყოფილი თემური საზოგადოების ერთადერთი ორგანიზაციული ცენტრია, რომლის გარშემო ერთიანდება თემი, ხევი, ტომი. კულტის და ხევის, ტომის ურთიერთობა სატომო ღვთაების ჩამოყალიბების მომენტიდან ძალიან წააგავს ადრეკლასობრივი სახელმწიფოს სოციალურ სტრუქტურას.

ღვთაება ტომის ბატონია, ტომის წევრები კი — მისი საყმო. იყო ამა თუ იმ ტომის ან თემის წევრი, ნიშნავს ეყმო მის ბატონს, სატომო ღმერთს. თემიდან გასვლა ჯერ ამ ბატონობიდან თავის დაღწევას არ ნიშნავს, თუ ძალით არ ხარ გაძევებული. ხშირად, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, ახალი მიწის სამოსახლოდ ათვისება იწვევს ამა თუ იმ კულტის უფრო გავრცელებას, ან სხვათა მიწების დაპყრობა, ბატონის საყმოს გამრავლებისთვის და საბრძანებელი ტერიტორიის გაფართოებისთვის ხდება. ამის მაგალითი საკმაოდ ბევრი გვხვდება როგორც ეთნოგრაფიაში, ასევე ისტორიულ წყაროებში. ერთი სიტყვით, თემის, ტომის მაორგანიზებელი კულტი, შესაბამისად, ტაძარია. შემდეგშიც, უკვე ადრეკლასობრივ საზოგადოებაში ყველაფერი კულტის—ხატის სახელით ხდება. სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაც სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის მიერ წარმოდგენილი ყმისა და ბატონის ურთიერთობის რეალიზაცია, მისი ხორცშესხმა, წარმოდგენილ ბატონს თავშეფარებული ახალი ბატონის თაყვანისცემა. სწორედ ამიტომ ითხოვს როსტომ ბიბილური ტაძრის ორგანიზაციაში მიღებას. აქ სხვა ასპექტიც არის გასათვალისწინებელი: რომ გახდე ტაძრეული, ტაძრის შვილი, ყოველი ერის თანხმობაა საჭირო, ე. ი. ტაძარი და ერი ერთ ორგანიზაციად განიხილება. ადგილობრივი კულტის აღიარება უკვე ამ ტომის შვილობას ნიშნავს.

---

102 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები. ტ. 1. თბ. 1949. გვ. 163, 167.

103 ძეგლი ერისთავთა. მას. საქ. და კავკ. ისტორიისათვის. I. თბ. 1954.

104 ი ქ ვ ე.

კ. ფიცხელაურმა აღმოსავლეთ საქართველოში განცალკევებით მდგარი იგრის საკულტო ცენტრები ტომთა მსხვილ გაერთიანებებს დაუკავშირა[105]. შეიძლებოდა თუ არა მელი-ღელეს სამლოცველო კომპლექსი ტომთა მსხვილი გაერთიანების ცენტრი ყოფილიყო, ძნელი სათქმელია. გვიანბრინჯაოს ხანაში ასეთი ცენტრები საგულვებელი არ არის. სატომთაშორისო საკულტო ცენტრი, ალბათ, უკვე ადრეკლასობრივ საზოგადოებაში ყალიბდება და იგი იმ ტომის ხატია, რომელიც თაოსნობს, პირველობს ამ ტომთა გაერთიანებას. ასეთი ცენტრი ძვ. წ. III საუკუნეში უნდა ჩამოყალიბებულიყო ქართლის ძველი სამეფოს ბაზაზე, სადღაც მცხეთასთან. მცხეთა — პოლიტიკური ცენტრი, შესაბამისად, საკულტო ცენტრი ჩანს. უკვე ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული საქართველოში სხვა ასეთი ძლიერი დასახლება (სამთავროს სამაროვნის მიხედვით) არა გვაქვს. ამავე დროს, იგი ბუნებრივი ცენტრიცაა მტკვრისა და არაგვის შესაყარზე. აქ რელიეფურად იჩენს თავს აღმოსავლეთ საქართველოს ყოველი კუთხის კულტურული მიღწევა, რაც ამ კუთხეებთან მისი ცხოველი ურთიერთობის მაჩვენებელია. შემდეგაც მცხეთა პირველი აღმოსავლურ ქართული სახელმწიფოს დედაქალაქია. ამ სახელმწიფოს საკულტო ცენტრიც აქაა საძიებელი. აკი მცხეთა საქართველოს კათალიკოსთა რეზიდენციაა და მისი სასულიერო ცენტრობა, ვფიქრობ, საკმაოდ ტრადიციულია. ამგვარად, ხევი, ფაქტიურად, სატაძრო ერთეულია, ტაძარია ამ ხევის მაორგანიზებელი და ცხოვრების წარმმართავი. ხევის საზღვრებიც დამოკიდებულია ტაძრის მრევლზე. იგი იმდენად ვრცელია, რამდენად ბევრი სოფელი ლოცულობს ამ ტაძარში გაკულტებულ ღვთაებას.

უკვე ვთქვი, რომ მევენახეობის განვითარებით საკმაოდ იცვლებოდა აღმოსავლეთ საქართველოს აგროკულტურული რუკა. ვენახი და ბაღი მიწის საუკეთესო ნაკვეთებს დაიჭერდნენ და სარწყავი წყლის დიდი ნაწილიც მათ ინტენსიფიკაციას მოხმარდებოდა. ვენახი ქართველ ტომებში სატომო ღვთაების რანგშია აყვანილი, უფრო სწორად, მათი ხატია. ეს კი ნიშნავს, რომ გარდა ტაძრის დიდი ზვრებისა, ვენახი და მარანი თითოეულ მეკომურს უნდა ჰქონოდა, როგორც სალოცავი ხატი. მარანი ქართველი კაცის კარ-მიდამოზე კარის ეკლესიის როლს ასრულებს, ისე როგორც კერა—ხატისთვის განკუთვნილი ადგილისა. ვაზის მოშენება ისეთივე ღვთის წმინდა საქმედ ჩაითვლებოდა როგორც მსხვერპლშეწირვა ან ღვთის საამებლად გაწეული ყოველგვარი სამსახური. ამგვარად, კულტმსახურები ვენახის მოსაშენებლად მას სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხედ, ღვთაების სიმბოლოდ — ხატად აცხადებდნენ, რაც სტიმულად იქცევა ვენახის ფართოდ გავრცელებისთვის.

ვენახისა და ბაღის განვითარება, ბუნებრივია, საყანე ნაკვეთებზე, ყანების ხარჯზე ხდებოდა. ყანა კი იძლევა სიცოცხლისთვის უფრო საჭირო და აუცილებელ პროდუქტებს: პურს, ქერს და სხვა. ყანა უზრუნველყოფს აგრეთვე დამჯდარ, ბინადარ, ინტენსიურ მიწათმოქმედებასთან შერწყმულ მესაქონლეობის დროს პირუტყვის საკვების დიდ ნაწილს. ამგვარად, საყანე ნაკვეთის შეცვლა სავენახეებად მოსახლეობის საკვების შემცირებას გამოიწვევდა, რასაც რა თქმა უნდა, არავინ შეეგუებოდა. საფიქრებელია, რომ მიწათმოქმედი მოსახლეობა შეეცდებოდა მაქსიმალურად გაეზარდა თავისი საცხოვრისის შემოგარენში სამიწათმოქმედო სავარგულები, რაც ახალი სარწყავი სისტემების

---

[105] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 164.

მოწყობით უნდა განხორციელებულიყო. ამავე დროს, საყანედ მაქსიმალურად გამოიყენებდნენ ურწყავ მიწებს. მოსახლეობის ზრდას და მეურნეობის ინტენსიფიკაციას მიწის სულ ახალი და ახალი ფართობი უნდა მოეთხოვა. ამ ფართობის ძიებაში მიწათმოქმედნი უნდა მიდგომოდნენ ბარს.

ბარის სამიწათმოქმედოდ ათვისება კი დიდი საირიგაციო მშენებლობის გარეშე არ შეიძლება. მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ბარი მშრალი კლიმატის შემცველია. მის უმეტეს ნაწილში სინოტივის დეფიციტი საგრძნობია, ისე რომ არათუ მევენახეობა, არამედ მემინდვრეობაც აქ სარწყავი წყლის გარეშე საკმაოდ ექსტენსიურია. „იმ დაკარგულის კაცების(ა)საც ჩვენ გვართმევენ, წყალს არ გვაძლევენ — შესჩივის ურბნელი კანდელაკი მეფე ერეკლეს — მოიკითხეთ, თუ გვქონდეს, გვიბოძეთ, თუ არა და მოურწყავი მიწა ზემო ქართლში რა გამოსაყენებელია"[106]. ზემო — შიდა ქართლი აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეებში შედარებით ზომიერი კლიმატის შემცველია. უფრო მშრალი და ინტენსიურად სარწყავებია ქვემო ქართლის ვაკე, ყარაია-გარდაბნის ველები, სამგორის ველი, ივრისა და ალაზნის ქვემო ნაწილი და სხვა. ერთი სიტყვით, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მიწათმოქმედება მთლიანად განსაზღვრული იყო ირიგაციით. ამიტომ ბარის ინტენსიური დასახლება გვიან იწყება, უკვე ადრეკლასობრივი საზოგადოების პირობებში, როდესაც დიდი მასშტაბის სამუშაოების საორგანიზაციოდ შესაბამისი ინსტიტუტი არსებობს. ეს ინტიტუტი ქართლის ძველი სამეფოა, რომელსაც, ალბათ, ეკუთვნოდა ინიციატივა, სარწყავი სისტემების მშენებლობის ხელმძღვანელობა კი უშუალოდ ტაძრებს უნდა ეკისრათ. ტაძრების როლს ბარის სამეურნეო ათვისებაში ქვემოთ შევეხებით. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ბარის სარწყავი სისტემების მშენებლობა ანტიკური საქართველოს ყველაზე დიდი მასშტაბის სამეურნეო ღონისძიება და ღირსშესანიშნავი მოვლენაა. იგი ძვ. წ. IV—III სს. მიჯნაზე უნდა დაწყებულიყო და აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიურ სიმძლავრეს და, შესაბამისად, მაღალ კულტურულ განვითარებას, უკვე ანტიკურ ხანიდან რომ შეინიშნება, სწორედ ამ დროს, ამ დიდი ღონისძიებით ჩაეყარა საფუძველი. სწორედ ამიტომაა, რომ მიუხედავად დიდი პოლიტიკური ქარტეხილებისა, ანტიკური და შემდგომ ადრეფეოდალური საქართველოს ეკონომიურ-სოციალური წინსვლა არ ფერხდება.

ქართულ საისტორიო მწერლობაში დაცული ცნობა ჩვენში დიდი საირიგაციო მშენებლობის შესახებ, მეტ-ნაკლები სისწორით, გადმოსცემს ამ მშენებლობის დაწყების დროსა და მიზეზს. ალექსანდრე მაკედონელმა—გვამცნობს „მოქცევაი ქართლისაი"—„...სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათთერთმეტ თთუეს და დადგა სარკინესა დასავლით კერძო. და დასცა ვენაჴი და რუჲ გამოიღო ქსნით, და დასხა კაცნი მერუვენი დასტაგითა რუჲსაჲთა და ჰრქვან ადგილსა მას ნასტაგისი"[107]. ამგვარად, ცნობაში ორჯერ აქვს ხაზი გასმული იმ გარემოებას, რომ ქსნის სარწყავი სისტემა ვაზისთვის, ვენახისთვის არის აგებული. რა თქმა უნდა, სარწყავად ათვისებულ მიწაზე ვენახის გარდა ბევრი სხვა კულტურაც გაშენდებოდა, მაგრამ მემატიანეს ცნობა მაინც ნიშანდობლივია. პირველად სარწყავ მიწებზე შეიძლება მართლაც ვენახი გაშენდა. ვე-

[106] ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Ad 692.

[107] მოქცევაჲ ქართლისაჲ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. 1. 1964. გვ. 81.

ნახი — ვაზი წმინდა მცენარეა და მის გაშენებას სიმბოლური ხასიათი ექნებოდა. სარწყავი სისტემის მშენებლობას, ზემოთაც აღვნიშნე, ტაძარი უნდა ხელმძღვანელობდეს. სარწყავად ათვისებულ მიწის დიდი ნაწილიც მათ ხელში იქნებოდა. ტაძარი კი, პირველ რიგში, ვენახების გაშენებისთვის იზრუნებდა — მეტად დიდი ადგილი აქვს რიტუალში წმინდა სასმელს.

რომ ვენახი იყო უპირველესი ახლად ათვისებულ მიწებზე გაშენებულ კულტურებში, და რომ მას ამ მიწების დიდი ნაწილი ეჭირა, კარგად ჩანს არქეოლოგიური მასალებიდანაც. მე მხედველობაში მაქვს ქვევრების ფართოდ გავრცელება უკვე ელინისტური ხანის დასასრულიდან შიდა ქართლის როგორც ნამოსახლარ ფენებში, ასევე სამაროვნებზე და ის დიდი ადგილი, რომელიც ვენახს, ღვინოს ეჭირა ძველი ქართლის სამეფოს ეკონომიკაში. მასზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა. ახლა ისევ სარწყავ სისტემებზე. არქეოლოგიური მონაცემები დღეს უკვე იძლევიან საშუალებას თვალი გავაყოლოთ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სარწყავი სისტემების მშენებლობას. დავიწყებ შიდა ქართლიდან, რადგან ანტიკურ აღმოსავლეთ საქართველოში კვლავ შიდა ქართლი მეწინავეობს თავისი მრავალი ქალაქით.

შიდა ქართლის ვაკე სამი დიდი ველით არის წარმოდგენილი. ესენია: დასავლეთიდან აღმოსავლეთით — დოღლაურის, ტირიფონას და მუხრანის ველები, რომლებიც ირწყვებიან დიდი კავკასიონის ფერდობიდან მერიდიანულად გამომდინარე მდინარეებით: ფრონე, ფცა, დიდი და პატარა ლიახვი, მეჯუდა, ლეხურა, ქსანი. მაგრამ განსხვავებით მტკვრის მარჯვენა შენაკადებისაგან, რომლებზედაც მეტად იოლია სარწყავი სისტემების მოწყობა, შიდა ქართლის ვაკის ველები სარწყავად საკმაოდ ძნელად ასათვისებელნი არიან. მთავარი სიძნელე ამ ველების ტაფობის გადალახვაა, რაც რუსხმულებით უნდა მოხდეს. ამ რუსხმულებისა და, საერთოდ, შიდა ქართლის სარწყავი სისტემების აღწერილობა დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ნახოს ჩემს ნაშრომში — „მორწყვა ძველ საქართველოში". მათ აქ მოკლედ შევეხები. ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ ამ სისტემების მშენებლობის დროსა და ორგანიზაციაზე.

შიდა ქართლის დასავლეთი ნაწილი — დოღლაურის ველი ისტორიულ ხანაში ირწყვებოდა ყაიბულას ზედა და ქვედა რუებით. ყაიბულას რუ ბრეთისა და საღოლაშენის მიწებს რწყავდა. „ქ. თქვენც მოგეხსენებათ ჩვენც წყალი ყაიბულას რუდამ მოგვცემია — წერს 1787 წელს მეფე ერეკლესადმი მირთმეულ არზაში ზაზა ამირეჯიბი — სამი წილი წყალი ბრეთელებისა ყოფილა ამ რუდამა და ორი წილი ჩვენი (საღოლაშნელებისა. ი. ჯ.). ორი მერუე იმათი ყოფილა და ერთი ჩვენი. ამ რიგით და განწესებით ვცხოვრებულვართ და დავრჩომივართ"[108].

„ზედა რუ წამოვა შინდისიდამ. ეს რუ შიგ საქაშეთში ჩამოივლის, ციხეს წინ ჩამოუვლის, სასირეთზე გადივლის, რუისის მთის ძირს დაკრამს და ურბნისს ჩავა. ქვემო რუ ფხვენისის თავიდამ წამოვა. ფხვენისს შუა ჩამოუვლის. შინდისის ნაპირს გამოუვლის, შიგ საქაშეთში გამოივლის დასავლეთის მხრისაკენ და სასირეთის ვენახებს თავს გადაუვლის დასავლეთის მხრით და რუისს ჩავა... ამ ზემო რუთი უნდა მოირწყოს შინდისი. აქავ, შინდისის დაცილებით ერთი ნაკადული წყალი ლელისთაველთ უნდა წაიყვანონ და ლელისთაველთ ქვემო რუდამ რომ წყალი წამოუყვანიათ და ზემო რუზედ წყალი

---

[108] ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Ad 1106.

წყალზედ ზედ გაუტარებიათ, ეს აღარ უნდა იქნას. სამართალიც დაგვიყენებია: ეს ზემო რუ უნდა მოვიდეს საქაშეთს, საქაშეთის თავს თავიანთ ერთი ნაკადული წყალი არაშენდელთ დაუბრუნონ და თავისკენ წაიყვანონ და საქაშეთს შუა, როგორც გაჭრილია ზემო რუ ძველადვე, ჩვეულებისამებრ იმაზე უნდა გაეგდოს. ისე რაც აღმოსავლეთის მხრისაკენ, ლელის თავსა და არაშენდას შუა საქაშნელი მამული არის, ზემო რუმვე უნდა მორწყოს. სასირეთის თავს უნდა გადავიდეს და რაც რუს ზევით არაშენდასა და სასირეთს მამულია, ამით უნდა მოირწყოს და რუისის თავს გადაიაროს და რაც ქვემო რუს ზევიდან სარწყავი წავა, ამით უნდა მოირწყოს, რუისის ბაღის ბატონ დედოფლის ხოდაბუნები უნდა მოირწყოს და მერმე ურბნელებმა უნდა იხმარონ, რაც მინდორიდან გამოტანილი რუს ზევით და ამ ქვემო რუს შუა მიწა და ვენახია მომწყვდეული, მინდორი თუ თვალთუბნელნი და საქაშნელნი ამ ქვემო რუმ უნდა მორწყოს და თვალთუბნის მამულიცა ამავე რუს ქვევითა ძევს დასავლეთის მხარეს, ამითვე უნდა მოირწყოს და მივიდეს საქაშეთს. როგორც მიმდინარეობა აქვს, ისე ჩამოიაროს, რაც ქვემო რუს ქვევით დასავლეთის მხარეს საქ(ა)შნელი მამულია, იმავე ქვემო რუმ უნდა მორწყო(ს), რომელიც წინაპართა ბატონების და ნეტარად ხსენებული მეფის თეიმურაზისა განაჩენი აცხადებს, რაც წყალი საქაშეთს დასცილდეს, ასე უნდა იხმარონ. სამათ უნდა გაყონ წყალი: ერთი წილი სახასოს ზვარსა და ხოდაბუნსა და ეკლესიათ ყმათ უნდა მიეცესთ, მესამედი წყალი საციციანოს ყმათა და გარეშე კაცთ უნდა მიეცეს, ამ სამთაგანვე წერილისამებრ ერთი ერთი ნაკადული წყალი მამაცაშვილს უნდა მიეცეს" (ბატონიშვილის დავითის განჩინება)[109].

როგორც ვხედავთ, ზემო და ქვემო რუები საკმაოდ დიდი სარწყავი სისტემებია და ვრცელ ტერიტორიას რწყავენ. მათ გარდა, დოღლაურის ველზე მოქმედებდნენ ფციდან და ფრონედან გამოტანილი სარწყავი რუები, რომლებიც არადეთის მიწებს რწყავდნენ. ახლა საკვლევია, რომელია უძველესი სარწყავი რუ და როდის არის იგი გამოღებული.

დოღლაურის ველზე უძველესი დასახლება ურბნისის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებია. ამ ნამოსახლარების მოქმედების დროს მორწყვა, როგორც სამეურნეო ღონისძიება, შიდა ქართლში სამიწათმოქმედო პრაქტიკისთვის უცნობია. შუაბრინჯაოს ხანა შიდა ქართლის ვაკეზე დამოწმებული არ არის. ამ ხანის ბოლო ეტაპის ძეგლები, უმთავრესად სამარხებით, თუმცა აქაიქ გვხვდება შიდა ქართლში, მაგრამ დოღლაურის ველზე ჯერ არ აღმოჩენილა. გვიანი ბრინჯაოს ნამოსახლარი მხოლოდ აგარის გორაა მტკვრის ნაპირას, აგარის ჭალის კიდეზე. არ არის გამორიცხული, რომ ამ გორის მოსახლეობა სარწყავად უკვე იყენებდა ფრონეს ან ფცას, მაგრამ ჭალის კიდეზე დასახლება მაინც ჭალის სამეურნეოდ გამოყენებაზე მიუთითებს. ურბნისის ნამოსახლარები გვიანბრინჯაოს ხანის ფენებს არ შეიცავენ. თვით ნაქალაქარზე ამ ხანის სამაროვანი მიკვლეულია, მაგრამ იგი არც ისე დიდია, რომ მის შემცველ დასახლებას ზედა რუ გამოეღოს. არც მომდევნო პერიოდებია ურბნისში ძლიერად წარმოდგენილი ვიდრე ელინისტურ ხანამდე. ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხა-

---

[109] ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Ad 1502.

ნების მხოლოდ ერთი სამარხია გათხრილი XVI უბანზე და თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხია აღმოჩენილი ტაძრის ეზოში[110].

ურბნისში ინტენსიური ცხოვრების კვალი შეიმჩნევა ელინისტური ხანიდან. ამ დროის ნამოსახლარები დადასტურებულია I, XXXVI, XXXIX უბნებზე და ხიზანაანთ გორაზე. ამათგან განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ხიზანაანთ გორის ანტიკური ხანის ნაგებობანი. გორაზე ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი ფენების თავზე იდგა, უფრო სწორად, ამ ფენებს სჭრიდა დამწვარი ნაგებობა, რომელიც ტაძარი უნდა ყოფილიყო. ნაგებობას უჭირავს გორის აღმოსავლეთი ნაწილი. ნაგებობაში მთავარია აღმოსავლეთ ფერდზე მოწყობილი კიბე, რომელიც დაახლოებით გორის შუაში მცირე ბაქნით მთავრდება. კიბე საგულდაგულოდ არის ნაგები. ჯერ, როგორც ჩანს, ხის ძელებისა და ფიცრებისგან მოაწყვეს კარკასი, რომელიც შემდეგ ბეჯითად დატკეპნილი თიხით შეავსეს, კარგად გალესეს და გააპრიალეს. საფეხურის ზომებია: სიგანე 60 — 65 სმ, სიგრძე 2,8 მ, სიმაღლე 15 სმ. ჩვენამდე მოაღწია 18-მა საფეხურმა. პ. ზაქარაია ვარაუდობს, რომ ერთი ამდენი შემდგომი დროის დასახლებას უნდა გაენადგურებინა, საერთო ჯამში კი კიბეს 20—25 მეტრის სიგრძე უნდა ჰქონოდა[111]. კიბეს ჩრდილოეთით მოუყვება პანდუსისებური შემაღლება, სამხრეთით კი — თითქმის 3 მეტრის სიგანის კედელი. კედლის საძირკვლისთვის გორის ფერდზე გაუკეთებიათ კიბისებურად განლაგებული ბაქნები, რომლებზედაც დაუწყვიათ საკმაოდ დიდი ზომის ფლეთილი ლოდები. შემდეგ ხის მორებისაგან შეუკრიათ კარკასი, რომელიც შევსებულია რიყის ქვით. კედელს ალიზის პერანგი აქვს და შელესილია თიხით. ანალოგიური კონსტრუქციის კედლები დამოწმებულია მცხეთაში, არმაზციხე I, უფლისციხეში, გორისციხესა და სხვ. როგორც ჩანს, ყველა ჩამოთვლილი ძეგლი სინქრონულია.

კედელს სამხრეთით მიდგმული ჰქონდა სათავსო. მისი მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი, რომელშიაც 5 ქვევრი იდგა. ქვევრები მაღალყელიანი, სადა, განიერმუცლიანები არიან და საკმაოდ განსხვავდებიან ნაქალაქარის ადრეფეოდალურ ფენებში დამოწმებული ქვევრებისაგან. საინტერესოა, რომ სათავსოს წმენდის დროს აღმოჩნდა ქვევრის პირზე დაგოზილი თიხა. კიბიანი ბაქნით დამთავრებული საკურთხევლები საკმაოდ გავრცელებულია ელინისტურ სამყაროში. ისინი, ჩვეულებრივ, ტაძრის წინ იმართებოდნენ. ასეთი საკურთხეველი ჩვენშიაც არის აღმოჩენილი ვანის ნაქალაქარზე. ამდენად, ხიზანაანთ გორის კიბიანი ნაგებობის დანიშნულება, ვფიქრობ, ეჭვს არ იწვევს[112]. მართალია, ხიზანაანთ გორისა და ვანის ნაგებობები საკმაოდ განსხვავებულნი არიან, უკანასკნელი ღიაა, ქვით ნაგები და სათავსო არა აქვს მიშენებული, მაგრამ ხიზანაანთ გორის ნაგებობა მის და მისნაირთა წაბაძვით არის აგებული. კიბიანი ნაგებობა გადამწვარი იყო, ხანძარი ისე ინტენსიური ყოფილა, რომ კედლის ქვებიც კი დადუღებულია, წიდად და ჭიქად ქცეული. ნაგებობის მთელ ფართობზე იკრიბებოდა კრამიტი, ხის ძელების ნაშთები და დიდი ზომის რკინის ლურსმნები. ხისა და ლურსმნების მიხედვით სახურავი საკმაოდ მასიური და მტკიცე უნდა ყოფილიყო. მის ქვეშ, როგორც ჩანს, მთელი ნაგებობა ექ-

---

110 ლ. ჭილაშვილი. ნაქალაქარი ურბნისი. თბ. 1964. გვ. 29—33.

111 პ. ზაქარაია. ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება. თბ. 1965. გვ. 21.

112 Н. В. Хоштариа. Археологические исследования в Вани. მასალები საქ. და კავკ. არქეოლოგიისათვის. II. თბ. 1959. გვ. 151.

ცეოდა კიბიან-პანდუსიანად. მიუხედავად იმისა, რომ კიბიანი ნაგებობა ხანძრის შედეგად არის განადგურებული და სახურავიც ამ დროს არის ჩაქცეული, ინვენტარით იგი მეტად ღარიბულია. ალბათ, ვიდრე გადაწვავდნენ, საგულდაგულოდ გაუძარცვავათ. ნაგებობის წმენდის დროს აღმოჩნდა: თიხის მაღალყელიანი პირდაბრტყელებული ქვევრის ნატეხი, ყვითლად გაპრიალებული, შავი ზოლებით მოხატული თხელკეციანი ჭურჭლის უსახო ნატეხები, რუხკეციანი ჭურჭლის მუცლის ფრაგმენტები, რომელსაც შემოუყვება თეთრი ანგობის კონცენტრული პარალელური ხაზები, კარგად პროფილირებული, შავად და წითლად ბეჯითად ნაპრიალები დაბალი ჭურჭლის ნატეხები, წითელკეციანი დიდი ზომის თხელკედლა, ორყურა დერგი, სარდიონის სკარაბეოიდი და სხვა. როგორც აღვნიშნე, ნაგებობის მთელ ფართობზე აიკრიფა კრამიტის ნატეხები.

კრამიტი სამი სახისაა: ბრტყელი, გვერდებაკეცილი. სიგრძე—43 სმ. აკეცილი გვერდის სიმაღლე 7 სმ; ღარიანი კრამიტი, განივკვეთში ნახევარწრიული. სიგრძე — 14 სმ, დმ — 12 — 21 სმ, სიმაღლე — 10 სმ. ამ ტიპის კრამიტები აბსოლუტური უმრავლესობით არის წარმოდგენილი. როგორც ჩანს, სახურავი შეღებილი ყოფილა წითელი წერნაქით. ყველა კრამიტი შეღებილია, ხოლო ის ნაწილი, სადაც კრამიტები ერთმანეთს ფარავენ — შეუღებავი. აქა-იქ, უმთავრესად კედელში, აღმოჩნდა შეუღებავი კრამიტების ფრაგმენტებიც. ეს კრამიტი უფრო მასიურია; აღდგა ერთი, ღარიანი, პროფილში სწორფერდა (სიგრძე — 54 სმ, სიმაღლე — 13 სმ, სიგანე — 26 სმ).

როგორც ჩანს, მასიური კრამიტის ნატეხები უფრო ადრეულ შენობას ეკუთვნოდა, ვიდრე კიბიანი ნაგებობაა. ამ ნაგებობის ბაქანი შემორჩენილი იყო გორის ცენტრში. იგი შემოზღუდული უნდა ყოფილიყო კედლით. ჩვენამდე მოაღწია კედლის საძირკვლისთვის გაჭრილმა თხრილმა. კიბიანი ნაგებობის მასალაშიც შეიმჩნევა გვიანელინისტურზე ადრინდელი ნივთები. მაგალითად: სარდიონის სკარაბეოიდი, რომლის ერთადერთი პარალელი ახალგორის განძის ბეჭდის თვალია[113]. ასევე ადრეული ჩანს შავი ხაზებით შემკული ქვევრი და სხვა. ახალგორის განძი ძვ. წ. V ს. თარიღდება[114]. მოხატული ქვევრისა და მასიური კრამიტების პარალელად შეიძლება სამადლოზე აღმოჩენილი ანალოგიური მასალა მოვიტანოთ, რომლებსაც ი. გაგოშიძე ძვ. წ. III ს. ათარიღებს[115]. ამრიგად, უკვე ძვ. წ. III საუკუნეში ხიზანაანთ გორაზე ცხოვრება კვლავ ახლდება. რას წარმოადგენს ძველი ნაგებობა, ძნელი დასადგენია. მაგრამ ჩვენში, ელინისტურ ხანაში კრამიტით გადახურული მხოლოდ საზოგადოებრივი ნაგებობები ჩანს, განსაკუთრებით ტაძრები. არაა გამორიცხული, რომ ძველი ნაგებობაც ტაძარი იყო და ზედა რუ მისი ნაღვაწია.

ურბნისის ზედა რუ, მიუხედავად იმისა, რომ ვრცელ ტერიტორიას რწყავს და მრავალ სოფელს ემსახურება, მაინც ურბნისისა და მისი სამეურნეო ნაკვეთების მოსარწყავადაა გამოღებული. სოფელ საქაშეთსა და სასირეთს შორის ტაფობზე რუ გადის რუსხმულზე. რუსხმულის სიგრძე 5 კმ-ია, სიმაღლე— 8 მ. ფუძის სიგანე — 80 მ, მის მოსაწყობად 300 000 კბმ მიწა უნდა შეეზვი-

[113] Я. И. Смирнов. Ахалгорский клад. Тб. 1934. таб. XII.

[114] ი. გაგოშიძე. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბ. 1964. გვ. 76.

[115] ი. გაგოშიძე. ქსნის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970—71 წლების მუშაობის მოკლე ანგარიში. საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. III. თბ. 1974. გვ. 83—84.

ნათ და ეს მაშინ, როდესაც რუს ურბნისამდე გაღება ურუსხმულოდაც შესაძლებელია. რუსხმული მხოლოდ რამდენიმე მეტრით წევს ზედა რუს მაღლა, რაც იძლევა საშუალებას სარწყავი წყალი მისწვდეს ურბნისის აღმოსავლეთით, 2 კმ-ით დაშორებულ ქვაცხელების მიდამოებსაც, ე. ი. რუსხმული მოწყობილია ქვაცხელების მიდამოების მოსარწყავად. თვით ურბნისი და მის დასავლეთით მდებარე მიწები ურუსხმულოდაც მოირწყვებოდა. ამავე დროს, რუს მოქმედების მთელ ტრასაზე, სოფ. რუისის წინა უბნამდე ანტიკური ან უფრო ადრეული ძეგლები არა ჩანს. რუს მიერ მორწყული, ზემოთ ჩამოთვლილი სოფლები ფეოდალურ ხანაშია დასახლებული, როდესაც რუ უკვე მოქმედია და დასახლებაში მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს—ამ სოფლების მიდამოებში არათუ სარწყავი წყალი, არამედ სასმელიც, ზედა რუს გარდა, არ იპოვება. რუისის წინა უბანი ძველი ურბნისის ერთ-ერთი უბანია. ამგვარად, ზედა რუ თავდაპირველად გატანილია ურბნისისათვის ურბნელების მიერ. ახლა დასადგენია თუ როდის?

ურბნისის ადრეანტიკური დასახლება ძალიან მცირეა იმისთვის, რომ ასე დიდი სამუშაოს ჩატარება შესძლებოდა. ძვ. წ. III საუკუნის ნივთიერი მასალა მხოლოდ გორაზეა წარმოდგენილი და ისიც საკმაოდ მკრთალად. თუ ამ ხანის ნაშთი ტაძარია, მაშინ რუს გამოღება მისი თაოსნობით უნდა მომხდარიყო ძვ. წ. II—I საუკუნეებში. ამ ხანაში იწყება ურბნისის ინტენსიური დასახლება. ამავე ხანას ეკუთვნის ხიზანაანთ გორის კიბიანი ნაგებობაც. აქ აკრეფილი კერამიკული მასალა ანალოგიურია ნამოსახლარის ელინისტური ხანის თიხის ნაწარმისა. ხოლო კრამიტები ძალიან წააგავს არმაზისხევის, უფლისციხისა და სხვა კრამიტებს. ანალოგიურია, როგორც აღვნიშნე, კედლების კონსტრუქციებიც.

ადრე მე გამოვთქვი მოსაზრება, რომ ურბნისის ზედა რუ ადრეანტიკურ ხანაში უნდა გაეტანათ. მაშინ გორაზე ჯერ არ იყო ძველი ფენა გამოყოფილი და კიბიან ნაგებობას, სკარაბეოიდით და სხვა მონაცემებით, IV—III საუკუნეების მიჯნით ვათარიღებდით. ისევე, როგორც ამ დროს დათარიღებული იყო ნაქალაქარის ელინისტური ხანის ძეგლები. ურბნისში მცირე დასახლებას ზედა რუს გარეშეც შეუძლია ცხოვრება. ხიზანაანთ გორის დასავლეთით და აღმოსავლეთით გამომდინარე წყაროები მათ ქვევით ფერდს ადვილად მორწყავს, თუ იგი დატერასდება. ამჟამად, ამ ფერდებზე მოწყობილი ტერასები სწორედ ამ წყაროებით ირწყვება. მორწყული ფართობი საკმარისი იქნებოდა გორაზე არსებული სამლოცველოსა და მცირე დასახლებისთვის. ახლა ძნელია დადგენა, თუ ვის ეკუთვნოდა სამლოცველო, მაგრამ ვარაუდის გამოთქმა შესაძლებელია.

ანტიკური ქალაქების უმრავლესობაზე ან მათ მიდამოებში შემდგომ ხანებში დადასტურებულია საეპისკოპოსო კათედრალები: წუნდა — კუმურდო, ურბნისი, კასპი — სამთავისი, რუსთავი, ნეკრესი, ხორნაბუჯი და სხვა. საფიქრებელია, რომ უძველეს საეპისკოპოსოებს ხვდათ მაინც წილად იმ თემების მწყემსობა, რომლებიც ადრე ამ საეპისკოპოსოების ტერიტორიაზე მოქმედ ტაძარში ლოცულობდნენ, ე. ი. ქრისტიანული საეპისკოპოსო წარმართული ტაძრის მემკვიდრეა. ამ მხრივ საინტერესო ჩანს, რომ ურბნისიდან ორიოდე კმ-ის დაშორებით, მის ძველ უბანში ძველთაგანვე დაარსდა მეორე საეპისკოპოსო ცენტრი — რუისი. როგორც ურბნელი, ისე მროველი მოხსენებულია

506 წლის ქართულ, სომხურ და ალბანურ ეკლესიათა კრების მონაწილეებს შორის[116]. ურბნელი ლიახვის პირის მწყემსია, რუისის სამრევლო კი ტაშისკარამდე ვრცელდება. ურბნისის საეპისკოპოსომ ხიზანაანთ გორის ტაძარი შეცვალა, საძებარია რუისის საეპისკოპოსოს უშუალო წინაპარი, რომელიც, ალბათ, არადეთის მიდამოებში, ე. წ. „დედოფლის მინდორზე“ აღმოჩენილი ტაძარია. ასეთი გრანდიოზული ხუროთმოძღვრული ძეგლი ანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოში იშვიათია. მისი შესწავლა გრძელდება (საქართველოს სახ. მუზეუმის ექსპედიცია, ხელმძღვ. ი. გაგოშიძე). ამ ეტაპზე ზემოთქმულის მეტს ვერაფერს დავამატებ[117].

ამგვარად, ურბნელი ლიახვის პირის მწყემსია და, შესაბამისად, ხიზანაანთ გორა ლიახვის ხევის სალოცავია. ელინისტურ და უფრო ადრეულ ხანაში ლიახვის პირი დასახლებული არა ჩანს ცხინვალამდე. ცხინვალი და ცხინვალის ზემო თემები უნდა ყოფილიყვნენ, ურბნელებთან ერთად, ზედა რუს გამომღებნი. ამ მხრივ, შესაძლებელია, ხიზანაანთ გორა ცხინვალის ნაცარგორის მემკვიდრე იყოს.

უფრო ბუნდოვანია შიდა ქართლის ვაკის ცენტრში მდებარე მეორე დიდი ველის — ტირიფონას სარწყავად ათვისების დრო და ორგანიზაცია. ისტორიულ დოკუმენტებში ამ ველზე, მორწყვასთან დაკავშირებით, მოწმდება ტოპონიმი „რუსხმული“. „ქ. ამილახორის რევაზის ღ(ვ)თის წყალობავ გოგია თუმანიშვილო! მერმე, სამშაბათს დილაზე ელისაბედ ბატონიშვილი გორს მიბრძანდება. კომლის კაცით გორისჴვარელნიც შემოჰყარე დილაზე ადრიან სამშაბათ რუსხმულზე წინ მოგვეგებოს“ (XVII ს.).[118] ეს რუსხმული ტირიფონას ველზე ახლაც რელიეფურად იკვეთება. იგი გამოყენებულია ტირიფონას ახალ სარწყავ სისტემაში ტირიფონას ტაფობის გადასალახავად და რუს ბოლოს ასაწევად. რუსხმული გორი — თბილისის გზატკეცილთან, სოფ. შავშვებთან მთავრდება. აქ წყალი ორ ნაკადად იყოფა და რწყავს, რუსხმულის როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით, კვერნაქის ჩრდილოეთით მდებარე ველს[119]. ამჟამად ტირიფონას არხი სათავეს დიდი ლიახვისაგან იღებს. ადრე კი რუში წყალი მცირე ლიახვიდან ან მეჯუდადან უნდა დენილიყო.

თვით ტირიფონას ველზე რაიმე ძლიერი დასახლება არც ანტიკურ ხანასა და არც უფრო ადრე ჩვენ არა გვაქვს. ერთადერთი ნამოსახლარი სვენეთის გორაა, რომელზედაც მოსახლეობა ზის უკვე ადრეული ბრინჯაოდან ვიდრე ანტიკურ ხანამდე. მაგრამ ტირიფონას სარწყავი სისტემის შექმნას ამ გორას ვერ მივაწერთ. კვერნაქის სამხრეთით, მტკვრის პირას ანტიკური ხანის ორი

---

116 გ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი. რუისის ტაძრის ისტორიისთვის. ენიმკის მოამბე. V—VI. თბ. 1940. გვ. 441.

117 ი. გ ა გ ო შ ი ძ ე. წარმართული ტაძარი დედოფლის მინდორზე. ძეგლის მეგობარი. 35. თბ. 1974. გვ. 70—78.

მდ. ფრონესა და ფციას აუზში 1392 წლით დათარიღებულ შეწირულების წიგნში მოხსენებულია „დიდი რუსხმული“. „დიდი რუხმულიდან, რუსხმულის დაპირისპირებით კოდახევამდის ამისითა, რუთა, წყლითა, მიწითა, ჴალითა გვიბოძებია და შეგვიწირავს“ (ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. წ. I. თბ. 1914. გვ. 137—139). „დედოფლის მინდორის“ ტაძრის სავარაუდო ქვეყანაში რუსხმულის დადასტურება მეტად ნიშანდობლივი ფაქტია.

118 ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Ad 258.

119 მ. გ ე გ ე შ ი ძ ე. მორწყვის ძველი და ახალი სისტემა ტირიფონის ველზე. მას. საქ. ეთნოგრაფიისათვის. VI. 1953. გვ. 65.

დიდი ნაქალაქარია — კასპი და უფლისციხე. კასპი მდ. ლეხურაზე მდებარეობს, მისი მიდამოების მორწყვა არცთუ ისე ძნელია[120]. აქ სარწყავი მიწათმოქმედება ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანაში უნდა ვივარაუდოთ, რადგან მის მიდამოებში დადასტურებულია ამ ხანის ნამოსახლარი გორა და სამაროვანი[121]. ისე რომ, კასპის ნამოსახლარის წარმოშობა და გაქალაქება ტირიფონას სარწყავ სისტემას ვერ მიეწერება. კასპის მეურნეობაში რომ ლეხურას ეჭირა მთავარი ადგილი იქედანაც ჩანს, რომ გვიან ამ მდინარის ხეობაში დაარსდა საეპისკოპოსო ცენტრი — სამთავისი.

უფლისციხე, შესაძლებელია, რამდენადმე დამოკიდებული იყო ტირიფონას არხზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი „ქართლის ცხოვრებაში" კასპის ციხედ იხსენიება[122], იგი მაინც დიდი დასახლებაა და, რაც მთავარია, შიდა ქართლის სხვა ანტიკური ქალაქებივით ადრეფეოდალურ ხანაში არ თხელდება — არ სოფლდება, ქალაქობას ინარჩუნებს და ქართლის ადმინისტრაციული ცენტრიც ხდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ტირიფონას ველი უფლისციხის სასოფლო-სამეურნეო უბანია. ინტენსიური მიწათმოქმედება, რომელიც უფლისციხის მოსახლეთ ასაზრდოებდა, სწორედ აქ იყო შესაძლებელი. მტკვრის ჭალები უფლისციხესთან საკმაოდ ვიწროა. იგი დღევანდელ სოფელსაც ვერ აკმაყოფილებს, მტკვრის გაღმა სამეურნეო ნაკვეთების მოწყობა ძნელად წარმოსადგენია. მეტად დიდი დაბრკოლებაა მდინარე. ამიტომ უფრო უპრიანია ტირიფონას ველის სასოფლო-სამეურნეოდ ათვისება.

უფლისციხის დასავლეთით ყათნალის ხევში ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამლოცველო ბორცვი დაადასტურა. ამავე ხევის ორივე ნაპირას ელინისტური ხანის ნამოსახლარებიცაა[123]. ამ დროს უნდა მომხდარიყო უფლისციხის გაქალაქება და ტირიფონას სარწყავი სისტემის მშენებლობაც, თუ, რა თქმა უნდა, ჩემი ვარაუდი სწორია და ტირიფონას ველი უფლისციხის სასოფლო-სამეურნეო უბანია.

ზემოთაც აღვნიშნე, რომ შიდა ქართლის სამივე ველზე რუსხმულია დამოწმებული. რომ დოღლაურის რუსხმული ურბნისის გაქალაქებას უკავშირდება და იგი ძვ. წ. პირველ საუკუნეში უკვე გატანილია, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ეჭვს არ იწვევს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მუხრანის სარწყავი სისტემების, მათ შორის რუსხმულის ელინისტური ხანით დათარიღებაც. ტირიფონას რუსხმული ანალოგიურია მუხრანისა და დოღლაურის ველების რუსხმულებისა. სხვაგან საქართველოში ასეთი ნაგებობები იშვიათია, ამიტომ შეიძლება ტირიფონას სარწყავი სისტემა ელინისტური ხანით დავათარიღოთ. მით უმეტეს, რომ არსებობდა დასახლება, რომელიც მისი გატანის ინიციატორად გამოვიდოდა.

ყველაზე ინტენსიურად ანტიკურ ხანაში მუხრანის ველი ირწყვებოდა და ეს გასაგებიცაა, რადგან „თუ მოვიგონებთ იმასაც, რომ — წერს აკად. ს. ჯანაშია — მუხრანი, უკვე მის შესახებ დაცულს უძველეს ცნობაში და შემდეგ-

---

[120] ი. კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. გვ. 76. სქემა.

[121] მ. ბარამიძე. 1963 წლის საველე არქეოლოგიური სამუშაოები ქ. კასპში და მის მიდამოებში. ისტორიის ინ-ტის XIII სამეცნ. სესია. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ. 1964. მისივე. კასპის სამაროვანი. მსკა. ტ. IV. თბ. 1965.

[122] კასპისა და უფლისციხის ურთიერთობაზე იხ.: ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. I. თბ. 1968.

[123] დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე. გვ. 17—40.

შიაც ჩვეულებრივად მეფის სადგომი „სასახლე“ და საზამთრო რეზიდენცია ჩანს..., მაშინ აზრი იბადება, რომ ეს რაიონი შესაძლებელია ყოფილიყო ძველი ქართლის მეფეთა ძირითადი და იქნებ უძველესი დომენი, ხოლო ამასთან დაკავშირებით მოულოდნელი და საინტერესო შუქი ეფინება იმ გარემოებას, რომ მუხრანის ერთი უმთავრესი არხთაგანი „საგლახაო რუს“ სახელწოდებას ატარებს. იქნებ ეს სწორედ იმის კვალი იყოს, რომ აქ სწორედ მეფის ძირითად დომენზე, სადაც მეფის ძირითადი „ხოდაბუნები“ იყო... ისხდნენ სამეფო ყმები სტრაბონისეული „ლაოი“, ე. ი. ქართ. „გლეხები“, „გლახები“[124]. ანალოგიური მოსაზრება „საგლახაო რუს“ შესახებ გამოთქმული აქვს აკად. ნ. ბერძენიშვილსაც. თვით სახელწოდება ამ რუსი, ფიქრობს ნ. ბერძენიშვილი, ადასტურებს, რომ იგი უძველესია: „ეს რუ თვით ამ გლახებს (თუ გლეხებს) კი არ გაუტანიათ, მათ კი არ ეკუთვნით, არამედ მათთვის სხვამ გაიტანა და სხვასაც ეკუთვნის“[125].

ამგვარად, მუხრანის სარწყავი სისტემების მშენებლად მცხეთის სამეფო სახლი გამოდის. მაგრამ ტერმინი „საგლახაო რუ“, გარდა იმისა, რომ წყლის კუთვნილებასა და უძველესობაზე მიუთითებს, უნდა აღნიშნავდეს იმ გარემოებასაც, რომ მისი გამოღების დროს მუხრანის ველზე მოქმედებდა სხვა არხებიც. წინააღმდეგ შემთხვევაში რუს კუთვნილების ასეთი ხაზგასმა საჭირო არ იქნებოდა. ან პირიქით, რუს მოქმედების რაიონში შემდეგ გაიყვანეს სხვა რუ, რომლისგან განსასხვავებლად ხაზი გაესვა რუს მფლობელობას. ასეა თუ ისე, რაც მთავარია, სახელწოდება — „საგლახაო რუ“ გვიჩვენებს, რომ მასთან ერთად „გლახების“, „გლეხების“ სოციალური ფენის არსებობის დროს მოქმედებს სხვა რუებიც. ამჟამად, „საგლახაო რუს“ გარდა მუხრანის ველს ორი სხვა რუ რწყავს: „თელოვნისა“ და „დიდი რუ“. ორივე რუ ანტიკურ დასახლებასთან არის დაკავშირებული და მათი „საგლახაო რუსთან“ სინქრონიზაცია ძნელი არ არის. უფრო სწორად, სამივე რუ ქმნის მუხრანის ერთიან სარწყავ სისტემას ისე, რომ ბოდავიდან ვიდრე კვერნაქამდე და კვერნაქის სამხრეთით ირწყვება სამიწათმოქმედოდ გამოსადეგი ყოველი მიწის ნაჭერი, ამიტომ მცხეთისა და „სეფე სახლის“ როლი სამივე არხის გატანაში ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

„საგლახაო რუ“ სათავეს იღებს მდინარე ქსნის მარცხენა ნაპირიდან, სოფ. ქსოვრისთან, თელოვან-ჯვარპატიოსნის ძირს გაივლის და დამპალა—ერედა—ძალისაზე გავლით წილკნის მიდამოებში შედის. მეორე „თელოვნის“ რუც სათავეს სოფ. ქსოვრისთან იღებს, მიემართება აღმოსავლეთით ბოდავის მთის ფერდობზე, გაივლის ჯვარპატიოსნის ძირს, გაუვლის სოფ. დამპალას და სოფ. ძალისას ჩრდილოეთით შეერთვის მდ. ნარეკვავს. მაგისტრალური არხის სიგრძე 10 კმ-ია, რწყავს ბოდავის ძირს შეფენილ სოფლებს ვიდრე „საგლახაო რუმდე“, მაგრამ, უმთავრესად, ძალისას ემსახურება.

ძალისა ანტიკური აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული პუნქტია და მოხსენებულია პტოლემაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“[126]. არაერთი მეცნიერი პტოლემაიოსის ძალისას თანამედ-

---

[124] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები. ტ. 1. გვ. 264—265.

[125] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ერთი ფურცელი ისტორიული გეოგრაფიის დღიურიდან. გვ. 180.

[126] ნ. ლ ო მ ო უ რ ი. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. ისტ. ინ-ტის შრ. IV. ნაკვ. 1. თბ. 1958. გვ. 112.

როვე ძალისასთან აიგივებს და მის ლოკალიზაციას მუხრანის ველზე ახდენს. „სოფელი მისაქციელი, — წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი — რომელიც ამ თავის მეტყველის სახელით ნიშანდობლივად უჩვენებს, თუ საიდან მოდიოდა მთავარი გზა, „მისაქციელი“ (მისაბრუნი, მიხვეულა-მოხვეულა გურული კილოთი) — ეს პუნქტი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ძალისა — წილკანზე გამავალი გზისთვის და არავითარ შემთხვევაში მცხეთიდან არაგვისპირით მიმავალი გზისთვის... ასე რომ ძალისა თავის ადგილზე კარგად ზის“[127]. თელოვნის რუს ძალისასადმი კუთვნილება იყო ჩემთვის ძირითადი არგუმენტი ამ რუს ანტიკური ხანით დათარიღებისთვის[128].

იმ მეცნიერთა მოსაზრება, რომლებიც ძველ ძალისას ლოკალიზაციას ახალთან ახდენდნენ, ბრწყინვალედ დადასტურდა არქეოლოგიური გათხრებით. აქ, ამ ორიოდე წლის წინ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ალ. ბოხოჩაძის ხელმძღვანელობით ქალაქის არაერთი ხუროთმოძღვრული ნაგებობის კვალი აღმოაჩინა: აბანო, ტაძარი თუ სასახლე და სხვა. ალ. ბოხოჩაძე ვარაუდობს, რომ „აქ გამოვლენილი ნაქალაქარი ძველ ქართულ საისტორიო წყაროში ხსენებული „მუხრანით კერძი ქალაქი“ უნდა იყოს, რომელიც პტოლემაიოსისეული „ძალისას“ ექვივალენტს წარმოადგენს და მუხრანის ველზე, აწინდელ ძალისას ადგილზე მდებარეობდა“. გათხრების შედეგად გამოვლენილ ნაგებობების ნაშთებს ალ. ბოხოჩაძე I—IV საუკუნეებით ათარიღებს[129]. ჩვ. წ. I საუკუნით შეიძლება დავათარიღოთ ჩვენც „თელოვნის რუ“, რადგან ამ არხის გარეშე ძალისას ქალაქობა წარმოუდგენელია. მართალია, მის მიდამოებს ნარეკვავიდან გამოტანილი რუებიც უდგება, მაგრამ ნარეკვავი წყალცოტაა, ხოლო ზაფხულში — სულ შრება.

„დიდი რუ“ სათავეს იღებს ქსნიდან სოფ. მუხრანსა და ქსოვრისს შორის, მოედინება სამხრეთ-აღმოსავლეთით, რწყავს მუხრანს, გადადის ციხე ბოდავსა და კვერნაქს შორის ტაფობზე და რწყავს კვერნაქის ფერდობზე შეფენილ სოფლებს: ქანდას, წეროვანს, გიროვანს და სხვა[130]. აკად. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, „დიდი რუ“ იგულისხმება ვახუშტის „აღწერაში“, როდესაც ის ამბობს, რომ: „ქსორისი მუნ არის აღებული რუ და რწყავს ორთა მათ მთათა შორის მინდორთა, სარკინეთისა და ციხე ბოდვის მთათა შორისა და ნაყოფიერებს ფრიად“[311]. ისევე როგორც ზედა რუ დ ატირიფონას არხი, „დიდი რუც“ ტაფობზე რუსხმულით გადის. რუსხმულის სიმაღლე 6 მ-ია და გადაჭიმულია მრავალ კილომეტრზე. აკად. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი დასკვნით, რუსხმული ტეხილია მუხრანის ველის სარწყავ სისტემაში. მხოლოდ მისი საშუალებით შეიძლება კვერნაქი-სარკინეს მთის მიმდგომი ველის მორწყვა[132]. ვფიქრობ, სწორედ ამ ველის და არა თვით მუხრანის მოსარწყავად არის გატანილი „დიდი რუ“. უფრო მეტიც, ეს რუ ნასტაკისის ველსაც წვდება და ამ ველის მრწყველ რუს სწორედ დიდი რუს რუსხმულზე უნდა ჰქონოდა სათავე.

---

127 ნ. ბერძენიშვილი. ერთი ფურცელი... გვ. 180.

128 ი. კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. გვ. 82.

129 ალ. ბოხოჩაძე. ნასტაკისი, სარკინე, ძალისი. „ძეგლის მეგობარი“. 33. თბ. 1973. გვ. 45.

130 ი. კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. გვ. 84. სქემა 9.

131 ვახუშტი. აღწერა... გვ. 63.

132 ნ. ბერძენიშვილი. ერთი ფურცელი ... გვ. 179.

ინჟინერ-ჰიდროტექნიკოს ა. ყიფშიძეს შედგენილი აქვს ნასტაკისის ველის სარწყავი სისტემის სქემატური გეგმა. გამოირკვა, რომ ნასტაკისის ველი რომ ქსნის წყლით მოირწყოს, წყალი აუცილებლად დიდი რუდან უნდა გადავიდეს. სხვა შემთხვევაში ქსნის წყალი თვითდინებით ნასტაკისის ველზე ვერ მოხვდება[133]. ამგვარად, „მოქცევაი ქართლისაიში“ დაცული ცნობა ქსნიდან რუს გამოღების შესახებ დიდ რუს ეხება. სხვა რომ არა, ეს ცნობაც საკმარისია, რომ დიდი რუ თავისი რუსხმულით ელინისტური ხანით დავათარიღოთ. ამ თარიღს კიდევ უფრო ამაგრებს ნასტაკისის ველის არქეოლოგიური გათხრები. აქ ზემოხსენებულმა ექსპედიციამ ინტენსიური ცხოვრების კვალი დაადასტურა ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან ახ. წ. VI საუკუნის ჩათვლით. შემდგომ ეს ადგილი მიუტოვებიათ, რაც აღმოსავლეთ საქართველოს ანტიკური ქალაქების საერთო კრიზისით უნდა იყოს გამოწვეული[134].

ნასტაკისთან დაკავშირებული ჩანს სამადლოს ნამოსახლარი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ქსნის გასწვრივ. აქ საქართველოს მუზეუმის ექსპედიციამ ი. გაგოშიძის ხელმძღვანელობით საკმაოდ ძლიერი ნამოსახლარი დაამოწმა მდიდრული ნეკროპოლით, საკულტო თუ საზოგადოებრივი ნაგებობებით და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნამოსახლარის გათხრებმა გაამდიდრა ჩვენი ცოდნა საქართველოს ელინისტური ხანის კულტურაზე (აქ დადგენილი იქნა ჩვენში მხატვრული ხელოსნობის აქამდე უცნობი დარგი, თიხის ჰურჭლის მხატვრობა და სხვა), მაინც იმის გამო, რომ დღესაც ვრცელი ნამოსახლარიდან ქსნის აგურის ქარხნის კარიერმა დაგვიტოვა მხოლოდ სამი უმნიშვნელო ნაგლეჯი, „რიგი საკითხების გადაჭრა შეუძლებელი შეიქმნა. ვარაუდების გარდა არაფრის თქმა შეიძლება ნამოსახლარების გამაგრების სისტემისა და საერთო გეგმარების შესახებ, გაურკვეველია გამოვლენილი ნაგებობების ხასიათი და ურთიერთკავშირი“[135]. არ ჩანს, რაც მთავარია, დასახლების სამეურნეო ხასიათი და სოციალური ბუნება. საერთოდ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, შიდა ქართლში მცხეთამდე ანტიკური ხანის რამდენადმე ძლიერი ნამოსახლარი არა ჩანდა. მცხეთა მტკვრის ორივე ნაპირს მოიცავდა. დიდი მცხეთა თავისი უბნებით გადაჭიმული იყო ქსნიდან თანამედროვე სადგურ ზაჰესამდე“[136]. ისე რომ, სამადლოს დასახლებაში არაბუნებრივი არაფერია, მაგრამ ეს ნამოსახლარი ერთფენიანია და ძვ. წ. IV—III საუკუნეების მიჯნით თარიღდება[137]. ძვ. წ. III საუკუნის შემდეგ აქ დასახლება აღარა გვხვდება. მის ახლომახლო არ ჩანს ადრეული ხანის ძეგლიც და ძნელია განისაზღვროს სამადლოში ადრეელინისტურ ხანაში ჯერ დასახლების, ხოლო შემდეგ მისი მიტოვების სოციალ-ეკონომიური წანამძღვრები. საფიქრებელია, რომ ნასტაკისისა და სარკინეს მთის ჩრდილო ფერდობის გასარწყავებამ მოსახლეობა სამადლოდან, მისი დარბევისა და გადაწვის შემდეგ, ამ მიწებზე დაასახლა, არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ მუხრანის დიდი რუს, იგივე ნასტაკისის სარწყავი სისტემების მშენებლობის ინიციატორად სამადლო გამოსულიყო. აქ საგულვებელი უნდა იყოს დიდი ტაძარი. მოხატული კერამიკის ბრწყინვალე ნიმუ-

---

[133] Ю. М. Гагошидзе. Памятники материальной культуры... стр. 16.

[134] ა. ბოხოჩაძე. ნასტაკისი, სარკინე, ძალისა. გვ. 37.

[135] ი. გაგოშიძე. ქსნის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970—71 წლების მუშაობის მოკლე ანგარიში. გვ. 84.

[136] ა. აფაქიძე. მცხეთა ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. თბ. 1959. გვ. 78—81.

[137] ი. გაგოშიძე. ქსნის არქეოლოგიური ექსპედიციის... გვ. 84.

შები, რომლებსაც ანალოგია არც საქართველოში და არც მის გარეთ გააჩნია[138], სწორედ ტაძრის კუთვნილება ჩანს. საერთოდ, კულტი ნასტაკისზეც რელიეფურად იკვეთება. აქ, თუ ალ. ბოხოჩაძის განსაზღვრა სწორია, საქართველოში უძველესი ეკლესიაა დამოწმებული (III საუკუნე).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე შიდა ქართლში ანტიკური ძეგლები იშვიათია. ეს მით უფრო უცნაურია, რომ წინა ანტიკურ ხანაში სწორედ ეს რაიონია ყველაზე ინტენსიურად და კომპაქტურად დასახლებული. მორწყვის სიადვილემ და მიწათმოქმედებისთვის ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა ეს მხარე მჭიდროდ დაასახლა უკვე გვიანბრინჯაოს ხანიდან. იგივე მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო მისი ჩამორჩენის ფაქტორი ანტიკურ ხანაში. მორწყვის სიადვილემ განაპირობა ის, რომ სარწყავი სისტემის შექმნა-ექსპლოატაცია შესაძლებელი ხდება შედარებით ისეთი პატარა კოლექტივის მიერ, როგორსაც წარმოადგენს სასოფლო თემი ან რამდენიმე თემის გაერთიანება. მორწყვით ორგანიზებული თემი კი უფრო სიცოცხლისუნარიანი და მტკიცე ერთეულია. კერძო ინიციატივა და, შესაბამისად, მიწის კერძო მფლობელობაში და შემდგომ საკუთრებაში გადასვლა ასეთ თემებში დაბრკოლებულია.

სხვაა დიდი ველების სარწყავად მოწყობა, რომელიც მხოლოდ დიდ კოლექტივს ძალუძს და მის ორგანიზატორად ტაძარი ან სახელმწიფო — სეფესახლი გამოდის. შესაბამისად, გასარწყავებულ მიწებზე ამ ტაძარსა თუ სეფესახლს გარკვეული უფლება აქვს და აქ მოსახლენი უფლებრივად მათზე არიან დამოკიდებული. ამიტომ უნდა იყოს, რომ ანტიკურ ხანაში ბარი მეწინავეობს[139]. ამის საბუთად შეიძლება მტკვრის მარჯვენა შენაკად კავთურას მარცხენა სანაპიროზე, შესართავიდან 2 კმ-ის დაშორებით, სოფ. ჩოჩეთში ე. წ. „ციხია გორაზე“ აღმოჩენილი ნამოსახლარი გამოდგეს.

„ციხია გორაზე“ დამოწმებულია ადრეული ბრინჯაოს, ადრეული რკინის და ანტიკური ხანის ნამოსახლარი ფენები. აქედან ყველაზე ძლიერი ანტიკური ნამოსახლარია. იგი წარმოდგენილია ელინისტური და რომაული ხანის ფენებით. გარდა თვით გორისა, ანტიკურ ხანაში დასახლებული ყოფილა მის გარშემო მინდორიც. ერთი სიტყვით, ჩოჩეთის „ციხია გორას“ ნამოსახლარი ანტიკურ ხანაში საკმაოდ ვრცელია და, რაც მთავარია, აქ დამოწმებულია ტოპონიმი რუსხმული. „ეს ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდებარეობს „ციხია გორას“ ჩრდილო-დასავლეთით და ზედ დღესაც გადის კავთურადან გამოყვანილი ე. წ. სამძივის რუ, რომლის გამოღებას, ისევე როგორც რუსხმულის მშენებლობასაც, ადგილობრივი მოსახლენი თამარ მეფეს მიაწერენ“[140].

ამგვარად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ვიდრე ქსანამდე ანტიკური ხანის ერთადერთი დიდი ნამოსახლარის წარმოქმნა დიდსა და ტექნიკურად რთულ საირიგაციო მშენებლობასთან არის დაკავშირებული. ასეთი, ძნელად სარწყავი ადგილები კი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე შიდა ქართლში ცოტაა; შესაბამისად, ცოტაა ანტიკური ხანის ნამოსახლარები. მცხეთის უბნებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო სტრაბონის მიერ აღნიშნული სევსამორა, რო-

---

138 ი. გ ა გ ო შ ი ძ ე. ქსნის არქეოლოგიური ექსპედიციის... გვ. 86.

139 ი. კ ი კ ვ ი ძ ე. მორწყვა ძველ საქართველოში. გვ. 50.

140 ი. გ ა გ ო შ ი ძ ე. ქსნის არქეოლოგიური ექსპედიციის... გვ. 87.

მელიც არაგვის მარცხენა ნაპირზე, წიწამურის სერზე მდებარეობდა[141]. განსაკუთრებით საინტერესო ჩანს წიწამურის უბნის სამაროვანი. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აქ დამოწმებულია სამარხთა რამდენიმე ქრონოლოგიური ჯგუფი. სამარხებში აღმოჩენილი თიხის ნაწარმი თუ რკინის მოღუნული დანები მევენახეობის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს ანტიკურ ხანაში. სევსამორა წიწამურის სერზეა გაშენებული, სამაროვანი კი დაბლა, არაგვის ნაპირას, ვიწრო ვაკობზე მდებარეობს, ე. წ. „პირდაპირობის" მინდორზე. რ. რამიშვილი აღნიშნავს, რომ კამარახევის სამაროვანი სიდიდით სამთავროს განთქმულ სამაროვანს არ ჩამოუვარდება[142]. მაშინ, ჯერ კიდევ ელინისტურ ხანამდე წიწამურის მიდამოებში სავარაუდოა მიწათმოქმედთა დიდი დასახლება. გვიანაც, სევსამორას დიდი მცხეთის უბნად ქცევისას, ა. აფაქიძის დაკვირვებით, სხვა უბნებთან შედარებით მიწათმოქმედთა გარკვეული, შესამჩნევად მრავალრიცხოვანი ჯგუფია საგულისხმო[143].

უფრო აღმოსავლეთით, ზაჰესის მიდამოებში, საფიქრებელია, მცხეთის კიდევ ერთი უბნის არსებობა. ჯვრიდან ზაჰესის სადგურამდე აღმოჩენილია ანტიკური ხანის არაერთი სამარხი თუ ნაგებობა. აქ ვხვდებით ქვევრსამარხებს, ორმოსამარხებს, კრამიტსამარხებს და სხვა. განსაკუთრებით კარგად არის წარმოდგენილი I—III საუკუნეები. 1938 წელს აქ, რკინიგზის ახალი ხიდის მშენებლობის დროს, აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის სამაროვანი და ზღუდის ნაშთები[144]. ამგვარად, არაგვის მარცხენა სანაპირო მცხეთიდან ვიდრე ავჭალამდე დასახლებულია. ბუნებრივია, ყოველ დასახლებას შესაბამისი სამეურნეო ნაკვეთები უნდა ჰქონოდა, მით უმეტეს, რომ, როგორც აღვნიშნე, სამაროვნის მასალები აქ უფრო მიწათმოქმედთა დასახლებას გვავარაუდებინებს.

ინტენსიური მიწათმოქმედება ჯვარი-ზედაზნის მთის ფერდობებზე ხელოვნური მორწყვით არის განპირობებული. არაგვისა და მტკვრის მარცხენა ნაპირი ამ მონაკვეთზე საკმაოდ მშრალია და რამდენადმე მოზრდილი ღელენაკადული ან ხევის წყალი აქ არ გადმოედინება. ბუნებრივია, რომ ამ ფერდობებისა და ველების მოსარწყავად რომელიმე დიდი, ტექნიკურად რთული ნაგებობა ვივარაუდოთ. ასეთ სარწყავ სისტემად მე ჟინვალიდან გამოღებული რუ მიმაჩნდა[145]. ცნობილი ჰიდროინჟინრების — პროფ. ივ. ჩხენკელისა და ალ. ლოსაბერიძის ცნობით, ჩვენი საუკუნის ოციან წლებში ავჭალა-ზაჰესის მიდამოებში შემორჩენილი იყო ნარუალი, რომლის გეზი ისეთი იყო, რომ სათავე არაგვზე უნდა ჰქონოდა, სოფ. ჟინვალთან. მათივე დაკვირვებით, ეს რუ უნდა ყოფილიყო გამოყენებული სამგორის ველის მოსარწყავად შუა საუკუნეებში. პროფ. ივ. ჩხენკელის აზრით, ძველი ნარუალის ტრასა ჰქონდათ გამოყენებული ცნობილ ინგლისელ ინჟინრებს ბელსა და გაბას სამგორის ველის სარწყავი სისტემის დაპროექტების დროს[146]. ამ არხს საფუძვლად უნდა დადე-

---

141 ა. აფაქიძე. ანტიკური წყაროების სევსამორა — წიწამური. ისტ. ინ-ტის შრომები. თბ. 1958. IV. ნაკვ. I. გვ. 60.

142 Р. М. Рамишвили. Материалы к истории Карталинского царства во второй половине первого тысячелетия до н. э. Автореферат диссерт. на соиск. уч. ст. канд. ист. наук. Тб. 1960.

143 ა. აფაქიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 60.

144 იქვე. გვ. 77.

145 ი. კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. გვ. 87.

146 პროექტი ინახება საქართველოს ცენტრალურ არქივში. ეს რუ მოხსენებულია კახთა მეფის ალექსანდრეს 1579 წლით დათარიღებულ საბუთში, რომლითაც იგი სვეტიცხოველს უახლებს

ბოდა არაგვიდან, საგურამოსა თუ მის აღმოსავლეთით მდებარე ველების მორწყავად გამოღებული რუ. სხვა წყალი ამ ტერიტორიას არ უდგება. ხოლო არაგვმა რომ სამგორი მორწყას, საჭიროა სათავე სოფ. ჟინვალთან მოეწყოს. ნიშანდობლივია, რომ სოფ. ჟინვალში დამოწმებულია გვიანანტიკური დასახლება[147].

ანტიკურ ხანაში ინტენსიური მიწათმოქმედების კვალი დადასტურებულია დიღმის მასივ-დასახლებასა და მის მიდამოებში. დადგენილია ამ ველის სარწყავი არხიც[148]. იგი დიღმის ხევში იღებს სათავეს და მიემართება დასავლეთით, სამხედრო გზის პარალელურად მთის ფერდობზე, თითქმის ზაჰესამდე, ისე რომ, დიღმის ველი მთლიანადაა სარწყავად ათვისებული. დიღომში ინტენსიური ცხოვრება უკვე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან ჩანს. „თრელი გორები“ ამ ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი დიდი ნამოსახლარია და, საფიქრებელია, რომ დიღმის ველის სარწყავი სისტემები ჯერ კიდევ აქ მოსახლეთა მიერაა მოწყობილი. ანტიკურ ხანაში დასრულდა ამ ველის გასარწყავება.

წელთაღრიცხვების მიჯნაზე ხდება რუსთავ-ყარაიას ველის სამიწათმოქმედოდ ათვისება, რაც ამ ველის გასარწყავებასაც ნიშნავს. რუსთავის მიდამოები რამდენიმე ნამოსახლარით არის წარმოდგენილი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი „ციხია გორა“ უნდა ყოფილიყო. სწორედ აქ, მტკვრის ჭალაში უნდა გაეტანათ პირველი მცირე არხები, რომელნიც შემდგომ სათავეს უდებენ ყარაიის სარწყავ სისტემას. „რუსთავის ზრდა და, შეიძლება, მისი ინტენსიური დასახლებაც — წერს ლ. ჭილაშვილი — არხთან არის დაკავშირებული. იგი, როგორც ძველი ნამოსახლარი, მტკვრისპირეთით საზრდოობს. ირიგაციის გაძლიერებით იგი იზრდება, შესაბამისად მატულობს ასათვისებელი მიწებიც“[149]. ყარაიის ველის არქეოლოგიური ძეგლები წელთაღრიცხვის მიჯნის მასალებს შეიცავს, რაც, ვფიქრობ, მოწმობაა იმისა, რომ ამ დროს ყარაიის არხის მშენებლობა დამთავრებულია. მაგრამ არხის გატანასთან დაკავშირებით უნდა შეცვლილიყო იმ ხევის ეკონომიური საფუძველიც, რომლის ცენტრიც რუსთავი იყო. ლ. ჭილაშვილი რუსთავის დაწინაურების მთავარ მიზეზად ბინადარ მეურნეობას, მესაქონლეობას და ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას თვლის კერძოდ იმას, რომ „რუსთავი გასაღებია ყარაია-მტკვრისპირეთის საზამთრო საძოვრებისაკენ, რის გამოც ის განსაკუთრებით დაწინაურდა. რუსთავისთვის ბრძოლა ფეოდალურ ხანაში საძოვრების დაუფლების ნიშნით მიმდინარეობდა“[150]. მესაქონლეობას, რა თქმა უნდა, დიდი ადგილი უჭირავს კუხეთის მეურნეობაში, მაგრამ ფეოდალურსა თუ ანტიკურ ხანაში რუსთავის დაწინაურებისა და მისი ხევის ცენტრად ქცევის მიზეზი მაინც სარწყავი არხით განპირობებული მიწათმოქმედება უნდა ყოფილიყო. იგი ფლობდა რუს სათავეს, ე. ი. ხელში ეჭირა ინტენსიური მიწათმოქმედების — ხევის ეკონო-

---

შეწირულებას, ყველა მის სოფელს და მამულს: „...იორს გაღმა რაჟიანთ ეკლესიას ქუემოთ, სამგორში თამარ მეფისგან აღებულს რუს შიგნით...“ (ექ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი. ტ. 1. ტფილისი. 1899. გვ. 91)

147 რ. რამიშვილი. ჟინვალის 1972 წ. არქეოლოგიური ექსპედიცია. „მაცნე“. № 1. 1973. გვ. 181—187.

148 რ. აბრამიშვილისა და გ. ცქიტიშვილის ცნობა.

149 ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. I. გვ. 47.

150 იქვე.

მიკის ძარღვი, ამით კი, ბუნებრივია, ბატონობდა მთელს ხევზე[151]. ეს, რა თქმა უნდა, ვერ გამორიცხავს რუსთავ-ყარაიის ველის მესაქონლეობისთვის გამოყენებას, მაგრამ ეს მესაქონლეობა მომთაბარე აღარ უნდა იყოს. და, საერთოდ, ბარის სამიწათმოქმედოდ მოწყობის შემდეგ მისი ურთიერთობა მასთან საკმაოდ გართულებული ჩანს. იქ, სადაც ბაღ-ვენახები ეწყობა, ბუნებრივია, საძოვრები კლებულობს და ბარი იბრძვის შეზღუდოს ან საერთოდ აღკვეთოს მომთაბარეთა მიერ ბარის საზამთრო საძოვრებად გამოყენება. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

მიწათმოქმედების მძლავრმა აღმავლობამ ანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოში იორ-ალაზნის აუზიც მოიცვა. სამწუხაროდ, ეს ხანა კახეთში სუსტად არის შესწავლილი, თუმცა ძეგლები საკმაო რაოდენობით არის დადასტურებული, ამ ძეგლების არეალით თუ კომპაქტურობით შეიძლება კახეთის ამა თუ იმ კუთხეში მიწათმოქმედების ინტენსიობის მეტ-ნაკლები სისწორით განსაზღვრა. კახეთში ელინისტური ხანის მასალები ცოტაა, ძეგლები შესამჩნევად მრავლდება წელთაღრიცხვების მიჯნაზე. იორ-ალაზნის აუზში ამ დროს ვრცელდება ე. წ. იალოილუ-თეფეს კულტურა, რომელსაც აქ აშკარად გამოხატული სამიწათმოქმედო ხასიათი აქვს. უფრო მეტიც, ამ კულტურის მატარებელი ტომები აშკარად მევენახეები არიან. აღმოსავლეთ საქართველოში იალოილუ-თეფის კულტურის გავრცელების საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებია. პირველად ეს კულტურა ჩვენში გ. ნიორაძემ დაადასტურა და იგი ალაზნის ველის კულტურად მონათლა, სწორად დაათარიღა რა იგი წელთაღრიცხვების მიჯნით[152]. შემდგომ, ამ კულტურას შეეხო კამარახევის სამაროვნის განხილვისას, რ. რამიშვილი. მან გარკვეული მსგავსება შეამჩნია აღმოსავლეთ საქართველოს ადრეანტიკური ელინისტური ხანის კერამიკასა და იალოილუ-თეფეს თიხის ნაწარმს შორის, ეს კულტურა ადგილობრივ ტრადიციებზე წარმოშობილად მიიჩნია და მას ჰერული კულტურა უწოდა[153].

რ. რამიშვილისაგან სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება წამოაყენა კ. ფიცხელაურმა. იგი ფიქრობს, რომ ეს კულტურა ჩვენში აღმოსავლეთიდან იჭრება, გავრცელებულია იორ-ალაზნის აუზის ქვემო წელში. მათ შუა დინებაში ამ კულღურის კვალი კლებულობს, ხოლო შიდა და ქვემო ქართლში საერთოდ არ აღწევს[154]. იგი კახეთის ანტიკურ ძეგლებზე გავრცელებულ ზოგიერთ თიხის ჭურჭელს, სავსებით სამართლიანად, ტრადიციულად თვლის ელინისტური და გვიანი ანტიკური ხანისთვის, ადგენს ამ ჭურჭლების მსგავსებას წინაანტიკური ხანის თიხის ნაწარმთან და ფიქრობს, რომ სწორედ ამ ჭურჭლების შემცველი კულტურა თუ ძეგლებია ადგილობრივი და არა იალოილუ-თეფეს კულტურა, მით უმეტეს, რომ ეს კულტურა I საუკუნის შემდეგ უკვალოდ ქრება[155]. ვფიქრობ, კ. ფიცხელაურის მოსაზრება საკმაოდ საბუთიანია. ჩვენი კვლევისთვის მთავარი მაინც ის არის, რომ იორ-ალაზნის აუზში ბევრგან არის დამოწმებული მიწათმოქმედთა ნაკვალევი, ადგილობრივი კულტურის შემცველია იგი თუ უცხოურის.

---

[151] ი. კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. გვ. 89.

[152] გ. ნიორაძე. ალაზნის ველის გათხრები. თბ. 1940.

[153] რ. რამიშვილი. მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში (კამარახევის სამაროვანი). საკანდიდატო დისერტაცია. თბ. 1960.

[154] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 202.

[155] იქვე. გვ. 203.

იორის აუზში ანტიკური ხანის ძეგლები შედარებით სუსტადაა გამოვლენილი. აღმოჩენები ისეთ ადგილებში, როგორიცაა გიორგიწმინდა, საგარეჯო, პატარძეული, ანთოკი, ყანდაურა, სადუხი, მაღარო და სხვა, იმის მოწმობაა, რომ აქ დიდი სარწყავი სისტემები გატანილი არ არის. მიწათმოქმედებას, უმთავრესად, ხავის წყლების ნაპირებზე, ივრის ჭალებში, ან ისეთ მაღალ ადგილებში მისდევენ, სადაც ხელოვნური მორწყვა აუცილებელი სამეურნეო ღონისძიება არ არის. მაგრამ უკვე ამ დროს ედება საფუძველი ამ ხეობის სამიწათმოქმედოდ მოწყობას და ამ ხანაში უნდა ჩამოყალიბებულიყო სარწყავ სისტემათა ის ჯაჭვი, რომელსაც ეყრდნობა ივრის აუზის ინტენსიური მიწათმოქმედება. ნინოწმინდის რუ, გიორგიწმინდის რუ, სიღარიბის რუ, ხალაჯების რუ და მრავალი სხვა—ქმნიან სარწყავი არხების საკმაოდ ხშირ ქსელს, რომელიც რწყავს ივრის მიმდგომ ველს ნინოწმინდიდან ვიდრე მანავამდე. უფრო ქვევით ჭალის მეურნეობა უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რისი მოწმობაც სადუხის გორაა.

გვიანანტიკური ხანის დასასრულს შენდება უჯარმის ციხე-ქალაქი. VI საუკუნეში კი იგი კახეთის ცენტრი ხდება. დ. მუსხელიშვილი ლეონტი მროველის თხზულებაში ხსენებულ „კახეთის ქალაქნი“-ში გულისხმობს ივრის ხეობის უძველეს პოლიტიკურ ცენტრებს და მათი მონაცვლეობა შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: ჩელეთი, ბოჭორმა, უჯარმა[156]. როგორც ვხედავთ, ხევის ცენტრები თანდათან ზევიდან ქვევით ჩამოდის, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ივრის ხევის სარწყავად მოწყობასთან. სწორედ უჯარმიდან იღებს სათავეს ივრის აუზის მრწყველი რუები. აქედან იწყება სარწყავ სისტემათა ქსელი, რომელიც რწყავს ხაშმის, სართიჭალას, მუხროვანისა და სხვა მიდამოებს. ერთი სიტყვით, უჯარმა ინტენსიური მიწათმოქმედების ზოლის ზღვარზე მდებარეობს და მასზე ბატონობს.

როგორც ვხედავთ, ივრის აუზში სარწყავი სისტემები ქმნიან რამდენიმე კომპაქტურ ჯგუფს. პირველია უჯარმის სარწყავი სისტემები. ამ ზოლში გაბატონებული მდგომარეობა უჯარმას უკავია და ამ სისტემების მოწყობაში სახელმწიფოს — სამეფოს სახლის ინიციატივა ძნელად შესამჩნევი არ არის. მეორე ჯგუფი — ნინოწმინდა-მანავის სარწყავი სისტემები, ნინოწმინდიდან იწყება. აქვე შედის გარეჯის უდაბნოს მამულები და ამ ზოლის სამიწათმოქმედოდ ათვისების მესვეური ჯერ ტაძარი, ხოლო შემდეგ ქრისტიანული ეკლესია უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ჯერ არ დამთავრებულა არქეოლოგიური გათხრები სადუხის გორაზე და ძეგლის ხასიათი ჩვენთვის უცნობია. ამდენად, ღია რჩება ივრის ჭალების სამიწათმოქმედო რაიონის სოციალური ბუნება.

ანტიკურ ხანაში უნდა გაეტანათ ძველი საქართველოს ყველაზე დიდი საირიგაციო ნაგებობა—ალაზნის არხი[157]. ამ არხის მოქმედების თითქმის მთელს ტრასაზე დამოწმებულია ანტიკური ხანის ძეგლები, ხოლო ზოგან ქალაქური ტიპის დასახლებაც კი ივარაუდება[158].

ალაზნის არხი 119 კმ-ზე არის გადაჭიმული და სარწყავად ითვისებს მთელს ალაზნის ველს. მორწყული ფართობი 53 000 კვ. კმ-ია. არხი, ა. ლოსაბერიძის დაკვირვებით, ისეთი ოსტატობით არის გატანილი, რომ ის არ იჭრება არც ერთ

---

[156] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. უჯარმა. გვ. 27.

[157] ი. კ ი კ ვ ი ძ ე. მორწყვა ძველ საქართველოში. გვ. 98—99.

[158] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. გვ. 71.

ადგილში, სადაც მისი მდებარეობა ტექნიკურად გაუმართლებელია[159]. მიუხედავად არხისთვის საკმაოდ დიდი დაქანებისა, წყლის დინებას მაინც არ უნდა წარმოეშვა საფრთხე კალაპოტის გადარეცხვისა და წყლის დახევებისა. არხი შედარებით განიერია და ნაკლები სიღრმის, რაც ანელებს წყლის სიჩქარეს, მაგრამ მაინც არხის გატანისას მთავარი დაბრკოლება ხევებზე წყლის გაყვანა და ხევის წყლების ადიდების დროს ამ წყლის გასატანი ნაგებობების შენარჩუნებაა. ალაზნის არხის ტრასაზე ეს ხევები ათეულობითაა და ყოველ მათგანს ხანგრძლივი წვიმიანობის შემთხვევაში ადიდება შეუძლია. მართალია, ალაზნის მარჯვენა შენაკადების დამანგრეველი ძალა წყალდიდობისას უფრო ნაკლებია, ვიდრე მარცხენასი (დურუჯი, ლოპოტი, ლალისყური, ინწობა და სხვა), მაგრამ იმ სიძლიერის კი არის, რომ საირიგაციო ნაგებობები მოშალოს. როგორც ჩანს, ეს ნაგებობები ხის უნდა ყოფილიყო, რადგან ალაზნის არხის ტრასაზე არსად მათი კვალი შემორჩენილი არ არის. მართალია, ხის კონსტრუქცია მალე გამოვიდოდა წყობიდან, მაგრამ შედარებით იოლი აღსადგენი იქნებოდა. იქნებ, რუს ექსპლოატაციის ამ სირთულემ მოშალა იგი უკვე ფეოდალურ ხანაში. თუმც ხელოვნურ მორწყვასთან დაკავშირებული დოკუმენტები კახეთიდან საკმაო რაოდენობით არის, ალაზნის რუ არსად არ იხსენიება. ამგვარად, ალაზნის არხს სიდიდითა და ექსპლოატაციის სირთულით ტოლი არა ჰყავს საქართველოს სარწყავ სისტემებში. ბუნებრივია, რომ ასეთი დიდი არხის გატანას და შემდეგ ექსპლოატაციას ერთი ნება, საკმაოდ ძლიერი ხელისუფლება სჭირდება. ასეთი ხელისუფლების მქონე ინსტიტუტი, სავარაუდოა, ქართლის სამეფო სახლი და სტრაბონის მიერ ალბანეთში აღნიშნული მთვარის ტაძარი იყო. „ალბანელები... — წერს სტრაბონი — ღმერთებად აღიარებენ ზევსსა და მთვარეს, გამორჩევით მთვარეს, სალოცავი არის იბერიის მახლობლად, ქურუმობს კაცი უწარჩინებულესი მეფის შემდეგ, ის განაგებს ტაძრის მიწას, რომელიც დიდია და კარგადაა დასახლებული და [ეს პირი განაგებს] მიწასაც და ტაძრის მიწებსაც“. აკად. ს. ჯანაშიას ვარაუდით ეს ტაძარი იმ ადგილას უნდა ყოფილიყო, სადაც ამჟამად ალავერდის ტაძარია. „შემთხვევითი არ არის, — წერს განსვენებული მეცნიერი,—რომ იქვეა სოფელი ალვანი და რომ თვით ტაძრის სახელწოდებაც ამავე ფუძეზეა აგებული: „ალავერდი“ ალვანგვერდის განვითარებაა, სასაზღვრო ხაზი ძველ იბერიასა და ალბანეთს შორის სწორედ აქ გადიოდა“[160].

აკად. ს. ჯანაშიას მოსაზრება გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში და დღეს არავინ დავობს იმის შესახებ, რომ სტრაბონისეული მთვარის ტაძარი სწორედ ალავერდში უნდა ყოფილიყო. ალავერდის ტაძარი, ამ მხრივ, მთვარის წარმართული ტაძრის მემკვიდრეა. საინტერესოა, რომ ალავერდობას, ამ ერთ-ერთ მეტად პოპულარულ დღეობას, ქრისტიან ქართველებთან ერთად, ძველი ალბანელების შთამომავალნი, მაჰმადიანი აზერბაიჯანელებიც დღესასწაულობენ. მაგრამ ტოპონიმ ალვანში, ვფიქრობ, არ არის სავალდებულო ალბანი — ალბანეთი ვიგულისხმოთ. შეიძლება ალვანი ალვა-ს მრავლობითი ფორმაა და ხატის, ტაძრის მამულს გულისხმობს. ალვანის მინდორი ერთადერთია ალაზნის ველზე, რომელსაც ალაზნიდან გაღებული მცირე რუები რწყავს. ამ გარემოებას არ შეიძლება აქ ადრიდანვე ინტენსიური მიწათმოქმე-

159 შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. გვ. 211—222.

160 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. შრომები. I. გვ. 157.

დება არ განევითარებინა და ალავერდის ხატის პირველი სამეურნეო ნაკვეთებიც აქ უნდა ყოფილიყო. კერძოდ, აქ არის სავარაუდო ვენახის ზვრები. ალვა და ვენახი, როგორც არაერთგზის მქონდა აღნიშნული, ღვთაების ხატნი, მათი სიმბოლონი არიან. ამათგან პირველობს ალვა. ვენახი მეორადია და ცალკე იშვიათად იხსენიება. საგალობლებში, ჩვეულებრივ, ალვასა და ზედ გასულ ვენახს უმღერიან:

„...ჩვენი მასპინძლის მარანში ალვის ხე ამოსულიყო
თავში მოესხა ყურძენი ბოლომდე გამოსულიყო" და სხვა [161].

საინტერესოა, რომ ხეივანი აკად. ა. შანიძის ინტერპრეტაციით ხე ალვანია. ე. ი. სავსებით შესაძლებელია ასეთი ტოპონიმის წარმოშობა. ალვანში უნდა ყოფილიყო ალაზნის არხის გატანამდე მთავარი ტაძრის სამეურნეო ნაკვეთები და ამ ნაკვეთებს ემყარებოდა, ალბათ, ამ ტაძრის ეკონომიური ძლიერებაც. მთვარის ტაძარი ალაზნის არხის სათავესთან მდებარეობს და იგი მისი გატანის ინიციატორიც და მაორგანიზებელიც უნდა ყოფილიყო. მე იმის თქმა მინდა, რომ მთელი არხი ამ ტაძრის ნაღვაწია და იგი არხის მიერ ათვისებული მთელი ტერიტორიის გამგებელია. არხის ტრასაზე არაერთი ასეთი ტაძარი და, შესაბამისად, თეოკრატიული ხევი ან თემია. ერთ-ერთი ასეთი ტაძარი და მისი თემი ძველი ანაგის ტერიტორიაზეა სავარაუდო. აქ გათხრილია ელინისტური და გვიანანტიკური ხანის სამაროვანი. აქვე ლოკალიზდება ხორნაბუჯი, კახეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. ძველი ანაგის ჩრდილოეთით, ალაზნის ველზე, ე. წ. გუმბათში აღმოჩნდა კირქვის სვეტის ბაზა, რომელიც წინასწარულად აქემენიდური ხანით თარიღდება[162]. ასევე წინასწარულად შეიძლება სვეტის ეს საფუძველი ტაძრის ინტერიერის დეტალად მივიჩნიოთ. ალავერდი ალაზნის არხის სათავესთანაა, ძველი ანაგა — მის ქვემო წელში. მათ შორის კიდევ არის სავარაუდო ტაძრის არსებობა, ვთქვათ, ველისციხე—გურჯაანის ხაზზე. ანტიკური ქალაქისთვის დამახასიათებელი არაერთი ტოპონიმია ამ რაიონში: ველისციხე, ურიათუბანი და სხვა.

საერთოდ, კახეთში ტაძარს განსაკუთრებული ადგილი უკავია. თეოკრატიული მმართველობა აქ უფრო რელიეფურად ჩანს, ვიდრე ქართლში, სადაც ხევისუფალნი, შემდგომი ერისთავნი და ერისმთავარნი, თუმც ტაძარზე დაყრდნობით, საერო ხელისუფალნი ჩანან, შემთხვევითი არ არის, რომ კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებას ქორეპისკოპოსნი განაგებენ. როგორც ჩანს, ეკონომიურად და სოციალურად დაწინაურებული სახლები უმთავრესად კულტის ტაძრის მსახურნი არიან. ტაძარი და კულტი ყველგან მძლავრი საშუალებაა სოციალური აღზევებისათვის, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ, როდესაც სოციალური უთანასწორობა ტრადიციულია და დაკანონებული, აღზევებული სოციალური ფენა ტაძართან კონფლიქტშიაც ექცევა. კახეთში, ეტყობა, ამ პროცესმა დაიგვიანა, თუმც სოციალური განვითარებით იგი მაინცდამაინც არ ჩამორჩება ქართლს. როგორც ჩანს, კახეთის ტაძრეულნი ყველა იმ პრივილეგიით სარგებლობდნენ როგორითაც ქართლის აზნაურნი. იურიდიულად მათი გათანასწორება VII ს. მოხდა და დაკავშირებულია არჩილ მეფის რეფორმისტულ მოღვაწეობასთან.

---

161 ა. შანიძე. ქართული ხალხური პოეზია. თბ. 1931. გვ. 597.

162 კ. ფიცხელაური, შ. დედაბრიშვილი. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის წინასწარი შედეგები. „ძეგლის მეგობარი". თბ. 33, 1973. გვ. 35.

ალაზნის მარცხენა სანაპირო ვაკობის სარწყავი სისტემები, განსხვავებით მარჯვენისაგან, მოწყობილია ალაზნის შენაკად მდინარეებზე. თვით ალაზანი ამ ვაკობის ირიგაციაში არ მონაწილეობს. ამ მხრივ, ალაზნის მარცხენა სანაპირო ველი შიდა ქართლის ვაკეს წააგავს. ისე, როგორც შიდა ქართლის ვაკეზე, ამ ველზეც გვაქვს სარწყავი მიწათმოქმედების ცალკეული უბნები, რაიონები, რომელთა ერთობლიობა ქმნის ველის მთლიან სარწყავ ქსელს. ასეთ უბნებად ჩანან გრემი, ენისელი — ინწობაზე; ყვარელი — დურუჯზე; ახალსოფელი (გავაზი)—ავანის ხევზე, არეში და სხვა. გავაზსა და არეშზე დაკვირვებამ ლ. ჭილაშვილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ თითოეული სარწყავ-სამიწათმოქმედო რაიონის მოწყობასა და ექსპლოატაციაში ინიციატორად და მაორგანიზებლად ეკლესია გამოდის[163]. სამწუხაროდ, ალაზნის მარცხენა სანაპირო ველზე ანტიკური ხანის ძეგლები ჯერ გამოვლენილი და შესწავლილი არ არის. მაგრამ უძველეს ნაქალაქარებზე (ნეკრესი, არეში და სხვა), ალბათ, ამ ხანის ფენებიც გამოვლინდება. მაშინ შეგვეძლება ამ მხარის მიწათმოქმედებაზე ვილაპარაკოთ ანტიკურ ხანაში, სადაც ტაძარს ისეთივე მაორგანიზებელი როლი უნდა ჰქონოდა, როგორც ეკლესიას ფეოდალურ ხანაში.

ალაზნის ჩრდილოეთით მდებარე ველზე რომ ანტიკურ ხანაში სარწყავი მიწათმოქმედებაა, კარგად ჩანს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახალ ულიანოვკის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღ. რ. აბრამიშვილი) მონაპოვრიდანაც. საერთოდ, ლაგოდეხის რაიონში ანტიკური ძეგლები, სამაროვნებით თუ ნამოსახლარებით, საკმაოდ მრავლად მოიპოვება, იალოილუ-თეფეს კულტურა კახეთში, როგორც აღვნიშნე, მევენახეთა ნაკვალევი უნდა იყოს. ამის კარგი მოწმობაა ქვევრი, ჩატანებული სამარხებში. ექსპედიციამ ასეთი სამარხები გათხარა და, რაც მთავარია, დაამოწმა ნამოსახლარები, რომლის გარშემო შემოვლებული თხრილი ჩართულია მათი შემოგარენის სარწყავ სისტემაში[164]. გარდა ამ ნამოსახლარის სარწყავი სისტემებისა, ექსპედიციამ არაერთი ნარუალი დაამოწმა, რომელიც ანტიკურ ხანაში უნდა იყოს გამოღებული. ნარუალები ალაზნის შენაკადებიდან — კვირიკეს წყალი, მშვიდობა, შავწყალა და სხვა — იღებენ სათავეს. უმეტეს შემთხვევაში, მაგისტრალური არხები აღმოსავლეთით მიემართებიან, გამანაწილებელი რუები კი სამხრეთით, ალაზნისაკენ ეშვებიან. ნარუალების სიგრძე დიდი არ არის, წყალგამტარობა კი საკმაოდ დიდია და ამ მხრივ ალაზნის აუზის ცნობილ სარწყავ არხებს (ალაზანი, გრემი) არ ჩამოუვარდება.

ამგვარად, ანტიკურ ხანაში მიმდინარეობს ბარის სამიწათმოქმედოდ ათვისების პროცესი, რომელიც თითქმის ყველგან მიწის გასარწყავებით იწყება. ანალოგიური მდგომარეობა დადასტურებულია მთაშიც, სადაც კი რელიეფი ამის საშუალებას იძლევა. საინტერესოა ამ მხრივ, თიანეთის რაიონში ერწოს ველი და არტაანი. უკანასკნელი მდებარეობს თიანეთის ჩრდილოეთით, 10—12 კმ-ის დაშორებით, ივრის მარჯვენა შენაკად ჭუმხევზე. აქ დამოწმებულია გათლილი ქვებით ნაგები საკმაოდ მოზრდილი ციხე, რომელსაც მოსახლეობა დევების ნასახლარებს უწოდებს[165]. სწორედ აქ უნდა იყოს ლოკალიზებული,

---

[163] ლ. ჭილაშვილის ზეპირი ცნობა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

[164] ი. კ ი კ ვ ი ძ ე. მორწყვა ძველ საქართველოში. გვ. 104—106. სქემა 12.

[165] არტაანზე ცნობები მომაქვს: ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ. I. გვ. 56, 58.

ლ. ჭილაშვილის მოსაზრებით, პტოლემაიოსის არტაანი[166]. არტაანში ამჟამად არავითარ მიწათმოქმედებას არ მისდევენ და იგი მესაქონლეებს უჭირავთ. ძველად კი აქ, მისივე დაკვირვებით, მიწათმოქმედება წამყვანი ყოფილა. ნაქალაქართან სამიწათმოქმედო რაიონი იხაზება, რომელიც მის გარშემო მთების კალთებზე იყო განლაგებული. აქვე დასტურდება მეტად საინტერესო ტოპონიმები. მთის კალთებზე ადგილს უწოდებენ დიდ რუს (დიდი რუვი), ცოტა ქვევით — პატარა რუს (პატარა რუვი). „დღეს არც იციან — წერს ლ. ჭილაშვილი — ზემოხსენებული სახელების აზრი, რადგან ძველი სამეურნეო დარგი დაკარგულია და ტოპონიმები მხოლოდ ტრადიციებითღა შემორჩა. ამ მომენტითაც არტაანი შესანიშნავი პარალელია ქართლის ბარში განვითარებული ქალაქებისა, სადაც სამეურნეო ყოფაში ირიგაცია წინა რიგშია წამოწეული“[167]. მაგრამ ბარის ქალაქების მეურნეობისთვის მორწყვა აუცილებელი ფაქტორია, მთაში კი კლიმატური პირობები ურწყავი მიწათმოქმედების განვითარების შესაძლებლობას იძლევა. აქ ირიგაცია, თუ წყალი ქალაქის კომუნალურ მეურნეობას არ ხმარდება (წყალსადენი, კანალიზაცია), ერთგვარი ფუფუნებაა და არხის გატანის ინიციატორის მტკიცე ნებაზე მიუთითებს. ასეთი ხელისუფლების მქონედ არტაანშიც ტაძარი ჩანს. ლ. ჭილაშვილი წერს: „ნაქალაქარი დღესაც მოკრძალებისა და პატივისცემის საგანს წარმოადგენს, რაც წინაქრისტიანულ ხანიდან უნდა მოდიოდეს. ნაგები ანსამბლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია წარმართული სალოცავი—ქვების მაღალი, პირამიდული ყორე ირმის რქებით დამშვენებული და ქრისტიანული სამლოცველო მხედრული წარწერიანი ზარითურთ. მას კოპალას ხატს ეძახიან. ძალიან საინტერესოა ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილი ტოპონიმები (კვირაობა, კოპალას ხატი, პირქუში, იაღსარი და სხვა), რასაც წარმართულ ხანაში გადავყავართ“[168]. არტაანის შემორჩენილი წარმართული სალოცავი (პირამიდული ყორე), ალბათ, გვიანია, იმდროინდელი, როდესაც ამ ტერიტორიას ფშავ-ხევსურნი იჭერენ. შეიძლება გვიანი წარმოშობისაა წარმართულ კულტთან დაკავშირებული ტოპონიმებიც, მაგრამ ფაქტია, რომ არტაანში მეტად ძლიერი ხატი — ტაძარი არსებობდა.

სამწუხაროდ, არაფერი ვიცით ერწოს ანტიკური დასახლების სამეურნეო საფუძვლის შესახებ. აქ კი გვიანანტიკური ხანის საკმაოდ მდიდრული სამაროვანია შესწავლილი. აქვე დამოწმებულია ტოპონიმი ნაქალაქარი[169], რაც ერწოში ქალაქს გვავარაუდებინებს უკვე ანტიკური ხანიდან. იბერიის სხვა ქალაქთა ანალოგიით მასაც უნდა ჰქონოდა სარწყავი მიწათმოქმედების შემცველი სასოფლო-სამეურნეო უბანი.

თუ რა დიდი მასშტაბი ჰქონდა ბარის სარწყავად ათვისებას სამიწათმოქმედოდ, ჩანს იქედან, რომ ურბანიზაციის პროცესი, შესაბამისად, ურწყავი მიწების გასარწყავება შეეხო აღმოსავლეთ საქართველოს ყველაზე მშრალ მხარეს — იორ-ალაზნის შესაყარს. აქ დადასტურებულია ანტიკური ჰერეთის ადმინისტრაციული ცენტრი — ხორანთა. იგი მდებარეობს ალაზნის გასწვრივ გამავალი ქედის სამხრეთ კალთებზე და ვრცელდება ვაკემდე, საიდანაც ელდა-

---

166 ნ. ლ ო მ ო უ რ ი. კლავდიოს პტოლემაიოსი. „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“. ცნობები საქართველოს შესახებ. მას. საქ. და კავკ. ისტორიისათვის. ნაკვ. 32. თბ. 1955. გვ. 59.

167 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. I. გვ. 58.

168 ი ქ ვ ე.

169 ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე. ახალი არქეოლოგიური ძეგლები ერწოს ველზე. „ძეგლის მეგობარი“. 15. თბ. 1966. გვ. 49.

რის ველი იწყება. დღეს ეს ადგილები ცხელი კლიმატის გამო დაუსახლებელია და მხოლოდ საზამთრო საძოვრებად გამოიყენება[170]. სავსებით სამართლიანად წერს ლ. ჭილაშვილი, რომ „ხორანთას დაწინაურება და არა მარტო დაწინაურება, არამედ მისი ფიზიკური არსებობა ირიგაციის გარეშე წარმოუდგენელია. ნაქალაქარზე დღესაც არის შემორჩენილი ნაარხალები. ალ. ჯავახიშვილის მიერ 1931—33 წწ. შედგენილ რუკაზე აქ „ეგუბის“ არხია მითითებული. 1847 წ. ერთ-ერთ რუსულ რუკაზე ამ ადგილებში „ეგუბის“ გარდა კიდევ ორი არხია აღნიშნული“[171].

როგორც ზემოთ აღვნიშნე, „მოქცევაი ქართლისაი“ მესხეთ-ჯავახეთში ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლის ჟამს ორ ქალაქს მოიხსენიებს: „ოძრხე მოკიდებული კლდესა ღადოსა“ და წუნდას. ოძრხე, ძალიან პირობითად, ლოკალიზებულია დღევანდელ აბასთუმანთან[172]. წუნდა კი გაშენებული უნდა ყოფილიყო არტაანის მტკვრის აუზში, იქ, სადაც წუნდის ნასოფლარი და ეკლესიაა[173]. მის სამხრეთ-დასავლეთით სოფელს ნაქალაქარს ეძახიან, ხოლო ჩრდილოეთით ბერთა-ყანების საკმაოდ დიდი დასახლება და სამაროვანია. ჩანს, რომ წუნდა ვრცელი ქალაქი ყოფილა. ეს კი დიდსა და კარგად მოწყობილ სასოფლო-სამეურნეო უბნებს მოითხოვს. ნიშანდობლივია, რომ არტაანის მტკვრის აუზი მეტად კომპაქტურად დასახლებული ჩანს ფეოდალურ ხანაშიც. წუნდის გაღმა თმოგვის ნაქალაქარია, მისგან 7-ოდე კმ-ის დაშორებით — ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, ვანის ქვაბები და სხვა. ეს აუზი ადრეულ ბრინჯაოს ხანაში სახლდება. შუაბრინჯაოს ხანაში იგი თრიალეთის კულტურის ერთ-ერთი მძლავრი კერაა. სამწუხაროდ, გვიანბრინჯაოს ხანისათვის ეს აუზი მეტად სუსტად არის შესწავლილი. ბერთა-ყანაში წრიულ მოედნებზე გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანის მასალებსაც ვადასტურებთ. საერთოდ, მესხეთ-ჯავახეთის ნამოსახლარები ამ პერიოდის მასალებს შეიცავენ და ეს მხარე ისე არ თხელდება, როგორც წალკა — ზურტაკეტი. უკვე შუაბრინჯაოს ხანისთვის არტაანის მტკვრის აუზში სავარაუდოა ხელოვნური მორწყვის გამოყენება, ანტიკურ ხანაში კი მტკვრის სანაპირო ფერდობების დატერასება და ამ ტერასების გასარწყავება ძირითადად უნდა დამთავრებულიყო. სხვანაირად წუნდის დიდქალაქობა წარმოუდგენელია. მესხეთ-ჯავახეთში ტერასული მიწათმოქმედება, სარწყავ სისტემებთან ერთად, მშვენივრად არის შესწავლილი ქართველი ეთნოგრაფების მიერ. კერძოდ, იგი ამომწურავად არის განხილული მ. გეგეშიძის მონოგრაფიაში, რომელიც საქართველოში სარწყავი მიწათმოქმედებისადმია მიძღვნილი[174]. აქ მასზე აღარ შევჩერდები, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ანტიკური სარწყავი სისტემები ანალოგიური უნდა ყოფილიყო დღევანდელისა და შეიძლება უფრო ინტენსიურიც, რადგან ამ აუზში ისე, როგორც მესხეთ-ჯავახეთში არაერთ ადგილას, დასახლებაზე მეტი ნამოსახლარია. დღევანდელი სარწყავი რუების უმეტესობა, ალბათ, ანტიკურ ხანაშიც მოქმედებდა. ყოველ შემთხვევაში, სარწყავი წყალი ხშირად ძველ ნამოსახლარებზე გადის, უფრო სწორად, ძველი ნარუალები ჩართულია ახალ სარწყავ ქსელში.

---

170 ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. I. გვ. 67.

171 იქვე. გვ. 68.

172 იქვე. გვ. 81.

173 იქვე. გვ. 85.

174 მ. გეგეშიძე. სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში. თბ. 1961. გვ. 81—100.

მესხეთ-ჯავახეთის სარწყავი არხები დიდნი არ არიან, თუმც ნაქალაქევში ერთ-ერთ რუს „დიდ რუსაც“ უწოდებენ[175]. ეს სიდიდე, რა თქმა უნდა, შედარებითია. არც რუთა სიმრავლემ, არც მათმა მასშტაბმა ან ტექნიკურმა მხარემ არ შეიძლება სოციალური ეფექტი მოგვცეს. მე მესხეთ-ჯავახეთში არ ვიცი რამდენადმე რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რომლის შენება სასოფლო თემის ძალებით შეუძლებელი იყოს. მესხეთში მიწათმოქმედების სირთულე ირიგაციაში კი არ არის, არამედ სამიწათმოქმედო ნაკვეთების მოწყობაშია. ბარის ხილ-ვენახიანი ზოლი ასპინძიდან ერუშეთის მთებამდე და ახალქალაქის პლატომდე მტკვრისა და მისი შენაკადების საკმაოდ ვიწრო კანიონებშია მოქცეული. ახალქალაქისა და მესხეთის პლატოების მტკვრის სანაპირო ფერდები საკმაოდ დაქანებულია და მათზე ხვნა-თესვა ჭირს. ამიტომ საჭირო ხდება ამ ფერდების დატერასება. აღნიშნულ რაიონში ბაღ-ვენახების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ტერასებზეა მოწყობილი. ტერასები, იშვიათად, მაგრამ მაინც, მემინდვრეობისთვისაც გამოიყენება (ხიზაბავრა). ათეულობით და ასეულობით ჰექტარი ტერასის მოწყობა ბაღ-ვენახებისთვის მხოლოდ კლასობრივი საზოგადოების პირობებში შეიძლება. მესხეთ-ჯავახეთი სახნავ-სათესისა და საძოვარ-სათიბის ნაკლოვანებას არ განიცდის. საბაღე-სავენახე მიწებისთვის ზრუნვა, რა თქმა უნდა, კერძო ინიციატივაა, ამავე დროს, აქ საჭიროა იძულებითი შრომა, რაც მხოლოდ ტაძარს ან ხელისუფლების მქონე ხევისა თუ ერის მთავარს შეეძლო გამოეყენებინა. სავარაუდოა, რომ ამ ხევების სამიწათმოქმედოდ მოწყობა ტაძრის ინიციატივა უნდა ყოფილიყო, ისე როგორც ბაღ-ვენახების გაშენება საქართველოში. ბაღ-ვენახებისათვის ტერასების მოწყობის ორგანიზაციამ შეიძლება სოციალურად წინ წასწია აქ მსხდომი ტომები. ნიშანდობლივია, რომ ქალაქური დასახლება მესხეთ-ჯავახეთში სწორედ მებაღეობა-მევენახეობის ყველაზე ძნელად საწარმოებელ რაიონებში გვაქვს (წუნდა, ოძრხე-აბასთუმანი), მაშინ, როდესაც ქვეყნის ნაწილი, სადაც საამისოდ შედარებით უკეთესი პირობებია, მხოლოდ განვითარებული ფეოდალური ხანიდან წინაურდება (ახალციხე). საყურადღებოა ისიც, რომ უკვე ფეოდალურ ხანაში წუნდა თავის მიმდგომი მხარით საქართველოს სამეფოს ერთ-ერთი უდიდესი სასულიერო ცენტრია. აქ არის კუმურდოს კათედრალი, წუნდის ეკლესია, ვარძიისა და ვანის ქვაბების სამონასტრო კომპლექსები, ძველი ვარძია, მარგასტანი და სხვა. ძალიან საინტერესოა ტოპონიმი ბერთაყანები. აქვეა ამ ხევის მფლობელთა რეზიდენციაც — თმოგვი. ერთი სიტყვით, ტერასული სარწყავი მიწათმოქმედება დიდ როლს თამაშობს ამ მხარის ეკონომიურ და სოციალურ დაწინაურებაში. მისი ჩამოყალიბება ელინისტური ხანიდან უნდა ვივარაუდოთ, ე. ი. იმ დროიდან, როდესაც საქართველოში იწყება ბარის სამიწათმოქმედოდ ინტენსიური ათვისება და დიდი ვაკეებისა და ველების ურბანიზაცია. უკვე ფეოდალურ ხანაში მესხეთ-ჯავახეთში ტერასული მიწათმოქმედება გრანდიოზულ მასშტაბს აღწევს. არტაანისა და ახალქალაქის მტკვრის აუზის ფერდობები, ურაველას ხეობასთან ერთად, თითქმის მთლიანად დატერასებულია. სარწყავად გამოყენებულია ყოველი სველი წერტილი, იქნება ეს ხევის წყალი, დიდდებიტიანი წყარო თუ ნაკური. ეს ტერასები ბევრგან დღესაც შემორჩენილია დროთა სიავისაგან გავერანებული. ბევრი კვლავაც ათვი-

175 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. I. გვ. 26.

სებულია სამიწათმოქმედოდ და ასპინძის რაიონში ბაღ-ვენახების ძირითად ბირთვს ქმნის.

ამით ვამთავრებ ანტიკური იბერიის სამეურნეო ბაზისის — მიწათმოქმედების მიმოხილვას. ამ დარგის განვითარება ელინისტური ხანიდან მოყოლებული ბარის სარწყავად და, შესაბამისად, სამიწათმოქმედოდ ათვისების ნიშნით მიდის. ეს პროცესი შედეგია დიდი სოციალური ძვრებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ადრეანტიკური ხანის საქართველოში. ამ დროს, როგორც ჩანს, მთისწინა ზოლის ხევებში ხევის თეოკრატიული ზედა ფენა, ტაძარს შეფარებული დაწინაურებული სახლები ახდენენ ხელისუფლების უზურპაციას, ხევის ბერი ხევისუფალი ხდება. მაგრამ მთისძირა ზოლში ამ ხევის მმართველი სახლების ეკონომიური სიმძლავრე რამდენადმე შეზღუდულია მიწაზე თემური საკუთრებით, რომელსაც მორწყვის ორგანიზაცია კიდევ უფრო მტკიცეს ხდის. ამიტომ, კერძო ინიციატორებს, ბუნებრივია, ასპარეზი თემის გარეთ უნდა ეძიათ. ამავე დროს, მევენახეობისა და მებაღეობის სწრაფი განვითარება სულ ახალ და ახალ მიწის მასივებს მოითხოვდა. მთისძირა ზოლი ამ მხრივ მეტნაკლებად შეზღუდულია. ბარის სამიწათმოქმედოდ ათვისება კი დიდი სარწყავი სისტემების შექმნას მოითხოვს. როგორც ჩანს, იბერიის სოციალური და ეკონომიური განვითარების დონე სავსებით შესაძლებელს ხდის ასეთი სარწყავი არხების მშენებლობას და უკვე ელინისტური ხანის დასაწყისიდან იწყება აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სამიწათმოქმედოდ საკმაოდ სწრაფი ტემპით მოწყობა. თუ რა წარმატებით მიდიოდა ეს პროცესი, ჩვენ ზევით ვნახეთ. აქ კი კვლავ გავიმეორებ, რომ ამ მშენებლობის ინიციატორად და ორგანიზატორად ხევის მმართველი, სოციალურად აღზევებული სახლები გამოდიან. „ეკონომიურად დაწინაურებული სახლები და პირველ რიგში მეუფე მამასახლისი, — წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — გადადგამს განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაბიჯს. ის ინდივიდუალურად აწესრიგებს დიდი ველის მორწყვის საქმეს და eo ipso ამ მორწყულ ველსაც, როგორც მესაკუთრე ეუფლება"[176]. რა თქმა უნდა, რომ მცხეთის სეფე-სახლის, სახელმწიფოს როლი სარწყავი სისტემების მშენებლობის ინიციატივასა და ორგანიზაციაში მთავარია. მას გვერდში უდგას სხვა ხევისუფლები — მამასახლისები. მაგრამ იურიდიულად ჯერ კიდევ თავისუფალი მეთემის მშენებლობაში ჩასაბმელად მთავარი მაინც კულტი და ტაძრის ავტორიტეტია. ამიტომ არაერთი არხი ტაძრის საშუალებით და არაერთი ტაძრის მამულებისთვის უნდა გაეტანათ. საერთოდ, ტაძრის როლი, როგორც ზევით აღვნიშნე, საზოგადოების სოციალური დანაწილების დაკანონებაში გადამწყვეტია. პირველი დაწინაურებული სახლები და მათი მამასახლისები კულტმსახურები უნდა ყოფილიყვნენ. სწორედ კულტისადმი შიში და მეთემის მისწრაფება თავის სასარგებლოდ ამოქმედოს ღმერთი, საკუთარ ნებას დაუმორჩილოს ღვთაებრივი ძალა, ფაქტიურად, გახდა მიზეზი იმისა, რომ იგი ხატის ყმად, ხატის მსახურის ყმად და მონა-მორჩილად იქცა. შემდეგ ხდება კულტმსახურების უზურპაცია, მისი ერთი სახლის, გვარის პრეროგატივად ქცევა. ეს კი, ფაქტიურად, ხევის უფლების, მისი მმართველობის დაჩემებას და მის მემკვიდრეობითობას ნიშნავს. სულ უფრო და უფრო იზრდება აღზევებული სახლების ეკონომიური სიძლიერე, სულ უფრო და უფრო ინტენსიურად ინერგება ხევის მამასახლისთა ავტორიტეტი, რომ ისინი ღვთისწი-

---

[176] ნ. ბერძენიშვილი. ერთი ფურცელი ... გვ. 182.

ლნი და რჩეულნი არიან და დგება დრო, როდესაც ისინი გაკულტდებიან — ღვთაებად გამოცხადდებიან. ეს შეიძლება იყოს ცოცხალი ხევისუფალი თუ მისი წინაპარი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ სეფე-სახლის მეთაურის პირადი ავტორიტეტი მისი კულტის ჩამოყალიბებაში გადაიზრდება. ამ სახლის დამმკვიდრებელის საფლავი სალოცავად იქცევა, ხოლო ყველა მისი მემკვიდრე — ღვთიური ნებისა და ძალის განმასახიერებლად. ამ მომენტისთვის ხევისუფალნი მარტო ღვთის წილნი კი არ არიან, არამედ მათში გადმოდის წინაპრის სული, ზოგად ეთნოგრაფიაში „მანად“ წოდებული და, ამდენად, ისინი წინაპრის, მათი ძალისა და უფლების მემკვიდრენი არიან. საერთოდ, სამეფო ხელისუფლების განვითარება ძველს აღმოსავლეთში სამ სტადიას გადის: ერთი, როდესაც ეს ხელისუფლება კულტმსახურებით ხორციელდება და მეფე მთავარი ქურუმია. შემდეგ მეფე-ქურუმის ავტორიტეტი მის ღვთაებრიობაში გადადის და მისი ხელისუფლება კანონდება. ამ სტადიებზე სამეფო სახლი და ტაძარი ერთად მოქმედებენ, ხოლო შემდეგ, როდესაც მეუფის ხელისუფლება ტრადიციულია და დაკანონებული, იგი აშკარად ანტაგონისტურად ეწყობა ტაძრისადმი, მეფე და მისი ერისთავები, სოციალურად აღზევებული ზედა ფენა, ხარბი თვალით უყურებენ ტაძრის ქონებას, განსაკუთრებით დიდ მამულებს და ცდილობენ ხელში ჩაიგდონ იგი. და თუმცა ტაძარი და სამეფო ხელისუფლება ერთია, მწარმოებელი ფენის ექსპლოატაციაში მათი ანტაგონიზმი აშკარაა. ძველი აღმოსავლეთის ისტორია სავსეა სამეფო სახლსა და ტაძარს შორის კონფლიქტის ფაქტებით. ანალოგიური მდგომარეობა მოწმდება ძველი ქართლის სამეფოს ხელისუფლების წარმოშობა-განვითარების ისტორიაშიც. ჯერ კიდევ ქართლოსიანნი ცდილობენ მათი წინაპრის კულტის დანერგვას. „...და ესე ქართლოს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგჳ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თვისისა ქართლი... და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა“[177]. და შემდეგ „და მას ჟამსა დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი, და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა ხუთთა, და მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი“[178].

საბოლოოდ ქართლოსიანთა სამეუფო ხელისუფლება დააკანონა თავის კულტის დანერგვით ფარნაოზმა: „და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, ...თავსა ზედა ქართლისასა და ამიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის, და ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა... და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ...და მოკუდა ფარნავაზ, და დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა“[179]. და მას შემდეგ ფარნავაზიანნი, ალბათ, ამ საფლავს ლოცულობდნენ, ხოლო მათი ხელისუფლება ღვთიური იყო და, ამდენად, კანონიერი[180]. რა თქმა უნდა, ქართლოსისა და ფარნაოზ-არმაზის კულტის დამნერ-

---

177 ქართლის ცხოვრება. V. 1. თბ. 1955. გვ. 8.

178 იქვე. გვ. 11.

179 იქვე. გვ. 25, 26.

180 მეფეთა გაკულტებით და მათი კერპთა შექმნით ქართლოსიანნი აშკარად აქემენიდებს და არშაკიდებს ბაძავენ (В. В. Струве. Родина зороастризма. СВ. V. 1948. стр. 6).

გავი და მქადაგებელი ჯერ ხატი, ხოლო შემდგომ ტაძარია. საფიქრებელია ისიც, რომ თავდაპირველად როგორც ტაძრის მმართველობა, ისევ სამეფო ხელისუფლება ერთი სახლის ხელში იყო მოქცეული. ხოლო შემდეგ, როდესაც სამეფო ხელისუფლება დაკანონებულია და ტრადიციული, მას თავისი ხელისუფლების გასამტკიცებლად ტაძარზე ძლიერი ძალა—შეიარაღებული რაზმი, მხედრები ჰყავს. იგი, ჩანს, თუმც იმორჩილებს ტაძარს, მაგრამ მისი შვილები აღარ ქურუმობენ. სამეფო სახლსა და ტაძრის მსახურთ შორის იგივე სხვაობაა, რაც კულტსა და კულტმსახურთ შორის. სხვანაირად წარმოუდგენელია სტრაბონის მიერ სამეფო სახლისა და ტაძრის სხვადასხვა გენეში მოქცევა. „ოთხგვარი ხალხი სახლობს ამ ქვეყანაში — წერს სტრაბონი. პირველი მათ შორის ის, რომლიდანაც მეფეებს სვამენ, ახლობელ ნათესაობისა და ასაკის უხუცესობის მიხედვით; მეორე პირი მოსამართლეობს და სარდლობს. მეორე შესდგება ქურუმებისაგან, რომელნიც განაგებენ აგრეთვე მეზობლებთან სადაო საქმეებს“[181]. შემდგომ სამეფო სახლსა და ტაძარს შორის სხვაობა კიდევ უფრო ღრმავდება და წარმოიშვება კონფლიქტი. ცნობილია ამ კონფლიქტის დასასრულიც. მეოთხე საუკუნის 30-იან წლებში ქრისტიანობა ქართლის სამეფოში ოფიციალურ რელიგიად იქცა, რაც ძველი წარმართული კულტის, მის მსახურ-ქურუმთა და ორგანიზაციის—ტაძრის სრულ მარცხს ნიშნავდა. ტაძრის ქონება და მამული მეფისა და წარჩინებულთა ხელში გადადის. „მეფის ხელშია მნიშვნელოვანი მიწის ფონდები და „ყმები“ (მეოთხე გენე), — წერს აკად. ს. ჯანაშია — რომელთაც მეფე ურიგებს ამ პირებს (მხედრებს. ი. კ.) სხვადასხვა ფორმით, მხოლოდ, საფიქრელია, მუდამ სამხედრო სამსახურის პირობით. ეს ურთიერთობა მჭიდრო ნიადაგად იქცევა მეფესა და „მხედართა“ შორის. მეორე მხრით ტაძრები, მათი წარმომადგენელი ქურუმები, თავიანთი მეურნეობით, სულ უფრო და უფრო შეუფერებელი ხდებიან ცხოვრების ახალი პირობებისათვის. მათი არსებობა ტრადიციაზე და ინერციაზეა დამყარებული. აუცილებლობით იბადება წინააღმდეგობა ქურუმებსა, ერთის მხრივ და, მეორეს მხრით, ახალ მონარქიასა და მის სოციალურ მოკავშირეებს შორის. სხვა არა იყოს რა, მეფე შურით უყურებს ტაძრების მემამულეობას, განსაკუთრებით ახლა, როცა მონარქიის საკუთარი მიწის ფონდი კლებულობს თანდათან, სამხედრო სალენო ურთიერთობის განვითარების პროცესში. ამ ბრძოლაში მეფე და მისი მოკავშირენი ახალ იარაღსაც პოულობენ — ქრისტიანობას, რომელიც ქურუმთა ძველ სარწმუნოებას უპირისპირდება“[182]. ე. ი. კონფლიქტს სამეფო სახლსა და ტაძარს შორის, მთავრებსა და ქურუმებს შორის ღრმა სოციალურ-ეკონომიური წანამძღვრები აქვს და იგი შედარებით გვიანდელი მოვლენაა. თავდაპირველად კი, ტაძარი და სამეფო სახლი ერთად მოქმედებენ და დიდი ველების გასარწყავება სწორედ მათი ერთობლივი მოქმედების შედეგია.

ტაძარი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, წარმოადგენს ცენტრს, რომლის გარშემო ორგანიზებულია ხევი, თემი, სოფელი და სხვა. გვაროვნული წყობილების დროს სწორედ ხატი — ტაძარია ის ინსტიტუტი, რომელიც თავის ნებას უმორჩილებს და მართავს ხევს. ამიტომაა, რომ ადრეკლასობრივი საზოგადო-

---

[181] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1957. გვ. 129.

[182] ს. ჯანაშია. შრომები. I. გვ. 213—214.

ებები ადრეულ საფეხურზე თეოკრატიული იერის არიან და შემდეგაც ტაძარი ყოველთვის დიდ როლს თამაშობს ამა თუ იმ ადრეკლასობრივი სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. დიდი ველების გასარწყავებამ მთლიანად შესცვალა აღმოსავლეთ საქართველოს ადმინისტრაციული დანაწევრება და ხევების გეოგრაფიაც. თუ ადრე ძირითად ადმინისტრაციულ ერთეულს ხევი წარმოადგენდა, ახლა ქალაქი გამოდის თავისი ქვეყნით, რომელიც, ვფიქრობ, ისეთივე ადმინისტრაციული და სამეურნეო ერთეულია, როგორიც ხევი. მაგრამ ქალაქი თავისი ქვეყნით სულ სხვა პრინციპით არის მოწყობილი, ვიდრე ხევი. უკანასკნელში დიდ როლს თამაშობს გეოგრაფიული გარემო: იგი ხშირად გეოგრაფიულ ხევსაც წარმოადგენს და, როგორც სამეურნეო ერთეული, აუცილებლად უნდა შეიცავდეს მთასაც და ბარსაც ტერმინების წმინდა სამეურნეო-ეკონომიური მნიშვნელობით. ასეთი ხევები შეიძლება ყოფილიყო არტაანის მტკვრის აუზი, ივრისა და ალაზნის ხეობები, გომბორთან ერთად, ქვემო ქართლის მთა და ბარი და სხვა. უკვე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ეყრება საფუძველი ხევის მოწყობის ახალ პრინციპს. კერძოდ, ხევს ქმნის ამა თუ იმ მდინარის ხეობა, ამ მდინარიდან გამოღებული სარწყავი რუებით. აქ მთავარია სარწყავად ათვისებული ტერიტორია, თუმც მთა და ბარიც გარკვეულ როლს თამაშობს.

მხოლოდ მორწყვის პერსპექტივა ჰკრავს ქალაქის ქვეყანას, როგორც სამეურნეო ერთეულს, საზღვრებიც დამოკიდებულია სარწყავი სისტემების სიდიდეზე, იმაზე თუ რა ტერიტორიის გასარწყავება შეუძლიათ მათ. საინტერესოა, ამ მხრივ, ურბნისის და მისი ქვეყნის განვითარების ისტორია. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ურბნისის არხი ლიახვიდან არის გამოტანილი. ამ არხის გამოღების ინიციატორი და ორგანიზატორი ტაძარი უნდა ყოფილიყო. თავდაპირველად ეს არხი მხოლოდ ურბნისის მიდამოებს რწყავდა. მიუხედავად ბეჯითი ძიებისა, არხის ტრასაზე ფეოდალურზე ადრინდელი არქეოლოგიური ძეგლი ან მასალა დადასტურებული არ არის. გვიანანტიკურ ხანაში უკვე სახლდება რუისის წინუბანი. თვით ტოპონიმი რუისის წარმოშობა ზედა ურბნისის რუსთან ჩანს დაკავშირებული. უფრო გვიან ჩნდება რუს ტრასაზე გაყოლებით სხვა სოფლები: სასირეთი, საქაშეთი, არაშენდა და სხვა. ამ სოფლებისთვის არათუ სამეურნეო წყალი, არამედ სასმელიც ურბნისის რუა. უამრუოდ მათი დასახლება წარმოუდგენელია. ამგვარად, იქმნება სარწყავი რუთი განსაზღვრული სამეურნეო ერთეული—ურბნისის ქვეყანა, რომელიც, ამავე დროს, ადმინისტრაციული ერთეულიცაა. რუს მფლობელი ამ დასახლების ბუნებრივი ბატონია, რუ კი ურბნისს ეკუთვნის. სავსებით ცხადია, რომ ურბნისს გარკვეული უფლება აქვს რუს სარწყავად ათვისებულ მთელს ტერიტორიაზე. თავდაპირველად ურბნისისა და რუს ტრასაზე განლაგებული დასახლებების ურთიერთობა ისაზღვრებოდა ქალაქისა და მისი სასოფლო-სამეურნეო უბნების დამოკიდებულებით. ისინი ავსებენ ერთმანეთს და ქმნიან ერთ სამეურნეო, ეკონომიურ ერთეულს; ამავე დროს, ამ ურთიერთობაში ქალაქი გარკვეული უპირატესობით სარგებლობს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ აქვეა ამ ახალი ერთეულის სასულიერო ცენტრიც. ფეოდალურ ხანაში, როდესაც ურბნისი სოფლდება, იმის გამო, რომ იგი სარწყავი არხის ქვედა ზოლშია, ამ მხრივ ზემო სოფლებზე დამოკიდებული ხდება. მისი სიძლიერე მთლიანად დამყარებულია იმაზე, რომ იგი საეპისკოპოსო ცენტრია. აქ მჯდომი ეპისკოპოსი ლიახ-

ვისპირის მწყემსია, ე. ი. იმ ტერიტორიისა, რომელსაც ლიახვიდან გამოღებული რუ ითვისებს.

სარწყავი სისტემებით განპირობებული ახალი ადმინისტრაციული სამეურნეო ერთეულები, ურბნისის გარდა, არაერთია დამოწმებული. ტირიფონა— კასპი, უფლისციხე; მცხეთა — მუხრანი; რუსთავი — ყარაია, კახეთის ქალაქები და მათი ქვეყნები: ნეკრესი, გავაზი, არეში და სხვა. ამ ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებზე ბატონობა სხვადასხვა გზით ხდება. ანტიკურ ხანაში იგი ჩვეულებრივია — ქალაქის ბატონობა მის ქვეყანაზე. მაგრამ უკვე IV ს. ფეოდალიზაციის პროცესთან დაკავშირებით ქალაქებს ეცლებათ ქალაქობის ეკონომიური საფუძველი და ნელ-ნელა სოფლდებიან. ამ დროს განსაკუთრებით ძლიერდება ის პუნქტები, რომლის ეკონომიური საფუძველი ადრევე სოფლის მეურნეობა იყო. და თუ ძველი ანტიკური ქალაქები მაინც ბატონობენ მათ ქვეყნებზე, იმიტომ, რომ ეს გასოფლებული ქალაქები სარწყავი წყლის პატრონები არიან, ზოგი ქალაქი რუს სათავის მფლობელია და ბუნებრივად ბატონობს ხევზე — რუსთავი, ქინვანი, უჯარმა, სამშვილდე, დმანისი და სხვა. სხვების ბატონობა კი კულტით არის განპირობებული: რომ ისინი ამ ხევების საკულტო ცენტრები არიან, რომ სარწყავი წყალი მათი ღვაწლის შედეგია და ამ წყალზე მას გარკვეული უფლება აქვს. რა თქმა უნდა, ხევზე ბატონობის პირველი ფორმა უფრო რეალურია. სარწყავი სისტემები, ჩვეულებრივ, მთისა და ბარის შესაყარზე იღებენ სათავეს. ბარის ერთ-ერთი ატრიბუტი, ხილვენახიანობის გარდა, ისიცაა, რომ იგი გასარწყავებულია. უკვე გვიანანტიკური ხანიდან მთისა და ბარის შესაყარი პუნქტები ძლიერდებიან, ფეოდალურ ხანაში კი ეს ზოლი ციხე-ქალაქებით იფარება. ამ ზოლში ციხე-ქალაქთა სიძლიერის ერთ-ერთ მიზეზად მე ადრე მივიჩნიე ის ფაქტი, რომ ისინი არხის სათავეების მფლობელები არიან, და რომ მათ ხელშია ბარის სამეურნეო სიძლიერის წყარო და ბუნებრივად ბატონობენ ამ არხებით მორწყულ ქვეყანაზე[183]. შემნიშნეს, რომ მთისა და ბარის შესაყარში მდებარე ციხეებისა, თუ ქალაქების სიძლიერე და დანიშნულება სხვა, უფრო ღრმა სოციალურ-ეკონომიური ფაქტორით არის განსაზღვრული, რომ ჩემს მონოგრაფიაში ირიგაციის როლის გადაჭარბებასთან გვაქვს საქმე, რომ ქალაქების წარმოქმნის პროცესი ასე მარტივად არ შეიძლება წარმოვიდგინოთ და სხვა[184]. მაგრამ მე ქალაქების წარმოქმნის თუ დაცემის მიზეზები არ მიკვლევია. ჩემი მიზანი იყო მეჩვენებინა, თუ რა როლს თამაშობდა სარწყავი მიწათმოქმედება ამა თუ იმ პუნქტის აღზევებასა და დაცემაში და სულაც არ მიფიქრია, რომ მარტო სარწყავი მიწათმოქმედების ბაზაზე ან რუს თავის მფლობელობით შესაძლებელი ყოფილიყო რომელიმე პუნქტის გაქალაქება ან გასოფლება. მე კარგად ვიცი რა შეადგენს ქალაქის ეკონომიურ თუ სოციალურ საფუძვლებს, მაგრამ მათი კვლევა, ვიმეორებ, ჩემი მიზანი არ არის. წინამდებარე ნაშრომიც ხაზს უსვამს ხევზე ბატონობის ერთ-ერთ და არა ერთადერთ ან თუნდაც მთავარ პირობას, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა ზოგიერთი პუნქტის აღზევებაში, მისი ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად ქცევაში. მართალია, მარტო სარწყავი მიწათმოქმედება ქალაქს ვერ წარმოშობს, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატურ პირობებში ბარში ქალაქური თუ დაბური დასახლების წინაპირობა

---

183 ი. კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. გვ. 117.

184 დ. მუსხელიშვილი. უჯარმა. თბ. 1966. გვ. 120.

სარწყავი წყალია. სწორედ ამ მომენტს ვუსვამ ხაზს, როდესაც ვლაპარაკობ ირიგაციის დიდ მნიშვნელობაზე აღმოსავლეთ საქართველოს ანტიკური თუ ადრეფეოდალური ხანის ქალაქების წარმოშობასა და სიძლიერეში. რა თქმა უნდა, დოღლაურის, ტირიფონას, მუხრანის სარწყავი სისტემები რომ არა, არც შიდა ქართლის ანტიკური ქალაქების ისეთი ხშირი ქსელი იქნებოდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. ბუნებრივია, რომ ამ ქალაქების ეკონომიურ საფუძველს ვაჭრობა და ხელოსნობა ქმნის და მათი ქალაქობაც მეურნეობის ამ დარგების განვითარებასა თუ დაცემაზეა დამოკიდებული. მაგრამ ვიმეორებ, შიდა ქართლში თუ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სხვა ნაწილებში ქალაქებისა და, საერთოდ, მკვიდრსახლობის საფუძველი ირიგაციამ შექმნა. შეიძლება ამიტომაც არის, რომ იბერიის ქალაქების ეკონომიკაში მეტად დიდ როლს თამაშობს სარწყავი მიწათმოქმედება, კერძოდ, მევენახეობა.

ზემოთ აღვნიშნე, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მოსახლეობა მიწათმოქმედების, კერძოდ მევენახეობის განვითარებამ მიიყვანა. სარწყავი სისტემების მშენებლობის ის დიდი ტემპი, ანტიკური ხანის იბერიას რომ ახასიათებს, მის მესვეურთა გეგმიერი მოქმედების შედეგია ბარის სამიწათმოქმედოდ ათვისებისთვის. ეს მშენებლობა ქართლში უნდა დაწყებულიყო, ხოლო შემდეგ კახეთსაც მოსდებოდა. შესაძლებელია, კახეთის ველების გასარწყავება, ე. ი. მიწათმოქმედების ხვედრითი წონის ზრდა ამ კუთხეში ქართლის სამეფოს პოლიტიკური ბატონობისა და ჰეგემონობის დროშით მიდიოდა. კვლევა ამ მხრივ, ე. ი. თუ რა როლს თამაშობს სარწყავი მიწათმოქმედება ქართლის სამეფოს აღმოსავლურ პოლიტიკაში, საკმაოდ პერსპექტიული ჩანს.

ბარის გასარწყავებამ აბსოლუტურად შეცვალა ურთიერთობა მთასა და ბარს შორის. მე უკვე აღვნიშნე, რომ ამ მომენტიდან ბარში იქმნება ამა თუ იმ სარწყავი რუთი განსაზღვრული სამიწათმოქმედო სამეურნეო და სოციალური ერთეულები. საკმაო ტერიტორიალური ცვლილებები უნდა განეცადა მთის მესაქონლე ხევებსაც.

ბარის გასარწყავება, მისი სამიწათმოქმედოდ მოწყობა, რა თქმა უნდა, საძოვრების ხარჯზე ხდება, რაც დიდ დარტყმას აყენებს მომთაბარე მესაქონლეობას. მე სავსებით ვეთანხმები იმ მკვლევარებს, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს ბარს (ყარაია, ივრის პირები და სხვა) დიდ როლს ანიჭებენ მესაქონლეობაში და, შესაბამისად, მესაქონლეობას ამ მხარის ეკონომიკაში წამყვან დარგად თვლიან[185]. მაგრამ აქ სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების შედეგად უნდა შეცვლილიყო მესაქონლეობის ფორმაც, კერძოდ, იგი მიწათმოქმედებას უნდა შერწყმოდა და ბინადარი ხასიათი მიეღო. ინტენსიური მიწათმოქმედება და მომთაბარე მესაქონლეობა ერთმანეთს ვერ ეგუება. სავსებით გასაგებია, რომ ბარის გასარწყავება და მიწათმოქმედების განვითარება ზღუდავს მას, როგორც მომთაბარე მესაქონლეობის, კერძოდ, მეცხვარეობის საზამთრო ბაზას. ბარის საძოვარ-სათიბები აქ მოსახლე მიწათმოქმედთა საქონლისთვის იქნებოდა ზამთარ-ზაფხულ საჭირო და სხვათა საქონელს არ დაუშვებდნენ ან მათ შემოსვლას მეტად შეზღუდავდნენ. ცხადია, ბარში ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარება სასიკვდილო ლახვარი იქნებოდა მომთაბარე მესაქონლეთათვის და ისინი იძულებული იქნებოდნენ ჩაკეტილიყვნენ

---

185 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. I. გვ. 47. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. უჯარმა. გვ. 48.

მთებში, იქ, სადაც ინტენსიური მიწათმოქმედებისთვის არც საკმარისი ფართობია და არც შესაფერისი კლიმატი, მესაქონლეობა კი შესაძლებელია ინტენსიურად განვითარდეს ალპიური საძოვრებისა და სათიბების ხარჯზე.

ვფიქრობ, ამ დროს უნდა დასახლებულიყო, შედარებით მჭიდროდ, საქართველოს მთიანეთი, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი და სხვა. სამწუხაროდ, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ამ ხევებში საერთოდ არაა ჩატარებული და ჩემს მოსაზრებას დოკუმენტალურად ვერ დავამტკიცებ. მაგრამ ყოველი არქეოლოგიური ნივთი გუდამაყრიდან, ხევსურეთიდან, ფშავიდან თუ თუშეთიდან ფეოდალური ხანისაა, მათ შორის ადრეული ფეოდალური ხანისაც და ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ეს ხეობები სწორედ ამ დროს ან უფრო ადრე, გვიანანტიკურ ხანაში წარმოიშვა. მე ზემოთ აღვნიშნე, რომ ყოველ ხეობას თუ ხევს თავისი მთა და ბარი აქვს, რომ მთიანეთში ბარად მათი სამიწათმოქმედო, დასახლებული რაიონი ითვლება, მთად კი — ალპიური საძოვრები.

რა თქმა უნდა, ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარება და, შესაბამისად, მომთაბარე მესაქონლეობის შეზღუდვა აღმოსავლეთ საქართველოს ბარში თანდათანობითი, მაგრამ მუდმივად მიმდინარე პროცესია. იგი, როგორც აღვნიშნე, ქართლის სამეფოს აღმოსავლური პოლიტიკის საფუძველი უნდა ყოფილიყო და ალვანურ-ჰერული ტომების იბერიზაცია — ამ პოლიტიკის შედეგი. ამიტომ ვერ გავიზიარებ დ. მუსხელიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იბერიის აქტიური მოქმედება ჰერეთის შემოერთებისა და ჰერების გაქართველებისათვის, უკვე გაქართველებულ მთიელთა საქონლის საზამთრო საძოვრებით უზრუნველყოფით იყო გამოწვეული[186]. როგორც აღვნიშნე, ინტენსიური მიწათმოქმედება და მომთაბარე მესაქონლეობა ერთმანეთს ვერ ეგუება, სწორედ მეურნეობის ამ ორი ფორმის ბრძოლა საზღვრავდა, სხვათა შორის, მთისა და ბარის ურთიერთობას. მთის მუდმივი სწრაფვა ბარის საზამთრო საძოვრების ხელში ჩასაგდებად და მოსახლეობის ნამატის ბარში მუდმივი დენა განსაზღვრავდა ქართლის ძველი თუ ახალი სამეფოების პოლიტიკას მთიანეთის მიმართ. კერძოდ, ქართული სახელმწიფოს მესვეურნი ყოველთვის ცდილობდნენ თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექციათ კავკასიის მთიანეთი, კონტროლი გაეწიათ მთიელთა ბარში ლტოლვისთვის. ამიტომ არის, რომ მთისა და ბარის შესაყარი უკვე ანტიკური ხანიდან ციხეებით მაგრდება. ქართლის მეფეთა პოლიტიკური კურსი მთიანეთის მიმართ მშვენივრად აქვს ნაჩვენები დ. მუსხელიშვილს ზემოთ არაერთგზის დამოწმებულ მონოგრაფიაში. მე მას აღარ შევეხები. აღვნიშნავ მხოლოდ ერთ საყურადღებო ფაქტს, რომელიც, ვფიქრობ, ჩემი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს.

ქართლის სამეფოს მესვეურნი ერთნაირი სიბეჯითით ამაგრებენ როგორც არაქართული მთის საქართველოში შემოსასვლელს (ნეკრესი, მაჭი, გავაზი და სხვა), ისევე ქართულისას (უჯარმა, ჭერემი, კვეტერა, ჟინვანი და სხვა), ე. ი. პოლიტიკა მთიანეთის მიმართ ერთნაირია — მასზე პოლიტიკური ბატონობა და მისი მოქმედების კონტროლი. ამ პოლიტიკას მეურნეობის ხასიათი საზღვრავდა.

მეცხვარეობის განვითარებას საქართველოს ბუნებრივ პირობებში ყოველთვის ახასიათებდა მომთაბარეობის პერსპექტივა. როდესაც იქმნება მეცხვარეობის სწრაფად განვითარების კონიუნქტურა, იწყება ბარის საზამთრო

---

186 მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. უჯარმა. გვ. 38—45.

საძოვრებად ათვისება. ინტენსიურ მიწათმოქმედებას საკმაოდ დიდი ბრძოლის გადატანა უხდებოდა ბარში თავის დასარჩენად, როგორც შინაურ, ისე მომხდურ მესაქონლეობასთან. ზევით მოვიტანე ამონაწერი აკად. ნ. ბერძენიშვილის ნაშრომიდან, თუ როგორ უტევს ბარში ინტენსიურ სარწყავ მიწათმოქმედებას მომხდური ტომებისთვის დამახასიათებელი მომთაბარე მესაქონლეობა. ახლა მოვიტან, თუმც გვიანდელ, მაგრამ მაინც დამახასიათებელ საბუთს, თუ როგორ შეეჯახა კახეთის ბარში მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა ინტერესები:

„ჩვენი ბრძანება არის, თუშთ მოურავო და ერთობით თუშნო. მერმე, ალვანში რომ ლალისყურელთ, ფშაველთ და მაღრანელთ ხვნა მოუნდომებიათ და თუშნი კი უშლიან სადმე. რატომ უნდა დაუშალონ; რამდენიც პურის სიაფე იქნება, უფრო სარგებელი არ იქნება თუშებისთვის? სამამულოთ ხომ არავინ გეცილებიან ესენი და ხვნას რათ უშლით? თუშთ მოურაო, ეს საქმე შენთვის ვვიბძანებია — ვინც უარს ამბობდეს, დაუშალე და მოახნევინე. მაისის თ ქკს უპე (9 მაისი 1887 წ.) მეფე ირაკლი“[187].

„ჩვენს მაგიერად, ჩვენს დიდათ იმედათ მისაჩენელს, თუშთ მოურავს დურმიშხანს ასე უბძანეთ — მერმე, თუშთ საქონელი კახეთში ჰყოლიათ ხოლმე; მაგრამ ახლა ღ͞თის მოწყალებით თითონაც გამრავლდნენ და საქონელიც გაუმრავლდათ: ღ(მერ)თ(მ)ან უფრო ამრავლოსთ. მაგრამ კახეთის სოფლებში, სადა ცხვარს აყენებენ, ქურდობით, ძალადობით და ეკლესიის განკრახვით ავკაცობენ და ხალხს აწუხებენ. ახლა თუშთ შენ ეს ასე გამოუცხადე: მაგათი ცხვრის დასაყენებელი ადგილი ლოპოტის ხეობა ყოფილა, ალვანი და პანკისი; ახლაც ამ სამ ალაგს უნდა დააყენონ. ფშაველები პანკისზე რომ ეტანებიან, იმაში ფშაველებს საქმე არა აქვს, — თუშებისა არის. თუ ამ სამს ალაგს მაგათი ცხვარი არ მოთავსდეს, კახეთის სოფლებში ორ-ორს ფარას სოფლის ბოლოში დააყენებენ; ამაზედ მეტის დაყენება არ იქნება და ნურც ქურდობას და ძალადობას მოინდომებენ. ჩვენ ამაზედ კახეთის სოფლებისთვის ბრძანება და დასტური მიგვიცია; თუ თითოს სოფელზე ორს ფარაზე მეტი მიიყვანეს, არც დააყენებენ და ავათაც მოეპყრობიან; თუ ძალადობა ან სიავკაცე რამ დაიწყონ, გალახავენ და უპატიურად გახდიან და ქურდობაზედ კიდეც მოჰკვლენ. ეს თუშებს ყველას შეატყობინე: ორ-ორის ფარის მეტს თითოს სოფელში ვეღარ დააყენებენ და ნურც ავკაცობას დაიწყებენ, თვარემ ისე დაემართებათ, როგორც მიგვიწერია... მეფე ირაკლი“[188].

ვფიქრობ, საკმაოდ ნათელია, რამდენად შეუსაბამოა ინტენსიური მიწათმოქმედება მომთაბარე მესაქონლეობასთან. სწორედ ამიტომ არის, რომ მომთაბარენი ბარიდან ნელ-ნელა იდევნებიან და ადრეფეოდალურ ხანაში საბოლოოდ იკავებენ საქართველოს მთიანეთს, ქმნიან რა იქ მესაქონლე ხეობებს. შემდგომ ქართლის სამეფოს მესვეურნი ყოველთვის ცდილობენ არ დაუშვან მეურნეობის ეს ფორმა ბარში და თუმც მთიელთა კოლონიზაცია ბარში მუდმივად მიმდინარე პროცესია და იგი აქ ზრდის მესაქონლეობის ხვედრით წონას, მაინც ახალი მოსახლენი მალე ითვისებენ დამხვდურთა მეურნეობას და მიწათმოქმედნი ხდებიან.

ამგვარად, ანტიკური ხანიდან იწყება ბარის სამიწათმოქმედოდ ათვისება,

---

[187] ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Hd-10 063ა.

[188] ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფონდი Hd-10 063გ.

რაც მისი გასარწყავებით ხდება. ადრეფეოდალური ხანისთვის ძირითადად მთავრდება იმ სამეურნეო ზოლების (მთის — მესაქონლე, ბარის — მიწათმოქმედ) ჩამოყალიბება, რომელიც XVIII საუკუნეში ფიქსირებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს. ადრეფეოდალური ხანიდან მიწათმოქმედების განვითარებაში დიდი ცვლილება აღარ შეიმჩნევა. თუმცა მიწათმოქმედებაში ვითარდება არაერთი დარგი, ბარის დიდი ნაწილიც ხშირად მომხდურ ტომთა საქონლის საძოვრებად იქცევა, მაგრამ ადრე თუ გვიან დანგრეული სარწყავი სისტემები კვლავ აღდგება და ინტენსიური მიწათმოქმედებაც გამოცოცხლებას იწყებს.

თავი III

კულტი

§ 1. კერა. არქეოლოგიური მასალა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ რამდენადმე მაინც წარმოვიდგინოთ საქართველოში მცხოვრები ტომების რელიგიური რწმენების უძველესი სტადია. კავკასიის პალეოლითს არ ახასიათებს სახვითი ხელოვნება. ჩვენი მღვიმეების კედლები მოხატულნი არ არიან და ქვის ხანის შემცველ ფენებში ვერ ვპოულობთ ძვლისა თუ ქვის ქანდაკებებს. როგორც ჩანს, კავკასიელი ტომები მაგიურ ზემოქმედებას უფრო სხვა ხერხებით ახდენდნენ, ვიდრე მათი ევროპელი ან აფრიკელი თანამედროვენი. უძველესი არქეოლოგიური ნივთი, რომელიც ჩვენშია მოპოვებული და რამდენადმე საკულტო შინაარსის შემცველია, არის რგანში, გვარჯილის კლდის მღვიმის მეზოლითურ ფენაში (პირველი ფენა) 1953 წელს აღმოჩენილი „მეთაურის კვერთხის“ ფრაგმენტი (ტაბ. III, 17).

მისი აღწერილობა, დანიშნულება და მასზე გამოსახულების ახსნა სიტყვასიტყვით მოგვაქვს ძეგლის გამთხრელის, არქეოლოგ დ. თუშაბრამიშვილის მონოგრაფიიდან[1]: „რგანის 1953 წ. არქეოლოგიური ექსპედიციის ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს ძვლის საინტერესო ნივთი. იგი მსხვილფეხა საქონლის ნეკნის ძვლის 1,3 სმ სისქის ნატეხზეა გაკეთებული, რომლის ზედაპირი საგანგებოდ და შემდეგ ხმარებისგან კარგადაა გაპრიალებული. აღნიშნულ ნივთს ბოლოდან 3,7 სმ დაშორებით 1,6 სმ დიამეტრის მრგვალი ნახვრეტი აქვს ამოკვეთილი, მაგრამ ნივთი სწორედ ამ ადგილზეა გადატეხილი და ნახვრეტი ნივთის ფრაგმენტზე მხოლოდ სანახევროდაა შემორჩენილი. ნახვრეტის წრეხაზი არაა პროპორციული და ნეკნის ზედაპირის შუაში არ მოდის... ფრაგმენტის სიგრძე 6,2 სმ უდრის და მის ორივე ზედაპირზე შვიდ-შვიდი ამონაკაწრია. ამონაკაწრები საკმაოდ ღრმადაა და ისარს, თუ ორმხრივ შუბის პირს მოგვაგონებს. მათი სიგრძე საშუალოდ 2,3 სმ უდრის და ერთმანეთის მიმართ პარალელურად არიან განლაგებულნი, მაგრამ მანძილი პარალელურ ხაზებს შორის არაა ყველგან ერთნაირი. ამ ნივთზე დაკვირვება ამჟღავნებს, რომ მის გამკეთებელ პირველყოფილ ადამიანს სურდა ამოეკვეთა იარაღის ორივე მხარეზე განსაზღვრული რაოდენობის გამოსახულება, კერძოდ, ისრის, თუ ორმხრივი შუბისპირის შვიდ-შვიდი გამოსახულება. იარაღის ორივე ზედაპირზე მანძილი პირველ სამ პარალელურ „ღარს“ შორის თითქმის თანაბარია, ხოლო შემდეგ მანძილი „ღარებს“ შორის თანდათან მცირდება, რად-

---

[1] დ. თუშაბრამიშვილი. გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები. თბ. 1960. გვ. 81—82.

გან, როგორც ჩანს, მეიარაღე „ხელოსანს“ ორნამენტის დასატანი ფართობი საჭირო ოდენობით თავიდანვე ვერ გაუზომავს, ხოლო ვინაიდან მას სურდა მხოლოდ შვიდ-შვიდი გამოსახულება ამოეკვეთა, ამიტომ იგი იძულებული გამხდარა უფრო მჭიდროდ განელაგებინა გამოსახულებანი, რის გამოც ამ უკანასკნელთა შორის სიმეტრია დარღვეულია. საფიქრებელია, რომ *აღნიშნული ორნამენტი არ წარმოადგენს უბრალო დეკორატიულ მოტივს, არამედ მას განსაზღვრული, შესაძლებელია, სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ კერძოდ რა, ჩვენთვის გაურკვეველია* (ხაზი ჩემია. ი. კ.). ერთი კი ცხადია, რომ გვარჯილას კლდის პირველყოფილი ადამიანისათვის მხატვრული სახეებით აზროვნება უცხო არ ყოფილა.

აღნიშნული ნივთი შეიძლება „მეთაურის კვერთხის“ ფრაგმენტს წარმოადგენს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ მას პრაქტიკული დანიშნულება ჰქონოდა და შუბისპირის ან ისრისპირის ზროში მოსარგებად და დასამაგრებლადაც გამოიყენებოდა, რასაც ხელს უწყობს, ერთი მხრივ, საგანგებო ნახვრეტი, ხოლო, მეორე მხრივ, ორმაგ შუბისპირთა და ისრისპირთა გამოსახვა ორივე ზედაპირულ სიბრტყეზე... ცხოველის ნეკნის ძვალზე გაფორმებული „მეთაურის კვერთხი“ სხვა ადგილებიდან ჩემთვის უცნობია და არც მსგავსი ორნამენტი შეგვხვედრია“.

რა დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა ამ ნივთს, იქნებოდა იგი მეთაურის კვერთხი თუ ისრისპირის ზროში მოსარგები, მისი საკულტო ხასიათი აშკარაა. თუ სწორია დ. თუშაბრამიშვილის დაკვირვება, რომ „მეიარაღეს“ აუცილებლად სურდა ნივთის ორივე ზედაპირზე შვიდ-შვიდი ხაზის ამოკაწვრა, მაშინ ეს ორმაგი, ისრისპირის მსგავსი ნაკაწრები ასტრალური შინაარსის უნდა იყოს და შვიდ ცთომილს უნდა გამოსახავდეს. ვერ ვიტყვი, რამდენად არის განვითარებული ამ დროს კოსმოგონიური შეხედულებანი, გვაქვს თუ არა სოლარული რწმენები, მაგრამ გვარჯილას კლდის ადამიანს გარკვეული წარმოდგენა უნდა ჰქონოდა ციურ სხეულებზე, მზის სისტემაზე. შეიძლება დავუშვათ, რომ მნათობნი უკვე გაღმერთებულნი არიან და რიცხვი შვიდი საკრალურია. მაშინ ჩვენს ნივთს მაგიური ძალა ეძლევა და მასზე ამოკაწრული გამოსახულება ადვილად ამოსახსნელია. თუ იგი ისრისპირის ზროში მოსარგებია და მასზე ამოკაწრულია ორმაგი ისრის ან შუბისპირები, რიცხვი შვიდი ამ შემთხვევაში ისარს მატებს გამგმირავ ძალას, ხოლო თუ იგი მეთაურის კვერთხია მით უფრო გასაგებია მის ზედაპირზე ასტრალური სიმბოლიკის გამოსახვა, თუნდაც ეს ხაზები ისრის ან შუბისპირებს გამოსახავდეს, მსოფლიოს მრავალი ხალხის წარმართულ პანთეონში გვხვდება შუბოსანი თუ მშვილდისრიანი ასტრალური ღვთაებები, მაგრამ ისრის ან შუბისპირებს გამოსახავს ჩვენს ნივთზე ამოკაწრული ხაზები? ხომ არ არის ეს ხაზები ორთავა გველების გამოსახულება? საქმე ისაა, რომ შედარებით გვიანი ხანისთვის კავკასიის არქეოლოგიაში არაერთგზის არის დამოწმებული შვიდი გველის გამოსახულება ასტრალურ სიმბოლიკასთან ერთად. გვაქვს აგრეთვე სამაჯურები, რომლის ბოლოები გველის თავებს წარმოადგენს. გ. ავალიშვილის დაკვირვებით, გველი იმისდა მიხედვით, თუ რომელ ნივთზე არის გამოსახული, სხვადასხვა ხერხით გამოიხატება. საბრძოლო იარაღებზე გველს ისრის ფორმა აქვს, იგი აგზნებულია, ამით მის გამომხატველს სურს იარაღის გამანადგურებელი ძალის გაზრდა. სამკაულზე გველს დამ-

შვიდებული პოზა აქვს და იგი ამ შემთხვევაში მფარველად გვევლინება[2]. გველის ეს ორმაგი ბუნება ქართულ ფოლკლორშიც შეინიშნება.

შეიძლება სხვა ვარაუდის მოტანაც: მარყუჟებით დამთავრებული ხაზები არც ორმაგი ისრისწვერია და არც ორთავიანი გველი. იგი შეიძლება მნათობის ორ მდგომარეობას გამოსახავდეს ცის თაღზე—ამ მნათობთა გზას. ე. ი. აღმავალი და ჩამავალი მნათობის სიმბოლური გამოსახულება იყოს. მნათობთა ასე გამოსახვის პრეცედენტიც გვაქვს კავკასიის არქეოლოგიაში. კერძოდ, ხიზანაანთ გორის ერთ-ერთი შენობის კერაში. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

თუ ჩემი რომელიმე ვარაუდი მაინც შეეფარდება სინამდვილეს, მაშინ სხვანაირი ინტერპრეტაცია უნდა მივცეთ იმ ფაქტს, რომ ე. წ. მეთაურის კვერთხზე ამოკაწრული მარყუჟიანი ხაზები ასიმეტრიულად არიან განლაგებულნი და მათ შორის მანძილი თანაბრად არ არის დაცული. ვერ გავიზიარებ დ. თუშაბრამიშვილის დაკვირვებას, რომ ხელოსანი ვერ იცავს მანძილს ხაზებს შორის, რომ მას ორნამენტის დასატანი ფართობი თავიდანვე ვერ გამოუზომავს. ვფიქრობ, უფრო სავარაუდოა, რომ მარყუჟიანი ხაზები შეგნებულად არის ამოკაწრული ასიმეტრიულად. მაინცდამაინც რთული არ უნდა ყოფილიყო ნივთის ზედაპირის შვიდ ტოლ ნაწილად გაყოფა, მას შემდეგ მაინც, როდესაც ცალ გვერდზე ასეთი ასიმეტრიული გამოსახულება მიიღებოდა.

მეთაურის კვერთხის ორივე ზედაპირზე პირველი სამი ხაზი მეტად არის დაშორებული ერთმანეთს და სხვებთან შედარებით უფრო გრძელიც არის. ისინი აშკარად და სავსებით შეგნებულად გამოყოფილი არიან დანარჩენი ოთხეულისაგან. ხომ არ არის მეთაურის კვერთხზე ციური მნათობები განლაგებული მათი თვალით შესამჩნევი დაშორებისა და სიდიდის მიხედვით? ხომ არა გვაქვს შვიდი ცის გამოსახულება? ვფიქრობ, საკითხის ასე დასმა არცთუ ისე გაუმართლებელია. მაშინ იქმნება საცთური პირველ სამ ხაზში დავინახოთ ის შედარებით მოზრდილი მნათობები, რომლებმაც ასტრალურ რწმენათა განვითარების დასანახად. ადამიანი არჩევს შვიდ მნათობს, თაყვანსა სცემს მას ბათა სამეული—მზე, მთვარე, ცისკრის ვარსკვლავი.

ასე თუ ისე, მთავარი ისაა, რომ გვარჯილას კლდეში ნაპოვნი მეთაურის კვერთხის ფრაგმენტი მყარი საბუთი ჩანს ჩვენში უკვე ძველი ქვის ხანის დასასრულისთვის კოსმოგონიურ შეხედულებათა და სოლარულ რწმენათა განვითარების დასანახად. ადამიანი არჩევს შვიდ მნათობს, თაყვანსა სცემს მას და რიცხვი შვიდის მაგიურ ძალაში დარწმუნებულია.

მომდევნო ეპოქა, რომლის რელიგიურ რწმენებზე ჩვენ შეგვიძლია მსჯელობა, ნეოლითის დასასრული და ენეოლითია. ამ ხანის არაერთი ნამოსახლარია კავკასიაში გათხრილი და საკმაოდ მდიდარი მასალაა მოპოვებული იმდროინდელ კავკასიელთა სულიერი კულტურის წარმოდგენისათვის. ამ დროისთვის აშკარაა სოლარულ რწმენათა საკმაოდ მაღალი დონე და დიდი დედის კულტის, როგორც ნაყოფიერების ღვთაების, ჩამოყალიბება. ამავე ხანაში ვაპოწმებთ ზოგიერთ ასტრალურ სიმბოლურ ნიშანს.

ზემო იმერეთში, ისტორიულ არგვეთში, მდ. ჯრუჭულას ხეობაში გათხრილია ენეოლითური ფენების შემცველი მღვიმე — სამელე კლდე. სამელე კლდის ნამოსახლარის პირველ, დაურღვეველ ფენაში მოპოვებულია თიხის

---

[2] გ. ავალიშვილი. ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბ. 1974. გვ. 85.

კვირისტავები. საერთოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სამელე კლდის ენეოლითური დასახლება კვირისტავების სიმრავლით გამოირჩევა. კვირისტავების ზოგიერთი ცალი შემკულია ორნამენტით, ამ ორნამენტიკაში ზოგჯერ ასტრალური სიმბოლიკაც იჩენს თავს. კვირისტავების სიმაღლეა 2,5—2,7 სმ, დმ — 4,2 — 5,2 სმ-ია. ისინი სხვადასხვა ფორმისანი არიან, ძირითადად, ძაბრისებური და ბიკონუსური. ზოგიერთი მათგანი შეიძლება ბორბლის იმიტაციასაც წარმოადგენდა[3] (ტაბ. 1,1 — 7). „სამელე კლდის მღვიმეში აღმოჩენილი კვირისტავები — წერს გ. ჯავახიშვილი — „ქსოვასთანაა დაკავშირებული და მათი სხვა ფუნქციონალური დანიშნულება ძნელად წარმოსადგენია. ხოლო რაც შეეხება თიხის ბორბლის იმიტაციებს, რომლებიც კვირისტავებისგან გამოირჩევიან როგორც ფორმით, ისე ზომითაც, მათი დანიშნულება ჯერჯერობით გაურკვეველია. ზემოაღნიშნული კვირისტავები თავისი ორნამენტით, თამამად შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნების ნიმუშად. მათი დამზადებისას ადამიანს უზრუნვია არა მარტო პრაქტიკულ დანიშნულებაზე, არამედ ესთეტიურ მხარესაც აქცევდა ყურადღებას და წინასწარ გააზრებული ჭდეული თუ ნაკაწრი ორნამენტით ამკობდა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კვირისტავების უმრავლესობაზე ვხვდებით მზის სტილიზებულ გამოსახულებას: სხივისებურად განლაგებულ წერტილოვან, წიწვოვან, ხაზოვან და ფრჩხილისებურ ჭდეებს, რომლებიც დინამიურადაა გადმოცემული, რაც შესაძლოა იმის მაუწყებელი იყოს, რომ საქმე გვაქვს სიცოცხლის, მზის კულტთან (ხაზი ჩემია. ი. კ)“[4].

ვფიქრობ, გ. ჯავახიშვილის ვარაუდი სავსებით მართებულია. იმ დროისათვის სოლარული რწმენანი საკმაოდ განვითარებული ჩანს, რასაც ადასტურებს სამელე კლდეში აღმოჩენილი კვირისტავების, ბორბლების მოდელების სიმრავლე და მათი ორნამენტი, რომელიც აშკარად ასტრალური შინაარსის შემცველია. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ კვირისტავები ქსოვის განვითარების უცილობელი საბუთია, ძალიან საეჭვოა ყოველი მათგანი ქსოვასთან იყოს დაკავშირებული. სამელე კლდეში ორ ათეულზე მეტი კვირისტავი აღმოჩნდა. მარტო თერთმეტი ცალი პირველ, დაურღვეველ ფენაში დადასტურდა. ამდენი კვირისტავის თავმოყრა ისეთ მცირე ფართობზე, როგორიც სამელე კლდის პირველი დაურღვეველი ფენაა, მხოლოდ საფეიქრო სახელოსნოს არსებობის შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული, რაც ენეოლითისათვის შეუძლებელია ვივარაუდოთ. სამელე კლდეში მესაქონლეობა საერთოდ არ არის დადასტურებული. გ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, რომ კვირისტავები გამოყენებული უნდა ყოფილიყო სელის საქსოვად და სელის კულტურას, რომლითაც ასე განთქმული იყო კოლხეთი, ჩვენში ამ ხანაში უნდა ჩაყროდა საფუძველი. ენეოლითური ხანის მიწათმოქმედების განხილვის დროს აღვნიშნე, რომ ეს მოსაზრება არცთუ ისე შორსაა სინამდვილისაგან, მაგრამ მაინც საეჭვოა სელის ძაფად დახვევას ამდენი კვირისტავი დასჭირვებოდა. ვფიქრობ, როგორც კვირისტავები, ისე ბორბლის იმიტაციები საკულტო საგნებია, გარკვეული ასტრალური

---

[3] გ. ჯავახიშვილი. დასავლეთ საქართველოს აღრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის. სადისერტაციო ნაშრომი ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1971. გვ. 49. ტაბ. V, XII, XV.

[4] იქვე. გვ. 25.

ღვთაებისადმი — მზისადმი შენაწირი. ამიტომ ვადასტურებთ მცირე ფართობზე ათეულობით კვირისტავს და ბორბლის იმიტაციებს. კვირისტავების მზის ღვთაებისადმი შეწირვის ფაქტი დამოწმებული აქვს ვ. ბარდაველიძეს სვანეთის ეთნოგრაფიაში. „სვანეთში მუშაობის დროს—წერს ვ. ბარდაველიძე—ჩვენ დავამოწმეთ მეტად საყურადღებო ქალების სალოცავი ბორბალი ფარის თემში, სოფელ ფარის პირდაპირ, ეცერის მიმართულებით მდებარე გორაკზე. ამ გორაკის თავზე დავაკებული ადგილია, სადაც მოსახლეობის გადმოცემით, ოდესღაც სალოცავი შენობა მდგარა. ჩვენი იქ ყოფნის დროს მიწის ზედაპირზე რამდენიმე ლოდი და ნაგლეჯი ქვა-ღა მოიპოვებოდა, მცირე ფართობზე მიმობნეული იყო შიფერის თხელი ნატეხები და ერთ ადგილზე შევნიშნეთ ერთად მოყრილი უამრავი ფიქალის, კირქვის, ნაწილობრივ, რკინის მრგვალი, შუაზე მრგვალადვე გახვრეტილი საგნები, რომელთაგან ზოგი კვირისტავი იყო.

...ამ სალოცავის კვირისტავები და მსგავსი საგნები ქალებისაგან ყოფილა მიტანილი და ბ ა რ ბ ო ლ ი ს სახელზე შეწირული. ისინი დღემდე ხელუხლებლად დაიცვა ხალხში გავრცელებულმა შეხედულებამ, თითქოს ბ ა რ ბ ო ლ ი ს სალოცავიდან მათი გატანა უბედურების მომასწავებელი იყო“[5].

ბარბარ||ბაბარ||ბარბალე ქართველთა უძველესი ქალღმერთია. იგი ერთგვარი სინთეზური ღვთაებაა და წარმოშობილია მზისა და ნაყოფიერების ღვთაების „დიდი დედის“ შერწყმით. ამ ასტრალური ბუნების ქალღვთაებას ქვემოთ უფრო ფართოდ შევეხები. აქ აღვნიშნავ, რომ ბარბარ||ბაბარი საერთო კავკასიური ძირეული სიტყვა ბარ-იდან ჩანს წარმოებული. ამავე სიტყვიდან წარმოდგება სინათლის, სიმრგვალის, მცხუნვარების, ელვარების, ე. ი. მზის თვისებათა გამომხატველი სიტყვები არაერთ კავკასიურ ენაში.

კვირისტავი და ბორბალი ყოველ ხალხში ყოველთვის მზის სიმბოლოს წარმოადგენდა. ე. ჰანი თვლის, რომ კვირისტავის ფართოდ გავრცელების მიზეზი ისაა, რომ პირველყოფილი კოსმოგონიური რწმენების პირობებში იგი მზის სიმბოლოს წარმოადგენდა. მას ბორბალი უშუალოდ კვირისტავიდან წარმოშობილად მიაჩნია — ორი კვირისტავი ჯოხით დაუკავშირდა ურთიერთს და ეს პრინციპი დაედო საფუძვლად ბორბლიანი ეტლის მოძრაობის იდეას[6]. მზის კულტთან დაკავშირებული საგნებიდან ბორბლის წარმოშობას ემხრობა ფერერიც, რომელიც თვლის, რომ ბორბალი გახვრეტილი და ღერძზე წამოცმული მზის დისკოა[7]. კავკასიის ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე ხშირად არის დადასტურებული ბორბლის მოდელები, რომლებიც, ალბათ, მზის კულტთან იყო დაკავშირებული და რიტუალში გამოიყენებოდა. მზის კულტს უნდა მიეწეროს აგრეთვე მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე კვირისტავების შედარებითი სიმრავლე. საინტერესო ფაქტია დადასტურებული ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ფენაში, სადაც შენობის გარეთ, ქვის რკალისებურ წყობასთან, აღმოჩნდა: ორი თიხის ჭურჭლის გვერდის წრიული ნატეხი (ორივე ნატეხის ცენტრში დაუწყიათ გახვრეტა, მაგრამ არ დაუმთავრებიათ); კვირისტავები: 1. თეთრი კირქვისა, წრიული, ბრტყელი. შუაში ვიწრო ნახვრეტით, დმ—6 სმ (ტაბ. I. B), 2. თიხის, კონუსისებური, ნაცრისფრად

---

[5] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ. 1941. გვ. 19.

[6] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე. ქართული ხალხური ტრანსპორტი. თბ. 1958. გვ. 136.

[7] ი ქ ვ ე.

გაპრიალებული, დმ—3,5 სმ (ტაბ. I, B); ურმის თვლის მოდელები: 1. კირქვის, ცენტრში ვიწრო ნახვრეტით, დმ—7,5 სმ, სიმაღლე — 3 სმ (ტაბ. I, 11), 2. თიხის, ნაცრისფრად გამომწვარი, დმ—3,5 სმ (ტაბ. I, 98. ხიზანაანთ გორაზე დადასტურებული ქვის რკალური წყობა და მასთან აღმოჩენილი ნივთები ზუსტი არქეოლოგიური პარალელია ვ. ბარდაველიძის მიერ სვანეთში, იფარის თემში დამოწმებული ბარბოლის სალოცავისა.

ყოველივე ზემოთქმულიდან, ვფიქრობ, სავსებით ცხადია, რომ სამელე კლდეში მოპოვებულ კვირისტავებს, პრაქტიკული დანიშნულების გარდა, ჰქონდათ საკულტო-სარიტუალო დანიშნულებაც. ხოლო ურმის თვლის მოდელები, ალბათ, მარტო რიტუალში გამოიყენებოდა. სამელე კლდის კვირისტავები რომ მზის კულტთან არიან დაკავშირებული და მის ემბლემებს წარმოადგენენ, ამაზე მათი ორნამენტიც მიუთითებს. ამ მხრივ საინტერესოა ორი მათგანი. ერთზე ამოკაწრულია სვასტიკისებური გამოსახულება, რომელსაც მეხუთე მკლავი აქვს (ტაბ. I, 2). მეორე კვირისტავზე კი წერტილებით აშკარად ბორჯღალია გამოსახული (ტაბ. I, 3). სვასტიკა და ბორჯღალი საკმაოდ გავრცელებულია ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაში, ისინი შესწავლილი აქვს ეთნოგრაფ ირ. სურგულაძეს. მრავალი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე ი. სურგულაძე, სავსებით სამართლიანად, სვასტიკას მნათობთა ბრუნვის ზოგად ნიშნად მიიჩნევს, ბორჯღალას კი — მბრუნავი მზის გამოსახულებად[9]. სამელე კლდის კვირისტავებზე გამოხატული სვასტიკისებური ნიშანი და ბორჯღალა ამ რიგის გამოსახულებებს შორის უძველესია კავკასიაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ასტრალური სიმბოლური ნიშნები ჩვენში ფართოდ არ ვრცელდება. კავკასიის არქეოლოგიაში თითზე ჩამოსათვლელია ნივთები, რომელთა შემკულობაში ისინი, განსაკუთრებით ბორჯღალა, გვხვდებოდეს. ეს ფაქტი მით უფრო საინტერესოა, რომ კავკასიის ეთნოგრაფიაში საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ამრიგად, შეიძლება თამამად ვამტკიცოთ, რომ ენეოლითური ხანის კავკასიაში სოლარული კულტი საკმაოდ განვითარებულია. ამავე ხანისათვის გარკვევით იკვეთება ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ღვთაების „დიდი დედის“ კულტიც, რომლის იკონოგრაფია ქალის მცირე ზომის ქანდაკებით არის წარმოდგენილი.

ადრესამიწათმოქმედო კულტურები, თითქმის ყველგან, თიხის მცირე ზომის ქალის ფიგურების შემცველია. ტერაკოტული ფიგურები დადასტურებულია ჩვენშიც. კერძოდ, ქვემო ქართლის ენეოლითურ ნამოსახლარებზე. პირველი ასეთი ფიგურა აღმოჩნდა შულავერის გორის ზედა ფენაში[10]. ფიგურა მეტად სქემატურია: წვრილი კონუსური სხეული, ფეხები გაშლილი, შესქელებული და შემკული პარალელური ჰდეებით. ტანზე ამოკაწრულია წიწვოვანი

---

[8] ი. კიკვიძე. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. თბ. 1972. გვ. 21. ტაბ. 7.

[9] ირ. სურგულაძე. ასტრალური სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ორნამენტში (დედაბოძის დეკორის მიხედვით). სადისერტაციო ნაშრომი ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. გვ. 92.

[10] ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი. უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე. თბ. 1971. გვ. 22.

ორნამენტი. სხეულის სხვა ნაწილები — სახე, ხელები, გამოსახული არა აქვს. ორი ასეთი ფიგურის ფრაგმენტი დადასტურებულია იმირის გორაზეც[11].

საინტერესო კოლექცია მცირე პლასტიკისა დამოწმებულია ხრამის დიდი გორის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარზე. იქ № 1 შენობის კერაში, გამოუწვავ თიხის კვერებთან ერთად, აღმოჩნდა თიხის 17 ქალის ფიგურა. სულ ხრამის დიდ გორაზე აღმოჩენილია 21 მთელი თუ ფრაგმენტული ანთროპომორფული ფიგურა. ფიგურები დეტალურად აქვთ განხილული ლ. ღლონტს, ალ. ჯავახიშვილს და თ. კიღურაძეს. მოვიტან რამოდენიმე ფიგურის აღწერილობას მათი ნაშრომიდან[12]. ხრამის დიდი გორის ყველა ანთროპომორფული ფიგურა მეტნაკლებად სტილიზებულია და წარმოადგენს მრგვალ სკულპტურას, რომელიც თითქმის ყოველთვის გამოხატავს ქალს, უმრავლეს შემთხვევაში მკვეთრად ხაზგასმული მდედრობითი ნიშნებით. ყველა ფიგურა, ერთის გარდა, მჯდომარე პოზაშია.

ფიგურები გამოძერწილი არიან რეალისტური მანერით. მათზე ხელებს გარდა გამოსახულია სხეულის თითქმის ყოველი ნაწილი. ქანდაკებებზე განსაკუთრებული რეალიზმით გადმოცემულია ტორსი და ბიუსტი. ნეოლით-ენეოლითურ ძეგლებზე აღმოჩენილი ქალის ტერაკოტული ფიგურებისათვის საერთოდ დამახასიათებელია ბიუსტისა და ტორსის აქცენტირება, რაც მათ ნაყოფიერებას — მაგიურ ძალას უსვამს ხაზს.

განსაკუთრებით გამოირჩევა ერთი მეტად თავისებური ფიგურა. იგი გამოძერწილია მჯდომარე პოზაში, ფეხებშეტყუპებული და მუხლაწეული (სიმაღლე 4 სმ.). ფიგურის ტორსი და ზურგი მასიურია. მხრები საგრძნობლად განიერი თეძოებთან შედარებით. ბიუსტი გამოსახული არა აქვს. ძეგლის გამთხრელებს დასაშვებად მიაჩნიათ ვარაუდი, რომ ეს ფიგურა მამაკაცს გამოსახავს. მით უმეტეს, რომ ზოგიერთ უადრეს ძეგლზე, სადაც საყოველთაოდ გავრცელებულია ქალის გამოსახულებანი, მამაკაცის ერთეული ფიგურებიც გვხვდება (ჩათალ-ჰუიუკი, ტელ-ეს-სავანი).

მეორე ტიპის არცერთი მთელი ფიგურა ხრამის დიდ გორაზე აღმოჩენილი არ არის. მოპოვებულია მათი შვიდი ფრაგმენტი, რომელთაგან ერთ შემთხვევაში მხოლოდ ტორსია შერჩენილი, სამში წელს ქვემოთ ნაწილი, ხოლო დანარჩენები წარმოადგენენ ფეხების ფრაგმენტებს. საინტერესოდაა დამუშავებული თავის ფრაგმენტები. ერთ-ერთ მათგანს მარჯვენა თვალის ფოსოში ჩარჩენილი აქვს შავი, ბრჭყვიალა, ხორკლიანი მასა (დამწვარი რქა?). უეჭველია, რომ ეს არის ინკრუსტირებული თვალის ნაშთი.

ზედმიწევნით დეტალურადაა მოდელირებული განცალკევებით ნაპოვნი თავი. იგი გამოირჩევა საერთო სიმეტრიულობით, რბილად გამოძერწილი კისრითა და ყელით, მკვეთრად ფაცეტირებული პირსახის სიბრტყეებით, რომელთა შეხვედრის წიბო ცხვირის მაგივრობას სწევს. პირი გაკეთებულია პატარა ფოსოს სახით. სახის ორივე სიბრტყის ცენტრში ჩაჩხვლეტილია წრიული, ღრმა თვალბუდე, რომელიც, უთუოდ, უნდა ყოფილიყო ინკრუსტირებული. სახის მარცხენა სიბრტყეზე, თვალის ირგვლივ, დატანილია სხვადასხვა ზომის ოთხი შავი, მრგვალი წერტილი; ხუთი მომცრო, შავი წერტილი დასმულია ყელზე,

---

11 ო. ჯაფარიძე, ალ. ჯავახიშვილი. უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე. თბ. 1971. გვ. 22.

12 ლ. ღლონტი, ალ. ჯავახიშვილი, თ. კიღურაძე. ხრამის დიდი გორის ანთროპორმორფული ქანდაკებები. ძეგლის მეგობარი. № 33. თბ. 1973. გვ. 5—14.

ნიკაპსა და მარცხენა ყბის ქვეშ. ეს მოწმობს, რომ ზოგ შემთხვევაში ფიგურები მოხატული იყო. შავი წერტილები, ალბათ, საკრალურ ტატუირებას გამოხატავდა.

ხრამის დიდ გორაზე დამოწმებული ქალის ტერაკოტული ფიგურები უნიკალური მოვლენაა საქართველოსა და კავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურაში როგორც თავისი სიმრავლით, ასევე გამომსახველობის ტექნიკით. არც ნეოლით-ენეოლითში და არც შემდგომ ქალის თიხის ფიგურები კავკასიის ძეგლებისათვის მაინცდამაინც დამახასიათებელი არ არის. ნამოსახლარებზე მხოლოდ თითო-ოროლა ფიგურა თუ გვხვდება და ისიც საკმაოდ სქემატური (ტაბ. II, 5). ხრამის დიდი გორის მცირე პლასტიკის ანალოგიური მასალა კავკასიის ძეგლებისთვის საერთოდ უცნობია.

ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე გვხვდება სხვა მასალისა და სახის ანთროპომორფული გამოსახულებებიც. მაგ., იმირის გორაზე ნაპოვნია თიხის ორი ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელთაგან ერთზე დაძერწილია ხელაპყრობილი, სარტყლიანი მამაკაცის რელიეფური გამოსახულება. მეორეზე კი ხელგაშლილი ფიგურა. არუხლოს ნამოსახლარზე აღმოჩნდა წითელი ოქრით შეღებილი ორი კენჭი, რომლებსაც დამატებითი დამუშავებით მიცემული აქვთ ადამიანის თავის ფორმა[13].

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქალის ტერაკოტული ფიგურები დაკავშირებული არიან სიცოცხლისა და ნაყოფიერების კულტთან და „დიდი დედის“, ბუნების მფარველ ძალას განასახიერებენ. ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ ანთროპორმორფულ მცირე პლასტიკას ძალიან ძველი ტრადიცია აქვს, შეიძლება ითქვას, რომ უძველესი ხელოვნების ნიმუშები სწორედ ქალის მცირე ფიგურებია. ეს ფიგურები უკვე ორინიაკიდან გვხვდება და, ისევე როგორც ხრამის დიდი გორის ფიგურებს, მათაც მკვეთრად გამოკვეთილი აქვთ ქალის, ნაყოფიერებასთან დაკავშირებული ორგანოები. ეს „ორინიაკელი მადონები“ სხვადასხვანაირად არიან გააზრებული სპეციალურ ლიტერატურაში. საბჭოთა მეცნიერთა უმრავლესობა იზიარებს პ. ეფიმენკოს ვარაუდს, რომ ისინი განასახიერებენ დედა-წინაპრის—დიდედის კულტს[14]. საინტერესო მოსაზრება გამოთქვა პალეოლითური ხანის ქალის ფიგურებზე ს. ტოკარევმა. იგი თვლის, რომ ეს ფიგურები დიასახლისებს, კერის მფარველებს წარმოადგენენ[15]. ვფიქრობ, ტოკარევის მოსაზრება უფრო მართებულია, თუმცა ამ მოსაზრებაშიც წინა პლანზე სოციალური მომენტია წამოწეული.

განსაკუთრებით ფართო გავრცელება ანთროპომორფულმა ფიგურებმა ახალი ქვის ხანაში ჰპოვეს. იშვიათია ადრეული სამიწათმოქმედო ძეგლი, რომელზედაც ქალის მცირე ტერაკოტული ფიგურა არ იყოს დამოწმებული. ამ ხანისთვის მის სემანტიკაზე არავინ დაობს. იგი ერთხმად გააზრებულია ნაყოფიერების ქალღვთაებად—„დიდ დედად“[16]. ქალი, როგორც ნაყოფიერების მფარველი, შეიძლება წარმოებითი მეურნეობის დროს უფრო რელიეფურად იკვეთება, მაგრამ მისი კულტი გაცილებით ადრე უნდა ჩასახულიყო, ჯერ კი-

---

[13] К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили. Древние культуры Южного Кавказа. Л. 1970. стр. 25. рис. 6.

[14] П. П. Ефименко. Первобытное общество. Киев, 1953. стр. 394.

[15] С. П. Токарев. Религия в истории народов мира. М. 1964. стр. 109.

[16] В. М. Массон. О культе женского божества Анауских племен. КСИИМК. № 73. 1953. стр. 14.

დევ მიმთვისებელი მეურნეობის დროს, როდესაც სოციალური ურთიერთობანი განუვითარებელია და ნაყოფიერება, შვილოსნობა მხოლოდ ქალის თვისება ჩანს. შემდგომ, როდესაც ქორწინება მეტნაკლებად წესრიგდება, ადამიანმა არ შეიძლება ვერ შენიშნოს გამანაყოფიერებლის როლი და ისიც ღვთაების რანგში არ აიყვანოს. ვფიქრობ, რომ ნეოლითის ხანაში ანთროპომორფული ფიგურების გამრავლება სულაც არ ნიშნავს, რომ მათ ახალი შინაარსი აქვთ, რომ „დიდი დედა" წინაპრიდან თუ დიასახლისიდან ნაყოფიერების ღვთაებად იქცა. პირიქით, ამ ხანაში ელება ბოლო მის ერთპიროვნულ ბატონობას და ძლიერი მეტოქე უჩნდება გამანაყოფიერებელი ღვთაების სახით, რომელიც უკვე მამაკაცური ბუნების არის. და თუ ადრესამიწათმოქმედო კულტურებში მაინც ასეთ აყვავებას განიცდის „დიდი დედის" კულტი, ეს იმიტომ, რომ იგი კოსმოგონიურ რწმენათა წრეში ექცევა და ერწყმის სოლარულ კულტს. არქეოლოგიური მასალებით, ვფიქრობ, შესაძლებელია მზისა და „დიდი დედის" კულტის შერწყმის პროცესის მეტ-ნაკლები სისრულით წარმოდგენა.

როგორც აღვნიშნე, ნაყოფიერების კულტი ქვედა პალეოლითის დასასრულს უნდა ჩამოყალიბებულიყო, რელიგიური წარმოდგენების ჩასახვა-განვითარებასთან ერთად. ნაყოფიერება, ქვის ხანის ადამიანის წარმოდგენით, მდედრობითი სქესის თვისებაა. ძნელი დასაშვებია წყვილადი ოჯახის განვითარებამდე მას წარმოდგენა ჰქონოდა მამრობითი სქესის როლზე შვილოსნობაში; ორინიაკის ეპოქაში გარკვეულად იკვეთება ნაყოფიერების კულტი, ოჯახის კეთილდღეობისა და სიუხვის მფარველი ქალღვთაების სახით. ამ ოჯახის „დიდი დედისა" თუ „ადგილის დედის" იკონოგრაფია წარმოდგენილია ძვლისაგან ან ქვისაგან ნაკეთები ქალის მცირე ფიგურებით. ეს ფიგურები მაინცდამაინც არ განსხვავდება ადრესამიწათმოქმედო კულტურებში გავრცელებულ ანთროპომორფულ ფიგურებისაგან. „ორინიაკელი მადონებიც" ნაკეთებნი არიან რეალისტურ-ნატურალისტური მანერით. განსაკუთრებით აქცენტირებულია ნაყოფიერებასთან დაკავშირებული სხეულის ნაწილები: ბიუსტი, მუცელი, ბარძაყები და სხვა. ე. ი. ხაზი ესმება ამ „დიდი დედის" ნაყოფიერების — შვილოსნობის უნარს.

ქვისა და ძვლის დამუშავების ტექნიკის შემდეგი სრულყოფა, რომელსაც თან სდევდა ადამიანის გონებრივი განვითარება და ბუნების ძალების უფრო ღრმად შემეცნება, იწვევს თვით „დიდი დედის" კულტის შემდგომ განვითარებას. „დიდი დედა" ოჯახის კეთილდღეობის მფარველიდან ნელ-ნელა ნაყოფიერების ქალღვთაებად იქცევა საერთოდ, ე. ი. ხდება ამ კულტის უფრო განზოგადება.

„დიდი დედის" კულტი განვითარების კულმინაციურ წერტილს აღწევს წარმოებით მეურნეობაზე გადასვლის პერიოდში, როდესაც ნაყოფიერება, მართლაც, უფრო მეტად არის დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე, ვიდრე ადამიანის ცდაზე.

„დიდი დედის" კულტის პარალელურად ვითარდება კოსმოგონიური შეხედულებები, რომლებიც ციურ სხეულებზე დაკვირვების შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო, ე. ი. კოსმოგონიური რწმენები ასტრონომიული ცოდნის განვითარების გარკვეულ საფეხურზე უნდა ჩასახულიყო.

გვარჯილას კლდეში აღმოჩენილი „მეთაურის კვერთხის" განხილვის დროს აღვნიშნე, რომ ძველი ქვის ხანის დასასრულისათვის ადამიანს გარკვეული ასტრონომიული ცოდნა აქვს, რომ ამ დროისათვის ასტრალური რწმენანი გან-

ვითარებულია, რომ ცის მნათობნი გაღმერთებული ჩანს, კოსმოგონიური რწმენების, განსაკუთრებით სოლარული კულტის შემდგომ ზრდას, ხელი შეუწყო წარმოებით მეურნეობაზე გადასვლამ, კერძოდ, მიწათმოქმედების ჩასახვა-განვითარებამ.

ადამიანს არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ ბუნების კვდომა-განახლება ემთხვევა და დამოკიდებულია ცაზე მზის მოძრაობაზე, ბრუნვაზე, მის მდგომარეობაზე. სავსებით ბუნებრივია, რომ ცაზე მბრუნავი მზე ნაყოფიერების ღვთაებად წარმოიდგინება. მაგრამ, როდესაც მზე ნაყოფიერების ღვთაების რანგში ადის, რელიგიურ წარმოდგენებში ეს ვაკანსია უკვე დაკავებულია „დიდი დედის“ მიერ. ცხადია, ერთსა და იმავე ფუნქციას ორი ღვთაება ვერ განასახიერებს. უნდა მოხდეს მათი შერწყმა, ან ერთმა განდევნოს მეორე. აქ უნდა აღინიშნოს ერთი მეტად საყურადღებო მოვლენა, რომელსაც, ჩემი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ღვთაებათა ფუნქციების ან ამა თუ იმ რელიგიურ-სიმბოლური ნიშნისა თუ გამოსახულების სემანტიკის დადგენისათვის.

რელიგიურ წარმოდგენებში ერთხელ ჩამოყალიბებული კულტი არასდროს არ ქრება. შეიძლება კულტების შერწყმა-შეერთება, მაგრამ ერთი მეორეს ვერასოდეს მოსპობს. ამავე დროს, შეიძლება ამა თუ იმ კულტმა შეითვისოს მეორეს ფუნქციები, ან ესა თუ ის ფუნქცია ან თვისება უფრო სრულყოფილად გამოიკვეთოს, მაგრამ იგი უკვალოდ არასდროს ქრება. ამიტომაა, სხვათა შორის, რომ ადრეული რელიგიები საოცარი პოლითეიზმით ხასიათდებიან. ყოველი ხალხის რელიგიურ წარმოდგენებში ერთმანეთში გადახლართული უამრავი კულტი არსებობს. თუ ამ კულტების არსს ღრმად ჩავწვდებით, საბოლოო ჯამში ყველას ერთი საწყისი ფუნქცია აქვთ. იგი ადამიანის კეთილდღეობის, ნაყოფიერების მფარველი ღვთაებაა, ან მისი მტერი, ბოროტი სული. მრავალი ფაქტის მოტანა შეიძლება ამ დებულების დასამტკიცებლად ძველი ქვეყნების ისტორიიდან და ამ მხრივ ძველი რელიგიების კვლევა ძალიან პერსპექტიული ჩანს, მაგრამ ამ მოსაზრებას კავკასიის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებიც კარგად ადასტურებს.

მზეს უნდა შერწყმოდა „დიდი დედის“ კულტი და ისინი ერთ ღვთაებად უნდა წარმოდგენილიყო. ეს რომ ასე მოხდა, ამის დასტური ბარბალეს კულტია და ის ფაქტი, რომ მზე ქალური ბუნების ღვთაებად იქცა. მზის აღმნიშვნელ სიმბოლიკაში სწორედ მის ქალურ ბუნებას აქვს ხაზი გასმული. სანამ ამ სიმბოლიკას განვიხილავდე, უნდა აღვნიშნო, რომ მიწათმოქმედების ჩასახვა-განვითარებამ ნაყოფიერების ღვთაებას მესამე ელემენტიც შესძინა—ეს არის დედამიწა. მარტო მზე უძლურია ნაყოფის მოცემაში. მისი გამანაყოფიერებელი ძალა დედამიწასთან ურთიერთობაში იძლევა ნაყოფს. სხვათა შორის, ეს არის მიზეზი იმისა, რომ მრავალ პირველყოფილ რელიგიაში მზე, როგორც გამანაყოფიერებელი, მამაკაცია და მიწა, ნაყოფის მომცემი, — ქალი. მაგრამ საქართველოს და კავკასიის სინამდვილეში მზესაც და მიწასაც ქალური ბუნება აქვთ. მიწა რომ ღვთაებად წარმოიდგინება, ამას ქართული ეთნოგრაფიული მონაცემებიც ადასტურებს, სადაც დამოწმებულია ე. წ. „ადგილის დედის“ კულტი, რომელიც, როგორც ი. ჯავახიშვილი ფიქრობს, ნიშნავს იმას, რომ „ძველ დროს ქართველი თაყვანსა სცემდა „დედა მიწას“ ვითარცა ღვთაებას და შეჰღაღადებდა: „ამ ადგილის დედაც შენ გვბარებოდეს, შემინახე შენის მადლით და დოვლათითაო“[17].

[17] ი. ჯავახიშვილი. ქართ. ერის ისტორია. წ. I. თბ. 1951. გვ. 92.

მზე და დედამიწა რომ ერთად წარმოიდგინება, როგორც ნაყოფიერების ღვთაება, ამას ამოწმებს ვ. ბარდაველიძის მიერ სვანეთის სოფ. ფარში გამოვლენილი სალოცავი ბარბოლი[18] და ეთნოგრაფ ი. კვიციანის მიერ ტვებიში დადასტურებული წესი[19], რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

როდესაც სვანის ოჯახში უშობელი მოიგებდა, ძროხის მწველავი ქალი აიღებდა კვირისტავს ან მის მსგავს ფიქალის თუ კირქვის ნაჭერს, გათლიდა მას, ახლადმოგებულ ძროხას ჯიქანქვეშ შეუშვებდა და ისე ჩამოწველიდა ძროხას, რომ რძის ცვარი კვირისტავის ნახვრეტში გასულიყო და მიწაზე დაქცეულიყო. შემდეგ ამ კვირისტავს და საგანგებოდ გამომცხვარ ყველიან კვერს სალოცავში წაიღებდა და ბარბალეს სახელზე შესწირავდა, ძროხის სისაღისა და გამრავლებისათვის ლოცვა-ვედრებით.

„ძროხა—წერს ვ. ბარდაველიძე — ქალების ბუნების არსებათა შვილიერების — ნაყოფიერების ატრიბუტია“[20]. კვირისტავი წარმოიდგინება როგორც ქალის სასქესო ორგანოს და მზის სიმბოლური გამოსახულება. რძის ცვარის კვირისტავის ნახვრეტში გატარება და მიწაზე დაქცევა გარკვეული მაგიური მოქმედებაა ძროხათა გასამრავლებლად და წველადობის გასაზრდელად. ამ მოქმედებაში, ვფიქრობ, მზე—ქალი—დიდი დედა და დედამიწა წარმოიდგინება ნაყოფიერების ერთ ღვთაებად.

სამელე კლდის კვირისტავების განხილვის დროს აღვნიშნე, რომ კვირისტავი, ბორბალი, თვალი—მზის სიმბოლოებია. ამ მხრივ საინტერესოა თვალი, რომელიც ძველი ცივილიზებული ხალხების წარმოდგენებში მზის სინონიმი ჩანს[21], ასევეა ქართულშიც, სადაც მზეს, როგორც ამას ნ. მარი აღნიშნავს, საერთო ფუძე აქვს „მზერასთან“ და მნათობის გარდა თვალსაც აღნიშნავს[22]. თვალი, როგორც მზის სიმბოლო, კარგად ჩანს ქართულ გამოთქმებში: „მზის თვალი“ — მცხუნვარება, პაპანაქება, „ჩემმა მზემ“, „შენმა მზემ“, რომლის შესატყვისად სვანი ხმარობს „ჩემმა თვალებმა“, „შენმა თვალებმა“[23] და სხვა. ხრამის „დიდი გორის“ ანთროპომორფულ ფიგურებს სახეზე ყველაზე რელიეფურად თვალები აქვთ გამოყვანილი, რომლებიც, ამავე დროს, ინკრუსტირებულნიც არიან. ვფიქრობ, თვალების აქცენტირებას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და ხაზგასმულია მზე-ღვთაების და „დიდი დედის“ ერთობა, „დიდი დედის“ ასტრალური ბუნება. შეიძლება სხვა არქეოლოგიური ანალოგიის მოტანაც. არც ერთ სამიწათმოქმედო კულტურაში ანთროპომორფული ფიგურები ისე მრავლად და ნაირსახეობით არ არის წარმოდგენილი, როგორც წინა აზიის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე. განსაკუთრებით მდიდარი კოლექციაა მოპოვებული ჩათალ-ჰუიუკის ნეოლითურ ნამოსახლარზე[24]. ჩათალ-ჰუიუკის ფიგურებზე არა მარტო ქალის სასქესო ორგანოებია აქცენტირებული ნაყო-

---

18 ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. გვ. 21.

19 ი. კვიციანი. სვანური ღღეობა ჯგირვანაშობა. ძეგლის მეგობარი. № 34. თბ. 1974. გვ. 68.

20 ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. გვ. 21.

21 W. H. Roscher. Ausfür Lexikon der griech und röm mythologie. II. Leipzig. 1890. 47.

22 Н. Я. Марр. Китайский язык и палеонтология речи. Из. раб. IV. 102.

23 ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. გვ. 55.

24 J. Mellart. Čaatal Hüyük. A Neolithic Town in Anatolia. London. 1967. გვ. 201. ტაბ. 84, 85, 88, 89, 91.

ფიერების ატრიბუტის გადმოსაცემად, არამედ სახეზეა ნაყოფიც. გვხვდება ბავშვიანი ქალების ფიგურები. ხშირად ქალების ფიგურებთან ერთად გამოძერწილია საკრალური ცხოველებიც, მათ შორის ლომიც. ლომის გამოსახულება საკმაოდ გავრცელებულია ძველი აღმოსავლეთის სახვით ხელოვნებაში და იგი ყოველთვის მზესთან არის დაკავშირებული, ხშირად ეს ცხოველები შემკულნი არიან ბორჯღალის — მზის გამოსახულებით. ლომი მზეს უკავშირდება ძველი აღმოსავლეთის და ეგეოსური სამყაროს რელიგიურ წარმოდგენებში და მითებში[25]. მზის ცხოველის „დიდ დედასთან" ერთად გამოსახვა უკანასკნელის მზესთან კავშირსა და ერთიანობაზე მიუთითებს[26]. შეიძლებოდა კიდევ არაერთი მაგალითის მოტანამ მზისა და „დიდი დედის" კულტის შერწყმისა, მაგრამ დავკმაყოფილდები მხოლოდ კერის განხილვით, რომელიც როგორც არქეოლოგიური, ისევე ეთნოგრაფიული მონაცემებით დაკავშირებულია ნაყოფიერების კულტთან და რაც შეიძლება კარგად გადმოსცემს მზის, „დიდი დედის" და დედამიწის ღვთაებათა ერთობას.

უძველესი კერები კავკასიაში დადასტურებულია ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარებზე. აქედან ყველაზე ადრინდელი შულავრის გორაზე დადასტურებული კერა ჩანს. იგი წარმოადგენს საცხოვრებელი შენობის კედლის ძირში თიხისაგან ამოყვანილ, იატაკში ჩამჯდარ „კვერცხისებური" ფორმის კერას, რომელიც, ალბათ, „უქრობი ცეცხლის" შესანახად გამოიყენებოდა. სამეურნეო კერა თუ ღუმელები შულავრის გორაზე ეზოში, შენობის გარე კედელთან ეწყობოდა[27]. კერა, როგორც ჩანს, უკვე მაშინ, რიტუალში იყო ჩართული. ყოველ შემთხვევაში, ნაცარი, რომელიც უქრობი ცეცხლის შესანახი კერიდან ამოიღებოდა, უკვე წმინდაა და მის გარეთ გატანას და გადაყრას ერიდებიან. ის იქვე, იატაკზე ილესება, რასაც იატაკის ამაღლება მოსდევს, და რაც, საბოლოო ჯამში, შენობის დარღვევით და მისი ჭერის ამაღლებით მთავრდება.

ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე ხდება კერის შემდგომი განვითარება. მაგ., უკვე იმირის გორაზე (შენობები 8, 9, 10) თავს იჩენს ოთახის ცენტრში გამართული სტაციონარული კერები. სამწუხაროდ, კერის დანიშნულების შესახებ ვერაფერს ვიტყვით, რადგან მხოლოდ მათი ორმოებია შემორჩენილი[28]. აშკარა საკულტო დანიშნულებისაა ცენტრალური სტაციონარული კერები ხრამის დიდი გორის ნამოსახლარზე. „ისინი წარმოადგენენ მიწაში პირამდე ჩაფლულ, მოზრდილ, სქელკედლიან, ცილინდრულ და დაბალქუსლიან გამოუწვავ ჭურჭლებს, ჩადგმულს შენობის შუაგულში. ერთ შემთხვევაში კედელზე შიგნიდან მოძერწილი იყო მერცხლის ბუდისებური „ჯიბე", რომელიც შულავრის ტიპის კერების რემინისცენციას უნდა წარმოადგენდეს. ამ კერების ძირითადი დანიშნულება მუდმივი ცეცხლის შენახვა იყო. ამასთანავე, როგორც ჩანს, მათ ჰქონდათ სარიტუალო ფუნქციაც. ამას მოწმობს ის, რომ კერები ყოველთვის სავსეა წმინდა მტკიცე ნაცრით. ხოლო ნაცარში აწ-

---

25 ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრ. გვ. 84—89.

26 მზის სიმბოლოთი შემკულ ლომის ოქროს მცირე ქანდაკება აღმოჩნდა კახეთში, წნორი-ლაგოდეხის გზატკეცილის ახლოს ადრებრინჯაოს ხანის ყორღანში. კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი, შ. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი. ახალი საყურადღებო აღმოჩენა კახეთში. „ძეგლის მეგობარი".39.თბ. 1975. გვ. 29.

27 ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 51.

28 ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. უძველესი საცხოვრებელი შენობები საქართველოს ტერიტორიაზე. ძეგლის მეგობარი. 10. თბ. 1968. გვ. 26.

ყვია სხვადასხვა შეწირულება — ცხვრის ძვლები, სამეურნეო იარაღი და ერთ-ერთ მათგანში თიხის კვერები და ანთროპომორფული ფიგურები[29].

კერის საკულტო ხასიათი უფრო იკვეთება მტკვარ-არაქსის კულტურაში. ამ კულტურისთვის დამახასიათებელი უძველესი კერები დამოწმებულია ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის E_1 და E_2 ჰორიზონტებში. ეს კერები წარმოადგენენ იატაკში ჩაჭრილ, თიხით ნალესს ცილინდრულ ორმოებს. ორმოს ნალესობა გადადის იატაკზე და ქმნის საკმაოდ ფართო ბორდურს, რომლის კიდე ოდნავ შემაღლებულია (ტაბ. VI, 1)[30]. ამ ტიპის კერები ძირითადად მტკვარ-არაქსის ადრეულ ძეგლებს ახასიათებთ (ქიულ-თეფეს II ფენა)[31], შედარებით მოგვიანო ხანის ძეგლებზე იგი უფრო გადმონაშთია. მაგ., ახალციხის ამირანის გორაზე ექვსი ასეთი კერაა დამოწმებული, მაგრამ ლესილი ბორდურის ნაცვლად კერის გვირგვინი გამომწვარი თიხის ფილების რამდენიმე სექტორისაგან შედგება[32]. კერის გვირგვინის ფილები, ოღონდ ქვის, ნაპოვნია ბ. კუფტინის მიერ სოფ. ოზნში. გვხვდება აგრეთვე მოხრაბლურზე (სომხეთის სსრ)[33].

ხიზანაანთ გორის კერის ბორდური იმდენად ნაზადაა ნალესი, რომ წარმოუდგენელია მასზე რამდენადმე დიდი ცეცხლის გაჩაღება, რაც აუცილებელია, თუ კერას სამეურნეო დანიშნულება აქვს. ერთადერთი პრაქტიკული ღირებულება ამ კერისა, ისევე როგორც ქვემო ქართლის ენეოლითურ ნასახლარებში დამოწმებული კერებისა, მუდმივი ცეცხლის შენახვაა. აქვს კერას საკულტო დანიშნულებაც. ხიზანაანთ გორის კერის ზედხედი მზის გამოსახულებაა, ნაკვერცხლიანი ორმო — მზის დისკო, ბორდური — შარავანდედი. ცხადია, იგი განასახიერებს მზის კულტს. ამავე დროს, კერა მიწაშია მოწყობილი და დედამიწის კულტსაც უკავშირდება. გულამოღებული წრიული ნივთები, როგორც წესი, ერთი მხრივ, მზის ემბლემა, მეორე მხრივ კი, ქალის ორგანოს გამოხატვაა და „დიდი დედის“ კულტთანაა დაკავშირებული. ერთი სიტყვით, ხიზანაანთ გორის კერა იტევს მზის, „დიდი დედის“ და დედამიწის კულტს. მისი ბორდურის ლესილობაში დატანებულია ხორბლის მარცვლები, რაც კიდევ ერთი საბუთია კერის ნაყოფიერების კულტთან კავშირისა[34].

საფიქრებელია, რომ ხიზანაანთ გორის — E დონის კერებში საკმაოდ განვითარებული ჩანს ე. წ. „ბარბარეს“ და „დიდი დედის ნანას“ კულტი. მაგრამ ეს კულტი გაცილებით ადრე უნდა ჩამოყალიბებულიყო. იგი აშკარად გამოკვეთილია ენეოლითურ ხანაშიც, რისი მოწმობა ხრამის „დიდი გორის“ კერაში ნაპოვნი ანთროპომორფული ფიგურები და თიხის კვერებია. ქალის ტერაკოტული ფიგურები რომ ნაყოფიერების — „დიდი დედის“ კულტს განასახიერებენ, ამაზე ზევით არაერთგზის ითქვა. ნაყოფიერების კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული თიხის კვერები; ბარბალეს შესაწირავი, კვირისტავების

---

29 ლ. ღლონტი, ალ. ჯავახიშვილი, თ. კიღურაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 6.

30 ი. კიკვიძე. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. გვ. 49.

31 О. А. Абибулаев. Раскопки холма Кюль-Тепе... таб. XXXI.

32 ტ. ჩუბინიშვილი. ამირანის გორა. გვ. 64.

33 Э. В. Хазандян. Культура Армянского нагорья в III тыс. до н. э. Ереван, 1967. таб. XV.

34 ტრიპოლიეს კულტურაში ხორბლის მარცვლები შერეულია ქალის თიხის ფიგურებში. Б. А. Рыбаков. Космогония и мифология земледельцев энеолита. СА. I. 1965. стр. 34.

გარდა, ყველიანი კვერებიცაა, რომლის იმიტაციას, ალბათ, თიხის გამოუწვავი კვერები წარმოადგენს. საერთოდ ყოველგვარი წრიული საკულტო სიმბოლიკაში მნათობის ემბლემაა, უფრო ხშირად მზისა. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ კერა და კვერები, რომლებიც მზის ასოცირებას იწვევენ, მას უკავშირდებოდნენ და ამით სოლარული რწმენების ორბიტაში ექცეოდნენ. საერთოდ, კოსმოგონიური შეხედულებების განვითარებასთან ერთად კულტის ყოველ ობიექტს ასტრალური ხასიათი ეძლევა, ტოტემი იქნება იგი თუ „დიდი დედა“ ან ფეტიში, რომელიმე ასტრალურ ღვთაებას უნდა დაუკავშირდეს. ამ ღვთაებათა შერწყმის პროცესში, კულტის ხასიათსა და შინაარსთან ერთად, დიდი როლი ენიჭება ურთიერთმსგავსებას. ამიტომაა, რომ ყოველი რკალისებური მთვარეს (ახალმთვარის მსგავსებით) განასახიერებს, მბრუნავი, წრიული—მზეს და ა. შ. ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი. ამჟამად ჩვენთვის მთავარია, რომ კერას ბევრი რამ აქვს მზესთან საერთო: წრიული ფორმა, სიმხურვალე-ვარვარი, ბზინვარება. კერა, ჩანს, ადრევე იქცა კულტის ობიექტად, იქნებ, იგი დედამიწის ანუ ადგილის დედის განსახიერებაც იყო. შეიძლება ამიტომაც უფრთხიან მისგან ამოღებული ნაცრის გადაყრას და მას იატაკზე ლესავენ შულავრის ნამოსახლარში. კოსმოგონიურ რწმენათა განვითარების შედეგად, იგი სოლარულ კულტს უნდა დაკავშირებოდა. ეს პროცესი, ალბათ, ენეოლითურ ხანაში (V ათასწლეული) უკვე დამთავრებულია. ამავე ხანაში სოლარულ კულტს ერწყმის „დიდი დედაც“ და ვიღებთ ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ღვთაების ბარბალეს ან „დიდი დედის ნანას“ კულტს. მაგრამ, რადგან ეს კულტი სოლარულია, ამიტომ მის ემბლემაში უნდა ჩანდეს როგორც მისი ქალური ბუნება, ისევე მზესთან მსგავსება. ე. ი. ემბლემად ან სიმბოლურ ნიშნად აღებული უნდა იყოს მხოლოდ ის საერთო, რომლითაც აქცენტირებული იქნება როგორც ქალის ნაყოფიერება, ასევე მისი მზესთან მსგავსება. ასეთ სიმბოლურ ნიშნად, როგორც ჩანს, მიჩნეული იქნა გულამოღარული წრე, რომელიც ერთის მხრივ წააგავს მზეს, ხოლო მეორეს მხრივ ქალის სასქესო ორგანოს, საშოს. ამის ნიმუშად შეიძლება ხიზანაანთ გორის E დონის კერები მოვიტანოთ ან საქართველოს ეთნოგრაფიაში დადასტურებული საახალწლო „გვერგვი“ და ჩიჩილაკის „კალპი“, განსაკუთრებით უკანასკნელი. მოვიტან კალპის აღწერილობას ვ. ბარდაველიძის ზემოთ არაერთგზის დამოწმებული წიგნიდან: „ჩვეულებრივი ჩიჩილაკისაგან კალპიანი ჩიჩილაკი იმით განსხვავდებოდა, რომ მას კალპი ჰქონდა გაკეთებული. საახალწლო ჩიჩილაკის კალპი ლერწმისგან მოწნული რგოლია, რომლის დმ 4—6 გოჯს უდრის. იგი ნორჩი ფოთლებით არის შემკული. ამგვარად დამშვენებულ კალპს ჩიჩილაკის თავზე აცმევენ. კალპი მაგრდება ჩიჩილაკის იმ ადგილზე, სადამდეც ჩიჩილაკის წვერები ათლილი და განივრად გადაშლილია (ხაზი ჩემი. ი. კ.). ამის შემდგომ ჩიჩილაკს კვერცხით შეზავებულ, ყველისგულიან, მრგვალსა და შუაზე გახვრეტილ კვერს ბოკელს ჩამოაცმევენ. ბოკელი კალპის ზემოთ უკანასკნელის მიმართ პერპენდიკულარულად მაგრდება. სიდიდით იგი კალპის ზომის არის. ბოკელს ზემოთ ჩიჩილაკის თავზე დამაგრებულია 4—6 გოჯის სიგრძე ხის ჯვარი, რომლის ორ წვერზე ჩამოაცმევდნენ ბურთულის ფორმის კვერს ყვინჩილას და დანარჩენ ორ წვერზე ან ვაშლს ან სხვა ხილეულს“[35].

---

[35] ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. გვ. 72.

კალპის ასტრალური და სოლარული ხასიათი აშკარაა, ჩვენ აქ სხვა გვაინტერესებს, კერძოდ, კალპის მსგავსება ქალის საშოსთან. ყურადღებას იქცევს ჩიჩილაკის წვერები, რომელიც მზის სხივებთან არის ასოცირებული. ეგებ ლომიც იმიტომ არის მზის ცხოველი, რომ ფაფარი და შედარებით მრგვალი თავი მზის ასოცირებას იწვევდა. ბოლოს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სოფელ საირხეში აღმოჩენილი ტაძარი მზის ტაძარი ყოფილიყო იქ აღმოჩენილი ქტეისებისა და ლომის გამოსახულების გამო"[36].

მზის — ბარბარეს კულტი ნაყოფიერების მთავარ ღვთაებად ჩანს ენეოლითური ხანის დასასრულსა და ადრებრინჯაოს ხანის დასაწყისში (ძვ. წ. IV—III ათასწლეულების მიჯნა), თუმც, უკვე ამავე ხანაში, ბოლო უნდა მოღებოდა მის ერთხელისუფლებიანობას და მას საკმაოდ ძლიერი მოზიარე უჩნდება მთვარის სახით, რომელიც, მზისგან განსხვავებით, მამაკაცური ბუნებისაა.

მტკვარ-არაქსის კულტურაში დამოწმებულია ე. წ. კერის ზესადგარები, რომლებიც სხვადასხვა ფორმის არიან. გვხვდება ე. წ. რქიანი, ნალისებური, ზოომორფული, კოჭისებური (ბოლოკისებური, ტაბ. II) და სხვა ზესადგარები. მათ დანიშნულებაზე არ არის ერთიანი აზრი; ზოგი ფიქრობს, რომ ზესადგრები სამეურნეო დანიშნულების იყო, ზოგი კი მათ საკულტო ნივთებად მიიჩნევს. მათი ფუნქციის გასარკვევად სჯობს ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული მათგანი.

მტკვარ-არაქსის კულტურაში ერთ-ერთი უადრესი და ფართოდ გავრცელებული ტიპის ზესადგარია ე. წ. რქიანი სადგრები. ზესადგარის ეს ტიპი წარმოადგენს აგურისმაგვარ, მოგრძო, ბრტყელ ნივთს, რომლის ერთი ბოლო მომრგვალებულია, მეორე კი მთავრდება რქისებური შვერილებით. მომრგვალებულ ბოლოსთან მას წრიული ღრმული აქვს (ტაბ. II, 2). რქიანი ზესადგრები დამოწმებულია ხიზანაანთ გორის ნამოსახლარის E დონეში[77], ზემო ავჭალაში[38], ნახიჭევანის ქიულ-თეფეზე, შენგავითში[39] და სხვა.

ჩრდილოეთ კავკასიაში ასეთი სადგრები დამოწმებულია სოფ. ლუგოვოესთან[40] და დოლინსკოეს ნამოსახლარზე[41]. კავკასიის გარეთ რქიანი ზესადგრები გვხვდება კილიკიაში, მერსინის ბორცვზე[42], ბეისესულთანში[43] და თესალიაში[44].

რქიანი სადგარი, მკვლევართა უმეტესობის აზრით, ხარის კულტთან და-

---

36 ჯ. ნადირაძე. არქეოლოგიური ნარკვევი. თბ. 1972. გვ. 39.

* მზის ცხოველად მხოლოდ ხვადი ლომი ჩანს. ძუ ლომს ფაფარი არა აქვს. ამდენად, იგი მზის ემბლემად არ გამოდგება.

37 ი. კიკვიძე. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. გვ. 42. სურ. 84.

38 Б. А. Куфтин. К проблеме энеолита внутренней Картли и Юго-Осетии. სსმმ, ტ. XVI-B. 1947. გვ. 64.

39 Е. В. Хазандян. დასახ. ნაშრ. გვ. 7.

40 Е. И. Крупнов. Прикаспийская археологическая экспедиция. КСИИМК. вып. 50. М. 1954. стр. 99.

41 А. П. Круглов и Г. В. Подгаецкий. Долинское поселение у г. Нальчика. МИА. № 3. т. III. стр. 171.

42 Gastang. Prehistoric Mersin Yümük-Tepe in southern Turkey. Oxford. 1953. სურ. 90. 106.

43 S. Lloyd and Mellart. Beycesultan excavations. Anatolian Studies. vol. V. London. 1955. ტ. 3. IV.

44 A. Wall and M. Thompson. Prehistoric Thessaly. Cambridge. 1912. გვ 43.

კავშირებული ნივთია და რქისებური შვერილებით თვით გამოხატავს ხარს. ხარის კულტს დაუკავშირა რქიანი სადგარი ბ. კუფტინმა. მას პარალელად კრეტა-მიკენში გავრცელებული სამსხვერპლოები მოაქვს. თუმცა უფრო ადრე რქიან სამსხვერპლოებს იგი „დიდი დედის“ კულტს უკავშირებდა, ხედავდა რა რქისებურ შვერილებში იდაყვში მოხრილ, მაღლა აპყრობილ ხელებს[45].

რქიანი სადგრები დადასტურებული არის გვიანი ხანის ძეგლებზეც. კერძოდ, გვიანი ბრინჯაოს ხანის სამლოცველოს გათხრების დროს, ნაცარგორაზე, ერთ-ერთ სამლოცველო სენაკში აღმოჩნდა რქებიანი საკურთხეველი ნალისებური კერითა და რქებიანი ზესადგრებით. აქვე დადასტურებული იყო ხარის ტერაკოტული ფიგურები. ძეგლის გამთხრელი არქეოლოგი გ. გობეჯიშვილი თვლის, რომ რქებიანი ზესადგარი ნალისებური კერის ნაწილია, რომელშიაც წმინდა ცეცხლი ინთებოდა. ამ საგნის კერასთან დაკავშირება საესებით ბუნებრივია. აქ მთავარი ის არის, რომ კერასაც და ზესადგარსაც სარიტუალო მნიშვნელობა აქვთ და დაკავშირებული არიან ხარის კულტთან[46].

რქებიანი სადგარი რომ კერასთან დაკავშირებული ნივთია და იგი რიტუალში გამოიყენებოდა, ამას კარგად ადასტურებს ხიზანაანთ გორის E ჰორიზონტზე აღმოჩენილი კერა, რომლის ძირზე მიძერწილი იყო რქებიანი სადგარი[47].

ხარის კულტს უკავშირებს რქიან სადგარს ო. ჯაფარიძე: „ხარი, რომელიც, ერთი მხრივ, დიდი რაოდენობით ხორცეულს იძლევა—წერს იგი,—ხოლო, მეორე მხრივ, ჩანს, იწყება მისი გამოყენება გამწევ ძალად, ენეოლითის ხანიდან მოყოლებული კულტის ობიექტი ხდება. ამ პერიოდში მისი კულტი მძლავრად იკიდებს ფეხს; ამის საბუთად შეიძლება ისიც გამოდგეს, რომ ენეოლითის ხანაში ხარის კულტთან დაკავშირებული გამოსახულებები მრავალ ვარიანტებს იძლევა“[48].

ხარის გამოსახულება მტკვარ-არაქსის კულტურაში, მართლაც, მრავალი ვარიაციით გვხვდება და, უმეტეს შემთხვევაში, აქცენტირებული არის მისი რქები. სავსებით სწორად, რქიან ნივთებში მკვლევარნი ხარის სტილიზებულ გამოსახულებას ხედავენ. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს კვიპროსზე აღმოჩენილ მიკენური ვაზის გამოსახულებიდან. ვაზაზე გამოსახულია წყვილი ხარის თავი, რომლებსაც რქებს შორის მოთავსებული აქვთ ორმაგი ცული. ხარებს შორის დგას რქებიანი სადგარი, რომლის რქისებურ შვერილებს შორის ორმაგი ცულია აღმართული[49]. როგორც ვხედავთ, მიკენური ვაზის გამოსახულებაზე ხარი და რქიანი სადგარი ერთი მნიშვნელობით არის გამოსახული, რითაც მათ იგივეობას აქვს ხაზი გასმული.

ხარის სტილიზებულ გამოსახულებებში რქების მნიშვნელობას ხაზს უსვამს დ. დუსო. იგი რქებიან სადგრებს „რქებიან საკურთხევლებს“ უწო-

---

[45] Б. А. Куфтин. К проблеме энеолита... стр. 133.

[46] გ. გობეჯიშვილი. სტალინირის ნაცარგორა. მიმომხილველი. ტ. II. თბ. 1952. გვ. 260—262.

[47] ი. კიკვიძე. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. გვ. 52. ტაბ. XVI.

[48] ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ. 1958. გვ. 28.

[49] Б. А. Куфтин. Урартский «Колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит. სსმმ. ტ. XIII. თბ. 1944. გვ. 339.

დებს, ხედავს მასში ხარის თავის გამოსახულებას და თვლის, რომ მთავარი ღვთაებრივი ძალა წმინდა ცხოველის რქებში იყო[50].

კერასთან ფუნქციონალურად არის დაკავშირებული სადგრების მეორე ტიპი, რომელსაც „ნალისებურ ზესადგრებს" უწოდებენ (ტაბ. II, 4). ასეთი სადგარები საქართველოში მხოლოდ 5 ძეგლზეა აღმოჩენილი: ხიზანაანთ გორის E დონეზე[51], ოზნის ნამოსახლარზე[52], ზღუდრის გვერდაზე[53], ახალციხის რაიონში, სოფ. ზველთან და ამირანის გორაზე[54].

განსაკუთრებით მრავლადაა დამოწმებული ნალისებური სადგრები არაქსის აუზში: გარნი[55], შენგავითი[56], არმავირ-ბლური[57], ნახიჭევანის ქიულ-თეფე[58] და სხვა. ნალისებური სადგრები, ისევე როგორც რქიანი ზესადგრები, როგორც ჩანს, კერასთან იყვნენ დაკავშირებული და რიტუალში გარკვეული ადგილი ჰქონდათ მიჩენილი. ვხვდებით როგორც ნალისებურ კერებს, ასევე სამსხვერპლოებს. მათ უკავშირდება რქიანი სადგარიც და, შეიძლება ამიტომ ნალისებური სადგრებიც ხარის კულტთან იყვნენ დაკავშირებულნი[59]. არ არის გამორიცხული ნალისებური ზესადგარის პრაქტიკული, სამეურნეო მნიშვნელობაც. მაგრამ თვით კერები, რომელთა ზესადგრებს ისინი წარმოადგენენ, უფრო საკულტო დანიშნულებისაა, რაც ნალისებური სადგრების საკულტო ხასიათს განსაკუთრებით უსვამს ხაზს. რა ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია ნალისებური ზესადგარი კერასთან, კარგად ჩანს ამირანის გორაზე აღმოჩენილი სადგრებით.

ახალციხის ამირანის გორაზე მოპოვებული ნალისებური ზესადგრების ზოგიერთი ცალი ანთროპომორფულია და წარმოსახავს მჯდომარე მამაკაცს. ყოველი მათგანი იტიფალურია, რაც ტ. ჩუბინიშვილის ვარაუდით, ნიშნავს იმას, რომ „სადგარის რკალად გაშლილი ნაწილები ასახიერებენ არა ქალღმერთის მკლავებს, როგორც ამას ბ. კუფტინი ვარაუდობდა, არამედ ფეხგაშლილ, მჯდომარე მამაკაცის ფიგურას. ზემოხსენებულის საფუძველზე ირკვევა, რომ ამ ზესადგრებს არა მარტო პრაქტიკული დანიშნულება, არამედ, როგორც ჩანს, კერის კულტთან დაკავშირებული სარიტუალო მნიშვნელობაც ექნებოდა, მაგრამ არა ქალის, არამედ მამაკაცის ფეტიშად გადაქცევასთან დაკავშირებით"[60]. ტ. ჩუბინიშვილი ვარაუდობს, რომ იტიფალური ზესადგრები იდგმებოდა კერასთან და ახდენდა მის განაყოფიერებას. ვფიქრობ, სავსებით სწორი მოსაზრებაა, რომელიც იძლევა გასაღებს როგორც ანთროპომორფული, იტიფალური კერის ნალისებური ზესადგრების, ასევე მტკვარ-არაქსის კულტურისა-

---

[50] B. Dusaud. Les civilisation Prehelleniques. Paris. 1914. გვ. 82.

[51] ი. კიკვიძე. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. გვ. 52. ტაბ. XXVIII.

[52] Б. А. Куфтин. Археологические раскопки 1947 г. стр. 36.

[53] ო. ჯაფარიძე. ქართველ ტომთა ისტორიისათვის ლითონის... გვ. 83.

[54] ტ. ჩუბინიშვილი. ამირანის გორა. გვ. 33, 65.

[55] Б. Аракелян. Гарни. Ереван. 1951. стр. 23.

[56] А. Сардарян. Первобытное общество в Армении. Ер. 1967. стр. 175.

[57] П. С. Уварова. Колекция Кавказского Музея. Археология. Тб. 1902. стр. 130. № 2120—22.

[58] О. А. Абибулаев. დასახ. ნაშრომი. გვ. 90. ტაბ. VI_3.

[59] ტ. ჩუბინიშვილი. ამირანის გორა. გვ. 66.

[60] ტ. ჩუბინიშვილი. მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა. თბ. 1965. გვ. 39.

თვის დამახასიათებელი ზესადგრების დანიშნულებისა და ფუნქციის სწორად წარმოდგენისათვის.

როგორც აღვნიშნე, ასტრალური ქალი-ღვთაების ბარბარის — დიდი დედის ნანას — მზის კულტი ჩამოყალიბდა წარმოებით მეურნეობაზე გადასვლის ხანაში და იგი ნაყოფიერების მფარველი მთავარი ღვთაება ჩანს ენეოლითური ხანის მთელ მანძილზე. მაგრამ მიწათმოქმედების და მესაქონლეობის განვითარებას არ შეეძლო წინა პლანზე, ნაყოფის მომცემთან ერთად, არ წამოეწია გამნაყოფიერებლის, მწარმოებლის კულტი. ამას თან ერთვის წყვილადი ოჯახის შემდგომი განვითარება, სადაც, ისევე როგორც მეურნეობაში, მამაკაცი პირველობას იჩემებს. ერთი სიტყვით, მამაკაცი იბრძვის თავისი უფლებებისათვის და ეს ბრძოლა, რა თქმა უნდა, ჯერ იდეოლოგიაში, სარწმუნოებაში იხატება. თანდათან ძლიერდება გამნაყოფიერებლის, მამრის კულტი. რადგან ქალი-ღვთაება ასტრალური კულტია და მზეს განასახიერებს, მამა-ღვთაება, სავსებით ბუნებრივად, მეორე დიდ მნათობს, მთვარეს დაუკავშირდა[61]. ასე უნდა დაწყებულიყო ბრძოლა ორ დიდ ღვთაებას — მზესა და მთვარეს შორის პირველობისთვის, რომელიც, ფაქტიურად, მამაცთა და დიაცთა ბრძოლაა თავიანთი უფლებების განმტკიცებისთვის.

მამა-ღვთაება ნაყოფიერების კულტში უკვე ენეოლითურ ძეგლებზე შეინიშნება. ხრამის დიდი გორის ანთროპომორფულ ფიგურებში ზოგიერთი, პირობითად, მამაკაცად არის მიღებული. კავკასიურ, ადრესამიწათმოქმედო კულტურების ძეგლებზე მოპოვებულ ანთროპომორფულ ფიგურებს შორის, დიდ გორაზე აღმოჩენილი ქანდაკებები ყველაზე გვიანდელნი არიან, რომლებიც ქალ-ღვთაებას განასახიერებენ. მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ძეგლებზე, როგორც ჩანს, ძალაუფლება მზისა და მთვარის ღვთაებას შორის ნიველირებულია. ამიტომ ტერაკოტული ანთროპომორფული ფიგურები, რომლებიც ღვთაების უფლებას გამოხატავენ, საერთოდ არ ჩანს. გვიანდელ ძეგლებზე კი თავს იჩენს მხოლოდ მამაკაცის ფიგურები.

პირველად თავისი უფლება მამაკაცმა, ალბათ, რიტუალის შესრულების დროს განაცხადა. ვ. ბარდაველიძის მიერ სვანეთში, ფარის თემში დამოწმებულ ბარბარის რიტუალში, რომელიც უძველესი საფეხური უნდა იყოს ჩვენში კულტმსახურებისა, მხოლოდ ქალები იღებენ მონაწილეობას, საერთოდ კი, საქართველოს მთიანეთში დაცულ ღვთისმსახურების რიტუალში ქალი არათუ მონაწილეობს, ხატის კარზე ახლოს მისვლაც კი აკრძალული აქვს. ღვთისმსახურების ეს წესი, რომელშიაც მხოლოდ ქალები ან კაცები იღებენ მონაწილეობას, ასახავს კულტმსახურების რიტუალის განვითარების ორ საფეხურს — ყველაზე ადრინდელს და ყველაზე გვიანდელს. ამ საფეხურებს შორის, ალბათ, საკმაოდ დიდი ბრძოლა იყო რიტუალის აღსრულებაში პირველობისთვის, რომელიც ქალთა დამარცხებით და მათი კულტმსახურებიდან საერთოდ განდევნით დამთავრდა. ქალი უწმინდურად გამოცხადდა. მას აეკრძალა ხატთან ახლოს მისვლაც. მამაკაცს კი, ამ უწმინდურ ძალასთან ახლოყოფნის (ინტიმური) შემთხვევაში, მხოლოდ სპეციალური განბანის შემდეგ შეეძლო ხატობაზე მისვლა და რიტუალის აღსრულება.

ზოგად ეთნოგრაფიაშიც კულტმსახურების ყოველი საფეხურია დადგენი-

---

[61] ჩვენი ვარაუდი მხოლოდ კავკასიის არქეოლოგიური მასალების ინტერპრეტაციით იფარგლება. მზე ყველგან ქალი-ღვთაება არაა. ზოგან იგი თავიდანვე მამაკაცი ჩანს.

ლი: უადრესი, როდესაც რიტუალის შემსრულებლები ქალები არიან; შუა, როდესაც მამაკაცებთან ერთად ქალებიც იღებენ მონაწილეობას კულტმსახურებაში და ბოლო, როდესაც ხატობას მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ.

ბრძოლა პირველობისათვის ხანგრძლივი პროცესი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ერთი კულტის შეცვლა მეორით, ან ერთის წინა პლანზე გამოსვლა და მეორის დაჩრდილვა ხანგრძლივ იდეოლოგიურ შემზადებას მოითხოვდა. მთვარე რომ ღვთაებათა შორის პირველი გამხდარიყო და მზე დაეჩრდილა, ან საერთოდ უნდა მოესპო მისი კულტი ან შეერწყა. როგორც ჩანს, ხდება მეორე პროცესი, ე. ი. პირველ ხანებში ორივე ღვთაება ინარჩუნებს თავის სქესს და ორივე პირველობს. ერთი სიტყვით, ნაყოფიერება წარმოისახება სქესობრივი აქტით, რომელშიაც ორივე ღვთაება თანაბარ როლს თამაშობს. სწორედ ამით უნდა აიხსნას იტიფალური, ანთროპომორფული, ნალისებური კერის ზესადგრების გაჩენა. ამრიგად, ნაყოფიერების კულტის რიტუალში წინა პლანზე გამოდის სქესობრივი აქტი, ნაყოფიერებაზე მაგიური ზემოქმედება. ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება საქართველოს ეთნოგრაფიიდან, რომლებიც ამ მოვლენის პარალელად და მის ასახსნელად გამოგვადგებოდა, მაგრამ მოვიტან მხოლოდ ერთს, რომელიც ვ. ბარდაველიძემ წარმატებით გამოიყენა სვანეთის საწესო გრაფიკული ხელოვნების ერთ-ერთი სიმბოლური ნიშნის, იტიფალური ზოომორფული ნიშნის სემანტიკის დასადგენად. ეს არის თითქმის მთელს დასავლეთ საქართველოში დადასტურებული, საქონლის გასამრავლებლად შესრულებული მაგიური რიტუალი — ბოსლობა.

მოგვყავს ერთ-ერთი ლეჩხუმური ვარიანტი ვ. ბარდაველიძის მონოგრაფიიდან: „ვახშმობის წინ, სახლში გამეფებულ სიჩუმეში (ამ დროს აკვანში ბავშვსაც არ უნდა ეტირა), სახლის უფროსი და დიასახლისი მიდიოდნენ კერასთან და იკავებდნენ თავიანთ ადგილს, კაცი კაცის მხარეს, ქალი ქალის მხარეს — კერის მარჯვნივ. აქ ისინი იმუხლებდნენ, დგებოდნენ ოთხზე და დიასახლისი იწყებდა ხმამაღლა მოხმობას: „კოტ-მოზვერა, კოტ-მოზვერა“, რაზედაც კაციც ხმამაღლა ეხმაურებოდა: „მე ვარ შენი ხარ-მოზვერი“ და ოთხით იწყებდა ქალთან მიახლოვებას. ჩერდებოდა მის ზურგს უკან, იღებდა ფალოსს და პოზის შეუცვლელად იწყებდა მის ქნევას. შემდეგ, როგორც ქალი, ისე კაცი, იწყებდნენ კერის ფოფხვით შემოვლას მარცხნიდან მარჯვნივ, თითოეულ შემოვლაზე ჩერდებოდნენ ქალის მხარეს, სადაც სახლის უფროსი კვლავ იწყებდა ფალოსის ქნევას. კერის სამჯერ შემოვლის შემდეგ დგებოდნენ, კაცი იღებდა ხელადით ღვინოს, ქალი ლობიანს, რომელზედაც ულლის ორი ტაბიკი იყო გამოსახული და ხმამაღლა დაილოცავდნენ: „ღმერთო საქონელი გაგვიმრავლეო“. ამ ლოცვას იმეორებდნენ ოჯახის სხვა წევრებიც“[62]. დასავლეთ საქართველოში ბოსლობის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, რომელთა შეჯერების შედეგად ვ. ბარდაველიძე ასკვნის: ბოსლობა ეწყობა ღვთაება ბოსელის ან ბოსელ-კოტის პატივსაცემად, მის სახელზე. ბოსელი — კოტი მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების მფარველია. ბოსელი წარმოებულია ბოსიდან, რომელიც ადრე, ალბათ, ხარს აღნიშნავდა. ბოსი რომ ხარია და ხარ-ღვთაება, ამას ადასტურებს კოტის ეტიმოლოგიაც, რომელიც — კოტი — კიტი — კუტუ — ფალოსს აღნი-

---

[62] В. В. Бардавелидзе. დასახ. ნაშრ. გვ. 179.

შნავს[63]. ძალიან საინტერესოა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე არაერთგზის არის დამოწმებული ზოომორფული ზესადგრები. ამ ზესადგრებს სქესის აღმნიშვნელი ნიშანი არა აქვთ, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, რქიანი და ნალისებური კერის ზესადგრები ხარის სქემატურ გამოსახულებად არის მიჩნეული და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზოომორფული ზესადგრებიც ხარს გამოსახავდნენ.

ვფიქრობ, მტკვარ-არაქსის კულტურის იტიფალური, ანთროპომორფული ზესადგრები და მათი კერასთან კავშირი მოწმობაა იმისა, რომ ადგილი უნდა ჰქონოდა ისეთივე რიტუალს, როგორიც ბოსლობაა. მით უმეტეს, რომ ბოსელი ასტრალური ღვთაება ჩანს (კერის გარშემო მარჯვნიდან მარცხნივ შემოვლა) და კოტ-მოზვერი, რომლის იმიტაციასაც სახლის უფროსი და დიასახლისი ახდენენ, ასტრალური ღვთაების სიმბოლო, მისი განმასახიერებელი. რომ ხარი ბოსლობაში ასტრალურ ღვთაებას განასახიერებს, ეთნოგრაფიული მასალებით კარგად აქვს ნაჩვენები ვ. ბარდაველიძეს. მე შევეცდები საქართველოს არქეოლოგიის მონაცემებით იგივე დავამტკიცო.

მკვლევართა უმრავლესობა რქიან ზესადგრებს ხარის გამოსახულებად მიიჩნევს და მას ხარის კულტს უკავშირებს. ხარი რომ საკულტო ცხოველია კარგად ჩანს ზემოხსენებულ, კვიპროსზე აღმოჩენილ მიკენურ ვაზაზე გამოსახულ ხარის თავებიდანაც, რომელთა რქებს შუა აღმართულია ორმაგი ცული. ხარის კულტი მიკენურ სამყაროში ძალიან გავრცელებულია და შეიძლება პარალელად არც გამოდგეს. მაგრამ ნაცარგორაზე, სამლოცველო სენაკში, სამსხვერპლოებთან ხარის ფიგურების აღმოჩენა, თავისთავად, ჩვენშიც ხარის კულტის გავრცელებაზე მიუთითებს. საკვლევია, თუ რომელ ასტრალურ ღვთაებასთან არის დაკავშირებული ხარი, რომლის ემბლემას წარმოადგენს მისი გამოსახულება.

ხარი ძველ რელიგიებში მთვარის ღვთაებას განასახიერებს. ხარის რქების მსგავსებამ ნახევარმთვარესთან, მისმა სიძლიერემ, მწარმოებლის დიდმა უნარმა, როგორც ჩანს, განაპირობა მისი მთვარის ღვთაებასთან დაკავშირება. დუსოც თვლის, რომ რქისებური სამსხვერპლოები ხარის სტილიზებული გამოსახულებაა და ღვთიური ძალა რქებშია. ეს აზრი სწორია იმდენად, რამდენადაც ხარის რქებში მთვარეს დავინახავთ. ძველი აღმოსავლეთის იკონოგრაფიაში ხარი ხშირად გამოსახულია ახალმთვარესთან ერთად. მთვარე გამოსახულია ოქროსგან გამოქანდაკებულ ხარის თავზე, რომელიც აღმოჩნდა ყარა-ყუმის უდაბნოს სამხრეთით, ალთინ-დეპეს ბორცვზე ძვ. წ. III და II ათასწლეულების მიჯნით დათარიღებულ მთვარის ტაძარში. „ციურ ხარად“ იწოდება მთვარის ღვთაება ნანა ურის ზიკურატში აღმოჩენილ წარწერაში.

რქების ნაცვლად ახალმთვარე აქვს გამოსახული ხარს თრიალეთის სარტყელზე. მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე კერების განვითარებაშიაც შეიძლება შევნიშნოთ ხარისა და მთვარის კავშირი.

ხიზანაანთ გორის ნამოსახლარის D დონეზე კერების ფორმა იცვლება. კერები უფრო განიერია, ვიდრე E დონეზე, ქრება ბორდური და კერებს უჩნდებათ შვერილები (ტაბ. VI, 2). შვერილებიანი კერები მტკვარ-არაქსის კულტურის თითქმის ყოველ ნამოსახლარზე არის დამოწმებული — ქვაცხელები, გუდაბერტყა, ქულბაქები, ილტო, შენგავითი, ბაბა-დერვიში და სხვა. იგი

[63] В. В. Бардавелидзе. დასახ. ნაშრ. გვ. 188—191.

უცვლელი ფორმით გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრულამდე. შიდა ქართლის ძეგლებზე, კერძოდ, ხიზანაანთ გორის ნამოსახლარზე, დადასტურებულია მეტად ნიშანდობლივი მოვლენა: D დონიდან მოყოლებული ვეღარ ვხვდებით რქიან და ნალისებურ სადგრებს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ რქიანი და ნალისებური კერის ზესადგრები თვით კერას შეერწყო და განვითარდა კერის შვერილებად[64]. ეს მოსაზრება ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ E დონეზე, საკულტო ორმოებში, ჩვეულებრივ, დადასტურებულია ან კერის შვერილები, ან კერის ზესადგრები (რქიანი ან ნალისებური). ე. ი. კერის შვერილები და რქიანი ან ნალისებური ზესადგრები აქ ერთმანეთს ენაცვლებიან, რაც მათ ერთი და იგივე საკულტო დანიშნულებაზე მიუთითებს. ერთ-ერთ ორმოში მთელი კერაა დადასტურებული, რომელსაც ქიმების მხოლოდ ჩანასახი აქვს[65]. კერა, როგორც აღვნიშნე, მზის გამოსახულებაა და მის კულტს განასახიერებს. თუ რას წარმოადგენს კერის ქიმიები, ვფიქრობ, ჩანს D დონის მე-18 შენობის კერიდან, რომლის შიდა კედელზე ღერძით დაკავშირებული ორი ახალი მთვარეა გამოსახული (ტაბ. VII, 1). ამით ხაზი აქვს გასმული იმ ფაქტს, რომ კერამ მთვარის კულტი შეიერწყა შვერილების სახით და იგი ორივე დიდი ასტრალური ღვთაების ხატად იქცა. ვფიქრობ, ზემოთქმული საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ რქისებურ სადგარში ხარის—მთვარის კულტი დავინახოთ.

ასევე მთვარეს განასახიერებს ზოომორფული იტიფალური ზესადგრები. ხიზანაანთ გორის ნამოსახლარზე ამის დამადასტურებელი ფაქტია გამოვლენილი: B დონის ერთ-ერთ ორმოში აღმოჩნდა თიხის იტიფალური ანთროპომორფული ფიგურა (ტაბ. II, 1). ფიგურა რომ მამაკაცია, ამას მისი იტიფალურობა ამტკიცებს. იგი გამოძერწილია ანთროპომორფული ფიგურებისათვის დამახასიათებელი მანერით — მჯდომარე პოზაში, მუცელი გამობერილი აქვს, მკერდი ჩავარდნილი, მარცხენა მკლავი იდაყვში მოხრილია და წინ გაშვერილი. მარჯვენა მკლავი აკლია. ფეხები ოდნავ მორკალულია ისე, რომ ფიგურის ქვედა ნაწილი ნალისებური სადგრის იმიტაციას მოგაგონებთ. ფეხებს შუა მოთავსებული აქვს ფალოსი. სახე ირიბად წაკვეთილი, ბრტყელი, წრიული. ზედ გამოსახულია, უფრო სწორად, ამოჩხვლეტილია თვალები. ცხვირი რელიეფური აქვს. საერთოდ, ფიგურის სახე ძალიან წააგავს მთვარეს და, ალბათ, მისი გამოსახულებაც არის. ამდენად, ეს ფიგურა პირდაპირ უთითებს ნალისებური სადგრისა და მთვარის კავშირზე[66].

ყოველივე ზემოთქმულიდან, ვფიქრობ, კარგად ჩანს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ ეტაპზე ნაყოფიერების კულტი გამოისახება ასტრალურ ღვთაებათა სქესობრივი კავშირით. უფრო სწორად, ხელოვნურად იწვევენ მას ოჯახის წევრთა, საქონლის გამრავლებისათვის და მოსავლის ხვავიანობისთვის. ღვთაებათა ამ კავშირს გამოხატავს კერები და რქიანი და ნალისებური სადგრები, უფრო გვიან შვერილიანი კერა, რომელიც სიმბოლური გამოსახულებაა როგორც მზის ღვთაების, ასევე მთვარის. მაგრამ სექსუალური აქტის ასე აქცენტირებას არ შეიძლება თვით სასქესო ორგანოების კულტი არ

---

[64] ი. კიკვიძე. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. გვ. 87. ლ. ღლონტი. მტკვარ-არაქსის კულტურის დასახლება. გვ. 170.

[65] ი. კიკვიძე. დასახ. ნაშრომი. ტაბ. XXVIII. 4. გვ. 87.

წამოეწია წინ. როგორც ადრე, მზის სიმბოლური ნიშნის გამოსახვისას, ხაზი აქვს გასმული მის მსგავსებას ქალის საშოსთან, ახლა ნაყოფიერების ატრიბუტად ფალოსი იქცევა. იგი და მისი მსგავსი საგნები კულტის ობიექტი ხდება. ამიტომ მრავლდება საქართველოს არქეოლოგიაში იტიფალური საგნები, ხოლო ბევრ ქართულ ხალხურ დღესასწაულში ფალოსი რიტუალის მთავარი კომპონენტი არის (მურყვანობა[67], ბერიკაობა[68] და სხვა).

ფალურობა დამახასიათებელი ჩანს არაერთი ძველი სამიწათმოქმედო კულტურისათვის და რიტუალში სექსუალური აქტის ხაზგასმა უნდა ჩანდეს მცირეაზიულ და ორმდინარეთის ცნობილ ნაყოფიერების ქალღვთაებების — კიბელასა და იშტარის მეტად ეროტულ ხასიათში. ნაყოფიერების რიტუალში სქესობრივი კავშირის მნიშვნელოვანი ადგილით შეიძლება აიხსნას ძველი აღმოსავლეთის ტაძრებში გავრცელებული ორგიები.

მაგრამ მაგიური ზემოქმედების, მაგიური შელოცვის არსი სასურველის რეალურ წარმოდგენაშია. ამიტომ ნაყოფიერების რიტუალს რომ სასურველი შედეგი ჰქონდეს, საჭიროა მისი სრული ციკლის ჩატარება. განაყოფიერების პროცესთან ერთად უნდა წარმოისახოს ამ პროცესის შედეგიც—ნაყოფი, და, ამგვარად, ვიღებთ ნაყოფიერების კულტის მესამე კომპონენტს, რომელიც, როგორც რიტუალის შედეგი, მალე კულტში მთავარ ადგილს იჭერს. ასე, კომპრომისით მთავრდება ნაყოფიერების ღვთაებათა ბრძოლა პირველობისთვის, რომელიც, ფაქტიურად, მამაკაცის ბრძოლაა თავისი უფლებისათვის, ნაყოფი-ღვთაება რამდენადმე შემარიგებელი რგოლია დაპირისპირებული მხარეებისა. ბუნებრივია, რომ იგი ორივე ღვთაების ფუნქციების და თვისებების მატარებელია და შეიძლება იგივე სიმბოლიკით გამოისახოს. ხდება ორი მოქიშპე ღვთაების შერწყმა და ისინი ერთ ღვთაებად გვევლინებიან. ვიღებთ, რამდენადმე ქრისტიანულ, სამპირიან ერთი ღმერთისმაგვარ ღვთაებას, რომელიც იმისდა მიხედვით, თუ რომელი მოქიშპე მხარე მძლავრობს, იმავე სქესისაა და მასთან უფრო დაახლოვებულია. ჩვენს შემთხვევაში ნაყოფი-ღვთაება, ალბათ, მამაკაცური ბუნებისაა. თუმცა იმისდა მიხედვით, თუ რა ფუნქციის განხორციელება უხდება, შეიძლება მან ქალური ბუნებაც მიიღოს, ან საწინააღმდეგო მოვლენა მოხდეს, ახორციელებს რა ქალი-ღვთაების ფუნქციებსაც, თვით ამ ქალღვთაებას შეუცვალოს ბუნება. ვფიქრობ, ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენები თვით ნაყოფიერების კულტის დიალექტიკური განვითარების შედეგია.

ჩემს მიერ წარმოდგენილი სქემა ნაყოფიერების კულტის განვითარებისა რამდენადმე უტრირებულია და გამარტივებული. სინამდვილეში, ალბათ, გაცილებით რთულ მოვლენებს ჰქონდა ადგილი ამ კულტის ჩამოყალიბების პროცესში. მაგრამ დაპირისპირებულთა ბრძოლა და ამ ბრძოლის შედეგად ახალი ღვთაების ჩამოყალიბება, თითქმის, ყოველ სამიწათმოქმედო კულტში შეინიშნება.

ეს პროცესი კარგად ჩანს ძველ ეგვიპტურ რელიგიაში, კერძოდ, ოზირისის კულტში. მოქიშპეებად აქ ძმები გვევლინებიან: სეტი ბოროტი ძალაა, რომელიც კლავს ოზირისს, კუწავს მას და მისი სხეულის ნაწილებს მთელს ეგვიპ-

---

[66] ი. კიკვიძე. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. გვ. 87.

[67] ჯ. ონიანი. სვანური „მურყვანობა“—კვირიაობა. მაცნე. თბ. № 4. 1966. გვ. 64—66.

[68] ი. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 65—77. ს. მაკალათია. ფალოსის კულტი საქართველოში. მიმომხილველი. თბ. 1926. გვ. 129—135.

ტეში მოაბნევს. ოზირისის ცოლი, ნაყოფიერების მფარველი ქალი-ღვთაება იზიდა, ხანგრძლივი ძიების შემდეგ კრეფს ოზირისის სხეულის ნაწილებს, აღადგენს მის ტანს და მისგან ეყოლება ჰორა. ჰორა ჰკლავს სეტს და აცოცხლებს მამას[69]. ოზირისის გაცოცხლება-აღდგომაში ბუნების, მცენარეულის სიკვდილსა და გაცოცხლებას ხედავენ[70], როგორც ვხედავთ, ნაყოფიერების კულტის სამპიროვნობა რელიეფურად ჩანს — ოზირისი, იზიდა და ჰორა. თუმც ჰორა მიჩქმალულია და კულტის მთავარი პერსონაჟი ოზირისია. საკმაოდ ძლიერია ქალღვთაება იზიდა, რომელიც უფრო გვიან ოზირისსაც ჩრდილავს. საინტერესოა, რომ ასტრალურ წარმოდგენებში მზეს უკავშირდება ოზირისიც, ჰორაც და ძველი ეგვიპტის სხვა არაერთი ძლიერი ღვთაება, მაგ., ამონი.

მოქიშპე ღვთაებათა ბრძოლის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო მცირეაზიური — ხეთური ნაყოფიერების ღვთაების — ატისის კულტიც, რომელიც იღუპება ქალღმერთ კიბელას ავხორცობის შედეგად და კვლავ ცოცხლდება სხვა, მისი მოსიყვარულე ქალღმერთის დახმარებით[71]. ნაყოფიერების კულტს ამ შემთხვევაშიც კვლავ გაცოცხლებული მამაკაცური ბუნების ღვთაება განასახიერებს.

დუალიზმი ნაყოფიერების კულტში და მის შედეგად მესამე კომპრომისული ხასიათის ღვთაების ჩამოყალიბება ყველაზე რელიეფურად მითრაიზმის კულტში ჩანს. მითრა—მზე უძველესი არიული ღვთაებაა. იგი ჯერ კიდევ ძველი ინდური — ვედური რელიგიის პერსონაჟად გვევლინება. უფრო რელიეფურად დუალიზმი ზოროასტრულ რელიგიაში გამოიკვეთა, რომლის შემდგომ განვითარებამ მოგვცა მითრაიზმი, ჩვ. წ. პირველ საუკუნეებში ყველაზე გავრცელებული კულტი-სარწმუნოება აღმოსავლეთსა და დასავლეთში, კერძოდ, რომში, სადაც იგი რომაელმა ლეგიონერებმა შემოიტანეს[72].

დუალიზმი, ბრძოლა კეთილსა და ბოროტ საწყისებს შორის ზოროასტრის მოძღვრების ქვაკუთხედი და უმაღლესი პრინციპია, რომელიც გამოხატავს შეხედულებას ბუნების დამანგრეველ და ამაღორძინებელ ძალებს შორის ბრძოლაზე. კეთილი საწყისი, ავესტას მიხედვით, ღმერთი აჰურამაზდაა (ბერძ. ორმუზდი), რომელიც სათავეში უდგას კეთილ სულებს, აჰურებს და ებრძვის სიკეთის გამარჯვებისათვის ბოროტი სულების, დევების წინამძღოლს, ღვთაება ანგრო-მანიუს (არიმანი)[73]. ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის საყოველთაოა. მასში ჩათრეულია ყოველგვარი სულიერი, ხორციელი თუ საგანი, ცხოველი თუ მცენარე, რადგან ყოველი არსი, სულიერი, უსულო განიხილება ორმუზდის ან არიმანის შექმნილად. მათ შორის ბრძოლაა და ამ ორ მებრძოლ ბანაკს შორის შუამავლად გვევლინება იაზიტი-მითრა, მარად ახალგაზრდა ჭაბუკი, რომელიც კაცობრიობას იცავს ბოროტისაგან, და რომლის შემწეობითაც გამარჯვებას საბოლოოდ სიკეთე იზეიმებს[74].

მითრა აჰურამაზდას შექმნილია და თითქმის მის რანგშია აყვანილი, ავესტაში იგი აჰურამაზდას სხეულად და თვალებად იხსენიება[75]. აი, თვით აჰუ-

---

69 Б. А. Тураев. История Древнего Востока. т. I. Л. 1936. стр. 182.
70 С. А. Токарев. Религия в истории народов мира. стр. 338.
71 იქვე.
72 J. M. Robertson. Religions systems in the World. 1890. 225—248.
73 Бетания и Дуглас. Великия религия Востока. М. 1899. стр. 275.
74 იქვე.
75 Geiger. Civilisation of the eastern Iranians transe by Dastur. London. 1884.

რამაზდას განაწესი ზოროასტრასადმი: „როდესაც მე შევქმენი მითრა, მფლობელი (გამგებელი) ვრცელი საძოვრებისა, მე შევქმენი იგი, ისევე ღირსი მსხვერპლის შეწირვისა და ლოცვებისა, როგორიც ვარ მე, აჰურამაზდა, ბოროტმოქმედი, რომელიც იცრუებს მითრას წინაშე (დაარღვევს პირობას), თავს დაატეხს სიკვდილს მთელს ქვეყანას, ქვეყანას იმდენსავე ზიანს მიაყენებს, რამდენსაც ასი ცოდვილი. ო. სპატიმნუ, ნუ დაარღვევ პირობას, ნურც მორწმუნესთან, ნურც ურწმუნოსთან, რადგან მითრა ყველასათვისაა, როგორც ერთგულისათვის, ისე ორგულისათვის“[76].

საინტერესოა, რომ ღვთაებები — დევი და აჰურა უკვე იხსენიება ძველ რიგვედებში. დევი ძველ ინდურ რელიგიაში კეთილ სულად გვევლინება და სიკეთის მფარველი ღვთაებაა. იგივე ფუნქცია აქვს ღვთაება ასურას (აჰურა). უფრო გვიან, ბრამანიზმის დროს აჰურა-ასურა ბოროტ სულად გამოდის. ვარაუდობენ, რომ დევი, არიმანი, აჰურამაზდა ძველი სატომო ღვთაებები არიან და მათ ქიშპობაში ამ ტომთა შორის ანტაგონიზმი ჩანს. დევები, კერძოდ, მომთაბარე ტომების ღვთაება უნდა ყოფილიყო, აჰურა კი — ბინადარი, მიწათმოქმედი მესაქონლე ტომებისა[77]. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ავესტის დუალისტურ მოძღვრებაში აისახა არქაული, დუალისტური მითოლოგია ორი ძმა ტყუპების შესახებ[78]. შეიძლება პირველი მოსაზრება უფრო ახლოს იდგეს სიმართლესთან და ორმუზდისა და არიმანის ანტაგონიზმში ველური და ბინადარი ტომების მტრობა ისახებოდეს[79]. მაგრამ აქ მხოლოდ მოქიშპე ტომების ღმერთების სახელის სესხებასთან უნდა გვქონდეს საქმე, რომელიც ბოროტების მფარველი ღვთაების აღმნიშვნელად უნდა ქცეულიყო, რაც შეეხება ბოროტ და კეთილ საწყისს, იგი ყოველ ადრესამიწათმოქმედო რელიგიას ახასიათებს. ან შეიძლება დუალისტური იდეა ნაყოფიერების ღვთაებათა ქიშპობის, უფრო სწორად, პირველობისთვის ბრძოლის ნიადაგზე განვითარდეს. ზოროასტრას მოძღვრებაში დუალიზმი დროებითი მოვლენა ჩანს და სულაც არ არის მუდმივი კატეგორია. ორმუზდი და არიმანი საწყის სტადიაზე ერთიანობაში განიხილება როგორც დევი და ასური-აჰურა. მათი ბრძოლა ორმუზდის გამარჯვებით უნდა დამთავრდეს[80] და ამით დუალიზმს ბოლო ელება.

მაგრამ მთავარი მაინც მითრაა, რომელიც შუა, ერთგვარი შემარიგებელი რგოლია აჰურამაზდასა და ანჰრა-მანიუს შორის. ტომებს შორის ბრძოლის საფუძველზე განვითარებული დუალიზმის იდეას ასეთი შემარიგებელი რგოლი არ სჭირდება და, პირიქით, ასეთი რგოლი აუცილებელია ნაყოფიერების ღვთაების განვითარების პროცესში.

მაგალითების მოტანა ძველი რელიგიებიდან, სადაც ნაყოფიერების ღვთაებაში სამების პრინციპი ჩანს, კიდევ შეიძლებოდა. მაგრამ, ვფიქრობ, მოტანილიც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ჩვენს მიერ კავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურების ძეგლებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალების საფუძველზე მიღებულ ნაყოფიერების კულტის განვითარების სქემას მოეპოვება ანალოგიები ძველი აღმოსავლეთის რელიგიებში.

---

76 Бетания и Дуглас. დასახ. ნაშრ. გვ. 279.

77 იქვე. გვ. 276.

78 С. А. Токарев. Религия в истории народов мира. стр. 381.

79 იქვე.

80 Бетания и Дуглас. დასახ. ნაშრ. გვ. 276.

ახლა საკვლევია, ამ ახალი სინთეზური ღვთაების სიმბოლო როგორ ან რით არის წარმოდგენილი რიტუალში. ქვემოთ დავინახავთ, რომ კავკასიის ენეოლით-ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე, საკულტო რიტუალში ცენტრალური ადგილი კერას უჭირავს. კერაშივეა წარმოდგენილი თითქმის მთელი ასტრალური სიმბოლიკა. უფრო სწორად, კერა თავისი იერითა და ფორმებით ასტრალური ღვთაებების ხატად გვევლინება. ზემოთ აღვნიშნე, რომ შვერილებიანი კერა მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე მზისა და მთვარის, ან დედამიწის და მთვარის ქალურ და მამაკაცურ საწყისს განასახიერებს, უფრო მეტიც. კერაში გადმოცემულია განაყოფიერების აქტი, ბუნებრივია, მასში უნდა იყოს მოცემული თვით ნაყოფიც. ვფიქრობ, ამ ნაყოფს — შვილ-ღვთაებას სიმბოლურად კერაში დანთებული ცეცხლი განასახიერებდა, სხვანაირად წარმოუდგენელია თვით კერის კულტი, კერის ასტრალური წარმოდგენების სფეროში მოქცევა. ცეცხლის კულტს, მის თაყვანისცემას ქართველ ტომებში ხაზს უსვამდნენ ი. ჯავახიშვილი და ვ. ბარდაველიძე. ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება ამის შესახებ მსჯელობა, ახლა კი აღვნიშნავ, რომ კერა, ცეცხლის გარდა, არ შეიცავს სხვას ისეთს, რომ ახალი ღვთაება ჩაიტიოს. ამასთან, აშკარად ჩანს ადრეული ბრინჯაოს ხანიდან ცეცხლის კულტის გაძლიერება, რაც ნაცრისაგან ნაკეთები სარიტუალო საგნების გამრავლებაში გამოიხატება. ამავე დროს, როდესაც შეიმჩნევა ასტრალური სიმბოლიკის ცვლა, როდესაც ცეცხლი აღარ არის შვილი-ღვთაების ერთადერთი სიმბოლო, კერაც კარგავს საკულტო რიტუალში თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ცეცხლი, სითბოსა და სინათლის წყარო, ადრევე მოექცა ადამიანის განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის ცენტრში. იგი, ერთი მხრივ, გარს იკრებს ადამიანებს და მათში კოლექტივიზმის ინსტიქტების გამომუშავების ერთგვარი სტიმულატორი, მეორე მხრივ, თავისი ელვარებით, სითბოთი, სტიქიურობით შიშს ნერგავდა ადამიანში და იწვევდა თავისადმი თაყვანისცემას. სავსებით ბუნებრივად, პირველი სოციალური უჯრედები: გვარი, ოჯახი ცეცხლის გარშემო წარმოიქმნა და იგი დიდ როლს თამაშობს მათ სამეურნეო და სულიერ ყოფაში. ცეცხლი თანდათან რიტუალის განუყოფელ და არსებით ნაწილად იქცევა. შემთხვევითი არ არის რომ პირველი, მკვეთრად გამოხატული საკულტო საგნები — ქალის მცირე ფიგურები, როგორც წესი, კერასთან ან კერაში არის დადასტურებული. ასტრალური რწმენების განვითარებასთან დაკავშირებით ასტრალურ ხასიათს იღებენ ძველი ღმერთები. უფრო სწორად, ძველი საგვარეულო თუ საოჯახო ღმერთები ახალასტრალურ ღვთაებებს ერწყმიან, ძველი რწმენები კოსმოგონიური მსოფლმხედველობის ორბიტაში ექცევიან. ზემოთ, შეძლებისდაგვარად, ვაჩვენე, თუ როგორ შეერწყო კერა სოლარულ კულტს. შემდეგ მან მთვარის სიმბოლიკაც შეითვისა და ერთგვარ ემბლემად იქცა. გასაგებია, რომ ცეცხლი, თავისთავად, ადის კოსმოსურ სიმაღლეზე, როგორც კულტმსახურების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, თვით ხდება კულტი და ამიერიდან ნაყოფიერების მთავარი ღვთაების სიმბოლოდ გვევლინება.

ამგვარად, ახალი კულტის შექმნით დამთავრდა მამათა ბრძოლა თავისი უფლებისათვის — ახალი ღვთაება მამაკაცად წარმოიდგინება და მამის უფლებას ამტკიცებს. შვერილებიანი კერა ნივთიერი დამადასტურებელია იმ ფაქტისა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის გარკვეულ საფეხურზე (ხიზანაანთ გორის D დონიდან) ამიერკავკასიელი ტომები პატრიარქატის საფეხურზე ადი-

ან. მესამე ათასწლეულის დასაწყისიდან კავკასიის ტომების რელიგიურ წარმოდგენებში უკვე ჩამოყალიბებული ჩანს ნაყოფიერების ღვთაებათა სამეული. რადგან შვილი მემკვიდრეა და ასახიერებს მშობლების ბუნებას და ფუნქციებს, ამიტომ ღვთაებათა ტრეადაში იგი მთავარი პერსონაჟია. მას აქვს საკუთარი ემბლემა, მაგრამ მშობლების სიმბოლიკასაც ითვისებს. ამიერიდან ნაყოფიერების კულტს ხშირად სამივე ღვთაების ემბლემით გამოსახავენ. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ღვთაებათა სამეულის ერთ-ერთი წევრის ემბლემა ჩანს ნაყოფიერების სიმბოლოდ. ამ შემთხვევაშიც ეს ემბლემა ტრეადის სამივე წევრს უნდა გამოხატავდეს.

ახლა შევეცდები დავაკავშირო შვერილებიანი კერის ასტრალური სიმბოლიკა ქართველი ტომების რელიგიურ წარმოდგენებში დადასტურებულ ასტრალურ ღვთაებებთან. უკვე აღინიშნა, რომ ქართველი ტომების რელიგიაში დამოწმებული „დიდი დედის“ კულტი, რომელიც ვ. ბარდაველიძეს პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის პერიოდის პანთეონის მთავარ ღვთაებად ჰყავს მიჩნეული, დადასტურებულია კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს არქეოლოგიაშიც, ოღონდ ნეოლით-ენეოლითში. ეს კულტი სოლარულია და სიმბოლურად გადმოიცემა ქალის ტერაკოტული მცირე ფიგურებითა და ბორდურიანი კერებით. შემდეგი საფეხური ასტრალური პანთეონის განვითარებისა ქართველთა რელიგიურ წარმოდგენებში ღვთაებათა სამეულია: მარიგე ღმერთი, მზექალი და კვირია[81].

ამ სამეულის სათავეში მარიგე ღმერთი დგას, რომლის ძალა განუსაზღვრელია. იგია კანონმდებელი, როგორც აქ, მიწაზე, ასევე ცათა შინა. მისი ასეთი ძლიერი ნება ეპიტეტიდან ჩანს: „მორიგე“, იგი თავის ნებით ანაწილებს სიკეთეს თუ ბოროტებას, ბედს თუ უბედობას, დოვლათსა თუ სიღარიბეს და სხვა. როგორც ვ. ბარდაველიძემ გამოიკვლია, მორიგე ღმერთი ღამის ღვთაებაა და იგი მთვარეს განასახიერებს.

პანთეონის მეორე წევრი მზექალი „სადიდებელთაჲში“ მინდვრის ჯვრად მოიხსენიება და მინდვრის ღვთაებად არის წარმოდგენილი. მის გამგებლობაშია ღრუბლები და ატმოსფერული ნალექები, რომელზედაც მოსავალია დამოკიდებული. მისი ბუნება ეპითეტით უკვე განსაზღვრულია: მზექალი, ე. ი. ქალური ბუნებისაა და მზეს განასახიერებს.

ბოლომდე ნათელი არ არის ტრეადის მესამე წევრის — კვირიას ბუნება და ფუნქცია. იგი მოიხსენიება როგორც „ხმელთ მოურავი“ და „კარავიანი“. კარავს გარდა, კვირია კავშირს ამჟღავნებს ცეცხლთანაც. ქართველების რწმენით, როდესაც კვირია ადამიანებზე განრისხდებოდა, მათ დასასჯელად სახლ-კარს უწვავდა. საინტერესოა კვირიას ეტიმოლოგიური მსგავსება კერასთან, კვერთან (ნაცარში გამომცხვარი პური), კვართან, რაც ხაზს უსვამს კვირიას ცეცხლთან გენეტიკურ კავშირს. კვირიასა და ცეცხლის კულტი ერთი ჩანს. მაგრამ გასარკვევია კვირიას ასტრალური შინაარსი, თუ რომელ მნათობთან არის იგი დაკავშირებული. ამის დადგენაში რამდენადმე გვეხმარება კვირიას ღვთაების ფუნქციის გამორკვევა, რომელიც ისევე ძნელად დასადგენია, როგორც მისი ბუნება. ვ. ბარდაველიძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თუმცა კვირიას ღვთაებათა ტრეადაში მესამე ად-

[81] ღვთაებათა ბუნება და ფუნქცია მოტანილია ვ. ბარდაველიძის მონოგრაფიიდან. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. стр. 10—22.

გილი უჭირავს, „სადიდებელთაჲში“ ხშირად იგი მეორე ადგილს იჭერს და მორიგე ღმერთის შემდეგ მოიხსენიება. ეს უნდა აიხსნას იმით, რომ კვირია მეტად ახლოს დგას მორიგე ღმერთთან და მისი ძალისა და ძლიერების თანამონაწილეა — „მაგ ჭიქა ბარძიმზედა შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, კვირიავ, ძალო ღვთისაო“. ასე ილოცებიან კვირიას სახელზე ღვთისმსახურების დროს. მის ფუნქციას ღვთისშვილთა წინდგომა და ქვეყანაზე სამართლის გაჩენა შეადგენს — „დიდება ძალს ხთისასა, სამართალს კვირიასასა“, „დიდება და გამარჯვება ძალსა ღვთისას, სამართალს კვირიასას! ძალი ღვთისა გწყალობდესა და სამართალი კვირიასა“. კვირია წინამძღოლობდა აგრეთვე ღვთის იასაულებს, როდესაც მათ ვინმეს დასასჯელად წარგზავნიდა ღმერთი. კვირიას განმგებლობაშია შვილოსნობაც. თუმც აქაც, ისევე როგორც სხვა ფუნქციის შესრულების დროს, იგი დამოუკიდებელი არ არის და ღმერთთან ერთად ან მისი ბრძანებით მოქმედებს. «Дошедшие до нас пережитки, в том числе священнослужебные тексты — წერს ვ. ბარდაველიძე— не дают основания считать Квириа специальным божеством покровителем деторождения. Мы не имеем ни одного факта приписывания Квириа функции деторождения независимо от Мориге Гмерти»[82].

ეს ასეა, მაგრამ ყველა ფუნქცია, რომელსაც კი მზექალი ან კვირია ასრულებს, მორიგე ღმერთთან თანდგომით და მისი მითითებით ან ნებართვით ხდება. ე. ი. დამოუკიდებელი ეს ღვთაებები იშვიათად ჩანან. მორიგე ღმერთთან თანდგომა, მასთან ერთად საღვთისმსახურო ტექსტებში მოხსენიება, ვფიქრობთ, სულაც არ უნდა გვიშლიდეს ხელს მზექალი ან კვირია ამა თუ იმ მოვლენის მფარველ ღვთაებად ვაღიაროთ. ამიტომ ი. ჯავახიშვილი კვირიას შვილოსნობის მფარველ ღვთაებად თვლის. თუმც ვერ დავეთანხმებით განსვენებულ მეცნიერს, რომ კვირია, ამავე დროს, სქესობრივი სიყვარულის მფარველი ღვთაებაც იყო[83].

კვირიაობა-მერყვანობაში რომ ფალოსს გარკვეული ადგილი აქვს მიჩენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს დღესასწაულები ნაყოფიერების კულტისადმია მიძღვნილი და კვირია იქ საერთოდ ნაყოფიერების მფარველ ღვთაებად გვევლინება.

მორიგე ღმერთი, მზექალი, კვირია უძველესი სამიწათმოქმედო ღვთაებები არიან და ნაყოფიერება მათი ერთ-ერთი არსებითი ფუნქცია უნდა იყოს. მორიგე ღმერთი და მზექალი რომ ნაყოფიერების მფარველნი არიან, ეს საეჭვო არ არის. რომ კვირიაც, პირველ რიგში, ნაყოფიერების ღვთაების ფუნქციებს ასრულებს კარგად ჩანს ნაყოფიერებისადმი მიძღვნილ დღესასწაულებში. ესეც არ იყოს, როგორც აღვნიშნეთ, კვირია ღვთის შვილთა წინმდგომია. იგი ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია მორიგე ღმერთსა და ღვთისშვილს შორის, კვირიას შემწეობით უნდა გამოსთხოვოს ყოველმა ღვთისშვილმა მორიგე ღმერთს სიკეთე თავის საყმოსთვის. პირველ რიგში ღვთისშვილნი, რა თქმა უნდა, საყმოს გამრავლებას და უხვ მოსავალს ითხოვდნენ.

ახლა დავადგინოთ კვირიას ასტრალური შინაარსი. უკვე აღვნიშნე, რომ კვირია მორიგე ღმერთთან მეტად ახლოს დგას და მისი ძალისა და ძლიერების განმასახიერებელია. კვირიას ასეთი სიახლოვე ღმერთთან და ის ფაქტი, რომ

---

[82] В. В. Бардавелидзе. დასახ. ნაშრ. გვ. 19—20.
[83] ი. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 63, 71.

იგი „ღვთის და ღვთისშვილთა შუამდგომია“, „ანგელოზთ მეუფროსეა“, ხომ არ ნიშნავს, რომ თვით არის ღვთისშვილი, ოღონდ უფრო გავრცობილი, ხევთშორისო, საერთო ქართული[84].

ღვთისშვილი (ხატი, ჯვარი) ოჯახის, გვარის, ტომის ადგილობრივი, გაკულტებული ღვთაებაა, რომლის მეშვეობით მყარდება ურთიერთობა ადამიანსა და ღმერთს შორის. იგი რელიგიურ რწმენებში წარმოდგენილია მორიგე ღმერთის შვილად, რომელსაც ღმერთისგან საგანგებოდ ჩაბარებული აქვს საყმო. ღვთისშვილი წინმდგომია თავისი საყმოსი და მისთვის ყოველწლიურად ღმერთისგან გამოითხოვს ქერ-ოქროს, მშვიდობას, საქონლის სიმრავლეს, ვაჟიანობას და ქადაგის პირით ამცნობს თავის ყმათ. ღვთისშვილი — ხატი ფაქტიური გამგებელია და უცილობელი მბრძანებელი თავისი საყმოსი. ყველაფერი — ავი თუ კარგი, მოსავალი თუ მოუსავლიანობა, დაბადება თუ სიკვდილი, გამარჯვება თუ დამარცხება მასზეა დამოკიდებული. ამიტომ ყმა ბატონის—ხატის სიძლიერეზე უნდა ფიქრობდეს. ხატის სიძლიერე კი პირდაპირპროპორციულია საყმოს მიერ ხატის სასარგებლოდ გაღებული მსხვერპლისა და სხვადასხვა სამსახურისა, რომელსაც ღვთისშვილი ღვთის კარზე თავის გასაძლიერებლად და საყმოს სასიკეთოდ იყენებს.

ფაქტია, რომ ღვთისშვილი თავის საყმოს მხოლოდ ღვთის ნებითა და თანხმობით მართავს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იგი ერთადერთი ღვთაებაა, რომელიც გაკულტებულია. ღვთისმსახურება მისდამი მსხვერპლის შეწირვით და სამსახურით ამოიწურება. ადამიანი მისგან ელის დახმარებას, მისი ეშინია და მას ემსახურება. სხვა ღმერთები ადამიანისაგან ძალიან შორს დგანან და მათი ურთიერთობა საკუთარი ღმერთის საშუალებით ხორციელდება. თავისი ხატის სამსახური მას სრულ გარანტიას აძლევს, რომ მორიგე ღმერთი მოწყალე თვალით შეხედავს.

ყურადღებას იქცევს ღვთისშვილთა ბუნებისა და ფუნქციის იგივეობა. მსგავსია საღვთისმსახურო რიტუალიც. ერთი სიტყვით, ერთი ხატი მეორეს ჰგავს და იქმნება წარმოდგენა, რომ ისინი ერთი ღვთაებაა სხვადასხვა სახელწოდებით. ეს უამრავი, ტომებს, გვარებს, თემებსა თუ ოჯახებს შორის დანაწილებული ღვთისშვილნი ერთი ღვთისშვილია — ნაყოფიერების ღვთაება. ქართველი ტომების რელიგიურ წარმოდგენებში უზენაეს ღვთაებათა სამეულიდან შვილი-ღვთაება მხოლოდ კვირია შეიძლება იყოს. იგი ახლოსაა მორიგე ღმერთთან და მის ძალასა და ნებას განასახიერებს, შუა რგოლია ღმერთსა და ღვთისშვილთა შორის, ხმელთ მოურავია, კარავიანია და ღვთის მართლმსახურებას ახორციელებს. იგი ვაჟიანობის მფარველია და ბოლოს ღვთაებათა შორის ყველაზე მეტად არის გაკულტებული.

თუ ჩემი ვარაუდი სწორია, მაშინ ადვილი განსასაზღვრავია კვირიას ასტრალური ბუნებაც. ქართველი ტომების რელიგიურ წარმოდგენებში ღვთისშვილნი—ჯვარნი გაიგივებულნი არიან ვარსკვლავებთან და ერთმანეთის დაძმად ითვლებიან. კვირია, როგორც მათი წინმდგომი, ღვთაების სწორი, ყველაზე დიდსა და კაშკაშა ვარსკვლავს — ცისკრის ვარსკვლავს, მთიებს უნდა განასახიერებდეს.

ახლა იოლია პარალელის გავლება მტკვარ-არაქსის კულტურის შვერილიანი კერის ასტრალურ სიმბოლიკასა და ქართველი ტომების რელიგიურ წარ-

---

[84] შდ. ი. გაგოშიძე. ქსნის ხეობის ადრეანტიკური ხანის ძეგლები. გვ. 99.

მოდგენებში დაცულ ასტრალურ პანთეონს შორის. შვერილებიანი კერა გამოსახავს მთვარეს — მორიგე ღმერთს, მზეს — მზექალს და კვირიას — ცისკრის ვარსკვლავს. არ უნდა მტკიცება, რომ ფუნქციონალურად და უფლებრივად ადრებრინჯაოს ხანის ნაყოფიერების ღვთაებანი საკმაოდ განსხვავებულნი არიან ქართველ მთიელთა ღმერთებისაგან. სხვა რომ არ იყოს, ქართველი ტომების ეთნოგრაფიულ ყოფაში დაცული პანთეონი ვ. ბარდაველიძეს ადრეკლასობრივი ხანისთვის აქვს მიკუთვნებული და მათ იერს, ბუნებას თუ ფუნქციას ქრისტიანობის საკმაოდ ღრმა კვალი ამჩნევია. ადრეულ ბრინჯაოს ხანაში კი საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებში პატრიარქატი ახალი გამარჯვებულია და გვარის უხუცესების და ტომის ბელადების დაწინაურების პროცესი ჯერ კიდევ გაღრმავებული არა ჩანს. მაგრამ ამ ორი სხვადასხვა ხანის ასტრალური პანთეონის ღვთაებების ბუნებაში ბევრი საერთოა და ეს პანთეონები ერთი და იგივე ღვთაებათა განვითარების სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენენ.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა როლს ასრულებს კერა მტკვარ-არაქსელთა სულიერ ყოფაში, მოვიტან ერთ-ერთი საცხოვრებელი შენობის აღწერილობას ხიზანაანთ გორის ნამოსახლარიდან. უძველესი, შვერილიანი კერების შემცველი შენობები ხიზანაანთ გორაზე დადასტურებულია D დონეზე. ყველაზე უკეთ № 16 შენობა შემორჩა — ნახანძრალია და ინვენტარიც შედარებით სრულად იყო დაცული[85].

№ 16 შენობა გაიწმინდა გორის სამხრეთი კიდის ცენტრში. იგი წრიული გეგმისა იყო (დმ—5 მ). სამხრეთით მიდგმული ჰქონდა ოთხკუთხა დერეფანი. 1,5 მ სიმაღლეზე შემორჩენილი ჰქონდა კედლები, რომლებიც სარ-ლასტზე იყო ნაგები, გალესილი და შეღებილი წითლად. იატაკი მიწატკეპნილი, ნაცრით მოლესილი. იატაკის ცენტრში ჩადგმული იყო ოთხშვერილიანი სტაციონარული კერა, დმ—0,65 მ, სიღრმე — 0,35 მ. შვერილები ერთმანეთისაგან თანაბრად იყო დაშორებული. კერას ფართო პირი სამხრეთ-დასავლეთისაკენ ჰქონდა მიბრუნებული. ჩვეულებრივ, მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე კერა ორიენტირებულია გარკვეული პრინციპით: მისი ფართო პირი, ე. ი. ის მხარე, რომელზედაც შვერილები არაა მიძერწილი, კარებისკენ არის მიმართული, ხოლო შვერილებიანი პირის უკან მოთავსებულია დედაბოძი, შემაღლებები. საერთოდ, უკანა, შვერილებიანი მხარე, როგორც ჩანს, ოთახის საკულტო, სარიტუალო ნაწილია. № 16 ოთახსაც შემოსასვლელი სამხრეთ-დასავლეთიდან უნდა ჰქონოდა, ხოლო კერის უკან, მისგან 0,10 მ-ის დაშორებით ამოღებული იყო დედაბოძის ორმო; იატაკზე, ჩრდილო-აღმოსავლეთის სეგმენტზე ნაცრით მოლესილი იყო სამი წრიული შემაღლება. შემაღლებებს ჰქონდათ თხელი, გაპრიალებული ნალესობა და შეღებილი იყო წითლად. თითოეული შემაღლების გვერდზე, მისგან აღმოსავლეთით, იატაკზე პირით დამხობილი იყო თითო ბადიისებური ჭურჭელი, მეტად ნატიფი ფორმისა და ბეჯითად გაპრიალებული[86]. კერის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან 1,40 მ-ის დაშორებით იატაკზე მოლესილი იყო აგრეთვე წრიული შემაღლება (დმ—0,60 მ),

---

[85] ი. კიკვიძე. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. გვ. 31. ტაბ. XIII, $XXVI_{2,5}$.

[86] იქვე.

რომლის გვერდზე ეყარა მცირე ზომის სასმისის ნამსხვრევები. წრიულ შემაღლებებსა და მასთან დაკავშირებულ ჯურჭლებს აქვს გარკვეული საკულტო-სარიტუალო დანიშნულება. მას ქვემოთ შევეხებით. ახლა ისევ კერის შესახებ.

კერებს შვერილებიან მხარეს მოწყობილი აქვს ვიწრო თარო, რომლის დანიშნულება ჩვენთვის გაუგებარია. ზევით აღვნიშნე, რომ ერთ-ერთ კერას ამავე დონეზე (შენობა 18) თაროს ნაცვლად ორმხრივი რელიეფური, ღუზისებური ორნამენტი აქვს მიძერწილი, რომელიც, ალბათ, არასავსე მთვარეს უნდა გამოსახავდეს, ჩამავალს ან ამომავალს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თაროებსაც უნდა ჰქონოდათ რაიმე სიმბოლური მნიშვნელობა. კერას ძირზე, ფართო პირისკენ აქვს 3 — 4 დმ-ის ნახვრეტი, რომლის დანიშნულებაც აგრეთვე გაუგებარია. ასეთივე ნახვრეტი აქვს რქიან სადგრებს მომრგვალებულ კიდეზე. შეიძლება ეს ნახვრეტიც რქებთან ერთად შეერწყა კერას, მაგრამ რა დანიშნულებით, ძნელი სათქმელია. აშკარაა მას რაღაცის დასამაგრებლად იყენებდნენ. ეგეოსურ სამყაროში რქიან სამსხვერპლოებზე დამაგრებული იყო ორმაგი ცული; მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალის ნაცარგორაზე თითქოს ჩანს ორმაგი ცულის მოდელები[87], მისი კულტის ჩვენში გავრცელება ძალიან საეჭვოა. ბ. კუფტინი ადარებდა რა მტკვარ-არაქსის კულტურის რქიან სადგრებს კრეტა-მიკენურ სამყაროში გავრცელებულ სამსხვერპლოებს, შესაძლებლად თვლიდა ორმაგი ცულის მაგივრად ჩვენს სადგრებზე ჩიჩილაკისმაგვარი რამ დამაგრებულიყო[88]. მიუხედავად იმისა, რომ კუფტინის ვარაუდი არ იქნა გაზიარებული სპეციალისტების მიერ, ვფიქრობ, იგი არცთუ ისე შორს უნდა იდგეს სინამდვილისაგან და მეტ ყურადღებას იმსახურებს. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ნაყოფიერების ღვთაების განვითარების მომდევნო საფეხურზე იცვლება მისი იკონოგრაფია და კერას სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე ენაცვლება, რომელსაც სიმბოლურად ჩიჩილაკი გამოსახავდა. ამდენად, სავსებით დასაშვებია, რომ ჯერ რქიან სადგრებში, ხოლო შემდეგ კერებში ხის ფეტიში, ან ანთებული კვარი (კვირიას სიმბოლო) ჩამაგრებულიყო[89].

§ 2. სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე. ნაყოფიერების კულტის განვითარების მომდევნო ეტაპს ასახავს თრიალეთის მეხუთე ყორღანში აღმოჩენილი ვერცხლის ცნობილი თასის გამოსახულებათა ორი რიგი. თასი წარმოადგენს ვერცხლის ერთი ფურცლისაგან ნაჭედ ცილინდრს, რომლის ძირი მომრგვალებულია და გადადის ღრუ, ფართო ფეხში. თასის ზედაპირი შემკულია ბრტყლად ამოკვეთილი როზეტებით და ორი ნაჭედი ფრიზით. ზედა ფრიზზე გამოსახულია ნიღბიანი მამაკაცების რიგი, რომლებიც ისევე ნიღბიანი, მჯდომარე მამაკაცის წინ არიან გამწკრივებულნი. ყველას აცვია ტუნიკი და ჰკინტიანი მაღალი წაღები. მარჯვენა ხელში უჭირავთ მაღალი, პირისკენ გაფართოებული სასმისი. ცენტრალური, მჯდომარე მამაკაცის წინ დგას სამფეხიანი საკურთხეველი და პირისკენ გაფართოებული ჭურჭელი. საკურთხეველთან წევს ორი ცხოველი—ძაღლი? მჯდომარე ფიგურის უკან კი დგას სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე, რომლის ტანიდან გადმოდის წყლის ორი ნაკადი; ქვედა ფრიზზე ფურები და ხარ-ირმებია გამოსახული.

---

[87] გ. გობეჯიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 265.

[88] Б. А. Куфтин. К проблеме энеолита... стр. 71.

[89] ლ. ღლონტი. მტკვარ-არაქსის კულტურის დასახლება.

რადგან ზედა ფრიზის გამოსახულება აშკარად საკულტო შინაარსისაა, მასზე უფრო დეტალურად შევჩერდებით. ამ გამოსახულების ახსნა არაერთ მეცნიერს უცდია და გამოუთქვამს საინტერესო მოსაზრება. მოვიტანოთ ზოგიერთი მათგანი.

ძეგლის გამთხრელი ბ. კუფტინი ფიქრობდა, რომ თასის ზედა ფრიზზე გამოსახული უნდა ყოფილიყო ბინადარი მიწათმოქმედ-მესაქონლე მეურნეობის ბაზაზე ტრანსფორმირებული ნადირობის ღვთაებანი. «В таких случаях—წერს იგი,—прочнее всего удерживаются черты, связанные с размножающей силой лесного божества, — хозяйна зверей и сохраняется значение его, как возродителя природы, с выдвижением функции растительного роста и плодородия. Поэтому на кубке позади главного персонажа, сидящего на троне в форме табуретки, мы видим изображение священного дерева или древа жизни, с вытекающими из под ствола двумя струями воды»[90].

საინტერესოა, რომ ის, რაც ჩვენ ზოომორფულ ნიღბად გვეჩვენება, ბ. კუფტინს დასაშვებად მიაჩნია იყოს ადამიანის სახის უხეში გამოსახვა: მეტად წაგრძელებული სახით, მოკლე წვერითა და უკან შეწეული ნიკაპით, ისე, როგორც ზენჯირლის ბარელიეფებზე გამოსახული პროფილები[91]. რაც შეეხება გამოსახულების კომპოზიციის შინაარსს, მის შესახებ ბ. კუფტინი წერს: «В паратактическом расположении фигур легко усмотреть идущих дарами, но сидящее лицо держит в руках близ рта такой же предмет..., как и все остальные, поэтому скорее мы имеем здесь изображение ритуального пиршества с принятием питья, вероятно приготовленного из растительных зерен, орехов и плодов на празднике в честь божества плодородия, снабженного атрибутами владыки леса»[92].

პ. უშაკოვი ფიქრობს, რომ თასზე გამოსახულ ზოომორფულ ფიგურებს მელიის კუდები აქვთ და თხუნელის ნიღბები. ეს თხუნელა — ნიღბიანი მამაკაცები მიემართებიან ძღვენის მისართმევად გაზაფხულის ღვთაებისადმი, რომელიც ტახტზე ზის. უშაკოვის ვარაუდით, თხუნელის ლათინური სახელი talpa მცენარეულისა და აღორძინების პროტოხეთური ღმერთის telibinu-დან მოდის და, რადგან თასზე გამოსახულ მამაკაცებს თხუნელის ნიღბები უკეთიათ, საქართველოს პროტოხეთური ტომების უძველესი ღმერთი ქვესკნელის მფლობელის როლშიც შეიძლებოდა გამოსულიყო[93].

აკად. შ. ამირანაშვილმა სცადა თრიალეთის თასის ზედა ფრიზის გამოსახულების სიუჟეტი აეხსნა საქართველოს ეთნოგრაფიისა და ძველი აღმოსავლური პარალელების საფუძველზე. შ. ამირანაშვილი თვლის, რომ ზოომორფულ ფიგურებს მელიის კუდები და ნიღბები აქვთ, რომ საქართველოში ძველად არსებობდა მელიის კულტი, რისი დამამტკიცებელიც სვანური „მელიატელეფიას“ დღესასწაულია. თასის გამოსახულების კომპოზიცია, შ. ამირანაშვილის ვარაუდით, გადმოსცემს ნაყოფიერების ღვთაების მისტერიას, რომ ფიგურები ქურუმები არიან. სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის ტანიდან

---

[90] Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. стр. 89.

[91] იქვე.

[92] იქვე. стр. 90.

[93] П. Н. Ушаков. Хетская проблема к вопросу о генезисе и взаимоотношениях индоевропейских и картвельских языков. თსუ შრომები. XVIII. 1941. გვ. 111.

გადმოსული წყლის ორი ნაკადი მდინარეები — ტიგროსი და ევფრატია; მალაღფეხიანი სამსხვერპლო, რადგან ძველბაბილონურში, ასურულ და ხეთურ ხელოვნებაში სამსხვერპლოებს სხვა ფორმა აქვთ, სავარაუდოა, ჭურჭელია წმინდა წყლისათვის. პირგანიერ ჭურჭელს შ. ამირანაშვილი ამსგავსებს შუმერულ რელიეფზე გამოსახულ ჭურჭელს, რომლითაც პატესი გუდეა ყვავილსა რწყავს. ამიტომ ფიგურებს ხელში უჭირავთ ჭურჭლები უკვდავების წყლისთვის[94].

საინტერესო დაკვირვება აქვს თრიალეთის თასზე ვ. ბარდაველიძეს, რომელიც მის სიუჟეტს ქართველ ტომთა რელიგიურ წარმოდგენებში დაცული მასალებით ხსნის. ვ. ბარდაველიძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თითოეული ფეხზე მდგომი ფიგურა აბსოლუტურად იმეორებს ერთი მეორეს, ჩაცმულობიდან დაწყებული დგომის პოზით გათავებული, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ თასზე გამოსახულია ერთი სამყარო; რადგან ფეხზე მდგომი ფიგურები მსგავსნი არიან მჯდომარე ფიგურისაც, რომლის ღვთაებრიობა ეჭვს არ იწვევს, ამიტომ ისინიც ღმერთები არიან, რანგით თანასწორნი, თუმც მჯდომარე ღვთაებაზე დაბლა მდგომნი. ქართული ეთნოგრაფიული პარალელებით შეიძლება აიხსნას კავშირი ცენტრალურ, მჯდომარე ღვთაებასა და მის უკან მდგარ სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეს შორის. ქართულ საგალობლებში არაერთგზის არის მოხსენიებული ღვთის კარზე ამოსული ვენახი. ვენახის გარდა ქართველ ტომებში სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხედ სხვა ჯიშის ხეებიც ითვლება, რომლის დარგვა და მოვლა ხატის მამულებში — ტყეებში ყმის ბატონისადმი—ხატისადმი სამსახურად ითვლებოდა. თასზე გამოსახული ხე ღვთის კარზე ამოსული სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეა. პროცესია გამოხატავს „სადიდებელთაჲს“, რომელსაც სათემო ღვთაებები ასრულებენ სატომო ღმერთის კარზე. პირგანიერი ჭურჭელი ლუდის ჩხუტი უნდა იყოს და ღვთაებებიც წმინდა ლუდს სვამენ; სამსხვერპლოებთან მწოლარე ცხოველები ძაღლები — „მწევრებია“. ფიგურები აშკარად ტოტემისტური წარმოშობისანი არიან, მათ ნიღაბი კი არა მგლის თავები აქვთ. სიცოცხლის ხეს ვ. ბარდაველიძე მზის კულტს უკავშირებს[95].

როგორც ვხედავთ, მოსაზრება საკმაოდ ბევრია. ამავე დროს, თასის გამოსახულების სიუჟეტის ახსნა ნაცადია სხვადასხვა კუთხიდან, რაც, ვფიქრობ, თითოეულ ვარაუდს ცალმხრივობის იერს აძლევს. არაფერს ვამბობ უშაკოვის არცთუ ისე მოხერხებულ ცდაზე თრიალეთის თასის კომპოზიციის შინაარსის ახსნისა, რომელმაც, როგორც ბ. კუფტინი მიუთითებდა, უთვალო ცხოველს დაუკავშირა თასის საკმაოდ დიდთვალება გამოსახულებანი[96]. არ არის დამაჯერებელი შ. ამირანაშვილის ახსნა თასის გამოსახულების სიუჟეტისა, თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც ამას ვ. ბარდაველიძე შენიშნავს, იგი მოწყვეტილია ადგილობრივ ნიადაგს[97]. ასევე ძველი აღმოსავლეთის პარალელებით ცდილობდა ბ. კუფტინი აეხსნა თასის ზედა ფრიზის სიუჟეტი. თუმც მისი ვარაუდი, რომ თასზე გამოსახულია ნაყოფიერების კულტი, მეტად საინტერესოა.

---

[94] Ш. А. Амиранашвили. История грузинского искусства. Тб. 1950. стр. 31.

[95] В. В. Бардавелидзе. დასახ. ნაშრ. გვ. 69.

[96] Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. стр. 90.

[97] В. В. Бардавелидзе. დასახ. ნაშრ. გვ. 99.

ყველაზე სარწმუნო ჩანს ვ. ბარდაველიძის მიერ შემოთავაზებული ახსნა თრიალეთის ვერცხლის თასის სიუჟეტისა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომები ქართველები არიან და თასი მათ მიერ ან მათი დაკვეთით არის დამზადებული, რადგან თასის გამოსახულების სიუჟეტი ახსნილია მხოლოდ ქართული ეთნოგრაფიული პარალელებით; თანაც ძნელია დავეთანხმოთ ვ. ბარდაველიძეს და თასზე ერთი უზენაესი ღვთაებისა და არა ტრეადის გამოსახვა თასის სიძველით ავხსნათ, რომ ჯერ კიდევ არ იყო უმაღლეს ღვთაებათა ტრეადა ჩამოყალიბებული. ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ ეს ტრეადა კავკასიაში არათუ მეორე ათასწლეულში, არამედ ძვ. წ. მესამე ათასწლეულის დასაწყისში უკვე ფაქტია.

თრიალეთის თასის ზედა ფრიზის გამოსახულების კომპოზიციის ახსნა ვცადე მეც. თასის გამოსახულებას გარკვეული კუთხით ვუდგებოდი, კერძოდ, შეიცავდა თუ არა იგი მორწყვას, ან წყლის ელემენტს საერთოდ. ჩემი ყურადღება მაშინ მიიქცია პირფართე ჭურჭელმა და სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხიდან გამოსულმა წყლის ორმა ნაკადმა. პირფართე ჭურჭელს, როგორც აღვნიშნე, შ. ამირანაშვილი ამსგავსებს შუმერულ ბარელიეფზე გამოსახულ ჭურჭელს, რომლითაც პატესი გუდეა ყვავილსა რწყავს და, თუმც თვით მ. ამირანაშვილი ამ ჭურჭელს უკვდავების წყაროს უკავშირებს, მე მასში ხელოვნური მორწყვის სიმბოლური გამოსახვა დავინახე[98]. ახლა ზოგიერთი ახალი ფაქტით მინდა განვამტკიცო ადრე, ვარაუდის სახით, გამოთქმული მოსაზრება.

ხიზანაანთ გორის ნამოსახლარის D დონის მე-16 ოთახში კერის უკანა სეგმენტზე, იატაკზე მოწყობილია სამი, წრიული, ნაცრით შელესილი შემაღლება, რომელთა გვერდზე პირით დამხობილი იყო ბადიისებური ჭურჭლები. ამავე დონის მე-19 ოთახში დადასტურებულია ქუსლიანი, ვიწრო, პირგანიერი, ნაცრისაგან ნაძერწი ჭურჭლები, ხოლო C_1 დონის მე-9 ოთახის დერეფანში ასეთ ჭურჭლებს უჩნდებათ დაბალი, საკმაოდ ფართო წრიული ქუსლი[99]. მე-9 შენობის ნაცრით ნალესი ჭურჭელი თითქოს მე-16 ოთახის წრიული შემაღლებებისა და მე-19 ოთახის ჭურჭლის შერწყმაა (ტაბ. VII, 2). ჭურჭლის სარიტუალო დანიშნულება აშკარაა: ჯერ ერთი, იგი ნაცრისგან არის ნაძერწი. ნაცარი მას შემდეგ, რაც კერა ნაყოფიერების ღვთაების ემბლემად იქცა, საკრალურია და მისგან მხოლოდ საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ნივთებს ამზადებენ, მეორეც, ჭურჭლის არცთუ ისე მტკიცე კეცი და მეტად ნაზი მოლესილობა საერთოდ გამორიცხავს მის მეურნეობაში გამოყენებას.

ტრიპოლიეს კულტურის ნამოსახლარებზე დამოწმებულია თიხისაგან გამოძერწილი ქალის ფიგურები, რომელთაც ხელთ ჭურჭლები უპყრიათ. ამ ფიგურების კეცში ხორბლის მარცვლებია გარეული და ეჭვს არ იწვევს, რომ ისინი ნაყოფიერების მფარველი ქალღმერთები არიან. მათთან ერთად ჭურჭლის გამოსახვა გაგებულია ან როგორც მაგიური საშუალება წვიმის მოსაყვანად, ან ჭურჭლიანი ფიგურები კეთდებოდნენ ატმოსფერული ნალექების გამოსაწვევად, რაც ურწყავი მიწათმოქმედების პირობებში, სავსებით დამაჯერებელი ჩანს[100].

---

[98] ი. კიკვიძე. მორწყვა ძველ საქართველოში. გვ. 28. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. გვ. 86.

[99] იქვე.

[100] Б. А. Рыбаков. Космогония и мифология земледельцев энеолита. стр. 31, 32.

ვფიქრობ, ტრიპოლიეს ჭურჭლიანი მატრონების ანალოგიური უნდა იყოს ჩვენი განიერქუსლა ჭურჭლებიც. ასეთი ჭურჭლები თუ სადგრები შიდა ქართლის ნამოსახლარებზე განსაკუთრებით C დონიდან მრავლდება, როდესაც გვალვა სულ უფრო და უფრო ძნელად დასაძლევი დაბრკოლება ხდება ურწყავი მეურნეობისათვის. რა თქმა უნდა, ატმოსფერული ნალექების გამომწვევი არაერთი ირაციონალური ხერხი უნდა ეხმარათ, მათ შორის, ალბათ, ნაცრისგან ჭურჭლების დამზადებაც. ამ შემთხვევაში ჭურჭლის ქუსლი ისე, როგორც ადრე წრიული შემაღლებები, ვფიქრობ, ასტრალური ხასიათისაა და ნაყოფიერების ღვთაებასთან არის დაკავშირებული. ნაცრით ძერწვა კიდევ უფრო უსვამს ხაზს მათ ღვთაებრივ ბუნებას.

ასეთი ჭურჭლები უნდა იყოს გამოსახული თრიალეთის თასზეც. პირგანიერი ჭურჭელი პირდაპირი ანალოგიაა ხიზანაანთ გორის მე-19 ოთახის ნაცრით ნაძერწი ჭურჭლისა. თასზე გამოსახული სხვა ჭურჭლებიც, რომლებიც ზოო- თუ ანთროპომორფულ ფიგურებს უჭირავთ ხელში, მსგავსნი არიან პირგანიერი ჭურჭლისა, ისე რომ, წყლის ან მორწყვის მოტივი კარგად ჩანს.

პირგანიერი ჭურჭლები დადასტურებულია გვიანი ბრინჯაოს ხანაშიც. ასეთი ჭურჭლები აღმოჩნდა ბეშთაშენსა[101] და სამთავროში. ჭურჭელთა შემკულობა აშკარას ხდის მათ საკულტო-სარიტუალო დანიშნულებას. გვიანი ბრინჯაოს ხანის შემდეგ ასეთი ჭურჭლები აღარ გვხვდება და ეს გასაგებიცაა — ქართველმა ტომებმა გვალვის საწინააღმდეგო უფრო რაციონალური საშუალების გამოყენება დაიწყეს — ხელოვნური მორწყვისა.

ვხედავდი რა თასის ზედა ფრიზის გამოსახულებაზე წყლის სიმბოლიკის აქცენტირებას, ვივარაუდე, რომ პროცესია შესაძლებელია საქართველოს ეთნოგრაფიაში დაცულ ლაზარობისმაგვარ რიტუალს გამოხატავდეს. ეს ვარაუდი გამართლებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური, მჯდომარე ფიგურა წარმოადგენს ნაყოფიერების ღვთაებას ან ისეთ ღვთაებას, რომელთანაც ფუნქციონალურ კავშირში არის ატმოსფერული ნალექები. ასეთ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, როგორ იქნება გაგებული დანარჩენი 22 ფიგურა, მივიღებთ მათ სათემო ღვთაებებად, ქურუმებად თუ სხვა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ ფიგურასთან გარკვეულ კავშირშია სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე, რომლის ტანიდან წყლის ორი ნაკადი გადმოდის. სიცოცხლისა და და ნაყოფიერების ხე იმდენად გავრცელებული მოტივია, რომ მსჯელობა, თუ რა როლს ასრულებს იგი ამა თუ იმ ხალხის რელიგიურ წარმოდგენებში, ზედმეტად მიგვაჩნია. მისი ბუნების, უფრო სწორად, თასზე გამოსახული ცენტრალური მჯდომარე ფიგურის ბუნების დასადგენად მოვიტან რამდენიმე ფაქტს ქართველი ტომების რელიგიური რწმენებიდან.

სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე, პირველ რიგში, დაკავშირებულია „დიდი დედის . ნანას“ კულტთან. იგი მისი სიმბოლოც კი ჩანს[102]. ასევე გენეტიკურ კავშირს ამჟღავნებს სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე მორიგე ღმერთთან, რომლის კარზე იგი აუცილებლად იზრდება. ღვთის კარზედ, ხატის, ჯვრის მამულებში ხის დარგვა-პატრონობა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ხატის ყმათა ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა. ასეთი კავშირი ღვთაებასა და სიცოცხლის ხეს შორის აძლევს საბაბს ვ. ბარდაველიძეს თრიალეთის თასის

[101] Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. стр. 351. таб. LIII.
[102] В. В. Бардавелидзе. დასახ. ნაშრ. გვ. 85.

გამოსახულების ცენტრალურ ფიგურაში ქართველ ტომთა წარმართული რელიგიის უმაღლესი ღვთაება, მორიგე ღმერთი ან მისი გენეტიკური წინაპარი—სატომო ღვთაება დაინახოს. ეს შეიძლება ასეც არის, მაგრამ გასარკვევია თვით ამ ღვთაების ბუნება. ცნობილია, რომ სატომო ღვთაებები რელიგიურ წარმოდგენებში პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის ხანაში — ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე ყალიბდებიან და საზოგადოების მეურნეობის ხასიათისდა მიხედვით სხვადასხვა ბუნებისანი არიან. მესაქონლე ტომებში ისინი უფრო მებრძოლი ბუნების ჩანან[103]. ამ ღვთაებებიდან, ალბათ, უფრო გვიან განვითარდა ომის ღვთაებანი. მიწათმოქმედი ტომების სატომო ღვთაებები უფრო ნაყოფიერების ფუნქციით ხასიათდებიან და მათგან წარმოსდგა შემდგომში ცნობილი აგრარული კულტები: ოზირისი, იშტარი, კიბალა, მითრა თუ სხვა.

ზემოთ, თრიალეთის კულტურის მატარებელი ტომების მეურნეობის დახასიათებისას, ვნახეთ, რომ ეს მეურნეობა შერწყმული ხასიათისაა, რომ იგი უმაღლესი საფეხურია ადრესამიწათმოქმედო მეურნეობის განვითარებისა. მიუხედავად მიწათმოქმედების აშკარა კრიზისისა და მესაქონლეობის ხვედრითი წონის ზრდისა, მესაქონლეობა ჯერ კიდევ დამჯდარი — ბინადარი ხასიათისაა და თრიალეთელი ტომებიც აშკარად მშვიდობისმოყვარენი არიან. თრიალეთურ კულტურას საბრძოლო იარაღი ყველაზე ნაკლებად ახასიათებს. ასეთი ხასიათის მეურნეობის დროს, ბუნებრივია, ღვთაებებიც უფრო მშვიდობიანი ხასიათის უნდა ყოფილიყვნენ და მათი „მოღვაწეობის“ სფერო ადამიანის კეთილდღეობა, მოსავლის ხვავი და ბარაქა უნდა ყოფილიყო.

თრიალეთის თასზე გამოსახული ღვთაება რომ აგრარული ხასიათისაა, ამას ადასტურებს თასის ქვედა ფრიზზე გამოსახული ირმებიც. როგორც ზემოთ აღვნიშნე, თასის ზედა ფრიზზე გამოსახულ ცენტრალურ ფიგურას ბ. კუფტინი თვლიდა მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ბაზაზე ტრანსფორმირებულ ნადირობის ღვთაებად. „ტყის მეუფის“ ატრიბუტად მიაჩნდა მას თასზე გამოსახული ირმები, ხე, ჩლიქებიანი სამსხვერპლო და სხვა. ანალოგიური შეხედულებისაა ვ. ბარდაველიძე. უფრო მეტიც, თასის გამოსახულების აშკარა ზოომორფული იერი აძლევს საშუალებას ამ მკვლევარებს მასზე ასახული რელიგიური წარმოდგენები ტოტემიზმსაც კი დაუკავშირონ. საერთოდ, არქეოლოგიურ ლიტერატურაში ზოომორფიზმი, უმეტეს შემთხვევაში, ტოტემიზმით არის ახსნილი და უყურადღებოდ არის დატოვებული დრო და რელიგიურ წარმოდგენათა ის საფეხური, როდესაც ამა თუ იმ ცხოველის გამოსახულება კეთდებოდა. მაგ., ადრესამიწათმოქმედო კულტურების კერამიკის შემკულობაში მეტად გავრცელებული ცხოველური მოტივი ვ. მასონს ტოტემიზმის გადმონაშთად მიაჩნია. იგი რატომღაც არ ეთანხმება იმ მკვლევრებს, რომლებიც ძველი აღმოსავლეთის ადრესამიწათმოქმედო კულტურების კერამიკის ორნამენტაციაში გავრცელებულ ცხოველთა გამოსახულებებს ამ კულტურების მეურნეობაში ნადირობის დიდი როლით ხსნიან[104] და წერს: «Скорее всего следует считать, что изображения животных на расписной керамике ранних земледельцев отражают идеологические представления более раннего этапа, чем развитое земледельческо-скотоводческое хозяйство. Их объяснение легко можно найти, если обратится к тотемизму,

---

[103] С. А. Токарев. Ранние формы религии. М. 1969. стр. 168.
[104] E. I. Schmidt. Excavations at Tepe Hissar. Philadelphia, 1957. 298.

широко распространенному у охотничьих племен и обычно сохраняющемуся у ранних земледельцев»[105]. ...ადრესამიწათმოქმედო ტოტემიზმი მას რამდენადმე სახენაცვალად მიაჩნია ანიმიზმის, წინაპართა კულტისა და სოლარულ წარმოდგენათა განვითარების შედეგად.

ვ. მასონი ტოტემისტურ წარმოდგენათა ევოლუციის შემდეგ სქემას იძლევა:

I. Археологическая ступень развития земледельческого хозяйства (Джармо, Иерихон, Джейтун) и ранний этап сложившейся земледельческо-скотоводческой экономики (Хассуна, сиро-киликийский неолит, Сиалк I, Намазга I и т. п.). Сохранение тотемических названий родов, частично тотемических магий и предоставлений.

II. Расцвет раннеземледельческих культур в рамках первобытного общинного строя. Окончательный упадок тотемизма в связи с победой религиозных представлений, соответствующих новому экономическому базису общества (культ плодородия, космические божества и т. п.). Сохранение изображений животных, как символов — гербов родовых групп или как священных знаков оберегов.

III. Интенсивное разложение первобытного строя и становление раннеклассового общества. Незначительные пережитки тотемических представлений в ритуальных обрядах и религиозной символики, полностью потерявшие всякую связь с основными идеями тотемизма»[106].

ვფიქრობ, ვ. მასონის მიერ შემოთავაზებული ტოტემიზმის ევოლუციის სქემა მცდარია და ეთნოგრაფიული მასალებით არქეოლოგიური მონაცემების ახსნის საკმაოდ წარუმატებელ ცდას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, რომ ცხოველთა იკონოგრაფია დასაბამს ტოტემისტური წარმოდგენებიდან იღებს. ტოტემიზმიდან მოდის ცხოველთა გაღმერთების იდეაც, მაგრამ ადრესამიწათმოქმედო კულტურების კერამიკის ორნამენტაციაში გავრცელებულ ცხოველთა გამოსახულებებს ტოტემისტურ რწმენებთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ვ. მასონის სქემას რომ მივყვეთ, ტოტემისტური გადმონაშთებით უნდა აიხსნას ცხოველის ყოველი გამოსახულება ადრესამიწათმოქმედო კულტურებში (მათ შორის ზოომორფული ზესადგრები, ფიგურები, საკინძები და სხვა), რაც მთავარია, ზოომორფიზმი რელიგიურ წარმოდგენებში ყოველთვის იჩენს თავს, მათ შორის კლასობრივ საზოგადოებაშიც. ხომ არ გამოგვადგება ტოტემიზმი ამ მოვლენის ასახსნელად?

ძველი აღმოსავლეთის ადრესამიწათმოქმედო კულტურების კერამიკაზე გამოსახული ცხოველები არცთუ ისე მდიდარ ფაუნას ქმნიან. თიხის ჭურჭლებზე გვხვდება მტაცებელი ცხოველებიდან—ლომი, პანტერა, ძაღლი; ანტილოპათა ჯგუფიდან—ირემი, თხა; შინაური ცხოველებიდან—ხარი, ძროხა; ფრინველებიდან — წერო, არწივი; თევზები; ქვეწარმავლებიდან — გველი, კუ, ხვლიკი და სხვა. ტოტემისტურ რწმენის გადმონაშთები კი უფრო ნაირსახოვან ფაუნას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამა თუ იმ კულტურაში მეტად მცირე რაოდენობის ოჯახს, გვარსა და ტომს მივიღებთ. თიხის ჭურჭლებსა და საბეჭდავებზე, გარეული ცხოველების გარდა, საკმაოდ ხშირად შინაური ცხო-

---

[105] В. М. Массон. Средняя Азия и Древний Восток. стр. 358.
[106] იქვე.

ველებიც გამოისახება. ტოტემისტური რწმენებით, განსაკუთრებული შემთხვევების (ვთქვათ, ინიციაციების) გარდა, ტოტემის მოკვლა და მისი საკვებად გამოყენება აკრძალულია. ძნელად წარმოსადგენია საკვებად ტაბუირებულ იქნეს ცხოველი, რომელიც საზოგადოების ძირითად საკვებს წარმოადგენს (ხარი, კამეჩი, თხა და სხვა).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცხოველი ხშირად გამოსახულია ასტრალურ ნიშნებთან ერთად, ან მათი ჭურჭელზე განლაგება ქმნის ამ ნიშანს, მაგ., სამარის[107] და სუზი A—1-ის მოხატული კერამიკა[108], ყარა-დეპეს საბეჭდავები და ჭურჭლები[109] და სხვა, ე. ი. ცხოველები უკვე ასტრალურ რწმენათა წრეშია მოქცეული. ამიტომ ადრესამიწათმოქმედო კულტურების თიხის ნაწარმზე, ჭურჭელი იქნება ის თუ საბეჭდავი, გამოსახული ცხოველები, მიუხედავად მათი აშკარა ტოტემისტური წარმოშობისა, ტოტემისტურ რწმენათა გადმონაშთების მანიშნებელნი კი არ არიან, არამედ ასტრალური რწმენების გაღრმავებისა. თუ რა კავშირი აქვს ამ ცხოველებს ასტრალურ ღვთაებებთან და რა პრინციპით ხდება მათი დაკავშირება, შევეცდები შეძლებისდაგვარად დავადგინო ქვემოთ.

პირველყოფილი რელიგიები რწმენათა საოცარი შემგუებლობით ხასიათდება. იშვიათია ღვთაება ან მასთან დაკავშირებული კულტი, რომელიც ახალი რწმენების გამარჯვებასთან ერთად ქრებოდეს. იგი, რამდენადმე ტრანსფორმირებული სახით, ეგუება და ერწყმის ახალ რელიგიას. ახალი კულტიც ყოველთვის ცდილობს ძველის შეთვისებას, რითაც ერთგვარად ამზადებს ნიადაგს თავისი გამარჯვებისათვის. ერთი სიტყვით, ადამიანი ცდილობს თავისი რწმენების ერთ სისტემაში მოყვანას, ღმერთების ერთიმეორესთან დაკავშირება-დანათესავებას. შეიძლება ეს იმიტომ ხდება, რომ ყოველ რელიგიას ერთი იდეა ასაზრდოებს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი რწმენების წარმოშობას თან სდევს ღვთაებათა გამრავლება და რიტუალის გართულება, რელიგიის განვითარება მაინც მონოთეიზმისკენ მიდის, რაც მრავალი ღვთაების ერთობასა და ერთის მრავალსახეობაში მჟღავნდება. ამის კარგ მაგალითს იძლევა კავკასიელ ტომთა წარმართული რელიგია, კერძოდ, აფხაზების და ქართველ მთიელთა რწმენები.

ქართველთა წარმოდგენით ღმერთი ერთია და, ამავე დროს, თავისი წილებით უამრავი. გარდა ერთი ღმერთისა არსებობდა კიდევ მრავალი — ტომის, გვარის, ოჯახის, პიროვნებისა და სხვა ღმერთი, რომლებიც ერთი მთავარი ღმერთის შვილებად — წილებად წარმოიდგინება (შდრ. გამოთქმები „მე და ჩემმა ღმერთმა“. „შენი წილი ღმერთი“ და სხვა)[110].

სოლარული წარმოდგენების დროს ღვთაების ერთობა და მრავალწილიანობა წარმოდგენილია შემდეგნაირად: ხევსურების, მთიულების და გუდამაყრელების რელიგიური რწმენებით დედამიწა მზის სამეფოა, მისი საკუთრებაა,

---

107 R. I. Braidwood, L. S. Braidwood, E. Tulane, A. L. Perkins. New chalcolitic material of somarran type and its implications. INES. v. III. № 4. 1944. 261—291.

108 R. de Mesquenem. Catalogue de la ceramique pointe susienne conservée an Musée du Louvre. MDP. XIII.

109 B. M. Массон. დასახ. ნაშრ. გვ. 357.

110 ღვთის წილიანობის შესახებ დაწვრილებით იხ. В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования.

სამზეოა, სადაც ყოველ ადამიანს ჰყავს თავისი მზე, „მზის წილი“. აქედან — ქართული ფიცი: „ჩემმა მზემ“, „შენმა მზემ, „ამის მზემ“. აკი ნესტანიც ასე ეფიცება ტარიელს: „შენმა მზემან აქანამდი შენ ცოცხალი არ მეგონე“, „შენმან მზემან, უშენოსა არვის მიჰხვდეს მთვარე შენი“, ან „მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი“ და სხვა. მზის ამ წილებს მისი სხივები განასახიერებენ, ღამის მნათობის, მთვარის წილებს კი — ვარსკვლავები.

კონცეფცია „წილი ღვთაების“ შესახებ დაკავშირებულია პირველყოფილ რელიგიებში ფართოდ გავრცელებულ „გამორჩევის“, ან „არჩევის“ ე. წ. „მანას“ ინსტიტუტთან[111] და „ბელადების კულტთან“ — უნივერსალურ კონცეფციასთან „ღმერთკაცის“ შესახებ. „მანას“ თვალსაზრისით ყოველი არაჩვეულებრივი ადამიანში, მცენარესა თუ ცხოველში იხსნება იმით, რომ მასში ჩასახლებულია ზებუნებრივი ძალა-სული „მანა“. „მანა“ შეიძლება ჰქონდეს ყველაფერს, როგორც სულიერს, ისე უსულოს. ყველაზე ხშირად „მანა“ ტომის ბელადებში სახლდება და ე. წ. „მანიანი“ ბელადები თითქმის გაღმერთებული არიან. გარდაცვლილი ბელადის „მანა“ მემკვიდრის სხეულში სახლდება. ასე ეყოფა ბელადი საერთო მასას და ღმერთების კატეგორიაში ირიცხება[112].

„მანას“ ანალოგიური კონცეფცია, „ნაწილიანობის“ ინსტიტუტის სახით, ვ. ბარდაველიძეს დადასტურებული აქვს ქართველი ტომების რელიგიურ წარმოდგენებში. მაგ., ხევსურების რწმენებში დამოწმებულია ისეთი აბსტრაქტული იდეის მატარებელი „წილი ღვთაებანი“, როგორიც არიან „მზე პურადობისა“, „მზე მამაცობისა“ „მზე ნადიმობისა“ და სხვა. ეს „წილი ღვთაებანი“ ასაჩუქრებენ ამა თუ იმ თემს, გვარს, ადამიანს ნადირობის, სტუმართმასპინძლობის, მამაცობის და სხვა არაჩვეულებრივი უნარით. ნაწილიანი გვარები თუ პირები თითქმის გაღმერთებულნი არიან. ითხზება და ხატობებზე სრულდება მათი სადიდებელი სიმღერები.

ღვთაების „ნაწილი“ უმთავრესად ასტრალური ნიშნებით (ჯვარი და სხვა) გამოისახებოდა და, სავსებით სწორად, ირ. სურგულაძემ არქეოლოგიურ თუ ეთნოგრაფიულ ნივთებზე გამოსახული ასტრალური სიმბოლიკის სემანტიკის დასადგენად სწორედ „ნაწილიანობის“ კონცეფცია გამოიყენა[113]. როგორც ზემოთ აღვნიშნე, „ნაწილიანობა“ ღვთაებასთან ზიარება. მისი ბუნების შეთვისებაა. „ნაწილიანი“, ადამიანის გარდა, შეიძლება იყოს ცხოველი, მცენარე და სხვა. ამიტომაა, რომ ზოომორფული გამოსახულებანი თუ ნივთები ხშირად შემკობილი არიან ასტრალური ნიშნებით (ჯვარი, სვასტიკა, სპირალი და სხვა), ან მათი კონფიგურაცია ქმნის ამ ნიშანს. ასეთი გამოსახულებანი, როგორც წესი, რომელიმე ასტრალურ ღვთაებას განასახიერებს და ასტრალურ რწმენათა მაჩვენებელია. ცხადია, რომ ასტრალურ ღვთაებათა ცხოველებით გამოსახვა ტოტემისტური რწმენების შედეგია, უფრო სწორად, ტოტემთა ასტრალურ ღვთაებებთან დაკავშირებაა. მაგრამ ეს გამოსახულებანი არ განასახიერებენ ტოტემისტური რწმენების ძირითად იდეას, გვარის წევრების ურთიერთნათესაობის, ერთი წარმოშობის იდეას. უკვე მიწათმოქმედების ჩასახვისა და სოლარულ რწმენათა განვითარების მომენტიდან ცხოველთა გამოსახულებანი

---

111 Fr. Lehmann. Mana. Leipzig. 1922.

112 С. А. Токарев. Ранние формы религии. стр. 344.

113 ირ. სურგულაძე. დასახ. ნაშრ.

ტოტემიზმის იდეას კი არ ატარებენ, არამედ სიცოცხლისა და ნაყოფიერების ღვთაებისას.

ასტრალურ ღვთაებას აქვს როგორც საერთო სიმბოლო (ჯვარი, სვასტიკა და სხვა), ასევე საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშანი. გულამოღებული წრე მზეს აღნიშნავს, სპირალი — მთვარეს, ცისკრის ვარსკვლავის სიმბოლო ვარდულია და სხვა. ისე რომ, შეიძლება დადგენა, რას განასახიერებს ესა თუ ის ზოომორფული ფიგურა თუ გამოსახულება, საერთო ასტრალურ იდეას, თუ კონკრეტულ ციურ ღვთაებას. არიან ცხოველები ან ნივთები, რომლებიც ყველგან და ყოველთვის ერთსა და იმავე ღვთაებას განასახიერებენ, მაგ., ხარი მთვარეა, ბორბალი, კვირისტავი—მზე და ა. შ. აქ აქცენტირებულია ამა თუ იმ ცხოველისა თუ ნივთის გარეგნული მსგავსება მნათობთან, ასეთი მსგავსება ბუნებრივად „ნაწილიანობის" ექვივალენტია. მაგ., ხარი თავისი რქებით ქმნის ნახევარმთვარის ასოციაციას, ამიტომ იგი მთვარის ცხოველია. კვირისტავი სიმრგვალით და ბრუნვით წააგავს მზეს, ამიტომ მას ანსახიერებს. როდესაც ცხოველს არ გააჩნია ამა თუ იმ მნათობის დამახასიათებელი თვისება, მას უკეთდება ასტრალური ნიშანი, „ნაწილი". ასეთ „ნაწილიან" ცხოველებს განეკუთვნება ირემიც.

ირმის გამოსახულებიანი ნივთები კარგადაა შესწავლილი ქართველი მკვლევრების მიერ. ქართული არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიული მასალების შეჯერება ძველი აღმოსავლეთის ანალოგიურ მასალასთან ადასტურებს, რომ ირემი და მისნაირნი, ანტილოპის ჯგუფის ცხოველები დაკავშირებული არიან ასტრალურ რწმენებთან და განასახიერებენ ჯერ ნადირობის ქალღმერთს დალის—ცისკრის ვარსკვლავს, ხოლო შემდეგ ნაყოფიერების ღვთაებას[114]. როგორც აღვნიშნე, ეს სავსებით სწორი მოსაზრება მრავალ ფაქტობრივ მასალას ეყრდნობა და მას ვერაფერს დავუმატებ, მხოლოდ შევეცდები ვაჩვენო ის ეკონომიური და სოციალური წანამძღვრები, რომლებმაც განაპირობეს ირმისა და ირმისნაირთა ნაყოფიერების კულტთან დაკავშირება.

ჩვენში ირმის უძველესი გამოსახულება დამოწმებულია ხიზანაანთ გორის E ფენაში. იგი მეტად სქემატურად ამოკაწრულია შავპრიალა, მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტზე (ტაბ. II, 6). გამოსახულება უკვე მზა ჭურჭელზეა ამოკაწრული. ანალოგიური შემთხვევა დადასტურებულია ქვაცხელების C_1 ჰორიზონტის № 1 შენობაში, სადაც ირმის გამოსახულება ამოკაწრულია დიდი ზომის სამყურა ჭურჭელზე. ამავე შენობაში აღმოჩნდა ირმის რელიეფურგამოსახულებიანი სარქველი (ტაბ. III, 1)[115]. № 1 შენობა საკულტო ნაგებობადაა მიჩნეული; იგი, როგორც ჩანს, კულტმსახურების დროს გადამწვარა (ფიქრობენ, კვირიას დღესასწაულის რიტუალის შესრულების დროს). შენობის იატაკზე ფიქსირებულია მსხვერპლად მიტანილი ხბოს ჩონჩხი, რომელიც ისრით არის განგმირული და სავარაუდოა, რომ ირმის მსხვერპლად შეწირვის იმიტაციას წარმოადგენს[116]. ძნელია იმის მტკიცება, № 1 შენობის გადაწვის მომენტში კვირიას დღეობას ზეიმობდნენ თუ სხვა აგრარული ღვთაებისა. ფაქტია,

---

[114] გ. ჩიტაია. სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში. „ენიმკის" მოამბე. X. 1941. გვ. 303—322. ირ. სურგულაძე. დასახ. ნაშრ. ლ. ფანცხავა. კოლხური და ყობანური კულტურების მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. ხელნაწერი.

[115] ლ. ღლონტი. დასახ. ნაშრ. გვ. 174.

[116] იქვე. გვ. 176.

რომ რიტუალი ნაყოფიერების ღვთაებისადმი იყო მიძღვნილი, რასაც იატაკზე დამოწმებული ხორბლისა და ქერის მარცვლების შემცველი ნამჯაც ადასტურებს. ამდენად, ირემი ნაყოფიერების—აგრარულ კულტთან უკვე ენეოლითის დასასრულსა და ადრებრინჯაოს ხანის დასაწყისიდანაა დაკავშირებული.

როგორც ჩანს, ირმის ღვთაებრივი ძალა მის რქებშია. ირმის რქებს განსაკუთრებული ადგილი აქვს საწესო რიტუალში. ანტილოპისნაირთა რქები, საერთოდ, სიუხვის სიმბოლოა ძველ რელიგიებში. მასზე ჩვენ ქვემოთ მოგვიხდება მსჯელობა. სავარაუდოა, რომ ირმის რქას მაგიური ძალა მიწის დამუშავების პროცესში მიეწერა. ირმის, ნიამორის, ჯიხვის და სხვა რქები მეტად მოსახერხებელი მასალაა პრიმიტიული მიწის საჩიჩქნი იარაღის გასაკეთებლად. უძველესი თოხები თუ პრიმიტიული სახვნელები სწორედ ირმის და ირმისნაირი ცხოველების რქებისაგან კეთდებოდა. ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარების უმეტესობაზე დამოწმებულია რქებისაგან ნაკეთები მიწის დასამუშავებელი იარაღი. აღმოსავლეთ საქართველოს ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე (შულავერი, იმირის გორა, არუხლი და სხვა) გარეული ცხოველების ძვლები მხოლოდ ირმის რქებით არის წარმოდგენილი. ირმის რქისაგან ნაკეთები თოხები დამოწმებულია ურბნისის ადრებრინჯაოს ხანის ძეგლებზე, ხოლო ქვაცხელებზე ირმის რქის სახვნელიც აღმოჩნდა.

მიწის მოხვნა რომ განაყოფიერების აქტად წარმოიდგინებოდა, ეს ცნობილია. მიწათმოქმედების ემპირიული ცოდნისა და გამოცდილების დაბალ საფეხურზე, დამუშავებულ ნაკვეთზე მოსავლის სიუხვე, როგორც ჩანს, სახვნელის — resp — ირმის რქის მაგიურ ძალაზე იყო დამოკიდებული და ასე, ირემი — ადრე ტყის მეუფე და სული აგრარულ ღვთაებას უკავშირდება.

ირემი, როგორც გამანაყოფიერებელი, კარგად ჩანს ქვაცხელების სამაროვნის №2 სამარხში აღმოჩენილ სპილენძის დიადემიდან[117] (ტაბ. IV, 4). დიადემაზე გამოსახულ სიმბოლიკაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ორ ხარირემს, აშკარად გამოხატული სქესობრივი ნიშნებით. მათთან ერთად დიადემაზე გამოსახულია დისკოები, წეროები, რომლებიც ასტრალურ სიმბოლიკას განეკუთვნებიან და ირმებსაც ასტრალურ რწმენათა წრეში აქცევენ[118].

საწესო რიტუალში, როგორც ჩანს, გარეულ ანტილოპისნაირთა გარდა, მონაწილეობდნენ შინაური ცხოველები — ცხვარი და თხა. ამისი მოწმობა მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე გავრცელებული ცხვრის ტერაკოტული ფიგურებია. ხიზანაანთ გორის B დონეზე აღმოჩნდა თხის რქა, რომელზედაც ჯვარია ამოკაწრული[119].

ირმის იკონოგრაფიის განვითარების შემდგომი საფეხური ჩვენში შუაბრინჯაოს ხანაზე მოდის. ამ დროს ვამოწმებთ ირმის გამოსახულებებს რო-

---

117 ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი. ურბნისი. I. თბ. 1968. ტაბ. XXXVI.

118 ლ. ღლონტი. დასახ. ნაშრ. გვ. 171. სამარხი ქალისაა, დიადემაც მისი კუთვნილებაა. ლ. ღლონტი წერს: „უეჭველია, რომ ეს დიადემა მხოლოდ სამკაული არაა, მისი ძირითადად სარიტუალო დანიშნულება სავსებით ნათელია, ის უნდა წარმოადგენდეს სარიტუალო თავსაბურავის ნაწილს და მისი მფლობელიც, ალბათ, აღჭურვილი იქნებოდა ნაყოფიერებასთან დაკავშირებული საწესო მოქმედების შესრულების უფლებით. ის გარემოება, რომ დიადემა მიცვალებულს თავდალმა ედგა, შემთხვევითი არ უნდა იყოს, შეიძლება ნიშნავდეს სიკვდილს“. ეს თუ ასეა, მაშინ იქმნება საცდური — ქვაცხელების №2 სამარხი წარმოვიდგინოთ აგრარულ კულტებში გავრცელებულ ქალის მსხვერპლად შეწირვის ანალოგიად.

119 ი. კიკვიძე. ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი. გვ. 9.

ვორც თიხის, ასევე ლითონის ჭურჭლებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო ჩანს ზემოთ არაერთგზის ნახსენები თასი და XVII ყორღანში აღმოჩენილი ვერცხლის სარწყული[120]. თასის გამოსახულებას ჩვენ უკვე ვიცნობთ. სარწყულზე ნადირობის სცენაა დატანილი. აქ მოცემულია კავკასიის თითქმის მთელი სამონადირეო ფაუნა: თხები, ჯიხვები, ქურციკები, შვლები, ფური და ხარირმები. ზოგიერთი მათგანი ისრითაა დაჭრილი. აქვეა ხეები, ბუჩქები და სხვა. სარწყულზე და თასის ქვედა ფრიზზე გამოსახული ირმები საოცრად გვანან ერთმანეთს და ამიტომაც, რომ ბ. კუფტინი ორივე გამოსახულებას ხელოვნების ერთ წრეში აქცევს და ერთად იხილავს[121].

როგორც ვნახეთ, ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე ირემი მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაყოფიერების—აგრარულ კულტთან. ირმის ღვთაებრივი ძალა მის რქებშია. უფრო ხაზგასმულია ირმის კავშირი ნაყოფიერების კულტთან სარწყულისა და თასის ქვედა ფრიზის გამოსახულებაში. აქაც ღვთაებასთან კავშირი რქებით ხდება. შემჩნეულია, რომ ირმის რქები ძალიან წააგავს თასზე გამოსახული სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეს[122].

ირმის რქა, როგორც ნაყოფიერების სიმბოლო, კიდევ უფრო რელიეფურად არის გამოკვეთილი გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე. მათზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით, აქ კი ისევ თრიალეთის თასის გამოსახულების შესახებ. ვფიქრობ, არ უნდა იყოს საეჭვო, რომ იგი რაიმე აგრარულ დღესასწაულს გამოსახავს, ისე მკაფიოდ არის გამოვლენილი მის დეტალებში ნაყოფიერების იდეა. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა. მეორე მხრივ, თრიალეთის თასის გამოსახულება მანიშნებელია იმისა, რომ თრიალეთელი ტომების რელიგიურ წარმოდგენებში ნაყოფიერების იდეის განვითარებაში საკმაოდ დიდი ცვლილებებია. იცვლება, პირველ რიგში, ღვთაების იკონოგრაფია. კერას და ცეცხლს ცვლიან სიცოცხლის ხე და ირემი, ან ირმისნაირნი. ახალი იკონოგრაფია ხაზს უსვამს ნაყოფიერების ღვთაების აგრარულ ხასიათსა და მის ყოვლისმომცველობას. თრიალეთელი ტომების სამიწათმოქმედო ბაზა კი არცთუ ისე ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ნაყოფიერების კულტის ამ მხრივ განვითარებისათვის.

როგორც ვხედავთ, თრიალეთის თასის გამოსახულების სიუჟეტის კვლევა, გარდა თვით მისი სწორად ამოცნობისა, საკითხთა გაცილებით ფართო წრეს უკავშირდება, ურომლისოდაც ჩვენში სამიწათმოქმედო კულტის განვითარებას სწორად ვერ წარმოვადგენთ. შევეცადოთ თითოეული საკითხის მეტ-ნაკლები სიზუსტითა და სისრულით გადაჭრას.

სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე ყველა ხალხში გავრცელებული ნაყოფიერების უნივერსალური ემბლემაა. ეს ბუნებრივია. ჯერ ერთი, იგი ნიადაგიდან არის აღმოცენებული და ამ ნიადაგის ნაყოფიერების სიმბოლური განსახიერებაა. მეორეც, თვით არის ნაყოფის მიმცემი. მესამეც, ფოთოლცვენითა თუ შემოსვით, თითქოსდა, ბუნების სიკვდილ-სიცოცხლეს გამოხატავს ან მარადმწვანობით — სიცოცხლის უსასრულობას და ა. შ. განსაკუთრებულია სიცოცხლის ხის ადგილი ქართველი ტომების რელიგიურ წარმოდგენებში, მითებსა და სიმბოლიკაში. ქართველთა რწმენებსა და საწესო რიტუალში მისი

---

120 Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. таб. XXXVIII.
121 Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети. стр. 86.
122 ლ. ფანცხავა. დასახ. ნაშრ.

როლის და ადგილის შესახებ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს და მისი აქ გამეორება სრულიად ზედმეტია. გზადაგზა შევჩერდები მხოლოდ სიცოცხლის ხესთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც სხვა მკვლევრებისაგან განსხვავებულად მაქვს წარმოდგენილი.

ხე რომ კულტის ობიექტად ადრეა ქცეული, ეს სადავო არ არის. ხე—ფეტიში, ხე—ტოტემი და სხვა. მაგრამ როდის ერწყმის ხე ნაყოფიერების კულტს, ჯერ კიდევ საკვლევია. ნაყოფიერებისა და სიცოცხლის ხეს ისე აშკარად გამოსახული აგრარული ხასიათი აქვს, რომ მისი ჩამოყალიბება წარმოებითი მეურნეობისა და, მასთან დაკავშირებით, სამიწათმოქმედო კულტის ჩასახვა-განვითარების პარალელურად უნდა ვივარაუდოთ. უფრო სწორად, ხე ნაყოფიერების სიმბოლოდ მიწათმოქმედების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, კერძოდ, მებაღეობასა და მევენახეობასთან დაკავშირებით უნდა განვითარებულიყო. თუ სად და როდის, ამაზე მსჯელობა ახლა ძნელია. ჩვენთვის მთავარია, რომ კავკასიაში ეს კულტი შემოსული ჩანს, თუმც მკვლევრები სიცოცხლისა და ნაყოფიერების კულტს ჩვენში საკმაოდ ადრინდელი ხანიდან ვარაუდობენ. მაგ., ბ. კუფტინი მიიჩნევდა, რომ რქიანი სადგრების ნახვრეტში შეიძლებოდა ჩიჩილაკი ჩაემაგრებინათ. ჩიჩილაკი კი იგივე სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეა. ირ. სურგულაძე, ვ. ბარდაველიძეზე დაყრდნობით, ვარაუდობს, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის ნაგებობებში დამოწმებული დედაბოძები უკვე გაფორმებული იყო როგორც სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე[123]. ლ. ღლონტს დასაშვებად მიაჩნია რქიანი სადგრებისა და კერების ნახვრეტებში სიცოცხლის ხის ჩამაგრება[124] და სხვა. ერთი სიტყვით, ფიქრობენ, რომ ჩვენში სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის კულტი ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში უკვე ფაქტია. მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე არ აღმოჩენილა ნივთი ან ნივთზე გამოსახულება, რომელიც სიცოცხლის და ნაყოფიერების ხის კულტის დამადასტურებლად გამოდგებოდეს. ამ ნაგებობებში კერა ისეა გაფორმებული, მას იმდენად დიდი საკულტო და იმდენად მცირე პრაქტიკული დანიშნულება აქვს, რომ საეჭვოა საკულტო რიტუალში დედაბოძი მოქცეულიყო. როდესაც უკანასკნელი ფორმდება სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხედ და იმკობა ასტრალური ორნამენტით, კერა სადაა და კულტში მისი როლი საკმაოდ მცირეა.

რაც შეეხება ვარაუდს, რომ რქიანი სადგრისა და კერის ნახვრეტებში ჩიჩილაკი ან სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე შეიძლებოდა ჩადგმულიყო, რაიმე ფაქტობრივი მონაცემით, ან სინქრონული თუ ანაქრონული ანალოგიით ვერ ვამტკიცებთ. რქიან საკურთხევლებში, როგორც ვნახეთ, ორმაგი ცული მაგრდებოდა. არ არის გამორიცხული ანალოგიური მოვლენა მტკვარ-არაქსის კულტურის რქიან სადგრებსა და კერებში, მით უმეტეს, რომ ხიზანაანთ გორის D ფენის მე-18 შენობის კერას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, თაროს ნაცვლად მიძერწილი აქვს ორმაგი ღუზისმაგვარი გამოსახულება, რომელიც მთვარის სიმბოლიკაში ცულს უნდა ცვლიდეს.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ადრეულ ბრინჯაოს ხანაში ნაყოფიერების კულტს ცეცხლი, კვირია ანსახიერებს, რომლის ხატს შვერილიანი კერა წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ღვთაების ერთი ხატება სულაც არ გამორიცხავს მეორეს, და შემდეგ ვნახავთ, რომ უფრო გვიან ნაყოფიერების ღვთაებას ასახიე-

[123] ირ. სურგულაძე. დასახ. ნაშრ.

[124] ლ. ღლონტი. დასახ. ნაშრ.

რებს როგორც კერა, ასევე სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე და ანტილოპის ჯგუფის ცხოველები: ირემი, ჯიხვი, ნიამორი, ცხენი და სხვა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლებზეც სიცოცხლის ხის მოტივი საერთოდ არ ჩანს, ვფიქრობ, დასტურია იმისა, რომ ხე მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების მიერ ნაყოფიერების ღვთაების რანგში აყვანილი არ არის. როგორც აღვნიშნე, სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის იდეა უფრო განვითარებულ სამიწათმოქმედო ბაზას ითხოვს, კერძოდ, ალბათ, მევენახეობა-მებაღეობას ან ინტენსიურ მემინდვრეობას. ადრეულ ბრინჯაოს ხანაში კი მიწათმოქმედება არა თუ ინტენსიურია, არამედ კრიზისსაც კი განიცდის, რასაც სამიწათმოქმედო რაიონების გაუკაცრიელებაც მოჰყვა. და თუ შუაბრინჯაოს ხანაში, ასევე არაინტენსიური მიწათმოქმედების დროს, მაინც ვამოწმებთ სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის კულტს, ამას, ვფიქრობ, სხვა მიზეზები აქვს.

როგორც აღვნიშნე, მესამე ათასწლეულის მეორე ნახევარში კრიზისს განიცდის ურწყავი მიწათმოქმედება, რასაც ძველი სამიწათმოქმედო ბაზის მიტოვება მოჰყვება. მოსახლეობის ნაწილმა მთას მიაშურა, უფრო სწორად, მაღალ ზონაში მდებარე ვრცელ პლატოებს, სადაც მეტად ხელსაყრელი პირობებია მესაქონლეობისა და პრიმიტიული მიწათმოქმედებისათვის, ნაწილი კი საერთოდ ტოვებს კავკასიას. ამ ხანაში მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები სირია-პალესტინასაც აღწევენ. თავის მხრივ, კავკასიაშიც არაერთი ტომი უნდა გამოჩენილიყო, რომელმაც აქ თავისი ენა, კულტურა და რელიგიაც მოიტანა. საფიქრებელია, რომ ბევრი უცხოეთში გადახვეწილი ტომი უკან დაბრუნებულიყო სხვა ტომებთან ურთიერთობით შეძენილი საწარმოო გამოცდილებით, კულტურითა თუ რელიგიით. ამიტომ არის, რომ III ათასწლეულის ბოლოს კავკასიური კულტურები აშკარად ამჟღავნებენ ევროპულ თუ წინააზიურ კულტურებთან ურთიერთობის კვალს. განსაკუთრებით ბევრია უცხოური თრიალეთის კულტურაში, რომელმაც ისე უცვალა მას სახე, რომ მის მტკვარ-არაქსის კულტურიდან განვითარების დადგენას საკმაოდ დიდი შრომა დასჭირდა. ეს ფაქტი მხოლოდ უკანასკნელ ხანს არ იწვევს ეჭვს[125].

შემოტანილი უნდა იყოს თრიალეთის კულტურაში სიცოცხლის ხის მოტივიც, რომელიც მცირე აზიიდან უნდა გავრცელებულიყო ჩვენში*. საერთოდ, ქართველ ტომთა რელიგიას და მითოლოგიას ბევრი აქვს წინააზიური, ზოგიერთ მათგანზე ქვემოთ შევჩერდები. აქ კი აღვნიშნავ, რომ ეს მოტივი შუაბრინჯაოს ხანაში მაინცდამაინც ფართოდ არ უნდა გავრცელებულიყო. ამიტომ არის, რომ ზემოთ არაერთგზის მოტანილ თასზე გამოსახული სიცოცხლის ხე ასე ეულად არის წარმოდგენილი და თრიალეთის კულტურაში მსგავსი არაფერი იპოვება. თრიალეთის თასზე გამოსახულ სიუჟეტთა ყველაზე ახლო ურუკში აღმოჩენილი ალებასტრის ვაზის გამოსახულება დგას. ოღონდ აქ ადამიანთა პროცესია ორ ფრიზს ავსებს და მთავარი პერსონაჟი ქალღმერთია. ამავე დროს, ურუკის ვაზაზე ადამიანთა ფიგურებს, ჩაცმულობის მიხედვით, თითქოს, მოსახლეობის სამ სოციალურ ჯგუფს აკუთვნებენ[126].

---

[125] ო. ჯაფარიძე. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. გვ. 148. ე. გოგაძე. თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ. 1972. გვ. 79—93.

[126] Brentjes. Zu eignen Problem der Kaukasisch-Syrischen archeologie Wissenschaftliche zeitschift, der Martin-Luther-Uniwersität Halle —Wittenberg. გვ. 1076.

* საინტერესოა, რომ სიცოცხლის ხის მოტივი შეტანილი ჩანს შუამდინარეთშიც. მისი აქ ფართოდ გავრცელება უკავშირდება ხური-მითანურ ტომებს.

სხვაობა თრიალეთის და ურუკის ვაზების გამოსახულებებს შორის სავსებით კანონზომიერია და მას ქვემოთ შევეხებით.

სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხემ ფართო გავრცელება უფრო გვიან, მეორე ათასწლეულის დასასრულისათვის ჰპოვა და მალე იგი ყოველი ღვთაების ერთადერთ სიმბოლოდ იქცა. სანამ ამ ხანას განვიხილავდე, უნდა აღინიშნოს, რომ სიცოცხლის ხის მოტივი კავკასიაში ვრცელდება მაშინ, როდესაც იქმნება წანამძღვრები სატომო ღვთაების ჩამოსაყალიბებლად. სიცოცხლის ხეც ამ სატომო ღმერთის სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო.

ქართველთა სატომო და სათემო ღვთაებანი ხატად და ჯვარად იწოდებიან. ყოველ თემს, ხევს, ტომს თავისი ხატი, ჯვარი ჰყავს, რომელსაც ეყმობა და რომელიც გაკულტებულია. თუმც ხატი და ჯვარი მრავალია და მრავალი სახელით იხსენიებიან—ლაშარის ჯვარი, გუდანის ჯვარი, ლომისის ხატი, კოპალე, ხახმატი, პირქუში. იასახარი და სხვა—ისინი ბუნებითა და ფუნქციით საოცარ ერთგვაროვნებას იჩენენ. მსგავსია კულტმსახურების წესიც. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კოპალები, პირქუშები, იასახარები, ხახმატისა თუ ლაშარის ჯვრები, ფაქტიურად, ერთი ღმერთია, სხვადასხვა ტომისა თუ თემის მიერ სხვადასხვა სახელით აღვლენილი. თუმცა დროთა განმავლობაში ამ ღვთაებათა ფუნქცია იცვლება, მაგრამ მათი ბუნება და, რაც მთავარია, სიმბოლიკა მაინც საერთოა. ქვემოთ, საკულტო ნაგებობების განხილვის დროს, ვნახავთ, რომ ეს ერთი ღმერთი ნაყოფიერების ღვთაებაა, რომელიც, თემის თუ ტომის სოციალ-ეკონომიური სტრუქტურის შესაბამისად, ხან აგრარულ, ხან კი მეომარ ღვთაებად გვევლინება. ეს ღვთაება ჩვენში ადრეულ ბრინჯაოს ხანაში ჩამოყალიბდა, მას, როგორც ზემოთ ვნახეთ, კვირია უნდა რქმეოდა და მისი სიმბოლო ცეცხლი და კერია უნდა ყოფილიყო. ერთი მეტად საინტერესო ფაქტია დამოწმებული მტკვარ-არაქსის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე: სხვადასხვა ფენის შენობების იატაკები ერთმანეთზეა გადალესილი. როგორც ჩანს, ახალი სახლის შენების დაწყებამდე ძველი საგანგებოდ იწმინდებოდა. გამონაკლისი მხოლოდ დამწვარი ნაგებობებია. ნახანძრალი შენობების გაწმენდას რატომღაც მორიდებიან. ეს მოკრძალება უფრო ცეცხლისადმი მოწიწებით ხომ არ იყო გამოწვეული? ქართველთა რელიგიური წარმოდგენებით შეცოდება კვირიას წინაშე ხანძრით ისჯება. ასეთ სასჯელად ხომ არ წარმოიდგინეს ქვაცხელისა და ხიზანაანთ გორის C_1 ფენაში დამოწმებული ხანძარი? საერთოდ, ადრესამიწათმოქმედო ძეგლებზე ცეცხლისადმი მოწიწება და პატივი ბევრ რამეში მჟღავნდება. მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები ცეცხლთაყვანისმცემლები იყვნენ ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნაყოფიერების ღვთაების ემბლემა კერაა, რომელიც ადრებრინჯაოს ხანაში მთელ ასტრალურ სიმბოლიკას იტევს. როგორც ჩანს, კერა ამ დროს საოჯახო ან საგვარეულო ღვთაებაა. უფრო მაღალ რანგში იგი არ უნდა ასულიყო, თუმცა ცეცხლს ყოველგვარ რიტუალში ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულს და II ათასწლეულის დასაწყისში, იმ დროს, როდესაც ყალიბდება სატომო ღმერთები, ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლიკაში ცვლილება ხდება. შემოდის სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის მოტივი და მალე იგი გაბატონებულ ადგილს იკავებს. სავსებით ბუნებრივია, რომ სიცოცხლის ხე ნაყოფიერების სიმბოლიკიდან მთლიანად ვერ აძევებს კერას, თუმც რამდენადმე იმორჩილებს მას, უტოვებს რა ასპარეზად ოჯახს, თვითონ სატომო და სათემო ღვთაებად გვევლინება. კე-

რა ოჯახის უნივერსალური ღვთაებაა. თითქმის ყოველი რიტუალი მის გარშემო სრულდება. იგი ერთგვარი ცენტრია ოჯახის, მისი კეთილდღეობის სიმბოლო. მაგრამ კერას ნელ-ნელა სცილდება ასტრალური სიმბოლიკა, რომელსაც ამიერიდან სიცოცხლის ხე ითავსებს დედაბოძისა და ბუხრის ქვის ორნამენტის სახით[127]. ამგვარად, ვიღებთ საოჯახო ნაყოფიერების ღვთაების შერწყმულ სიმბოლიკას (კერა და სიცოცხლის ხე). კერა საოჯახო ხატად რჩება ჩვენში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც. სიმპტომატურია, რომ ქართველთა ოჯახებში ვერ შეხვდებით ქრისტიანული ხატებისათვის გამართულ კუთხეს, რომელიც ასე დამახასიათებელია ქრისტიანი ხალხებისათვის. ასეთი კუთხის როლს აქ კერა ასრულებდა.

ამგვარად, ვფიქრობ, რომ სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის მოტივი ჩვენში შუაბრინჯაოს ხანიდან ვრცელდება და იგი გვევლინება სათემო და სატომო ნაყოფიერების ღვთაებად. ვფიქრობ, ეს ღვთაება უნივერსალურია და იტევს ყოველ ღვთიურ ფუნქციას. საერთოდ, რელიგიაში რატომღაც ნაყოფიერების ღვთაებას ნაკლები როლი აქვს მიკუთვნებული საერთო-სატომო თუ სატომთაშორისო ღმერთების ჩამოყალიბებაში. საიდან არ გამოჰყავთ ეს ღმერთები: წინაპართა კულტიდან, ტოტემი-ეპონიმიდან, ინიციაციის მფარველი კეთილი სულიდან, გაკულტებული გმირი-დემიურგიდან და სხვა. რა თქმა უნდა, რომ სატომო ღვთაება ყოველივე ზემოთქმულს შეიცავს და მათი განვითარება აქეთკენ მიდის, მაგრამ ამ ღვთაებაში მთავარი მაინც ნაყოფიერება და ნაყოფიერების ღვთაების უნივერსალური ღმერთის რანგში იყვანაა. ტყუილად ფიქრობს ს. ტოკარევი, რომ სატომო ღმერთი, პირველ რიგში, მებრძოლი ღვთაებაა, რომელიც წინ მიუძღვის თავის საყმოს სხვა ტომების დასამორჩილებლად და ძარცვა-გლეჯისთვის[128]. ჯერ ერთი, არ არის სავალდებულო, რომ ყველა ხალხი ან ყველა ტომი მეომარი იყოს. მეორეც, მეომარი ხალხებისათვის მეკობრეობა, მეზობელ ტომებზე თავდასხმა ნადავლისათვის მეურნეობის ერთ-ერთი სახეა და ამ ტომთა ნაყოფიერების ღვთაების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სწორედ მეკობრეობა უნდა იყოს. ასეთ ღვთაებად გვევლინებიან ქართველ მთიელთა სატომო ხატები: ლაშარის ჯვარი, გუდანის ჯვარი, ლომისა და სხვა. ისინი თავიანთ საყმოს წინამძღოლად ჩანან ყოველ ბრძოლაში, მაგრამ იმავე ხატების ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად მაინც ნაყოფიერება, ვაჟიანობა, ქერის მოსავალი და საქონლის გამრავლება ჩანს. სწორედ ამას გამოსთხოვს კვირიას და მორიგე ღმერთს იგი თავის საყმოსთვის.

სიცოცხლის ხე, როგორც აღვნიშნე, ქართველი ტომების რელიგიურ წარმოდგენებში ღვთაებათა ერთადერთი ხატია. ღმერთების განსხეულების სხვა სახე საქართველოს ეთნოგრაფიაში ქრისტიანობამდე ჩვენთვის უცნობია. თვით ტერმინი ხატი ან ჯვარი სწორედ სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის აღმნიშვნელია და შემდგომ ვრცელდება იგი, ქრისტიანობის სიმბოლო ჯვარსა და ხატზე.

ხატი და ჯვარი ქართველთა სატომო და სათემო ღვთაებებია. ხატი და ჯვარი ჰქვია იმ ადგილსაც, სადაც კულტმსახურება მიმდინარეობს. ამ კულტმსახურებაში ცენტრალური ადგილი წმინდა დროშას, ანუ, როგორც მას ღმერთების, ჯვარ-

---

127 გ. ჩიტაია. სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში. ირ. სურგულაძე. დასახ. ნაშრ.

128 С. А. Токарев. Ранние формы религии. стр. 168.

თა ენაზე ჰქვია, „ალვისტანს“ უკავია[129]. იგი წმიდათაწმიდაა სათემო და სატომო სამლოცველოებში. მისი ხელით შეხება მხოლოდ ხუცესს ან მკადრეს შეუძლია. იგი ინახება მთავარ საკულტო ნაგებობებში: ბეღელში ან დარბაზში. ხატობის დროს გადმოაბრძანებდნენ სპეციალურად მისთვის განკუთვნილ დროშათ საბრძან კოშკში. მსხვერპლშეწირვა მის ახლოს ხდებოდა. საერთოდ, ქართველი მთიელები თავის ცხოვრების ყველა მთავარ მოვლენას დროშას უკავშირებდნენ და როგორც სამართლიანად აღნიშნავს ვ. ბარდაველიძე „...у восточно-грузинских горцев знамя служило не только величайшим символом божества, но и его воплощением»[130].

მეტად საინტერესოა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დაცული წესი ერთ წლამდე ბავშვის ხატის ყმებში ჩარიცხვის, ან ხატის მფარველობის ქვეშ შესვლისა. ამ წესს საწულეობა, ხატში გარევა, ბავშვის მიბარება და სხვა ჰქვია და შემდეგში მდგომარეობს: ბავშვს დროშის ქვეშ სამგზის აგორებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ხატმა ბავშვი იშვილა, თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა. ამგვარად, დროშა ღვთაების როლში გამოდის. იგი ღვთაების სიმბოლო და თვით ღვთაებაა, მისი ხატია. ამავე დროს, დროშა სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეა, რაც კარგად ჩანს „ჯვართ ენაზე“ მისი სახელიდან — „ალვისტანი“ და გარეგნული იერიდან. ამდენად, სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე თვით არის ღვთაების სიმბოლო და ხატება. ამიტომ ხეთა მსახურების ნაშთი, როგორც ი. ჯავახიშვილი წერს: „ყველგან, ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში, ეხლაც არის შერჩენილი“[137]. ქრისტიანული ეკლესიების ეზოში ხშირად დგანან წმინდა ხეები, რომლებიც ისევეა თაყვანცემული, როგორც ეკლესია. ტაძართა უმრავლესობას, ჯვართან ერთად, ამკობს სიცოცხლის ხის რელიეფი და ეს რელიეფები ტაძართა სიწმინდის და ღვთის სახლის ისეთივე სიმბოლოა, როგორც ჯვარი.

§ 3. საკულტო ნაგებობები. სატომო ღვთაების კულტი, რომელიც ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე, უკლასო და კლასობრივი საზოგადოების მიჯნაზე ყალიბდება, რელიგიას აძლევს საკმაოდ ჩამოყალიბებულ ფორმას. იქმნება სატომო და სათემო საკულტო ცენტრები, რომლებიც უკვე საცხოვრებელი ნაგებობის კომპლექსში კი არ შედის, არამედ განცალკევებით დგას. უკანასკნელ ხანს საქართველოში გაითხარა არაერთი საკულტო ძეგლი, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით და I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. საბედნიეროდ, უმეტესობის გათხრის შედეგები უკვე შემოსულია მეცნიერულ მიმოქცევაში და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ დროის ქართველი ტომების რელიგიურ რწმენებზე, მათ შორის, ნაყოფიერების კულტის განვითარებაზე.

სამლოცველო კომპლექსები აღმოსავლეთ საქართველოში გაითხარა: ყათნალისხევის ბორცვზე უფლისციხესთან, ცხინვალის ნაცარგორაზე, ხოვლეგორაზე, მელი-ღელე I—II, მელაანი, არაშენდა—გურჯაანის რაიონში და სხვა. მოვიტან თითოეული ძეგლის და მასზე აღმოჩენილი ნივთების აღწერილობას, რადგან თვით ძეგლის ხასიათი, ვფიქრობ, იძლევა გასაღებს, თუ საით

---

129 სიცოცხლის ხისა და დროშის იგივეობაზე იხილე: В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования... стр. 58—65.

130 В. В. Бардавелидзе. დასახ. ნაშრ. გვ. 61.

131 ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. I. გვ. 94.

მიდის ნაყოფიერების კულტის განვითარება და ხსნის იმ სოციალური განვითარების დონესა და მეურნეობის ხასიათს, რომლის ბაზაზე შემუშავებულია ეს კულტი.

1958—1962 წლებში უფლისციხის დასავლეთით, ყათნალისხევში გაითხარა ძველი ნამოსახლარი, რომლის მეორე ფენა შეიცავდა საკულტო ნაგებობათა კომპლექსს[132]. კომპლექსი რამდენიმე ნაგებობისგან შედგებოდა. ნაგებობა I თიხით შელესილი ძელური სათავსო ყოფილა. მის თიხის იატაკზე ამოკვეთილია რომელიღაც ცხოველის (ძაღლის) სილუეტი და 0,7 მ-ის სიღრმის ორმო. ორმოები ამოვსებული იყო ნაცრითა და ნახშირით, რომელშიც არეული იყო ცხოველის დამწვარი ძვლები, კერამიკის ნატეხები და სხვა. იატაკზე აღმოჩნდა მოზვრის თავის თიხის მოდელის ნატეხი, თიხის ჭურჭლები და ჭურჭლის ფრაგმენტები, თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხებიდან დამზადებული დისკოები, ცხოველის დაზიანებული ფიგურა, თიხის ურმისთვლის მოდელი, სალესი ქვები, ქვასანაყები, რიყის გახვრეტილი ქვები, დისკოს ფორმის რიყის ქვები, ქვის ფილები და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თიხის ჰორელიეფი, რომელიც დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა ბათქაშის გროვაში. ჰორელიეფი ადამიანის თავის გამოსახულებაა, რომელსაც ობსიდიანით ინკრუსტირებული თვალები აქვს. როგორც ჩანს, იგი კედელზე იყო შელესილი.

საინტერესო ჩანს ამ ნაგებობაში აღმოჩენილი თიხის მცირე ზომის ფიგურა, რომელიც ხარის ქანდაკების ნაწილი უნდა იყოს. ფიგურა ნაძერწია მსხვილი ქვიშანარევი თიხისაგან. ოეძოსთან ფიგურას გაკეთებული აქვს ჰორიზონტალური გამჭოლი ნახვრეტი. ზურგზე ამოღებული აქვს ოთხი ფოსო. ისინი, როგორც ჩანს, რაღაც საგნის ჩასამაგრებლად უნდა იყოს გაკეთებული.

I ნაგებობას აღმოსავლეთიდან ემიჯნება II ნაგებობა (ფართობი 15 მ²), სადაც აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან დამზადებული დისკოები, თიხის ურმისთვლის მოდელი, კევრის გაცვეთილი კოხები, ლულოვანი მილისგან დამზადებული ნივთი, რომელიც შეიძლება სალამური იყოს, სალესი ქვები, დისკოდალური რიყის ქვები და სხვა.

II ნაგებობას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ეკვრის III ნაგებობა, ნაგებობის გეგმა კვადრატულია (ფართობი 16 მ²), სათავსოს სამხრეთ კუთხეში აღმოჩნდა ღუმელის ნანგრევები. ღუმელის კედლები ამოყვანილია ფლეთილი ქვებით, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებითა და თიხით. ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან, ღუმელის ჩრდილო-დასავლეთით აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული საკურთხეველი, რომელსაც სავარძლის ფორმა უნდა ჰქონოდა. საკურთხევლის გადარჩენილი ნაწილის სიმაღლე 40 სმ-ს შეადგენს. საკურთხევლის ქვედა ნაწილი თიხითაა ამოყვანილი, ზედას კი წნელის კარკასი ჰქონდა. საკურთხევლის ზურგსა და ნაგებობის კედელს შორის იდო თიხის დიდი, რუხად გაპრიალებული ჯამი, ხოლო საკურთხევლის მახლობლად, თიხის იატაკში ჩადგმული იყო შავპრიალა, მინიატურული ჭურჭელი, რომელსაც დისკოს ფორმის ქვის ორი სარქველი ჰქონდა. იგი სავსე იყო ნახშირნარევი ნაცრით. საკურთხეველთან უნდა იყოს დაკავშირებული თიხის მოზვრის თავის მოდელები, რომლებსაც ორ-ორი ნახვრეტი აქვთ საკურთხეველზე დასამაგრებ-

[132] ძეგლის აღწერილობა მომაქვს: დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი. უფლისციხე. I. თბ. 1964. გვ. 18—44.

ლად. დ. ხახუტაიშვილი ფიქრობს, რომ მოდელები მაგრდებოდა საკურთხევლის ზურგის შემაღლებაზე.

III ნაგებობას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ეკვრის კომპლექსის უკანასკნელი IV ნაგებობა. იგი ძელური ყოფილა და კომპლექსთან ერთად ხანძარში დაღუპულა. სათავსოში დადასტურებული კულტურული ფენა შეიცავს: კერამიკის ნატეხებს თუ თიხის ჭურჭლებს, კედლის ნალესობას, ხელსაფქვავის ფრაგმენტებს, კევრის კოხებს, კაჟის ნამგლის პირებს და სხვა. IV სათავსოს სამხრეთ-დასავლეთ კედელთან აღმოჩნდა წრიული ფორმის საკურთხეველი. ჩვენამდე შემორჩა საკურთხევლის ფლეთილი ქვებით მოგებული იატაკი და თიხის ხარის თავის მოდელები. საკურთხევლის უკან, იატაკზე იდგა დისკოს ფორმის რიყის ქვის სახურავიანი, შავპრიალა, მინიატურული ვაზა, რომელშიც დანახშირებული ყურძნის წიპწები და ფშატის კურკები ეყარა.

IV ნაგებობაში განსაკუთრებით საინტერესოა ცხოველთა გამოსახულებანი, რომლებიც არცთუ ისე ღრმად, უსისტემოდ ამოკვეთილია იატაკში და ამოვსებულია ნაცრით, რომელშიც აქა-იქ დამწვარი ძვლის ნატეხებიც ურევია. გამოსახულებებში შეიძლება გამოირჩეს როგორც შინაური, ისე გარეული ცხოველები (ხარი, თხა, ძაღლი, ირემი, შველი, ჯოჯო და ა. შ.).

ყათნალისხევის საკულტო კომპლექსი ორზურგა ბორცვზეა განლაგებული. ზემოაღწერილ ნაგებობებს მოზრდილი ზურგი უჭირავთ, მცირე ბორცვზე კი სამეურნეო ნაგებობებია. კომპლექსი დ. ხახუტაიშვილის მიერ დათარიღებულია ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულის დასაწყისით.

ცხინვალის ნაცარგორა შეისწავლა ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით[133]. ნაცარგორაზე დამოწმებულია სამი კულტურული ფენა: პირველი ადრეული ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი უნდა იყოს, მეორე და მესამე გვიანბრინჯაო-ადრეული რკინის ხანისაა და შეიცავენ საკულტო ნაგებობებს. მეორე ფენა (ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი) ძლიერ დაზიანებულია. ინვენტარიდან აღსანიშნავია შავპრიალა ჭურჭლები, არქაული ხელსაფქვავები, ნამგლის კაჟის ჩასართავები, ურმისთვლის მოდელები და განსაკუთრებით ცხოველთა თიხის ფიგურები და ქალის თიხის მცირე ზომის ქანდაკება.

მესამე ზედა ფენა (სისქე — 1,5—2,5 მ) ყველაზე უკეთ არის შემონახული. აქ გათხრილია რამდენიმე სამლოცველო სენაკი, რომლებიდანაც უკეთ დაცულია სენაკი № 5. მის სამ კუთხეში გაიწმინდა თიხატკეპნილ იატაკზე ნაგები სამი საკურთხეველი და სამსხვერპლო.

აღმოსავლეთ კუთხეში დამოწმებული საკურთხეველი ნაგებია წვრილი ქვის, კერამიკის ნატეხებისა და თიხისაგან. იგი ისევე, როგორც ყათნალისხევის საკურთხევლები, სავარძლის ფორმისაა. ზედაპირი ჩაზნექილია და მასზე მოწყობილია ნალისებური კერა ორი შვერილით, რომელიც ხარის რქების სქემატური გამოსახულება უნდა იყოს. ამ შვერილების უკან, საკურთხევლის კედელზე ასევე სქემატურად გამოსახული ყოფილა ხარის თავი. ჩრდილო კუთხეში მიუძერწავთ სვასტიკა და მასზე გადაბმული, ქიმებიანი, მეანდრისებრი კოპები. საკურთხევლის აღმოსავლეთ კუთხეში გამოძერწილი იყო ორი ჯამისებური ჭრაქი. მისი კერა სავსე იყო სუფთა ნაცრით, საკურთხეველთან

---

133 ძეგლის აღწერილობა მომაქვს: გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი. სტალინირის ნაცარგორა. „მიმომხილველი“. 11. თბ. 1951. გვ. 239—272.

აღმოჩნდა აგრეთვე ხარის ტერაკოტული დიდი ზომის ქანდაკება. გ. გობეჯიშვილი ფიქრობს, რომ სენაკში „სულ ცოტა ოთხი ასეთი ქანდაკება უნდა ყოფილიყო. სამი ცალი ზემოხსენებულ საკურთხეველთან და ერთიც, ყველაზე უფრო დიდი, სენაკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში“[131].

სენაკის ჩრდილო კუთხეში გაიწმინდა მეორე საკურთხეველი. ისიც, ძირითადად, ისეთი ტიპისა ყოფილა, როგორც პირველი; განსხვავებულია იმით, რომ კერა მოწყობილია არა ზედაპირზე, არამედ მიძერწილი აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელს. საკურთხევლის წინ სამხრეთ-დასავლეთ კედლის ახლოს იატაკზე იდო თიხის სუსტად გამომწვარი დისკო.

სენაკის სამხრეთ კუთხესთან იყო საკმაოდ დიდი სამსხვერპლო. იგი, როგორც ჩანს, შედგებოდა ოთხი განყოფილებისაგან. სამსხვერპლოს წინ ეყარა ხარის დიდი ქანდაკებების მცირე ფრაგმენტები. აქვე გაიწმინდა წვრილი კენჭით ამოშენებული და თიხით შელესილი 0,2 მ დმ-ისა და 0,4 მ სიღრმის ორმო. ორმოში აღმოჩნდა ხის ნახშირი. გ. გობეჯიშვილს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ორმო, რადგან იგი სენაკის ცენტრში არ არის ამოღებული, მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლის სადინარი იყოს.

ნაცარგორის მესამე ფენა, როგორც აღვნიშნეთ, სხვა საკულტო ნაგებობებსაც შეიცავს. მათ შორის მთავარია სენაკი № 2, რომელშიაც მეტად საინტერესო ფორმის საკურთხეველია დამოწმებული. მას გ. გობეჯიშვილი „საფეხურებიან საკურთხეველს“ უწოდებს. „ორი წყვილი ბაგიდან — წერს იგი, თითოეული წარმოადგენდა თიხის ორ-ორ საფეხურიან მოგრძო მოედანს, რიყის ქვით, ქვიშით და თიხით ამოყვანილ საკმაოდ მაღალ საფუძველზე გამართულს“[135]. საკურთხევლის სიგრძე 3 მ, ხოლო სიგანე 2,5 მ-მდე აღწევდა. საფეხურებზე და მათ გარშემო, ნანგრევების ქვეშ დამარხული იყო ჭურჭლები, ხელსაფქვავები, კაჟის ნამგლები, თიხის კვერები, ბრინჯაოს ნივთები, ირმის რქის ძირისაგან გამოჭრილი კვერთხის თავები და სხვა. „საკურთხევლის ერთ-ერთ ბაგაზე მდგარა სარიტუალო ჭურჭლები, მათ შორის სამყელიანი ჭურჭელი. საკურთხეველთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული თიხის ანთროპომორფული ქანდაკების ნატეხი, რომელშიაც შეიძლება ნაყოფიერების მამრობითი მჯდომარე ღვთაების გამოცნობა“[136].

ნაცარგორის III ფენაში აღმოჩენილი სხვა ნივთებიდან საინტერესოა ბრინჯაოს იარაღები, ჩამოსასხმელი ყალიბები, სამფეხა ჭურჭელი, აღმოსავლურ-ქართული ცულის მოდელი და სხვა.

1964—1967 წლებში ისტორიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კ. ფიცხელაურის ხელმძღვანელობით გურჯაანის რაიონის სოფ. მელაანსა და მის მიდამოებში გამოავლინა და შეისწავლა რამდენიმე საკულტო ხასიათის ძეგლი[137]. ამ ძეგლებს შორის უძველესია მელი-ღელე I, რომელიც სოფ. მელაანის სამხრეთით, მისგან 7 კმ დაშორებით, მელი-ღელეს მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. იგი წარმოადგენს 2 მ სიგანისა და 0,60 მ სიღრმის თხრილით შემოფარგლულ, შემაღლებულ მოედანს, რომელსაც გარს შემოუყვებო-

---

[131] გ. გობეჯიშვილი. სტალინირის ნაცარგორა. გვ. 256.

[135] იქვე. გვ. 263.

[136] იქვე.

[137] ძეგლების აღწერილობა მომაქვს: კ. ფიცხელაური. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები. თბ. 1973. გვ. 112—122.

და რიყის ქვები. ნივთები, დიდ და მცირე ჯგუფებად, თითქმის მთელ მოედანზეა დადასტურებული. ისინი განსაკუთრებით ბევრი იყო მოედნის ჩრდილოეთით გავლებულ თხრილში. აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში გაიწმინდა ორი ორმო, რომელთა ცენტრში ნაცრით სავსე თიხის დიდი ჭურჭლები იდგა. აღმოსავლეთით მდებარე ორმოსთან რიყის ქვებით შედგენილი ორი წრეა, ასევე ნაცრით შევსებული. მათ გარშემო შემოწყობილია მცირე ზომის თიხის ჭურჭლები და სხვადასხვა წვრილი ნივთები.

მელი-ღელე I-ზე დამოწმებული თიხის ჭურჭლებიდან განსაკუთრებით საინტერესოა დიდი ცალყურა ხელადები. მათი სახელურები მრავალფეროვანია და, როგორც წესი, შემკულია გეომეტრიული და ცხოველური ორნამენტით. შემკულია ჭურჭლის კორპუსიც. შემკულობაში ვხვდებით როგორც ამოკაწრულ, ასევე რელიეფურ გამოსახულებებს. ხშირია ირმის, ცხვრის, გველის და სხვა გამოსახულებანი. ორ ჭურჭელზე ნადირობის სცენაა მოცემული.

თიხის ჭურჭლებს გარდა, მელი-ღელე I-ზე დადასტურებულია: სარდიონის მძივები, ობსიდიანის ისრისპირები, ბრინჯაოს ბეჭდები, ღილები, სამაჯურები, საკიდები, რამდენიმე მახვილის იმიტაცია, ჩქიფები, თიხის საბეჭდავები, რომელზედაც გამოსახულია სვასტიკა, ჯვარი, სპირალი და სხვა. აღმოჩნდა აგრეთვე ბრინჯაოს შვიდი და ქალის თიხის მცირე ქანდაკება. ქალის ზოგიერთი ფიგურა ნიღბიანია, ერთს ცხვრის თავი აქვს. სულ მელი-ღელე I-ის ტერიტორიაზე 86 000 ნივთია დადასტურებული. განსაკუთრებით საინტერესოა მოედნის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილი ცხოველთა გამოსახულებები. ცხოველები გამოსახულია შემდეგნაირად: მიწაში ამოღებულია ღრმა ღარები, რომლებიც შევსებულია ნაცრითა და ცხვრის დამწვარი ძვლით.

მელი-ღელე I თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით. აქ დამოწმებულია „როგორც შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის მასალა, ისე გვიანბრინჯაოს ადრე, შუა და გვიანი ეტაპისთვის დამახასიათებელი ნივთები“.

მელი-ღელე II უშუალოდ ესაზღვრება მელი-ღელე I. იგი წარმოადგენს 80 მ დმ-ის წრიულ მოედანს, რომელსაც რიყის ქვების დაბალი ზღუდე შემოუყვება. ზღუდეზე აქა-იქ გვხვდება რკინის ნივთები, უმეტესად, საბრძოლო იარაღები. ძეგლის ცენტრალური ნაწილი თითქმის მთლიანად განადგურებულია, თუმცა ზოგან ფიქსირებულია უძრავი კულტურული ფენაც. ეს ფენა წარმოდგენილია ქვევრის ძირის ნატეხებით და რიყის ქვებისგან შეკრული წრით, როგორც წრის შიდა არე, ასევე მის გარშემო ფართობი 0,5 მ-ის რადიუსით დაფარული იყო ნაცრის სქელი ფენით. კ. ფიცხელაური ფიქრობს, რომ როგორც მელი-ღელე I-ზე, ასევე II-ზე, ქვით შეკრული წრეები წარმოადგენენ სამსხვერპლოებსა თუ საკურთხევლებს. მელი-ღელე II ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება.

1959 წელს ზემოაღნიშნულმა ექსპედიციამ სოფ. მელაანში გათხარა მელი-ღელეს ანალოგიური საკულტო დანიშნულების ძეგლი. ძეგლი მეტად ფრაგმენტულია. გაიწმინდა რიყის ქვისაგან ნაგები ზღუდის ნაწილი, რომლის ქვეშ მთელ ფართობზე მიმობნეული იყო თიხის ჭურჭლის ნატეხები. მასალის დიდი ნაწილი დადასტურებულია ნაცრით სავსე ორმოებსა და მიწაში სანახევროდ ჩადგმულ დიდ ჭურჭლებში ან მის გარშემო. აქ აღმოჩნდა ათასამდე თიხის ჭურჭლის ნატეხი, 234 საომარი იარაღი და ცხენის აღკაზმულობის ფრაგმენტი, 70 საკულტო-სამეურნეო დანიშნულების ნივთი, 4 ქანდაკება, 12 ავ-

გაროზი, 2 გვერგვი, 7 სარტყელი, 2 ლითონის ზოდი, 9 დანა, 2 სასხლავი და სხვა.

მელაანის საკულტო ძეგლი ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის დასაწყისს უნდა განადგურებულიყო.

1960 წელს ხოვლე გორაზე, მე-5 ფენის გათხრების დროს, აღმოჩნდა საკულტო დანიშნულების საინტერესო ნაგებობა, რომელსაც იქ აღმოჩენილი ვერძის თავების ქანდაკებების გამო „ვერძისთავებიან“ ოთახს უწოდებენ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ხოვლეს არქეოლოგიური გათხრების მარტო მოკლე ანგარიშებია დასტამბული[138]. ამიტომ აქ დადასტურებულ მეტად საინტერესო კომპლექსზე მხოლოდ ძუნწი ცნობების მოტანა შეგვიძლია. „ვერძისთავებიანი“ ოთახი ნაგებია ხის ძელებით და შელესილია თიხით. ოთახის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მოწყობილი იყო პურის საცხობი ღუმელი, სავსებით ანალოგიური ყათნალისხევის III ნაგებობაში დადასტურებული ღუმელისა[139]. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა თიხით ნაგები საკურთხეველი, რომლის შუაში ჩადგმული იყო თიხის პურჭელი, ამ საკურთხევლის მახლობლადაა აღმოჩენილი ვერძის თავის ქანდაკებები, რომლებიც, ალბათ, საკურთხეველს ამკობდა. ოთახში დამოწმებულია აგრეთვე თიხის პატარა ციცხვი, ადამიანთა მცირე ქანდაკებები, რკინის ასტამი და დანა, თიხის რკალური ნივთი და სხვა.

მეხუთე ფენაშივე გაითხარა ოროთახიანი შენობა, რომელიც ნაგები იყო ფლეთილი ქვებით, ტალახის ხსნარზე და შელესილია ბათქაშით. შენობის ერთ-ერთ ოთახში აღმოჩნდა კუთხეში მოწყობილი ღუმელი, რომლის მახლობლად, იატაკზე დაძერწილი იყო მზის სქემატური გამოსახულება. ოთახების გამყოფ ტიხარზე შეიმჩნეოდა ბათქაშზე გამოყვანილი რელიეფის ნაშთები. შენობის მეორე ოთახში აღმოჩნდა კედლის გასწვრივ მოწყობილი ექვსი ორმო. ამ ოთახის ქვეშ გაიწმინდა VI ფენა, რომელიც შეიცავდა ვერძის თავის ქანდაკებებს.

მოტანილი საკულტო კომპლექსები მეტ-ნაკლებ წარმოდგენას გვიქმნიან ჩვენში ნაყოფიერების კულტის განვითარებაზე თითქმის ათასი წლის მანძილზე (II ათასწლეულის მეორე ნახევარი — I ათასწლეულის პირველი ნახევარი). ზემოაღნიშნული საკულტო ძეგლები რომ ნაყოფიერების კულტის შემცველია, ამას ერთხმად აღნიშნავენ ძეგლების გამთხრელნი. არ შეიძლება ამ მოსაზრებას არ დაეთანხმო, მაგრამ, ვფიქრობ, სადაოა ამ ძეგლებზე დაცული ზოგიერთი ნივთისა და მოვლენის მათ მიერ მოცემული ინტერპრეტაცია. არ არის სწორად წარმოდგენილი თვით ნაყოფიერების კულტის ხასიათი. ამიტომ მათ მოსაზრებებს შედარებით სრულად მოვიტან.

დ. ხახუტაიშვილი ფიქრობს, რომ ყათნალისხევის I ნაგებობაში აღმოჩენილი ჰორელიეფი ღვთაების, კერძოდ, ქალღმერთის გამოსახულებაა. ბორცვზე აღმოჩენილი მთელი მასალა „მზის კულტის საკმაოდ განვითარებულ საფეხურს წარმოადგენს და საშუალებას გვაძლევს დავუკვირდეთ ამ კულტის მატერიალურ გამოვლინებებს, ატრიბუტებს, ფუნქციათა კონცენტრაციას, ხასიათს და ა. შ.“[140] იხილავს რა I სათავსოში აღმოჩენილ ნივთებს, რომლებიც

---

[138] ძეგლის აღწერილობა მომაქვს: რ. აბრამიშვილი, დ. მუსხელიშვილი, გ. ციციშვილი. ხოვლეგორაზე 1960 წლის მუშაობის შედეგები. საქართველოში 1960 წ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები (მოხსენებათა მოკლე შინაარსი).

[139] დ. ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 26.

[140] იქვე. გვ. 19—20.

მზის კულტის მატერიალურ გამოვლინებად მიაჩნია, დ. ხახუტაიშვილი დაასკვნის: „ამგვარად, ყველა ნიშნის მიხედვით, I სათავსო საწესო ნაგებობაა, რომელიც „დიდი დედა ნანას“ (მზექალი, ბარბალე) სამლოცველო უნდა იყოს“[141]. შემდეგი II ნაგებობაც „საწესო კომპლექსის ნაწილია და დისკოსებრი საგნებით ისევ „დიდი დედა ნანას“ (მზექალი, ბარბალე) კულტთან კავშირს ამჟღავნებს“[142]. სვანეთის ეთნოგრაფიული პარალელებით ცდილობს დ. ხახუტაიშვილი მოზვრის თუ ხარისთავებიანი საკურთხევლის სემანტიკის დადგენას. იგი წერს: „ცხადია, მოზვრის თავის თიხის მოდელით შემკული საკურთხეველი, საერთოდ, ხარის კულტის სფეროში შემავალ ძეგლად უნდა წარმოვიდგინოთ, მაგრამ ისეთ გამოვლინებად, როცა ხარი მხვნელის კულტის გვერდით სწამდათ მოზვრის (მწარმოებლის) ძალა და რიტუალშიც სათანადო ადგილს უჩენდნენ მას. სვანების წარმოდგენით, მზის ღვთაებისადმი შეწირული მოზვრების (ბუღების) ყოლაზე იყო დამოკიდებული პირუტყვის გამრავლება, წველადობის ზრდა და მეურნეობის წარმატება. ასე უნდა გავიგოთ, ჩვენი აზრით, III ნაგებობაში დადასტურებული მოზვრის თავის მოდელებით შემკული საკურთხევლის ხასიათი... ამრიგად, III ნაგებობამ მოგვცა უაღრესად საყურადღებო მასალები, რომლებიც ისევ და ისევ „დიდი დედა ნანას“ კულტს უკავშირდებიან... ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხარი ასრულებდა ღვთაების სიმბოლოს როლს და მასთან იყო დაკავშირებული. „ხარი მხვნელის“ კულტს ამ გზით მზის კულტის სამყაროში შევყავართ, რომელიც ქართველ ტომებში „დიდი დედა ნანას“ (მზექალი, ბარბარე) სახით იყო წარმოდგენილი“[143].

ვფიქრობ, ამონაწერები საკმარისია. დ. ხახუტაიშვილი ყველგან და ყველაფერში „დიდი დედა ნანას“, მზის კულტს ხედავს. მათ შორის ხარის გამოსახულებაშიც. ჩვენ „ხარის კულტის“ შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი. მას კიდევ მივუბრუნდებით. აქ კი აღვნიშნავ, რომ ყათნალისხევის სამლოცველო კომპლექსში ყველაზე რელიეფურად სწორედ ეს კულტი ჩანს. სხვა ყველა დამატებითი ელემენტების იერს ატარებს და მისადმია დამორჩილებული.

„ხარის კულტია“ განმსაზღვრელი ცხინვალის ნაცარგორის საწესო ნაგებობებშიც. ხარის სტილიზებულ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს, კერძოდ, რქებიანი საკურთხევლები[144], ამიტომ არის, რომ გ. გობეჯიშვილს ამ საკურთხევლების პარალელები უმეტესად კრეტა-მიკენის კულტურულ სამყაროდან მოაქვს. ცდილობს რა დაამტკიცოს ჩვენში ორმაგი ცულის კულტის არსებობის ფაქტი[145]. საინტერესოა, რომ III ფენაში აღმოჩენილი ანთროპომორფული ფიგურებიდან ერთი მამაკაცია, მეორეს არა აქვს სქესის აღმნიშვნელი ნიშნები. მეორე ფენის ქანდაკება კი ქალია. ეს ფაქტი, გ. გობეჯიშვილის აზრით, იმას ნიშნავს, რომ ნაცარგორის „III ფენა ეკუთვნის ეპოქას, როდესაც არც კია სავარაუდებელი ქალღმერთების პრიმატული როლი პანთეონში. მეორე და მესამე ფენისკენ გარდამავალ პერიოდში ისეთ სამიწათმოქმედო რაიონში, როგორიც შიდა ქართლია, ჩანს, საგრძნობლად შესუსტე-

---

[141] დ. ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 23.

[142] იქვე. გვ. 25.

[143] იქვე. გვ. 25—35.

[144] გ. გობეჯიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 261.

ბულია მატრიარქალური გადმონაშთები, რის გამოც ნაყოფიერების მამალმერთები რამდენადმე დაწინაურებულან"[146].

ხოვლეგორის სამლოცველო კომპლექსის შესახებ მეტად ცოტა რამ ვიცით რომ აქ არსებული კულტის ბუნება და ხასიათი განვსაზღვროთ. მაინც შეიძლება თამამად ითქვას, რომ აქაც აგრარულ კულტს სცემდნენ თაყვანს (კევრის კოხები, კაჟის ნამგლის ჩასართები, ხელსაფქვავები)[147]. დ. ხახუტაიშვილის აზრით, ხოვლე გორაზე დამოწმებულ კულტს მაინც მესაქონლე ტომების იდეოლოგია უნდა განსაზღვრავდეს, რადგან აქ ვერძისა და ცხენისთავებიანი საკურთხევლები დასტურდება. „ხარის კულტი დამახასიათებელი ჩანს იმ რაიონებისათვის, სადაც მოხვნითი მიწათმოქმედება მეურნეობის წამყვანი დარგია. იმ რაიონებში კი, სადაც მეურნეობის წამყვანი დარგი მესაქონლეობაა (თუნდაც მოხვნითი მიწათმოქმედებაც იყოს იქ წარმოდგენილი) აგრარული კულტის გვერდით ცხვრისა და ცხენის კულტი ჩანს გავრცელებული"[148]. ვფიქრობ, ასეთი დახარისხების (ხარი—აგრარული კულტი, ცხვარი, ცხენი—მესაქონლეების კულტი). საფუძველი არა გვაქვს. ცხვარი რიტუალში უძველესი ხანიდან მონაწილეობს. იგი, როგორც სამსხვერპლო ცხოველი, დამოწმებულია ადრესამიწათმოქმედო კულტურებში, ე. ი. მაშინ, როდესაც სოლარული კულტის განვითარება თავის მწვერვალს აღწევს. ცხვრის რიტუალში დადასტურება სულაც არ გამოდგება ამა თუ იმ ტომის მეურნეობის ხასიათისა თუ იდეოლოგიის განმსაზღვრელად. ასევე ხარის კულტი თანაბრად დამახასიათებელია როგორც მიწათმოქმედ ბარელებისათვის, ასევე მესაქონლე მთიელებისთვის, მაგრამ ასეთ ზონალურ მეურნეობას ბრინჯაოს ხანაში ვერ ვამოწმებთ.

ყათლანის ხევის, ნაცარგორისა და ხოვლეგორის საწესო კომპლექსები ისე გვანან ერთმანეთს,—იქნება ეს საამშენებლო ტექნიკა, ღუმელები, საკურთხევლები, ინვენტარი თუ სხვა, — რომ ვფიქრობთ, ისინი ერთი სამეურნეო დონისა და ხასიათის თემებს თუ ტომებს უნდა ეკუთვნოდეს. ამ სამლოცველოებში, ალბათ, ბუნებითა და ხასიათით მსგავს ღმერთებს სცემდნენ თაყვანს, თუ რა ღმერთს, ამას, უპირველეს რიგში, სამლოცველო კომპლექსის ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების დადგენა გაარკვევს.

საკულტო ნაგებობები კავკასიაში უკვე ენეოლითიდან არის დადასტურებული. ფიქრობენ, მაგ., რომ იმირის გორის IX შენობა, რომლის გადახურვის კონსტრუქცია განსხვავებულია სხვა შენობებისაგან, საკულტო ნაგებობაა[149]. შეიძლება დავუშვათ, რომ საკულტოა ხრამის „დიდი გორის" ის შენობა, რომლის კერაშიც ქალის თიხის ფიგურებია დადასტურებული და სხვა. საკულტო ძეგლებს შეიცავენ ადრეული ბრინჯაოს ნამოსახლარები. არაფერს ვამბობ ხიზანაანთ გორასა, დიღომსა და კიკეთზე, რომლებიც შეიძლება საკულტო მოედნებს წარმოადგენდნენ. საკულტო შენობები დამოწმებულია ქვაცხელებზე, ამირანის გორაზე, შენგავითზე და სხვა. ამათგან, რომ საწესოა, ამისი დაბეჯითებით მტკიცება შეიძლება მხოლოდ ქვაცხელების C_1 ჰორიზონ-

---

145 გ. გობეჯიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 265.

146 იქვე. გვ. 264.

147 დ. ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 33.

148 იქვე.

149 А. И. Джавахишвили. დასახ. ნაშრ. გვ. 66.

ტის წრიული შენობის მიმართ. სხვა ძეგლებზე საკულტო დანიშნულების ნაგებობის არსებობას პირობით თუ დავუშვებთ. ქვაცხელას წრიული ნაგებობა საკმაოდ კარგად არის შემონახული. გადარჩენილია მისი შიდა მოწყობილობა, ისე რომ, შეიძლება აქ აღვლენილი კულტის ბუნებასა და ხასიათზე მსჯელობა[150].

ქვაცხელების შენობა № 1 მდებარეობს ნამოსახლარის ჩრდილოეთ ნაწილში. იგი წარმოადგენს ერთოთახიან ოთხკუთხა, ოღონდ ძლიერ დამრგვალებულ კუთხეებიან, სარ-ლასტზე თიხით მოლესილ ნაგებობას, ორიენტირებულს ფასადით სამხრეთ-დასავლეთისკენ. კედლის სიმაღლე დაახლოებით 2 მ უნდა ყოფილიყო. ოთახის ცენტრში, იატაკში ჩალესილი იყო დიდი ზომის ოთხშვერილიანი თიხის კერა, ორიენტირებული შესასვლელისკენ. კერა სანახევროდ ამოვსებული იყო ნაცრითა და ცხოველის დამწვარი ძვლების ნატეხებით. შიგ იდო ორი ზოომორფული სადგარი. კერის უკან, 0,5 მ დაშორებით იატაკში ამოღებული იყო დედაბოძის ორმო. შენობის უკანა ნაწილში, ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლის გასწვრივ, იატაკზე მოწყობილია 5 სმ სიმაღლისა და 80 სმ სიგანის შემაღლება. შემაღლებაზე შერჩენილი იყო გაკრიალებული ზედაპირი. შემაღლების ნაპირსა და მის გასწვრივ, კედლის ძირში, გავლებულია ფართო წითელი ზოლი. მრავალრიცხოვანი იარაღ-ჭურჭელი ჯგუფ-ჯგუფად საგანგებოდ ჩანდა დალაგებული. შემაღლებაზე 15—20 სმ დაშორებით განლაგებული იყო წელში გამოყვანილი 10 სარიტუალო სადგარი მსგავსი ხიზანაანთ გორის მე-9 ოთახის წელში გამოყვანილი ჭურჭლისა.

თითოეულ მათგანთან ელაგა სხვადასხვა ჭურჭელი და იარაღი. შემაღლების ბოლოში პირქვე დამხობილი იყო პირფართე, გრაფიკული სახით შემკული სასმისი, დამტვრეული ხუფი და ქუსლიანი ორყურა ჭურჭელი, რომლის მახლობლად შემაღლების მოლესილობაზე აღბეჭდილი იყო თავთავი. შემაღლების ბოლოებთან იატაკზე, კერისა და ცენტრალური სვეტის მარჯვნივ დამოწმებულია მრავალნაირი ჭურჭლის დიდი გროვა და ხელსაფქვავები, ხოლო მარცხნივ — ხბოს ჩონჩხი და ჭურჭელი. ხბოს მენჯის ძვალთან მიდებული ჰქონდა სპილენძის პატარა ოთხწახნაგა, ყუნწწაწვეტილი ისრისპირი. ჩონჩხის ფეხებს შორის იდგა შავლეგა, ღრმა, ცალყურა ბადია, იქვე გვერდზე იწვა სამყურა კარგად გაპრიალებული ქილა, ჭურჭლის პირზე სქემატურად ამოკაწრული ირმით. ცენტრალური სვეტის ძირში ჩაპირქვავებული იყო ორი პატარა სასმისი და სამფეხა, გადასატანი კერის ძირი, აქვე აღმოჩნდა ძვლის მოზრდილი ისრისპირი, სვეტის ორმოში ჩაყოლებული იყო დისკოსებური სარქველი ირმის რელიეფური გამოსახულებით. შემაღლებაზე, მის აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკზე ეგდო თიხისგან გამოძერწილი ადამიანის პატარა ფიგურა და თიხისავე ცხვრის პატარა ქანდაკება. ფასადის წვრილი კენჭით მოკირწყლულ მოედანზე, შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან იდო ირმის ორტოტა რქა, მსხვილფეხა ცხოველის ფალანგები და მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტები. ამავე მოედანზე, რომელიც გრძელდებოდა სამხრეთიდან დასავლეთით, შეინიშნებოდა ცეცხლის დანთების კვალი.

ქვაცხელას № 1 შენობა საერთო იერით ჩამოგავს ქვაცხელების სხვა და ხიზანაანთ გორის შენობებს, მაგრამ არის ზოგიერთი სხვაობაც. ეს შენობა გან-

---

[150] აღწერილობა მომაქვს: ლ. ღ ლ ო ნ ტ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 38—89.

ცალკევებითა დგას და არ არის ჩართული არც ერთ უბანში. განსაკუთრებით მდიდრულია მისი მოწყობილობა. სადგრების სიმრავლე, მრავალფეროვნება, გადასატანი კერები, ირმის გამოსახულებანი, შეწირული ხბო, გარეთ ირმის რქა და ცეცხლის კვალი — ამ შენობას აშკარა საკულტო იერს აძლევს. ლ. ღლონტი ფიქრობს, რომ, როგორც № 1 შენობა, ასევე ქვაცხელების, ხიზანაანთ გორისა და გუდაბერტყის ნამოსახლარები შეიძლება გადამწვარი იყოს რომელიმე დღესასწაულის დროს, რომ ეს დღესასწაული, შესაძლებელია, ნაყოფიერების ღვთაების — კვირიას დღესასწაული იყო, რადგან ადრეული ბრინჯაოს ნამოსახლარებზე და განსაკუთრებით ქვაცხელების № 1 შენობაში ნაყოფიერების კულტსა და აქტს განსაკუთრებით აქვს ხაზი გასმული. შეიძლება დაახლოებით აღვადგინოთ, როგორი იერის იყო ეს დღესასწაული. თუ ჩემი რეკონსტრუქცია კვირიას ბუნებისა სწორია და კვირია კერაა, რომელშიაც ცენტრალური ადგილი ცეცხლს უკავია, როგორც ნაყოფიერების აქტის შედეგს, მაშინ ეს დღესასწაული ცეცხლის დღეობად უნდა წარმოვიდგინოთ. საქართველოს ეთნოგრაფიაში არაერთი ასეთი დღეობაა დადასტურებული: ჭიაკოკონობა, კუდიანწუხრა, ლიქურეში, მარიამწმინდობა და სხვა[151]. საინტერესოა, რომ ზოგიერთი დღეობა ბარბოლის, მზის კულტთან არის დაკავშირებული, რაც სავსებით ბუნებრივი ჩანს, რადგან როგორც კვირია ცეცხლი, ასევე ბარბალე ნაყოფიერების ღვთაებაა. ცეცხლი, ამავე დროს, მზის იმიტაციასაც, მის ხატსაც წარმოადგენს. ლ. ღლონტს კვირიას დღესასწაული ასე აქვს წარმოდგენილი: „დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ რიტუალის შესრულების დროს ცეცხლს, რომელიც ენთო, როგორც ჩანს, არა მარტო ცენტრალურ კერაში, არამედ ბაქანზე ჩამომწკრივებულ გადასატან კერებში და ცილინდრულ სადგრებში. დაახლოებით ასეთივე ფუნქცია უნდა ჰქონოდა სარკმლიან სასაკმევლებს"[152]. დავამატებ, რომ ცეცხლი, ალბათ, ენთო ყოველი სახლის ცენტრალურ კერასა და № 1 შენობის წინ მოწყობილ მოედანზე, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კვირია საოჯახო, საგვარეულო ღვთაებაა. ადრეული ბრინჯაოს ხანისათვის რომ დღესასწაულისადმი მიძღვნილი რიტუალის დიდი ნაწილი ოჯახებში იმართებოდა, ამას თვით № 1 შენობისა და მის წინ გამართული მოედნის ფართობიც ადასტურებს. ლ. ღლონტის გაანგარიშებით, ქვაცხელების ნამოსახლარზე დაახლოებით 300 კაცს უნდა ეცხოვრა[153]. თუ დავუშვებთ, რომ დღეობაში მარტო მამაკაცები და ისიც მოზრდილები იღებდნენ მონაწილეობას, მაშინ მათი რიცხვი 80—100 მაინც უნდა ყოფილიყო. ამდენი კი საღრეობოდ, რაც რიტუალის აუცილებელი ნაწილია, ვერც შენობაში და ვერც მის გარეთ ვერ დაეტეოდა. რიტუალის ძირითადი ნაწილი, ალბათ, ოჯახებში და ნამოსახლარის გარეთ სრულდებოდა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა გადასატანი კერები, რომლებსაც იგივე დანიშნულება უნდა ჰქონოდათ, როგორც ქართველ მთიელთა რელიგიურ წარმოდგენებში ხატის დროშებს. სამლოცველოს ან სახლის გარეთ ყოველგვარ საკულტო რიტუალში იგი სტაციონარულ კერას ცვლის, ე. ი. კვირიას გადასატანი ხატია.

ქვაცხელის შენობა № 1 ისეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, როგო-

---

[151] ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, გვ. 80—90.

[152] ლ. ღლონტი. დასახ. ნაშრ. გვ. 174.

[153] იქვე. გვ. 180.

რიც მთიელთა სალოცავებში საკულტო ნაგებობებს ჰქონდათ. აქ ინახებოდა კულტმსახურებასთან დაკავშირებული და მისადმი შეწირული ნივთები: გადასატანი კერები, სადგრები, ჭურჭელი და სხვა. აქვე, როგორც ჩანს, კულტმსახურებისთვის იკრიბება გვარის უხუცესობა, ბელადები, კულტმსახურები; აქვე სრულდებოდა, ალბათ, ნაყოფიერებასთან თუ სხვა მოვლენებთან დაკავშირებული მაგიური მოქმედებები. აქ ინიციაციას გადიოდნენ ჭაბუკები, ეზიარებოდნენ რა რელიგიისა და კაცობის ეზოტერულ სიბრძნეს.

განსაკუთრებით აქცენტირებულია C_1 ჰორიზონტის № 1 შენობაში ირმის მნიშვნელობა კულტმსახურებაში: ჭურჭლებზე ირმის გამოსახულება, ირმის რქა შენობის წინ, რომელიც, ალბათ, შენობის კედელზე იყო დამაგრებული, როგორც ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლური ნიშანი. ლ. ღლონტი თვლის, რომ ხბო (უნდა ვიფიქროთ მოზვერი) ირმის შეწირვის იმიტაციას წარმოადგენს. ეს სავსებით დასაშვებია, რადგან ირემი ნაყოფიერების კულტში ხშირად ხარს ენაცვლება (გავიხსენოთ ქვაცხელების № 2 ქალის სამარხში აღმოჩენილ დიადემაზე გამოსახული იტიფალური ხარირმები). როგორც ზემოთ აღვნიშნე, ირმის ღვთიური ძალა რქებშია, რომელიც მიწის სახნავად გამოიყენება, მიწის მოხვნა კი განაყოფიერების აქტია.

ახლა ისევ ყათნალისხევისა და ნაცარგორის სამლოცველოთა შესახებ. სამწუხაროდ, გარდამავალი საფეხური ქვაცხელის C_1 ჰორიზონტის №1 შენობასა და ამ ძეგლებს შორის არა გვაქვს. ქრონოლოგიურად მათ შორის ერთგვარად თავსდება მელი-ღელე I, მაგრამ იგი იმდენად განსხვავებული ხასიათის ძეგლია, რომ მისი საშუალებით ნაცარგორისა და ქვაცხელას დაკავშირება გაჭირდება. იმ დიდმა სოციალ-ეკონომიურმა ძვრებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გვიანბრინჯაოს ხანაში, განსაზღვრეს საკულტო ძეგლების ხასიათიც. ნაცარგორა და ყათნალისხევი შეიძლება ხევის ან ტომის საკულტო ცენტრები იყო. საწესო კომპლექსი აქ რამდენიმე ნაგებობისაგან შედგება და ყოველ ნაგებობას, როგორც ჩანს, რიტუალში განსაკუთრებული ადგილი აქვს მიჩენილი. ამ მხრივ ეს ძეგლები უფრო რთული და განვითარებული ჩანს, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამლოცველო ხატები. ახლა ძნელია იმ რთული საწესო რიტუალის წარმოდგენა, მაგრამ ფაქტია, რომ მასში დიდი ადგილი წარმოებით მაგიას ეჭირა ნაყოფიერების გასაზრდელად.

ხოვლეს, ნაცარგორასა და ყათნალისხევის სამლოცველოები ამ დროს ცალკე სამეურნეო ორგანიზაცია ჩანს. თითქმის ყოველ ძეგლზეა დამოწმებული პურის საცხობი ღუმელები და ბეღლები. ეთნოგრაფიული პარალელებით სამლოცველოებში უნდა მომხდარიყო წმინდა სასმელის—ლუდის მოხარშვა ან ღვინის დაწურვა-შენახვა. ვაზისა და ღვინის როლი კულტში განსაკუთრებულია და მას ცალკე განვიხილავთ. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იგი ჯერ კიდევ არ არის აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული. ყათნალისხევის სამლოცველოში მხოლოდ მისი სუსტი კვალია დადასტურებული. ასე თუ ისე, სამლოცველო საკმაოდ განვითარებული სამეურნეო უჯრედი უნდა ყოფილიყო. ამით იგი უკვე სათავეს უდებს ჩვენში დიდი სატაძრო მეურნეობის ჩამოყალიბებას.

ცეცხლი და კერა აღმოსავლეთ საქართველოს II ათასწლეულის დასასრულის საწესო ძეგლებზე დადასტურებულ კულტში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს. ეს ბუნებრივია, რადგან კერა და ცეცხლი ნაყოფიერების ღვთაების ხატია. მაგრამ სიმპტომატურია, რომ აღარ ვხვდებით გადასატან კერებსა თუ

საკვერცხლურებს. ხომ არ არის ეს ფაქტი იმის პირდაპირი მოწმობა, რომ იცვლება ღვთაების იკონოგრაფია? ყათნალისხევის IV ნაგებობაში აღმოჩენილი ფშატის კურკები და ღვინის წიპწები ამ საკითხს თითქოს დადებითად ჭრის. სავსებით სწორად, დ. ხახუტაიშვილი ფშატს ხატში სამლოცველოს ეზოში მდგარ სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხედ თვლის. სამწუხაროდ, გაურკვეველია კულტურულ ვაზს ეკუთვნის IV ნაგებობის წიპწები თუ ველურს. ასეა თუ ისე, ყათნალისხევის სამლოცველოს საწესო რიტუალში ვაზს გარკვეული ადგილი უჭირავს[154].

უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამლოცველოებს დროშებიც ექნებოდა, რომლებიც განასახიერებდნენ იმ ღვთაების ხატს, რომლის კულტიც იყო აღვლენილი ამ სამლოცველოში. მე ვფიქრობ, რომ ეს ღვთაება სატომო ან სათემო ღმერთია, რომლის საქმიც მიწათმოქმედია და, ამდენად, მას მკვეთრად გამოხატული აგრარული ხასიათი აქვს. ამიტომ არის, რომ ამ სამლოცველოებზე ნაყოფიერებასა და განაყოფიერებასთან დაკავშირებულ არაერთ ნივთს ვხვდებით, ესენია: პურჭლის გვერდიდან ნაკეთები დისკოები, ფალოიდური ნივთები, ქალის ქანდაკებები და სხვა. თუმც ქალის ქანდაკებები უფრო ადრეული ხანის ფენებშია დადასტურებული — მელიღელე I, ნაცარგორა (III ფენა).

ახლა გავარკვიოთ ღვთაების სქესი. როგორც აღვნიშნე, დ. ხახუტაიშვილი თვლის, რომ ყათნალისხევის სამლოცველო ქალღვთაებას ეკუთვნის. მე ვფიქრობ, რომ ყათნალისხევში მამრი ღვთაების კულტია. როდესაც ადრებრინჯაოს ხანის ნაყოფიერების კულტზე ვსაუბრობდით, აღვნიშნე, რომ ამ ღვთაების — კვირიას — კერის სახით შეიძლება როგორც კაცღვთაება, ისე ქალღვთაება იგულისხმებოდეს. იგი ორივეს მემკვიდრეა, მათი შემარიგებელი რგოლია. არა მგონია, მისი ბუნება შეცვლილიყო სატომო ღვთაების ჩამოყალიბებით და მისი ახალი ხატის, სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის, შემოსვლით. მაინც ყათნალისხევის სამლოცველოზე ისე, როგორც ნაცარგორაზე და ხოვლეგორაზე აქცენტირებულია არა ქალი, არამედ კაცი ღვთაების კულტი. ჯერ კიდევ სამტკიცებელია ყათნალისხევზე დამოწმებული ჰორელიეფი ქალია თუ მამაკაცი, დისკოსებური საგნები ერთნაირი წარმატებით შეიძლება განასახიერებდეს, როგორც მზეს (ქალს), ისე მთვარეს (მამაკაცს). სვასტიკა, როგორც ირ. სურგულაძემ გაარკვია, ასტრალური ნიშანია, მნათობთა მოძრაობას გამოხატავს და მაინცდამაინც მზის სიმბოლო არ არის. ნამგალი, რომლის ჩასართები თითქმის ყოველ ძეგლზეა დამოწმებული, მთვარის ემბლემაა, ხარის კულტი კი, რომელსაც ასე ხაზს უსვამენ გ. გობეჯიშვილი (ნაცარგორაზე) და დ. ხახუტაიშვილი (ყათნალისხევზე), სხვა არაფერია, თუ არა მთვარის კულტი, როგორც „მოზვერი მწარმოებელი", ისე „ხარი მხვნელი" (თუ ასეთი კულტი არსებობს), მთვარე მწარმოებლის სიმბოლოა, რადგან მიწის მოხვნა რელიგიურ წარმოდგენებში განაყოფიერების აქტია.

მე ვერ ვბედავ დაბეჯითებით მტკიცებას, თუ რას წარმოადგენს ხოვლეგორის სამლოცველო და იქ დამოწმებული ვერძის თავები, მაგრამ მაინც საფიქრებელია, რომ აქ სათემო ან ხევის ხატი არსებულიყო, ხოვლე საკმაოდ ძლიერი დასახელებაა და იგი თამამად შეიძლება ხევის ცენტრი ყოფილიყო. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვერძის თავები არ უნდა ცვლიდეს ხარის გამოსა-

---

154 დ. ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 35.

ხულებას მესაქონლეთა სამლოცველოებში და, საერთოდ, არაფრიდან არ ჩანან ხოვლელები მესაქონლენი. ხოვლეს სამლოცველო კომპლექსში მაინც დასტურდება ხარის კულტი. მხედველობაში მაქვს მაღალი, სამყელიანი ჰურჰელი, რომლის ყურები ხარის სქემატური გამოსახულება უნდა იყოს. ჰურჰელი შემკულია ამოკაწრული სპირალური ორნამენტით. სპირალით კი, როგორც ირ. სურგულაძე აღნიშნავს მის არაერთგზის დამოწმებულ ნაშრომში, მთვარეს გადმოსცემდნენ. საინტერესოა, რომ ვერძის თავები, ამავე ავტორის აზრით, თავისი დახვეული რქებით სპირალს გამოხატავს. ე. ი. ხოვლეს სამლოცველოს საკურთხევლები, ისე როგორც ყათნალისხევისა და ნაცარგორის, მთვარის ემბლემით იყო შემკული, ხოვლეგორის სამლოცველოშიც მთვარეს სცემდნენ თაყვანს. ვიმეორებ, რომ ეს სულაც არ ნიშნავს რომელიმე ერთი ღმერთის პრიორიტეტს. როგორც ზემოთ აღვნიშნავდი, ნაყოფიერების ღვთაებათა ტრეადის ჩამოყალიბების შემდეგ თითოეული მათგანის კულტი დანარჩენის კულტსაც გულისხმობს. რა თქმა უნდა, ეს არ არის ქრისტიანული ერთარსება სამება, მაგრამ შიდა ქართლის საწესო ძეგლებზე დადასტურებული კულტიც სამპიროვანი უნდა ყოფილიყო. იქნებ ღვთაებათა სამების, მისი სამპიროვნების გადმოცემა იყოს ნაცარგორის და ხოვლეგორის სამყელა და სამტუჩა ჰურჰლები.

ამგვარად, შიდა ქართლის ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის საწესო კომპლექსები წარმოადგენენ ნაყოფიერების ღვთაებათა ხატებს. ისინი ხევის ან ტომის საკულტო ცენტრები უნდა ყოფილიყვნენ. ნაყოფიერების ღვთაება უკვე სატომო ღმერთის რანგშია, თუმც ბუნება და ფუნქცია ისეთივე აქვს, როგორიც ადრებრინჯაოს ხანაში ჰქონდა. იცვლება მისი იკონოგრაფია, კერას საკულტო ცენტრებში სიცოცხლის და ნაყოფიერების ხე და დროშა ცვლის.

მაგრამ ფაქტია, რომ ქალური საწყისი ნაყოფიერების კულტში ძვ. წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან ძლიერდება. მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარებზე დამოწმებული კულტის განხილვის დროს აღვნიშნავდი, რომ ადრეული ბრინჯაოს ხანიდან ქალის ქანდაკება აღარა გვხვდება და მხოლოდ მამაკაცის თიხის ფიგურებია დადასტურებული. ხშირად ეს ქანდაკებები იტიფალურნი არიან, რითაც ხაზგასმულია მამაკაცის როლი ნაყოფიერებაში. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ნამოსახლარ თუ საკულტო ძეგლებზე კვლავ იჩენს თავს ქალის მცირე ქანდაკებანი (მელი-ღელე I, ნაცარგორა), ნაყოფიერების კულტში ქალის როლის ხაზგასმა თავისთავად ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ ქალური საწყისი, ისე როგორც მამაკაცური, სიმბოლოებით უნდა იყოს გადმოცემული (ფრინველი, ლომი, კვირისტავი, ბორბალი და სხვა). ძეგლებზე კი, როგორც აღვნიშნე, ქალის ქანდაკებებია აშკარად გამოკვეთილი, თუმც არა აქცენტირებული სასქესო ნიშნებით[15]. ე. ი. იცვლება ქალღმერთის იკონოგრაფია, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ეს ქანდაკებები „დიდი დედა ნანას“ გამოსახულება კი არ არის, რომლის ფუნქციას ყოვლისმომცველი ნაყოფიერება წარმოადგენდა, არამედ ცალკეული დარგისა თუ ადგილის მფარველი ქალღვთაებებისა—დალი, ტყაში მაფა, მესეფი და სხვა, ან ხევსურეთის ხატებში დადასტურებული „ჯვრების დობილნისა“, რომლებიც თითქმის ყოვე-

---

[155] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. ტაბ. XIV. გ. გობეჯიშვილი. დასახ. ნაშრ. ტაბ. V.

ლი ჯვრის კარზეა დამოწმებული ზოო-თუ ანთროპომორფული სახით[156].

საინტერესოა ამ მხრივ ხახმატის ჯვარი, სადაც ორ ღვთისშვილს ლოცულობენ: გიორგი ნალვარმშვენიერს და სამძიმარს — ყელღილიანს. ძირითადი ხატი გიორგია, სამძიმარი კი „გიორგის „მოდე“, გაღვთისშვილებული ქაჯის ქალია[157]. როგორც თ. ოჩიაურს აქვს გამოკვლეული, სამძიმარის ფუნქცია ქალდაგ-მეენებისა და მათზე გამწყრალი ღვთისშვილების შერიგებაა მთელი ხევსურეთის მასშტაბით. იგივეა შვილიანობის და საერთოდ ნაყოფიერების მფარველი. გიორგი კი მებრძოლი ღვთაებაა, ქაჯეთში მეომარი[158].

ვფიქრობ, ანალოგიურ მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე მელი-ღელეს და მელაანის სამლოცველოებში. განსაკუთრებითაა აქცენტირებული ქალღვთაების როლი მელი-ღელე I-ში. „...არსებითია, რომ სამლოცველოს ტერიტორიაზე შეწირულ ნივთებს შორის პირველი ადგილი უკავია ბრინჯაოს ბეჭდებს, სარდიონის მძივებს და ქალის სხვა სამკაულს“[159].

კ. ფიცხელაური ფიქრობს, რომ მელი-ღელე I-ის მთავარი ღვთაება დიდი დედა, პირველ რიგში, წარმოდგენილია როგორც ნაყოფიერების ღვთაება და მჭიდროდ ჩანს დაკავშირებული მიწათმოქმედებასთან და უფრო მეტად მესაქონლეობასთან. ამაზე მიგვითითებს ცხვრის სკულპტურული გამოსახულებები თიხის ჭურჭლებზე, ცხვრის ნიღაბი ქალის ბრინჯაოს ქანდაკებაზე, ცხვრის დამწვარი ძვლის შერევა ნაცარში მიწაზე ინკრუსტირებული „წმინდა გამოსახულებების“ შესაქმნელად, ცხვრის კოჭების გროვები და სხვა[160].

მელი-ღელე I სამლოცველოს ღვთაების მიწათმოქმედებასთან კავშირის მანიშნებელი უნდა იყოს აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ნამგალი, კაჟის ნამგლის ჩასართები, ე. წ. „მარნის“ ფრაგმენტები, რომლის მსგავსი ჭურჭელი საქართველოს ეთნოგრაფიაში მხოლოდ ღვინის სასმელია, და სხვა.

მელი-ღელე I-ზე ჩანს აგრეთვე ნადირობის მფარველი ღვთაების კულტიც—ნადირობის სცენებისა და გარეული ცხოველების გამოსახვა როგორც თიხის ჭურჭლებზე, ასევე სამლოცველოს ცენტრალურ ნაწილში, მიწაზე და ბრინჯაოს ცალკეული ქანდაკებების სახით. ნადირობის კულტზე მიგვითითებს აგრეთვე ობსიდიანის ათასამდე ისრისპირი, რომლებიც ამ სამლოცველოში შეუწირავთ[164].

განსხვავებით მელი-ღელე I-გან კ. ფიცხელაურს მელი-ღელე II და მელაანის სამლოცველოს მთავარ ღვთაებად ომის ღმერთი მიაჩნია. „ამ პერიოდში—წერს კ. ფიცხელაური—ომი ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა ხდება. სხვანაირად წარმოუდგენელიც იქნებოდა, რადგან, როგორც ცნობილია, წინა აზიაში ამ დროს დიდი საომარი შეხლა-შემოხლის პერიოდია. თავისთავად ცხადია, აღნიშნულ ხანაში მელაანის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები მშვიდობიან მოსახლეობად რომ ვიგულისხმოთ კიდეც, მათთვის შეიარაღება იმისთვის მაინც იყო აუცილებელი, რომ აგრესიული მეზობლებისგან თავი დაე-

---

[156] თ. ო ჩ ი ა უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 41.

[157] ი ქ ვ ე.

[158] თ. ო ჩ ი ა უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 42—63.

[159] კ. ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი. დასახ. ნაშრ. გვ. 114.

[160] ი ქ ვ ე. გვ. 115.

[161] ი ქ ვ ე.

ცვათ. სამხრეთიდან ურარტელები და მიდიელები, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სკვითები და აგრეთვე უშუალოდ მომიჯნავე ტომები ქმნიდნენ შეუნელებელ საფრთხეს... ბუნებრივია, რომ დიდი შიშიანობის პერიოდში, როდესაც სამლოცველოზე საომარი იარაღი სჭარბობს ყველა სხვა საყოფაცხოვრებო ნივთს, მთავარი ღვთაება ომის ღმერთი უნდა ყოფილიყო, მსგავსად ისეთი ძლიერი თანადროული სახელმწიფოსი, როგორიც ურარტუს სამეფო იყო...

აღნიშნული ტაძარი მაინცდამაინც ომის ღმერთის საპატივცემულო ადგილად მიგვაჩნია, რადგან ძირითადად შეწირულია იმავე დანიშნულების საგნები, რაც მუსასირის ტაძარში აღმოჩნდა“[162].

კ. ფირცხელაური, ვფიქრობ, სწორად საზღვრავს სამლოცველოების მთავარ ღვთაებათა ბუნებას. მელი-ღელე I-ში მართლაც ნაყოფიერებას უფრო აქვს ხაზი გასმული, მელი-ღელე II-ში და მელაანში კი, ალბათ, მეომარ ღვთაებას ლოცულობდნენ. მაგრამ ვერ გავიზიარებთ კ. ფიცხელაურის ზოგიერთ მოსაზრებას. კერძოდ, არ უნდა იყოს მართალი, რომ მელი-ღელე I-ის მთავარი ღვთაება „დიდი დედა ნანაა“. საერთოდ ნანას კულტისადმი მიძღვნილი სამლოცველო საქართველოს ეთნოგრაფიაში მე არ ვიცი. იგი მეტად ძველი, ზოგადი და აბსტრაქტული კულტია, რომ რომელიმე ტომის, გვარის ან თემის ღვთაებად მოგვევლინოს. თუ მაინცდამაინც მელი-ღელე I-ში ქალღმერთის კულტს ვივარაუდებთ, მაშინ ის უფრო ბარბალე უნდა იყოს, ვიდრე ნანა, თუმც ამ ორი კულტის ბუნება და ასტრალური შინაარსი ერთია. სწორედ ბარბალეა ქართველ ტომებში მესაქონლეობის მფარველი. სწორია კ. ფიცხელაური, როდესაც აღნიშნავს, რომ მელი-ღელეს სამლოცველოს ღვთაების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას მესაქონლეობის ნაყოფიერება და მფარველობა შეადგენდა, მაგრამ ამის საბუთად არ გამოდგება ცხვრის ნიღაბი, ქანდაკებები, ჩლიქები და დამწვარი ძვლები. ცხვარი რიტუალში უძველესი დროიდან მონაწილეობს. მისი თიხის ქანდაკებები, კოჭები და წმინდა ნაცარში არეული დამწვარი ძვლები უკვე დადასტურებულია ჩვენში ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანიდან. ცხვარი ეწირება ყოველ ღვთაებას, მფარველობს იგი მესაქონლეობას თუ მიწათმოქმედებას. საერთოდ. სამლოცველოებში დადასტურებული, მესაქონლეობასთან თუ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ნივთებით ვერ განვსაზღვრავთ იმ საზოგადოების მეურნეობის ხასიათს, რომელსაც ეს სამლოცველო ეკუთვნის. როგორი მიწათმოქმედიც უნდა იყოს ესა თუ ის თემი და რა ცოტა საქონელიც უნდა ჰყავდეს მას, ხატს მაინც შესწირავს ცხვარს და რა მესაქონლეც უნდა იყოს და რა გინდ უჭირდეს მიწათმოქმედების პროდუქტები, ხატობას კვერებს მაინც გამოაცხობს და ლუდს მოხარშავს. ცნობილია, რომ ქართველი მთიელების ხატები ბარში საკმაოდ ვრცელ ზვრებს ფლობდნენ და დღესასწაულზე ღვინო არ აკლდათ, მაგრამ მათ მევენახეებს ან თუნდაც მიწათმოქმედებს ვერ ვუწოდებთ, თუმც მიწათმოქმედება მთაში, თუ მის ბუნებრივ პირობებს გავითვალისწინებთ, საკმაოდ განვითარებულია.

თუ ჩვენ ვუშვებთ ვარაუდს, რომ მელი-ღელე I-ის ღვთაება უპირატესად მესაქონლეობის მფარველია, ეს იმიტომ, რომ მხედველობაში გვაქვს სამლოცველოს შემდგომი განვითარება, მისი ღვთაების ტრანსფორმაცია მეომარ ღმერთად. მაგრამ ამაზე ქვემოთ. ამჯერად კი ისევ ქალღვთაებას მივუბრუნ-

---

[162] კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 120.

დეთ. როგორც აღვნიშნე, მელი-ღელე I-ზე შეიძლება ბარბალეს ლოცულობდნენ, უფრო სარწმუნოა — სამძიმარის ტიპის ქალღვთაებას. შეწირულ ნივთებს შორის რამდენიმე მახვილის იმიტაციაა, რაც მოწმობაა იმისა, რომ აქ კაცღვთაების კულტიც უნდა არსებულიყო. თუმც, როგორც კ. ფიცხელაურიც აღნიშნავს, ზოგიერთი წინააზიური ნაყოფიერების ქალღმერთი ომის ღვთაებაცაა; მაგ., იშტარი. მაგრამ მეომარი ქალღმერთები კავკასიური სამყაროსათვის უცხოა, შეიძლება ამიტომ ვარაუდობს კ. ფიცხელაური, რომ მელი-ღელეს წარმართული პანთეონი „შეიძლება უფროს-უმცროსობის პრინციპზე იყო აგებული“[163].

თუ რამ გამოიწვია ქალღმერთის როლის ზრდა ნაყოფიერების კულტში, ძნელი სათქმელია. თავისთავად, თითქოს, აქ უცნაური არაფერია, რადგან ნაყოფიერების კულტი ყალიბდება როგორც „დიდი დედის“ კულტი და ქალი ნაყოფიერებაში შემდეგაც. როცა იგი კარგავს სოციალურ უპირატესობას, დიდ როლს თამაშობს რელიგიაში. ამისი მოწმობა ბარბარეს ღვთაებაა, რომელსაც საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ქართველი ტომების რელიგიურ წარმოდგენებში. მაგრამ მელი-ღელე II, ისევე როგორც ნაცარგორა, განიხილება სატომო-სათემო სამლოცველოდ, სადაც კაცღვთაებას ლოცულობენ. იქ კი, სადაც კაცია, ქალის როლი საკმაოდ შეზღუდული უნდა იყოს, მით უმეტეს, გვიან ბრინჯაოს ხანაში, როდესაც მეურნეობაში მესაქონლეობის ხვედრითი წონის ზრდამ და ხშირმა ომებმა მამაკაცის როლი განსაკუთრებით გაზარდა ოჯახსა და გვარში და, შესაბამისად, რელიგიაშიც. ამიტომ გვიანბრინჯაოს ხანაში ქალღვთაების კვლავ წინა პლანზე გამოსვლა ქართველი ტომების რელიგიურ წარმოდგენებში ნაყოფიერების კულტის შინაგანი განვითარების შედეგი არ უნდა იყოს. ვფიქრობ, ისევე როგორც ღვთაების ახალი ხატი—სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე — ეს კულტიც ჩვენში წინა აზიიდან შემოდის. სწორედ აქ იყო ყველაზე ძლიერი ნაყოფიერების ქალღვთაების კულტი — იშტარი, კიბელა[461] და სხვა. ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებისათვის ეს კულტი საკმაოდ სახეცვლილია. ეს ქალღმერთები აღარ არიან ყოველი სიცოცხლის მომნიჭებელი დედა ღვთაებანი. მათ კულტში ამ დროს განაყოფიერება უფროა აქცენტირებული, ვიდრე ნაყოფიერება, და ეს აქტი იმდენად ძლიერია, რომ ნაყოფიერების ქალღვთაებისათვის დამახასიათებელი ეროტიზმი სატაძრო პროსტიტუციაშია გადაზრდილი.

ეროტიზმი უკიდურესობამდეა განვითარებული ქართული ტომების რელიგიასა თუ მითოლოგიაში. იგივე სამძიმარი არა მარტო შუამავალია ხატსა და მეენეს შორის, არამედ ხორციელი სახით ეცხადება მეენებს და სექსუალურ ურთიერთობას ამყარებს მათთან. შემონახულია თქმულებები და ნაქა-

---

163 კ. ფიცხელაური. დასახ. ნაშრ. გვ. 114. კ. ფიცხელაური კატეგორიულად უარყოფს, რომ „ამ პერიოდში იორ-ალაზნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებს დახვეწილი, სრულიად განკერძოებული ერთი ღვთაების კულტი ჰქონდათ, ცხადია აქ სხვა ღვთაებებსაც სცემდნენ თაყვანს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გამოთიშული ომის ღვთაების კულტისაგან“. გვ. 120. ქართულ ეთნოგრაფიაში არ მოწმდება რამდენიმე კულტის შემცველი საკულტო ძეგლი. გამონაკლისი შეიძლება ხახმატის ჯვარი იყოს. აქაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ერთი ღვთაების ორი ბუნების გამოსახვასთან გვაქვს საქმე და არა ორ ღმერთთან.

164 ი. ჯავახიშვილი მსგავსებას პოულობს ქართულ კოპალესა და მცირე აზიურ კიბელას შორის. იხ. ქართველი ერის ისტორია. წ. I. 1952. გვ. 98.

დაგარნი, სადაც საკმაოდ ვრცელი სიაა დაცული სამძიმართან სექსუალურ ურთიერთობაში მყოფი ჯვარის ხელკაცებისა[165].

ქართულ მითოლოგიაში დაცულია საკმაოდ მრავალი რომანტიული, სასიყვარულო თავგადასავალი მონადირეებსა და ნადირთ პატრონ ქალღმერთებს შორის[166].

შეიძლება ამ ქალღმერთების კულტის შემოსვლამ გააძლიერა ჩვენში ირმის და ჯიხვის, როგორც ამ ღვთაებათა ზოომორფული სახის კულტიც, თუმც ირემს კავკასიელთა რელიგიურ წარმოდგენებში საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა. მისი კულტი, როგორც აღვნიშნე, შუაბრინჯაოს ხანიდან უფრო რელიეფურად იკვეთება. გვიან ბრინჯაოს ხანიდან კი იშვიათია საკულტო-სარიტუალო ძეგლი ან ნივთი, რომელზედაც ირმის გამოსახულება არ გვქონდეს. ირმის გამოსახულებები დადასტურებულია ყათნალისხევისა და მელი ღელე I-ის საწესო კომპლექსებში. კ. ფიცხელაური ამ გამოსახულებებსა და შეწირული ობსიდიანის ისრის წვერების იმიტაციებს უკავშირებს ნადირობის ღვთაების კულტს. ცნობილია, რომ ირემი იშტარის ერთ-ერთი ზოომორფული სახეა, ისარი და შუბი კი—მისი ემბლემები. ერთიც და მეორეც მას ნადირთა მფარველ ქალღმერთად გვიხატავენ. შესაძლებელია ყათნალისხევსა და მელიღელე I-ში, იშტარის ანალოგიური ქართველი ქალღვთაება დალის, ან „ტყაში მაფას“ კულტი ვივარაუდოთ. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქვაცხელის C_1 ჰორიზონტის № 1 ნაგებობაში ირემიც და ისრის წვერიც ნაყოფიერების ღვთაების კულტთან არის დაკავშირებული და ეს ღვთაება მამაკაცი—კერა, კვირიაა. საერთოდ, ჩვენში, მიუხედავად იმისა, რომ მითოლოგიით ირემი და მისნაირი (ჯიხვი, ნიამორი და სხვა) მხოლოდ ნადირთა მფარველი ქალღვთაების ზოომორფულ სახედ წარმოგვიდგებიან, არქეოლოგიურ მასალებზე ეს ცხოველები ნაყოფიერების კულტთან ჩანან დაკავშირებული. მხედველობაში მაქვს კოლხურ-ყობანური კულტურის ცულები, რომელთა გრაფიკულ დეკორში ირემს ცენტრალური ადგილი უჭირავს.

კოლხურ-ყობანური ცულების გრაფიკული დეკორი ბევრს გვაძლევს იმდროინდელი რელიგიური წარმოდგენების აღსადგენად. ირმების გარდა, ამ ცულებზე გამოსახულია ძაღლი, ცხენი, თევზი, გველი, ორ შემთხვევაში გამოსახულება ანთროპომორფულია. უფრო მდიდრადაა წარმოდგენილი გეომეტრიული სახეები: წერტილებით შევსებული წრეები, სხივიანი წრეები, რკალებით დაყოფილი წრეები ცენტრში წერტილებით, წრეში ჩახატული შვიდქიმიანი ვარსკვლავი; ფოთლისებურ ჩარჩოში ჩასმული ექვსფურცლიანი ვარდულები; ჯვრები, ერთმანეთში ჩასმული სამკუთხედები, სამკუთხედებად დაყოფილი კვადრატები, სვასტიკები, „მალტური“ ჯვარი, სპირალები, ბადურები და სხვა. როგორც ვხედავთ, გეომეტრიული სახეები მთლიანად ასტრალური

---

[165] თ. ოჩიაური. დასახ. ნაშრ. გვ. 44—45.

[166] თ. ვირსალაძე. ქართული სამონადირო ეპოსი. თბ. 1964. გვ. 55. ოჩიაური თვლის რომ სამძიმარის კულტი ხახმატის ჯვარში პირველადია, რომელიც შემდგომ გიორგის კულტმა დაიმორჩილა. საერთოდ, ყოველთვის ამა თუ იმ საკულტო ძეგლისა თუ ნივთის განხილვის დროს, როდესაც საქმე გვაქვს მამაღვთაებისა და ქალღმერთის შერწყმასთან ან სიმბიოზთან, მიაჩნიათ, რომ ქალის კულტი პირველადია. ეს საერთოდ რელიგიის განვითარების თვალსაზრისით სწორია, ოღონდ უნდა გავითვალისწინოთ დრო და სოციალური გარემო, რომელსაც განხილული ძეგლი ეკუთვნის. ხახმატის ჯვარი ისე გვიანდელი ძეგლია, რომ აქ ქალღმერთის პირველადობაზე საუბარი საერთოდ შეუძლებელია. უფრო სწორი იქნება, თუ ღვთაების ორ ბუნებაზე ვილაპარაკებთ.

სიმბოლიკისგან შედგება და მათაც კონკრეტული რელიგიური შინაარსი უნდა ჰქონდეთ. ჩემს მიზანს არ შეადგენს კოლხურ-ყობანური ცულების გრაფიკული ორნამენტის რელიგიური შინაარსის დადგენა, მით უმეტეს, რომ მის შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს. სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა კოლხურ-ყობანური ცულების გრაფიკულ დეკორს ლ. ფანცხავამ, რომელმაც დაადგინა თითქმის ყოველი გამოსახულების სემანტიკა. ამ გამოკვლევით ფართოდ ვსარგებლობ. აქედანვე მომაქვს ცალკეული გამოსახულებების აღწერილობაც[167].

როგორც აღვნიშნე, კოლხურ-ყობანურ ცულზე, ირმის გარდა, გამოსახულია ძაღლი, ცხენი, თევზი, გველი. თითოეული ზოომორფული სახე ნაყოფიერების კულტის ამა თუ იმ მხარეს გამოხატავს: გველი—ქვესკნელს, თევზი—წყალს, ფრინველი—ცას, ძაღლი—ნადირს და ა. შ. ფიქრობენ, რომ ირემი მონადირეობისა და ცხოველთა მფარველი ღვთაების ზოგადი ზოომორფული სახეა.

ირემი, როგორც ნადირთა მფარველი, უნდა იყოს გამოხატული, ლ. ფანცხავას ვარაუდით, ქუთაისის ცულზე (ტაბ. IV, 2). ირმის ტანი შევსებულია ექვსი (მეორე მხარეზე შვიდი) სხვადასხვა ზომის ურთიერთგადაბმული ხვიისგან შემდგარი სპირალური ორნამენტით. ცულს წელზე გარშემოუყვება ხვიებისგან შედგენილი ორნამენტის ორი რიგი, რომლებიც ბადისებური სახით შევსებულ ორ ზოლს შუაა მოთავსებული. სარტყლის ზემოთ ცულის ტარზე გამოსახულია ექვსი ძაღლი.

ირმის კავშირს სიცოცხლის ხესთან და ნაყოფიერებასთან უნდა გამოხატავდეს საჩხერის, ჩიბარუხის, თლისა და ყობანში აღმოჩენილი ცულების ერთი რიგი. მოვიტან ამ ცულების გამოსახულების აღწერას.

ბრინჯაოს ცული საჩხერიდან (ტაბ. IV. 3). ცულის ორივე ლოყაზე პროფილში გამოსახულია ირემი. ირემს ოდნავ წაგრძელებული, ძირს დახრილი თავი აქვს. თვალი გამოსახულია წრით. ყურებს შორის en face გამოსახულია რქები, რომლებიც წარმოადგენს სამტოტა, ორ სიმეტრიულ ღეროს. რქის ტოტების წვერები გადადის ცულის შუბლსა და კაჩაზე და ქმნის სარტყელს. ცხოველის ტანი დაფარულია ბადისებური სახით. თითოეულ რომბში ჩასმულია წრე.

ამ ცულთან ახლოს დგას ყობანში აღმოჩენილი ერთი ცული, სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ ყობანის ცულზე გამოსახული ირმის კუდი გრძელია, თევზიფხური სახისა და ძალიან წააგავს მცენარეულ მოტივს.

რამდენადმე განსხვავებულია ჩიბარუხის ცულზე გამოსახული ირემი, რომელსაც აქვს მოკლე კუდი და, ტანთან შედარებით არაპროპორციული, დიდი რქები. ცხოველის ტანი შევსებულია ბადისებური სახით, მაგრამ განსხვავებული მანერით: იგი შედგენილია წერტილოვანი ხაზებით. ასეთი ბადისებური ორნამენტითაა შემკული ყობანის და თლის სამაროვანზე აღმოჩენილი ზოგიერთი ცული.

იმოწმებს რა ჰანჩარს, ლ. ფანცხავა თვლის, რომ კავკასიის „ცხოველური“ სტილის დამახასიათებელი სიუჟეტების სემანტიკისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ამოსავალია ცხოველის ტანის შემკულობა, ან მასთან ერთად

---

167 ლ. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა, დასახ. ნაშრ.

გამოსახული გეომეტრიული მოტივები (ვარსკვლავი, სამკუთხედი და სხვა), რომლებიც ამ ცხოველებს სიმბოლურ ხასიათს ანიჭებს.

„კოლხურ-ყობანური“ მხატვრული ხელოსნობის ძეგლების დეკორში — წერს ლ. ფანცხავა — სპირალს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს. სხვადასხვა კომპოზიციაში სპირალს, ალბათ, სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭებოდა. მას გველების გამოსახულებად — აქედან იდეოგრამადაც მიიჩნევენ. ქართულ-სვანურ საწესო გრაფიკულ ხელოვნებაში სპირალს მთვარის კულტს უკავშირებენ... აღსანიშნავია, რომ სპირალს აღმოსავლეთ საქართველოში სავსე მთვარეს უწოდებენ... ირმის ტანზე მოთავსებული სპირალიც მთვარეს უნდა აღნიშნავდეს, მით უმეტეს, რომ ნადირთ მეფის ასტრალურ სახეს სხვა ქვეყნებშიც მთვარეს უკავშირებენ... ამრიგად, ქუთაისის ცულზე წარმოდგენილი ირემი ნადირთღვთაების ზოომორფული სახე უნდა იყოს“.

ლ. ფანცხავა საკმაოდ დამაჯერებლად აჩვენებს, რომ კოლხურ-ყობანურ ცულებზე გამოსახული ირმების რქები ხეს წააგავს, რომ ირმის ტანი ხშირად დედამიწის გამოსახულებაა და ამიტომ ცულებზე გამოსახული ირმებიც სიცოცხლის ხის მოტივის სიმბოლო უნდა იყოს. აქ სიცოცხლის ხე-რქები და მასთან დაკავშირებული ცხოველი — ირემი შერწყმულია.

ლ. ფანცხავაც სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეს და, შესაბამისად, კოლხურ-ყობანურ ცულებზე გამოსახულ ირმებს „დიდი დედა ნანას“ კულტს უკავშირებს.

ანალოგიურ სემანტიკურ ახსნას აძლევს მ. ხიდაშელი ანტიკური ხანის ჭვირული ბალთების გამოსახულებებს. ბრინჯაოს ჭვირული ბალთები საქართველოს ნივთიერი კულტურის მეტად თავისებური ძეგლებია (ტაბ. IV, 5). ისინი, როგორც აღმოჩენის ადგილით, ასევე სემანტიკური ნიშნებით და მხატვრული სტილით, კოლხური ხელოვნების წრეს განეკუთვნებიან[168]. ეს ბალთები არაერთ მეცნიერს აქვს შესწავლილი, მის გარშემო საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს[169], ამიტომ მათ დაწვრილებით აღწერას აქ აღარ შევუდგები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ბალთებზე გამოსახული ცხოველები თუ ასტრალური ნიშნები, უფრო შერწყმული და კონცენტრირებული სახით, თითქმის იმეორებენ კოლხურ-ყობანური ცულების გამოსახულებათა სიმბოლიკას. აქაც, როგორც კოლხურ ცულზე, კომპოზიციაში ცენტრალური ადგილი უკავია ირემს, ზოგჯერ ირემს ენაცვლება ჯიხვი, ცხენი ან ცხენ-ირმის მსგავსი ფანტასტიური არსება. ამათ გარდა, ბალთებზე სხვადასხვა კომბინაციებით ვხვდებით ძაღლის, გველის, თევზის ან ფრინველის გამოსახულებებს. იმ ბალთებზე, რომლებზედაც ცენტრალური ადგილი ცხენის რეალისტურ გამოსახულებას უჭირავს, დამატებით პერსონაჟებად ხარი და კვიცი გვევლინება.

მ. ხიდაშელს აქვს მეტად საინტერესო დაკვირვება: ცხოველთა მფარველი ღვთაება თავდაპირველად ზოომორფული არსებაა, განვითარების უფრო გვიან საფეხურზე, როდესაც იგი იქცევა ადამიანის მსგავს არსებად, ეს ზოომორფული ღვთაებები მისი აუცილებელი ატრიბუტები და ძირითადი არსის გამომხატველი არიან. სწორედ ამ მომენტთან უნდა იყოს დაკავშირებული სამი საწყისის გაერთიანება ბუნების „დიდი დედის“ სახეში. „წყლის ცხოველები გაერთიანდნენ, ამათ-

---

186 შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ. 1944. გვ. 95.

196 ჭვირული ბალთების აღწერილობა მომაქვს: მ. ხიდაშელი. ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში. თბ. 1972.

გან ერთი რომელიმე (თევზი, ბაყაყი, გველი) „დიდი დედის“ აუცილებელი ატრიბუტი გახდა და განასახიერებდა მის ბატონობას წყლის სამყაროზე, ჩიტი ავრცელებდა მის ბატონობას ზეცაზე, ხოლო ძაღლი, ირემი და სხვა ცხოველები მიწიური სამყაროს ბატონად გვისახავდნენ მას, მაგრამ, როგორც ჩანს, ქალღმერთის ყველა ეს ატრიბუტი ოდესღაც დამოუკიდებელ როლს ასრულებდა, შემდეგ კი „დიდი დედის“ ზოომორფული გამოხატულების ფუნქცია დაეკისრათ (ხაზი ჩემია. ი.კ.)“[170]. მართლაც, ნაყოფიერების სიმბოლიკის თავმოყრა სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა ნაყოფიერების კულტის ყოვლისმომცველობას, რომ ნაყოფიერების ღვთაება ერთია და მას მორჩილებენ ცაში ფრინველნი, წყალში — თევზნი, ხმელეთზე — ცხოველნი. თვით ამ ღვთაების ფანტასტიური არსებით გადმოცემა მის არაჩვეულებრივ ძალასა და ყოვლისშემძლეობას უსვამს ხაზს: «Изобразительное искусство всегда обнаруживает склонность при воплощении могучего, сверхчеловеческого, прибегать к животным формам, в которых он видит более адекватное выражение искомой идеи. Таким образом, все чудеснограндиозное превращается в чудовищное»[171].

მაგრამ რომელია ნაყოფიერების ეს ყოვლისმომცველი ღვთაება? ბალთებზე ხომ იგი ხან ირემია, ხან ჯიხვი, ცხენი ან ფანტასტიკური ცხენ-ირემი. მ. ხიდაშელს ეჭვი არ ეპარება, რომ იგი იშტარის ქართული ადექვატური ღვთაება „დიდი დედა ნანაა“ და ...ისევ პარალელები წინა აზიური და ეგეოსური ღვთაებათა პანთეონიდან. ისევ ქართულ საგალობლებში დაცული „დიდი დედა ნანა“[172].

როგორც ვხედავთ, ჩვენს ისტორიოგრაფიაში გვიანბრინჯაოს ხანიდან ვიდრე ქრისტიანობამდე ყველაფერი — საკულტო ნაგებობა იქნება, ნივთი თუ გამოსახულება, — გამოცხადებულია ნაყოფიერების, სიყვარულისა და აღორძინებული ბუნების ქალღმერთის „დიდი დედა ნანას“ სამლოცველოდ, ან გამოსახულებად. მისი სიმბოლიკა, უმთავრესად, წინააზიური ნაყოფიერების ქალღვთაებათა სიმბოლური გამოსახულებების ანალოგიით არის რეკონსტრუირებული, ხოლო ბუნება და ფუნქცია, თითქოს, დაცულია ქართველი ტომების რელიგიურ წარმოდგენებში. ახლა ვნახოთ, არსებობდა თუ არა ქართველი ტომების რელიგიურ წარმოდგენებში იშტარი-კიბელის ანალოგიური ქალღვთაება.

„დიდი დედა ნანას“ კულტი დაადგინა და მეცნიერულ მიმოქცევაში შემოიტანა ვ. ბარდაველიძემ[173]. ნანას ვ. ბარდაველიძე მზის ღვთაება ბარბარას მთავარ იკონოპოსტად თვლის და ფიქრობს, რომ ეს კულტი ასტრალურ რელიგიასთან ერთად უნდა განვითარებულიყო, ხოლო სოლარული რწმენების ზენიტში მთელი პანთეონი წარმოდგენილია „დიდი დედა ნანათი“ და მისი წილი ღვთაებებით. ცნობები ნანას ბუნებისა და ფუნქციის შესახებ დაცულია ქართულ ზღაპრებსა და ლეგენდებში, ხოლო კულტი ინფექციურ ავადმყოფობებით (სახადები — წითელა, ყვავილი და სხვა) დაავადებულთა მოვლის რიტუალში.

---

[170] მ. ხიდაშელი. დასახ. ნაშრ. გვ. 71.
[171] В. Вундт. Миф и религия. С-П. стр. 263.
[172] მ. ხიდაშელი. დასახ. ნაშრ. გვ. 66—80.
[173] В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования... стр. 79—89.

მითებსა და ლეგენდებში „დიდი დედა ნანას“ და მისი წილი ღვთაების სამეფო-საბრძანებელი იწოდება ბატონების ქვეყანად, ბატონების ბაღად. უკანასკნელ ტერმინში იგულისხმება საღვთო, წმინდა ოჯახი, რომელიც შედგება მზისა და მთვარის დედისგან, თვით მზისა და მთვარისაგან და მზის სამი ქალიშვილისგან. აქვეა ჰექა-ქუხილის ღმერთი — ელია და ოქროს ვერძი — ერკემალი, ბატონების ბაღში ერთი და იგივე ხილი „ზოგი მწიფე იყო, ზოგი მაშინ ჰყვაოდა, ზოგი იფოთლებოდა, ზოგი კი გამოდიოდა“.

ლეგენდებსა და ნანას სადიდებელ სიმღერებში ბატონების, მზის ქვეყანა მაღალი ზღუდით არის შეკრული. მასში ბროლის წყარო, თაფლისა და რძის ნაკადულები, მარგალიტის მფრქვეველი ჩანჩქერები გადმოდის. ამ ქვეყანაში ბატონებთან ერთად სახადით დაავადებულთა სულებიც ცხოვრობენ.

სვანური ლეგენდა ბატონთა საბრძანებელს წარმოადგენს, როგორც ყვავილებით მორთულ მინდორს, მინდორზე დიდი წყაროა, სადაც ბატონების დედა იმყოფება. მას თეთრი ტანი და ძალიან დიდი გულ-მკერდი აქვს. მის მახლობლად სახლია, სახლის შუაში ბოძია, მორთული ბატონებით დაავადებული ადამიანების თვალებით.

საინტერესოა, რომ ნანასადმი მიძღვნილ სიმღერებში მოხსენებულია სიცოცხლის ხე და მარანი. აი, ეს სიმღერაც:

„იაგუნდის მარანშია
შიგ ღვინო და ლალი ბჭყვისო,
შიგ ალვის ხე ამოსულა,
ნორჩია და შტოსა შლისო“ [174].

როგორც აღვნიშნე, ნანას კულტი განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს სახადით დაავადებულთა მოვლა-მკურნალობის რიტუალში. ინფექციური დაავადებები ქართველ ტომებს წარმოდგენილი ჰქონდათ ბატონების ადამიანში ჩასახლებად. ყვავილისა და წითელას გამონაყარს „ბატონის“, „ანგელოზის“ ადამიანის სხეულში დასადგურების ნიშნად და შედეგად მიიჩნევენ. ამიტომ ჰირისუფალი ცდილობს რაც შეიძლება მეტი პატივი სცეს ავადმყოფის სხეულში დავანებულ ბატონებს, რომ მათ უმტკივნეულოდ, ავადმყოფის ზიანის მიუყენებლად დატოვონ იგი. როგორც ავადმყოფის უშუალო მომვლელი—ბატონების მამიდა, ასევე მის გარშემო მყოფი ყოველი პირი ირთვება თეთრად, ნათელი ტანისამოსით, სახლსაც რთავენ ჭრელად, იატაკზე ყრიან სურნელოვან ყვავილებს. ავადმყოფს ასხურებენ იისა და ვარდის წყალს, შლიან ბატონების სუფრას, რომელზედაც ალაგებენ ყოველგვარ ტკბილეულს, ნუგბარ საჭმელებს. აქვე დგამენ სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხეს. ერთი სიტყვით, ავადმყოფის ოთახს რაც შეიძლება მეტად ამსგავსებენ ბატონების ქვეყანას, რათა ბატონებმა უცხოდ არ იგრძნონ თავი და მიუხედავად იმისა, რომ მოუთმენლად ელიან მის წაბრძანებას, მობრძანების სადიდებელს მღერიან. აი, სულ, ჩვენი ფოლკლორული თუ ეთნოგრაფიული ცოდნა ქართველი ტომების ქრისტიანობამდე ყველაზე გავრცელებული და ყოვლისმომცველი ნაყოფიერების „დიდი დედა ნანას“ შესახებ.

---

[174] სტროფებს შორის არის მისამღერები: იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო. საგალობლებს გარდა ნანას სახელი არსად იხსენიება. აქაც, ვფიქრობ, ნანა საკუთარი სახელი კი არ არის, არამედ „დაიძინეს“ ნიშნავს, ხოლო იას და ვარდს ბავშვს უწოდებენ და არა ნანას.

მე ვერ ვხედავ ქართულ ლეგენდა-თქმულებებსა და ბატონებით დაავადებულთა მოვლის რიტუალში ნაყოფიერებისა და, საერთოდ, „დიდი დედა ნანას“ კულტს. ის ფაქტი, რომ ბატონების ქვეყანა თქმულებებში წარმოდგენილია მუდმივი გაზაფხულის მხარედ, და რომ სიმღერებში, ალვა და მარანი იხსენიება, მაინცდამაინც მტკიცე საბუთი არ არის იმისა, რომ აქ ნაყოფიერების ღვთაების რეზიდენცია ვივარაუდოთ. უბრალოდ, ზღაპარში ქართველი კაცის ფანტაზიამ დახატა სურათი, რომელიც ადამიანის კეთილდღეობის უმაღლეს საფეხურად მიაჩნდა. ძნელია ამ სურათში უძველესი ფენის გამოყოფა. იაგუნდის და ლალის ღვინო, მარანი, რძისა და თაფლის მდინარეები, მარგალიტის მფრქვეველი ჩანჩქერები, ვფიქრობ, გვიანდელი დანაშრევებია. ყველაზე შეულამაზებლად, პირველყოფილი სახით მაინც სვანური ვარიანტია — ყვავილებიანი მინდორი და თვალებჩამოკიდებული ბოძი. აქ მართლაც შეიმჩნევა ბუნების „დიდი დედის“ ღვთაება, თეთრტანიანი და მკერდსავსე ბატონების დედა და მისი კავშირი მზის ღვთაება ბარბარესთან (თვალებით მორთული ბოძი). ბარბარეს—მზის კულტის შესახებ მე უკვე არაერთგზის აღვნიშნე, რომ იგი ჩვენში, ისე როგორც ვ. ბარდაველიძის მიერ არის წარმოდგენილი, ასტრალური რწმენების განვითარებასთან ერთად ჩნდება და სოლარულ კულტთან ერთად ვითარდება. მაგრამ არქეოლოგიური მასალებით მისი კულტი გაცილებით ადრე ჩანს, ვიდრე ეს ვ. ბარდაველიძეს ჰქონდა ნაგულისხმები, კერძოდ ენეოლითის ხანაში. ხოლო შემდეგ იგი ერწყმის ნაყოფიერების, შვილის, კერის კულტს, ხან კი დამოუკიდებლად გვევლინება, როგორც გადმონაშთი ერთ დროს ძლიერი და ყოვლისმომცველი კულტისა.

რაც შეეხება ინფექციური დაავადებების გამომწვევ ბატონებს, ისინი უფრო ბოროტ სულს—დემონებს წააგვანან, ვიდრე ნაყოფიერების ქალღმერთის წილ ღვთაებებს. არაფერია, რომ ქართველი მის გზას იას და ვარდს უფენს და ყოველნაირად ცდილობს არ აწყენინოს. ღვთაება, რომლის წაბრძანებას ლოცულობენ და არა მობრძანებას, მგონი, კეთილი სული არ უნდა იყოს. არა აქვს მნიშვნელობა იმასაც, რომ ბატონების ქვეყანა ასეთ ნათელ ფერებში ეხატებოდათ, ეშმაკთა სამეფო — ჯოჯოხეთი ქრისტიანობაშია, თორემ ქართულ თქმულებებში ხანდახან დევთსამყოფელი არანაკლები სიდიადით არის დახატული.

ამგვარად, ვფიქრობ, „დიდი დედის“ კულტი ქართულ თქმულებასა და ყოფაში მეტად სუსტად ვლინდება. ეს გასაგებიცაა, რადგან ეს კულტი ძალიან შორეულია და დიდი ხნის გარდასული. და თუ არქეოლოგების უმეტესობა საკულტო-სარიტუალო ნაგებობებისა თუ ნივთების უმრავლესობას მაინცდამაინც მას მიაწერს, ეს ვ. ბარდაველიძის დიდი მეცნიერული ავტორიტეტით და მისი დებულებისადმი არასწორი მიდგომით აიხსნება. იგი ამტკიცებდა, რომ მზე—ქალის კულტი უპირველესია და მამაკაცის — მთვარის კულტი შემდგომ ვითარდება. ეს მართალიცაა, მაგრამ ყოველ ძეგლსა და ნივთზე, განუკითხავად დროისა და სოციალური გარემოსი, ქალის კულტი ხომ არ უნდა დავინახოთ? „დიდი დედის“ სიმბოლიკის გასარკვევად, როგორც ზემოთ ვნახეთ, წინა აზიის ნაყოფიერების ქალღვთაებათა ანალოგიებით სარგებლობენ. განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ შუამდინარეთის ცნობილი ქალღმერთის — იშტარის სახეს; ეს გასაგებიცაა, რადგან რელიგიის ისტორიაში ყველაზე სრულად ამ ღვთაების ბუნება, ფუნქცია და სიმბოლიკა არის შესწავლილი.

იშტარი სინკრეტული ღვთაებაა და საკმაოდ რთული ბუნებისაა, იგი ნაყოფიერების ქალღმერთია და მისი გამგებლობის ქვეშაა ადამიანთა, ნადირთა და მცენარეთა ნაყოფიერება. იგი სიყვარულის ქალღმერთიცაა და ომისაც. როგორც ნადირთა პატრონი, მფარველობს აგრეთვე მონადირეობას. სწორია მ. ხიდაშელი, როდესაც აღნიშნავს, რომ იშტარის ამა თუ იმ ბუნებას მისთვის დამახასიათებელი სიმბოლოთი ან ემბლემით გამოხატავენ. აქედან — იშტარის სიმბოლიკის მრავალფეროვნება. იშტარის ასტრალური შესატყვისი ცისკრის ვარსკვლავია, ყველაზე ხშირი ზოომორფული სახე კი — ირემი. იგი დაკავშირებული ჩანს მთვარესთან (ხარი) და მზესთან (ლომი). იშტარს, როგორც ნაყოფიერების ქალღმერთს, პურის თავთავი, სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე გამოხატავს, როგორც მონადირეობის და ნადირის მფარველს — ირემი და ისარი, იგია აგრეთვე წყლისა და ცათა ღვთაება, რადგან მის სიმბოლიკაში თევზსა და ფრინველს ვხვდებით, ომის ღმერთქალი და ა. შ. ერთი სიტყვით, იშტარს გამოვლენის უამრავი სახე აქვს, იგი მეტად რთული ბუნებისა და სიმბოლიკის შემცველი ქალღმერთია.

მთავარი ჩვენთვის ის არის, რომ იშტარის თითქმის ყველა სიმბოლო დადასტურებულია ჩვენს ნივთიერ კულტურაში. ამიტომ თითქმის ყოველი საწესო ძეგლი თუ ნივთი იშტარის ქართული შესატყვისის, „დიდი დედა ნანას“ კულტის არსებობის ნივთიერ საბუთად არის გამოცხადებული.

ზევით აღვნიშნე, რომ II ათასწლეულის შუახანებიდან ნაყოფიერების კულტში შეინიშნება ქალის ხვედრითი წონის ზრდა, რომ ძეგლებზე კვლავ ვხვდებით ქალის ქანდაკებებს, რომლებიც ქალღმერთები უნდა იყვნენ, აღვნიშნე ისიც, რომ კულტში ქალის როლის გაძლიერება შეიძლება გამოიწვიოს სამხრეთ ქვეყნებთან ურთიერთობამ, რომ ჩვენში შემოდის კიბელას თუ იშტარის კულტი; ამის საბუთი თრიალეთის თასზე გამოსახული სიცოცხლის ხე უნდა იყოს, რომელსაც ვ. ბარდაველიძე მზის კულტს უკავშირებს. როგორც ითქვა, შეიძლება ამ დროს გაძლიერებულიყო მრავალი ადგილისა თუ ნადირობის ქალღმერთი, მაგრამ ნაყოფიერების კულტში ქალის მნიშვნელობის ზრდა არ გადასულა იშტარის თუ კიბელას მსგავს, ყოვლისმომცველ ნაყოფიერების ქალღვთაების კულტში, რადგან ამ დროს კავკასიელ ტომებში ნაყოფიერებაზე უკვე ჩამოყალიბებული იყო თავისი მსოფლმხედველობა. ნაყოფიერების ღმერთი, მათი წარმოდგენით, არის თვით ნაყოფი მამაკაცური და ქალური საწყისების ურთიერთობისა. ამ საწყისების შემარიგებელი და მატარებელი. ეს ღვთაება უფრო მამაკაცია. ბუნებრივია, რომ მცირე აზიელი ქალღმერთები კავკასიაში ტრანსფორმაციას განიცდიან ადგილობრივი რწმენების შესაბამისად. ქალღვთაება კაცღვთაებად იქცევა, ამიტომაა, რომ ურუკის ზემოხსენებულ ალებასტრის ვაზაზე გამოსახულ ქალღმერთს თრიალეთის თასზე კაცღვთაება შეენაცვლა. სატომო ღმერთის ჩამოყალიბების მომენტში კავკასიელი ტომები მშვიდობიანი მიწათმოქმედ-მესაქონლენი არიან და ეს ღმერთი უფრო აგრარული ფუნქციების მატარებელია, ვიდრე მეომრისა. ამიტომ ეს უფრო ვაჟღვთაება არ თმობს პირველობას ნაყოფიერების კულტში. უფრო გვიან, როდესაც გარკვეულ ტომებში სატომო ღმერთ-ხატები მეომრებად იქცევიან, ნაყოფიერების ფუნქციებს ქალღვთაებას უთმობენ. უფრო სწორად, მასში აქტივდება ქალური საწყისი და შეიძლება ცალკე ქალღმერთადაც ჩამოყალიბდეს. მაგ., ხახმატის ჯვარი და სამძიმარი.

საინტერესოა, რომ თვით იშტარს აქვს კაცური ბუნებაც. იგი ერთგვარი

ორსქესობრივი ღმერთია[175]. ნაყოფიერების ღმერთის ორსქესოვნება არცთუ უცნაური მოვლენაა უკვე ენეოლითში. ნაყოფიერება სქესთა ურთიერთობით წარმოიდგინება და მისი ნაყოფიც ყოველთვის ორბუნებოვანია. მაგრამ იშტარის ორსქესოვნება, ვფიქრობ, ხსნის წინააზიური დიდი დედების კულტის ჩამოყალიბების მიზეზს. ამ ტომებში, რომლებშიაც ადრესამიწათმოქმედო კულტურები ცივილიზაციაში გადაიზარდა, მამაკაცს სოციალური უპირატესობისათვის უფრო ძლავრი იარაღი უჩნდება, ვიდრე ნაყოფიერებაა. ეს იარაღი ომია, ტომთა შეხლა-შემოხლა პირველობისთვის, ვაჟღვთაებანი მეომარნი ხდებიან. ქალთან მებრძოლი კაცი ურჩხულთან მეომარ ღმერთად გვევლინება და ნაყოფიერების სარბიელს ქალს უთმობს. ამიტომ არის, რომ ნაყოფიერების ღმერთქალები ატარებენ მამრობითი სქესის კვალს, მეომარ ღმერთებს კი ნაყოფიერებაშიც წილი უდევთ.

ამგვარად, ჩვენში ქალად შემოსული ნაყოფიერების ღვთაების ბუნებაც და სიმბოლიკაც ვაჟღვთაებას უნდა მიეთვისებინა. უფრო სწორად, ეს სიმბოლიკა თუ ემბლემა, რომელიც წინა აზიაში ქალღმერთს ასახიერებდა, ჩვენში ვაჟი ღმერთის კუთვნილება იყო. დავიწყოთ ცისკრის ვარსკვლავით, რომელიც იშტარის ასტრალური სიმბოლოა. ამ ვარსკვლავის გამოსახულება დადასტურებულია კოლხური კულტურის წრეში შემავალ ნივთებზე და ქართველთა ეთნოგრაფიაშიც, კერძოდ, დედაბოძის ორნამენტში ვარდულის სახით. ხშირია ჩვენში მოპოვებულ არქეოლოგიურ ნივთებზე იშტარის მეორე, მეტად გავრცელებული სიმბოლოს, ირმის გამოსახულება. როგორც ცისკრის ვარსკვლავი, ისევე ირემი მკვლევარებს მიაჩნიათ იშტარის — დალის სიმბოლოდ, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ცისკრის ვარსკვლავი უნდა განასახიერებდეს კვირიას ასტრალურ სახეს, ხოლო ირემი ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული ჩანს უკვე ენეოლითის ბოლოდან და ადრეული ბრინჯაოს დასაწყისიდან. საერთოდ, ირემი, როგორც ნადირთა მეუფე, ადრეული ხანიდან უკავშირდება ნაყოფიერების კულტს და ქმნის მის ზოომორფულ სახეს, ქალღვთაება იქნება ის, თუ ვაჟღვთაება. კოლხურ ცულებზე გამოსახულ ირმებს ლ. ფანცხავა ხან მთვარესთან, ხან ნაყოფიერების და ნადირობის ქალღმერთთან აკავშირებს. მთვარე ჩვენში თავიდანვე იყო ნაყოფიერების ღვთაების ასტრალური სახე, ბუნების განახლების სიმბოლო —ირემი ისედაც ნაყოფიერებასთან არის დაკავშირებული, ხოლო ნადირთა მფარველი ღვთაების როლში ისევე გამოდიან კოლხების სატომო ღმერთები, როგორც იშტარი.

კოლხურ-ყობანური კულტურის ნივთიერ ძეგლებზე ხშირად გამოსახულია თევზი, გველი, ისარი (ტაბ. IV, 1). ლ. ფანცხავას აქვს საინტერესო დაკვირვება: თევზი და გველი კოლხურ ცულებზე ისარს ენაცვლება. ე. ი. გველს, გარდა წყლის ცხოველთა მფარველი ღვთაების ზოომორფული სახისა, აქვს სხვა შინაარსიც. ისარი და შუბი იშტარის და ნაყოფიერების სხვა ქალღმერთების სიმბოლიკაში მათ მონადირეობის მფარველობას უსვამს ხაზს. ასეთი შინაარსი უნდა ჰქონდეთ მათ კოლხურ ცულებზეც, მაგრამ ისარის გველთან ჩანაცვლება შეიძლება მის რაღაც სხვა, მაგიურ დანიშნულებაზე მიგვანიშნებდეს. ისარი თუ გველი გამოსახულია გვარჯილას კლდის მღვიმეში აღმოჩენილ „მეთაურის კვერთხზე“, ისარი დევს ქვაცხელების C დონის № 1 ოთახში დადასტურებულ შეწირულ ხბოზე. ხშირია გველის გამოსახულება ბრინჯაოს და

[175] Эпос о Гилгамеше. М.—Л. стр. 205.

რკინის ხანის ნივთიერ ძეგლებზე: ჰურჰლებზე, სარტყლებზე, ცულებზე, სამაჯურებზე და სხვა. ურბნისის სამაროვანზე გვიანბრინჯაოს სამარხში აღმოჩნდა რქა, რომელზედაც ამოკაწრულია შვიდი გველი ასტრალური ნიშნებით (ტაბ. V, 5). შვიდი გველია გამოსახული ერთ ყობანურ ცულზე. გველები თავს ესხმიან მშვილდისრიან მამაკაცს. აქვეა გამოსახული ასტრალური ნიშანი — ნაწილი, რომლისთვისაც გველებსა და ადამიანს შორის ბრძოლაა გაჩაღებული. ლ. ფანცხავამ ამ გამოსახულების სემანტიკის დადგენა, საკმაოდ წარმატებით, ამირანის თქმულებით სცადა. ჩვენ ამ შემთხვევაში რიცხვი შვიდი გვაინტერესებს, რომელიც შვიდ მნათობს შეესაბამება და საკრალურია. ყველაზე ხშირად რიცხვს შვიდს ჩვენი ნივთიერი ძეგლების გამოსახულებებში გველები შეადგენენ. მიღებულია, რომ გველი წყლის სიმბოლოა და თევზთან ერთად წყლის მფარველი ღვთაების ზოომორფული სახეა, მისი ემბლემაა. თუ ეს ასეა, მაშინ შვიდი გველის გამოსახვა სრულიად გაუგებარია. შესაძლებელია, გველი მნათობის სიმბოლოა, მით უმეტეს, რომ მის გამოსახულებას ხშირად მაგიური, მნიშვნელობა აქვს (მაგ., სამაჯურებზე — ტაბ. V, 3,4. ჰურჰლებზე და სხვა). გველი ქვემძრომია და, შეიძლება, იგი ქვესკნელსაც განასახიერებდა. ასეა თუ ისე, როგორც გველი, ისევე ისარი ჩვენში ადრეული ხანიდან ჩანს ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული.

ერთი სიტყვით, გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში ჩვენ არ გვაქვს არც ერთი სიმბოლურნიშნიანი ზოომორფული სახე, რომელიც ადრე ნაყოფიერების კულტთან არ ყოფილიყო დაკავშირებული. ეს კულტი, ვიმეორებ, „დიდი დედის" კულტი არ არის. კულტის ეს საფეხური შუა და გვიანბრინჯაოს ხანაში უკვე განვლილია. ნაყოფიერების ღვთაება მამაკაცად არის წარმოდგენილი, თუმც, როგორც ნაყოფი თავის ბუნებით ავლენს ქალურ საწყისსაც. შეიძლება ქალური ბუნება უფრო გაძლიერდეს, მაგრამ ეს იშვიათად ხდება. რომ ჩვენში გვიანბრინჯაო-რკინის ხანაში ნაყოფიერების ღვთაება მამაკაცური ბუნებით წარმოიდგინება, ამის კარგი საბუთი აღმოჩნდა გამდლისწყაროში ტირიფონის ველზე მიწაში ჩაფლული განძის სახით. გამდლისწყაროს განძი მით უფრო საინტერესოა, რომ კოლხურ კულტურას განეკუთვნება და, უმთავრესად, სამეურნეო დანიშნულების ნივთებისგან შედგება[176].

განძი შედგება თოხების, ცულების, სეგმენტური იარაღის, თოხისმაგვარი იარაღების, ნამგლის, მახვილისა და სატევრის ფრაგმენტების, ისრისპირების, სამკაულის (სამაჯური, აბზინდა, სარტყელი) ნატეხების და ერთი საკულტო დანიშნულების ნივთისგან. დ. ქორიძე განძს ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებს.

განძში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ნივთი, რომელიც სამლოცველოს იმიტაცია უნდა იყოს და რომლის მსგავსი მეორე ნივთი ჩვენს მატერიალურ კულტურაში არ იპოვება. იგი წარმოადგენს ნალის ფორმის, შემოღობილ სარიტუალო მოედნის იმიტაციას. მოედნის შუაში დგას თალისებური კარავი თუ საკურთხეველი, რომელსაც უკან მოედნის მომრგვალებულ ბოლოსკენ ედგმის ნალის ფორმისავე დაბალი ღობე, შეიძლება კერა. კერის შიგნით აწყვია ხელის მტევნის მსგავსი ორი ნივთი (შეშა?). მოედნის სწორ თავში დგას ოთხკუთხა ნაგებობა, მომრგვა-

[176] დ. ქორიძე. დავიცვათ და გადავარჩინოთ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები. ძეგლის მეგობარი. № 15. თბ. 1968. გვ. 32—40.

ლებული ნაწილი მთლიანად უჭირავს ცხოველის (ცხვრების) ფიგურებს. ამ ფიგურებში დ. ქორიძე არჩევს 10 დედაცხვარს, ვაცს და ორ ძაღლს, თუმც ფიგურები ისე სქემატურია, რომ ჭირს არა თუ სქესის, არამედ ცხოველთა სახეობის დადგენაც. მოედნის ამავე ნაწილში, ღობესთან ამართულია შვიდი ანთროპომორფული ფიგურა. ერთი ფიგურა ნალისებური საკურთხევლის კედელთან დგას. 4 ფიგურა იტიფალურია, დანარჩენ ოთხს გასარჩევი ნიშნები არა აქვს, არაა გამორიცხული მათი იტიფალურობა. ნივთი ძლიერ დაჟანგულია და ბევრი, მცირე ზომის დეტალი მასზე შერჩენილი აღარ არის. ფიგურები გამოსახულია იტიფალური მამაკაცების ტრადიციული იკონოგრაფიული ხერხით— ხელგაშლილები. მოედანზე არის ოდნავი წრიული შემაღლება (დ. ქორიძე მას საკურთხეველს უწოდებს), რომელზედაც დალაგებულია შვიდი მრგვალი, ბრტყელი საგანი.

აღნიშნული ნივთის საკულტო-სარიტუალო დანიშნულება ეჭვს არ იწვევს. დ. ქორიძე ფიქრობს, რომ მასზე წარმოდგენილია არა მარტო „რელიგიურ-მისტიკურ შეხედულებათა რიგი მონაცემები, არამედ... აქ ნაჩვენები უნდა იყოს მათ საარსებო საშუალებათა ერთ-ერთი წყაროს, მეცხვარეობის უტყუარი მანიშნებელი — „ფარა" მთელი მისი ატრიბუტებით"[177]. ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, ნივთი მესაქონლეობის მფარველი ღვთაებისადმია მიძღვნილი და მისი სამლოცველოს იმიტაციას წარმოადგენს. ჩვენთვის მთავარია, რომ ეს ღვთაება კაცად არის წარმოდგენილი, რაც, ვფიქრობ, ადასტურებს ჩვენს ვარაუდს იმ ხანაში ნაყოფიერების კულტში ვაჟღვთაების უპირატესი როლისა და ადგილის შესახებ.

ვაჟღვთაება პირველობს, კ. ფიცხელაურის ვარაუდით, მელი-ღელე II და მელაანის სამლოცველოების პანთეონში და ეს ღვთაება ომის ღმერთია. შეიძლება მართალია კ. ფიცხელაური და მელაანის უახლოესი პარალელი მუსასირის ომის ღვთაების ქალდეს ტაძარია, მაგრამ საეჭვოა, რომ მელი-ღელე II ან მელაანის საკულტო ძეგლებზე ომის ღმერთს ლოცულობდნენ. ამ კატეგორიის ღმერთები გვაროვნული წყობილების საფუძველზე მდგომმა საზოგადოებამ საერთოდ არ იცის. ამ დროს ომის ღმერთები კი არ გვხვდებიან, არამედ მეომარი ღვთაებები, მსგავსად ქართველი მთიელების ხატებისა (პირქუში, გუდანის ჯვარი, ლაშარის ჯვარი და სხვა). ისიც მხოლოდ იმ ტომებში, რომლებისთვისაც ომი და ყაჩაღობა შემოსავლის ისეთი წყაროა, როგორც მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ასეთი ტომები, ჩვეულებრივ, მესაქონლენი არიან, რადგან მიწათმოქმედი მშვიდობას უფრო ირჩევს, ვიდრე ომს. ამ ტომებში ნაყოფიერების ღვთაებას უჩნდება დამატებითი ფუნქცია ომისა, იგი სულ უფრო და უფრო მეომარი ხდება და მალე ომის ფუნქცია მასთან წინა პლანზე გადმოდის.

მელაანის სამლოცველოში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრი რამ მანიშნებელია აქ სალოცავი ღმერთის მეომრობისა, მაგრამ მას ნაყოფიერების ფუნქცია მოხსნილი არ უნდა ჰქონდეს. ასეთ ვარაუდს, ვფიქრობ, ადასტურებს ანთროპომორფული ფიგურები, რომლებიც იტიფალურნი არიან და მახვილით შეიარაღებულნი, ე. ი. მათში ხაზგასმულია ღვთაების ორი ფუნქცია: ნაყოფიერება — ფალოსი და მახვილი — ბრძოლა.

---

[177] დ. ქორიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 39.

ნაყოფიერებისა და მეომარ ღვთაებათა შემდგომი განვითარების ფაქტს ვამოწმებთ ადრეანტიკური ხანის ძეგლებზე: ახალგორი, ყაზბეგი, ყანჩაეთი, წინწყარო და სხვა. ამ ძეგლებზე დადასტურებულ შტანდარტებსა თუ საბეჭდავებზე დაცულია ჩვენთვის საინტერესო ღვთაებათა იკონოგრაფია. ამ გამოსახულებათა სემანტიკის ახსნის საინტერესო ცდა აქვს ი. გაგოშიძეს[178]. მაგრამ ჯერ თვით გამოსახულებებზე.

საქართველოს ადრეანტიკური ხანის ძეგლებზე დაცული საბეჭდავები წარმოადგენენ კეთილშობილ ლითონებისაგან (ოქრო, ვერცხლი) დამზადებულ ფარაკიან რკალგახსნილ ბეჭდებს. ფარაკზე ამოჭრილია გამოსახულებანი, ისე რომ, ბეჭდები ინტალიოებს წარმოადგენენ. მოვიტან ორი ბეჭდის გამოსახულების აღწერილობას, რომლების ერთმანეთთან შეჯერებით ი. გაგოშიძე მეტად საყურადღებო დასკვნას აკეთებს.

პირველი ბეჭდის ვერცხლის ფარაკზე გამოსახულია: ზემოთ—ფრინველი, შუაში—ცხენი, ორივე მარცხენა პროფილით. ცხენის ფეხებს შორის ვარსკვლავია (ტაბ. V, 2).

მეორე საბეჭდავი ბეჭდის ვერცხლის ფარაკზე გამოსახულია შუბოსანი მხედარი მარცხენა პროფილით და მის უკან რვასხივიანი ვარსკვლავი (ტაბ. V, 1).

„ყანჩაეთის საბეჭდავ ფარაკზე... რვასხივიანი ვარსკვლავის მოთავსება ცხენის ფეხებს შორის — წერს გაგოშიძე — გვიჩვენებს, რომ ამ გამოსახულებათა სახით ზეცის მკვიდრთა გამოსახულებასთან გვაქვს საქმე. ციურია ფრინველიცა და ცხენიც, რომლის შუბლს მოხრილი რქა ამშვენებს, ხოლო მუცელ-მკერდი უჩვეულო, ცხენისათვის შეუფერებელი ორნამენტითაა დაფარული. ცხენი მზის ცხოველი იყო მრავალი ძველი ხალხის რწმენით...

მზის გამოსახულებას ხშირად ახლავს ხოლმე ფრინველი... თუ ცხენი მზის ცხოველად ითვლებოდა საქართველოში, ფრინველი მთვარისა უნდა ყოფილიყო“...[172]

ადარებს რა ამ საბეჭდავის გამოსახულებას ქართველ მთიელთა რელიგიურ წარმოდგენებს, ი. გაგოშიძე წერს: „ღვთაებათა ეს სამეული—მთვარე (ფრინველი), მზე (ცხენი) და კვირია (ვარსკვლავი) უნდა იყოს ასახული ყანჩაეთის სამარხის გემაზე“[180]. შეიძლება ვიდავოთ ი. გაგოშიძესთან, რომ ფრინველი მთვარე კი არ არის, არამედ მზეა და, პირუკუ, ცხენი მზე ქალღვთაება კი არა, ვაჟღვთაებაა და ამისი არაერთი მაგალითი მოვიტანოთ წინააზიის არქეოლოგიიდან. მაგრამ ყველა შემთხვევაში გემის გამოსახულების შინაარსი უცვლელი რჩება, მასზე წმინდა სამეულია გამოსახული.

აღწერილი მეორე გემის შესახებ ი. გაგოშიძე წერს: „შეიძლება გვეფიქრა, რომ აქაც ასახულია მზე—ცხენი, კვირია—ვარსკვლავი და მთვარე, ამჯერად ანთროპომორფული სახით, მაგრამ განსხვავება ამ ორ გამოსახულებას შორის გადამწყვეტია. თუ № 7 (პირველ ი. კ.) საბეჭდავზე ვარსკვლავიც, ცხენიცა და ფრინველიც დამოუკიდებელი, ერთგვარად წინასწარი ფიგურებია, № 8 (მეორე. ი. კ.) საბეჭდავზე არსებითად ერთი გამოსახულება გვაქვს. თუ №7 საბეჭდავზე აისახა უმაღლეს ღვთაებათა სამეული, № 8 საბეჭდავზე უკვე ერთი ღვთაე-

178 ი. გ ა გ ო შ ი ძ ე. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. გვ. 23—48.
179 იქვე. გვ. 38.
180 იქვე.

ბის, მებრძოლი მხედარი ღვთაების გამოსახულება უნდა გვქონდეს. ცხენი და ვარსკვლავი დამოუკიდებელი ფიგურები აღარაა. ისინი ამ ღვთაების ატრიბუტებად ქცეულან. ღვთაება, რომლის ატრიბუტები მზე—ცხენი და ვარსკვლავია, შეიძლება მხოლოდ ქართული წარმართული პანთეონის უმაღლესი ღვთაება, მთვარის ღვთაება იყოს. მართლაც, მხედარს, ფრინველის (მთვარის) ადგილი უკავია“[181].

სწორია ი. გაგოშიძე, როდესაც თვლის, რომ № 8 საბეჭდავზე ერთი მებრძოლი მხედარი ღვთაება უნდა იყოს გამოსახული. მაგრამ ვერ დავეთანხმებით, რომ იგი მთვარის ღვთაებაა. ვარსკვლავი და ცხენი ამ გამოსახულებაზე მთვარის ბალთაზე მხედართან ერთად მზისა და მთვარის სიმბოლიკა გამოსახული[182]. რალურ შინაარსს მოკლებული, ხოლო ვარსკვლავი მხედრის ასტრალური სიმბოლოა, მისი განმსაზღვრელი. მხედარი „ნაწილიანია“, მისი ნაწილი ვარსკვლავია. ვარსკვლავი კი შვილღვთაების ემბლემაა, მისი ასტრალური შესატყვისია. ე. ი. გემაზე შვილი ღვთაებაა გამოსახული.

№ 8 საბეჭდავის გამოსახულების ასე გააზრება უფრო ბუნებრივია და ლოგიკური. წარმოუდგენელია მამა ან დედა ღვთაების შვილის ატრიბუტით შემოსვა, და პირუკუ, შვილი, როგორც მშობლების მემკვიდრე და მათი ბუნებისა და ფუნქციის თანაზიარი, ითვისებს მათ ემბლემებსაც, ამიტომ არის ურს ძუარის ბალთაზე მხედართან ერთად მზისა და მთვარის სიმბოლიკაა გამოსახული[182].

ჩვენს ვარაუდს მხარს უჭერს ნაყოფიერების ღვთაების განვითარების ის პროცესი, რომელიც ჩვენში ადრეული ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე მოწმდება და ქართველ მთიელთა რელიგიური წარმოდგენები, სადაც მებრძოლ ღვთაებად მორიგე ღმერთი კი არ ჩანს, არამედ სათემო და სატომო ხატები, ღვთისშვილნი, რომელთა წინმდგომი კვირიაა — „ღვთისშვილთა უპირველესი“, როგორც მას ი. გაგოშიძე უწოდებს[183].

---

181 ი. გაგოშიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 38.

182 ურს ძუარის ბალთაზე გამოსახული მხედარი მთვარის გამოსახულებად მიაჩნია მ. ხიდაშელსაც. იხ. მ. ხიდაშელი. დასახ. ნაშრ. გვ. 80—85.

183 ი. გაგოშიძე წერს: „ქართველ მთიელთა რწმენა-წარმოდგენათა თანახმად, უმაღლეს ღვთაებათა სამეულში თითოეულს თავისი განსაკუთრებული ფუნქცია გააჩნდა... მაგრამ არც მზე-ქალსა და არც კვირიას თავისი ფუნქციების განხორციელების უფლება არა ჰქონდათ მორიგე ღმერთის ნებართვისა და დასტურის გარეშე. ამგვარად, ფაქტიურად, უმაღლესი ღვთაების — მორიგე ღმერთის ხელში იყო გაერთიანებული მზე-ქალისაცა და კვირიას ფუნქციებიც... ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ მზისა და კვირიას გამოსახულებებიც მთავარი ღვთაების — მთვარის ღვთაების ატრიბუტებად ქცეულიყვნენ“... გვ. 39.

საქმე ის არის, რომ კვირია-ვარსკვლავი ღვთაება უფრო გვიანია, ვიდრე მზისა და მთვარის ღვთაებები. იგი, როგორც ვნახეთ, ორი დაპირისპირებული ღვთაების შემარიგებელი რგოლია. ამიტომ მთვარე მის ფუნქციას და სიმბოლიკას ვერ მიითვისებდა. მართალია, მთვარე უზენაესი ღვთაებაა, მაგრამ ამ ღვთაების კულტი ქართველ მთიელთა რელიგიურ წარმოდგენებში არ დასტურდება, ქართველი ლოცულობდა თავის ღვთაებას, რომელიც სატომო, სათემო, საგვარეულო ხატია. იგივე ხატი მიუძღვება მას ლაშქრობაში, ე.ი. მეომარი ხატია. აი, როგორ აღწერს ამ ხატს ვაჟა-ფშაველა:

„როცა ომი გვაქ ქართველ ჯარს
ნათელი გვიძღვის ღამითა
კაცი-რამ ლურჯცხენიანი
ამოღებული ხმალითა,
მაღლიდან თავზე დაგვბრუნავს

ტურფა იერით, ტანითა,
სახე აქვს შავად მოცული
მას დიდის კაეშანითა.
ეს ჩვენი ჩუმი მფარველი
ლაშარის ჯვარად ვსცანითა“.

(თხზულებათა სრული კრებული. ტ. 1. თბ. 1961. გვ. 356).

მეომარი ღვთაების საინტერესო იკონოგრაფიაა დაცული ბრინჯაოს და რკინის ჭვირულ შტანდარტებზე, რომლებიც ანთროპომორფული და ზოომორფული ფიგურებისაგან შედგება. ასეთი შტანდარტები მრავლადაა ადრეანტიკურ ძეგლებზე და ჩვენთვის ისინი მით უფრო საინტერესოა, რომ შტანდარტის, დროშის ნაწილებს წარმოადგენენ. სარიტუალო დროშები კი ღვთაებათა ხატებია.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ყაზბეგის განძში შემავალი შტანდარტები, რომლებზედაც გამოსახულია მამაკაცის იტიფალური ქანდაკებები[184]. ი. გაგოშიძე სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ ყანჩაეთის და ახალგორის შტანდარტებზე „ფალოსის გამოსახულება ცალკეა გამოტანილი, სახელდობრ, ასეთად უნდა იქნეს მიჩნეული ვერძის რქების ვერტიკალურად ზევით აშვერილი უჩვეულო ბოლოები“[185]. ერთი სიტყვით, იტიფალობა ყოველი შტანდარტის დამახასიათებელი ნიშანია და ამით, ვფიქრობ, სრულად არის გადმოცემული ღვთაების ბუნება და ფუნქცია.

შტანდარტებზე ვხვდებით მხედრის ფიგურებს, რომლებიც ვერძის თავებზეა აღმართული. ისინი ისევე უნდა იქნენ გააზრებული, როგორც საბეჭდავებზე გამოსახული მხედრები, სატომო ან სათემო მეომარი ღვთაებები. ი. გაგოშიძის აზრით, ეს ფიგურები დაკავშირებული უნდა იყვნენ ნაყოფიერების კულტთან, რომ ასე წყვილად, ცხოველების თანხლებით, გამოსახული სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე, წინააზიური ნაყოფიერების ღვთაებების სიმბოლიკაში ყველაზე გავრცელებული მოტივია[186].

ჩვენთვის მთავარია, რომ შტანდარტის — ხატის სიმბოლიკა შეიცავს როგორც მეომარი, ასევე ნაყოფიერების ღვთაების ემბლემებს, რაც, ვფიქრობ, ერთი ღვთაების ორი ბუნებისა და ფუნქციის მაჩვენებელია. რომ ნაყოფიერების ღვთაება ამ ხანებში მეომრული ფუნქციის მატარებელია, ეს სავსებით გასაგებია. ამ დროს ყალიბდება აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფოებრიობა. ის პუნქტები, რომლებზედაც შტანდარტის შემცველი ძეგლებია დადასტურებული, როგორც ჩანს, ხევის ცენტრებია და დიდ როლს თამაშობენ ხეობათა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების საქმეში. ამ დროს, რა თქმა უნდა,

---

ვფიქრობ, ლაშარის ჯვარის ვაჟასეული აღწერილობა გამოდგებოდა ანტიკური ხანის შტანდარტებსა, საბეჭდავებსა თუ ბალთებზე გამოსახული მხედრის ანალოგიად. შეიძლება შემოგვედავონ და გვითხრან, რომ მთიელთა ხატების ვაჟასეული სურათი გვიანი ხანისაა და წმინდა გიორგის იკონოგრაფიიდან არის ნასესხები. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ იმ ხატების უმრავლესობა წმინდა გიორგის სახელს ატარებს, თავისთავად მეტად მეტყველი საბუთია იმისა, რომ ქრისტიანული წმინდა გიორგი წარმართული მთვარის ღვთაებას, მორიგე ღმერთს კი არ ჩაენაცვლა, არამედ ღვთისშვილებს, რომელთა განზოგადებული სახე კვირია უნდა ყოფილიყო.

წმინდა გიორგის — კვირიას იგივეობა კარგად ჩანს იმ თქმულებიდანაც, რომელზედაც ივ. ჯავახიშვილი ამყარებდა თავის ვარაუდს — მთვარის ღვთაებისა და წმინდა გიორგის იგივეობის შესახებ. თქმულების გმირი მწყემსია, ე. ი. ასახავს მესაქონლე მთიელთა მსოფლმხედველობას. მწყემსი ამბობს: მე რომ ჩემი ღმერთის არ მეშინოდესო და ემუქრება ქრისტეს. ჩემი ღმერთი — ეს სატომო, სათემო ან საგვარეულო ღვთაებებია, რომლებსაც ჩვენ კვირიას კონკრეტულ სახეებად ვთვლით. ქრისტე, ამ შემთხვევაში, სწორედ მორიგე ღმერთი, ე. ი. მთვარეა. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ კვირიას მეომარ ტომებში წმინდა გიორგი ცვლის. მიწათმოქმედ ტომებში კი, სადაც აგრარული კულტი უფრო ძლიერია მეომარ ღვთაებაზე, კვირია ქრისტემ შეცვალა.

[184] ლ. წითლანაძე. ყაზბეგის განძის ზოგიერთი საკითხისათვის. მასალები საქ. და კავკ. არქეოლოგიისათვის.

[185] ი. გაგოშიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 46.

[186] იქვე.

მეომარი ღვთაების კულტის განვითარებისათვის მეტად ნოყიერი ნიადაგი არსებობს. რომ ეს მეომარი ღმერთი იგივე ნაყოფიერების ღვთაებაა, ამის მატერიალური საბუთი, როგორც აღვნიშნეთ, შტანდარტებია. საინტერესოა, რომ ყველა ღვთაება მამაკაცია აშკარად გამოყოფილი სასქესო ნიშნებით. მამაკაცთა ფიგურები თხებს შორის არის აღმართული, რაც იმის მოწმობაა, რომ წინააზიურ ნაყოფიერების ქალღმერთთა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ემბლემა—სიცოცხლის ხე ჩვენში ნაყოფიერების ვაჟღვთაების სიმბოლოა..

ი. გაგოშიძეს აქვს ერთი საინტერესო დაკვირვება. კერძოდ, იგი შტანდარტებზე გამოსახული ანთროპომორფული ფიგურების ბრტყელი ხელის მტევნებში ყურძნის მტევნის გამოსახულებას ხედავს[187]. ეს ვარაუდი დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ ქართველთა რელიგიურ წარმოდგენებში, სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე — ალვა წარმოდგენილია მასზე გასულ ვაზთან ერთად:

„შენ ხარ ვენახი, ახლადაყვავებული,
ნორჩი კეთილი, ედემს შინა ნერგული,
ალვა სურნელი, სამოთხესა მოსული,
ღმერთმან შეგამკო, ვერვინა ვჯობს ქებული“.

ან „ჩვენი მასპინძლის მარანში ალვის ხე ამოსულიყო,
თავში მოესხა ყურძენი, ბოლომდე გაღმოსულიყო“[188].

ცეცხლი და წმინდა სასმელი რიტუალის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია. უცეცხლოდ და უსასმელოდ კულტი წარმოუდგენელია. კულტი კი ადამიანსა და ღვთაებას შორის ურთიერთობის საშუალებაა, თვით ღვთაების არსებობის ფორმაა. უკულტოდ არ არსებობს არც ერთი ღვთაება. ე. ი. ცეცხლი და წმინდა სასმელი ღვთაებათა არსებობის, მათი მარადიულობის ფორმები არიან. ამიტომ ცეცხლიცა და სასმელიც ადრევე ხდებიან თაყვანისცემის ობიექტი და როგორც საკულტო ღვთაებანი წინა პლანზე გადმოდიან (აგნი და სომი ვედურ რელიგიაში, დიონისე ბერძნებში და სხვა)[189]. ცეცხლი, როგორც ვნახეთ, კულტის ობიექტი უკვე ადრეულ ბრინჯაოს ხანიდან ჩანს. მისი კულტის წარმოშობა დაკავშირებულია ასტრალური რელიგიის განვითარებასთან. სამწუხაროდ, ნივთიერ კულტურაში არა ჩანს, არის თუ არა გაღმერთებული წმინდა სასმელი. რიტუალში მის დიდ გამოყენებაზე და მნიშვნელობაზე მიუთითებს საკულტო ძეგლებზე დაცული სასმისები და სითხის მოსაკავებელი ჭურჭელი, რომელთა შემკულობა მათ საკულტო-სარიტუალო დანიშნულებას ეჭვმიუტანელს ხდის, მაგრამ არის თუ არა თვით სალოცავი, ვიდრე გვიანბრინჯაოს ხანამდე, არა ჩანს. ყათნალისხევის სამლოცველოში, ფშატის კურკებთან ერთად, როგორც აღვნიშნე, დადასტურებულია ყურძნის წიპწები. დ. ხახუტაიშვილმა ეს ფაქტი სიცოცხლის ხეს და მასზე გასულ ვაზს დაუკავშირა, ე. ი. ვენახის|| ღვინის|| წმინდა სასმელის თაყვანისცემის ფაქტი უკვე II ათასწლეულიდან გვაქვს. II და I ათასწლეულების მიჯნაზე თრელი გორების ნამოსახლარის ნაგებობების საკულტო სათავსოებში საკურთხევლის და ღუმელის გვერდზე ხშირად დასტურდება ქვევრიც, რაც იმის მოწმობაა, რომ ვენახი სალოცავია და იგი ოჯახის ისეთი აუცილებელი ატრიბუტია, როგორიც კერა ან საკურთხეველი.

---

187 ი. გაგოშიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 46.
188 ა. შანიძე. ქართული ხალხური პოეზია. I. თბ. 1931. გვ. 597.
189 Бетания и Дуглас. Великия религии Востока. стр. 43—44.

მე უკვე აღვნიშნე, რომ სიცოცხლის ხის მოტივი ჩვენში წინა აზიიდან უნდა შემოსულიყო, სადაც იგი ნაყოფიერების ღვთაებათა ყველაზე გავრცელებული სიმბოლოა. მისი შემოსვლა-დანერგვა ახალ სოციალურ გარემოში ხდება; კერძოდ, იქმნება ტომები, ტომთა კავშირები და სხვა. ბუნებრივია, რომ სიცოცხლის ხე სატომო ღვთაების ხატად და სიმბოლოდ იქცევა. მით უმეტეს, რომ ამ ღვთაების ჩამოყალიბება ჩვენში შედარებით მშვიდობიან ეპოქაში ხდება და, ბუნებრივია, ტომის მთავარი სალოცავი აგრარული ღმერთი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი ამიერკავკასიაში დიდი სამეურნეო ძვრებით ხასიათდება. საბოლოოდ ითიშება მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, მიწათმოქმედი ტომები საცხოვრებლად მთისძირა ზოლს ირჩევენ, სადაც განსაკუთრებით კარგი პირობებია მარტივი სარწყავი სისტემების მოსაწყობად. იწყება მიწათმოქმედების მძლავრი ინტენსიფიკაცია. შემოდის მებაღეობა და მევენახეობა. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, წინა აზიის ნაყოფიერების კულტს ჩვენშიც ნოყიერი ნიადაგი უჩნდება. ბუნებრივია, რომ ხე, რომელიც სიმბოლურად განასახიერებს ბუნების კვდომა-აყვავებას და თვით იძლევა განახლების ნაყოფს, ნაყოფიერების ღვთაებად, ხატად ქცეულიყო. არავინ დავობს, რომ ხე ადრიდანვე იყო კავკასიის ტომებში თაყვანისცემის ობიექტი. მაგრამ ნაყოფიერების ღვთაების — სატომო ღმერთის რანგში იგი II ათასწლეულის შუახანებიდან უნდა ასულიყო. თრიალეთის თასზე და სარწყულზე გამოსახული სიცოცხლის ხე და ირმები უადრესი ფაქტია ჩვენში ამ კულტის არსებობისა. შემდეგ ეს მოტივი უფრო მრავლდება: ირმის გამოსახულებანი, რომლის რქებად სიცოცხლის ხე ჩანს, გაშლილი რომბები და სხვა. კოლხურ ცულზე სიცოცხლის ხე (რქიანი ირემი) თევზებთან, გველებთან და სხვ. ერთად ისახება, რაც იმას მოწმობს, რომ ეს ხატი ნაყოფიერებაში ყოვლისმომცველია. თუმც სიცოცხლის ხედ შეიძლებოდა ყოველი ჯიშის ხე გამხდარიყო, მაგრამ მაინც თქმულებებში დაცული იკონოგრაფია მას ალვად წარმოგვიდგენს, რომელზედაც ვენახია გასული.

ახლა ძნელია მტკიცება ვენახის და ღვინის კულტურა სიცოცხლის ხის კულტს შემოჰყვა ჩვენში, თუ უფრო გვიანია. ფაქტი ის არის, რომ იგი საქართველოში ღვთის მცენარედ და ხატად დაინერგა. პირველი ნიშნები ჩვენში მევენახეობის განვითარებისა ძვ. წ. მეორე და პირველ ათასწლეულების მიჯნაზე ჩანს. როგორც აღვნიშნე, ყათნალიხევის სამლოცველოზე ყურძნის წიპწებია დადასტურებული, დიღმის ნამოსახლარ ბორცვებზე კი — ქვევრები. ის ფაქტი, რომ დიღომში ქვევრები მარტო საკულტო სათავსოებშია და, საერთოდ, ამ ხანის ნამოსახლარებზე მისი იშვიათად დამოწმება, სწორედ, მისი თავდაპირველად მხოლოდ რიტუალში გამოყენების მაჩვენებელია.

ეთნოგრაფიული მონაცემებითაც ჩანს, რომ ვენახი და ღვინო ღვთის პრივილეგია და საკუთრება იყო. ჩვენ მხედველობაში გვაქვს თითქმის მთელს სამიწათმოქმედო საქართველოში დამოწმებული მარნის კულტი და ზედაშე. ზედაშე თავისებური ხარკია ღვთაებისათვის ან სახლთანგელოზისათვის შეწირული. იგი იწურებოდა როგორც ხატის კუთვნილ, ისევე პირად საკუთრებაში მყოფი ვენახიდან.

როგორც ზედაშე, ისე მარნის კულტი, მისი წმინდა ადგილად გამოცხადება უნდა იყოს იმ დროის გადმონაშთი, როცა წმინდა მცენარე — ვაზი კერძო კუთვნილებაში გადადის, და ამ აქტის გამართლება.

ვენახი — მაღლარი, წმინდა ხეზე გასული და ნაყოფის მომტანი, რომლი-

დანაც წმინდა სასმელი კეთდება, ბუნებრივად იქცევა კულტის ობიექტად. მას ქართველი კაცის რელიგიაში იგივე ადგილი უნდა დაეჭირა, როგორიც კერას— ცეცხლს, რადგან თვით არის განსახიერება იმ ნაყოფისა, რომელსაც ლოცულობდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ ახალ წელიწადს ვენახს და მარანს ისევე ულოცავენ, როგორც ოჯახს — კერას. თუ რა დიდი ადგილი ეჭირა ქართველთა წარმართულ პანთეონში სიცოცხლის ხეს— ვენახს, კარგად ჩანს „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში დაცული ცნობებით. მაგრამ ვიდრე ამ ცნობებს მოვიტან, — ისევ ნაყოფიერების კულტის შესახებ, რომელსაც სხვადასხვა სოციალურ გარემოში განვითარების სხვადასხვა გზა ჰქონდა.

სიცოცხლის ხე — ვენახი ნაყოფიერების აგრარული ღვთაების ხატი, უმთავრესად, მიწათმოქმედ ტომებში უნდა განვითარებულიყო. მესაქონლეობის ბაზაზე ეს კულტი ტრანსფორმაციას განიცდის და უფრო მეომარ ღმერთად გვევლინება, თუმცა ნაყოფიერების ფუნქციას არ იხსნის. ანალოგიურ ფუნქციონალურ ცვლილებებს განიცდის მიწათმოქმედი ტომების ღვთაებაც კლასობრივი საზოგადოების მიჯნაზე. ადრეკლასობრივ საზოგადოებაშიც მთავარ ღვთაებად მეომარი ღმერთები ჩანან. მაგრამ არის სხვაობა ამ ღმერთებსა და მესაქონლეთა ხატებს შორის. პირველნი, ე. წ. ოფიციოზნი, არიან ქურუმთა და სეფე სახლის მიერ ძალით დანერგილნი. ეს ღვთაებანი, ჩვეულებრივ, უპირისპირდებიან ხალხურ აგრარულ კულტს. მესაქონლეთა ხატები კი ისეთივე სახალხო კულტები არიან, როგორც მიწათმოქმედთა აგრარული ღვთაებანი, ოღონდ ძლიერ განვითარებული მეომრული ბუნებითა და ფუნქციით.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ში დაცულია ცნობები, თუ როგორ ცდილობს ქართლის მეფეთა უმრავლესობა დანერგოს თავისი კულტი სხვადასხვა კერპის აღმართვით: „...ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამისა, თჳსისა, და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას. და თანაჰყვანდეს კერპნი ღმრთად — გაცი და გაიმ...

და შემდგომად მისა დადგა ფარნავაზ. ამან აღმართა კერპი დიდი ცხჳ(რ)სა ზედა. და დასვა სახელი მისი არმაზი... და შემდგომად მისა დადგა მეფედ საურმაგ. ამან აღმართა კერპი აინინა გზასა ზედა...

და მისა შემდგომად მეფობდა მირვან. და აღმართა დანინა გზასა ზედა წინარჱ...

და მეფობდა ფარნაჯომ და აღმართა კერპი ზადენ მთასა ზედა"[190]...

ამავე თხზულებაში დაცულია ზოგიერთი კერპის აღწერილობაც:

„...და წარვედ ხილვად მის არმაზისსა და აღივსნეს მთანი იგი დროშითა და ერითა, ვითარცა ყუავ(ი)ლითა ...და ვხედევდი საკჳრველებათა და საშინელსა ხილვასა, რომლისა თქუმად ვერ შემძლებელ არს ენაჲ ჩემი, ვითარ— იგი იყო საზარელ. და იყო შიში და ძრწოლაჲ დიდი მეფეთა და ყოვლისა ერისაჲ. ვი(ხი)ლე, დგა კ(ა)ცი ერთი სპილენძისაჲ, და ტანსა ეცუა ჯაჭვ ოქროჲსაჲ და თავსა მისსა ედგა ჩაფხუტი ოქრო(ჲ)-სა(ჲ) და სამკჳრნი ოქრო (ჲ) სანივე და თუალნი ვითარცა ფრცხილი და ბივრიტი, და ჴელსა მისსა აქუნდა კრმალი, ვითარცა ელვაჲ რაჲ ბრწყინვიდა და იქცეოდა ჴელსა შინა მისსა, რეცა რომელიცა შეეხ(ე)ბოდის, ვითარცა თავი თჳსი სიკ(უ)დ(ი)ლად განწირის. და იტყჳნ, თუ: „ვაჲ რაჲმცა სადა დავაკლე, ანუ ვსცეთ სადა სიტყჳსაებრ ელენთასა...

---

190 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I. თბ. 1964. გვ. 81—82.

მარჯვენით მისსა უდგა კაცი ოქრო(ჲ)საჲ და სახელი მისი გაცი, და მარცხენით — კაცი ვეცხლისაჲ და სახელი მისი გა...“[191].

ამონაწერიდან ორი მომენტი იქცევს ჩვენს ყურადღებას: ერთი, რომ არმაზი აშკარად მებრძოლი ღვთაებაა[192], და მეორე—მისი ცდა შეირწყას, დაიმორჩილოს ადგილობრივი კულტები. „და აღივსნეს მთანი იგი დროშითა და ერითა“. დროშები, ვფიქრობ, ადგილობრივი ხატებია და არმაზის კერპთან მათი მიტანა ნიშანია იმისა, რომ ეს ღვთაებანი მისი მორჩილნი არიან და თაყვანსა სცემენ მას.

ახლა მოვიტან ერთ ცნობას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რა ბრწყინვალე დიპლომატიურ ხერხს მიმართავს წმინდა ნინო არმაზის დასამხობად და თავისი სარწმუნოების განსამტკიცებლად.

ნინომ მცხეთაში „...შექმნა ნასხლევისა ჯუარი და აღმართა იგი მუნ და ილოცვიდა (მის წინაშე)“[193]. ნინომ იცის, რომ ქართველის მთავარი სალოცავი ვაზია. მან ჯერ კიდევ ურბნისში იხილა „...ერი ურიცხჳ და უცხოთა ღმერთთა მსახური, ცეცხლსა და ქვათა და ძელთა ღმრთად თაყუანის-(ს)ცემდეს“[194]. ამიტომაა, რომ იგი ნასხლევისაგან აკეთებს ჯვარს. ამით მას სურს დაანახვოს ქართველს, რომ მის ღმერთსა და ქართველთ სალოცავ ღმერთს შორის სხვაობა არ არის. სიმპტომატურია, რომ ნინომ თავისი ღმერთის რისხვა მთლიანად კერპების გასანადგურებლად მიმართა, ხოლო ცეცხლს, ძელსა და ქვას იგი არ ებრძვის.

„და იყო ოდეს მოჰკ(უე)თეს ხე იგი ჯუარისათჳს და მოაქუნდა ასსა კაცსა რტო(ჲ)თა და ფურცლითურთ მისით, და რაჟამს შემოიღეს ქალაქად, მიეყრებოდა ერი მრავალი, რამეთუ მწუანის—ფერობ(ა)სა და ფურცლიანობასა მისსა სტრფიალობდეს. ხოლო ჟამსა მას გაზაფხ(უ)ლი(სა) პირისასა სხუაჲ ყოველივე ჴმ(ე)ლი იყო და ესე ფურცელ-დაუცუ(ი) ვნებელ და სულ-ჰამოჲ, და ხილვითა შუენიერ იყო ხე იგი. და აღმართეს ხე იგი და ძირთა ზედა მისთა კარსა თანა ეკლესიისათა სამხრით კერძო. და მოჰქროდა წყალთაგან ნელი ნიავი და შლიდა ფურცელთა მის ხისათა და რტოთა მისთა. და იყო ხილვაჲ მისი შუენიერ და ს(ა)ს(უ)რვ(ე)ლ, ვითარცა სმ(ე)ნით ვიცით, რომელ გუასმიეს, ხისა მის ალვისა. ხოლო ხე იგი, კილმორ სახელით, მოეკუეთა მარტსა: კე: დღესა პარასკევსა და იდგა ხე იგი ოც და ჩჳდმეტსა დღესა, და არა შეეცვ(ა)ლა ფერი ფურცელსა მისსა, ვითარცა ძირსავე თჳსსა ზედა მდგომარეობენ. მაშინ თუესა მაისსა ერთსა შექმნეს ჯუარნი სამნი და მეშჳდესა დღესა აღმართნეს ჳ(ე)ლის დადებითა მეფის (აჲ)თა და წადიერებითა ყოვლისა ერის(აჲ)თა. და იყვნეს ეკლესიასა შინა ჯუარნი იგი. და იხი(ლ)ეს ყოველმან სიმრავლემ(ა)ნ ქალაქისამან ყოველთა ღამეთა მიმწუხრი, აჰა ჩამოვიდის ზეცით ჯუარი ცეცხლისა(ჲ) გჳრგჳნოსანი ვარსკულავითა და ზედა დაადგ(რ)ის ეკლესიასა ვიდრე განთიადამდე. და რიჟრაჟს ოდენ გამოვიდის მისგან ორი ვარსკვლავი: და წარვიდის ერთი აღმო(ა)(ვა)ლით და ერთი დასავლით...[195]

---

[191] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I. გვ. 119—120.

[192] ი. გაგოშიძე ვარაუდობს, რომ არმაზის კერპი უნდა მდგარიყო ყანჩაეთთან, სადაც ახლაცაა დაცული ტოპონიმი „არმაზი“. დასახ. ნაშრ. გვ. 40.

[193] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I. გვ. 84.

[194] იქვე. გვ. 117.

[195] იქვე. გვ. 147—148.

უფრო ხატოვნად თქმა იმისა, რომ ქრისტე იგივე აგრარული ღვთაებაა, ძნელია, თვით ჯვარს, ნაკეთებს ხისაგან, რომელიც ალვას წააგავს და, ალბათ, ქართველთა სალოცავი იყო, აღმართვის დროს ნათელი ეფინება ცეცხლისა და ვარსკვლავისაგან[196]. ნინო თითქოს ძველ სარწმუნოებას უბრუნებს ქართველს და კერპებს ანადგურებს, როგორც უცხოს. „და ვითარცა აღემართა ნიში ჯუარისაჲ ქვეყანასა მას ქართლისასა, მეყსეულად მას ჟამსა დაეცნეს ყოველნი კერპნი, რომელნი იყვნეს საზღვართა ქართლისათა, და შეიმუსრნეს და საკერპონი დაირღუნეს“[197]. ნინოს ტაქტიკამ გაამართლა. ქართლი ყოველი გართულების გარეშე გაქრისტიანდა. მაგრამ ტაქტიკა, რომელიც ასე წარმატებით გამოიყენეს ქართლის ბარში ქრისტიანობის გასავრცელებლად, სრულიად უძლური გამოდგა მთაში. მესაქონლე მთიელთათვის უცხო აღმოჩნდა ქრისტეს მშვიდობისმოყვარე ბუნება და ნასხლევისაგან ნაკეთები ჯვარიც. მათი ხატი მეომარი იყო, ცხენოსანი და შუბოსანი. „და წარვიდეს და დადგეს წობენს. და მოუწოდეს მთიელთა ყოველთა, ჭართალელ-ფხოელთა, წალკასნელთა. და შემოკრბა ერი ურიცხჳ. მაშინ აღდგა წმინდა და სანატრელი და განმანათლებ(ე)ლი ნეტარი ნინო, დედა ჩუენი, აღიპყრნა ჴელნი ღმრთისა მიერ. და მოუწოდა შეწევნად წმიდასა ღმრთისმშობელსა. და კვალად განირთხა ჴელი ერისა მიმართ და უქადაგა სარწმუნოებაჲ ძისა ღმრთისა(ჲ). ხოლო მათ პირუტყუ-სახეთა, ვითარცა ესმა ქადაგებაჲ, უცხოდ განუყარნეს თავნი, და პირნი გარემიიქც(ი)ვნეს და იღრჭენდეს კბილთა მათთა წმიდისა ნინოჲსთჳს, ხოლო ეშინოდა დედოფლისაგან. ხოლო ნინო უბრძანა ერისთავსა, რაითა წარმართოს მცირედ მახვლი მათ ზედა. და ვითარცა შებმა უყვეს. შიშით მისცნეს თავნი მათნი ნათლის-ღებასა, და დალეწნეს კერპნი მათნი და წარვიდეს ერწოდ და დადგეს ედომს დაბასა ჟალეთს, და ნათელ-სცა ერწო-თიანელთა“[198].

შემდეგ არაერთგზის მოუხდათ ქართლის სახელმწიფოს მესვეურთ მახვილის „მცირედ და დიდად“ წამართვა მთაში ქრისტიანობის გასავრცელებლად. მთიელებმა თუმც იწამეს ქრისტე, მაგრამ მეტად ტრანსფორმირებული. მათ ხატებთან უფრო ახლო მეომარი წმინდანები აღმოჩნდნენ, — გიორგი, თევდორე და სხვა. ამიტომ მებრძოლი ხატების უმრავლესობას გიორგი ჩაენაცვლა და მისი კულტი მეტად მომძლავრდა საქართველოში. ბარში კი, როგორც ადრე, სიცოცხლის ხეს ლოცულობდნენ, იშვიათად იყო ქრისტიანული ეკლესია თუ სვეტი, რომელზედაც ქრისტეს ჯვართან ერთად სიცოცხლის ხე და ვაზი არ ყოფილიყო გამოსახული. აკი ადრეული ჯვრებიც აყვავებული არიან, რაც სიცოცხლის ხისა და ქრისტეს ჯვრის იგივეობას უსვამს ხაზს. ვაზი ან სიცოცხლის ხე ტაძრების კედლებზე დეკორატიული ორნამენტი კი არ იყო, არამედ სიმბოლური ნიშანი, რომელიც ჯვართან ერთად ეკლესიისა თუ სვეტის სიწმინდეს

---

[196] მართალია, ქრისტიანობამ ბევრი მიიღო აგრარული ღვთაებებისაგან, კერძოდ, ქრისტეს სიკვდილ-სიცოცხლე, მაგრამ ამ ღვთაებებთან მისი ბუნებისა და ფუნქციის მსგავსების ასეთი ხაზგასმა იშვიათია.

[197] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წ. I. გვ. 154.

[198] იქვე. გვ. 88—89.

საზღვრავდა. ამიტომ არის, რომ ხე და ვაზი, როგორც სიწმინდისა და ღვთაებრივობის ემბლემა გამოსახულია ისეთ გვიანდელ ძეგლებზე, როგორიც სვეტიცხოველია და კიდევ უფრო გვიანდელის—ანანურის ეკლესიაზე[199]. ხოლო იმ ეკლესიათა კარზე, რომლებსაც სიცოცხლის ხის გამოსახულება არ ამკობდა, იდგა ეს ხე და იგი ისეთივე სალოცავი იყო, როგორც ეკლესია.

---

[199] Р. О. Шмерлинг. К характеристике стилистического различия двух сходных памятников разных эпох XI да XVII вв. სმამ. ტ. III. № 116. 1942. გვ. 611—617.

ЗЕМЛЕДЕЛИЕ И ЗЕМЛЕДЕЛЬЧЕСКИЙ КУЛЬТ В ДРЕВНЕЙ ГРУЗИИ

Резюме

Переход к производящему хозяйству является поворотным пунктом в истории человечества. Неолитической революцией именуют этот величайший хозяйственный переворот, и тем самым наиболее полно выражают качественный скачок, вызванный производящим хозяйством в социально-экономическом развитии общества. В производящем хозяйстве же особое место занимает земледелие. И в неолитическую революцию, и позднее, вплоть до капиталистической эпохи, характер земледелия и обусловленные им формы землевладения определяли характер общества и его социально-экономическую структуру.

Правда, в хозяйственной жизни общества скотоводство играло не меньшую роль, однако несложная организация труда и консервативный характер не могли стимулировать социальный прогресс.

Земледелие имело большое значение, в частности, и в хозяйственной жизни грузинских племен. Ведь Грузия и весь Кавказ относятся к тому региону, где, видимо, зародилось земледелие. Тем не менее социальный и экономический эффект производящего хозяйства на Кавказе не проявился так ярко, как в Передней или Средней Азии, однако этот, так сказать, замедленный прогресс, был обусловлен здесь самим характером земледелия. В отличие от Передней Азии, на Кавказе развилось неполивное земледелие, которое на раннем этапе менее эффективно и несколько сдерживает социальный прогресс. Поэтому становление раннеклассового общества здесь задерживалось, хотя кавказские племена в своем развитии и были близки к цивилизации. Зато позднее — с первой половины I тысячелетия до н. э. — земледелие, не требующее орошения или требующее его в незначительных размерах, способствовало здесь развитию частной собственности на землю и быстрому социальному прогрессу. В древневосточных же странах орошаемое земледелие дало обратный эффект — то, что раньше было здесь основой цивилизации, стало теперь тормозом социального развития.

Как видим, различный характер земледелия на том или ином этапе общественного развития приводил к различному социальному результату. Естественно, что связь социального и хозяйственного развития общества не является односторонней. Чем больше экономически и социально развито то или иное общество, тем более мощной хозяйственной и земледельческой базы оно требует, что и обусловливает прогресс земледелия. Таким образом, неразрывная связь между развитием земледелия и общества является одновременно и причиной и следствием их взаимодействия, ибо одно обусловливает развитие другого и наоборот.

Каждое более или менее значительное явление в хозяйственной деятельности общества имеет и социальные последствия. Социальное же развитие, будь оно революционным или эволюционным, требует дли-

тельной идеологической подготовки, осуществляющейся в первобытном обществе с помощью религии и отражавшейся в верованиях. «И во времена так называемых религиозных воин XVI столетия, — пишет Ф. Энгельс, — речь шла прежде всего о весьма определенных материальных классовых интересах... Если эта классовая борьба носила тогда религиозный отпечаток, если интересы, нужды и требования отдельных классов скрывались под религиозной оболочкой, то это нисколько не меняет дела и легко объясняется условиями времени»[1].

Естественно, что в феодальную эпоху социальные движения были скрыты под покровом религии в большей степени. Более того, эти движения направлялись религией и канонизировались ею.

Особенно интересен в этом отношении аграрный культ плодородия, сущность и форма которого как нельзя лучше отражают характер хозяйства, социальную природу и уровень развития того общества, в религиозных представлениях которого созревал этот культ. Можно смело говорить о том, что основным источником наших представлений о социальной истории Грузии до возникновения здесь раннеклассовых обществ являются религиозные верования.

Несмотря на то, что проблемы земледелия и земледельческого культа имеют очень большое значение в изучении истории социально-экономического развития грузинских племен, именно этой проблеме уделено меньше всего внимания в грузинской археологической науке. Это, однако, вовсе не означает того, что грузинские археологи полностью игнорировали историю земледелия и религиозных верований. В нашей археологической литературе, конечно, имеются отдельные монографии или статьи, посвященные тому или иному вопросу земледелия и земледельческого культа

Эти исследования более или менее ведутся успешно. Однако, ряд основных проблем, связанных с развитием земледелия и земледельческого культа, еще не изучен. В обобщающих трудах по археологии Грузии обзор хозяйства той или иной эпохи дается лишь в общих чертах и ими можно пользоваться при рассмотрении хозяйства любого археологического памятника и любой эпохи. Наши археологи, где бы они ни сталкивались с акцентрированием плодородия или женского пола в археологическом материале, везде видели культ «великой матери Наны». В археологической литературе, наконец, полностью игнорированы астральное содержание культа плодородия и тот факт, что каждый культ соответствует определенной ступени общественного развития и часто видоизменяется, теряя старую или приобретая новую функцию. В действительности, при возникновении космогонических мировоззрений и астральных верований, каждое божество имело астральный характер, поэтому исследование культа заключается именно в определении этого характера. В грузинской же археологической литературе мы имеем дело лишь с констатацией того или иного культа, в результате чего накопилось довольно большое количество культов — овцы, быка, жабы, кабана, лошади, оленя, змеи и т. д.

В работе на археологическом материале исследуется история развития земледелия на территории Грузии начиная с неолита до феодальной эпохи, точнее говоря, с зарождения земледелия до образования в Грузии тех сохранившихся по сей день агрокультурных зон (горной, равнинной и предгорной), характеру которых соответствует профиль их хозяйства.

Говоря об итогах развития земледелия, мы всегда учитывали и

---

[1] Ф. Энгельс. Крестьянская война в Германии. М. 1953. стр. 33.

конкретные социально-экономические условия, природную среду, в которых вырабатывались и осуществлялись более или менее значительные хозяйственные нововведения (пашенное земледелие, орошение и т. д.), и социально-экономические результаты этих нововведений. В тесной связи с социальным развитием племен, обитающих на территории Грузии, рассматриваются в работе и развитие земледельческого культа.

Грузия подразделяется на две четко отличающиеся друг от друга в климатическом и географическом отношении области — Западную и Восточную Грузию. Западная Грузия отличается большей влажностью и отсутствием сухого летнего сезона. Количество осадков здесь колеблется в пределах 1000—3000 мм. Восточная Грузия отличается переходным от субтропического климата к континентальному. Большая ее часть испытывает большой дефицит влаги. Количество же осадков здесь — 500—1500 мм, и выпадают они в основном в конце весны — начале лета.

Естественно, что в Западной и Восточной Грузии зарождение и развитие земледелия встречало на своем пути неодинаковые сложности, преодоление которых требовало проведения различных агротехнических мероприятий. Различие климатических и природных условий отражается на развитии животноводства и на облике поселений, на архитектуре жилых и хозяйственных сооружений и на строительной технике и т. д. Одним словом, природная среда влияет на всю хозяйственную деятельность, а соответственно — и на социальное и духовное развитие человека. Поэтому уже начиная с зарождения производящего хозяйства в Западной и Восточной Грузии складываются различные археологические культуры.

В Западной Грузии известны и памятники раннего неолита, т. н. безкерамического неолита, и памятники позднего неолита, содержащие керамические остатки. На большинстве памятниках зафиксированы находки, имеющие непосредственное отношение к земледелию: мотыгообразные и клиновидные макролиты, которыми можно было обрабатывать землю; изготовленные из гальки мотыговидные орудия; зазубренные и ретушированные вкладыши жатвенных ножей; ступки, зернотерки и т. д. Таким образом, существование в неолитическую эпоху в Западной Грузии производящего хозяйства, а именно земледелия, не вызывает сомнений. Неясными остаются лишь вопросы о том, какие именно земледельческие культуры в эпоху неолита возделывало население Западной Грузии (ни на одном не найдено пока остатков зерновых) и имелся ли у производящего хозяйства здесь такой же эффект, какой у него был в Передней и в Малой Азии, т. е. создало ли здесь производящее хозяйство условия для неолитической революции?

В той части Западной Грузии, где были обнаружены неолитические памятники, в связи с указанными климатическими условиями не могли возделываться пшеница и ячмень. Здесь в историческую эпоху из зерновых сеялись главным образом «гоми» и просо, поэтому надо думать, что эти культуры закладывали основу земледелия в указанных районах. Иначе нельзя объяснить тот факт, что в неолите была необитаема та часть Западной Грузии, климат, рельеф и растительный покров которой считаются наиболее благоприятными для зарождения и развития земледелия, население же концентрировалось во влажных, непригодных для возделывания хлебных злаков районах.

Естественно, что в Западной Грузии должно было развиться неполивное земледелие, что, однако, вовсе не придавало ему экстен-

сивного характера. Дело в том, что в Западной Грузии производящее хозяйство полностью базировалось на земледелии. Ни на одном памятнике этого района эпохи неолита не найдено костей домашних животных; это нельзя объяснить разложением остеологического материала в почве, отличающейся повышенной кислотностью, так как кости диких животных здесь ведь сохранились. Таким образом, предполагать существование скотоводства в Западной Грузии в неолитическую эпоху — нельзя. Здесь и не было условий для развития скотоводства. «Гоми» и просо не дают корма для домашнего скота, активный же лес здесь затруднял устройство пастбищ и покосов.

И все же производящее хозяйство здесь дало определенный эффект, который отразился в первую очередь на росте населения. В эпоху позднего неолита значительно увеличивается число селищ, в эпоху же энеолита заселенной оказывается почти вся Западная Грузия. Преимущества производящего хозяйства здесь настолько значительны, что уже в раннем неолите в земледельческих районах скапливается не только население из Западной Грузии, но и поселяются пришельцы из Восточной Грузии. Ничем другим мы не можем объяснить широкое распространение на неолитических памятниках обсидиана, характерного для восточногрузинского мезолита.

В энеолитических памятниках засвидетельствованы в достаточно большом количестве пряслица, что является бесспорным доказательством развития ткачества. Развитие же ткачества при отсутствии животноводства — необычный факт: ведь для получения ткани использовали в первую очередь шерсть скота. По-видимому, для ткачества племена Западной Грузии использовали совсем другое сырье. Таким сырьем здесь мог быть только лен, о широком распространении и о традициях возделывания которого в Колхиде писал еще Геродот. Культура льна, по-видимому, давала растительное масло, которое компенсировало отсутствие животных жиров — продукта животноводства.

Каким бы интенсивным ни было земледелие в неолитическую и энеолитическую эпоху, разумеется, оно являлось при этом очень примитивным. Обнаруженными при раскопках здесь земледельческими орудиями, представленными каменными или костяными киркообразными или мотыгообразными изделиями, можно было обрабатывать землю лишь на глубину нескольких сантиметров. Естественно, что земледелие при этом должно было быть подсечным, требующим частой перемены посевных площадей и больших земельных массивов. В неолитическую же эпоху человек, естественно, не испытывал недостатка в земле, особенно при неполивном земледелии. Однако, подсечное земледелие на Причерноморском побережье Грузии связано было с трудностями, вызываемыми активностью лесов. Возможно, этим и объясняется, что в эпоху энеолита под поселения выбирают места с более сухим климатом, где лес менее активен.

В V—IV тысячелетиях до н. э. в Восточном Закавказье складывается так называемая раннеземледельческая культура Шулавери — Шому-Тепе. Квемо Картли с прилегающим к нему с востока Западным Азербайджаном являлся в это время здесь самым густонаселенным районом. Памятники этого района изучены сравнительно хорошо, поэтому главным образом на их материале мы рассматриваем хозяйственную базу всей вышеназванной культуры.

Пыльцевый анализ из древнейшего слоя Имирис Гора показал, что 6—7 тысяч лет тому назад в Квемо-Картлийской равнине был приблизительно такой же климат, как и сегодня. Растительный пок-

ров был представлен видами, характерными только для степи, т. е. развитие земледелия здесь было невозможно без орошения. Население Восточного Закавказья в эпоху энеолита было земледельческим; при раскопках памятников были обнаружены и предметы, связанные с земледелием (орудия для обработки, вкладыш жатвенных ножей, зернотерки), и остатки зерновых. Полевые культуры при этом представлены довольно многообразно — твердая пшеница, мягкая пшеница, английская пшеница, пшеница полба, двурядный ячмень, многорядный ячмень, культурный ячмень, полба культурная — двузернянка и др.

Здесь были обнаружены и семена огородных культур. Место расположения поселений и гидрогеографический режим давали возможность создавать здесь простейшие оросительные системы. На памятниках засвидетельствованы и рвы, в которых, очевидно, стояла речная вода. Таким образом, нельзя сомневаться в том, что древнейшее земледелие в Квемо Картли и в Западном Азербайджане было поливным. Неясно только, в каких масштабах осуществлялось орошение и с какого времени оно развилось. Дело в том, что, судя по некоторым данным, в Квемо Картли земледелие первоначально не должно было быть поливным; став же таковым, оно тем не менее не определяло характер основной хозяйственной базы шулавери-шомутепинской культуры.

Древнейшим поселением шулавери-шомутепинской культуры является Шулаверис Гора; нижние слои этого селища относятся к неолиту. Именно в результате расселения прироста населения из Шулаверис Гора возникли входящие в его группу другие поселения (Имирис Гора, Гадачрили Гора и др.). Создается даже впечатление, что Шулаверис Гора и составляющие с ним одну группу поселения вообще положили начало заселению Квемо-Картлийской низменности.

Связанные с земледелием предметы из древнейшего слоя Шулаверис Гора не так многочисленны. Остеологический же материал обильно представлен здесь лишь костями домашних животных. Костей диких животных, за исключением рогов оленя, здесь не найдено. Оленьи рога могли добывать не в результате охоты, так что потребность в мясе в эпоху неолита и энеолита населением Квемо-Картлийской долины удовлетворялась за счет скотоводства.

Столь крупные масштабы скотоводства в памятниках культуры Шулавери-Шому-Тепе вызывают удивление. Можно смело утверждать, что скотоводство в таких широких масштабах не знала ни одна другая раннеземледельческая культура. Такому сильному развитию скотоводства здесь способствовали, разумеется, природные условия. Отсутствие леса, обилие травы и теплая зима в долине Квемо Картли и в Западном Азербайджане всегда и отовсюду привлекали в эти места скотоводов. Здесь найдены курганы скотоводов эпохи ранней бронзы, могильники скифов и захоронения половцев, переселенных в Грузию Давидом Строителем для пополнения своих войск. В более поздние столетия, в результате нашествий тюркских кочевников, агрокультура долины Квемо Картли вообще меняет свой характер, и некогда славящийся своими садами и виноградниками край превращается в пастбища для скота.

Таким образом, сочетание земледелия с сильно развитым скотоводством составляло хозяйственную базу шулавери-шомутепинской культуры, а это значит, что значительная часть пригодных для земледелия угодий должна была быть отведена здесь под покосы. Ведь крупный рогатый скот, в отличие от мелкого, требует зимой ясельного кор-

мления. Сомнительно, что земледелие, к тому же примитивное, могло бы обеспечить скоту весь зимний запас корма. Шулавери-шомутепинская культура засвидетельствована в основном на равнинах. Альпийские пастбища и покосы от поселений этой культуры отстоят далеко, так что и пастбища, и покосы должны были устраивать в данном случае вокруг поселений. Поэтому лес в Квемо-Картлийской долине должен был быть уничтожен уже в эпоху энеолита. С ростом населения должна была возникнуть проблема интенсификации земледельческого и особенно покосного хозяйства, которую можно было решить при тогдашнем уровне техники лишь с помощью простейшей системы орошения, тем более, что полное уничтожение леса должно было вызвать здесь засуху. Следовательно, в эпоху энеолита племена Восточного Закавказья, очевидно, должны были прибегать к искусственному орошению.

В конце IV тысячелетия до н. э. жизнь на раннеземледельческих поселениях Восточного Закавказья прекращается и, за исключением редких случаев, не возобновляется на протяжении целых 1000 лет.

Однако раннеземледельческий этап в Закавказье на этом не заканчивается. Шулавери-шомутепинскую культуру сменяет (а, возможно, и сосуществует с ней на позднем этапе) куро-аракская культура, которая распространяется на все Восточное Закавказье.

Изучая земледелие эпохи ранней бронзы, я стараюсь показать, что, несмотря на довольно высокий уровень куро-аракской культуры, ее земледельческая база остается примитивной. В отличие от шулавери-шомутепинской культуры, распространенной в основном в плодородных речных долинах, места расположения куро-аракской культуры разнообразны. Эти поселения равномерно распространены и в долинах, и в горах, и в предгорной полосе. И все же поселения куро-аракской культуры сосредоточены в долинах, искусственное орошение которых связано с очень сложными техническими мероприятиями и трудоемкими работами, в то время как в предгорной полосе, где этих поселений меньше, осуществить орошение было гораздо легче.

Такая топография памятников, по моему мнению, свидетельствует о том, что земледелие куро-аракской культуры было неполивным.

Куро-аракская культура в большинстве случаев представлена или однослойными памятниками, или лишь одним слоем в памятнике. Плотность поселений этой культуры и их однослойность, по моему мнению, является результатом мобильности населения, что свидетельствует о том, что время от времени племена куро-аракской культуры были вынуждены покидать свои села. Даже по многослойным памятникам видно, что поселения периодически покидались.

Причиной мобильности населения я считаю неполивное примитивное земледелие, при котором необходимо было периодически оставлять пашню под паром.

Таким образом, раннеземледельческий этап на Кавказе продолжался до II тысячелетия до н. э.

На следующей ступени развития, в эпоху средней бронзы, на базе куро-аракской культуры складывается так называемая культура Больших Триалетских курганов, являющаяся кульминацией развития и заключительной стадией раннеземледельческой культуры.

В отличие от памятников куро-аракской культуры, равномерно представленных на обширной территории и одинаково встречающихся и в горах, и в предгорьях, и в долинах, памятники триалетской культуры группируются только на особых, сравнительно ограниченных территориях.

Расположение памятников в таких местах, где имеются весьма благоприятные условия для развития скотоводства и примитивного земледелия, а также имеющиеся перспективы создания примитивных оросительных систем наводят на мысль, что хозяйственной базой триалетской культуры было и скотоводство (крупный рогатый скот), и примитивное поливное земледелие.

Как уже отмечалось, эпоха средней бронзы представляет собой кульминацию и заключительную стадию развития раннеземледельческих культур. «Курганы Триалети донесли до нас облик древней культуры, полной своеобразия и небывалого до сих пор варварского великолепия» (Б. Б. Пиотровский). И если, несмотря на расцвет, триалетская культура не смогла переступить рубеж варварства, то причиной этого опять-таки является отсутствие соответствующей земледельческой базы. В горной же полосе, к каким бы хозяйственным мероприятиям ни прибегало население, примитивное земледелие все же оставалось экстенсивным. В горах имеется больше условий для развития скотоводства, чем земледелия; и в действительности в триалетской культуре скотоводство получило мощное развитие.

Как уже отмечалось, в эпоху средней бронзы первоначально занимались больше разведением крупного рогатого скота. К концу триалетской культуры картина меняется. Подходящие условия, как видно, стимулировали развитие овцеводства. В отличие же от скотоводов, занимавшихся разведением крупного рогатого скота, овцеводы являются кочевниками. Увеличение поголовья мелкого рогатого скота толкает скотоводов с гор на равнину, где имеются прекрасные зимние пастбища.

Горы не способны удержать и земледельцев. Приобретая практический опыт в проведении оросительных каналов и в ирригации, земледельцы спускаются в предгорья и на равнины, где имеются гораздо лучшие условия для земледелия.

Конец эпохи средней бронзы отмечен кризисом триалетской культуры. Это кризис культурный, и выражается он, главным образом, исчезновением в курганах ювелирных изделий и уменьшением размеров курганных насыпей. Причиной кризиса считают прекращение культурных связей с Передней Азией. Прекращение контактов с цивилизованными странами, конечно, задерживает прогресс культуры, однако, нам кажется, что в Восточном Закавказье упадок культурного уровня был вызван теми хозяйственными сдвигами в конце эпохи средней бронзы, которые выразились здесь, в частности, в разделении земледелия и скотоводства и в приобретении последним кочевого характера. У пастуха-кочевника нет, конечно, потребностей в изящных вещах и нет возможностей и времени для сооружения грандиозных курганных насыпей. Земледельцы же, по-видимому, остаются в экономическом отношении еще слишком стесненными, для того чтобы осуществить работы больших масштабов.

В конце эпохи средней бронзы и в эпоху поздней бронзы расселение племен на равнинах и в предгорьях обусловлено характером хозяйства. Земледельческое население занимает в основном предгорья, где были весьма благоприятные условия для устройства примитивных оросительных систем, благодаря наличию здесь родников, ручьев и речек.

Однако расселение в предгорьях и на равнине не было обусловлено лишь только возможностями оросительного земледелия. Уже начиная с эпохи поздней бронзы, в Восточной Грузии должно было развиться пашенное земледелие. В эту же эпоху в Грузии в массовом ко-

личестве распрсотраняется и металлическая мотыга. Правда, отлитые из бронзы мотыги характерны для колхидской культуры, земледелие которой интенсифицируется именно благодаря их распространению; тем не менее в эпоху поздней бронзы значительная часть Восточной Грузии, в частности Шида Картли, испытывает сильное влияние колхидской культуры, если вообще не входит в ареал ее распространения. Бронзовые мотыги находят в большом количестве и в Шида Картли, так что широкое их применение здесь в земледелии не вызывает сомнения.

Глубокая обработка почвы, обусловленная применением металлической мотыги и пахотного орудия, давала возможность восточногрузинским племенам осваивать и неорошаемые территории со сравнительно влажным климатом. Неорошаемое земледелие в Восточной Грузии было возможным благодаря осуществлению целого ряда агротехнических мероприятий: глубокой вспашки, высеивания смешанных семян, выведения засухоустойчивых пород зерна и т. д. Все это должно было применяться уже в эпоху поздней бронзы, тем более, что некоторые способы борьбы с засухой, в частности высеивание смешанных семян, были известны уже в эпоху энеолита. Сочетание интенсификации орошаемого или неорошаемого земледелия с оседлым скотоводством создавало в Восточной Грузии условия для возникновения густозаселенных районов в предгорьях и в орошаемых частях равнины. В таких районах поселения эпохи поздней бронзы и раннего железа насчитываются сотнями.

Интенсификация земледелия вызвала также дальнейшее развитие и усовершенствование жатвенных орудий. В конце II тысячелетия до н. э. в Восточной Грузии широко распространяется металлический серп. В этот период в культурных слоях поселений и в святилищах засвидетельствованы также каменные зубцы молотильных досок, которые также являются достоверным доказательством интенсификации сельского хозяйства — ведь применение молотильных досок говорит о больших урожаях. При малых же урожаях снопы можно было молотить ударами палок или же перетаптыванием их крупным рогатым скотом.

С конца II тысячелетия до н. э. в Грузии развивается виноградарство и виноделие. Предметы, связанные с виноградарством и виноделием, обнаружены только в памятниках или сооружениях культового назначения. Это свидетельствует о том, что виноградники закладывались и возделывались по инициативе и в поместьях святилища (Хати). Вино, видимо, употреблялось первоначально только как священный ритуальный напиток во время священнодействий или культовых трапез.

С VI в. до н. э. в Восточной Грузии начинается, по-видимому, массовое разведение виноградников. Перед жилыми постройками III горизонта поселения Ховле гора (VI в. до н. э.), как правило, зарыты кувшины для хранения вина. Это, по моему мнению, служит доказательством перехода виноградников в частную собственность, что в свою очередь обусловливает развитие частной собственности на землю вообще.

Естественно, виноградники разводились на пахотных землях за счет пашен. Пашня же дает более необходимые для человека продукты — пшеницу, ячмень и др. Пашня при оседлоземледельческом хозяйстве дает также значительную часть запаса корма для скота.

Таким образом, использование пахотных земель для виноградников могло вызвать уменьшение пищевых продуктов. По-видимому, первоначально виноградники были разведены на тех пшеничных и ячменных полях, урожай которых предназначался для священных напитков, а позже и на тех, которые давали пищу человеку. Естественно, население

старалось максимально увеличить свои земельные угодья, что достигалось путем расширения сети оросительной системы и максимального использования неорошаемых земель. Рост населения и развитие земледелия требовали все больше земли. В поисках новых земель население Восточной Грузии стало заселять равнины. В климатических условиях Восточной Грузии земледельческое освоение равнины немыслимо без орошения.

В отличие от устройства оросительных каналов предгорной полосы, устройство оросительной системы равнины довольно сложно, оно требует больших трудоемких работ и сложную организацию труда. Именно поэтому равнина заселяется позже, в условиях раннеклассового общества, когда уже существует соответственный институт для организации работ большого масштаба. Этим институтом является древнее царство Картли, которому, по-видимому, принадлежала инициатива строительства больших оросительных систем равнин Картли и Кахети.

В эллинистическую эпоху топография поселений Восточной Грузии резко меняется. На первый план выступают равнины больших рек, на которых создается широкая сеть храмов и городских поселений. Каждый храм, каждый город со своими землями образовывает новую административную и хозяйственную единицу, связанную с ирригационными системами, она резко отличается от хеви доэллинистической эпохи.

Хеви — древнейшая грузинская территориально-административная единица, в большинстве случаев совпадающая с естественными ущельями рек. Административным центром хеви является храм, находящийся в географических центрах этих хеви, в местах слияния ущелий.

По-иному обстоит дело в эллинистических городах и их «землях». Проходивший через Грузию большой торговый путь, соединяющий восточные и западные страны, способствовал зарождению этих городов на левом побережье р. Куры. Эти «земли» были сосредоточены не в речных ущельях, а на орошаемых равнинах.

Параллельно с развитием земледелия, развивается земледельческий культ. С эпохи мезолита на территории Грузии зафиксированы астральные верования. К концу энеолитической эпохи в раннеземледельческих памятниках Кавказа засвидетельствована высокая ступень развития солярных верований, по которым солнце является уже божеством плодородия.

В энеолитических памятниках были обнаружены десятки пряслиц и имитаций, которые являются эмблемой солнца. Некоторые из них украшены свастикообразными изображениями.

В Квемо Картли в энеолитическом слое поселения Храмис Диди-гора, в очаге одного из жилищ вместе с глиняными лепешками найдены были небольшие глиняные статуэтки. Эти фигурки представляют собой божества плодородия. Однако у фигурок из Храмис Диди-гора акцентированы также и глаза — у некоторых фигурок они даже инкрустированы, что как бы подчеркивает их сияние и блеск. Слово «глаз» в картвельских языках, в частности в сванском, соответствует понятию «солнце». Слово «мзера» (смотреть) происходит, как видно, от слова «мзе» («солнце»). В то же время колесо, являющееся символом солнца, называют и «твали» (дословно — глазом). Таким образом, глаз представляется как символ солнца, его эмблемой, а акцентирование глаз у указанных фигурок является, по-видимому, отождествлением этих фигурок — божеств плодородия с божеством солнца. Интересен и тот факт, что в очаге Храмис Диди-гора вместе с фигурка-

ми были обнаружены и глиняные лепешки, представляющие собой жертву божеству солнца. Таким образом, в эпоху энеолита солнце представлялось людям богиней плодородия.

Если плодородие является даром солнца, то сами плоды дает все-таки земля. Естественно, что в культе плодородия одно из первых мест занимала и земля; поэтому с солярным культом должен был слиться и культ земли.

В древнейших поселениях куро-аракской культуры выявлены были врытые в пол стационарные очаги для хранения «вечного огня». В древнейшем слое «С» Хизанаант Гора очаги представляют собой небольшие ямы в полу. Ямы эти были обмазаны и отполированы. Обмазка их переходит на пол и образует довольно широкий бордюр, так что очаг создает впечатление солнца, диском которого является яма с углем, а нимбом — обмазка бордюра. В обмазку очага включены зерна, благодаря чему в очаге можно видеть эмблему божества плодородия. Однако очаг находится в земле, поэтому он может одновременно олицетворять и божество земли. В поселениях куро-аракской культуры описанные бордюрные очаги всегда сопровождаются подставками, имеющими довольно разнообразную форму: роговидную, подковообразную, зооморфную, блоковидную и т. д. Назначение этих подставок хорошо объясняет обнаруженные на Амиранис Гора подковообразные, антропоморфные и итифальные подставки. По мнению Т. Н. Чубинишвили, они ставились возле очага и «оплодотворяли» его.

Таким образом, в отличие от очагов, олицетворяющих богиню, подставки являлись эмблемами мужского божества. Нужно лишь учитывать астральный характер этих подставок и выяснить, какое светило они представляли? В этом отношении интересны так называемые роговидные и зооморфные подставки, которые представляют собой стилизованное изображение быка. Бык же является божеством луны. Он связан с луной почти во всех языческих религиях, и это понятно, так как рога быка сильно напоминают полумесяц, а внешнее сходство с божеством имело большое значение в образовании астральной символики. Сходство в данном случае имело значение «знаменья божьего» или «доли» божества.

Таким образом, роговидные подставки являются символом божества луны, которую они олицетворяют. С культом луны выглядят связанными и подковообразные подставки.

Возникновение культа луны является результатом развития производящего хозяйства. Дальнейшее развитие земледелия и скотоводства обусловило выдвижение культа оплодотворителя, который занял в религии ведущее положение, вместе с культом плодородия. Это явление было связано и с дальнейшим развитием семьи и рода, в котором, как и в хозяйстве, мужчина уже занимает первое место. Одним словом, мужчина добивается первенства, и это стремление, разумеется, отражается и в религии — постепенно усиливается культ оплодотворителя — мужчины. Так как женское божество было связано с астральным культом и олицетворяло собою солнце, то вполне естественно, что мужское божество отождествляли со вторым большим светилом — луной. Так должна была начаться борьба за первенство между двумя астральными божествами — солнцем и луной. Борьба эта отражала соперничество между мужчиной и женщиной.

Борьба за первенство, по-видимому, была длительным процессом. Замена одного культа другим или выдвижение одного культа за счет другого требовало, конечно, длительной подготовки. Для того, чтобы луна заняла первое место среди остальных божеств, «затмив»

при этом солнце, культ последнего должен был быть вообще ликвидирован, или же совмещен с культом луны. Видимо, произошло второе, так что определенное время оба божества сохраняют свой пол и одинаково первенствуют. Одним словом, плодородие представляется половым актом, в котором оба божества играют равные по значению роли. Именно этим нужно объяснить существование итифальных подставок очагов. В культе плодородия очень важное значение имел акт оплодотворения, которому приписывали магическое воздействие на плодородие, чем и следует объяснить весьма эротический характер таких древневосточных богинь плодородия, как Иштар, Кибела и т. д.

Таким образом, на раннем этапе куро-аракской культуры оба великих астральных божества имели одинаковое значение, плодородие же представлялось результатом их половых сношений. В этот же период имелись и попытки выражения этих сношений одним символом, представляющим собою слияние эмблем солнца и луны. В слое «Е» Хизанаант Гора выявлен был очаг, на дне которого находилась рогатая подставка, т. е. очаг включал в себя подставку. В то же время здесь же в одной из ям был обнаружен глиняный переносный очаг, у которого имелись еле выраженные отростки. Эти отростки, видимо, появились у очага в результате его «слияния» с подставкой. Начиная со слоя «Д», на Хизанаант Гора в помещениях зафиксированы только очаги с выступами. Кроме того, начиная с указанного слоя, исчезают полностью роговидные и подковообразные подставки. Таким образом, очаги с выступами являются эмблемами божеств солнца и луны, точнее говоря, являются символом их половых сношений. Такие взаимоотношения между двумя божествами в некоторых раннеземледельческих культах выражены в виде двуполых антроморфных фигурок.

Однако магическое воздействие, сущность магических заклинаний содержится в реальном представлении желаемого. Поэтому для достижения реального результата плодородия необходимо было провести полный его цикл. Вместе с процессом оплодотворения должен представиться и результат этого процесса — плод. Таким образом возникает и третий компонент культа, который как результат ритуала занимает в нем главное место. Так, компромиссом заканчивается борьба божеств плодородия за первенство, которое фактически олицетворяет стремление мужчины осуществить свои права. Божество-плод является в какой-то степени символом примирения между противостоящими началами. Естественно, что божество-плод должно иметь функции и свойства двух остальных божеств, поэтому оно может быть выражено теми же символами. Происходит слияние двух прежних конкурирующих божеств, приходит конец «двоевластию» и возникает новое божество плодородия. В зависимости от того, какое начало превалирует в новом божестве — мужское или женское, — оно может быть богиней или богом. В куро-аракской культуре это божество, по-видимому, мужское, что указывает на образование здесь патриархального родового общества.

В зависимости от того, какую функцию осуществляет новое божество плодородия, у него может быть изменен и пол. В доклассовых обществах аграрным божеством является большей частью мужчина. В скотоводческих обществах, с возрастанием в их жизни роли войны и набегов, одной из главных функций божества становится военная функция, что отодвигает на задний план функцию плодородия и делает возможным даже возникновение нового божества плодородия.

Эти новые божества обычно женского пола. Для раннеклассовых и классовых обществ характерны в основном женские божества плодородия, так как в этих обществах мужские божества чаще «заняты» военными делами.

Во многих религиозных представлениях солнце и луна являются родителями, звезды же их детьми. Естественно, что у племен куро-аракской культуры новое божество плодородия должно было предстать в виде звезды, а именно, в виде самой большой звезды — Венеры. Эмблема этой звезды — розетка засвидетельствована и на археологических, и на этнографических предметах.

Символика нового божества также должна была выражаться в очагах; точнее говоря, одновременным олицетворением всех трех божеств очаг должен был выразить новое божество. Новым божеством, являющимся результатом взаимоотношений солнца и луны, мог быть только огонь, ибо очаг с выступами ничего такого больше не содержал, что могло быть еще символом божества. В то же время культ очага в бассейне куро-аракской культуры был всеобъемлющим. Огонь здесь так почитаем, что сгоревшие здания даже не расчищаются и прямо над ними сооружаются новые постройки.

С середины II тысячелетия до н. э. иконография божества плодородия видоизменяется. Оно, уже как племенное божество, изображается в виде древа жизни и плодородия.

Древо жизни и плодородия является самой распространенной универсальной эмблемой плодородия всех народов. Это вполне естественно: во-первых, оно произрастает из земли и является олицетворением, эмблемой земли; во-вторых, само является плодоносящим; в-третьих, листопад и его облачение в зелень как бы изображают смерть и оживление природы или же своей вечнозеленостью — бесконечность.

Вещественным доказательством развития этого культа в Грузии является триалетский серебряный кубок, на верхнем фризе которого за божеством изображено древо жизни. Триалетский кубок, так же как и триалетская культура в целом, имеет много общего с переднеазиатской культурой. Видимо, мотив древа жизни в Закавказье распространился именно из Передней Азии или же из Европы, где оно связано с культом божества великой матери плодородия. На Кавказе этот мотив трансформируется, и богиня превращается в бога.

Все же мотив древа жизни на Кавказе как бы воскрешает женское начало в культе плодородия: с эпохи поздней бронзы в культовых памятниках Грузии появляются женские фигурки (Нацар, Гора, Мели Геле и др.). Однако он не перерастает в культ великой матери плодородия. В первой половине I тысячелетия до н. э. в аграрном культе главенствуют племенные боги. На найденной в Гамдлисцкаро модели святилища изображены лишь итифальные фигурки мужского божества.

В скотоводческих племенах аграрные боги все больше и больше приобретают воинственный характер. Эти боги изображаются мужскими итифальными фигурками, вооруженными мечом. В земледельческих районах племенное божество имеет более мирный, аграрный, характер. Его символом, как уже отмечалось, является виноградная лоза. Однако со второй половины I тысячелетия до н. э., с развитием раннеклассового общества, и у земледельческих племен формируются воинствующие боги — вооруженный всадник. Эти боги, которые сливаются с культом царя и насильственно распространяются царской властью, противопоставлены народным аграрным культам.

Такая популярность аграрного культа была использована просветительницей Грузии девой Ниной для распространения христианства в Грузии. Крест Нины, которым она окрестила грузин, сложен из виноградной лозы. «Создала она крест из лозы, и воздвигла его там, и молилась пред ним». Лоза не особенно пригодна для «созидания» креста. Но важен дипломатический прием Нины — она знает, что у грузин главным предметом поклонения является виноградная лоза. Она еще в Урбниси узрела «народ многолюдный и служителя чужих богов, поклоняющихся как богу, огню, камням и древу», и потому она старается показать, что образом ее божества также является лоза, т. е. Христос является божеством плодородия. Тактика Нины возымела действие. Земледельческая равнина, которая поклонялась виноградной лозе, обратилась в христианство безболезненно.

საძიებელი

პირთა სახელები

აბრამიშვილი რ. 96, 139, 202
აბესაძე 60, 77
ავალიშვილი გ. 65, 67, 77, 78, 108, 109, 110, 111, 153, 154
აზო 228
ალექსანდრე კახთა მეფე 133
ალექსანდრე მაკედონელი 121, 141
ამილახორი რევაზ 127
ამირანაშვილი შ. 182, 183, 184, 215
ამირეჯიბი ზაზა 122
არშაკიდები 144
ასათიანი ნ. 81
აფაქიძე ა. 5, 96, 131, 133
აქემენიდები 144

ბარამიძე მ. 128
ბარდაველიძე ვ. 6, 44, 117, 156, 157, 162, 165, 169, 170, 171, 176, 177, 178, 180, 183, 184, 185, 186, 188, 189, 193, 197, 206, 218, 219
ბელი 133
ბერდიევი ოლიაყული 34
ბერძენიშვილი ნ. 37, 81, 94, 98, 101, 129, 130, 143, 150
ბერძენიშვილი (კილაძე) ნ. 5, 19, 20, 21, 22
ბეტანკური ფ. 76
ბიბიკოვი ს. 16
ბოხოჩაძე, ა. 5, 81, 82, 130, 131, 182
ბრეგაძე ნ. 5
ბუნიატოვი ტ. 80, 81

გაბა 133
გაგოშიძე ი. 104, 108, 118, 125, 127, 131, 132, 179, 223, 224, 225, 226, 229
გეგეშიძე მ. 5, 72, 88, 127, 141, 156
გობეჯიშვილი გ. 62, 70, 86, 87, 167, 181, 199, 200, 203, 204, 208, 209
გოგაძე ე. 65, 77, 84, 104, 194
გრიგოლია გ. 88
გუგაკ ხუციანდაბის ძე 119
გუდეა 183, 184

დავით აღმაშენებელი 37
დავით უფლისწული (გიორგი XIII ძე) 103, 123
დედაბრიშვილი შ. 58, 77, 138, 163
დოლაბერიძე რ. 37
დურმიშხან თუშთ მოურავი 150
დუსო ბ. 167, 171

ელია 91
ელისაბედ ბატონიშვილი 127
ენგელსი ფ. 4, 24
ერეკლე მეფე 121, 122, 150
ერისთავენი ქსნის 118
ეფიმენკო პ. 159

ვაჟა ფშაველა 224, 225
ვახტანგ VI 91
ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) 7, 88, 91, 130, 151
ვირსალაძე თ. 213

ზაქარაია პ. 124

თამარ მეფე 132, 134
თარხნიშვილი ტეტია 103
თაყაიშვილი ექ. 134
თეიმურაზ მეფე 123
თრდატ 91
თუმანიშვილი გოგია 127
თუშაბრამიშვილი დ. 22, 40, 59, 60, 152, 153, 154

იაკობ ეპისკოპოსი 91
იესენი ა. 81

კაკაბაძე ს. 127
კალანდაძე ა. 84
კეჭაყმაძე ნ. 8
კეცხოველი მ. 76
კვიციანი ი. 69, 72, 73, 162
კიკვიძე ი. 25, 50, 52, 57, 59, 60, 65, 67, 77, 78, 86, 92, 94, 115, 122, 128, 130, 132, 133, 135, 136, 139, 147, 155, 157, 164, 166, 167, 168, 172, 173, 180, 184, 191
კილაძე ნ. იხ. ბერძენიშვილი (კილაძე) ნ.
კილურაძე თ. 5, 27, 31, 32, 37, 38, 46, 158, 164
კლავდიოს პტოლემაიოსი 129, 130, 140
კლარკი ჯ. 50

კორძახია მ. 11, 14, 23
კოსვენი მ. 49
კუფტინი ბ. 65, 93, 164, 166, 167, 168, 181, 182, 183, 185, 186, 192, 193

ლეკიაშვილი ა. 5
ლეონტი მროველი 91, 136
ლიკი ლ. 16
ლისიცინა გ. 30, 35
ლომთათიძე 85
ლომოური ნ. 129, 140
ლოსაბერიძე ალ. 133, 136

მამაცაშვილი 123
მაკალათია ს. 173
მარი ნ. 162
მასონი ვ. 3, 19, 38, 186, 187
მესხია შ. 119
მირვან 228
მიქელაძე თ. 7
მუნჩაევი რ. 13, 15, 59, 76, 80
მუსტაფაევი ი. 36
მუსხელიშვილი დ. 50, 84, 85, 86, 87, 103, 136, 147, 148, 149, 202

ნადიმაშვილი ს. 80, 87
ნადირაძე ჯ. 166
ნარიმანოვი ი. 32, 36
ნებიერიძე ლ. 5, 9, 10, 12, 13, 15, 17, 20, 22
ნინო წმ. 229, 230
ნიორაძე გ. 135

ონიანი ჯ. 173
ოჩიაური თ. 6, 210, 213

პიოტროვსკი ბ. 50, 55, 57

რამიშვილი მ. 97
რამიშვილი რ. 133, 134, 135
რობაქიძე ა. 6
რუსთაველი შ. 137

საურმაგ 228
სოხაძე ა. 6
სტრაბონი 132, 137, 145
სურგულაძე ირ. 6, 157, 163, 189, 190, 193, 196, 208, 209

ტატიშვილი თ. 88
ტოკარევი ს. 159, 196

უშაკოვი პ. 183

ფანცხავა ლ. 190, 192, 214, 215, 220, 221
ფარნაოზ 144, 228
ფარნაჯომ 228
ფერერი 156
ფიცხელაური კ. 57, 58, 59, 71, 72, 77, 82, 84, 89, 90, 91, 94, 96, 98, 101, 102, 104, 105, 106, 107, 108, 109, 120, 135, 138, 163, 200, 201, 209, 210, 211, 212, 213, 222
ფორმოზოვი ა. 13, 18, 21

ქორიძე დ. 18, 93, 104, 221, 222

ღლონტი ლ. 5, 27, 37, 46, 48, 60, 61, 63, 158, 164, 172, 181, 190, 191, 193, 205, 206, 207

ყაუხჩიშვილი თ. 145
ყიფშიძე ა. 131

შანიძე ა. 138, 226
შატბერაშვილი ზ. 84

ჩართოლანი მ. 6
ჩიტაია გ. 5, 36, 93, 190, 196
ჩუბინაშვილი გ. 127
ჩუბინიშვილი ტ. 5, 14, 30, 32, 36, 61, 62, 63, 64, 84, 95, 159, 164, 168
ჩხენკელი ივ. 133

ცქიტიშვილი გ. 50, 82, 84, 85, 86, 97, 101, 103, 134, 202

წითლანაძე ლ. 225

ჭილაშვილი ლ. 91, 92, 124, 128, 134, 136, 139, 140, 141, 142, 148

ხახუტაიშვილი დ. 95, 97, 128, 198, 199, 202, 203, 204, 208, 226
ხიდაშელი მ. 215, 216, 219, 224
ხოშტარია ნ. 124

ჯავახიშვილი ალ. 5, 13, 18, 19, 23, 27, 31, 36, 37, 38, 41, 42, 48, 50, 51, 52, 157, 158, 163, 164, 193, 204
ჯავახიშვილი გ. 5, 9, 17, 18, 20, 155
ჯავახიშვილი ივ. 5, 14, 26, 48, 97, 106, 109, 161, 173, 176, 178, 197, 212, 225
ჯავახიშვილები ერთობით 103, 104
ჯალაბაძე გ. 5, 32
ჯანაშია ს. 26, 119, 128, 129, 137, 145
ჯაფარიძე ო. 5, 27, 30, 31, 36, 37, 38, 41, 42, 50, 53, 61, 65, 67, 72, 77, 78, 83, 84, 89, 93, 94, 96, 114, 157, 158, 163, 167, 168, 194
ჯორბენაძე ბ. 140

ჰანი ე. 156
ჰანჩარი 214

Абибулаев А. О. 27, 31, 164, 168
Авалишвили Г. Б. 78
Амиранашвили Ш. Я. 183
Аракелян В. 168

Бардавелидзе В. В. 184, 185
Бетания 174, 175, 226

Бжания В. В. 20
Бибиков С. Н. 16
Буниятов Т. А. 81

Вундт В. 216

Гагошидзе Ю. М. 118, 131
Гаджиев М. Г. 27
Геродот 235
Глонти Л. И. 22, 59
Гуммель Я. И. 95, 97

Давид Строитель 236
Дедабришвили Ш. Ш. 53, 58
Джавахишвили А. Н. 27
Джавахишвили А. И. 13, 18, 19, 22, 23, 27, 41, 44, 51, 59
Джавахишвили Г. И. 22, 59
Дуглас 174, 175, 226

Ефименко П. П. 159

Иссен А. А. 27, 46, 81

Кара-Мурза Э. Н. 14
Киквидзе Я. А. 22, 59, 78
Кларк Дж. Г. 33, 50
Котович В. 63
Куфтин Б. А. 65, 77, 84, 93, 166, 167, 168, 181, 182, 183, 185, 192
Крупнов Е. И. 166
Круглов А. П. 166
Кушнарева К. Х. 27, 159

Маркс К. 25, 28
Массон В. М. 3, 17, 19, 38, 159, 186, 187, 188
Мунчаев Р. М. 13, 15, 19, 27, 59, 60, 76, 80, 81

Нариманов И. Г. 27, 32, 36
Нина св. 244

Пиотровский Б. Б. 55, 238
Подгаецкий Г. В. 166

Рыбаков В. А. 164, 184

Сардарян С. А. 168
Смирнов Я. И. 125
Соловьев Л. Н. 14
Струве В. В. 144

Токарев С. А. 159, 174, 175, 186, 189, 196
Торосян Р. М. 27
Тураев Б. А. 174
Тушабрамишвили Д. Н. 22, 29, 59

Ушаков П. Н. 182

Формозов А. А. 13, 18, 21, 22

Хазандян Э. В. 164, 166
Хоштария Н. В. 124

Читая Г. С. 74, 93
Чубинишвили Т. Н. 27, 29, 159, 241
Чайльд Г. 16

Энгельс Ф. 24, 82, 232, 233

Betancourt P. P. 76
Braidwood R. I. 188
Braidwood L. S. 188
Brentjes B. 194

Dusaud B. 168

Grastang 166

Leakey L. S. 16
Lloyd S. 116
Lehman Fr. 189

Mellart Y. 162, 166

De Mesquenem R. 188

Robertson S. M. 174
Roscer W. H. 162

Schmidt E. T. 186

Thompson M. 166
Tulane E. 188

Wail A. 166

მითიურ პირთა და ღვთაებათა სახელები

აგნი 226
ავესტა 174, 175
აინინა 228
ამირანი 221
ამონი 174
ანგრო-მაინიუ 174, 175
არიმანი 174, 175
არმაზი 229
ატისი 174
აჰურამაზდა 174, 175
აჰურა 175

ბარბარე 156, 157, 161, 162, 164, 165, 166, 169, 203, 206, 211, 212, 216, 218

გა 229
გაიმ 228
გაცი 228, 229
გილგამეში 220
გიორგი ნაღვარმშვენიერი 210
გიორგი წმ. 213, 225, 230
გუდანის ჯვარი 195, 196, 222

დალი 213
დანინა 228
დევი 175
დიდი დედა ნანა 7, 159, 164, 165, 167, 169, 185, 203, 211, 215, 216, 217, 218, 219
დიონისე 226

ელია 217

ზადენ 228
ზევსი 137
ზოროასტრა 175

თევდორე 230

იაზითი (მითრა) 174
იასახარი 195
იზიდა 174
იშტარი 173, 186, 212, 213, 216, 218, 219, 220

კვირია 177, 178, 179, 180, 181, 190, 195, 196, 206, 213, 220, 223, 224, 225
კიბელა 173, 174, 186, 212, 216, 219
კოპალე 195, 212

ლაზარობა 185

ლაშარის ჯვარი 195, 196, 222, 224, 225
ლომისის ხატი 195, 196

მარიამი, წმ. 230
მზექალი 177, 178, 179, 180, 203, 224
მითრა 174, 175, 186
მორიგე ღმერთი 177, 178, 179, 180, 185, 186, 196
მთვარის ღვთაება ნანა 171

ოზირისი 173, 174, 186
ორმუზდი 174, 175

პირქუში 195, 222

სამძიმარ ყელღილიანი 210, 219
სეტი 174
სომი 226

ტყაში მაფა 213

ქალდე 222
ქრისტე 225, 230

ხახმატის ჯვარი 195, 210, 212, 213, 219

ჰორა 174

Иштар 242

Кибела 242

Нана 233, 243

Христос 244

გეოგრაფიული სახელები

აბასთუმანი 141, 142
აგარა 68
აგარის გორა 85, 87, 123
აგარის ჰალა 87, 123
ადლერი 21, 23
ავანის ხევი 139
ავლევის გორა 85
ავნევი 85
ავჰალა 133
აზერბაიჯანი 11, 27, 31, 35, 36, 38, 44, 45, 46, 97
ალავერდი 58, 84, 137, 138
ალაზანი 58, 59, 71, 72, 90, 121, 139
ალაზნის აუზი 90, 92, 94, 100, 104, 107
ალაზნის ველი 58, 71, 90, 104, 105, 106, 135, 136, 138
ალაზნის ხეობა 146
ალაზნის რუ 136, 137
ალბანეთი 127, 137
ალგეთის ხევი 119
ალვანი 137, 150
ალვანგვერდი 137
ალვანის მინდორი 137
ალთინ-დეპე 171
ამიერკავკასია 5, 9, 10, 12, 13, 14, 15, 17, 18, 19, 20, 22, 26, 27, 43, 49, 56, 57, 59, 60, 65, 76, 77, 79, 80, 87, 159, 227
ამირანის გორა 45, 61, 62, 63, 64, 65, 96, 164, 168, 204
ანანური 231
ანასეული 9, 10, 12, 15, 17
ანატოლია 45
ანთოკი 136
არაგვი 106, 120, 130, 133, 134, 144

არაგვის ხეობა 103
არადეთი 123, 127
არარატის ველი 27
არაქსის აუზი 45, 168
არაშენდა 123, 146, 197
არეში 139, 147
არგვეთი 154
არიან ქართლი 228
არკნეთი 85
არმავირ ბლური 168
არმაზი 124, 144, 228
არმაზის ხევი 85, 126
არტაანი 139, 140, 141, 142
არტაანის მტკვარი 66, 67, 69, 146
არტაანის მტკვრის აუზი 66, 67, 68, 70, 74
არუხლო 28, 32, 35, 100, 191
არუხლოს გორა 14, 29, 30, 32
ასპინძა 142, 143
აფხაზეთი 9, 12, 14, 21, 23, 39, 93
აშურიანი 84, 86
აჩაბეთის გორა 85
აჭარა 12, 14, 15, 20
ახალგორი 111, 117, 118, 119, 125, 223
ახალსოფელი 139
ახალი ულიანოვკა 96, 107, 139
ახალქალაქი 142
ახალქალაქის პლატო 11, 66, 67, 70
ახშტირი 21
ახჩია 66, 67
ახალციხე 45, 61, 62, 85, 142, 164, 168
ახალციხის გორა 85
ახალციხის ქვაბული 11

ბაბა-დერვიში 171
ბაკურციხე 5, 96, 97
ბალკანეთი 19
ბალკანეთის ნახევარკუნძული 79
ბეისესულთანი 166
ბერთა-ყანა 66, 67, 70, 141, 142
ბერლიქი 91
ბერულის გორა 85
ბეშთაშენი 96, 185
ბეჩო 73
ბოგდანოვკა 70
ბოდავი 129, 130
ბოდბე 46
ბორჯომი 84
ბოჭორმა 136
ბრეთი 122
ბულაჩაური 84

გადაჭრილი გორა 42
გავაზი 139, 147, 149
გამდლისწყარო 93, 221
განთიადი 20
გარდაბნის გორა 91
გარდაბნის ველი 57, 91, 107
გარე კახეთი 57, 89, 90, 100, 102, 106
გარე ტყის გორა 106
გარეჯის უდაბნო 136
გარნი 96, 168
გვარჯილას კლდე 9, 152, 153, 154, 220
გიორგიწმინდის რუ 136
გიორგიწმინდა 136
გიროვანი 130
გოგაშენი 68
გომარეთის პლატო 66, 70, 89
გომბორი 89, 146
გომბორის მთიანეთი 107
გორი 125, 127
გორის ციხე 124
გომანევი 85
გრემი 44, 46, 47, 53, 58, 139
გრემის არხი 139
გუდაბერტყა 45, 61, 65, 87, 171, 206
გუდამაყარი 149
გულგულა 90
გურია 12, 15, 20, 93
გურიანთა 9, 12
გურჯაანი 58, 138, 197, 200
გუჯარეთის ხეობა 110

დაბლა გომი 59
დამპალა 129
დანგრეული გორა 37, 42
დარბაზულა 95
დარბატანა 95
დარკვეთი 20, 61
დაღესტანი 27, 63, 64, 81
დაცული ტყე 74
დებედა 88, 94
დედოფლის მინდორი 127
დევების ნასახლარები 139
დვანი 84, 85
დვანის გორა 85
დვანის წყლის ხეობა 84, 85
დიდი გორა 204
დიდი ლიახვი 85, 86, 87, 122
დიდი ლიახვის ხეობა 85
დიდი რუ 129, 130, 131, 140
დიდი რუვი 140
დიდი შირაქი 90
დიდუბე 19, 44, 45, 46, 47, 60
დირბის გორა 85
დიღომი 19, 44, 45, 46, 47, 134, 204, 227
დიღმის ველი 74, 134
დიღმის ხევი 134
დმანისი 147
დმენისის გორა 85
დოლინსკოეს ნამოსახლარი 166

დოღლაური 122, 123, 128, 148
დუნაისპირეთი 19
დურუჯი 137, 139

ეგეოსური სამყარო 163, 181
ეგვიპტე 34, 48, 79
ეგუბის არხი 141
ევროპა 77
ევფრატი 183
ელარი 81
ელდარის ველი 90, 106, 141
ენისელი 139
ერედვის გორა 85
ერედა 129
ერუშეთის ზეგანი 66, 67
ერუშეთის მთები 66, 70, 142
ერწო 140, 230
ეცერი 156
ეძანი 9

ვანი 111, 124
ვანის ქვაბები 141, 142
ვარძია 141, 142
ვახტანა 85
ველისციხე 138

ზაჰესი 131, 133, 134
ზედა რუ 122, 123, 125, 126, 130
ზედაზენი 133
ზედა ურბნისი 146
ზემო ავჭალა 166
ზემო ბოდბე 44, 47, 53, 58, 74, 84
ზემო გუნიბი 63
ზემო თმოგვი 67, 68
ზემო იმერეთი 11, 15, 20, 23, 59, 60, 61, 64, 151, 154
ზენჯილარი 182
ზველი 168
ზილიჩა 90
ზილიჩის ველი 106, 107
ზნაური 93
ზურტაკეტი 9, 66, 76, 83, 89, 141
ზღუდერის გორა 85
ზღუდრისგვერდა 45, 84, 168

თბილისი 18, 127
თეთრამიწა 20, 21, 22, 59
თეთრი წყლები 107
თეთრი წყარო 44, 46, 62
თელავი 90
თელოვანი 129, 130
თელოვანჯვარპატიოსანი 129
თელოვნის რუ 129, 130
თესალია 166
თეხუთა 27

თიანეთი 139
თლი 214
თმოგვი 66, 141, 142
თოირა-თეფე 36
თრეგვა 93
თრელი გორები 90, 98, 100, 104, 112, 134, 226
თრიალეთი 45, 65, 69, 73, 77, 81, 82, 89, 109, 113, 114, 141, 171, 181—86
თურქმენეთი 34
თუშეთი 107, 149

იაღსარი 140
იაშთხვა 9
იბერია 137, 140, 143, 148, 149
ივრის პლატო 104
ივრის ჰალები 107, 136
ივრის ხეობა 136, 146
იკოთი 85
ილტო 58, 62, 66, 171
იმერეთის ბუხტა 21
იმირის გორა 26, 28, 30, 31, 32, 35, 37, 42, 43, 44, 47, 159, 163, 191, 204
ინწობა 137, 139
იონჩა 85
იორი 66, 71, 72, 74, 90, 121, 134, 139, 148
იორის აუზი 92, 136
იორ-ალაზნის აუზი 11, 57, 108, 109, 135, 212
ირანი 45
იუტლანდია 49
იფარი 157

კავთურა 132
კავკასია 3, 9, 13, 15, 36, 39, 44, 45, 50, 52, 53, 64, 75, 77, 81, 93, 152, 153, 154, ,156, 157, 161, 163, 166, 169, 175, 176, 177, 184, 192, 193, 194, 204, 219
კავკასიის მთიანეთი 111, 149
კავკასიონის ქედი 10
კაკაბეთი 84
კამარახევი 133
კამარახევის სამაროვანი 135
კამენომოსტსკაია 12, 15
კარალეთის გორა 86
კარახტინი 61
კასპი 45, 74, 126, 128, 147
კასპის გორა 86
კაჩაგანი 28
კაჰრეთი 66
კახეთი 44, 45, 46, 47, 57, 59, 64, 66, 73, 74, 81, 84, 85, 90, 92, 94, 104, 105, 109, 111, 135, 136, 137, 138, 139, 147, 148, 150, 163
კეთილეთი 67
კეპ-ბოლაზი 9
კვერნაქი 45, 49, 61, 127, 129, 130
კვეტერა 149

კვიპროსი 167, 171
კვირაობა 141
კვირიკეს წყალი 139
კიკეთი 19, 44, 45, 46, 47, 204
კილიკია 45, 46, 166, 187
კირკულის გორა 85
კისტრიკი 9, 12, 14
კირკულის გორა 85
კოდა 44, 45
კოდათხევი 127
კოდისწყარო 93
კოლხეთი 5, 7, 8, 14, 17, 155
კოლხეთის დაბლობი 14, 19, 59, 104
კოპალას ხატი 140
კოპეტდაგი 33
კოურები 67
კრეტა-მიკენი 79, 167, 184, 203
კულბითის გორა 85
კუმურდო 126, 142
კუხეთი 134

ლაგოდეხი 9, 71, 84, 107, 139, 163
ლაგოდეხის ყორღანები 92
ლალისყური 137
ლანჩხუთი 14
ლარგვისი 119
ლელისთავი 122, 123
ლეჩხუმი 15
ლეხურა 122, 128
ლიახვი 86, 110, 127, 146, 147
ლიახვის ხეობა 84
ლილო 74, 84, 107
ლიხთ-იმერეთის ქედი 10, 11
ლოპოტი 137
ლოპოტის ხეობა 150
ლუგოვოე 60, 166

მაიკოპი 59, 60, 75, 76, 77
მალდა 85
მანავი 136
მარალინ დერესის სამაროვანი 93
მარგასტანი 67, 142
მარნეული 36
მაღარო 136
მაწანწარას ხევი 90
მაჟარის მღვიმე 20
მაჭი 149
მახარაძე 14
მელაანი 96, 197, 200, 201, 202, 210, 211, 222
მელი-ღელე 84, 98, 112, 120, 197, 200, 201, 207, 208, 209, 210, 211, 212, 213, 222
მერსინის ბორცვი 166
მესოპოტამია 75, 76, 77
მესტია 72
მესხეთი 68, 70, 93
მესხეთ-ჯავახეთი 10, 62, 65, 69, 70, 73, 74, 77, 78, 107, 109, 113, 114, 141, 142
მეტეხი 74, 104
მეჯუდა 122, 127
მთიანეთი 149, 150
მთიულეთი 107
მილის ველი 27, 46
მისაქციელი 130
მიხაილოვკა 91
მიხაილოვკის გორა 91
მოლდოვკა 21
მოჭრილი გორა 106
მოხისი 93
მოხრაბლური 164
მტკვარი 28, 49, 61, 68, 85, 87, 91, 92, 95, 98, 120, 122, 123, 127, 128, 131, 132, 141, 142, 144, 148
მტკვრის ხეობა 11, 45
მტკვრისპირეთი 134
მუსასირი 211, 222
მულრისი 85
მუხრანი 128, 129, 130, 147, 148
მუხრანის დიდი რუ 131
მუხრანის ველი 122, 128, 129, 130
მუხრანის სარწყავი სისტემა 128
მუხროვანი 136
მშვიდობა 139
მცირე აზია 194
მცხეთა 74, 84, 86, 120, 124, 129, 130, 131, 133, 143, 147, 228, 229
მჭადისჯვარი 84

ნარეკვავი 85, 129, 130
ნასადგომარი 84
ნასტაკისი 121, 131, 132
ნასტაკისის ველი 130, 131
ნაქალაქარი 140
ნაქალაქევი 68
ნაცარგორა (ცხინვალისა) 84, 86, 87, 90, 100, 167, 171, 181, 197, 199, 200, 204, 207, 208
ნახიჭევანის ქიუ-თეფე 46, 166, 168
ნახჭევანის ასსრ 27
ნეკრესი 126, 139, 147, 149
ნიალი 66, 67, 70
ნინოწმინდა 97, 136
ნინოწმინდის რუ 136
ნიჟნაია შილოვკა 18
ნიჩბისი 95, 103
ნიჩბისის გორა 85
ნიჩბურა 95
ნოსირი 104
ნოსტე 87, 94, 103, 104
ნოსტის გორა 85, 87, 90
ნოსტურა 87
ნული 74, 75, 85, 86

ოდიში 9, 12, 17
ოზნი 45, 164, 168
ოლე 84, 107
ოტრევის გორა 85
ოჩამჩირე 20
ოძისი 85
ოძრხე 141, 142

პალესტინა 194
პანკისი 150
პატარა ლიახვი 85, 122
პატარა რუვი 140
პატარა შირაქი 90
პატარძეული 136
პირდაპირობის მინდორი 133
პირქუში 140

ჟალეთი 230
ჟინვალი 133, 134, 147, 149

რაჟიანთ ეკლესია 134
რაჭა 15, 93
რიონ-ყვირილას აუზი 9
რგანი 152
რუისი 122, 123, 126, 127, 146
რუისის მთა 122
რუსთავი 85, 91, 126, 134, 147
რუსთავის არხი 91, 92
რუსთავის გორა 91, 92
რუსთავ-ყარაიას ველი 134, 135
რუსთავ-ყარაიას სარწყავი სისტემა 92
რუს-თეფესი 36
რუსხმული 127
რცხილის სერი 106

საგარეჯო 136
საგვარჯილე 20, 21, 22, 59
საგლახაო რუ 129
საგურამო 134
სადუხი 136
სადუხის გორა 136
საირხე 166
საკირე 85
სამადლო 124, 131
სამარა 188
სამგორი 134
სამგორის ველი 57, 121, 133
სამეგრელო 12
სამელე კლდე 20, 22, 154, 157, 162
სამერცხლე კლდე 59, 60
სამთავისი 126, 128
სამთავრო 84, 95, 120, 133, 185
სამშვილდე 44, 45, 46, 147
სამძივის რუ 132
სართიჭალა 136
სარკინე 121, 130, 131
სარკინეს მთა 131
სასირეთი 122, 123, 125, 146
საქაშეთი 122, 123, 125, 146
საღოლაშენი 122
საჩხერე 60, 65, 214
საციციანო 123
სევსამორა 132, 133
სვანეთი 39, 68, 69, 72, 73, 95, 107, 156, 157, 162
სვანეთის ხევი 109
სვენეთი 86
სვენეთის გორა 86, 87, 127
სვეტიცხოველი 133
სიონი 44, 46, 58
სირია 45, 46, 56, 187, 194
სიღარიბის რუ 136
სიღნაღი 66, 71, 84
სომხეთი 27, 44, 64, 65, 109, 127
სოჭი 21, 23
სპერის ზღვა 144
სტალინირის ნაცარგორა 199, 200
სტირფაზი 85
სუზა 21, 188

ტაბაწყური 66
ტანა 95
ტაოხთა ხევი 109
ტარიბანა 90
ტაშისკარი 127
ტბეთურა (ტბეთისხევი) 87
ტელ-ეს-სავანი 158
ტვებიში 162
ტიგროსი 183
ტირიფონა 122, 147, 148
ტირიფონის ველი 87, 88, 127, 128, 221
ტირიფონას სარწყავი სისტემა 128
ტრიპოლიე 164, 184, 185
ტფილისი 106, 109
ტყვიავი 113

ულიანოვკა 84
ურარტუ 110, 211
ურბნისი 22, 52, 61, 80, 82, 86, 93, 122, 123, 124, 125, 126, 128, 146, 147, 191, 221, 229
ური 171
ურიათუბანი 96, 138
ურს-ძუარი 224
ურაველას ხეობა 142
ურუკი 194, 219
უფლისციხე 95, 97, 124, 126, 128, 147, 197, 198
უჯარმა 136, 147, 149

ფარი 156, 162
ფლავისმანი 84

ფოხორაული 90
ფრისის გორა 85
ფრონე 85, 122, 123, 127
ფრონეს ხეობა 84, 85
ფშავი 69, 107, 149
ფცა 122, 123, 127
ფხვენისი 122

ქანდა 84, 86, 130
ქარაზი 65
ქარელი 106
ქართლი 104, 116, 118, 138, 144, 145, 148, 149, 150, 166, 230
ქართლის ვაკე 27
ქემერთის გორა 85
ქვასათალი 74, 75, 84, 85, 86
ქვაცხელები 36, 45, 48, 49, 50, 52, 53, 54, 61, 62, 63, 64, 85, 92, 100, 126, 171, 190, 191, 195, 204, 205, 206, 207, 213, 220
ქვაჭარი 9
ქვედი 9
ქვემო ბოლი 85
ქვემო თმოგვი 68
ქვემო რუ 122, 123
ქვემო ქართლი 10, 14, 27, 28, 29, 30, 32, 33, 36, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 46, 60, 64, 65, 73, 74, 88, 89, 92, 93, 108, 109, 110, 111, 135, 146, 157, 163, 164
ქვემო ქართლის ბარი 89
ქვემო ქართლის ვაკე 27, 28, 35, 36, 37, 38, 39, 40, 48, 85, 121
ქვემო ქართლის ველი 27, 30, 31, 32, 37
ქიზიყი 90, 100
ქიულ-თეფე 46, 81, 164, 166
ქობულეთი 10, 15, 17
ქსანი 121, 122, 129, 130, 131, 132
ქსნის რუ 131
ქსნის ხეობა 85, 119
ქსოვრისი 129, 130
ქუთაისი 214, 215
ქულბაქები 45, 53, 84, 86, 171

ღადო 141
ღრმაღელე 84

ყაზბეგი 117, 118, 223, 225
ყათნალის გორა 99
ყათნალის ხევი 84, 97, 98, 99, 112, 128, 197, 198, 199, 202, 203, 204, 207, 208, 209, 213, 226, 227
ყაიბულას რუ 122
ყანდაურა 136
ყანჩაეთი 223, 229
ყარაბახის ველი 27
ყარა-დეპე 188
ყარაია 91, 134, 147, 148
ყარაია-გარდაბნის ველი 106, 121, 134
ყარაიის არხი 108
ყარაიის ველი 91, 92, 107
ყარაია-რუსთავის არხი 91
ყარაყუმის უდაბნო 171
ყვარელი 139
ყირიმი 13
ყობანი 214
ყორნისები 85 4
ყორნისი 85

შავი ზღვა 10
შავშეთის ქედი 10
შავწყალა 139
შავშვები 127
შენგავითი 36, 166, 168, 171, 204
შიდა კახეთი 90
შიდა ქართლი 10, 44, 46, 50, 52, 53, 57, 59, 60, 61, 62, 64, 65, 74, 84, 85, 86, 87, 89, 90, 92, 93, 94, 98, 100, 103, 107, 108, 111, 121, 122, 123, 127, 128, 131, 132, 135, 139, 148, 172, 185, 203, 209
შიდა ქართლის ვაკე 11, 45, 53, 57, 122
შინდისი 122
შირაქი 69
შირაქის ველი 106, 107
შომუ-თეფე 36
შრეშ-ბლური 81
შუა აზია 10, 19, 38, 43
შუამდინარეთი 34, 42, 194, 218
შულავერი 26, 27, 28, 31, 37, 74, 100, 157, 165, 191
შულავრის გორა 30, 31, 36, 40, 41, 42, 53, 163
შულავერის წყალი 40

ჩათალ-ჰუიუკი 158, 162
ჩელეთი 136
ჩეჩნეთ-ინგუშეთი 60
ჩიბარუხი 214
ჩოფურ-ალი 89
ჩოჩეთი 104, 132
ჩუმარის ხევი 93
ჩურის ხევი 96

ციხია-გორა 132, 134
ცხინვალი 84, 127
ცხინვალის გორა 85
ცხრაზმისხევი 119

ძალისა 129, 130, 131
ძამა 106
ძეგვი 95, 103
ძველი 45
ძველი ანაგა 138
ძველი ვარძია 142

წალკა 69, 82, 89, 141
წეროვანი 85, 130
წითელი სოფელი 28
წილკანი 129, 130
წინა აზია 3, 13, 14, 17, 18, 19, 21, 23, 35, 75, 76, 77, 79, 220, 223, 227
წინუბანი 146
წინწყარო 111, 117, 118, 119, 223
წიწამური 133
წნორი 71, 90, 163
წობენი 230
წოისი 96
წონა 9
წუნარი 85
წუნდა 66, 126, 141, 142

ჭართალი 230
ჭაჭკარი 68
ჭახათი 9
ჭერემი 149
ჭუმხევი 139

ხალაჯების რუ 136
ხანდაკი 93
ხანლარი 97
ხაშმი 136
ხახმატი 210
ხევი 108, 109, 110, 112
ხევსურეთი 68, 69, 102, 149, 209, 210
ხევსურეთის ხევი 109
ხეკორძულა 95
ხელჩუის გორა 85
ხიზაბავრა 142
ხიზანაანთგორა 19, 44, 45, 46, 47, 48, 49, 52, 53, 54, 59, 60, 61, 63, 80, 85, 96, 97, 100, 124, 125, 126, 127, 154, 156, 157, 164, 165, 166, 167, 168, 172, 173, 176, 180, 184, 190, 191, 193, 195, 204, 205, 206
ხმელთაშუა ზღვა 10
ხოვლე 94, 98, 112, 207, 209
ხოვლის გორა 85, 90, 98, 99, 100, 101, 103, 104, 116, 197, 202, 204, 208, 209
ხოლოდნი გროტი 9
ხორანთა 140, 141
ხორნაბუჯი 126, 138
ხრამი 88
ხრამის დიდი გორა 27, 158, 159, 162, 163, 164, 169
ხუნანი 1 144
ხუნდის უბანი 85
ხუცუბანი 9, 10, 12, 15, 17
ხწვე 85

ჯავა 85
ჯავახეთი 64
ჯავახეთის პლატო 69, 70, 82
ჯვარი 133
ჯვარპატიოსანი 129
ჯრუჭულას ხეობა 154

ჰერეთი 140

Абхазия 20, 21
Азербайджан 38, 81
Амиранис Гора 241
Аравия 24
Арарат 167
Армения 168
Армянское нагорье 164

Вани 124
Верхний Гучиб 63
Внутреннее Қартли 97, 166
Воронцовская пещера 14
Восточная Грузия 234, 235, 238, 239, 240
Восточное Закавказье 235, 236, 238

Гадачрили Гора 29, 236
Гамдлицкаро 243
Гарни 168
Германия 232
Грузия 232, 233, 234, 238, 240, 243, 244
Гурия 14

Дагестан 27, 63
Дебеда 37
Джармо 187
Джейтун 187
Древний Восток 27

Европа 33, 50, 243

Закавказье 26, 27, 97, 243
Западный Азербайджан 235, 236
Западная Грузия 234, 235

Иерихон 187
Имерети 84
Имирис Гора 29, 235, 236
Индия 24
Иори 37
Иор-Алазанский бассейн 58

Кавказ 13, 21, 27, 51, 74, 76, 80, 81, 97, 232, 237, 240, 243
Картли 240
Квасатали 84
Квемо Қартли 235, 236, 240
Квемо Қартлийская долина 236, 237
Квемо Қартлийская низменность 236
Квирила 22
Қолхида 235
Краснодарский край 16

Крым 13, 16, 21
Кура 37, 240
Кюль-Тепе 27, 164

Малая Азия 234
Мачарское поселение 21
Мели-геле 243
Мильско-Карабахская степь 46

Нацар-гора 243
Нальчик 166
Намазга 187
Нубия 36

Передняя Азия 232, 234, 237, 238, 243
Персия 24
Причерноморье 14, 235

Сахара 24
Сиалк 187
Средняя Азия 17, 187, 232

Татария 24
Техута 27
Триалети 65, 77, 78, 93, 182—185, 191, 192, 238

Урбниси 22, 244

Ханлар 95
Хасуна 187
Хизанаант Гора 239
Храми 28, 29, 37
Храмис Диди Гора 240

Шида Картли 59, 239
Шулаверис Геле 28, 29, 40
Шулаверис Гора 236

Южная Осетия 84, 97, 166
Южный Кавказ 27, 159

ტაბულა I



ტაბულა II



1



2



3



5



4



7



6

ტაბულა III




1
2
3
4
5

1

2



3

4



5

1

2

1

2

შინაარსი

შესავალი 3
თავი I. საქართველოს ადრესამიწათმოქმედო კულტურები . . . . 9—83
1. დასავლეთ საქართველოს ნეოლითური ძეგლები 9
2. ადრეული ბრინჯაოს ხანა. პრიმიტიული ურწყავი მიწათმოქმედების კრიზისი 44
3. შუაბრინჯაოს ხანა. ადრესამიწათმოქმედო კულტურების დასასრული . 65
თავი II. სახნავი მიწათმოქმედება . . . . 84—151
1. გვიანბრინჯაოს ხანა 84
2. ანტიკური ხანა. ბარის სამიწათმოქმედოდ ათვისება 117
თავი III. კულტი . . . . 152—230
1. კერა 152
2. სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხე 181
3. საკულტო ნაგებობები 197
Земледелие и земледельческий культ в древней Грузии 232
საძიებელი 245
ტაბულები

ЗЕМЛЕДЕЛИЕ И ЗЕМЛЕДЕЛЬЧЕСКИЙ КУЛЬТ В ДРЕВНЕЙ ГРУЗИИ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ალ. ჯავახიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯვებენავა
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ლ. აბჟანდაძე

გადაეცა წარმოებას 17.5.1976; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.11.1976;
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ქაღალდი №1; ნაბეჭდი თაბახი 23,45;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 21.19;
უე 01582; ტირაჟი 1200; შეკვეთა №1606
ფასი 2 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19